კოოპერაციული ფირმა „დიდოსტატი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გამსახურდია

## თხზულებანი ოც ტომად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე
გამსახურდია

# დიონისოს ღიმილი

ტომი
II

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ზვიად გამსახურდია (მთავარი რედაქტორი)
თენგიზ კიკაჩეიშვილი
მუხრან მაჭავარიანი
სოსო სიგუა (პ./მგ. მდივანი)
ნოდარ წულეისკირი

K 323,2 33

ტომის რედაქტორი
სოსო სიგუა

მხატვარი გია სურგულაძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება პირველი

## 1. კაცი, რომელიც ველარ იცინის

ოქტომბერი უმშვენიერესი დროა პარიზში. წაბლის ხეივნები შეიქარვება. შრიალებს ფეხქვეშ ფოთლების ფარჩა.

ო, შემოდგომის მწუხარებავ სხვის ქვეყანაში! გული პარკებისაკენ მიიწევს.

ლუქსემბურგის პარკში, ჰორტენზიების ჩირგვთან, ყოველდღე ვხედავ ერთ ინვალიდს. ცალ ხელში ბამბუკის ყავარჯენი უჭირავს. ორივე ხელოვნური ფეხი — სიარულში კიდევ ეტყობა: მხედარი ყოფილა. იგი განგებ გაურბის იმ სკამებს, რომელზედაც სხვები სხედან. თითქოს რალაც ჩუმი შეთანხმების გამო, ჰორტენზიების ჩირგვთან რომ მწვანე სკამია, იმაზე არავინ ჯდება. ბელურების მთელი ლაშქარი მუდამ თან დასდევს მას. ჩამოჯდება თავის მწვანე სკამზე, იღებს ჯიბიდან ხორბლის მარცვლებს, წივწივით, ფრთების ფარფატით მოფრინდებიან ბელურები...

ადგება.

აიყრებიან ჩიტებიც.

ვინ არის ნეტავ ეგ კაცი? ნუ თუ სხვა საქმე არა აქვს ამ ქვეყანაზე? ვკითხულობ ჩემთვის უნებურად. მე არ შემიძლია პირდაპირ შევხედო დამახინჯებულ ადამიანს, ამიტომაც გაურბივარ მას.

ერთ დღეს ყველა სკამი დაკავებული დამხვდა. იგი ჩვეულებრივად მარტო იჯდა.

ცოცხალთა შორის უფრო მახინჯი ჩემს დღეში არ შემ-

ხვედრია. წარბები და თმა გადაუტრუსავს გაზებს. ცხვირი სავსებით მოჭმული აქვს, ამოკერილ პირიდან პატარა, ლითონის მილი მოუჩანს: სახე არაჩვეულებრივად წითელი. თითქოს ერთკეცი ტყავი გადაუძვრიათო. თვალების მეტი არაფერი უგავს ადამიანს. მე ვამჩნევ ლეჟიონ დონორის ორდენს მის მკერდზე. ძლიერ თავმომწონედ უჭირავს თავი; ნიშნებზე ეტყობა: კაპიტანი უნდა იყოს. მის ფერხთით კვლავ აუარებელი ბეღურებია — იგი ხანგამოშვებით საკენკს უყრის. ჩიტუნები ალტაცებული ჰყიპინებენ, ხტიან, ცელქობენ, ერთი-მეორეს ლუკმას სტაცებენ პირიდან. ზოგი მოურიდებლად უახლოვდება მას.

რა თავხედებია დიდი ქალაქის ჩიტებიც! ვის არ გაეცინება მათ ცუღლუტურ ციგლიგზე! ინვალიდი ზის და უყურებს. სახეზე საშინელი სერიოზულობა ეტყობა, თითქოს მარნაზე, ან სუასონზე კომანდობდეს თავის ათასეულს.

მე დიდხანს ვერ ვჩერდები მის ახლოს.

საშინელი უძილო ღამეები!

ღამღამობით იმ მახინჯ კაცზე ვფიქრობ ლუქსემბურგის პარკში რომ დადის მარტოკა. ასე მგონია იგი თავზე შემოუვლია მთელ ქვეყანას. მას ადამიანებისთვის გაუწირავს თავი; მაინც ყველა ერიდება მასთან ახლო ყოფნას. ნეტავ თუ ვინმე ჰყავს? დედა, ან ცოლი? სიხარული თუ აქვს გულში, ან იმედი? ყველანი შორიდან უყურებენ. ყველა მასზე ბედნიერია...

ხშირად გადავწყვეტ მივიდე, ვკითხო... ან როგორ მეტყვის, თუ რა გადახდა ბელფორზე, მარნაზე, ან სუასონზე. მინდა წავიდე ლუქსემბურგის პარკში, მოვნახო, დაბალი სალამი მივცე, ვეტყოდე მაინც: ძმაო ტანჯულო, უცნობო გმირო! მე არ ვარ გმირი, გმირი ხალხის ვარ ნაბოლარა... მაგრამ, მუდამ დუმილით ჩავუვლი გვერდს, თანაც ვგრძნობ: მის დანახვაზე ჩემში ღვიძებს რაღაც სულმდაბალი, ცხოველური კმაყოფილების გრძნობა, რომ მე არაფერი შემიწირავს ადამიანებისათვის. მე მიხარია, რომ შემიძლია უყავარჯნოდ გავიარო თავაწეული.

მე მიხარია, რომ შემიძლია გავუღიმო მაღალ ცის ლაჟვარდს, ან ქუჩაზე გავლილ კახპას. ვაკოცო დედაკაცს და როგორც უხრწნელ ქალწულს ვახარო: ჩემი ღვთაებრივი თეს-

ლიდან წარმოიშობა მეთქი: ათასი გმირი, ათასი პოეტი, კომპოზიტორი, სპორტსმენი. ორი თვალი მაქვს, ორი — მშვენიერების დაუღალავი ბაზიერი. ორი ღონიერი მკლავი — რომელთაც კიდევ დიდხანს შეუძლიათ წერა, კრივი, თავდასხმა, მოგერიება და მძიმე ჰანტელების მაღლა აწევა. მე მიხარია, რომ პირი მაქვს მთელი.

მე ვიტყვი სიტყვას — ათასები ყურს დამიგდებენ. მე ვიტყვი სიტყვას შვენიერზე და ღვთაებრივზე და ჩემი სიტყვა თუ დაეცა ფხვიერ ყამირზე, ამ სიტყვას მერმე ათასები ისევ იტყვიან.

მე მიხარია, რომ ორი მაგარკუნთებიანი ფეხი მაქვს და სიარულით არ დავიღლები, თუნდაც ვიარო ქვეყნის კიდემდის.

ლუქსემბურგის პარკში ერთი ინვალიდი დადის, სახით მახინჯი, კაცი სიცილს გადაჩვეული. ვფიქრობ იმ კაცზე ამ წამშიაც, როცა ამას ვწერ და მიხარია, რომ ის კაცი ახლა მე არ ვარ.

## 2. ნისლი

იმ დღეს მზემ უნიათოდ გამოიხედა, შუადღეს სხივი მკვდრების მზესავით გაყვითლდა, მინდოდა შემევლო ლუქსემბურგის პარკში, მენახა შემოდგომის აგონია. დამეზარა. ადამიანები ხომ ეგოისტები ვართ, არ გვიყვარს სიმახინჯესთან პირისპირ შეხვედრა (თუნდაც რაინდობისა და წმიდანობის შარავანდედიც ახლდეს მას). დილიდანვე უცნაური მელანქოლია დამყვა. უცხოეთში შემოდგომის გადატანა ძლიერ მიმძიმს, რაღაც ჩუმი, უსიტყვო დარდი დაეუფლება ჩემ სულს.

მივჰყვები სენის ნაპირს, მდინარის გაღმა გამოღმა ეს აუარებელი ბუკინისტები, თვალღია ცის ქვეშ რომ გაუშლიათ თავიანთი დაზგები. რა და რა წიგნს არ ნახავთ აქ! იშვიათი ბიბლიოგრაფიული უნიქუმები, ხელთნაწერები, ძველი სურათები, ილლუსტრაციები. დიდი ხანია ნაპოლეონის კოლლექციებს ვაგროვებ. ამიტომაც შევეჩვიე სენის ბუკინისტებს. არც ეს ბუკინისტებია ამ წიგნებზე ნაკლებად საინტერესო.

ჰმ, ადამიანის გონების ნასუფრალით მოვაჭრენი! მე ჩიყ-

ვარს მათთან მასლაათი. ჩვენი წიგნური ცივილიზაციის გროტესქული მაჭანკლები! მათ ძველი წიგნების მეტი არაფერი აინტერესებთ.

წიგნების ავტორების სახელისა და წიგნების სათაურების მეტი არა იციან რა. უცებ რომ ჰკითხოთ, ვგონებ იმასაც ვერ გეტყვიან, თუ საითკენ მიდის სენა. ყველანი მიცნობენ. სტუმართმოყვარე ღიმილით შემეგებებიან: „მუსიო!“...

განსაკუთრებით ერთ მოხუც ბუკინისტს შევეჩვიე. ეს გახლავთ მუსიო შარტრიე, 85 წლის მოხუცი. საოცარი პატრიარქალური ტიპი, სენის ნაპირას — საუკუნოების ნიაღვარისგან გადარჩენილი. განსაკუთრებით მისი ფიგურა არ ეგუება სენის გარემოს. მას გრძელი, თეთრი წვერი აქვს (სამეგრელოში მინახავს ამ სახის მოხუცი, ალბათ ამიტომ მახარებს მასთან შეხვედრა). მუსიო შარტრიე, ნაზი, ტკბილი პარიზული კილოთი ლაპარაკობს. უაღრესად რბილი, თავაზიანი ბუნება და ფრიად კეთილშობილური აღნაგობა აქვს. ნამდვილი დარბაისელი მოხუცია, საქართველოში, ან აღმოსავლეთში რომ შეგხვდებათ ალაგ-ალაგ. ენაც არქაული აქვს მუსიო შარტრიეს. იგი თანამედროვე ფრანგივით პარდონს არ ამბობს. არამედ: — „პარდი!“

დიდი ხნის მეგობრები ვართ. რამდენი პატარა, ძველი წიგნი მაქვს მისი ნაჩუქარი. „ეს თქვენთვის არაფერი ღირება, მუსიო კონსტანტენ“, მეტყვის იგი, ისე მოწიწებით აიღებს თავის თაროდან წიგნს, თითქოს მღვდელმსახურებას ასრულებდეს. მას დაშვენდებოდა პატრიარქის კვერთხი და გრძელი ოლარი... ან რომელიმე პატარა რესპუბლიკის თავკაცობა. მუსიო შარტრიეს ბევრი დარდი გაუმჟღავნებია ჩემთვის. სამი შვილი დაეღუპა მსოფლიო ომში. უფროსი ბელფორთან, შუათანა მობეჟთან და უმცროსი... ყველაზე უფრო მეც ის უმცროსი მწვავს გულს. მუსიო შარტრიემ იცის ჩემი „ერთად ერთი ნაკლი“. გერმანელები რომ არ მძულს. ამიტომაც ნიშნისმოგებით მეუბნება:

„აი თქვენს გერმანელებს ცეპელინ „L. 4.“. რომ წავართვით, იმის პილოტი იყო ჩემი ანრი... ცეპელინი საშინელი ციკლონის ზონაში მოხვდა. ქარიშხალმა გაიტაცა აპარატი. ცეპელინი უკვალოდ დაიკარგა. ომი გათავდა. მაინც ველოდი:

სადაცაა გაიღება კარი. ჩემი ანრი შემოვა მეთქი, მაგრამ... ერთი თვის წინათ გაზეთ „ტანი“ იტყობინებოდა: ადრიატიკის ზღვაში იპოვეს ბოთლი, რომელშიაც პატარა წარწერა აღმოჩნდა: „ბენზინი შემოგვაკლდა. ქარიშხალი მიგვაქროლებს. სალამი ყველას. გაუმარჯოს საფრანგეთს. ცეპელინ L. 4“. „ასეა ბედი“. მიამბობს თვალცრემლიანი მოხუცი. „მე ახლა უნდა ვისვენებდე ამის მაგივრად, ხომ ხედავთ, ამ თვალდა·ცის ქვეშ ვდგავარ მთელი დღეებ... ზამთარ-ზაფხულ... ლუკმა პურისთვის“...

მუსიე შარტრიე ერთად-ერთი ბუკინისტია (სენის ბუკინისტებს შორის), რომელმაც იცის, — მე ქართველი ვარ. მართალია, მას ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, როგორც ევროპის გარეშე მდებარე ქვეყნების (როგორც ყველა ევროპელს), ისე საქართველოს შესახებ, მაგრამ, ჩვენი დამეგობრების შემდეგ ძველ ლექსიკონებში და წიგნებში ამოუკითხავს ქართველების დიდი რაინდი და ლამაზი ხალხიაო.

იმ დღეს მუსიე შარტრიე ჟღალმაგბარწყინვებული შემეგება.

„ორი კვირაა, რაც გიცდით, მუსიე კონსტანტენ! თქვენთვის შენახული მქონდა ერთი წიგნი ქართველი ავანტიურისტის რუსტომის შესახებ.

„ვინ რუსტომი, მუსიე შარტრიე?“

„ვინმე ქართველი გლეხი, სახელად რუსტომი (გვარი არ მახსოვს). იგი ბავშვობაში გაუყიდიათ სტამბოლში. წამოზრდილა, მამელუქების ჯარში ჩაწერილა. ეგვიპტეში ტყვედ ჩავარდნია ნაპოლეონს. მერმე იბრძოდა ისევ მამელუკების წინააღმდეგ. ბონაპარტემ იგი პარიზში ჩამოიყვანა. დიდხანს ყოფილა ტაულერის ყარაულის უფროსად. ნაპოლეონი მას ნდობა და დავუზე უფრო ენდობოდა. ბოლოს შარლერუას ბრძოლაში მოჰკლეს. ნაპოლეონმა ძეგლი აუგო შემდეგი წარწერით: „აქ ასვენია მისი ღვთისა, რუსტომი. დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი. ქართველი — საქართველოდან“.

მუსიე შარტრიეს ეს წიგნი გაუყიდია, რაკი მე აღარ გამოვჩნდი, მაგრამ ამ ამბავმა უფრო მეტი დამახარჯვინა. ორი კვირის შემდეგ შარლერუას წავედი. ერთ პატარა, კათოლიკურ ეკლესიის გალავანში ძლივს მივაგენი როსტომის საფ-

ლავს. თეთრი ყვავილების გვირგვინით შევამკე მისი სამარე.

„თავგამეტებულ ქართველ რაინდს, თავმოძულებულ ქართველ პოეტისაგან“ — ასე ეწერა იმ ლენტზე, რომელიც თან ახლდა ჩემს პატარა მოსაკითხს. ეჰ, მუსიო შარტრიე, თქვენი შვილი ჩვენ როსტომზე ბედნიერი ყოფილა, მან თავის საფრანგეთისთვის გასწირა თავი.

მდუმარედ ჩამომართვა ხელი მუსიო შარტრიემ. ძლიერ ნაღვლიანი იყო ის დღე, და მეც აღვნიშნე იგი სენის გადაღმა ხეტიალით.

პარიზში ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს, თითქოს დედამიწას ჭიპზე ვკოცნიდე.

სად უნდა იყოს იგი? მე ვამტკიცებ: დიდი ოპერის მოედანზე. ყოველ 12 საათზე აქ ადამიანებისა და ავტომობილების მოძრაობა ზენიტს აღწევს.

დედამიწის ჭიპიო. ჰმ!

აქედან გზებია ყოველი მხრით. გზა მოკლე. გზა გრძელი. გზა გაუთავებელი. სამყაროს უმთავრესს ელემენტებს ერთიც უნდა მიემატოს: გზა.

გზა ყველაფერია. და ყველა გზები პარიზს მიდიან, ყველა პარიზზე გადის. ყველა გზა პარიზიდან მიდის. ყველა გზების ცენტრია: პარიზი.

ვისაც გზა დაუკარგავს, ვისაც სამშობლო დაუკარგავს, ყველა პარიზში მოდის.

Capitale du monde, იტყვიან.

უსამშობლოთა სამშობლო — პარიზი.

ამ დედამიწის ჭიპს უერთდებიან ათასეული კილომეტრების მანძილზე მიწაზე გართხმული ფოლადის რელსები. აქეთკენ მოისწრაფიან ოკეანის გემები, აზურებში რომ აფრიალებენ რუხ კვამლის დროშებს.

აქედან და აქეთკენ მიმოჰქრიან ცეპელინები.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. ბედით კმაყოფილი, მაინც ბედის მაძიებელი.

(არ დავმალავ. ოდნავ ავანტიურის მოყვარული).

ჩემში ძველი ლაზის სისხლია დარჩენილი, მიტომაც ვერ მერევა ზღვის ავადმყოფობა და ინგლისური სპლინი.

ვღელავ, როცა მსოფლიოს რუკას თვალს გადავავლებ (აქედან ჩემი უსაზღვრო სიყვარული გეოგრაფიულ რუკებისადმი), დაგეშილ მიმინოსავით ამიტოკდება გული შუაღამის ექსპრესის კივილზე. არც მიმავალ გემსა და ჰაეროპლანს შემიძლია გულდამშვიდებით ვუმზირო.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. მთელი დღე ვხეტიალებ სენის გადაღმა. ვგრძნობ, რაღაც გაურკვეველი ფიქრი იბრძვის ჩემში. სიარულის დროს მჩვევია მოფიქრება. ჩემს ცხოვრებაში ყოველი დიდი ნაბიჯის გადადგმა სიარულის დროს გადამიწყვეტია.

ვიტანჯები ერთ ადგილზე გაჩერებისაგან. მინდა ვიარო გულჯავრიანმა თუნდაც ბნელეთამდის. მეძახიან ამერიკის ვრცელი პრერიები. მისისიპის წყალი მინდა პეშვით დავლიო. დაკოტას ტყეებში პოტიკით დავიჭერ ბოლოჭრელ თუთიყუშებს. ფეხით გავივლი ინდიანას, იოკას, ვისკონსინს. ქერა და წითელკანიან ქალებს შევურევ ჩემს კეთილშობილ სისხლს.

აქედან (ფრთხილად, ომნიბუსმა არ გამიტანოს) გზები ოთხივ მხრით, თუ გამძლეა მგზავრის სანდალი. ტყეები, პამპასები, თუთიყუშები, ელექტრონის, მაზუთის ქალაქები მჭვარტლით და კვამლით რომ ახშობენ ფირუზის კამარას.

დიდი ხანია, რაც თუთიყუშების ჟინი მაქვს გულში (ერთი მათგანი ჩვენს სოფელში რომ მოვიყვანო, ჩვენი სოფლის ბავშვებს გავახარებ ვიცი ამ ამბით).

ჩრდილო და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი. მთელი სამყარო ჩემი სამშობლოა, ასპარეზი დაულეველი. მირიადები ვარსკვლავების, ცხოველების, მაიმუნების, ზებრების, ქალების, კაცების მილიონები. ყველა სიყვარულით და ღმერთით აღსავსეა, ყველას ჩემიანებად ჩავთვლი. ყველას ვეტყვი: ძმას და მეგობარს. მე მათ ქარხნებში ვიმუშავებ, როგორც ბოგანო, რომელმაც თავი გაიყიდა ლუკმა პურისათვის. ასეთი რამის არაოდეს შემრცხვება, ვიცი. პურს ვერ ვიშოვი? ვისაზრდოვებ თუნდ ძირტკბილათი, გავათევ ღამეებს ფარდულებში, თივის ზვინებში, ან რკინისგზების სადგურებზე, სკვერში, პარკებში.

ერთ წელს ნევ ჰორკში დავრჩები თუნდაც, მე უსამშობლო. მოხეტიალე.

ხერხის ქარხანა ხომ მიმიღებს, ან საზეინკლო. ღმერთს მოუცია ჯანმრთელობა მტკიცე ფოლადის, რკინალექია მშობლებისგან ნაანდერძევი (ამისთვის ვეტყვი დიდ მადლობას ჩემს მოხუც დედას — სამეგრელოში რომ უზის კერას, დაწოლის დროზე შემავედრებს წმინდა გიორგის, და მამას ბედშავს, სამარეში რომ წევს მარტოკა).

მერმე, პირდაპირ: იაპონია, ძველი ჩინეთი, ნაზ პორცელანის თასით დავლევ სურნელოვან ჩაის. ვეაშიყები გრძელ წამწამიან ჩინელ ქალებს, ცოტას ლაოტზეს ფოლიანტში თუ ჩავიხედავ. მზეზე გავითბობ გათოშილ სხეულს. მერმე იქიდან: ინდო-ჩინეთი და ინდოეთი (ჩემს დიდ წინაპრებს აქ სალაშქროდ უვლიათ კიდეც), მოვინახულებ მოღულთა მეფეების მარმარილოს პალატებს. ბრწყინვალე მიზგითებს, ვჭამ ნაზ ბანანებს. ვეფხვზე ვინადირებ. სპილოზე შევჯდები. ცოტა სანსკრიტი... უპანიშადებს გადმოვთარგმნი შემდეგ ქართულად. ამდენ ხანს ალბად კიდეც მოვა ჩემთან სიბერე. საქართველოსკენ იმავე გზით. როგორც ირაკლი... არა დიდების მომხვეჭელი, არამედ როგორც უსახელო, უბირი, მწირი. მოვძებნი ეზოს პაპისეულს და დავსახლდები.

მერმე? ვიქნები ფილისტერი ფილისტერთ შორის. სოფლურ ყალიონს გავაჩაღებ. წისქვილში წავალ. მეზობლის ბავშვებს მოვუყვები, რაც თავს გადამხდა. ვიცი, მიმიღებს საქართველოს მხურვალე მიწა, არ დაიშურებს ის ჩემთვისაც კალთას კურთხეულს.

დიახაც ასე! რკოც მოწყვეტილი იქ დაეცემა, სადაც ბებერი მუხა წაიქცა. ახალგაზრდა ვარ და ძლიერი, მაგრამ ამ წუთში ომნიბუსმა რომ გამიტანოს, ამბის მიმტანსაც ველარ ნახავს სოფელში დედა.

მშიშარა არ ვარ, თუმც არც ერთ ომში გამომიჩენია დიდი გმირობა. მიუხედავად ამისა, ავტომობილის გატანილი ადამიანი მაინც მეცოდება. აქ, პარიზში, როგორ უნდა გამოიჩინო კაცმა გმირობა? არ ვიცი სწორედ! გმირობას არ დავეძებ, ეს ფეხსაცმელი რომ არ მიჭერდეს.

ორი საათი დავრჩენილვარ კაფე „კლოზერი დე ლილასში". 14 სხვადასხვა გაზეთი გადამითვალიერებია. 5 ჭიქა შერი

ზრენდი... ამ გაზეთებში მხოლოდ ავტოს ხიფათებს ვათვალიერებდი... 45 კაცი გაუტანია ამ ერთ კვირაში ავტომობილს.

ეს შოფერები უნდა ჩამოახრჩოს კაცმა. მერმე თავში ქვა იხალონ ავტომობილების პატრონებმა: სიტროენმა, ფორდმა, ვალკერმა და ბენცმა. კაფეში ხმაურობა მატულობს. ჩემს ირგვლივ ქალებია: ახალგაზრდა, ლამაზი; საშუალო, მახინჯი. ნაოჭები სახეებზე, ნაოჭები კაბებზე.

ჩემს ირგვლივ ფუსფუსებს მოსაუბრე, მომღიმარე სხეული. დედაკაცის სხეული ფარშავანგივით ბოლოგანიერი და ამაყი. მე არ შემიძლია გულდამშვიდებით ვუმზირო მომღიმარე ქალს, და არსად ქალი ისე არ მაღელვებს, როგორც პარიზში. ქალი აქ ინდივიდუალურად როდია წარმოდგენილი. კონკრეტურად მომღიმარე დედაკაცების მასსა ქუჩებში, ფანჯრებში, ავტომობილებში, მიწისქვეშა მატარებლებში, კაფეებში, მუზეუმებში. უშველებელი მასსა სილამაზისა, პარფემისა, სხეულისა, ქალის სხეულის, რომელიც გეძახის, გახელებს, სულის მყუდროებას გირღვევს. როგორც საბრალო ტანტალი ვუყურებ ამ მასსას. იყავ თუნდ შაჰინ შაჰი, გაიჩინე რამდენიმე საყვარელი, თუნდ ულამაზესი მათ შორის აიყვანე ხასად, მაინც კმაყოფილი არა ხარ, რადგან ნიშნის მომგები ღიმილით ყოველი ქუჩის შესახვევთან, ტრამვაების სადგურებთან, ყველგან გვხვდება ქალების მასსა და იღიმის... ბრაზობს, ენთება, ხელდება შენი მამაკაცური ჟინი.

აჰ, იმ თვალებზე უსიტყვო დარდი გაჭენებულ ავტომობილიდან, მე-5 სართულის გაღებულ ფანჯრიდან, გზაჯვარედინზე შეხვედრილ ვაგონიდან რომ შემოგხედავს, გაგიღიმებს და გაქრება, როგორც ტყის ფერია, ამ მილიონების ზღაპრულ კირმესში. ან ის უშედეგო ალტყინება, შემთხვევით შეხვედრებისაგან რომ დაგრჩება გულში. აქ იგრძნობ ადამიანი: რა ულევია, რა უსაზღვროა ამ ქვეყნის ცდუნება! რა უმწ[illegible]ოა შვენიერზე მონადირის უძლები გული...

საცოდავი ტანტალის პატარა პეშვი!

ქალები ჩემს გვერდით, ჩემს წინ, ჩემს პირდაპირ, ჩემს უკან. მოძრავი, მრგვალი, დაპუდრული კისრები, ლოყები. თვალები: ღია, ცისფერი, მიხაკისფერი, ლურჯი, რჩხია, სათის თვალები. აქ ვხედავ იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ბალ-

კანეთის მზის ბრწყინვალებას და ნისლიან აისებს, ინგლისისა და შოტლანდიის ზღვების ფირუზნარევ კრიალს ქალების თვალებში ქალები ჩემს ირგვლივ კაფეში...

მე ისე მიყვარს ამ უცხო, უცნობი თვალების შორიდან მზერაც, თითქოს ჩემი საყვარლები, ჩემი ცოლები იყვნენ ისინი — ყოველ წუთს შემეძლოს მათი მოალერსება, მათი მიკუთვნება. ისინი უფრო მომწონს, მათი მოძრაობა, მათი სიცილი უფრო მაღელვებს, ვიდრე იმათ, ვინც მათ გვერდში უსხედან. თეთრი მარმარილოს რგვალ მაგიდებს შემოსხდომიან კმაყოფილი, ღიპიანი, ოქროს ძეწკვიანი ფილისტერები, და ისე აუღელვებლად, დამშვიდებულად ესაუბრებიან, უყურებენ ამ ქალებს, თითქოს ეს ბუნებრივია, რომ ისინი მათ ეკუთვნით, დარწმუნებული, რომ ამ ქალებს მათ ვერავინ წაართმევს.

ისინი სქელ, გაშეშებულ კისრებს ვერ აბრუნებენ, არც კი იციან... მე უცხოელი მოხეტიალე პოეტი ამ ქალებს შევსცქერი, თითქოს ჩემი ჰარემის მხევლები იყვნენ. არც კი იციან, რომ მე ისინი უფრო მიყვარს, ვიდრე ამ ფილისტერებს, ამ ღიპიანებს, ამ ბურჟუებს.

კაფეს საათმა სამჯერ დაჰკრა. „გარსონ, ანგარიში!" გაპარსული ლაქია მიახლოვდება. იგი უაზროდ იღრიჭება. არც ვიცი რატომ.

„2 ფრანკი, 33 სანტიმი".

ჩემს ბიუჯეტს ეს მძიმედ დააწვება. უნდა გამოვტყდე: მე ძლიერ ხშირად მავიწყდება, რომ აზნაური აღარ ვარ.

ამ კაცს დაჭიებული კბილები ჰქონია. მე ეს გულს მირევს. წავიდე აქედან.

ქუჩაში გამოვდივარ.

ნისლი თავს დასხმია ქალაქს. მთელი ქუჩები ნისლით დაგუბებულა. იხრჩობა ქალაქი ნისლის წარღვნაში. ნისლი სდგას კარებთან, ნისლი კედლებთან ატუზულა და კანკალებს. მაღაზიების, ბინების, ვაგონების ფანჯრებიდან ბუნდოვანი სხივის შლეიფები. ავტომობილების გაღვივებული ფანრები ისე ანათებენ, როგორც ავაზაკის ამღვრეული თვალები. ურიცხვი, უთვალავი ავტომობილების, ომნიბუსების, ბისიკლეტების, ტრამვაების ფანრები მიმოქრიან ქუჩებში.

ზღაპრული კარნავალია ამ სიბნელეში. ირმის ნახტომის

მანძილზე ადამიანების სახეებს ვეღარ ვამჩნევ. ირგვლივ ლანდებია: საგნების, სახლების, ვაგონების, აფიშების, ბოძების, ბნელი კონტურები. გარშემო ლანდები დალასლასებენ. ღმუილით, ღრუტუნით, ხროტინით, წივილით, უქმურივით დაქრიან ავტომობილები.

ადამიანებს სახე აღარ უჩანთ. მათ ტანისამოსს ფერი დაუკარგავს. თალხი ლანდები დალასლასებენ ნისლში ჩაძირულ ქალაქის ქუჩებში. სულ ორიოდე საათის წინ ელავდნენ, ბრწყინავდნენ ავტომობილების, ვიტრინების შუშები, ქალების ლაკიანი ფეხსაცმელები. ახლა ყველგან ნისლია. აღარ სჩანს პროსპექტებზე და ქუჩებზე მოსეირნე ქალების, ელეგანტური კავალრების ბეწვეულის, ბრილიანტების, ტუფლების კრიალი, უთვალავი ქალების კოკეტური შემოხედვა და ღიმილი, მოძრაობენ მხოლოდ გროტესქული სილუეტები და პროფილები. მოულოდნელმა გლოვამ მოიცვა ქუჩა.

ზაფხული მომკვდარა, დათალხული ეტლების, ტრამვაების ქარავანი უკლებს ნაბიჯს, კლებულობს მოძრაობა, მატულობს ხმაურობა — სიგნალების, ფეხის ხმის.

ზაფხული მომკვდარა, და ეს უშველებელი, ადამიანების ლანდების პროცესსია თავჩაქინდრული მიჰყვება უკან ამ საარაკო ყეენობას.

პარკების, სკვერების გვერდით მივდივარ თავჩაქინდრული ვიხედები წაბლებისა და აკაციების ალეებისაკენ, ჯერ კიდევ ამ დილით საფირონის ღიმილით რომ მაცილებდნენ ომნიბუსში მჯდარს. ხეებს უმწეოთ გაუშვერიათ შტოები ცისკენ, კენწეროები ძირს დაუხრიათ, გულამომჯდარი ბუტბუტებენ საშემოდგომო რექვიემს, და სცვივა ნისლში პარკების ფარდულებზე ზღუდეებზე და ბილიკებზე ფოთლები უმწეო და ფერდაკარგული.

გზაჯვარედინზე შევდექი. ვუცდი, ვიდრემდის ავტომობილების ერთი წყება ჩაივლიდეს და გზას გავიკვლევდე. და ვფიქრობ ჩემთვის: ნისლი ამდგარა ყინულოვან ოკეანიდან ნისლი ამდგარა ზღვების ფსკერებიდან და ამბოხებულა.

ჩრდილოეთიდან მოსულა ქურდულად, ფეხაკრეფით ზამთრის სუნთქვა და ჩემი გული იკუმშება ვარამისაგან. ახლა, ამ

წუთში ალაზანზე შეფენილ ვენახებში გალვივებული მტევნები თბებიან მზეზე.

ოდიშის ჭალებში სიმინდს მოსჭრიდნენ და ჩალის გამხმარ ღეროებს გიგანტური ორკესტრივით აზუზუნებს, აკვნესებს ქარი.

მე რაღად მინდა ვიყიალო ამ ქვეყანაზე, თუ ჩემ სულს გათოშავს ჩრდილოეთის ნისლი, საქართველოში კი ბევრია მზე და ცის ნაჭერი სმარაგდისფერი.

მე ესეც მეყოფა!

ძლივს მივაღწიე ჩემ ჰოტელამდის. დარაბებს ვხურავ. ახლავე მინდა დავიძინო, რადგან არ შემიძლია ფანჯრებში გახედვა. მსახურმა ახალი ფოსტა შემომიტანა. სპარსეთის კონსული ალი მირზა-ხანის სადარბაზო ბარათია... კონსული და მისი მეუღლე მთხოვენ ვახშამზე ვეწვიო...

აჰ, მეზარება, ისევ ქუჩაში გასვლა!

## 3. „დიონისოს მეორედმოსვლა“

„... მე მიჯნურობისაგან ამეხადა საფარველი, სულისაგან ცნობა წამივიდა. მაშინ ერთსა დღესა ადგა ანაზდეულად ქარი და მაჩვენა ქაჯისაგან უტურფესი პირი... ეს იყო ფათერაკი“.

როცა მაჰმადიანებთან დაახლოება მიხდება, ყოველთვის რაღაც ზადი მრჩება გულში. მრცხვენია კიდევაც, მეგობრული ტონით ველაპარაკო იმათ, ვისი წინაპრებიც ჩვენი მოსისხარი მტრები ყოფილან ოდესღაც. რაც გნებავთ დაარქვით ამ გრძნობას: შეზღუდულობა, ატავიზმი. ჩემში ყველაფერზე ხმამაღლა სისხლი მეტყველებს.

ჰმ, სისხლში დიდი მისტერიაა. სისხლი ამოძრავებს მსოფლიოს მაჯისცემას. სისხლი აკავშირებს, სისხლი სთიშავს. მიუხედავად ამისა, მუსლიმანებში მე შემჩნეული მაქვს დიდი სინაზე. ძველი კულტურის სიჭარბე. მერმე, უცხოეთში ამ სისხლის ხმა ნელდება ოდნავ. ასე ვფიქრობდი იმ წუთშიაც, როცა სენტ-ჰონორეს ქუჩაზე — სპარსეთის კონსულის ბინის ელექტრონის ზარას ხელი დავაჭირე.

ალი მირზა-ხანის სალონი ცენტრალური პუნქტია ყველა

ით ევროპელებისა, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ აღმოსავლეთთან. მის ოჯახში ხშირად ნამდვილი აღმოსავლეთის ქაოსია მინიატიურაში წარმოდგენილი. ვერც ერთ ევროპულ სალონში ვერ ნახავთ სხვადასხვა პროფესიის, ეროვნების, გემოვნების, აზროვნების ადამიანების აღრევას, ევროპულ ცხოვრებაში უკვე მომხდარია კრისტალიზაცია, საზოგადოება კასტებადაა დაყოფილი.

ხელგაშლილი აღმოსავლური პურ-მარილი, სადა, წრფელი მიღება.

პარიზის ჯადოსნური ძალა! დედამიწის ზურგზე თუ არის ისეთი ქალაქი, როგორც პარიზი, რომელიც ამდენ ბალასტს იღებდეს მილიონ უცხოელის პირისა და ხელისაგან, მაგრამ მაინც ნაციონალური პარიზული სული ყველას ინელებს.

მართლაც: გოლუას მამლის კუჭი ძლიერ მაგარი ყოფილა!..

ყოველი უცხოელი, პარიზელი ბრუნდება პარიზიდან.

ალი მირზა-ხან პარიზშია სულ ოციოდე წელი, თვით კონსერვატიულ, პატრიარქალურ აღმოსავლეთის ნაშიერს მორევია ის სენი, რომელსაც პარიზულ სულს ეძახიან. მის ოჯახში ავეჯის მეტი არაფერია სპარსული. სპარსელობა მაღალი ფირმაა, რომელიც მეტ ინტერესს აძლევს მის სალონს. უკანასკნელ ხანებში ევროპაში კარგი ტონის ნიშანია აღმოსავლეთზე ლაპარაკი, ამიტომაც ეტანებიან მირზა-ხანის სალონს პარიზელი. პოეტები, მხატვრები, სალონის დამები, ჟურნალისტები, ბირჟის მაკლერები, მეთამბაქოები, ექზოტიკის მოყვარულნი, ხოლო ასეთნი პარიზში აროდეს გამოილევა...

მისაღები სალონის კარებთან სახეში შემომანათა ჯენეტ ხანუმის სადაფივით თეთრი კბილების ელვარებამ. სადარბაზო ისე გავიარეთ, მე ვერც კი მოვახერხე ბოდიში მეთქვა დიასახლისისათვის, რომ ამდენ ხანს არ მოვინახულე.

მე ვფიქრობ: ჯენეტ-ხანუმი ოდნავ გამოცვლილა. მის სახეს რაღაც იდუმალი დარდის იერი გადაჰკვრია. თვალების ჩრდილები გაღრმავებია, თუმცა ეს მომეტებულ სინაზეს აძლევს მის ფართე, უმოძრაო, მელანქოლიურ თვალებს.

წინა ოთახში უნაბისფერ კედლებზე ალეგორიული არაბესკებია, ათას ერთი ღამიდან აღებული მოტივებით. პირველი ზალის კედლებზე იტალიური ლანდშაფტები, ვერონის, ვენე-



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის მხარეები. ვრცელი მინდვრები თავქოლგიანი პინიების ჩრდილებით. მიგა-დმოგ ძველი ციხეები, სასახლეები. ნანგრევები. თეთრი ქვა გამოკრთის მწვანე და ცისფერ ფონზე კარების თავებზე: აზიის, აფრიკის, ევროპის სანახები, წყალვარდნილები, მინდვრები. სასტუმროში ფართე, განიერ ფანჯრებს შორის უშველებელი ვენეციური სარკეები, მოოქროვილი როკოკოს ჩარჩოებიანი. სპარსული დარბაზი განიერი ხალებით, ფარდაგებით, თექის ნოხებით მოფენილი. კედლებზე ნაირ-ნაირი ძველი ჯაჭაირები, ხმლები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები ჰკიდია. უცნობი სპარსელი მხატვრების სურათები: ლომები, რაინდები, ტანწერწეტა მწევრები, სპარსელი გრძელკაბიანი ვაჟები და ქალები, რომელიღაც შაჰინ-შაჰის ნადირობა, რომელიღაც ციხის აღება მუზარადიან შუბოსნების მიერ. სკამები, კარადები, ოტომანები, ყველგან შავი საფიანით გადაკრული მუქი მაჰაგონი და როკოკო.

სპარსულ დარბაზში, ოტომანებში, დაბალ აღმოსავლურ ტახტებზე ზოგი ევროპულის, ზოგი აღმოსავლური წესით ისხდნენ სტუმრები, ქალები და კაცები. ოსმალეთის ელჩი პარიზში იზმეტ ბეი, იტალიის საელჩოს სამხედრო ატაშე მაიორ სკორტა, მარჯვენა ძკერდზე უამრავი ორდენების ცისფერი ლენტები აქვს გამწკრივებული; შვეიცარიელი კბილის ექიმი ქალი მადმუაზელ ლორენც, ახალ მოდაზე თმაშეკრეჭილი, სანახევროდ მამაკაცურ კოსტიუმში, ნახევრად სპირიტისტი, ნახევრად სუფრაჟისტი (ფართე, წინწამოწეული ცხენის კბილები უჩანს ღიმილის დროს); დოქტორ რაიმერ, პარიზელ გერმანულ საელჩოს დრაგომანი, რომელსაც სალონში უსაშველო პოლიგლოტის სახელი აქვს გავარდნილი — იგი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ 26 ენაზე ლაპარაკობს თურმე და სტუდენტობის დუელისაგან ისე დაჩეხილი აქვს სახე, თითქოს ყოველ წელს „შაჰ-ჰუსეინ, ვაჰ-ჰუსეინში“ ღებულობდეს მონაწილეობას. დიდი პანგერმანისტი. პოლიტიკაზე იშვიათად ლაპარაკობს.

მისსის ბლუტ, ამერიკელი ქვეკერების საზოგადოების მდივანი. ფილანტროპი პაციფისტი. მუდამ დამშეულ გერმანელ ბავშვებზე ლაპარაკობს, გერმანიაში არ მიდის, რადგან ვერ გაშორებია თავის „რეზიდენციას“ — პარიზს.

„იცნობდით. მადამ ფან სტაუნ“ მიმიშვირა ჯენეტ ხანუმმა

ლურჯთვალებიან, ჰორფლიან ქალზე, რომელსაც პირველ ორ სიტყვაზე ეტყობა ჰოლანდიელი უნდა იყოს. მადამ ფან სტაუნს გრანდამის აღნაგობა აქვს (თავის ვნებიან, ფართე თვალებს შეაშტერებს მამაკაცს, ისე რომ თვალები ამხელენ მის ხვაშიადს). მის გვერდით ჩემი ნაცნობია — სქელკისრიანი, მთლად გაწითლებული, მელოტი, მსუქანი კაცი, უშველებელი სიგარი გაურჭვია პირში (მოკლე, მსხვილ თითებზე მოზრდილი ბრილიანტები აქვს), ფრანგების აღმოსავლეთ არმიის ინტენდანტი. მუსჲო ფან სტაუნს, ზედვე ეტყობა, მან შეიმატა ის აურაცხელი სისხლი, საფრანგეთმა რომ დაჰკარგა სხვადასხვა ფრონტზე.

„ესეც თქვენი კოლლეგა, ფრანგი პოეტი რაჲმონ მენჲე“, მაცნობს ღიმილით ჯენეტი საშუალო ტანის გრძელ კულულებიან მამაკაცს, ნაპოლეონ მესამისებური წვერით. იგი ნაცრისფერ კოსტჲუმში თეთრი ყორანივით მოსჩანს ამ ფრაკიან საზოგადოებაში. ჯენეტ ხანუმი ამბობს: იგი ერთგვარი „ლიცენცია პოეტიკით“ სარგებლობს, თურმე, უფრაკოდ რომ დადის მის სალონში. მენჲე სახით საოცრად მაგონებს ალფრედ დე მჲუსეს. მის გვერდით ებრაელი ჟურნალისტი დოქტორ როშერ. რადიკალურად მოაზროვნე. რატომღაც პაციფისტს ეძახის თავს, თანაგრძნობით იხსენიებს რუს კომუნისტებს.

მაჰაგონის რგვალ მაგიდას უსხედან და საიდუმლო გამომეტყველებით ხმადაბლა საუბრობენ: კონსული ალი მირზახან, ხანში შესული, ოქროს სათვალებიანი. ანგორელი კაპიტანი იზმეტ ბეჲ, ბრგე, წარმოსადეგი ვაჟკაცი (ქართველს წააგავს ოდნავ); ბებერი, თეთრ ჩალმიანი სპარსელი შერიტ ყული ხან, მშვიდი, სათნო სახისა, ცოტას ლაპარაკობს, შაქარბაგიანი მოუბარი. ლაპარაკის დროს ისე ნაბავს თვალებს, თითქოს ომარ ჰაჲამს კითხულობდეს. ხშირად ხელს ისვამს გრძელ, თეთრ წვერზე. მან აღმოსავლური სალამი მომცა. მეც ყველაზე მეტის თანაგრძნობით მას მივესალმე. თამბაქოს მოსაწევ სალონიდან შემოვიდა მხარბეჭიანი, ლამაზი ვაჟი, ძლიერ მოთენთილი სახისა, ჩერქეზი — ხალილ ბეჲ, ინგლისურად შეკნაჭული პატარა, შავი ულვაშები აქვს. მისაღებ ოთახიდან კიდევ შემოვიდნენ სტუმრები: ყველაზე წინ კაპიტან დოაზან თავის ცოლით და დებით, კაპიტანი ელვის სისწრაფით მიიჭრა

დიასახლისთან და ხელზე ემთხვია. დამებს შემოჰყვნენ: პარიზელი ბირჟის მაკლერი შენძე (მას სულ მთლად ოქროს კბილები აქვს), ელზასელი ინჟენერი დრეერი. მუსიო ვილარ, თამბაქოს ქარხნის დირექტორი სამსონში, თავის ქვიჯასავით დაბალი, მუხლუხასავით დამრგვალებულ მეუღლით, რომლის ბრილიანტები თითებსა და მკერდზე გასაოცრად კაშკაშებენ ელექტროს შუქზე. მადამ ვილარს მოსდევდა წინდახედული ნაბიჯით ალჟირელი მონებით მოვაჭრე მუსიო დეჟარდინძე. დეჟარდინძეს თან ახლავს თავისი ტანმორჩილი ცოლი, როკოკოს დროის ტიპიური სახისა, გრძელი, შავსაყურეებიანი. მას ანგელოზივით სათნო გამომეტყველება აქვს... როცა მადამ დეჟარდინძე სავარძლიდან წამომდგარ დიასახლისთან მივიდა, იგი ერთბაშად დაიჩრდილა ჯენეტის სიახლოვით. მე თვალი მოვკარი მის შვენიერ თეთრ მხრებს.

ახალმოსულთა შორის ერია რამოდენიმე ტანმორჩილი ფრანგის ქალი, ზოგს: პალმა ვეკხიოსებური ვნებიანი თვალები ჰქონდა, რგვალი ნიკაპები, რგვალი, დასრულებული, თეთრი სახსრები, შვენიერი, გრძელი თითები, სხვანიც ეშხიანი, მწველი შავთვალებიანები, რომელთა ბადალს იტალიაში ან სამეგრელოში თუ შეეყრებით. ერთიც მაღალი, ლურჯთვალებიანი შოტლანდიელი ქალი, მე მას ამ სალონში წინადაც შევხვედრივარ (სახელი არ მახსოვს), ისევე ახოვანი მისი და ორივე ადრიანის რომის ქალებზის ტიპია, მთლად ხორცი, მთლად ვნება, ჩალისფერი მდიდარი თმა რძისფერ სხეულზე. მათ შორის ყურადღებას იქცევს უფრო ძველი სისხლი: ფართე თვალები, ცხელი, ვნებიანი აღმოსავლეთი სუნთქავს მათი შინდისფრად შეღებილ ტუჩებიდან. ეს პარიზელი ებრაელი ქალები უნდა იყვნენ, მათ ემარჯვებათ პარიზული შიკის გამოჩენა, აღმოსავლური ვნების გრძელ წამწამების ჩრდილქვეშ მიჩქმალვა. ზედვე ეტყობათ: მათ გაზაფხულს გადაუვლია, მაგრამ პარიზის ოსტატური კოსმეტიკა იკავებს მათ სახეებზე პირველი ვნების მდუღარებას, პირველი გაფურჩქვნის კდემამოსილებას ვინც ქალის სილამაზეს ისევე შეჰყურებს, როგორც ხელოვნურ ნაწარმოებს, იგი ადვილად გაარჩევს მათ სილამაზეში ძველ ტილოს და ახალ ფერადებს.

სალონის ერთ კუთხეში ორი ქალი ლაპარაკობს ვიღაც

ფრანგ არისტოკრატის ცოლზე, რომელიც ეჭვიანობის მომიზეზებით დაუზრია საკუთარ შოფერს, სუდანელ ზანგს. მეორე კუთხეში როიალს მოსხდომია მაიორ სკორტა და მადამ დეჟუარდინეე, ოთხხელად-უკრავენ. ანტრაქტებში მისსის ბლუტ ხმამაღლა კითხულობს ჯან მორეას ახალ სონეტებს.

მე ფრთხილად გავიარე სავარძლებში უწესრიგოდ დამსხდარ სტუმრების რიგი, დიასახლისს მივუახლოვდი.

ჯენეტი მისაყვედურებს, რომ პარიზში დავივიწყე ჩვენი ტფილისელი კარგი ნაცნობობა.

„თუმცაღ", ამბობს ჯენეტი, „პარიზში ადამიანი გულცივი ხდებაო". ჯენეტი ძლიერ უჩივის პარიზს. იგი ჯერაც ვერ შეგუებია აქაურ, მარტივით ცვალებად ბუნებას.

„პარიზიც რომ არ იყოს, ალი მირზა-ხანი მონტე კარლოს როგორ მიატოვებს. ვერც ფარვიზი მჟავს კარგად".

„უკაცრავად ხანუმ, სად არის ფარვიზი, იგი ახლა მოზრდილი იქნება".

„ფარვიზი მეცამეტეში გადავიდა, კოლეჟშია. პარიზი მისი ჯანმრთელობისათვისაც ვერაა კარგი".

„მეშვიდე წელია ტფილისში არ ვყოფილვართ. ფარვიზს ბუნდოვანად ახსოვს ტფილისი. სულ მეკითხება, დიდედასთან როდის წამიყვანო. რამდენი მზეა იქ... ღმერთო... მომკლა ამ ნისლებმა, წვიმებმა, მოწყენილმა ცამ... ხომ ხედავთ მე როგორ გავხდი".

„განდომა გიხდებათ, ხანუმ".

„ნუთუ?" მეკითხება იგი კოკეტურად. თვალები ძირს დაჰხარა.

მსახური შემოვიდა, რაღაც წასჩურჩულა დიასახლისს. მარტო დარჩენა ვერ მოვასწარი, მომპარავი სიარულით მიახლოვდება დოქტორ როშერი. რატომღაც ფრიად ფამილარული ტონით იწყებს. საუბარს (თანაც ცალ ხელს მხარზე მადებს).

„წაიკითხეთ „ტანში" კრასინის მორიგი გამარჯვება? „ერესეფესერს" მალე მთელი ევროპა იცნობს.

**Je Vous assure, je Vous assure**"*.

მე უკან ვიხევ, თავს ვითავისუფლებ მისი ხელისაგან. გა-

---

* მე თქვენ გარწმუნებთ.

ჩუმებული თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად რომერი ტყვიამფრქვევსავით მაყრის სიტყვებს, ფრაზებს. იგი მელაპარაკება ლლოიდ ჯორჯის და კერზონის პოლიტიკაზე (თანაც უკანასკნელს ინგლისური აქცენტით გამოსთქვამს: „ქოერზნ“). „ეს პოლიტიკა აბსოლუტურად გაკოტრდა... მალე საფრანგეთსაც მემარცხენე ბლოკი ჩაიგდებს ხელში.

„ბურჟუაზია დალუპავს ევროპის დიდ კულტურას... შეუძლებელია ძველ ფუნდამენტზე შეიმაგროს მან თავი, უკანასკნელ ომის შემდეგ. რაც შეეხება იტალიას და ესპანიას, „მონ შერ ამი“, თქვენ უკეთ იცით, ეს ორი მხარე აღმოსავლეთია, პირ-წმიდა აღმოსავლეთი, იქ მუდამ ტირანია ყოფილა და იქნება.

„მუსოლინი ვერ მისცემს ევროპას ახალ პოლიტიკურ რელიგიას, რადგან იტალია ყველაზე ჩამორჩენილი მხარეა ევროპაში. ნაპოლეონი? იგი იტალიაში პატარა კაპორალი დარჩებოდა. საფრანგეთის მაღალ პიედესტალზე გამოჩნდა ბონოპარტე“. ჩვენს საუბარს პოეტი მენდე შემოუერთდა. იგი აპოლიტიკოსობს, მაგრამ ცალი ფეხი პოლიტიკაში აქვს. მენდე თავის თავს ორიენტალისტს ეძახის, თუმცა არც ერთი აღმოსავლური ენა არ იცის, ომარ ჰაიამს და ფირდოუსს როგორღაც მაინც სთარგმნის. სამაგიეროდ „აღმოსავლეთის მეგობართა საზოგადოების“ წევრია და „ჟურნალ აზიატიკის“ მუდმივი თანამშრომელი. მენდე უარყოფს ევროპაში ყველაფერს, გარდა ფრანგული რომანტიზმისა, თაყვანს სცემს ინდოეთს და სპარსეთს.

„საქმე ჩამორჩენაზედაც არ არის“, ჩაერია მენდე ჩვენს საუბარში. „განა უვიცმა, ბინძურმა, ჩამორჩენილმა ურიასტანმა არ მისცა ქვეყანას ახალი რელიგია? ბოლოს და ბოლოს სხივი ისევ აღმოსავლეთიდან უნდა მოვიდეს. მთელი მსოფლიო ისტორია დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთსშორის ბრძოლა იყო. ყოველ საუკუნეში აღმოსავლეთიდან სესხულობდა იდეებს დასავლეთი. ევროპული კრიზისიც მაშინ გადაწყდება, როცა რაციონალური ევროპის ინტელექტუალური ცხოვრება გრძნობა-მოჭარბებულ აღმოსავლეთის იდეებით გაძახალისდება“.

„სინთეტიური ხაზის მოძებნაა საჭირო სენსორულ აღმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთსა და მოტორულ დასავლეთს შორის." — შენიშნა დოქტორ რაძმერმა.

„სიმპტომები?" — იკითხა დოქტორ როშერმა.

„დღეს ევროპაში ისეთივე მომენტია, როგორიც ევროპული რომანტიზმის კვირაძალში. პირველად მაშინ „აღმოაჩინეს" აღმოსავლეთი. დააკვირდით: მთელს ევროპაში განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ ბუდდას, ვედებს, უპანიშადებს. არც რენესანსი იქნებოდა ევროპაში, არაბების ზედგავლენა რომ არ ყოფილიყო. თანამედროვე პოეზიაც აქეთკენ მიდის. პოეზია წინ მიუძღვის ისტორიულ პროცესსებს".

ჩვენი საუბარი თანამედროვე პოეზიას გადასწვდა.

„ის, რაც დღეს ჩვენს ხელოვნებაში ხდება, გაუგონარი რამეა, განაგრძო მენძემ, სიტყვა გლადიატორივით კვდება სცენაზე. პოეზიაში სიტყვა რითმების აკრობატობამ დაჩრდილა".

„მიზეზი?"

„კაპიტალიზმის კარუსელმა მოკლა ადამიანის პიროვნება. სადაც პიროვნული განცდა და გმირული გრძნობა არ არის, იქ სიტყვა ფუღუროა. ყველაფერი სისულელეა პიროვნული განცდის გარეშე".

„მაგრამ ეროსი თვით სიტყვაშია მოცემული", შევნიშნე მე.

„წინააღმდეგ, სინამდვილის ეროტიკამ წარმოშვა სიტყვა"

„...მაგრამ იოჰანეს გამოცხადება... პირველითგანვე იყო სიტყვა?"

„ბურჟუაზიამ შეჰქმნა ევროპული კრიზისი, ჩაერია ისევ დოქტორ როშერი, ამიტომაცაა ეს საოცარი მკვდრის სუნი ევროპულ თეატრსა, პოეზიასა და მთელს ხელოვნებაში. Something is roten in the state of Danmark".

მომღიმარე ჯენეტი შემოგვიერთდა.

„რისთვის ცხარობთ, ახალგაზრდებო? დოქტორ როშერი მუდამ პოლიტიკაზე ლაპარაკობს. არ მოგწყინდათ ეს პოლიტიკა? მე უკეთესს გეტყვით, ინგლისური ცხენი ჰექტორი ამერიკაში დაუმარცხებიათ. წაიკითხეთ „პარი სუარში", ამბობს ჯენეტი. ეს ამბავი მთელ სალონს მოედო. სტუმრებში პანიკა გამოიწვია.

მაიორ სკორტა გველნაკბენივით წამოიჭრა:

„რას ამბობთ. მართლა?"

მუსჲო ფან სტაუნსაც არ დაეზარა ადგომა, დიასახლისთან მიიჭრა. სერიოზული გამომეტყველებით შეაჩერდა და მხოლოდ ამის თქმა მოასწრო:

„C'est dommage"*

„ჩემს ფარვიზსაც ძლიერ დააინტერესებს ეს ამბავი". მითხრა ჯენეტმა ხმამაღლა, „იგი პირდაპირ შეშლილია სპორტზე. მუდამ დოლზე რომ ამყოფო, არ მოსწყინდება. ამას წინად ჩვენ შოფერს გაჰყოლოდა, გაცივდა".

„ქართულ-სპარსული სისხლია, ხანუმ. გარდა ამისა, ისეთი თაობა მოდის, სპორტის მეტი არაფერი აინტერესებს".

ჯენეტ ხანუმმა ბოდიში მოიხადა. სალონის კუთხეში შეჯგუფულ სტუმრებს მიუახლოვდა. აქ მთელი წრე უსმენდა მისსის ბლუტს. იგი ლაპარაკის დროს ვაჟივით ხელს ისვამს თავზე, შუბლზე ჩამოვარდნილ კულულებს ისწორებს.

„ეს სიმპტომატიურია კეპტენ! ჰექტორის დამარცხება ამერიკის გამარჯვებაა. ჰექტორი მთელი ევროპის ჩემპიონი იყო. თქვენ ნახავთ, ევროპა მალე ისეთივე სიძველეთა მუზეუმი იქნება, როგორც რომი და ჰელლა", ამბობს მისსის ბლუტ.

კაპიტან დოაზანი არ ისვენებდა, პირი ჯენეტის ყურთან მიჰქონდა და რაღაც საიდუმლო გამომეტყველებით ესაუბრებოდა.

„კი მაგრამ... ეუბნება მისსის ბლუტს პოეტი მენჲე, ეს ყველაფერი ცივილიზაციაა... კულტურა? სული?"

„იცით, მისტერ მენჲე, ამერიკას ერთიც აქვს და მეორეც, მხოლოდ დანახვა უნდა მათ. განა ბრუკლინის ხიდი, უელსტრიტის 60 სართულიანი სახლები კულტურა არ არის? განა ამერიკის ფენომენალურ ტექნიკაში, ინდუსტრიაში სული არ არის?"

„გარდა ამისა, მისსის, იკითხა კაპიტან დოაზანმა, ამერიკა ხომ ერთი ნაცია არ არის? ეს აკლია ამერიკას, რომ ერთი კულტურა, ერთი სული ექნეს".

„არც ეგაა სწორი".

„ომის შემდეგ ჩრდილო ამერიკაში სრულიად გარკვეული ამერიკანიზაციის ტენდენცია ტარდება".

---

* სამწუხაროა.

„მართალია“, დაემოწმა დოქტორ რაჲმერ. „უკანასკნელ წლებში საშინელის სიჩქარით ხდება იმ ოცი მილიონი გერმანელის ამერიკანიზაცია, რომელნიც ოკეანეს გადაღმა არიან გადახიზნულნი“.

„ეჰ, გერმანელებს ნაციონალური გამძლეობა არ აქვთ, მათ აკლიათ ერთგვარი შეუვალობა უცხო კულტურის მიმართ. თუ ეს შეუვალობა არა აქვს ერს, ის ადვილად გაითქვიფება“. შენიშნა იტალიელმა მაიორმა.

„თქვენ გგონიათ“? ჩაილაპარაკა დოქტორ რაჲმერმა და ისედაც დაჩეხილი სახე მთლად დაემანჭა.

„როგორც ვხედავ, ამერიკა ყველას მოინელებს, ევროპასაც და იაპონიასაც. ათიოდე წლის შემდეგ იქნება ერთი ძლიერი ამერიკის ნაცია“. ამბობს მოკრძალებული ტონით ჩალმიანი სპარსელი შერიტ ხანი.

მახლობელ დარბაზიდან სიმებიანი ორკესტრის ხმა ისმის. იქ უკვე უენსტეპი გაეჩაღებინათ. ამ დარბაზში დარჩნენ მხოლოდ შერიტ ხან, იზმეტ ბეჲ, მირზა-ხან და ორიოდე გვიან მოსული ხნიერი დამა. უკვე ცეკვისაგან ლოყები შეწითლებოდათ: მადამ ფან სტაუნს, შოტლანდიელ მისს და მის დას. მისსის ბლუტ ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს უენსტეპშიაც. ტანმორჩილი პარიზელი ებრაელი ქალები ფაშატებივით ხტოდნენ. მადამ დოაზან — ინჟენერ დრეერთან, მადამ დექარდინჲე — მაჲორ სკორტასთან; ახმახი კავალერი აღელვებული შეჰყურებდა კოპწია მადამ დექარდინჲეს სათნო, ანგელოზისებურ სახეს, ჯენეტი კაპიტან დოაზანთან ცეკვავდა, როკავდა ჯენეტის ტანი — ქარისაგან ატოკებული ნაძვი ურთხელებს შორის. მუსჲო ფან სტაუნ თავის მოკლე, მსხვილ ფეხებს ერთ ადგილზე აბაკუნებდა (შარვლის ღილები შეხსნილი ჰქონდა!) და ქადაგად დავარდნილივით შესცქეროდა თავის ახოვან დამას, შოტლანდიელ მისს, რომლის მინანქარივით თეთრ ლოყაზე შინდისფერი ალმური კრთოდა.

„რა შეუფერებელი წყვილია!“ წამჩურჩულა ღიმილით ჩერქეზმა ხალილ ბეჲმ, რომელიც ჩემს გვერდით აღმოჩნდა შემთხვევით...

„იცით, როცა მამაკაცს ცეკვა ემარჯვება, გონება ჩლუნგი

აქვს“, ვეუბნები ირონიით ხალილ ბეის; ფან სტაუნის დათვურ მანერებსა და მიხვრამოხვრას ვაკვირდებით.

„ეჰ, ეს უდროობის კაცია, თორემ არც გონება აქვს მაინცდამაინც ზედმეტად ბრწყინვალე. მუსიო ფან სტაუნი ომამდის დასტორგის ქუჩის კუთხეში ბანანებს ყიდდა. ახლა პარიზის ბირჟის ლომია. შარშან დავდიოდი მათსას. ბ. ფან სტაუნის პორტრეტს ვხატავდი. ხომ იცით, ხელოვანიც ხშირად ლუკმა პურის მონაა. რა გგონიათ, პარიზელი მხატვრების დიდი უმრავლესობა უგვანო პლაკატებს ხატავს“.

„პოეტებიო?“

„არც პოეტია უკეთეს დღეში, სანამ დიდ სახელს მოიხვეჭდეს. მე ვიცნობ ერთ მაღალნიჭიერ პოეტს, ბირჟის სტენოგრამებს სწერს. ომმა ახალი ტიპის ბურჟუაზია შექმნა. ამ თაობას აღარა აქვს ძველი ბურჟუაზიის განათლება და გემოვნება. ყასბები გამდიდრდნენ, მათ არაფერი ესმით ხელოვნებისა. ფან სტაუნისთანა ინტენდანტებისთვის იყო ეს ომი. მთელი ქვეყანა დაღარიბდა. სიმდიდრე სპეკულანტებს ჩაუვარდა ხელში. რამდენი ხელოვანი დაღუპა ამ ომმა! ახლა მაინც, ევროპაში ცხოვრება გაძვირდა. მოცალეობა აღარ არის. და, ხომ იცით, ნებიერი მოცალეობა სჭირია ხელოვანს.

„ასე ქმნიდნენ ძველი ბერძნები, ინდოელები, სპარსელები. ევროპაში დრო ისე მიგაჭენებს, დამშვიდებული ჭვრეტა შეუძლებელი ხდება. სიმდიდრე და მოცალეობაა შემოქმედების მშობელი. ორივე ფან სტაუნებს ჩაუვარდათ ხელში. მადამ ფან სტაუნმა მაჩვენა თხილის ოდენა ბრილიანტი, ვიღაც რუსი ურიისგან უყიდიათ. ეს ბრილიანტი მარია ფეოდოროვნასეული ყოფილა თურმე. რამოდენიმე სერვიზი აქვთ ძვირფასი სევრის პორცელანის, კოპენჰაგენის ჭურჭელი, მოოქროვილი ლანკანები, ბროლის ლარნაკები. ხელზე დააკვირდით მადამ ფან სტაუნს. ეს წითელი იაგუნდები ციმბირიდან ჩამოსულ სლოვაკებისგან იყიდეს პარიზში.

„ფან სტაუნების საწოლი ავსტრალიური წითელი ხისაა, კედლები ოქსინოთი და შალით გადაკრული, ბრილიანტების ერთი კოლიე აქვს მადამ ფან სტაუნს (მას დიდ ოპერაში ატარებს მხოლოდ): რომელიმე პატარა სახელმწიფოს იყიდის. ფან სტაუნის სახლში მე ვნახე აღმოსავლეთიდან მოტანილი პა-

ტიოსანი თვლები, რომელთა მსგავსი არასოდეს მინახავს. ამას წინად დღეობაზე აჩუქა ფან სტაუნმა თავის ცოლს ერთი არაბული სამკერდე, ვეშაპის თვალით, ლაჟვარდით, ცის ნატეხით, ობოლებით და საფირონებით შემკული, ძვირფასი ოქრომჭედი.

„ფან სტაუნს ახლაც საკლავი საქონელი მოჰყავს ბალკანეთიდან პარიზში. ბუქარესტში რუსეთიდან გატანილი აუარებელი სიმდიდრე იყო, ძველი სპარსული მინიატიურები, რუსული ხატები, ბეწვეული, ბრილიანტები. დიდძალი სიმდიდრე შესყიდა ბუქარესტელ კომისიონერებისაგან. ამ სპარსულ მინიატიურებზე მრჩებოდა თვალი. ფან სტაუნს რად უნდა? ხელოვნების ინჩი-ბინჩი არ ესმის.

„ხომ ხედავთ რა ხალხი გამოაჩინა ამ ომმა!

„აგერ კიდევ „ახალი კაცი", მადამ დოაზანთან რომ ცეკვავს — ელზასელი ინჟინერი დრეერი. იგი მუდამ რაღაცას იგონებს. 146 სხვადასხვა გამოგონების პატენტი აქვს მიღებული. ახლა კინემატოგრაფის რელიეფის პრინციპი გამოიგონა. მას მთელი ორგანიზაცია აქვს ასეთ „გამომგონებლებისაგან" შემდგარი".

„თქვენ რატომ არ ცეკვავთ ხალილ ბეი?"

„მე მადამ ფან სტაუნმა მთხოვა მასთან მეცეკვა. მაგრამ უქეიფოდ ვარ, მეთქი, მოვიმიზეზე".

„მერმე, რატომ? დამა არ მოგეწონათ?"

„არა. მადამ ფან სტაუნი... მძულს მაგნაირი ქალები. ხომ ხედავთ, მადამ ფან სტაუნის გვერდით რომ ცეკვავს ტანმორჩილი ფრანგის ქალი, მადმუაზელ დელა როშ, ამბობენ ისინი..."

„რაო?"

ხალილ ბეიმ ორაზროვნად გაიღიმა.

უენსტეპი შესწყდა. სტუმრები სასადილო სალონში გაიწიეს. უშველებელ სუფრაზე გაემწკრივებიათ მაღალი, წერწეტა სპარსული მინანქრით მოჩითული ლარნაკები, უამრავი ყვავილები, სპარსული ხმელი ხილი, საჭმლები.

„ეჰ, მე არ მიყვარს ეს ევროპული „ალაფურშეტ". კაქკაჰებივით დაესევიან გაშლილ სუფრას, ან რა უთავბოლოდ სვამენ.

„ჭამა-სმა და ქეიფი ქართველებმა იცით კარგი“.

ამბობს ხალილ ბეი.

ჩვენ სოლიდარობის ნიშნად ჭიქები ავაწკრიალეთ.

„ჭირივით მეზარება, როცა დედაკაცი ბევრს ყბედობს“, მეუბნება ხალილ ბეი და მანიშნებს მისსის ბლუტზე, რომელსაც ერთ კუთხეში მიუმწყვდევია კაპიტან დოაზანი და მუსიო ფონ სტაუნი. უკანასკნელი მადიანად შეექცევა ფილეს ნაჭერს, ზრდილობის გულისთვის მაინც ყურს უგდებს. კაპიტანი მალმალე სვამს ბორდოს, თანხმობის ნიშნად თავს უქნევს წარამარა, მაგრამ ეტყობა, მთქმელის მადლიანი სახე უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი ქადაგება. მისსის, ბლუტს ცალ ხელში ბუტერბროტი უკავია, ცალშიაც მაღალი, ბურგუნდის ღვინით სავსე ბაკალი. უამბობს ორთავეს, რომ მისი თაოსნობით, ამ მოკლე ხანში, პარიზში მოეწყობა რუდოლფ შტაინერის სახელობის თეოსოფიური საზოგადოება.

„თვით რუდოლფ შტაინერიც ჩამოვა პარიზში“.

„შტაინერს ლამაზი თვალები აქვს, არა?“ შენიშნავს კაპიტან დოაზანი ცბიერი ღიმილით. მას თვალის კუთხეებთან ნაოჭები ექცევა.

„Magnifique, magnifique“*, იძახის მისსის ბლუტ, თქვენ ხომ იცით, შტაინერს დიდი გავლენა აქვს სამხედრო წრეებშიაც, მან ომის დროს ლამის იყო ჭკუაზე არ შეშალა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი — გენერალი ფონ მოლტკე“.

„ეს ერთი კარგი საქმე მაინც უქნია ჩვენთვის, ფრანგებისთვის“.

მისსის ბლუტ ვერ ამჩნევს კაპიტან დოაზანის გესლიან რეპლიკებს, რუდოლფ შტაინერის თეოსოფიის მსოფლიო მნიშვნელობაზე ლაპარაკს განაგრძობს. გაცხარებით ამტკიცებს, რომ შტაინერი ახალი მესსიაა, რომ იგი ამერიკასაც დაიპყრობს.

„ეს ის შტაინერია, გოეტეს სახლი რომ დაუწვეს შვეიცარიაში“?

„It is, it is**.

* დიდებული, შვენიერი.

** ის არის.

„მწერალია არა?“ კითხულობს მუსიო ფან სტაუნი, რომელიც ამასობაში ისე გატაცებული ყოფილა ჭამით, რომ აქამდის ვერ გაუგია, თუ ვინ იყო ეს შტაინერი.

„Yes, yes. it is, it is“***.

„მე აღმოსავლეთის კაცი ვარ. ქალი ისე უნდა იყოს სქესით გაბრუებული, რომ მამაკაცთან საზოგადოებაში ლაპარაკს ვერ ახერხებდეს“. წამჩურჩულა ხალილ ბეიმ და თავისი ჭიქა გამოსცალა.

დოქტორ რაიმერი, პოეტი მენდე, მადამ ფან სტაუნი გაჩუმებული სჭამენ.

დოქტორ რაიმერი იღებს ბოკალს ხელში. ძლიერ ახლოს მიდის ფან სტაუნთან, არეული თვალებით შეჰყურებს მის სავსე მკერდს და ადღეგრძელებს.

ვეკითხები ხალილ ბეის:

„ის ორი ქალი ვინ არის, მუსიო. დე ვილარის გვერდით რომ სხედან?“

„მაღალი — იტალიელი ქალია, ვგონებ მადმუაზელ ტორინო. მეორე კაპიტან დოაზანის და, პარიზელი ქალი. პატარაა მაგრამ... რა საუცხოვო მხრები აქვს“.

„კაცმა რომ თქვას, მისსის ბლუტიც ლამაზია. შვენიერი თვალები აქვს“.

. „ახ, არ მიყვარს, ყბედია“.

„იტალიელს, ამერიკელს, პარიზელებს, შოტლანდიელს. ჰოლანდიელს, ებრაელს, ყველას მაინც ჯენეტი სჯობია. არა?“ მეუბნება ღიმილით ხალილ ბეი. ორივენი ჯენეტის სადღეგრძელოს ვსვამთ. ვკოცნით მის შვენიერ ხელებს და ისევ ვბრუნდებით ჩვენ ადგილზე.

„რა სავსე მკერდი აქვს, არისტოკრატიული კანი, ფერი. ო, რა იყო ჯენეტი 16—17 წლისა!“

„არც ახლაა ძლიერ ხნიერი“.

„ხომ იცით, ჯენეტი ქართველი ქალია. მამამისსაც ვიცნობდი. კავკავში მსახურებდა პოლკში. მათი წინაპრები სამცხის ათაბაგები ყოფილან. ახლაც აქვთ, ვგონებ, მამული ახალციხის ახლოს. კავკავში მოჰკლეს ჯენეტის მამა. ჯენეტის მოტა-

*** დიახ, ის არის.

ცება უნდოდათ. დედამ ვაჟურად გადააცვა. ტფილისში გამოაპარა ჩალანდრის ცხენით“.

„ალი მირზა-ხანს რომ არ შეერთო, პარიზში არ წამოეყვანა, ტფილისიდან გაიტაცებდნენ ჯენეტს“.

„ჯენეტის ქმარი თქვენი ნათესავი ხომ არ არის, ხალილ ბეგ“?

„არა“, სთქვა ხალილმა. მის სახეზე უეცარმა ჩრდილმა გადაირბინა. მე გადავავლე თვალი იქ დამსწრე ქალებს. მართლაც ჯენეტი ირისესავით ბრწყინავდა მათ შორის. პარიზს დაერტყა თავისი ბეჭედი მის სახეზე. ორი, თითქმის შეუმჩნეველი ნაოჭი განრთხმულა ოდნავ მოქანცულ ფერმკრთალ სახეზე, მაგრამ მისი არსებიდან რაღაც გაუმხელელი, შიგნით დაგუბებული რომანტიული ალმური ჰქრის; როცა გაიცინებს, ველური შვენება იფრქვევა მის პატარა, ბროწეულის ყვავილივით ტუჩებიდან.

„მე არ მიყვარს ევროპელი ქალები“, განაგრძობს ხალილ ბეგ, „ქალი საერთოდ დიდი მატერიალისტური არსებაა. მაგრამ ევროპელი ქალი უფრო მეტად. რამდენი ანგარება, რამდენი სიყალბე, რამდენი კოსმეტიკა, სიცრუე!.. მე 18 წლიდან პარიზში ვარ, მამაჩემის მთელი ქონება პარიზელ ქალებს გადავალიე, არ დამიტოვებია არც სალონის ქალები, არც არტისტები, არც შანსონეტები, არც მეძავები, მაგრამ არც ერთი არ მყვარებია“.

„თქვენ ძლიერ დახელოვნებული ყოფილხართ ამ საქმეში“.

„მეტი რა გამიკეთებია ჩემს სიცოცხლეში?“ წარმოსთქვა მან შინაგანი გულისწუხილით.

„მე მგონია, ყველას კიდევ მეძავი სჯობია. მეძავი უფრო გულწრფელია, ვიდრე მთელი ქვეყნის „პატიოსანი საზოგადოების“ ქალები. პარადოქსად არ მიიღოთ. ოჯახი სხვა რაღაა, თუ არ ლეგალური მრუშობა. მეძავი ქალი პირდაპირია და უშუალო. მერმე პარიზელი: იგი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის პროფესიას“.

„მიკვირს, როგორის მძულვარებით ლაპარაკობთ ქალებზე, ბატონო ხალილ“.

„ჰმ, იცით, ჩვენ, აღმოსავლეთელები, ყველაზე უკეთ ვაფასებთ ქალებს. ქალის რომანტიზმის ბურუსში გახვევა — ეს

ევროპელების საქმეა. ეს იბსენისებური სისულელეებია. მისის ბლუტი ნამდვილი ნორაა. ასეთი ქალები, აი ასეთ სალაყბო სალონებში თუ გამოდგებიან. ისინი აკვანსა და ქმრის სარეცელს ვერ შეეგუებიან. უნდა შევურიგდეთ ამ აზრს, რომ ოჯახი და ჰარემი ოდნავ განსხვავდებიან. მხოლოდ რიცხვით. ცოლობაც პიროვნული მონობის ცალფა ნიღაბია. იბსენის და მის მიმდევრების სულელურმა რომანტიკამ შექმნა ქალთა ამბოხი. ნახეთ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის დღიური პრესა. როგორ ენგრევა მთელ ევროპას ოჯახი თავზე! განა ვერ ამჩნევთ, ევროპაში დიდი ხანია მამაკაცების გადედაკაცება და ქალების გამამაკაცება ხდება. აკი ამბობდა კარდინალ დიუბუა: სიყვარული სხვა არაფერია, თუ არ პაეგასართობი ჩვეულებაო. თუ რიშელიეს საყვარლებს: მადამ პოლინიაკს და მადამ ნესლეს დუელი ჰქონდათ ბულონის ტყეში, შარშან ქალბატონ ბლუტს და ქ-ნ ლორენცს ჰქონდათ დუელი მადმუაზელ დელა როშის გამო“.

„მათაც ბულონის ტყეში?“

„არა, მათ ერთი პატარა თეატრი იქირავეს მონმარტში: დუელი ჩაკეტილ კარებში იყო. სეკუნდანტებათ ორი ქალი და ორი კაცი ვიყავით; მე, დოქტორ რაიმერ, მადამ ფან სტაუნ და ჯენეტი. მადმუაზელ ლორენცი დაიჭრა ყვრიმალში. ახლაც ზედ აჩნია“.

„მერმე აქ როგორ მოხვდენ ამ საღამოს?“

„ჯენეტმა შეარიგა დიდი ხანია. აკი ამბობდა ბონაპარტე: მე მეშინია ევროპას ქალი და ვაჭარი არ დაეპატრონოსო. ეს ნაწილობრივ მოხდა კიდევაც.

„დღეს მეწვრილმალეებია ევროპის ბატონები. ხვალ ალბად ქალები იქნებიან...“

„თქვენ ანტიფემინისტი ყოფილხართ?“ ვეუბნები ხალილს.

„არა, ანტიფემინიზმი ევროპული, წიგნური მოდაა.

აღმოსავლეთში რეალურად ვუყურებთ ქალს.

ჩვენ ბუნებით ანტიფემინისტები ვართ.

მე ახლა კარგად მესმის, ყველა დიდი წარმართები რად უმღეროდნენ ვაჟის სილამაზეს.

მე არასოდეს არ ვხატავ ქალს“.

„დღემდის არ ვიცოდი, თქვენ თუ მხატვარი იყავით, ხალილ!“

„მე — 10 წლის წინად გამოვფინე პარიზის „შემოდგომის სალონში“ ჩემი „ჩერქეზული სილუეტები“. შემდეგ ომმა შემაწყვეტინა. ახ, ჩვენ პირობებში ძნელია ხელოვანი იყო. ჩვენს ქვეყანაში ასპარეზი არა მაქვს. კავკასიაში დასწერე თუნდაც უფრო კარგად, ვიდრე მოპასანი, — დახატე ჰოლბაინზე უკეთ, მაინც გასაქანი არ არის. არ არსებობს კრიტიკა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესი. მერმე, ჩვენ მოწყვეტილი ვართ კაცობრიობას. აქ, ევროპაში, შეუძლებელია სურათზე, წიგნზე არ გამოგეხმაურონ. თუ ოდნავ მადლიანი კალამი გაქვს, კრიტიკა ან მოგსპობს, ან ცამდის აგიყვანს.

ჩვენში?“...

„რატომ, ხალილ, მე ვფიქრობ ჩვენ ბრწყინვალე ძოძავალი გვაქვს კავკასიის ხალხებს“.

„თქვენი, ქართველების მდგომარეობა ოდნავ უკეთესია, ჩვენი საქმე წასულია“.

„ჩვენ ჩვენს მეზობლებს, უმცროსს ძმებად ვსთვლით... წინაალმდეგ, ჩვენ ყველას ისტორიამ დაგვაკისრა წინა აზიის განახლება! მერმე ჩვენში დიდი, დიდი ენერგია და ნიჭი იღუპება უნაყოფოდ“.

მე ისევ ძველ თემას ვუბრუნდები:

„განა შიშველი მამაკაცი სჯობია შიშველ ქალს?“

„რა თქმა უნდა! თუნდაც რაფაელის გიტარის დამკვრელი აპოლონი შეადარეთ მისსავე მადონებს“.

იცით, ხალილ ბეი, სილამაზე ამ ქვეყნად ყველგან დიდია და ღვთაებრივი“.

სტუმრები ძლიერ გაერთვნენ ვახშმით. ცოტა ხანს ორივენი ვსდუმდით.

„საოცარია, წინად რომ ვერ შეგამჩნიეთ ამ სალონში!“

„არ მიყვარს, როცა მწერალს მელნის სუნი უდის, მხატვარს — ფერადის... გასულ სეზონში იმავე „შემოდგომის სალონში“ გამოფენილი იყო ჩემი „დიონისოს მეორედმოსვლა“.

„იცით რა, თუ გაინტერესებთ, ის სურათი ალი მირზახანმა იყიდა, აქვეა, თამბაქოს სალონის გვერდით, მირზა-ხანის კაბინეტში. ჩვენ შეგვიძლია მისალებში გავიაროთ... ჯავრი ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვთ, მე აქ შინაური კაცი ვარ“. ორივენი გავიპარენით სასადილო დარბაზიდან.

მისაღებ სალონში S სავარძელში ისხდნენ ანგორელი ოფიცერი, მადმუაზელ ლორენცი, პოეტი მენიეც იქვე იდგა და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ერთ წინადადებას მოვკარი ყური:

„...ასეა, სიყვარული კორექტურულ შეცდომასა ჰგავს, სადაც არ გგონია, იქ შეგეპარება“.

მირზა-ხანის კაბინეტში ნაფტალინის და ახალი ფერადის სუნი იდგა. ხალიჩ პეიმ ძლივს მოსძებნა შესავალი. ოთახში ფრიადი სინათლე დააყენა, კედელთან მიიდგა სკამი და თეთრი ტილოს საფარი გადაჰხადა განიერ ჩარჩოებში ჩადგმულ სურათს. სუბტროპიული ზღვის ნაპირი ბანანებით, მაღალი პალმებით, ხშირი ლელით შემოსილი. ნიადაგი — წითელი ქვიშა, ძოწის, ფირუზის, ქარვის ფერადი უხვად გაბნეულა ხმელზე, ზღვაზე და ცაზე. ლელში და ისლში სულგანაბული ქლალთვალებიანი ვეფხები, ველური ვაზების ბარდებში თხისჩლიქებიანი სატირები. დელფინებს, ცხენთევზებს და ნიანგებს თავი ამოუყვიათ ლილისფერ ტალღებიდან: გარინდებული შესცქერიან უცხო სასწაულს. ქვეყანა ახალგაზრდაა და ბრწყინვალე, როგორც შექმნისა პირველსავე დილას. სმარაგდის ტალღებიდან ამოდის ნორჩი, პირშიშველი ჭაბუკი, მისი ფეხები — ორი სვეტი სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი, მისი მუცელი — მარმარილოს დაფაა, შვენიერების ათი მცნების ზედ წასაწერი, მისი ყურები — ორი თეთრი სადაფი.

პატარა, მოგრძო თავი უკეთილშობილესს რასას ამჟღავნებს. შავ წარბებს ქვემოთ ირიბულად გაჭრილ ქუთუთოებიდან იმზირებიან მუქლურჯი თვალები, მათი სხივგადაკრული კრთომა ღიმილია პირველი შექმნის. სიხარული ამ უსაზღვრო ეთერის, უსაზღვრო წყლის და ნაყოფიერი მიწის დედობრივი სუნთქვით აღტყინებული. იგი ამოდის ნაპირზე ელემენტებისგან ახლად შვებული, თითქოს ეს არის ახლა დაბრუნებულაო ოკეანის ნოყიერ საშოდან, სადაც ფერიები ურწევდენ ოქროს აკვანს. ექსტაზი ისახება მის თვალების გაღებასა და ხელების გაშლაში. მისი თვალები მაგონებენ ჯენეტის თვალებს, საფეთქლებზე ისეთივე ცისფერი ძარღვების ნაზი ხაზებ აღყვია,

როგორც ჯენეტს. ვნებიანი, მოძრავი ცხვირის ნესტოები აქვს, პატარა ყურები, ჯენეტს რომ მოუჩანს ხშირი, შავი თმიდან, როცა მადამ რეკამიესავით არ ივარცხნის თმას.

და ფელწინ წარმოიდგა შვენიერების მეორედ მოსვლის და უმანკო შთასახვის მისტერია. ჯენეტს ოდნავ მობიბდულ სილამაზეს ისევ შეუსხამს სისხლი და ხორცი და ხელმეორედ მოდის ამ ქვეყნად სხვა სქესის სახით. როგორც ახალგაზრდა ღმერთი ამოდის იგი ზღვიდან, მას მხოლოდ მშვილდი და ისარი აკლია, რომ აფროდიტეს ეხსლოს, მისი ფარეში გახდეს და ინადიროს, ვიდრე შემომქმედის სასწაულით გაჩენილ სამყაროში შვენიერების მეველი არ გამოლეულა.

მაგრამ, მაგრამ ვართმევ ხელს ხალილ ბეის.

„მართლაც დიონისოს მეორედ მოსვლაა, ხალილ!"

და იქვე ვქდები შაგრენს სავარძელში.

„ხომ იცით, დიონისოც აზიიდან მოვიდა!"

„ეს არის ფარეიზი?" ვეკითხები.

ხალილმა შემომხედა. გაიღიმა.

„მხატვარს ნება არა აქვს თავისი მოდელის ვინაობა გაამხილოს".

„ალი მირზა-ხანი დაქინებით მთხოვდა ფარეიზის სახელითა და გვარით გამომეფინა, მაგრამ არ ვქენი. მოდელი მუდამ ჩრდილში უნდა იყოს"... ჩაილაპარაკა ხალილ ბეიმ და ელექტრონი დააქრო.

სალონში დავბრუნდით. სტუმრებს ევახშმეთ.

მადამ ფან სტაუნმა ფრიად იდუმალი გამომეტყველებით განზე გაგვიხმო:

— „იცით, მადმუაზელ ლორენცი იმარჩიელებს ამაღამ. ნერავის ეტყვით, მამაკაცებისთვის აკრძალულია დასწრება. ჩვენ ძლიერ ვღელავთ. მე ძლიერ მიყვარს მკითხავი, მაგრამ მეშინია...

მე და ხალილი თამბაქოს მოსაწევ ოთახში გავედით. თითო სიგარი მოვწიეთ, შემდეგ სპარსულ დარბაზში შევიპარენით და კარების გრძელ პორტიერებს ამოვეფარეთ.

რგვალ, მაჰაგონის შავ მაგიდას უსხდნენ:

ჯენეტ ხანუმ, მადამ ფან სტაუნ, ანგლოზის სახის მადამ დეჟარდინიე. მადამ შენიე, მადმუაზელ დელა როშ, შოტლან-

დიელი ქალი, მადმუაზელ ტორინო, შუაში მადმუაზელ ლორენც.

დარბაზში იისფერი შუქი იდგა.

ავეჯის ბნელი კონტურები კუთხეებში ატუზულიყვნენ.

ყველანი სდუმდენ.

ხელები ზურგზე დაეწყოთ.

მადმუაზელ ლორენცს სახეზე ეტყობოდა — ოპიუმი მიელო წინასწარ. გაუნძრევლად იჯდა, თვალზე მიბნედილი ნისლი გადაჰკროდა. მის მახინჯ სახეს რაღაც მისტიური ელფერი მისცემოდა. გარინდებული მისჩერებოდა სალონის ბნელ კუთხეში მოლაპლაპე შვიდსანთლიან შანდალს. ყველა მის ბაგის გახსნას ელოდა.

კედლის საათმა 12 ჯერ დაჰკრა...

„მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ წყალი სთხოვა სამარიტელ დედაკაცს". დაიწყო ქადაგად დავარდნილმა. „დედაკაცმა მოიღო, სამაგიეროდ იესომ აჩუქა 7 პატიოსანი თვალი. სამარიტელ ქალს უნდა გაენაწილებინა წყალი ცხოვრებისა ისრაელის დედათა შორის. რადგან ეს პატიოსანი თვლები ქრისტეს ცრემლები იყო".

მცირე პაუზა.

„სამარიტელ დედაკაცს შეუჩნდა ეშმა. თავი შეაყვარა. შვიდში სამი შეუცვალა". განაგრძო მადმუაზელ ლორენცმა.

„შვიდი ინდოელების წმინდა რიცხვია. ხოლო სამი ეშმასგან დანავსული. ქვეყანა ორეულებად დაჰყო ღმერთმა. ოდესღაც წყვილები ნეტარებდნენ ედემის მდინარის — ფისონის ნაპირას. მაგრამ კენტი ეშმა არ ისვენებდა. თუ წყვილს მესამე შეუჩნდა, წამსვე იღუპება სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი ეროსიც რიცხვით მესამეა. სიჭარბისა და სიღატაკის — პენიაჰ და პოროსის შვილი. ამიტომაც მარტოკა დაწანწალებს ეროსი ამ ქვეყნად, უსამშობლო, უსახლკარო, მიუსაფარი. სადაც კი მოუსწრებს წყვილების ბედნიერებას, შეუჩნდება, გასთიშავს და დაღუპავს.

„იუდაც კენტი იყო ქრისტეს მოწაფეთა შორის.

„ვამბობ: თვალი პატიოსანი სარდიონი ვისაც აღმოაჩნდეს, ჯერ არ გამოაჩინოს! ფერად მეწამული, ნაპოვნია ასურასტან-

ში. მეწამული ფერი სისხლია, ნიშნავს: სიჭარბეს და სიყვარულს. ვამბობ: სარდიონი. ხელი მაგიდაზე დადევით!“

ყველა ერთმანეთს შეჰყურებს თვალებგაბრწყინვებული. შოტლანდიელი ქალი დაიბნა, გაწითლდა. მარჯვენა ხელი მაგიდაზე დასდო. ყველა მის თეთრ ხელს შეაჩერდა.

„თეთრია და სპეტაკი, ვით სპილოს ძვალი, აქატი ამშვიდებს, გველი ასპიტიც გვერდით უწევს აქატის პატრონს, უვნებელი იქნება. აქატი თეთრი სათნოებაა, — ქრისტეს თვალნაკრავი ნათელი“.

თავისი პატარა, ბავშური ხელი დასდო მაგიდაზე ანგელოზის სახიანმა მადამ დექარდინჟემ.

„მაგარია ვით სატანას შუბლი — დიამანტი — ერიდეთ შავ დიამანტებს, ჰადესის კუპრში ამოსვარა ეშმამ ეს ბრწყინვალე პატიოსანი თვალი. იგი აღვივებს ლესბოსის ცოდვებს“. მადამ ფან სტაუნი გაწითლდა. ბეჭდებით მოკირწყლული ხელი გამოიღო.

„ცეცხლივით მოლაპლაპე იაკინთეს ბნელ ღამეებში პოულობენ ლიბიაში. ქვა ხელმეორედ ნაპოვნია იქ, სადაც ფისონი მზის მხარეზე ერთვის ინდოეთის ოკეანეს. ამიტომაც იაკინთე წყალში გაქვავებული მზის ნატეხია., ხოლო მზე — მარადისობის თეთრი დროშაა“.

მადმუაზელ ტორინომ ხელი დასდო მაგიდაზე.

მოსემ ნახა ლიბანის მთის ძირში საფირონის თვალებიანი ცის სხეული, იგი ღმერთს უცდიდა ბინდისას. ელოდეს საფრთხეს, ვინც შებინდებისას სიყვარულის ღმერთს უცდიდეს“.

მადმუაზელ დელა როშმა მორცხვად წამოსწია მარცხენა ხელი.

„ღვინის ფერია. მოოქროვილი ბრწყინვალება არტყია გარს. ვინც მუდამჟამს მას უყურებს, მთვრალია სიყვარულით — ამეთისტო!“ სთქვა ბრძანების კილოთი მადმუაზელ ლორენცმა.

ხელი გამოაჩინა მადამ შენჟემ.

„ექვიანობასავით მწვანეა სმარაგდი. ამ თვალში სარკესავით ვხედავ პირბნელ მომავლის ნილაბს. იგი ამშვენებდა ინდოეთის, ასურეთის, ბიზანტიის, კოლხეთის მეფეების გვირგვინებს, მაგრამ ბედისწერამ იავარჰყო ეს ქვეყნები და მეფე-

ებმაც გაიგეს, რომ გვირგვინი დიდხანს არ მოიცდის ადამიანის თავზე. სმარაგდის თვალებით ანათებდა ღმერთი დიონისო, გაზაფხულზე მზის ეტლით რომ გადაივლიდა თრაკიის ველმიდამოს. მისი შემოხედვით მწვანდებოდა მგლოვიარე ბუნება სმარაგდის ფერად. მაგრამ დიონისო ქრისტეს მტერია, ამიტომაც ეშმას პირით დალოცვილია სმარაგდი. მუფტილიის მთების ჯურღმულებში უამრავი ჯოჯოები და გველები ბინადრობენ. დედით შობილი იქ ვერ ჩასულა. გველს მუცელში აქვს ჯადო, ყოველ ათასეულ წელს ერთხელ აკაკანდება და ჯადოს დასდებს. მაშინ იწყება აღრევა სისხლისა, სქესისა და ჩვეულებისა. ადამიანები გაცოფდებიან, არავინ გაარჩევს დედას, შვილსა და დას. მარტორქასავით გახელდება და აიწყვეტს ადამის ნაშიერი. დალეწავენ ძველ საკერპოებს, რომ ახალი კერპებისთვის ახალი ტაძრები ააგონ. თეთრი არწივები სჭამენ ამ გველებს. მონადირე მშვილდ-ისრით ჰკლავს არწივს. გამოფატრავს, სმარაგდს ამოუღებს გვამიდან. ამგვარი სმარაგდი შეუცვალა ეშმამ სამარიტელ ქალს. სმარაგდი სანამ ხელზე ექნება ქალს, — ქმრის ღალატი არ შეუძლია. სმარაგდი აფრთხობს მავნე სულებს. ვისაც სმარაგდი აღმოაჩნდეს — მონადირეს უფრთხილდეს, ვინაიდან ეროსია პირველი მონადირე.

ვიძახი: სმარაგდი".

ყველანი სდუმდენ.

ჯენეტ ხანუმი გაფითრდა, საოცარმა ქრუოლამ გადაურბინა სახეზე და თავისი თეთრი სმარაგდის ბეჭდიანი ხელი დასდო შავს მაგიდაზე.

სეანსი გათავდა. მე და ხალილ ბეჲ დიდ სალონში დაუხვდით ქალებს. ყველას ძლიერ აღელვებული სახე ჰქონდა. მამაკაცები ბილიარდის ოთახში გადასულიყვნენ კარტის სათამაშოდ.

პოეტი მენჲე შემოვიდა.

ვეკითხები:

„დოქტორ როშერი წავიდა?"

„არა, კარტს თამაშობს".

„თქვენ ნახავთ, ყველას მოუგებს. ებრაელი არაა?"

ჯენეტი ხალილ ბეჲს გვერდით იჯდა. ერთ კუთხეში მადამ ფან სტაუნი და მადმუაზელ დელა რომ დამსხდარიყვნენ, ფან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტაუნს სავარძელზე თავი გადაეგდო, ნებიერი თვალებით მის-ჩერებოდა დელა როშს, ყურს უგდებდა.

მე ჯენეტს ვუახლოვდები.

იგი ისევ ძველ თემაზე გადადის:

„თქვენ თუ მართლა აპირებთ საქართველოს წასვლას, აბასთუმანში შევხვდებით. აბასთუმანი ძლიერ კარგია. ევრო-პის ყველა კურორტს მირჩევნია".

„გენატრებათ, ხანუმ, საქართველო?"

„აჰ... რა თქმა უნდა. ვიზა თუ მივიღე, მე მინდა დიდედას წავუყვანო ფარვიზი, იქიდან 30 ვერსია აბასთუმნამდის. ბავშვს ძლიერ სუსტი ფილტვები აქვს".

„ფარვიზს"?

პაუზა.

„იცით, ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვეს. მომ-კლა აქაურმა ნისლმა". კვნესის ჯენეტი. „თქვენ ალბად იცით, რა ცუდი სენია ის, რასაც ფრანგები „ნოსტალჟი"-ს ეძახიან".

ხალილ ბეი ადგა და წავიდა.

„მეც ძლიერ ვიტანჯები, ხანუმ. ადრე სიჭაბუკეში მე მას ვერ ვგრძნობდი ისე მძაფრად. მეგონა კიდევ დიდხანს შევიძ-ლებდი ევროპაში დარჩენას, ან ამერიკაში წავიდოდი. „ნოს-ტალჟი" ჩვენ ქართველებს არ ესმით, რადგან ქართველი გა-ჭირვებას იშვიათად მიჰყავს უცხოეთში. ჩვენ სიტყვაც არ მოგვეძევა ამ სენის გამოსახატავად".

„მართლა, როგორაა ქართულად „ნოსტალჟი?" მეკითხება ჯენეტი.

„ვიტყოდი სევდა მამულისადმი, მაგრამ არა, ეს სიტყვა სავსებით ვერ გამოხატავს, რალაც მეხამუშება".

„ურიებს არა აქვთ ეს გრძნობა. ბედნიერი ხალხია. დოქ-ტორ როშერისთვის ყველგან სამშობლოა, სადაც ფულს იშო-ვის".

„შეიძლება, ხანუმ, ჩვენი ჩამორჩენილობის ბრალი იყოს, ასე რომ ვიტანჯებით ფიზიკურად, როცა ჩვენი მიწის ნაჭერს მოვცილდებით. ატავიზმია არა?"

„ჩამორჩენილობა აქ რა შუაშია? ერთიც ევროპელებს ჰკი-თხეთ. ჩვენთან ერთი ნორვეგიელი პიანისტი ქალი დადიოდა იგი ამ შეზლონზე დაემხობოდა, ბავშვივით ღრიალებდა. სა-

ზიზღარი სენია, საზიზღარი, მე იგი წარმოდგენილი მაქვს ყვითელთვალებიანი არსების სახით, თავის გრძელსა და წვეტიან ჭანგებს ჩაგასობს გულში და არ მოგეშვება, არ მოგეშვება“.

ხალილ ბეჲ ისევ შემოგვიერთდა.

„მობრძანდით, ხალილ, აგერ დაბრძანდით“. მიუთითა ჯენეტმა ცარიელ სავარძელზე.

„რატომ ხართ ამ საღამოს ასე ჩუმად, ხალილ ბეჲ?“

„თქვენ ალბად არ შეგიმჩნევიათ, ხანუმ, ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ. სულ ლაპარაკიც მოსაწყენია. ახლა ისე ინტიმურად ვზივართ. ეგებ რამე დაუკრათ“

„მეც ძლიერ მენატრება, ხანუმ, შინაური მუსიკა“. შევეხვეწე მეც.

ჯენეტი წამოდგა. მე თვალი გავაყოლე მის შვენიერ, ნახევრად შიშველ მხრებს.

სალონის კუთხეში მდგარ ძველებურ პიანინოს მიუჯდა. ზურგით მოიხედა.

„ჩემი ნორვეგელი მეგობრის სიმღერა უნდა დავუკრა“.

„თეთრი სახლი, თეთრი სახლი“, მიაძახა ხალილ ბეჲმ.

ამ სიმღერას სევდა მამულისადმი უნდა ერქვას. ვფიქრობ და მელანქოლიური მუსიკის ტალღები მიმაქანებენ შორს, სადაც სიმინდის გამხმარ ღეროებს აკვნესებს ქარი და გადაყვითლებულ ჰალებში დააბოტებს ჩალისფერ ნაბდიანი ოჩოკოჩი, ჩემი ბავშვობის დიდი ინკვიზიტორი და საფრთხობელა.

„ო, თეთრო სახლო,
ო, თეთრო სახლო,
ბავშვობის ჩემის ტკბილო სავანე.
ნეტავ ვიცოდე,
კიდევ თუ ჰყვავის
შენს ირგვლივ ჩვენი წალკოტი მწვანე“.

ელექტრონივით მაჟრჟოლებს ტანში. ჯენეტის თეთრი, გრძელი თითები ელვის სისწრაფით დაცქრიალებენ პიანინოს თეთრ კლავიშებზე, და მონოტონურ მელოდიას თან მისდევს მოძახილი:

„ო, თეთრო სახლო,
ო, თეთრო სახლო,
ბავშვობის ჩემის ტკბილო სავანე,
ვიცოდე ნეტავ, კიდევ თუ ჰყვავის
შენს ირგვლივ ჩვენი წალკოტი მწვანე.“

სალონში ირგვლივ სიგარის კვამლი სდგას, ოდნავ ვამჩნევ სტუმრების მურუჟიან სახეებს. ხალილ ბეგ თვალებდახუჭული გადაყრდნობია სავარძლის ზურგს.

„ნეტავ შემეძლოს,
ვიყვე შენს ახლოს,
ო, თეთრო სახლო,
ო, თეთრო სახლო".

უკანასკნელმა აკორდმა ქვითინით გაირბინა კლავიშებს შორის, და შუალამეში ნათქვამი ზღაპარივით გაინაბა ქაოსში.

ხალილ ბეგ მიუახლოვდა ფანჯარას და ოდნავ გამოაღო.

„არ გააღოთ, თორემ ნისლი შემოვა". კვნესის ჯენეტი და პიანინოს ხურავს.

გულდაწყვეტილად გაიზრიალა მარტოხელა სიმმა და გაჩუმდა, როგორც მტირალა ბავშვი, რომელსაც ნიკაპში ამოჰკრეს ხელი.

### 4. კონსტანტინე სავარსამიძის ავტოპორტრეტი

ისლის სახლო, ისლის სახლო!
ქარი!
ქარი!
ქარი!
შენ მაჩვენე მზის სიახლე
და ზღაპრების მხარე.
მე
ზღვის ნისლებს გადავყევი და მთებს მივეფარე.
ველარ ვნახე შენი სახე, ველარ მოგესწარი.
ისლის სახლო, ისლის სახლო!
ქარი!
ქარი!
ქარი!
ჩემი სისხლი შენსკენ იწევს, ჩემი სისხლი ჩქარი.
ისლის სახლო, ისლის სახლო!
ქარი!
ქარი!
ქარი!

„Nel mezzo del Camin di nostra vita
Mi ritrovai per una selva oscura.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ცხოვრების ნახევარგზაზე ვიდექ მარტოკა ბნელს, ულრან ტყეში“.

მღეროდა ფლორენციელი პოეტი.

რა დიდ აღმართად ეჩვენებოდა მას თავისი ცხოვრება!

მე გულდამშვიდებული ვუცქერი ჩემს წარსულს. თვალს რომ დავხუჭავ, იგი კინემატოგრაფიულ სურათებს უფრო წააგავს. ცხოვრებაში ხომ ყველაფერი წამიერი ხილვაა, სხვა დანარჩენი: მოგონებაა და სიზმარი მტკნარი.

არც ისე დიდი აღმართი ყოფილა იგი. აღსრულებულის ხილვა იგივეა: მიცვალებულს ღია დარჩენილ ქუთუთოებს შორის უყურებდე. თვალი ზედაპირზე შეფენილ მიმავალ სხივის ციალს თუ შეამჩნევს. იმის იქით უფსკრულია და სარკე დამსხვრეული.

წარსულის მოგონებაც — ბნელ უფსკრულში ხელის ფათურია.

მაინც ჩემი თავის იმედი მაქვს.

მეტყოდა მამა: ტაია შელიასავით სუბუქი ხელი გაქვსო.

სამიზნოს ქვას და ისარს არ დავაცდენდი. ბადე და ანკესი არაოდეს გამიცდენია.

ტაია შელია!

უმადურება იქნებოდა ამ ადგილას ჩემი მორდუ არ მომეგონებია.

მე მჯერა: ზოგიერთ ადამიანს მხოლოდ ნახევარი სული აქვს. იგი იტანჯება თავის მარტოობით და სულნახევრობით. ადამიანური ენით მეტყველებს, მაინც თევზივით მუნჯია და უმწეო. მისი სიტყვები დასეტყვილი ყვავილივით იბნევა ქარში. ერთი შეხედვით იგი ქუჩაში დაგდებულ გადალესილ ფლურსა ჰგავს, ხელში რომ აიღებ, მტვერს შემოაცლი, ოქროა ხალასი. გზადმიმავალი იშვიათად შენიშნავს ვულკანური ტბის ზედაპირივით დანისლულ თვალებს. იგი მუდამ ამღვრეულია. ადამიანის თვალი მის უფსკრულებს ველარა სწვდება, ყველას მარჩხა ჰგონია. ასეთი ნახევარსულიანი სხვას თავისებურს რომ შეჰხვდება, დიდი და საოცარი ნათელი უნდა ადგეს მაშინ მიწიდან. ასეთი ნახევარსულიანი იყო ტაია შელიაც.

ტაია შელიამ ახია ჩემს თვალწინ ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი. მან მასწავლა კვანძის გამოსკვნა

ანკესებზე ჭიების აგება. ქაშქვილის და ქასაგანის* გამართვა. სასროლის გადაგდება. ნოთაობა და უბელო ცხენზე ჯდომა. პირველად მან მაჩვენა, თუ სად იკეთებდენ ფრინველები ბუდეს. მან მიმაგნებინა გველების, ხვლიკების, თხუნელების და წავების სოროებისათვის. მან მიმასწავლა კიბოების, ცხრაფეხების და თევზების დარანისათვის. მან მასწავლა შელოცვა, ფრინველების გამოჯავრება, გათვალვის, გათოფვის და დანამსვის ძალა.

ტაიამ მიჩვენა ჩემი ადგილი ადამიანთა შორის. ჩემ ძმებად ვთვლიდი ჩემს ძიძიშვილებს: თემრაზს, ოტიას, გუჯას და ჯამლეთს. ხელფეხგათოშილ, მშიერ-მწყურვალ გლეხის შვილებთან გავიზარდე. მათი ლხინისა და ჭირის თანაზიარი: თამაშობაში, თევზაობაში, მწყემსობის დროს. მათთან ერთად მაციებდა. მათთანვე მოვიხადე კისერა და წითელა. როცა თუთაში ან ბატონები შეგვეყრებოდა, ძიძა იაიას წყალს და წითელ კვერცხებს შემოგვიდგამდა ლოგინის ქვეშ. მოგვიჯდებოდა, ჩონგურზე ტკბილად „შოუ ნანას" დაამღერებდა. მე მათ შორის უპირატესობა არასოდეს მიძებნია. სოფელში ტაია შელიას შვილობილს მეძახდნენ. ჩემი ძიძა ინახავს ახლაც ჩემს აკვანს, სალამურს, მშვილდსა და საგანს.

ტაია შელიას ისლის ფაცხა!

ქვეყანაზე სხვა სახლი არ მეგულება, სადაც მეტი ბედნიერება მეგრძნოს. რა ტკბილად მეძინა იმ ისლის სახლში ზამთრეულ ქარების ზუზუნის, წვიმების ტლაშუნის გამგონეს, ისლის შრიალი — სულზე უტკბესი ნანინა იყო.

ყოველ წამში შემიძლია მოვიგონო: ჭვარტლიანი უფანჯრო კედლები, გამურული სხვენი, სინესტის, ჭვარტლისა და ობის სუნი. ტაიას გაპარტახებული ეზო. ნალიის ქვეშ უბორბლო ურემზე ნაცრიები ქათმები სთვლემენ. ღობის სარებზე გამხმარი ცხენის თავები ჰკიდია. ჭიშკარზე და კარების ზღურბლზე დაჯანგული ნალი.

ბედნიერი დღეები იყო! შობის მხიარული მეალილოების სიმღერა დაბნელებულ სოფელში. მამაჩემის სახლში მივიყვანდი ალილოს პირველად და მიხაროდა, მამის ნაჩუქარ თეთრ

---

* შვილდ-ისარი

უზალთუნებს ჩემს ძიძიშვილებს რომ გავუყოფდი. კალანდის ღამეს ჩიჩილაკიანი მორდუ წინ გაგვიძღვებოდა, ნალიას, მარანს, ხეებს, ცხოველებს და ფრინველებს ყველას ფეხქვეშ უყრიდა მეფეხური — ნაკურთხ ფეტვის მარცვლებს და შესძახებდა: „მშვიდობა თქვენდა“. შემდეგ დახურულ კარებთან იძახოდა ხელმწიფე მეკვლე:

„კარ გამიღე!“ ხმა შიგნიდან:

„რა მოგაქვს?“

„ღვთისა და კაცის წყალობა. წმინდა ბასილი მობრძანდება. კარ გამიღე!“

„რა მოგაქვს?“

„წმინდა თაფლის სანთელი, ოქრო და ვეცხლი, წმინდა ბასილი მობრძანდება. კარ გამიღე. კარ გამიღე!“

როცა მესამედ დაკაკუნების შემდეგ ძიძა კარებს გაგვიღებდა და სათითაოდ მკერდში ჩაგვიხუტებდა, ჩემი გული სიხარულისაგან ფრთხიალებდა, როგორც ხოხობი ჩირგვებში.

ახლაც ყოველ ახალ წელს, ასე მგონია ჩემი ცხოვრების ბნელ გზებზე ანთებული ჩიჩილაკით ხელში — ახალი ცხოვრებისაკენ წინ მიმიძღვოდეს ტაია შელია.

როცა ძველი გადაივლიდა, ბავშვები მუდამ ახალი დღესასწაულის მოლოდინში ვიყავით. „რატომ არ შეიძლება, ყოველი დღე დღესასწაული იყოსო?“ ვეკითხებოდით, ერთმანეთს და პასუხს არავინ გვაძლევდა.

ჩემი გული აწ აღარ ელის ახალ დღესასწაულებს და უნებურად ძველისაკენ ვიყურები მელანქოლიურად.

როგორის სიხარულით ვეგებებოდით ზამთრის ყინვისგან ხელფეხ დამზრალი ბავშვები გაზაფხულს, რა ნათლად მახსოვს ჩვენი აღტყინებული ცეკვა! ისლის სახლის გარშემო! მზვარეში ერთი დაიწყებდა ვედრებას: „ჩხანა მორთია, მორთია“.

და მერმე სიხარულით ატაცებული ვროკავდით, ფერხულს ვუვლიდით, ვმღეროდით:

„მზეა დედა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
მოკაშკაშე ვარსკვლავები
და-ძმანია ჩემი“.

განსაკუთრებით ვენახის გამოლოცვა მიყვარდა! ნების კვირას ძიძა კვერებს დააცხობდა ოჯახის როგორც ცოცხალ, ისე მიცვალებულ წევრებისთვის. კვერებს, კაკალს, თაფლის სანთლებს, ფეტვის მარცვლებს მორდუ ხონჩაზე დაალაგებდა. ძიძა სახლში დარჩებოდა. მორდუს ვენახში მივყავდით. აქ ვაზის ძირში დაიჩოქებდა, სუჯუნის წმინდა გიორგის შეავედრებდა თავის ვენახს.

„შენ დაიფარე, წმინდაო გიორგი ჩემი ვენახი ავი თვალისა, სეტყვისა და გვალვისგან. შენ დაიფარე წმინდაო გიორგი". მე გაოცებული შევჰყურებდი მის ლიტანიებს. ლოცვის შემდეგ, რომელიმე ჩვენგანი მიწას შემოათხრიდა ვაზს. ფეტვსა და კაკალს ჩავყრიდით. ისევ მიწას დავაფარებდით. ასეთივე დიდის ალტაცებით მოველოდი „ოთხთხაშურობას", „სანგარიოს", „ოდუდიას", „ანგელოზის", „მიცვალებულის" და „უსახელო" ჭურების გამოლოცვას და სადღესასწაულო გახსნას. უცვლელად დარჩნენ ჩემს ხსოვნაში ეს გასაოცარი მისტერიები. ავადმყოფობის, გასენვის, გათოფვის, გათვალვის, უქმურის შეყრის დროს ქურუმთ ქურუმობას ძიძა კისრულობდა, ყველაფერს იდუმალი, გრძნეულების ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა მირწყული: წითური კაცის, მღვდლის, შავი კატის შემოხვედრას, ბოლოქანქარას ან სკვინჩის შემოჯდომას, მარჯვენა წარბის ან ხელისგულის მოფხანვას, ჩხიკვის და ყვავის ჩხავილს, ძაღლის ყმუილს, საქონლის შემობღავლებას, ამინდის ცვალებადობას; მაგრამ ყველაზე მეტი — გველის ხსენებას და სიზმარს.

ჩემს ბავშვურ ფანტაზიას დია ახელებდა მისი ფანატური რწმენა ბუნების ჯადოსნური ძალებისადმი. მიწა და წყალი, ღამეული ჰაერი, ჩრდილმრავალი ხეების ფუღუროები, ფრინველები, ცხოველები, მთები და ღრუბლები ყველაფერი გრძნეული, მისტიური ძალებით აღჭურვილი მეჩვენებოდა.

მთელი ქვეყანა უქმურებით, ჭინკებით, ოჩოკოჩებით და ვეშაპებით სავსე. რაც ჩემმა გონებამ მიწაზე ვერ შეამოწმა, ყველაფერი ეს ცაზე გადავიტანე.

ბავშვის თვალი განსაკუთრებით ხარბია სანახაობაზე.

მე მინდოდა ყველაფერი ეს თვალით მენახა, და აჰა, გადაიშალა კიდევაც ასპარეზი ჩემი გაუმაძღარი თვალისათვის. ეს

იყო მაღალი ცა და მისი უსამშობლო სტუმრები. მართლაც ყველაზე მეტ საზრდოს ჩემი თვალი ცაზე ჰხედავდა. ეს გასაოცარი ღრუბლები, ათასი სახის, ათასი ფერის, ათასი ნიშატის ჰაეროვანი არსებანი. რას არ ვამსგავსებდი მათ. ზოგი მთას ჰგავდა ზეაყუდებულს და ზოგიც რაინდს თეთრ ტაიჭიანს, ზოგი თეთრ ბატკნებს ჩვენს ეწერში გამოდენილებს, ზოგი აქლემებს სურათებიან დედაენაში ნახულს, ზოგიც უცოდველს სულს ქალწულისას, ალს რომ გადაჰყვა სიზმარეთში გათენებისას.

ერთნი ქარავანს ცხელ უდაბნოში, სხვანი ყაჩაღებს შავ ნაბდიანებს, ზოგი მათგანი ჭინკას თმაგაშლილს, ზოგი დიდ როკაპს ტაბაკონისას, ზოგიც ოჩოკოჩს, დახეულ ნაბადს, ღამე ეწერში რომ აფრიალებს, მაგრამ ვეშაპებს ყველანი ჰგვანდენ, როცა საწვიმრად ცა პირს შეჰკრავდა.

და შემიყვარდა ზეცის ღრუბლები, სმარაგდის ცაზე მოხეტიალე.

ქუხილი მაინც ნამდვილი წარმოდგენა იყო (ახლა რომ ვიგონებ, უფრო ტრაგედია!), შიშისაგან ვკანკალებდით ძიძის გარშემო კერასთან დამსხდარი ბავშვები, მაგრამ ინტერესი მით უფრო დიდი იყო, გულის ფანცქალით ყურს ვუგდებდი, რითი გათავდებოდა შავი ზღვიდან გადმოვარდნილი შავი ვეშაპის და თეთრი გიორგის სისხლიანი დუელი. როცა მეხი სადმე დაეცემოდა გრიალით, ყველანი პირჯვარს ვიწერდით. ძიძა მკერდში ხელს იცემდა.

„ვენაცვალე შენს მადლს“. ბუტბუტებდა. ჩვენ გვიხაროდა.

„რა იქნება მაშინ, გველეშაპმა რომ აჯობოს სუჯუნის წმინდა გიორგის?“ ვეკითხები ძიძას.

„ო, ღმერთმა ნუ ქნას შვილო, ჩვენი საქართველო და მთელი საქრისტიანო დაიღუპება“.

ახლაც ტანში მაქვს ის შიში ყოველ „შეჭეთობა“ ღამეს რომ მიგვრძნია.

შებინდებისას ბავშვებს ფაცხაში შეგვრეკავდნენ, ოსეოფას არ გადაჰვყროდით სადმე. თმებზე თაფლის სანთელს მიგვაწებებდნენ. ტანისამოსს სასთუმალს ქვეშ დავალაგებდით.

„ამაღამ დიდი ამბავია ტაბაკონაზე, იტყოდა ძიძა, აწი დიდი როკაპი მიუჯდება უშველებელ ცეცხლს; ქაჯები და ჭინკე-

ბი ყანებისა და მინდვრებისაკენ გასწევენ ადამიანებზე სანადიროდ... თუ სადმე ბავშვი მოიხელთეს, თმებს და ტანისამოსს შემოაგლეჯენ, გულს ამოართმევენ, დიდ როკაპს წაუღებენ. თუ სადმე უბელო ცხენი ნახეს, შემოასხდებიან და გასწევენ ტაბაკონასკენ..."

„კი მაგრამ, ძიძა, თუ ადამიანს გულს ამოართმევენ, მან რა უნდა ქნას?" ვეკითხები.

„ჰე, დია, განა ცოტა დადის უგულო ადამიანი?"

მე ვერ წარმომედგინა როგორ იცხოვრებდა უგულო ადამიანი ამ ქვეყანაზე. მინდოდა მეკითხა, მეშინოდა, ერთხელ ისიც ვკითხე: „ძიძა, რატომ მარცხნიდან არ უვლის ლობიოს ყლორტი სარს მეთქი".

გამიჯავრდა! „ბავშვმა ყველაფერი არ უნდა იკითხოსო". ამიტომაც ვსდუმდი.

ერთხელ წისქვილის წყალში ტანი დავიბანე. გამაცივა. ტუჩებზე გამომყარა. ძიძამ გამომილოცა. შავტარიანი დანით ნახშირი დაფქვა.

„შავი წყალი მოდიოდა, შავი გველი მოჰქონდა, შავსა წყალში შავი ჯოხი ჩავდე, გველი ამოყვა. შავი გველი, შავი ძაფით, შავ ეკალზე დავკიდე. ვინც შენ შავად შემოგხედა, მამა ღმერთთან წავჰკიდე".

ბუტბუტებდა. ცოტა ხანს სრულიად გაუგებარ სიტყვებს ამბობდა. შემდეგ ისევ აუწია ხმას:

„ხელი უშვი უქმურო აწი მაინც ავადმყოფს. საით მოსულხარ იქითკენ წადი. ქარბორია, ქარბორია... საით მოსულხარ, იქითკენ წადი. ლეკო — ლეკეთში, რუსო — რუსეთში და შენც უქმურო შენს სახლში წადი... ალიშქარი, ალიშქარი...: ქარბორია, ქარბორია". ისევ გაუგებარი სიტყვები და ისევ ხმა მაღლა:

„სუჯუნის წმინდა გიორგი, ცხელი შანთი, ცხელი შანთი, გულში ლახვარი, თვალში ნაცარი. შენი ბოძალით მკერდი გაუპე მას, ვინც გაზრდილი ჩემი გათვალა".

მე ყველაფერი მაინტერესებდა. ყველაფრის მიზეზი უნდა გამეგო. ვერც ის წარმომედგინა თუ ჩემ ძიძაზე და ჩემ მორდუზე უკეთ ვინმემ იცოდა ამ ქვეყნის ამბები.

ერთხელ ძიძამ მითხრა: ბაბუა მოკვდა, ხვალ სატირალში უნდა წაგიყვანოო. მე ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მომკვდარიყო ბაბუა. ერთი კვირის წინად იქ ვიყავი. ბაბუა ოხუნჯობდა, დადიოდა. თავის მიმინოებს ხელზე ისვამდა (მახარებდა მიმინოს ფეხებზე შებმული ეჟვნების მხიარული ჟღარუნი) მე მენახა, თურქულესგან მკვდარი ძროხა, ივანიასგან დახოცილი ქათმები, ჩემი მორდუს ნანადირევი გარეული იხვები შაშვები, მისგანვე მოკლული შველი და კურდღელი. მათ სიკვდილს მე არ შევსწრებივარ. ამიტომაც ვერც ის წარმომედგინა: მხიარული, კეთილი, ქინქლილივით წითელი ბაბუა როგორ უნდა მომკვდარიყო? ხომ არავინ მოჰკლა მეთქი ვფიქრობდი. სულ რამოდენიმე დღის წინად ბუხართან იჯდა. თავის გრძელტარიან წითელ ყალიონს ჩამოიღებდა ბუხრის თავიდან. დაბლა დასწევდა ყალიონის ტარს. ცალ ხელს მკლავზე მომკიდებდა. მეტყოდა: „აბა გადახტენი, ჩემო ჯიბუტა, ჰოპლა, ჰოპლა...“ მე ვხტებოდი მის გრძელტარიან ყალიონზე და ვკისკისებდი..

და ახლა ძიძა მეუბნება, რომ ასეთი მხიარული ბაბუა მომკვდარაო! ან როგორ უნდა დამეჯერებინა?..

ნათლად მახსოვს ის გზა, მე, დედამ, მამამ, ძიძამ და თორმეტმა ცხენოსანმა რომ გავიარეთ ჩვენი სოფლიდან მახლობელ სოფლისაკენ. მე მამას წინ ვუჯექი ტახტზე. როცა ბაბუა ჩემის სახლს მივუახლოვდით, ქალებმა საშინელი კივილი შეჰქმნეს. მე გული გამისკდა. რა აკივლებთ? ვფიქრობდი. ჭიშკართან. გზის გარშემო დარგულ ძეწნებზე შეკაზმული ცხენები დაებათ. ზოგსაც პატარა ბიჭები ატარებდნენ (მე ეს შემშურდა!), ჩვენ ჭიშკართან შევჩერდით. ვის ვუცდით? ვფიქრობ. ცოტა ხანში მოგვიახლოვდნენ თავშიშველი მამაკაცები. საქილეებზე შავი ჰქონდათ გადაკერებული.

„ვაჰვა, ვაჰვა“-ს ძახილით და ზარით წინ წაგვიძღვნენ ახალმოსულები. დედა და ძიძა ლოყებს იკაწრავდნენ. მეც ვტიროდი მათი შემყურე. მაგრამ ვერ გამეგო ყველაფერი ეს რატომ ხდებოდა. სასტუმროში ოთხივე კედლის გაყოლებით შავებში მოსილი თმებჩამოშლილი, ლოყადაკაწრული ქალები ისხდნენ ნოხებზე. დედის დანახვაზე საშინელი კივილი და ქორალური მოთქმა ატყდა. ქალების კივილს მამაკაცების ხმამაღალი ბღავილი და შავჩოხიანების გლოვის ზარი ბანს აძლევ-

და. შიშისაგან თმა ყალხზე ამიდგა, ჩემ ტანში თითქოს პაწია ჭიანჭველები დარბოდნენ...

ვტიროდი მეც სხვებთან ერთად ამ შემაძრწუნებელ მოთქმისა და ზარის გამგონე. არც მანამდის, არც მერმე ჩემს სიცოცხლეში არაფერს ასეთი გულშემზარავი შთაბეჭდილება ჩემზე არ მოუხდენია.

ჩემი სხეული თითქოს დაირღვა, ჩემი სული აწრიალდა. მით უფრო საშინელი იყო ჩემი შიში: მე არ ვიცოდი ეს ყველაფერი რისთვის ხდებოდა. გულშემზარავი იყო მათი სახეებიც. შავით დედასა და ძიძას (ჩემთვის მთელ ქვეყანაზე ულამაზეს არსებებს) საოცრად დამანჭოდათ სახე... მალმალე მივხედავდი მათ და გული მტკიოდა, რომ ასე უმგვანოდ დაღრეჯილიყვნენ. დარბაზში მიმოვიხედე, ბაბუა არსად სჩანდა, ჩემა თვალი კუბოს სახურავზე პაწია, ცინკისაგან გამოჭრილ თეთრ ანგელოზებსა და ყვავილებზე შეჩერდა. მღვდლის ბრჭყვიალა ყვითელი ფილონის დანახვაზე ოდნავ გავყუჩდი: მომეწონა რომ ეს თეთრწვერიანი, სათნო სახის მოხუცი მაინც არა სტიროდა, ხელში დიდი საცეცხლური ეჭირა და ამ საცეცხლურმა ბაბუას მიმინოების ეჟვნების ჟღარუნი მომაგონა... მე არ მაცალეს მისი ყურება. ძიძას რაღაც უჩურჩულა დედამ და გარედ გამიყვანეს. ცოტა ხანს ტირილი შეწყდა. ხან ერთი დეიდა მეფერებოდა და ხან მეორე. დავკმაყოფილდი. არც ისე ცუდ ადგილს მოვუყვანივართ მეთქი, გავიფიქრე.

ბაბუაჩემის ბამბუკის ყავარჯენს მოვახტი, ჯირითი გავმართე. ჯირითი მალე შემაწყვეტინეს. ისევ გაისმა ცად ამწვდომი კივილი, შავჩოხიანების გლოვის ზარი, ძიძამ ისევ სადარბაზოში შემიყვანა.

წინა აივნის კიბიდან რომ ჩამოიტანეს კუბო, დავინახე ბაბუა ახალ ჩოხაში გამოწყობილი იწვა, მისი თეთრი წვერები ვიცანი: სადღა იყო მისი ქინქლილივით წითელი სახე, მე გადავწყვიტე, ბაბუა ისე გამოწყობილა, ალბათ სადმე მიყავთ მეთქი. ძიძამ აივნიდან ისევ სადარბაზოში შემომიყვანა. აქ ყველაფერი მეუცხოვა. მხოლოდ ბუხარზე თავის ადგილას დავინახე ბაბუას გრძელტარიანი წითელი ჩიბუხი. ძიძას კალთა ჩამოვწიე.

„ბაბუას ყალიონი დავიწყებია". ვუჩურჩულე ყურში. და

ჰომაგონსდა ისევ რამოდენიმე დღის წინად [illegible] ბაბუას „ჰოპლა, ჰოპლა“.

სულ რამოდენიმე წუთის წინად ნახული საშინელება ლახტის უსწრაფესად შესცვალა ბაბუას დიდი ოდის გარშემო ფედარდელმა ჯირითმა.

მღვდლის ფილონის ნახვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს ნაცრებ ფანტაზიაზე.

იმ ღამეს მესიზმრა: დიდი ვიყავი. თეთრ ღრუბლებზე ფეხი მედგა. ბრწყინვალე ფილონი მეცვა, ხელში ოქროს საცეცხლური მეჭირა და მთელ ქვეყანას სურნელოვან ალოეს ვაკმევდი...

ერთხელ მორდუს კისერზე ვაკოცე და შევეხვეწე: კიდევ აჩვენებინა ჩემთვის ის ყვითელტანისამოსიანი კაცი. ნატვრა ამისრულდა. იმავე კვირას ეკლესიაში წამიყვანეს წირვაზე. მე კმაყოფილმოყვაოლობისაგან ვიწოდი, ვათვალიერებდი კედლებზე დახატულ, უამრავ წმინდანებს. ახლაც მახსოვს, მორდუმ მაჩვენა საკურთხევლის მარჯვენა კარზე: მიწაზე გართხმულ ვეშაპს თავზე ფეხს აბიჯებდა უცხოშველი ფრთიანი კაცი, მოცხნით თეთრ რაშზე შემჯდარი ცხენოსანი გველეშაპს ლახვარს სცემდა ხახაში.

„ეს მარჯვენა — წმინდა გიორგია“, მითხრა მორდუმ. ძლიერ გამეხარდა, რომ მის ნახვას ველირსე. ჩემი ყურადღება მიიქცია ჯვარზე გაკრულმა შიშველმა კაცმა, რომელსაც რამოდენიმე ნამსჭვალი ჰქონდა დალურჯებულ ტანზე, და ხელის გულებზე. ამ სურათის შეხედვაზე ჟრუანტელმა დამიარა. ეკლესიიდან რომ მოვდიოდით, მორდუს არ მოვეშვი, გამოვკითხე, თუ ვინ იყო ეს კაცი, ან ჯვარზე რისთვის მიულურსმავთ მეთქი. მორდუმ ამიხსნა, რომ ის კაცი ურიებმა ჯვარს აცვესო.

„რას ერჩოდენ მერე?“

„იმას, რომ ურიები ცუდი ხალხია. ქრისტე კარგი იყო.“

ამის შემდეგ ჩემ თავს ურიების მტრად ვთვლიდი.

მე არ მომწონდა ჯვარზე გაკრული კაცის დალრეჯილი სახე, მაგრამ ძლიერ მეცოდებოდა იგი.

ეკლესიის თაღზე ერთმა სურათმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება: მოხუცებულ გრძელწვერიან კაცს, რომელზედაც მორდუ მეუბნებოდა ღმერთიაო, თეთრი მტრედი აჯდებოდა თავ-

ზე. ნათლად ვერ წარმომედგინა თუ რანაირი ღმერთი უნდა ყოფილიყო ის მოხუცი, მტრედიც რომ არ ერიდებოდა და თავზე აჯდებოდა? ეს საკითხი დიდხანს აუხსნელი დარჩა ჩემთვის. მერმე მორდუ ამბობდა: ქრისტეს ბავშვებიც ჰყვარებიაო, თურმე. ჩვენ სათამაშოებს ერთი ახალიც მოემატა. მე ქრისტეს წარმოვადგენდი, ვითომ ქრისტე ვარ. ჩემი ძიძიშვილები ურიების როლს თამაშობდნენ დაბალ ძეწნის ხეზე — ჯამლეთმა ჯვარედინად მიაჭედა ფიცარი. მე გამიყვანეს და გამაკრეს. ეს წარმოდგენა იმით გათავდა, რომ ცალი ხელი ძეწნის ტანსა და ფიცარს შორის დამრჩა; ძიძა რომ არ შეგვსწრებოდა და დროზე არ ჩემოვეღეთ „ჯვარიდან". ალბათ ხელი მომტყდებოდა: მთელი თვე შეხვეული მქონდა მკლავი და ამის შემდეგ ჯვარცმის წარმოდგენაც აღარ მოგვიწყვია.

სამაგიეროდ უფრო კარგმა ამბებმა გაიტაცა ჩემი ფანტაზია:

გიორგობას სუჯუნას წაგვიყვანა მორდუმ ფარდაგებით გადახურულ ურემში ვიჯექით მუთაქებზე. ბავშვებს ჩვენი საყვარელი ბატკნის მეთვალყურეობა მოგვანდეს. ამდენი ხალხი ერთად არ მენახა. წ. გიორგის ღამეს უთევდნენ. ათასგვარი ჩმა დადიოდა: ვიღაც ქალაგმა მეორედ მოსვლა იწინასწარმეტყველაო. იმ ღამეს წ. გიორგის ცხენის ნალი იპოვნესო.

მოხუცებული კოხტა თელია ეკლესიაში უნდა დაემწყვდიათ. გარედ ბოქლომს დაადებდენ საყდარს. წ. გიორგი უნდა გამოცხადებოდა, ქვეყნის მომავალი გაემჟღავნებინა.

ეს საოცარი ამბები მისტიურ შიშს მგვრიდა. შიში და ცნობისმოყვარეობა იბრძოდა ჩემს გულში. რა გააძლებინებს მარტო დაბნელებულ ეკლესიაში სალოცავ მოხუცს? ვფიქრობდი, მუდამ საოცარ შიშს ვგრძნობდი ეკლესიისა და სასაფლაოს წინაშე. მერმე იმ ღამეს!

საშინელი. გარდაუვალი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზე თეთრად მოსილმა, ქანგიანი ჯაჭვებით დატვირთულმა, წმინდა გიორგის მონებმა. თეთრებში ჩაცმული ქალები და კაცები ლიტანიობდნენ საყდრის გარშემო. დორბლმორეული როკავდნენ. გაუგონარ სიტყვებს როშავდნენ...

დასაკლავი ბატკნების ბღავილი, გამოსალოცად მოყვანილი ბავშვების ღნავილი. გალავანის გარშემო დაბმული ცხენების

ჰიხვინი, ურიცხვი მლოცველების ტაშფანდურა. ყველაფერი ეს კოშმარული სიზმრის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

მეორე დილას ურემზე გამომეღვიძა. დიდხანს გონს ვერ მოვედი, სად მოვსულიყავი? როცა კოხტა თელიამ ენაარეული ბოდვა დაიწყო. ასე მეგონა ქაჯების ენაზე ლაპარაკობდა.

განაგონი მქონდა: წ. გიორგი საქართველოსა და საქრისტიანოს მფარველია, გველვეშაპების, ცუდკაცების, ქაჯებისა და ჭინკების მტერიაო. ეს ვერ გამეგო, თუ რათ აწვალებდა ამდენ ხალხს, რა საჭირო იყო ეს ღამის თევა, ამდენი ბატკნების დახოცვა. რად ესაჭიროებოდა ღმერთს ამდენი უცოდველი სისხლი?

გიორგობიდან რომ დავბრუნდით, ავად გავხდი, საშინელი სიცხე მქონდა. მთელი ჩემი სხეული ნაცრიებ იფნასავით კანკალებდა. გული მერეოდა. წელი და მუხლები მტკიოდა... სიზმარ-ცხადად ვხედავდი: ჩემს გარშემო ნელ-ნელა იძირებოდნენ საგნები ბურუსიან, რძისფერ ნისლში; როცა ძიძა მოუახლოვდებოდა ჩემ საწოლს, შევკრთებოდი, მოჩვენება მეგონა. ვხედავ, ჩემს გვერდით უშველებელი მაღალი კუბოა, მაღალი თეთრი სანთლები, ვიღაც თეთრფრთიანები მიახლოვდებიან, ფრთებს აშრიალებენ. გარეთ ისლის სახურავიდან მონოტონურად, ნაღვლიანად ეცემიან წვიმის წვეთები.

მერმე მიამბო ძიძამ: საოცრად მაბოდებდა თურმე „არ დაჰკლათ, არ დაჰკლათ. წ. გიორგი გაწყრება“. ვყვიროდი...

ოდნავ გამოვკეთდი. ახლა ნათლად ვხედავ ძიძას ნაოჭებიან, ნაყვავილევ სახეს „თუთაში, თუთაში“, ჩურჩულებს. დაწოლის დროს ძიძა ეუბნება მორდუს:

„ხატმა იწყინა ალბად“.

„რას ამბობ, დედაკაცო, რისთვის გაუწყრებოდა ხატი ანგელოზს?“

„ჩვენ ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ. ჯორა უნდა შემოვავლოთ“.

მეორე დღეს ძიძამ ჩემი ლოგინი შუა ცეცხლთან დადგა, ფაცხის კარი გაიღო. მორდუს მოზვერისთვის რქაში წაევლო ხელი, ფაცხაში შემოჰყავდა. ჯერ არ მენახა მოზვერი რომ ფაცხაში შემოეყვანათ. ყურდაცქვეტილი შევჰყურებ: რა მოხდება?

მორდუმ სამჯერ შემოატარა მოზვერი ჩემი ლოგინის გარშემო. რაღაცეებს ბუტბუტებდა. მალ-მალე ახსენებდა წ. გიორგის. ძიძამ შავტარიანი დანა მოუტანა. მორდუმ კარის ზღურბლამდის მიიყვანა მოზვერი. ცალი ყურის წვერი ულმობლად წაათალა. გააგდო.

წამოვხტი ლოგინიდან, შემეცოდა საბრალო ჯორა და ვიტირე. ძიძა მანუგეშებდა:

„ნუ სტირი, სქანსანთელო, შენ შემოგავლეთ თავზე ჯორა; წმინდა გიორგი სუჯუნა შეიწირავს შენს მაგივრად“.

ავადმყოფობამ გამიარა. მე ველარსად ვნახე ჩემი მოზვერი, ყველას ვეკითხებოდი. მისი მნახველი არავინ აღმოჩნდა. ჯამლეთი მიხსნიდა:

„ჯორას ვინმე ნახავს და სუჯუნის წმინდა გიორგის მიჰგვრისო“.

ერთხელ მორდუ მარტოკა დავიხელთე. კისერში ვაკოცე და ვკითხე:

„რომელია უფრო ძლიერი, ქრისტე თუ წმინდა გიორგი“.

„რა თქმა უნდა, წმინდა გიორგი!“ ამბობდა მორდუ.

„რატომ“?

„ქრისტე მუდამ ჯვარზე ჰკიდია, ხელები დაჭედილი აქვს. წმინდა გიორგი რაშზე ზის, ხელში ბოძალი უჭირავს და ჩვენს ქვეყანას იფარავს“.

მე ისიც მინდოდა მეკითხა, რატომ უნდა ყოფილიყო ქრისტე მუდამ ჯვარზე გაკრული, ან წმინდა გიორგის ვინ მისცა ასეთი ძალა, რომ გველვეშაპებს, ქაჯებსა და ადამიანებს მისი ეშინიათ, მაგრამ თავი შევიკავე.

ეს ის დრო იყო, როცა მე ჩემს სახლში წამიყვანეს, ჩვენი სოფლის დიაკონს მიმაბარეს. ამიერიდან ჩვენი დიაკონი მიხსნიდა ასეთ საჭირბოროტო საკითხებს. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ჩვენს დიაკონსაც ისეთივე ბუნდოვანი პასუხის მოცემა სჩვეოდა, როგორც ჩემ საყვარელ მორდუს და ჩემ ძიძას. ზოგიერთ რამეებს მორდუ უკეთ მიხსნიდა, ვიდრე „ნასწავლი“ კაცი. ასე რომ ტაია შელიას მაინც ვერ ჩამომაშორეს.

თევზაობისა და ნადირობის დროს გველი თუ შეგვეფეთებოდა, შეჩერდებოდა. ნებანებას მიუშვებდა. ორ თითს ტუჩზე მიიდებდა. შეულოცავდა. უნდა გენახათ წელმოტეხილი ქვე-

მძრომი უმწეო სხმარტალს რომ დაიწყებდა. დაიხრებოდა, კისერში ხელს წაავლებდა. თოკივით დახეშავდა და ახალუხის ჯიბეში ჩაიდებდა.

ჯარობისა და ხატობის დროს, როცა ჩვენი სოფლის გლეხები ეკლესიის მოედანზე ღრეობდნენ, ჯირითობდნენ და ლეკურს ცეკვავდნენ, ტაია შეუმჩნევლად ბრბოში გაერეოდა (ტაიას არასოდეს უცეკვნია ქალთან), გაშლიდა ხელებს, ერთს ჩაუვლიდა. ცხვირსახოცის ნაცვლად გველს დააგდებდა მიწაზე და ისე დაუვლიდა, როგორც შეპყრობილი სუჯუნის წმ. გიორგის მონა. ვინ ანდობდა მას ან რძალს, ან სასძლოს!

ათასნაირ ბნელ ისტორიებს მიაწერდნენ უკვე ხანშიშესულ ტაია შელიას.

უკვირდათ ძმებსა და ქმრებს:

„რითი ჰხიბლავს ამ დედაკაცებს ეს წაწყმედილი ტაია შელია?“ ტანმორჩილი, სახე ნაყვავილევი... მაგრამ თვალები... მისი თვალები შეიცავდნენ ალბათ ცთუნებას.

„რამდენი ქალის ცოდვა მოეკითხება მას!“

14 წლის ვაჟი არდადეგებზე მღვდლის გოგონას მზეხარს გავუმიჯნურდი. მზეხარ დამინახავდა თუ არა, გაწითლდებოდა, გამირბოდა.

„არ შემარცხვინო, წიე, შენი მორდუ“. მეტყოდა ტაია. „დედაკაცი ისე უნდა გათვალო, როგორც პეპელას გათვალავს გველი“.

როგორ გათვალავს პეპელას გველი? გავიფიქრე. არ ვკითხე. გულთმისანი მიმიხვდა.

ერთხელ მაყვლნარში შემახედა: გველი მზეზე თბებოდა. იქვე მაყვალზე მოზრდილი პეპელა შემჯდარიყო. გველმა კისერი წაიგრძელა. ანჩხლი თვალებით შეაშტერდა. პეპელა გაქვავდა მისი ჯადოსნური წითელი თვალების ლაპლაპზე. ლანდის სისწრაფეზე იმსხვერპლა ლამაზი სიცოცხლე გრძნეულმა თვალმა.

„ხომ ხედავ? ასე!...“

ტაიას უხაროდა გველის მაგივრად, როგორც მასწავლებელს — შეგირდის წარმატება.

„შვილს გადამირევს ოჯახქორი ტაია შელია“. კვნესოდა მამა.

ავყია. მეოცნებე. გაქსუებული. სახნისის, ნაჯახის და თოხის ხელის შევლება ეზარებოდა. არც კოჟრები უნახავს ვინმეს ტაიას ხელზე. მეთევზე და მეჯოგე. უბადლო მოჯირითე. შეუდარებელი მსროლელი.

ხელში ან თოფი ეჭირა, ან სასროლი ბადე და ანკესი. მთელი ღამეები ნოთეზე დავყავდი. დღისით დუქნის წინ იჯდა. ლოთობდა, ან ნარდს თამაშობდა, ოხუნჯობდა. ქორწილებში პირველი თამადა, ქელეხებში მოზარეთ-უხუცესი. ხანდახან ისეთ მიცვალებულს დაიტირებდა, სიცოცხლეში რომ თვალით არ ენახა. შორეულ სოფლებში მიჰყავდათ ტაია შემცხადებისა და ზარის მოსაწყობად.

მისივე ხელობა იყო: ხატზე გადაცემა, თავზე შემოვლება.

როცა ტაიას ვინმეს დააწყევლინებდნენ, ხარის უღელს მიაჭედავდა წმინდა გიორგის ეკლესიის ცაცხვზე.

„საქმე მორჩომილია“, ამბობდნენ გლეხები. მთელ სოფელს ეშინოდა მისი.

დღეს 32 წელი შემისრულდა.

ნახევარი ხმელეთი მომივლია. შვიდი ენა შემისწავლია, შვიდი ხალხის ყოფაცხოვრება შემიცვნია.

ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ ულრან ტყეში. შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვნე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია! ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომალამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი — გულთმისანო ჩემო გამზრდელო!

ეგებ შენ მასწავლო გზა. როგორ გავიდე ამ ულრან ტყიდან. განა არ გესმის?

„გზა!“ იძახის ადამიანი საუკუნოების ირიბ მიჯნებზე.

„გზა!“ იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფერები.

„გზა!“ იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისგან ნაბოძები სამაჯე, მაგრამ მაინც არ ვიცი საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი.

ეგებ შენ მასწავლო: გამოუთქმელი როგორ გამოვთქვა, თუნდაც ამ პატარა წიგნში, ან გონება როგორ უნდა მისწვდეს იმას, რასაც თვალი აჰდევნებია.

შენ მიამბობდი, ახლაც კი მახსოვს: ვინ იყო ის კაცი, ქვიშის კიბე რომ ცაზე მიიდგა და ღმერთი ციდან ჩამოიყვანა? მერმე ატარებდა მას, ისევე, როგორც შენ გიტარებია გველის ტყავი ახალუხის უბეში?

ტაია შელია! გეძახი სამჯერ, შორსა ხარ ჩემგან შორეული და განუყრელი. ტკბილად გახსენებ, ჩემ სულში მყევხარ, არ შემიძლია მაინც არ დაგწყევლო. რისთვის გამზარდე, ოჯახქორო ტაია შელია, ან ჩემი თავი მამას რატომ დააწყევლინე?

შენ ხმას არა მცემ? სივრცეები გართხმულან ჩვენს შორის.

ნუ თუ ყველაფერი გათავდა მას შემდეგ, რაც ატირებული მომიყვანე ჩემსავე სახლში. დედის კალთაში ჩამაგდე ისევე, როგორც ბუდიდან გადმოვარდნილი გულწითელას მართვე და ჩემი გაზრდის საფასურად ორი ლაფშა ცხენი და ჩვენი წიქარა ხარი წაიყვანე. მას შემდეგ შენი ხმა არ მომწვდენია, მაგრამ მაინც ვერ მოგიცილე, როგორც ლანდი ჩემივე ტანის. ვეღარც ის წყევლა მოვიცილე, მამის პირიდან რომ გადმოინთხა ადუღებული ფოლადის ღვარივით, თავზე გადამექცა, სახე ამიწვა და დამდაღა!

არ მახსოვს თარიღი ამ ბედითი ცხოვრების წამის.

ო, ის ბნელი, ღრუბლებიანი ზამთრის საღამო!

ჩვენს სახლში ფანჯრებიდან ქურდებივით შემოიპარნენ მწუხრის ლანდები და კუთხეებში აიტუზნენ, როგორც გაუგონარი სასწაულის მუნჯი მოწმენი.

მომაკვდავი მამა მოუსვენრად ბორგავდა თავის საწოლზე.

მან ხელები საშველად გამომიწოდა. ხელში ავიყვანე. ბალიშები მივუდევი კედელზე და ზედ მიეყრდნო. ოთახში დარჩენილი სინათლე დალია მზეგადასული თვალებით. ერთ წამს შეჩერდა. წარბები შეიჭმუხნა. ეტყობოდა, უფარდო ფანჯრიდან იყურებოდა.

„ეს ვისი ურმებია ჩვენს ეზოში რომ შემოსულან ჩემდა უკითხავად?“

„შენ გეჩვენება, მამა, ეს სიმინდის ღეროებია ნასიმინდარზე“.

„ეს ვინლა არის შავნაბადიახი, ხედავ, ეზოში უკითხავად შემოჯირითდა?“

„ეს ლელვის ხეებს საფრთხობელა რომ გავუკეთეთ... შენ არ მიბრძანე შემოდგომაზე... მე გადავაცვი ძველი ჩოხა ლელვების შტოებს და საფრთხობელა ფრიალებს ქარში“.

„შეხე, ტოტები დამსხვრევია იმ ატმის ხეებს. ამას ხომ ხედავ?“

ვსდუმვარ.

„ბიჭი ამბობდა: ბაღში ატმები და მსხლები მთლად გაუჩანაგებიათ თოვლს. შენ კი არაფერი გინდა გაიკითხო. მთელი დღეები გარეულ იხვებს დასდევ. გლეხებმა ბოიკოტი გამოგვიცხადეს. ოჯახი თავზე გვექცევა. მარანი და ნალია გადასათოვლია, ხეები დასაწერტყია. შენ ნადირობას გადაჰყოლიხარ“.

ისევ ვსდუმვარ.

„ეზოში სხვისი ურმები შემოდიან. შენ სანადირო თოფს სწმენდავ და უკირკიტებ“.

მე ხმას არ ვიღებ.

მან თავისი ქორივით მძაფრი თვალები ჩამასო გულში.

მე თავი დავლუნე, ვხედავ: მის უსიცოცხლო, დამჭკნარ ხელებს. მის მწვანე ძარღვებს. ხელები მომკვდარან კიდეც. ისე ელაგნენ წითელ ბალიშზე, როგორც ორი ფერმკრთალი ძმა სისხლიან სარეცელზე.

„თუ ამ ოჯახის ფუძე და საძირკველი დაანგრიო, ამბობდა მომაკვდავი, ისე ადუღდეს ჩემგან ნასესხები სისხლი მაგ შენს ძარღვებში, რომ შენვე სძიძგნიდე იმ ჩემ ხორცს მაგ შენს მკლავებზე, როგორც დამშეული ფოცხვერი — ირმის ჩონჩხს.

„თუ ჩემი და ჩემი წინაპრების სისხლით და ოფლით მონაგარი მამული გაჰყიდო, ან გაჰფლანგო, ნუმც გაჩვენოს ღმერთმა ის სიხარული, საკუთარი ხელით გამარგლული. სიმინდის აბრეშუმივით ფოჩვებისგან რომ იგრძნობს მეყანე, ნუმც საკუთარი ხელით გასხლული ვაზის გულამომჯდარი ქვითინის სიტკბოება.

„თუ კვამლი ჩააქრო ამ ოჯახში, ისე გაგაქროს წმ. ხახულის ღვთისმშობელმა, როგორც ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალი. და თუ ჩემი გზა დაივიწყო და ტაია შელიას უკულმართ

გზებს მისდიო, ღმერთმა გზა დაგიბნიოს. თუ ჩემი სიტყვა შენი გონების ყამირზე არ დაეცეს, ჩემი შენდამი მობარებული თესლი ისე მოგიშხამოს სუჯუნის წმ. გიორგიმ, რომ ვერც ერთმა დედაკაცმა ვერ გაუძლოს შენი თესლის ნაყოფის შობას. და ყოველი ქალი...“

დედა წამოვარდა... თმები სახეზე ჩამოუცვივდა. ლოყებზე ქრუანტელის ბუსუსები გამოესხა. თითებით ყურები დაიცო.

„შენ ვინღა გკითხავს, დედაკაცო?“ დაიღრიალა ავადმყოფმა და განაგრძო:

„...ყოველი ქალი, რომელსაც შენ გაეკარები, ისე უნაყოფო ქნას წმინდა გიორგიმ და მაცხოვარმა, როგორც ეწერის ქაობში მდგარი თხმელა, ზამთარ-ზაფხულ შტოებ შემხმარი ყვავილს რომ ვერ ისხამს“.

მე სახე დამიგრძელდა.

საფეთქლებში სისხლი ამივარდა.

ჩემსა და მას შორის გაიბზარა რაღაც, რაც უკუნითი უკუნისამდე არ უნდა გაბზარულიყო. გაცოფებული მივვარდი კუთხეში მიყუდებულ სანადირო თოფს... მაგრამ დედა ჩადგა ჩვენ შორის.

და თავი შევიკავე. ტუჩებზე ვიკბინე, სისხლი ღვართქაფით წამომივიდა პირიდან.

მე არ ვუცადე, ვიდრე სული ამოხდებოდა. მესამე დღეს ქალაქში გავიგე: მამა მომკვდარა. ჩვენი სოფლის გლეხებს არ დაუმარხავთ, რადგან იგი მიწის კაცი იყო. მიწა უსაზღვროდ უყვარდა. მუდამ მიჯნებზე ედავებოდა გლეხებს და მეზობლებს. შორეულსა და მახლობელს ყველას მიწას უჩივოდა, მიწას ედავებოდა.

ამიტომაც მიწასთან არ მიუშვეს იგი ჩვენი სოფლის გლეხებმა.

მე ცა მეძახოდა. იგი მიწას ებღაუჭებოდა და გატყდა ჩვენ შორის რაღაც, რაც უკუნითი უკუნისამდე არ უნდა გამტყდარიყო.

მე დავანგრიე მამაჩემის სახლი. მისი ეზო მეზობლის ობლებს დავურიგე. მე ამოვაჭრევინე მისი ვენახი. იქ, სადაც მამას ამერიკული ვაზის ნაშენები ჰქონდა, დღეს სოფლის ბიჭები ბურთაობენ.

მისი მიწები დედამ გაჰყიდა. ფული ჩემი ხანგრძლივი მგზავრობისათვის მოვიხმარე.

ამიხდა კიდევაც მამის წყევლა, ადუღებული ფოლადივით თავზე რომ გადამექცა და სახე ამილეწა.

ტაია შელია, ეს რა მიქენი?

მამის წყევლის მიუხედავად, თამამად გავსულვარ მუდამ ცხოვრების ასპარეზზე. მე მყავდა ჩემი მფარველი, დიდი ბატონი.

სათევზაოდ, სანადიროდ, ბირჟაზე, გამოცდაზე, ომში, თუ ზღვაში გასულს მუდამ წმ. კონსტანტინეს შანა მქონია კისერზე შებმული.

არც დიდი მტრობა და სიძულვილი შემხვედრია ადამიანებისაგან, რადგან არც ქონებაში, არც სახელში, არც ფულში მე მათ არ შევცილებივარ (ორიოდე დუელი თუ შემხვედრია, ისიც ქალების გამო). უშურო თვალებით შევსცქეროდი მუდამ მწერლების სახელს და დიდებას, მინისტრების პორტფელს, ბანკირების ჯიბეებს, იუველირების ვიტრინებს, ბანკებს და სასახლეებს. ჩემი მარტოხელა გზა მიიმართებოდა მაღაზიების, ქარხნების, ბირჟების, ქარვასლების და ბანკების გვერდით. მუდმივი მეთვალყურე ადამიანის მოუსვენარი ცხოვრებისა. მათი ქორწილების, დარბაზობის და ნადიმების მოკრძალებული სტუმარი.

მე თავდაბალი ვიყავი. მაგრამ თავდაბლობა ასე მესმოდა: არ უნდა სთქვა სხვაზე უკეთესი ვარო. ჩემთან მისანი რომ მოვიდეს და მითხრას: სხვას სჯობიხარო, ვეტყოდი, შენ მისანი არა ყოფილხარ მეთქი. ჩინის ქვაზედაც წერებულა: დამბადებლის მეტს არავის ეყმო, არც აროდეს დაივიწყო, რომ შენ სუფეწული ხარ. და თუ ოდესმე ადამიანებს უმართებულოდ უსვრიათ ჩემთვის ქვა და ტალახი, მე მათ ჩემი ტაძრისთვის ვიყენებდი. ამ ტაძრის საძირკველი არასოდეს დაჰკარგვია მიწას. მრავალი კერპი მდგარა იქ, მათ შორის ყველაზე დიდი და სასურველი: ღმერთი უსახელო. მე მის ძებნაში დავლიე ჩემი სიჭაბუკე. გავთელე გზა გაუთავებელი. ტაია შელიას ისლის სახლთან ვხედავ მის სათავეს, ხოლო მის დასასრულს — მოუსავლეთში.

სინემატოგრაფის სისწრაფით გაიარა 32 წელმა, არც კი ვიცი ამ დღემდის როგორ მოვაღწიე? რატომ ავტომობილმა არ გამიტანა დიდი ქალაქის ქუჩებზე მოყიალე, ან ცოფიანმა

ძაღლმა არ დამკბინა უცხო ქვეყნების მინდვრებსა და თემშარაზე მოხეტიალე.

უცხოობაში ავადმყოფობის და შიმშილის შიში აროდეს მიგრძნია და ახლაც საუნოებით ვიმეორებ: „მიჰხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არც საუნჯესა შეიკრებენ“.

არც თუ დიდი შიში მიგვრძნია ამ უღრან ტყეში. და უშიშარი ვარ არა იმიტომ, თითქოს დიდი გმირი ვიყვე, არა, — რადგანაც ბავშვივით უზრუნველი ვიყავი მუდამ.

ვიცი: ყველაფერი შემთხვევაა ამ ქვეყანაზე. ალბად ისიც, მე კონსტანტინე რომ შემარქვა ჩემმა კარგმა ნათლიამ.

მე მგონია: სახელს დიდი გავლენა აქვს ადამიანზე. მწამს სახელების მაგია!

ზოგიერთ მოგონებას ბავშვების თეთრფრთიანი სერაფიმები ინახავენ თავიანთ რბილ იღლიას ქვეშ!

ისევ უკან ვიხედები: ჩემი ბავშვობის დილა. დედის ოთახის ფანჯრებზე ირიბულად წამოსული სხივის არშიები ციმციმებენ.

ადრე გამეღვიძა. მწოლარე ვოცნებობ. სხეულზე ხელს ვისვამ, ჩემი სული განუსაზღვრელი სიხარულით ივსება.

ჩემი საწოლის პირდაპირ არგვეთის მთავრების: დავითისა და კონსტანტინეს სურათი ჰკიდია. ორი აბჯროსანი, ფარ-შუბიანი რაინდი. თეთრი შარავანდედის გვირგვინი ადგიათ თავზე საქართველოს წმინდა მოწამეებს.

დავითი მაღალი, წვერიანი. კონსტანტინე ტანმორჩილი. უწვერო. ხომ ეწერა არგვეთის მთავრების ცხოვრებისა და მარტვილობის წიგნში: „ხოლო კონსტანტინე გუამითა შუენიერ, მოწაბლო თმითა და წვერ გამო“.

უნდა გენახათ: უკვე მოზრდილი ბავშვი ჩემ ცხენ-ჯოხზე გადამჯდარი „მახვილ ამოწვდილი“ რომ დავერეოდი გამხმარ ჩალის ღეროებს და უწყალო ჩახაჩუხი ატყდებოდა!

მე — ეთერტაიჭიანი წმ. კონსტანტინე, ჩალის ღეროები — საქართველოს ურიცხვი მტრები.

12 წლის ვიქნებოდი. დედამ გიმნაზიაში წამიყვანა. ათას უცნობთა შორის მარტო დამტოვა. ჩემი გულზვიადი თავმოყვარეობა განუსაზღვრელად დაპატარავდა. ვგრძნობდი: უკვე

აღარ ვიყავი თევზების დარანების, ჩიტების ბუდეების მრას-ხანე ალა-მაჰმად ხან, უებარი მეთევზე, ჩვენს ეზოში შეუდა-რებელი შვილდოსანი. აქ მე ჩირადაც არვინ მაგდებდა, ყველა ისე მიყურებდა, როგორც ინდოეთიდან ჩამოყვანილ მაიმუნს. ზოგი ენას გამომიყოფდა და თავხედურად ჩაიჯირითებდა ჩემს გვერდით. კლასში რომ შემვრეკეს, თეთრბლუზიანი, ჭორ-ფლიანი ქვიმატი მეკითხება:

„შენ რა გვარი ხარ?“

„სავარსამიძე“.

„ასეთი გვარი ჯერ არ გამიგონია სწორედ“.

გესლიანად იცინის და ინკვიზიტორულ დაკითხვას განაგ-რძობს:

„შენი სახელი?“

„კონსტანტინე“.

„ო, ო!,“

ხმა ჩაიკმიდა. მე გავთამამდი:

„მაშ არც ეს გაგიგონია?“ (გამეხარდა: მაშ ჩემდენი არ უკითხავს მეთქი, გავიფიქრე).

„როგორ არა... მოწამეთაში რომ არის, არა?“

როგორი შეურაცხყოფა ვიგრძენი, რომ ჩემი გვარი ამ ქვიმატსაც კი არ გაუგონია. მაინც ვინუგეშე თავი: ესეც კარ-გია, აკაკი წერეთელსავით ცნობილი სახელი მაინც მქონია მე-თქი. ამის შემდეგ მუდამ ვამაყობდი ჩემი სახელით, რაკი სა-ვარსამიძეების მოდგმას არაფერი გაუკეთებიათ ჩემი დიდი პატივმოყვარეობის დასაშოშმანებლად.

ჩემი ძვირფასი დედა! ჩემს გაჩენამდის წმ. კონსტანტინეს შეჰვედრებია. მოწამეთას ფეხშიშველად ხლებას შეჰპირებია მამა წინააღმდეგი იყო.

„შენს აღთქმაზე ფიქრობს სწორედ წმ. კონსტანტინე, სხვა საქმე არა აქვს“, იცინოდა იგი.

დედამ საქმეები მოიმიზეზა და ქუთაისიდან წამიყვანა ფე-ხით.

რა ნათლად მახსოვს ჩვენი გამგზავრება მოწამეთისკენ. ქვიშიანი, ვიწრო ლიანდაგი. წყალწითელის მწვანე ნაპირები. მთის ფერდობებზე შეფენილი ვენახები და ხეხილის ბაღები. ოჩოფეხებზე შემდგარი იმერული ოდები და ნალიები. ავდრი-

სა და ნიაღვრებისაგან დაღადრული კლდეების მკერდი. მწვანე მუზარადიანი მთები.

ღამდებოდა. დედა მაჩქარებდა. ფეხები კაჟიან კენჭებმა დამისერა. წუღებში სისხლი ჩამიდგა. მუხლები მეკეცებოდა თავი ტყვიასავით მიმძიმდებოდა. დედას არ ვუმხელდი, ერთი არ დამიკვნესია. უკვე უებარ რაინდად მომქონდა თავი (ეს კი ვიცოდი, რაინდები აღარ კვნესიან!).

მოწამეთის თეთრი მონასტერი. ხავსმოდებული სახურავი. მიწაში ჩავარდნილი უსახელო საფლავები (როგორ მაინტერესებდა, ვისი უნდა ყოფილიყო ის საფლავები?).

ეზოში აუარებელი შავებიანი მონაზნები დადიოდნენ. ცნობისმოყვარეობამ წამძლია: დედას შევეკითხე, თუ რათ ჩაეცვა ამდენ ხალხს შავი? ვინ მოკვდომიათ მეთქი. დედამ განმიმარტა, რომ მონაზნები ამ ქვეყნიდან გასული არიან, სულით მგლოვიარენი, მიტომაც შავები აცვიათო (ვერ გავიგე, რატომ შავი ეცვათ და არა თეთრი: მაგრამ შემეშინდა, რეგვენი არ ვეგონო-მეთქი და გავჩუმდი). მერმე დაიწყო დედაჩემის ლიტანიები. სიხარულის და ექსტაზის ცრემლები. უშველებელი შავი გრანიტის კუბოს ქვეშ სამჯერ ფორთხვით გაძრომა.

როგორ მინდოდა იმ შავ კუბოში ჩამეხედნა, მენახა: როგორი სახე ჰქონდა კუბოში მწოლარე რაინდს (დედამ ყურში ჩამჩურჩულა: ეს საიდუმლოდ დაცულიაო). ეს სიტყვები ახელებდნენ ჩემს ფანტაზიას.

ახლაც ვატარებ მკერდზე იმ პატარა, სამკუთხედ შანას, მონასტრის კეთილმა წინამძღვარმა რომ მაჩუქა იმ საღამოს. ხოლო არგვეთის მთავრის რელიქვიები, რომელთა ნახვა მე შემდეგაც არ მღირსებია, დღემდის დაცულია ჩემს გულში, როგორც უშველებელ შავს კუბოში ჩაკირული, მიუწვდომელი და შეუცნობი საიდუმლოება.

არის ამ ქვეყნად მაღალი საკურთხეველი, როცა იქ მიაღწევ, შენი მიწიერი არსება ნათხოვარი ტანისამოსივით გაგეხდება და მას შემდეგ შეპყრობილივით უნდა იარო კიდით კიდემდე.

ჩემს ცხოვრებაში მუდამ წმ. კონსტანტინეს გმირობასა და მარტვილობას ვუმიზნებდი. ნადირობის თუ ზღვაზე მგზავრობის დროს. უცხოობაში და გაჭირვებაში, უდიდესი ცთუნები-

სა და საფრთხის წამებში, ყოველთვის წინ მიმიძღოდა ფარშუზიანი, უშიშარი და უზადო რაინდი.

და თუ განგებამ დღემდისაც ღირსად არ გამხადა მისი მეჯინიბე მაინც ვყოფილიყავ, ალბათ ეგ იმიტომ: ბედისწერა თავის ბნელ დერეფნებში ატარებს ადამიანს, და ჩემი მიუწვდომელი იდეალი, იდეალად დარჩა.

მაგრამ ყოველთვის მგონია, მე მომელის ჩემი დიდი სეხნიას გმირული აღსასრული.

ეგვიპტელი ღმერთის იზისის ტაძარზე სწერია თურმე:

„იყავ თამამი, იყავ თამამი და ნუ იქნები მეტად თამამი". ნეტავ ერთხელ მაინც ჩამეარა იმ ტაძრის გვერდით და დროზე წამეკითხა ეს.

და თუ ოდესმე მეტი სითამამე გამომიჩენია, ესეც კონსტანტინე არაგვეთის მთავრის საოცარი შთაგონების წყალობით.

ახლაც მახსოვს ის ბედითი ღამე, 1916 წლის ნოემბერში შავ ზღვაზე. სამი ქართველი, ორი გერმანელი მეზღვაური, ორი ჩერქეზი, წყალქვეშა ნავით ანაკლიას მოვადექით. საქართველოში იარაღი უნდა გადმოგვეტანა.

ყაზახ რუსებმა სროლა აგვიტეხეს საქართველოს საზღვარზე. ზღვა ღელავდა, ნაპირებზე არ გვიშვებდნენ. მე და ერთი ჩერქეზი დავწინაურდით. ხოხვით გავიარეთ რამდენიმე მეტრი.

ბომბებით დავგლიჯეთ ეკლიანი მავთულის ხლართი. პოსტებს იარაღი ავყარეთ. ამხანაგები გადმოვიყვანეთ.

ეს დიდი ლანდი არაგვეთის მთავრის ფეხდაფეხ მომდევდა უსწორო ბრძოლაში.

ათი წლის წინად ბისკაიას ზღვაში დიდი ქარიშხალი შემემთხვა. მთელი ხალხი სასოწარკვეთილი სტიროდა. მამაკაცები ბავშვებივით ქვითინებდნენ.

წარბი არ შემიხრია (თუმცა ჩემი საგვარეულო სასაფლაო უფრო შორს იყო იმ ადგილიდან, ვიდრე ჩემი თანამგზავრი ესპანელებისა).

არაგვეთის მთავრის მრისხანე წარბები იმზირებოდნენ ჩემი სახიდან.

1912 წელს ელბაში ვიღაც მოხუცი მუშა იხრჩობოდა. გავჰკარი მხარული, ცურვით გამოვიყვანე.

ეს ძველი სისხლი არგვეთის მთავრის ებრძოდა ტალღებს ჩემის მკლავებით.

მაგრამ კმარა. მე მეშინია ჩემი თავის შეცნობისას ვაი თუ ზღაპრული ბაზილისკივით ბოლო არ მომეღოს, როცა ჩემს ნამდვილ სახეს დავინახავ.

ამიტომაც მეზარება სარკეში ჩახედვა და ფოტოგრაფიული სურათის გადაღება. ჩემი თავი თევზივით მევე მისხლტება ხელიდან. ნერვიანი ვარ, დაუდგრომელი და ნაციები. სისხლი მაქვს მოწამლული სამეგრელოს ჭაობებისგან, ვიხრჩობი სისხლისა და იდეების სიჭარბით.

ჩემი საყვარელი ორეულია: თევზი, მეუდაბნოემ რომ იპოვნა რიყეზე და შეიბრალა. სურაში ჩასვა.

„აქ ვიწროთა ვარ".

დაელრიჯა ლიფსიტა.

მეუდაბნოემ რუში ჩააგდო.

„უკვე თევზი ვარ, გასაქანი მინდა".

მეუდაბნოემ განგას წმინდა წყალში გადაისროლა.

„განგა შუაზაფხულში პატარავდება. მე აქ ველარ ვეტევი უფსკრულები მომენატრა".

მეუდაბნოემ გაიცინა. ინდოეთის ოკეანეში გადასტყორცნა.

შენ არ იყავი, ტაია შელია, მე, პატარა ლიფსიტა, რომ ამიყვანე ხელში და მაჩვენე ეს თვალწარმტაცი ქვეყანა, ეს მაღალი ცა და ქარვითა და ძოწით დატვირთული ღრუბლების გემები? ეს უშველებელი ღვთის სასწაული? შენ არ მასვი რძისფერი სინათლე და უსამშობლო ღრუბლები შენ არ შემაყვარე? დღეს მეც იმ თევზივით ვწუხვარ: რათ გამომრიყე, ღმერთო, ამ ბუხჰალტერების საუკუნეში? მაგრამ ვინ ამომიყვანს ამ უძირო ოკეანედან?

მე დამშვენდებოდა შავი, ქართული ჩოხა, თეთრი დარაიის ახალუხი. სადა, თეთრის სპილოს ძვლის ქამარხანჯალი, ძლიერ ვიწრო უძიროები. ლომისფერი, ჯიშიანი ცხენი, ქორ-მიმინო. თეთრი მწევრები. ომები, ლხინი, მიჯნურობა და ნადირობა.

მტვერიან ბიბლიოთეკებში ჯდომამ ოდნავ გამხარა ბეჭებში. მხედველობაც ოდნავ შემისუსტდა. თუმცა სათვალეს არ ვატარებ (სათვალიანი ხალხი მძულს). ატავისტურ ვნებებში

ორი რამ შემრჩა: სროლა და ცხენზე ჯდომა. ცუდად ვცეკვავ. უფრო ცუდად ვმღერი.

მინდა ბერივით სათნო ვიყო, თეთრი ოლარი მეცვას. ჩემს გულში მაღალი სათნოების თეთრი სანთლები ანთია და არ იშრიტება. მინდა კრისტალივით გამჭვირვალე ვიყვე, ამღვრეული ვარ, როგორც კახური მაჭარი.

სათნო ვარ, როგორც ჩემი დიდი სეხნია. ერთი ღამის ორგიებისათვის სატანას მივჰყიდი სულს. მოლივით რბილი ვარ, ქართული ხანჯალივით დაუნდობელი. გველის წელივით მოქნილი, ამოწვდილი სატევარივით პირდაპირი.

ბევრს მაკიაველივით ჭკვიანი ვგონივარ, — უცებ რომ მკითხოთ, შვიდჯერ შვიდი რამდენია, ვერ გეტყვით. უზომოდ მიყვარს ქალი და უზომოდ მძულს.

დიდის ინტერესით შევჰყურებ ოკეანეს გადაღმა მიმავალ ცეპელინებს. გაზების, ავიაციის, ქიმიის განვითარებას, გეოლოგიურ, ასტრონომიულ ახალ აღმოჩენებს. ყურადღებით ვათვალიერებ ძველ ფულებს, ძველ ხელთნაწერებს, და მინიატიურებს. ვარსკვლავების, ცხოველების, ლითონების, ნერგების ნიშატებს. ბნელ საუკუნოებისაკენ ვიხედები, აგრიკოლას და ანგელუს სილეზიუსს ქართულად ვთარგმნი. მელანქოლიურად შევსცქერი ერების, რასების გადაშენებას და აღორძინებას. ვიცინი, როცა ბესიკს და ჰაინეს ვკითხულობ. ვკითხულობ გასაოცარ ამბებს მაუნტ ევერესტის, ტიანშაის მწვერვალებზე ამსვლელთა დღიურებში, ან ბრაუნის ბერის გრეგორ მენდელის „მცენარეულ ჰიბრიდებს“. არ ვკითხულობ ყოველდღიურ გაზეთს (თუ მანდ არ მაგინებენ). თვეში ერთხელ „ბერლინერ ტაგებლატის“ და „ტან“-ის ჭრელ ფელეტონებს უნდა გადავხედო.

ორშაბათობით საქმეს არასოდეს დავიწყებ, არც სადმე წავალ. კენტი რიცხვი მეზარება. მეცამეტე ნომერში არ დავდგები. დილით პირდაუბანელ ქალს ნუ დამანახვებთ. მიყვარს ლამეული სეირნობა მდინარეების, ტბების, ზღვების ნაპირებზე. მარჯვენა ხელზე ბეჭედს არ გავიკეთებ. ვიტანჯები, მტირალ ქალს რომ შევხედავ, ან საქონლის ბლავილს რომ გავიგონებ.

ფეხმძიმე, ლამაზი ქალის შეხედვა მალელვებს. მიყვარს

ღონიერ მამაკაცების ჩხუბი და ჭიდაობა. ქუჩაში გავლილ თეძოგანიერ დედაკაცს არ შემიძლია არ მივხედო. ლამაზ ბავშვს ლოყაზე ვჩქმეტ და როცა ლამაზ ქალს ველაპარაკები, სიამოვნებისაგან სიამურივით რბილ მკლავებზე ხელს ვკიდებ და ღრმად ამოჭრილ დეკოლტეში ქურდულად ვიხედები.

ვამაყობ, რადიოსავით სწრაფი ფიქრი რომ მოუცია ღმერთს, ჩემი გონება გასაოცარი მახინაა! ერთ წუთში თვალწინ დამიდგება ძველი წიგნის ფურცელი, ჩემი მორდუს — ტაია შელიას სახე, იტალიის, ესპანიის, გერმანიის, ინგლისის, ბელგიის, ბალკანეთის, სკანდინავიის, ან სამეგრელოს რომელიმე ლანდშაფტი, კრეისერების ალლუმი, პორტსმუტში რომ ვნახე თორმეტი წლის წინად, გერმანიის კრონპრინცის სიკვდილის ჰუსარების პარადი, ან ბრესლაუს სადგურზე ნახული სამი ათასი მუშის დასახიჩრებული გვამი, ჰერეხებივით რომ ეყარნენ ლიანდაგის გაღმა-გამოღმა (ლუკმა პურისთვის ბრძოლაში დაღუპული რაინდები!); პარიზელი შანსონეტების ფეხები, ან ის რუსის ჟანდარმი, 1917 წ. ტორნეოში რომ დამიჭირა, ჩემი ბებერი პრუსსიელი პროფესორი, რეფერატი რომ დამიწუნა, ან ის ეჭვიანი ბერლინელი საყვარელი, გაკაპასებული რომ მომვარდა და ქეძაფის შესხმა მომინდომა.

მეჯავრება: დიდხანს ერთ ქალაქში დაყოვნება. ჩემი სისხლის ბნელი წარსული. ან როცა მიცვალებულ მამას მამსგავსებენ, და ყოველი ადამიანი, ვინც ბევრს ლაპარაკობს.

მეცოდება: დასაკლავი საქონელი, ლამაზი ქალების ქმრები და ადამიანის გონება, ლოკოკინას მოკლე სარბიელზე.

მუდამ გზაჯვარედინზე ვიყავი. როცა შორს მივდივარ, ვერ გადამიწყვეტია: ზღვით თუ ხმელეთით? სასყიდელში ორნაირი ნივთი მომეწონება. ერთსა და იმავე დროს ორ კაცს ვემეგობრები. მუდამ ორ ქალზე ვარ შეყვარებული. როცა თამეს ვწერ, ორი სათაური ამეკვიატება. ხშირად, როცა ძლიერი გრძნობის გამოთქმა მინდა, ერთი ცნებისთვის ორი სიტყვა მომადგება პირზე. მესამეს ვირჩევ, ის არ გამოდის, რაც მინდოდა. ბრაზი მახრჩობს: ამაოდ დავარღვიე დუმილი. სიტყვები დაგვალულ ლელვის ფოთლებივით ძირს ეცემიან. სუჯუნის წმ. გიორგისათვის შეწირულ მოზვერივით ვხიხინებ, ხელებს ვიმტვრევ, ვწყევლი ჩემს გაჩენას. ჩემს გვამში ორი შხამიანი

მორიელის შემომთესველს. ენა მერევა, ქადაგად დავარდნილივით ვროშავ გაუგონარ სიტყვებს, ჩემსავე თავს ვაგინებ და ექსტაზმორეული ვყვირი: თევზი, ჰევზი, თევზი!

შეგონება: იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი ან რა იქნებოდა ამ ქვეყანაზე!.. იყო ერთი ქადაგი, ენაარეული მოუბარი, ბნელი წართქმის ოსტატი, იხმო ქადაგი იმ ქვეყნის მეფემ.

„შენზე ამბობენ: ენაარეული მოუბარი ხარ, ბნელი წართქმის ოსტატი. ალბად ჩემი გეშინია, მიტომაც ეწევი ბნელმეტყველებას“.

უპასუხა მეფეს ქადაგმა:

„მე დამბადებელის მეტის არავის მეშინია, მზეგრძელო მეფევ! თუ მართლაც ენაარეული მოუბარი ვარ და ბნელი წართქმის ოსტატი, ეგ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა არეულია და ბნელი“...

„მერმე არ გეშინია, ადამიანებმა ვერ გაგიგონ, შლეგი გეწოდონ?“

„ქვეყანა ვრცელია, მზეგრძელო მეფევ! ყველგან ურიცხვი საგანია, ყველგან ურიცხვი სული. და არც ერთი მარცვალი სიცარიელეში არ ჩავარდება. ყოველი ხმაურობა ამ ქვეყანაზე ადრე თუ გვიან გამოძახილს ჰპოულობს. მით უფრო ადამიანის სიტყვა. ამიტომაც ენაარეულ მეტყველებას და ბნელ წართქმას ვერ გადავჩვეულვართო“.

უპასუხა ქადაგმა და მგზავრის ყავარჯენი მოიმარჯვა.

მეც ამ იმედით ვწერდი ამ სტრიქონებს გათენებამდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მეორე

## ა. ჩინგის-ხანის შემოსევა

რამოდენიმე კვირაა: ალი მირზა-ხანისას არ ვყოფილვარ. ყოველ შაბათს ვაპირებ. შაბათი მოვა, მეორე შაბათამდის გადავდებ. არ მიყვარს ოჯახებში სიარული. მეკრძალება. ადამიანებთან მიმოსვლის უნარი ურთულესი ხელოვნებაა ჩემთვის. მერმე თანამედროვე ოჯახი, ბაბილონის გოდოლია, რამდენი სულიცაა — იმდენი ქვეყანა.

ახლა სტუმრები? ათასი ჯილაგი. ათასი ენა. მე არ გახლავართ ათას ენაზე მოლაპარაკე სტუმარი. ასე მგონია: ჩემი მარტოობა ირღვევა ადამიანებთან ლაპარაკისაგან. ატომზე უმცირესი არსებები მიდიან ჩემგან. სხვისი იდეების გაგონების — სხვისი სახეების დანახვისაგან იბზარება ჩემი სული. თუ ადამიანები დამაყენებენ, ვიქნები ჩემთვის, ჩემს გალიასავით ოთახში: ჩემს ყალიონს მოვწევ. ჩემს ფიქრებს მივეცემი. ნეტავ შემეძლოს ფიქრად გადვიქცე. უმტკივნეულოდ გადნეს ჩემი სხეული და გავქრე ყინულზე დავარდნილ ნაპერწკალივით. ქუჩაში გავდივარ. მილიონებს შორის დავეძებ მარტოობას.

უდაბნო! უდაბნო! დიდი ქალაქის დიდი ქუჩაა ჩემი უდაბნო! აქ არავინ მიცნობს. ჩირადაც არვინ მაგდებს. არავინ მესალმება. არავინ მიცქერის. თითქოს მე სხეული არ მქონდეს, თითქოს მე სისხლი არ მქონდეს (ჩემი კეთილშობილი დედ-მამისგან ნასესხები სისხლი!), თითქოს მე სული არ მქონდეს (სიზმარს გადაყოლილი სული!). თითქოს ლანდი ვიყვე. უდაბნოში მოხეტიალე ლანდი. უდაბნო! უდაბნო!

ათასში ერთხელ ქუჩის კახპა „შეყვარებული“ თვალებით შემომხედავს: ბალღო წამოდი ჩემთან“.

„Allons, Chevi, allons!“

დილით კარგ გუნებაზე ვდგები. მზე გადიხრება. ჩემი ჩვეულებრივი სტუმარი მელანქოლია მეწვევა. ფეხით მივდივარ მაშინ კონკორდის მოედანზე. იქ ბევრი სინათლეა. როცა მიწაზე დიდს სინათლეს ვხედავ, მე ეს მახარებს.

საქართველოში წასვლის საქმე ძლიერ ზანტად მიდის.

რა გავაკეთო, კიდეც რომ წავიდე? ჩვენი გზები რა ხანია გაყრილია. რაც ჟამი გადის, მით უფრო შორდებიან ისინი ერთმანეთს. მე მისი თესლის ნაშიერი, მე მისი იფქლის ყლორტი — მე მისთვის ასე მახლობელი და ასე შორეული! იგი მე არ მიცნობს. მას ჩემი არ ესმის. კიდევაც რომ დავუბრუნდე უძღები შვილივით, მიმიღებს? ვინ იცის, ეგებ ჩემი აღნაგობა ეუცხოვოს? მწარედ გაიცინოს! მე ჩემი თავმოყვარეობა მაქვს. ორმილლიონიან საქართველოს ორმილლიონჯერ მეტი! აქამდის ძლიერ ვაჩქარებდი ბერლინელ რედაქციას: ჩემი მოადგილე გამოეგზავნათ პარიზს, ახლა ისევ შევუთვალე: ერთ წელს კიდევ პარიზში ვრჩები მეთქი. ხშირად დავდივარ სენტ ჰონორეს რაიონის კაფეებში, კერძო გამოფენებზე: ეგებ სადმე გადავეყარო ჯენეტს. ერთხელაც რომ ვნახო, ესეც მეყოფა... პირალმა ვწევარ. ვიგონებ: როდის შევხვდი პირველად? ვერ მომიგონებია. თითქოს მას უხსოვარ დროიდან ვიცნობდი.

ერთ საღამოს კონკორდის მოედანზე მწვანე ქუდიან ქალს შევავლე თვალი (ჯენეტის სიარული!). ქალმა მეტროპოლიტენის ტუნელში შემასწრო. სალაროსთან მივეწიე: შემცდარვარ. ხალილიც რომ დაიკარგა? იმ დღეს ტროკადეროს თეატრში კაპიტან დოაზანი შემხვდა. მადამ ფან სტაუნისას ყოფილან: კაპიტან დოაზანი, ხალილ ბეჲ, ჯენეტი, დელა როში, მისის ბლუტ. მადმუაზელ ლორენცს მორიგი სპირიტისტული ლიტურგია გადაუხდია.

„მაგ სპირიტიზმის არაფერი მესმის, მაგრამ კარგია, მისტიციზმი რყვნის ქალების ფანტაზიას. ესეც ერთგვარი ალკოჰოლია“ მეუბნება კაპიტანი.

ვინა სთქვა, მარტო ქალები ჰორაობენო?.. დოაზანმა საინტერესო ცნობები გადმომცა მადამ ფან სტაუნისა და დელა როშის ახალ „რომანისათვის“.

„რა გახდა ეს დელა როში? აა?“..

კაპიტანი იქედნურად იცინის.

„თქვენ ნახავთ, ეს საქმეც ფიასკოთი დაბოლოვდება. ჰამდარდი“. დასძინა. პარასკევ საღამოს ხალილ ბეი შემხვდა „კომედი ფრანსეზის“ კაფეში. ვიღაც საეჭვო ქალებთან იჯდა. დამებს გამოემშვიდობა ჩემთან მოვიდა.

„კარგია, რომ შეგხვდით. თქვენთან შემოვლა მინდოდა“.

„ახალი რა იცით, ხალილ?“

„ჯერ ეს მითხარით: ვერნისაჟის ბილეთი მიიღეთ? ქალაქის ფოსტით გამოგიგზავნეთ“.

„არა, როდისაა ვერნისაჟი?“

„ხვალის სწორს. დიდ სასახლეში“.

„შეიძლება ვერ მოვიდე. სტენოგრამები უნდა გავაგზავნო ბერლინს“.

„გირჩევნიათ წამოხვიდეთ. ჯენტი მოდის“.

ხალილი ორაზროვნად იღიმება. თვალებში მიყურებს. სიტყვა ბანზე აუგდე:

„თქვენ რა გამოჰფინეთ წრეულს?“

„უბრალო რამ, პატარა პეიზაჟი“.

„საინტერესოა“.

„ჯერ არ მინდოდა ამ სურათის გამოფენა. ძეგობრები არ მომეშვენ. ახლა უცხოელ მხატვრებს დიდის ყურადღებით ეპყრობიან „შემოდგომის სალონში“. წრეულს ცალკე კუთხე დაუთმეს აზიელებს. ხომ იცით, ჩვენ სულ სხვა ვართ. აზიას ისეთივე დიდი მომავალი აქვს, როგორიც წარსული“.

„სამწუხაროდ, აზია მკვდარია, ჩემო ხალილ!“

„თქვენ გგონიათ? აზია გარინდებულია, ჩვენ ის მკვდარი გვგონია. მისი დასვენება — უქმად გდებად მიგვაჩნია. ეს სიკვდილი როდია, არამედ გარინდება. სიცოცხლეს შესვენება სჩვევია. ვერძების ჭიდილი ხომ გინახავთ? ერთი უკან დაიხევს, გაინაბება. ისკუპებს ერთთავად. მტერს დაეძგერება“ პაუზა.

ღვინის ჭიქა პირთან მიმაქვს. ხალილს შევჰყურებ. ვეუბნები.

„თქვენ ძლიერ ჰგავხართ ქართველს, აზიელი არ უნდა იყოთ“.

„რაო? განა ქართველები აზიელები არა ხართ?“

„არასოდეს“.

„მაშ უკადრისობთ აზიელობას?“

„სრულიადაც არა. მაგრამ ჩვენ საუკეთესო სისხლი აზიელებს შევანთხიეთ. მუდამ შაჰების და ცეზარების, სულთანების და იმპერატორების შორის ვიდექით. ხან ერთს ვეკვეთებოდით, ხან მეორეს. მიტომაც ორლესული სატევარი ჰკიდია ყოველ ქართველს.“

„მაშ ევროპელები?“

„არც ეგ... საქართველო მესამე იქნება“.

ხალილ ბეგ დიდი ბავშვია. განსაკუთრებით, როცა იცინის.

„თქვენ გიყვართ სატევარი?“

„რა თქმა უნდა, ქართული. შინ რომ ჩავალ, გრძელ, სვანურ სატევარს დავიკიდებ. უძიროებს ჩავიცვამ. ვილოთებ“.

„რა სასაცილოა, როგორ გიბრწყინავდათ თვალი სატევარის ხსენებაზე“!

„ყველაფერი სისხლია, ჩემო ხალილ, ბნელი საუკუნოები რეკავენ. ძალაუნებურად უნდა გაუგონო“.

„გარსონ, კიდევ ერთი წითელი ბორდო“. გადასძახა ხალილმა მსახურს.

ჭიქები გავავსეთ.

„ეს ქართულ სატევარს გაუმარჯოს ღმერთმა“. ხალილი მაღლა სწევს ჭიქას, იცინის. რამდენი სიკეთეა მის წაბლისფერ თვალებში!

„მთვრალ დიონისოს სისხლი წითელი,
ჩვენ გაგვაქანებს სხვა საიქაოს,
იყავ ქართველი, გინდა სკვითელი,
თან გადაჰყევი დემონს და ქაოსს“,

ვამბობ ექსპრონტად. ხალილ ბეგ თეთრ კბილებს აჩენს.

„კიდევ, კიდევ, მაგრამ ნელა“...

...„ამ ბოკალს ვესვრი მაგ ბებრუხანას,
მთვარეს გაცვეთილს, გარყვნილ კოკოტას...
მე სასაცილოდ ვიგდებ ქვეყანას
და ღმერთს საყვედურს შევუთვლი ცოტას“.

ხალილი ამბობს:

„ტფილისში კარგად ვიცოდი ქართული. ოდნავ გადამავიწყდა“.

მირზა-ხანისას გატარებულ საღამოზე მიამბობს. მიხარია, რომ ის ხშირად ახსენებს ჯენეტს. და მე გიმნაზიელივით. შეყვარებული ვარ მის სახელზე. ბლოკნოტებზე, უბის წიგნში, ცარიელ ქაღალდზე, ყველგან მის სახელს ვწერ. მინდა მუდამ მისი სახელი მესმოდეს.

„იცით, ჯენეტს თქვენი მოთხრობა წაუკითხავს ფრანგულ ჟურნალში. სათაური დამავიწყდა. ძლიერ მოსწონებია“.

„ჯენეტმა საიდან გაიგო, პსევდონიმით დავბეჭდე“.

„ქართულ კოლონიაში გაუგია. პსევდონიმებს იმისთვის იგონებენ, — სახელსა და გვარს ყურადღება მიაქციონ. არც მე ვიცოდი, თუ თქვენ მწერალი იყავით.

„ამას წინათ ერთმა პარიზელმა ქართველმა მითხრა: სწერს, მაგრამ იპრანჭება. ისეთ პოზას ღებულობს, თითქოს სახელი არც აინტერესებდესო. მართლა?“

„ეჰ, ჩემო ხალილ, მოწყენილი ვარ ამ ქვეყანაზე, მიტომაც ვწერ. უკეთესი საქმეც არ მეგულება“.

„მწერლობა და მხატვრობა თუ საქმეა?“

„ვინ როგორ უყურებს“.

„მირზა-ხანი ლონდონს წავიდა. ფარვიზიც თან წაიყვანა, ვგონებ ჯენეტიც აპირებს.

მე შიშმა შემიპყრო: ვაი, თუ მართლა ლონდონს წავიდეს!

დღეები ყაჯის ძაფივით გაგრძელდა. ბერლინელი გაზეთის რედაქცია ფულს მიგვიანებს. ისევ საშინელი ფინანსიური კრიზისი! ოციოდე ფრანკი დამრჩა. ოპერის ქუჩის საუკეთესო ყვავილების მაღაზიაში თეთრ მიხაკებს და ქრიზანტემებს ვარჩევ. ჯენეტს ვუგზავნი. ორიოდე ფრანკი დამრჩა. სადილის ფული მოვიგე ტირში. გავთამამდი. ყველაფერი წავაგე. მესამე დღეა — მშიერი დავყიალობ... შინ ვერ ვჩერდები (ჰოტელის რესტორანიდან საჭმლის სუნი ამოდის!). დიასახლისი მეკითხება:

„მუსიო სავარსამიძე, აწი არ ისადილებთ ჩვენთან?“

„როგორ არა, მაგრამ ეს რამოდენიმე დღეა კუჭი მომეშალა. დიეტას ვიცავ“. ყოველ დღე სენის ბუკინისტებთან მივდივარ. კურიოზულ წიგნებს ვარჩევ. ყველას ვეხვეწები:

„ახლა თავი მტკივა. ეს წიგნები შემინახეთ“.

დავყიალობ ქუჩებში. ვიტრინებს ვათვალიერებ. ძლიერ

მაღელვებს ქალების თეთრეულის მაღაზიებში გამოფენილი მანეკენების კლასსიკური ფეხები (გამჭვირვალე აბრეშუმის წინდებიანი და მადამ სულისბურისებური იისფერ ბანტებ-ანი).

ზეაშვერილი, კოხტად ჩამოსხმული ქალების ფეხები! მე ამ ფეხებზე დავწერდი სონეტს (გული რომ მერჩოდეს).

ვაგრამის მოედანზე მივსულვარ. დავიღალე, თავი მტკივა. მახლობელ აფთიაქიდან კარბოლის სიმჟავის სუნი მეცა. აუ-როლდენ ეს ავტომობილები და ომნიბუსები, საშინელი ბენ-ზინის სუნია! შინ მინდა წავიდე. ჩვეულებრივად ტრამვაით არ დავდივარ (აზნაურული ჩვეულება!). მაგრამ ტრამვაის ფუ-ლიც რომ აღარა მაქვს? მივყვები ამ გაუთავებელ ქუჩების ლაბირინთს. წვიმს. ახლა 20 სანტიმი რომ მქონდეს, ლუდს მა-ინც დავლევდი. დავისვენებდი... დავიქანცე. მუხლი აღარ მერ-ჩის... ჰმ, საღლაა ჩემი მგლის მუხლი! 2 საათია. ხალხის ნიაღ-ვარი აწყდება გაკრიალებულ რესტორანებს. არც მინდა იქით-კენ მივიხედო. ბონოპარტეს მოედანს მივაღწიე. სამი კილო-მეტრი იქნება აწი ჩემს ჰოტელამდის... შუბლზე ხელს ვიდებ. სიცხე მაქვს, მინდა მოედანი გადავიარო. გზა შევიმოკლო. არ ჰავდება ავტომობილების ლაშქრის დენა... ერთმა წყებამ ჩა-იარა. ავუჩქარე ფეხს. ახლა ორივე მხრით ავტომობილები... მივრბივარ, მუხლი მეკეცება, ცხოველურმა შიშმა შემიპყრო. ძლივს მივაღწიე ბონოპარტეს კოლონას, ორივე ხელებით მო-ვებღაუჭე (დიდი კაცი გაქვავებულიც სანუგეშო ყოფილა!). ზურგით მივეყრდენი, ვისვენებ.

გავსცქერი ჩემს გარშემო ამ თავბრუდამსხმელ კარუ-სელს... ქუჩის გაღაღმა: გაზეთების კიოსკთან ჭაღარა კაცი დგას. ხელში ყალიონი უკავია. პირიდან მწვანე კვამლს უშვებს. გასცქერის ამ მილლიონების მოგანგაშე ნეფიონს. ვუყურებ: კაცი წაიქცა. ყალიონი გაგორდა ქვაფენილზე. გულცივი ბრბო ერთ წუთსაც არ შემდგარა. მე ჩემი გასაჭირი დამავიწყდა. გავჰქანდი. უშიშრად გავიარე ავტომობილების ჯოგი. ბრბო გავარღვიე. ავსწიე მაღლა ადამიანი.

ამ კაცს თვალები ჩასცვენოდა, ტუჩები მიწისფერი ჰქონდა.

„ამ ოხერმა მაროკოს თუთუნმა გული ამომწვა. ორი დღეა არაფერი მიჭამია.“ შემომჩივლა უცნობმა. მუხლები გაიბერ-

ტყა. შუბლზე ხელი გადაისვა. თავის გზას გაუდგა. მადლობაც არ უთქვამს. ამ ამბავმა ძლიერ გამამხნევა. ორი დღე კიდევ გავუმკლავდი შიმშილს.

მე მქონდა ძველ ხელთნაწერებში პატარა წერილი: „სუჯუნის წმინდა გიორგის თეთრი მონები“. წერილი გადავთარგმნე. ერთ ფრანგულ ჟურნალის რედაქციაში წავიღე. რედაქტორი ლეგენდების მოყვარული ყოფილა. მეკითხება:

„მართალია, ყველაფერი ეს, რაც აქ სწერია?“

„არა, ლეგენდაა“.

„მართალი რომ იყოს, გახვრეტილ დრაჰკანად არ ეღირებოდა“.

45 ფრანკის ჩეკი გამომცა. კიდევ სუჯუნის წმ. გიორგიმ მიშველა!

„შემოდგომის სალონის“ გახსნა დიდი დღესასწაულია, ხელოვნების მეგობრებისა და პარიზელი ქალებისათვის. პარიზელი ქალი უთუოდ ახალ ტანისამოსში უნდა მოვიდეს ამ დღეს. ნამდვილი გემოვნების, ენამოსწრებული, ერუდიტი კავალრების ოლიმპიადაა. არანაკლები მღელვარებით ველოდი ამ დღეს. „გრან პალეს“ შესავალთან ნაყარ-ფეტკრებივით ირეოდა ხალხი. აუარებელი ავტომობილები, ლანდოები, ეტლები, პლაკატები, კატალოგების გამყიდველების ღრიანცელია. დანიშნულ ადგილას დამიხვდნენ: ჯენეტი, კაპიტან დოაზანი, მისის ბლუტ, მადმუაზელ ლორენცი, დოქტორ რაიმერი, პოეტი მენჟე, დოქტორ როშერი. ჯენეტს ახალი, იისფერი აბრეშუმის ტანისამოსი აცვია, იისფერივე ტუნიკა, ფარშავანგის ფრთიანი მწვანე ქუდი. მისის ბლუტიც ძლიერ მომეწონა იმ დღეს. თეთრი ქუდი ახურავს, ნუშის ყვავილისფერი კოსტიუმი და მანტო აცვია. კისერზე თეთრი ბეწვეული. ფართე, ლურჯთვალება. ვაჟურად შეკრეჭილი ოქროს კულულები თეთრ ფონზე. წმინდა გიორგის მხევალსა ჰგავს!

„რატომ არ შემოიარეთ, მისაყვედურებს ჯენეტი, აკი შემპირდით, შაბათს მოვალ, „ვისრამიანს“ წაგიკითხავთო?“

„იცით, ხანუმ, ძლიერ ცუდად ვგრძნობ თავს. გარდა ამისა, სალონებში სიარულს ჩვეული არა ვარ, მე ტყეში და მანსარდებში გაზრდილი კაცი ვარ“.

„თუ ღმერთი გწამთ, თავს ნუ იკატუნებთ. ბევრი რამ გა-

ვიგე თქვენი რომანტიული ავანტიურების შესახებ". ღიმილით განაგრძობს: „აქ ერთი ბერლინელი ქალი ჩამოვიდა. წუხელ გავიცანი, მან მიამბო თქვენი რომანი მადმუაზელ ფონ შაისთან.

„მე და რომანი? რას ბრძანებთ, ხანუმ? განა შეიძლება ევროპელ ქალთან რომანი? ისიც სალონის დამასთან!"

„რატომაც არა? თქვენ ძლიერ გართული ყოფილხართ ჰარდენბექის სალონში?" იცინის. ხალილ ბეიც მოვიდა. დაგვიანებისთვის ბოდიშს იხდის. სტუმრებს მოგვიბრუნდა:

„მესიე, მედამ! ნება მიბოძეთ დღეს თქვენი ჩიჩერონე ვიყვე. დღეს ორიოდე დარბაზი დავათვალიეროთ. ჯერ აზიური დარბაზი, რადგან აზიაა, ყველა ქვეყნის მოხუცი დედა".

აზიურ დარბაზში — ჩინელები, იაპონლები, ავღანელები, ინდოელები, კავკასიელი თათრები, ოსმალები, აქა-იქ ლორნეტიანი ამერიკელი დამები, შვეიცარიელი ტურისტები ირევიან. ჯენეტს ვეუბნები:

„რა ეშველება ამერიკელებს. აქ ბედეკერი ვერას უშველით". ვერ გაიგო:

„ბედეკერი რაღათ უნდათ?"

„საქმეც ეს არის. ლუვრში და ვატიკანში შეამჩნევთ: ამერიკელი სურათის წინ სდგას. ჯერ ბედეკერში უნდა ამოიკითხოს, სურათს მერმე შეხედავს".

„მეცოდება წიგნების ადამიანი. საკუთარი თვალით რომ ვერაფერს ხედავს".

„აზიურ დარბაზში ყვითელი ფერია გაბატონებული, ხომ ამჩნევთ, ხანუმ?"

„მეც მიყვარს, არისტოკრატიული ფერია".

„მე მგონია, აზიელს დეტალური დაკვირვების უნარი აკლია. რას იტყვით, ხალილ? აზიელი ზღვას ჰხედავს, ტალღას ვერ ამჩნევს, ფრინველს უყურებს და ბუმბულს — ვერა".

„მართალია", დამეთანხმა ხალილი.

„მართლაც, აზიაში წარმოუდგენელია ისეთი მკაცრი რეალისტები, როგორც ზოლა და ღლევანდელი ჰოდლერი".

„ჰოდლერი ევროპაში ექსპრესიონისტად ითვლება, აზიაში რეალისტი ეგონებათ". ჩაერია საუბარში მენიე. „აღმოსავლეთი მარადიულ სტატიკას ჰხედავს, უძრავ საგანს. უძრავ სამ-

ყაროში. დასავლეთი — ყველგან დინამიკას. პიკასო, ბრაკი, ჰოდლერი, თუნდაც ვერჰარენი და ჟან კოკტო — მოძრაობის მხატვრებია“.

„რა მეზარება, როცა ადამიანს მუდამ მასწავლებლის ტონი აქვს“. გვიჩურჩულა ხალილ ბეიმ მე და ჯენეტს.

ჩვენ სამნი დავწინაურდით. ერთ იაპონურ სურათს შევსცქეროდით. იაპონელი პრინცესსა ყვავილებში ჩამჯდარა. კრინოლინისებური განიერი კაბა აცვია. აბრეშუმზე ყვავილებია ამოქარგული. კაბის ქობიდანაც ყვავილებს გამოუყვიათ ყური. პრინცესსა იცინის. თვითონაც პაწია ყვავილსა ჰგავს. „ყვავილია — ყვავილთა შორის“. „პინ იუ, იუ“. ასეთი ზედწარწერა აქვს.

„წარმოგიდგენიათ, ატოკებული ევროპელი რომ ეგვიპტის პლასტიურ შედევრებს, უპანიშადის და სუტრა ტექსტების სიღრმეს, მაჰაბარატას და მეფეთა წიგნის მონუმენტალობას რომ მისწვდეს? ევროპელ გაზეთის მჯღაბნელს, ან რომელიმე პრტყელშუბლიან, საშუალო ჭკუის პროფესორს ჰგონია: ბერგსონზე და კანტზე შორს არავინ წასულაო. აბა ჰკითხეთ ჩინელ ბრძენს, თუ კანტის კატეგორიული იმპერატივები მისთვისაც მიუცილებელი ნორმებია? რომელიმე პიკასოს უნიჭო ეპიგონს ჰგონია, სრულყოფის მწვერვალები აქვს გადალახული. ეგერ რომ ჩინელის სურათია, იმის ავტორის მოწაფედ ვერ გამოდგება თქვენი პიკასო“.

„პერიკლეს ეპოქა და კვატროჩენტო?“ ეკითხება როშერი მენიეს.

„პლატონი და დანტე ორივე აღმოსავლეთის ნოყიერ ჯიქანს სწოვდნენ“.

ვეკითხები ხალილს:

„მენიეც ებრაელია?“

„მონათლული ურიაა. მის აზიელობას სხვა სარჩული აქვს რამოდენიმე დიდი ჟურნალის რედაქციაში გულცივად შეხვდნენ, ამის შემდეგ აღმოსავლეთში გადავარდა“.

ხალილმა მიჩურჩულა:

„ჯენეტზეა შეყვარებული, მიტომაც ენამჭევრობს“.

„რა სთქვით?“ ეკითხება ჯენეტი. თვითონაც იღიმება.

ჩვენ შეუჩერებლად თვალი გადავავლეთ სურათების სე-

რიას. ყვითელი ყვავილების პავილიონებში იაპონელი და ჩინელი მარაოებიანი ქალები. რამოდენიმე გააზიელებული ევროპელი მხატვრის აქვარელები, მონღოლიის ყვითელქვიშიანი სტეპები, ჩინური ლანდშაფტები, ტოკიოს, კალკუტას, მადრასის, კიაჩაუს, ნაგასაკის ბუხტებში შესული ევროპელი დრედნოუტების მწვანე, ყვითელი და წითელი შუქის ციალი ღამეულ წყლებზე. გასაოცარის ოსტატობით გადმოცემულია ფერად-ფერადი შუქის ანარეკლი შავს ფონზე. ტროპიული „ნატურ მორ“, ინდური რელიგიური პროცესსიები, თეთრ სპილოებს თეთრად ჩაცმული მლოცველების ჯარები მიჰყვებიან. მაუნტ ეკერესტის, ტიანშაის, გლეტშერების თვალისმომწყვეტი ელვარება, ყინულოვანი პირამიდების ქალწულებრივი სისპეტაკე, ბამბუკისა და შაქრის ლერწმებში ქედმოდრეკილი ჩინელი გლეხები, ბუდისტური ხუროთმოძღვრების გიგანტიური ძეგლები, ინდოელი ფაკირების რელიგიური ცერემონიები, გრძელი, თეთრი პატრიარქალური წვერები, ფანატიზმისა და ასკეტიზმის ელვა აღმოსავლურად დამსხდარ ბრაჰმინების ბრინჯაოს სახეებზე, გამხმარი, გაყვითლებული თითები, შეუცნობელის, ხელშეუვალის შესაპყრობად გამოშვერილნი, რელიგიური პაროქსიზმით ალტყინებული ფართე, წყლიანი თვალები, მარტვილობისა და მარხულობისგან დაწმენდილი სახეები, მიზგითი ზღვის პირად, ღამითი ჩვენება ანთებულ ღრუბლებში, მიზგითის თავზე ზეაპყრობილი ხელების შავი სილუეტები, უდაბნოებში მოხეტიალე ქარავნების თალხი ლანდები, ჰერანის წითელი მიწის გასაოცარი ფანტასმაგორია, კლდეების, ტყეების, გრანიტის, ფოთლების, მთის ნაოჭების კომპოზიციაში ბუნების დემონურ ძალთა განსახიერება; გვიმრებში, ლელში და ისლში მწვანე ჯოჯოები, წითელრქიანი გველები. ყვითელი ასპიტები, ლითონისფერი ხვლიკები და პირდაბჩენილი ნიანგები მღვრიე წყლებში.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს რამოდენიმე სპარსული მინიატიურა, სპილოს ძვლის რელიეფები, პაწია ქანდაკებები. მინანქარზე ამოჭრილი სპარსელი ქალები (დაწურულ ვეცხლივით თეთრი სახეები), სათის წარბ-წამწამის ჩრდილები; სპარსელი პოეტი ნოხზე ზის, ბატის ფრთით ლექსების წიგნსა სწერს. თეთრჩალმიანი, შავწვერიანი მოლები, ქალ-ვაჟის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯნურება, რომელიღაც შიჰინ-შაჰის ჰარამ-ხანის ყვავილებით შემკული აივანი.

ხალილი მისის ბლუტთან მივიდა.

„მე ძლიერ მაინტერესებს ხალილ ბეის ახალი სურათი“, მეუბნება ჯენეტი.

„პეიზაჟი, არა?

„მოუტყუებიხართ. ვგონებ ჩინგისხანის შემოსევა ჰქვია. სახელს განზრახ გვიმალავს. უნდა გამოგვცადოს“.

ჯენეტი პაწია სპარსულ მინიატიურებს მიჩვენებს. მინანქრის მედალიონში, თეთრი ბუდა. მაჰომედის საფლავის სადაფში ჩასხმული სახე, იქვე რამოდენიმე ჩინური მინიატიურა. ოდნავ ვამჩნევთ: სახეებს, სილუეტებს, ლანდშაფტებს, ღრუბლებს, ყვავილებს. კარგად ვაკვირდები: მიკროსკოპული ჩინური ასოების დაჯგუფებისგან შეუდგენია მხატვარს ესენი ჩრდილისა და სინათლის უნაზესი ნიუანსების შემწეობით.

„ეს სურათები სუტრა-ტექსტების სტრიქონებისაგან არის შემდგარი, ხანუმ“. იქვე პაწია იდეოგრამების მოზაიკები, ყოველი იდიოგრამა უმცირესი ხაზების კომბინაციებს წარმოადგენს. რა გასაოცარი მოთმინებაა, როგორი სითამამე! ამ მინიატურებთან დიდხანს დავყავით. მოშორებით: საუცხოვო იაპონური ვაზები, წითელი ხისგან გამოკვეთილი პატარა სტატუეტები. ზეადამიანური მოთმინებით უქეთებია ეს საყვარელი საგნები ხელოვანს! კიდევ რამოდენიმე სერია. ჩვენი ყურადღება დაიქანცა.

„აჰა, ეს უნდა იყოს ჩინგის-ხანის შემოსევა“. მეუბნება ჯენეტი. მისის ბლუტ და კაპიტან დოაზანი უკვე ამ სურათის წინ იდგნენ. ხალილი არსად სჩანდა. ყვითელი ლელით, წითელი ყაყაჩოებით შემოსილი სტეპი. მონღოლების შუბოსანი კავალერია გრიგალივით მიჰქრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. უბელო, დაუჭედავ ცხენებზე შუბლ-პრტყელი, დიდთავა, ლაწვმაღალი, ცხვირჩაჰყლეტილი ყვითელი რასსა. გადაჯეგილი ბალახი და ლელი. დაჭრილები ცხენების გამოფატრულ გვამებში მიძვრებიან, გზადაგზა უპატრონო ზარბაზნების, ტყვიისმფრქვევლების, ტანკების ნამსხვრევებია. დასავლეთით უშველებელი ქარხნების, რკინის ხიდების, ეკლესიების, შუბისებური გუმბათების სილუეტები. და ამ აპოკალიპსურ

მხედრებს წინ მიუძღვება მწვანე ცხენზე მჯდარი წითელ ჩაბალახიანი, ახოვანი, თმაწითური მონღოლი. ეს უშველებელი, გაჭენებული მასსა ღრუბელივით შეკუმშული, ციკლონივით მიჰქროლავს დასავლეთისკენ. შუბებისა და დროშების ტარები გრიგალისაგან გადაზნექილ ნაძვნარსა ჰგავს. შავ, წითელ, ყვითელ დროშებზე აწერია: „მანგუ: თენგრი: ქუჩუნდურ“: დოქტორ როშერი იქვე გაჩნდა.

„ეს გახლავთ აზიის შემოტევა. ისტორია მეორდება“. ამბობს ღიმილით.

„პარიზისაკენ ხომ არ მოდიან ეს მონღოლები?“ ოხუნჯობს დოაზანი.

„დიახ“, იცინის როშერი, ქე დორსაიზე ყვითელ დროშებს აფრიალებენ. ეიფელის კოშკს მიზგითად გადააქცევენ“.

„ვერც ასეთი კავალერია დაგვაკლებს რასმე. კრაზანასავით ამოვფუკავთ გაზებით. არც გერმანელების კავალერია ყოფილა ამაზე ნაკლები.“ და მოჰყვა კაპიტან დოაზანი თავისებურ ტრაბახს, თუ როგორ იფრინა მცირე რაზმით გერმანული კავალერიის ესკადრონი (ვგრძნობ, ჯენეტის გასაგონად ტრაბახობს). ღვთისწინაშე, ძლიერ ემარჯვება კავალერიის ატაკების აწერა. ეჭვი მღრღნის.

ფოიეში ვისვენებთ. ხშირად ვნება მოზრდილებსაც ბავშვებს დაამსგავსებს. იმდღევანდელი ჩვენი შეტაკება ბავშვების კენწლაობასა ჰგავდა. მე არ ვაპატიე თავხედ კაპიტანს გერმანელების გაბიაბრუება. ბოლოს სავსებით გადავცდით საუბრის საგანს. ასე გამოდიოდა: შენი ხმალი, თუ ჩემი კალამი. იმდენი გესლი შევანთხიე კაპიტან დოაზანს, მან ძლივს შეიკავა თავი. დავცინოდი იმ უაზრო ხმლების წკრიალს, რომლის მიზეზად საფრანგეთი დავსახე. კაცობრიობას მეორე საუკუნეა, რაც მოსვენება არა აქვს. ფრანგული რევოლუციის ნილაბით გამოსულმა ფრანგულმა იმპერიალიზმმა ევროპა ააფორიაქა მეთქი (მსოფლიო ომიც მათ გადავაბრალე). დოქტორ როშერს თვალები უბრწყინავდა. ხმადაბალი რეპლიკით მაქეზებს კაპიტან დოაზანის წინააღმდეგ.

მაგრამ მე თუ დავიწყე გესლის ნთხევა, წამქეზებელი არა მჭირია. როცა კონკრეტული მაგალითები შემომელია, საერთოდ ხმლიანი კაცი ოდნავ გავაპამპულე. ქარაგმებით ვამბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი: ცეპელინების საუკუნეში ხმლიანი კაცი ოდნავ სასაცილოა მეთქი.

„რატომ ცეპელინების და არა ავიაციის?“ მეკითხება კაპიტანი. ვგრძნობ: გრაფ ცეპელინის გვარი ყელში გაეჩხირა ფრანგ ნაციონალისტს.

დასავლეთის ისტორიაში ორი უდიდესი მომენტი აღვნიშნე: ამერიკის აღმოჩენა და სტამბის გამოგონება გუტენბერგის მიერ. მესამე იქნება: ცეპელინების გადაფრენა ბერლინიდან ნევ-იორკს. ეხლა მე დავიწყე ტრაბახი: კალამი არტილერიაზედაც უმძაფრესი იარაღია. ხვალ პარიზში წიგნს გამოვცემ, ერთი თვის შემდეგ ტფილისსა და ჩიკაგოში ყურს დამიგდებენ-მეთქი. ხმალი რა ბედენაა: მუდამ ადამიანის სისხლი თუ არ ასვი, ქარქაშში ჩაიჟანგება. ყველა ომი კალმის ატეხილია, ყველა ზავი კალმის ჩამოგდებული მეთქი.

ხალილის მეტი ვერვინ მიჰხვდა ჩვენი კინკლაობის მიზეზს. მისი ჩინებული ტაქტის წყალობით ეს ამბავი უსკანდალოდ გათავდა. ჩემს გვერდით დოქტორ რაიმერ აღმოჩნდა. უსიტყვოდ ვგრძნობ: იგი უსაზღვროდ მადლობელია, რომ მე, ნოიტრალურმა კაცმა, სიმართლე ვაკადრე გერმანიის მტერს.

„დავეწიოთ სხვებს, თორემ უხერხულია“, მეუბნება დოქტორ რაიმერ. მოდერნისტების დარბაზში ზერელეთ გადავავლეთ თვალი კუბისტების, ფუტურისტების, ექსპრესიონისტების სურათებს. სამკუთხებიანი სახეები, ხისგან გამოჩორკვილი ფიგურები. საღებავების ისტერიული ყიჟინი. მთელი ჩვენი კომპანია ერთი საოცარი სურათის წინაშე შეჩერდა. „ტრამვაი“ ერქვა ამ სურათს. ტრამვაის სპილენძის და რკინის ნაწილები თუნუქისგან გამოეჭრა მხატვარს. ტრამვაის წინ ყვითელ ჯუბიანი ვატმანის მკაცრი, მრისხანე სახე! ულვაშების ნაცვლად მატყლის ფოჩვი. ყველას ყურადღება მიიქცია ამ სურათმა. კაპიტან დოაზანი მივიდა. „ულვაშებზე“ ხელი წაავლო, ვითომდა ვატმანს. საერთო სიცილი. ქაჩალი კაცი გაანჩხლებული მივარდა კაპიტანს.

„ვგონებ, თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, კაპიტანო, სურათის ხელისხლება აკრძალულია“.

„ნუ თუ ეს სურათია?“ აუღელვებლად უპასუხა კაპიტანმა. ქაჩალის დაბალ მხრებს თვალი შეავლო.

„მაშ რაღაა?“

„სურათის გარდა, ყველაფერი“. ქაჩალი დაიხა. ტუჩები გაულურჯდა. გაბრუნდა. ხალილ ბეგ კაპიტანთან მიიჭრა:

„ეს ძლიერ ნერვიული კაცია, კაპიტან, თავის ქმნილების შეურაცყოფა ვერ აიტანა. ყოველთვის თავის სურათის ახლოს ჩასაფრებულია. ყურს უგდებს...“

„განა ესეც მხატვარია?“ იკითხა გესლიანად კაპიტანმა.

„აქ სრულიად ახალი სულია“, ვეუბნები დოქტორ რაჲმერს, „უჩვეულო კომბინაციები საღებავებისა, ჩვენ გვეუცხოება ეს საოცარი, ქაოტიური ვიზიონერობა. მაინც სანუგეშოა, მატერიის დემატერიალიზაცია იწყება ახალ ხელოვნებაში“. რაჲმერმა დინჯად მომისმინა.

„Wissen Sie, es ist alles Unsinn“. „შეიძლება მე ჩამოვრჩი საუკუნეს. არ მესმის, საით მიდის ეს ხელოვნება“.

„კაპიტალიზმის სტილი გახლავთ“.

ე. ი. უსტილობა, არა? ანტიკას და ფეოდალიზმს ჰქონდა თავისი სტილი. კაპიტალიზმს ჯერ არ ჰქონია, ვგონებ, არც ექნება“.

„მაშ თქვენ ქალაქის ხელოვნება არა გრწამთ?“

„არასოდეს. ავიაციის განვითარებამ თუ არ გვიმტყუნა, დიდი ქალაქის ბატონობას ბოლო მოეღება. ადამიანები ისევ ტყეების, ტბებისა და მდინარეების ნაპირებს მიაშურებენ“.

„თქვენ გგონიათ?“

„უთუოდ გენერალური უკუქცევა იქნება. ინდუსტრიამ მოჰკლა სილამაზის გრძნობა. მთელი ევროპა დაამახინჯეს ტელეფონების ბოძებმა, რადიოს, რკინისგზის სადგურებმა, რკინის ხიდებმა, ზღვების ნაპირები წარყვნეს დოკებმა და ელევატორებმა. უდიდესი ცოდვა ჩავიდინეთ ბუნების მიმართ. ახლა რამდენი ცოდვაა ადამიანის ესთეტიური შეგრძნობის მიმართ ჩადენილი? ჩვენი თვალი უკვე ვეღარ ჰხედავს ლამაზ საგნებს. თუ თვალი სილამაზეს ვეღარ ნახავს, ვერც სული აღიზრდება ესთეტიურად. ეს საშინელი ქარხნის საქონელი, უშნო, ულაზათო, იაფი. მაშინ̄ამ დაამახინჯა მილიონების ხელი, ულაზათო საქონლის კეთებას მიაჩვია, თვალი კიდევ უშნო საგნების ყურებას. მე ჩინეთში ვმსახურობდი ხუთმეტი წელი. ვერ წარმოიდგენთ, რა მენატრება ჩინური ხელსაქმის ნაწარმოები. ყო-

ველ გლეხს თავისი სახელოსნო აქვს. ყოველ ღარიბ კაცს შეუძლია ლამაზი ნივთების გაკეთება და შეძენა.

დასავლეთში მართლაც რჩეულებისთვისაა ხელოვნება. ერთად-ერთი დემოკრატიული ხელოვნება — პოეზიაა. აქ საშუალო წრის კაციც მხოლოდ მუზეუმებში ჰხედავს ლამაზ საგნებს. მაგრამ განა შეიძლება ხელოვნური ნაწარმოებით დასტკბეს ადამიანი მუზეუმში? აქ მილიონი სურათი, მილიონი საგანი ერთმანეთს ეჯიბრება. მაყურებელიც — ათასთა შორისაა. ისიც განსაზღვრულ საათებში. თქვენ გგონიათ, ამ მუზეუმებში და გამოფენებზე მოსიარულე ხალხი ესთეტიურად იზრდება? ეს მოდაა და წამხედურობა, სხვა არაფერი“.

„მაშ, თქვენ ფიქრობთ, ინდუსტრია ხელოვნებას მოჰკლავს?“

„ერთი მითხარით, რაღა უკლია?.. ხუროთმოძღვრება დიდი ხანია დასავლეთში მოისპო. დღეს იგი ისტორიული ხელოვნებაა. სკულპტურა? ხომ ხედავთ ამ ულაზაათო, ხისა და ბრინჯაოსაგან გამოჩორკნილ ფიგურებს? ქაოტიურ გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ღვთაებრივი ჰარმონიის ხილვისა და შექმნის უნარი. განა ეს სკულპტურაა? თვით დიდი როდენიც ბერძნების ეპიგონი იყო. აწ ვერავინ ააგებს ევროპაში სან პიეტროს, ნოტრდამის, შტრასსბურგის, კელნის, რაიმსის კათედრალებს. არც პალაცო ვეკიოს და დოჟების სასახლეებს. სრულიად გადაგვარდა ოქროს, ვეცხლის, სპილენძის ქანდაკი, თითქმის მთელ დასავლეთში გადავარდა ხელოვნური შინამრეწველობა. ის მიამიტი ცდა, როსკინმა და მისმა მოწაფეებმა რომ დაიწყეს, სრულიად უნუგეშო ჩხირიკედელობაა. ისტორიული პროცესსების წინააღმდეგ სანტიმენტებით ბრძოლა სასაცილოა. თეატრი სინემატოგრაფმა დაჩრდილა. ლირიკა კვდება. ერთად ერთი დარგი, რომელიც კიდევ იბოგინებს, ვიდრე ხანგადასული ქალები არ გამოლეულან — ეს არის რომანი. მუზეუმებში ჩაკეტილი ხელოვნება მე არ მიმაჩნია ხელოვნებად. რა თქმა უნდა, არც აღმოსავლეთში შეუძლია ყოველ კაცს ლამაზი საგნების შეძენა. მაგრამ რელიგიურ ინსტინქტს იგი ტაძრებში მიჰყავს და იქ ჰხედავს შვენიერ საგნებს რელიგიური ექსტაზის წუთებში“.

ნაცნობებმა შეგვაწყვეტინეს საუბარი. პოეტი მენძე აღშ-

ფოთებულია, რომ არც ერთ ევროპულ დარბაზში რელიგიური მოტივი არ გაჰხსენებიათ თანამედროვე ძხატვრებს.

„მეოცე საუკუნეში რელიგიურ მოტივებს ეძებთ?“ დოქტორ როშერი იცინის. მისის ბლუტ ვიღაც ამერიკელებს გადაჰყვა. მადამ ფან სტაუნი აქამდის სდუმდა (ეშინოდა არაკომპეტენტური აზრი არ წამოჰსცდენოდა). ახლა დაჟინებით მოითხოვს დანარჩენი შემდეგისათვის გადავსდოთო, თითო ჭიქა შამპანურზე ვწვევოდით. ჯენეტს თავი ასტკივდა, ყველას გამოემშვიდობა. მადამ ფან სტაუნის მრავალგზის მოპატიჟებას ყური არ ათხოვა. კაპიტან დოაზანმა ცალი ფეხი წინ გადმოდგა, მაგრამ ჯენეტის გვერდით მდგარს თვალი შემასწრო. საერთო სალამი მოგვცა.

„თუ არ გეზარებათ, ფეხით წავიდეთ“, მეუბნება ჯენეტი.

ჩვენ დიდხანს ხმისამოუღებლად მივჰყვებოდით პარკის ხეივანს.

## ც. პატმოსის მალაკი

უკანასკნელი წვიმებისაგან გახრწნილი ფოთლების სუნი სდგას. სენის მოქამულ წყალში ბუქსირები ყვიან, უშველებელ, მწვანე სხივის შლეიფებს სტოვებენ განვლილ სარბიელზე. ჯენეტი მისაყვედურებს:

„სრულიად უმართებულოდ თავს დაესხით კაპიტან დოაზანს“.

„მეჯავრება სწორედ მისი სალდათური ტრაბახი“. ვეუბნები. არც კი ვუმხელ, რომ მე სიჭაბუკიდანვე სამხედრო კარიერაზე ვოცნებობდი და ომის დროს უკანასკნელ სემესტრზე ლამის მივატოვე უნივერსიტეტი. სამხედრო აკადემიაში ვაპირებდი გადასვლას.

ჯენეტი მეკითხება:

„ვისი ჩაცმულობა მოგეწონათ ვერნისაჟზე?“

„თქვენ დიდის გემოვნებით იცვამთ, მაგრამ ქართული ტანისამოსი უფრო დაგშვენდებოდათ“.

„მაინც?

„ხოხობის ყელის ფერი ქართული კაბა. სმარაგდის ფერი

ჯონია. მძიმე, ოქროს ქამარი, ოქროსავე სისილებით. დიდრონი ლურჯი იაგუნდების ყელსაბამი, ძველებური, გრძელი, სმარაგდის საყურეები, თეთრი ტუნიკა, პატიოსანი სიასამურის ფთორი ბეწვეული".

ჯენეტი ღიმილით:

„ჩემ დიდედას სცმია ასე. მხოლოდ ჯონია ბროწეულის ყვავილის ფერი".

ხმაგაკმედილი მივჰყვები გვერდით. ხანგამოშვებით უკან მოვერჩები, მის ნაძვივით წერწეტ ტანს, მის სავსე თეძოებს თვალს შევავლებ და მისი სიახლოვისაგან ჩემი სული ივსება სიხარულით.

„მართლა აპირებთ ლონდონს წასვლას?"

„არა, მე ველარ ვიტან ზღვაზე მგზავრობას. გარდა ამისა, ლონდონი მეჯავრება. მე ისიც მიკვირს, თვითონ ინგლისელები როგორ სცხოვრობენ მაგ ნისლიან ქვეყანაში". გზაჯვარედინზე ავტომობილმა ჩაგვიარა ღმუილით. ჰარილესავით რბილი ტანის სიახლოვე ვიგრძენი. ჩვენ ძლიერ დავშორებულვართ სენტ ჰონორეს ქუჩას. ვეკითხები:

„გზა ხომ არ აგვერია?"

„არა, მე ვგულისხმობდი, თქვენც ნოტრდამში წამოხვიდოდით. შაბათობით მე მწუხრზე დავდივარ" მეკითხება:

„თქვენ მორწმუნე ხართ?"

„როგორ გითხრათ? მე ღვთის გმობასა და რელიგიურ პაროქსიზმს შორის ვირყევი".

„ღვთის გმობა და რელიგიური პაროქსიზმი?" გაჩუმდა. ნოტრდამის მოედანს თვალი მოავლო. ამბობს:

„ამაზე ულამაზესი ადგილი პარიზში არ მეგულება. სალამობით საუცხოვოა ნოტრდამი. მგლოვიარე ქალწულსა ჰგავს".

„მეც ძლიერ მაღელვებს სარკმელ გამობნელებულ, მიტოვებულ ეკლესიების ღამეული შემოხედვა. ჩემს ძარღვებში სისხლი იყინება. თვალებდათხრილ მიცვალებულებს მაგონებენ".

ტაძარში ოდნავ ბნელოდა. შესვლის უმალ სპეციფიური საყდრის სუნი მეცა. უკანა რიგებში არც ერთი თავისუფალი ადგილი. მლოცველების დიდი ნაწილი არეებში დაჩოქილი

ისმენდა მწუხრს. შავი სილუეტების ლიტანიები, ლოცვანების ხმადაბალი, ქორალური კითხვა.

მაღალ, დაბნელებულ თაღებს ქვეშ საოცარ, მისტიურ გარინდებას დაუსადგურებია. აპოკალიპსურ მოტივებზე მოხატულ, ვიწრო, მაღალ ფანჯრებიდან იისფერი შუქი იფრქვევა ამეთისტოსფერ ფანჯრების ფონზე: პატმოსის ჭალაკი, ზეწრით შესუდრული ძე-კაცის მსგავსის თოვლივით სპეტაკი თავი, ალისებური ბრწყინვალე თვალები. მისი პირიდან ორპირ ალლესული მახვილი ამოდის. ხელთ უპყრია კლიტენი სიკვდილისა და ჯოჯოხეთისანი. მარჯვნით ვარსკვლავი შვიდი, და შვიდი სასანთლენი ოქროისანი. ნაირ-ნაირი აპოკალიპსური ცხოველი: ლომის მსგავსი, კუროს მსგავსი, არწივის მსგავსი, მეოთხესაც პირი კაცისა, თითოეულს წინ და უკან ორ-ორი თვალი, და ფრთა ექვს-ექვსი.

მთავარანგელოზი გაბრიელი შვიდთავიან ვეშაპსა ჰკლავს, სადღასაც შვიდ პოზაუენს ურიგებს ანგელოზებს, სასწორიანი, კაპარჭიანი, შუბიანი, მშვილდ-ისრიანი, აპოკალიპსური მხედრები პატმოსის ჭალაკისაკენ მიაგელვებენ რაშებს, წინ მიუძღვებათ მწვანე ცხენზე მჯდარი მხედარი, ორლესური მახვილით ხელში. უდაბნოში დაჩოქილ იოანეს წინაშე სვეტის ფეხებიანი ანგელოზი შვიდბეჭდიან წიგნს აჩრის პირში. კლიტეებით დატვირთული — ანგელოზი უფსკრულებისა აბადონ.

ჩვენ ფრთხილად გავიარეთ არეებში დაჩოქილ მლოცველთა შორის: ტაძრის შუაგულში ძლივს ვიპოვნეთ ადგილი. ახლა ვამჩნევ: საკურთხევლის წინ თალხი ლანდი მოჩვენებასავით დადის, ხან და ხან კოლონებს აეფარება; ხანგამოშვებით მოისმის ნელი, მონოტონური ხმა. მაღალი თაღების გამოძახილში ითქვიფება მისი წართქმული.

მე ვგრძნობ: ჯენეტი სულიერად დამშორდა. ბნელში ვამჩნევ მისი ტუჩების მოძრაობას. ერთბაშად განათდა. იისფერი შუქი მიადგა ლოცვანებს. მთელს ტაძარს მოედო საკითხავების გადაფურცვლისგან ამდგარი შრიალი. მწირველმა უმატა ხმას. საკურთხევლის წინ რამოდენიმე შანდალი აენთო. გარედან ზარის რეკა მოისმის. ასე მგონია, განუსაზღვრელი სიშორიდან მოდიოდეს იგი და ჩემი სული ივსება უსიტყვო მელანქოლიით. ახლა საკურთხევლის წინ ნათლად ვხედავ წვერგა-

პარსულ გამხდარ, მაღალ კაცის ფერმკრთალ სახეს. ცალი ხელი ყურთან მიმაქვს. გარკვეულად მესმის: „და მივექეც მუნ სმენად ხმასა მის, რომელი მეტყოდა მე და ვითარცა ვიხილე შვიდნი სასანთლენი ოქროისანი და შორის შვიდთა მათ სასანთლეთა მსგავსი ძისა კაცისა... და ერტყა ძუძუთა თანა მისთა სარტყელი ოქროისა და მარჯვენა ხელსა მისსა აქუნდეს ვარსკვლავნი შვიდნი“.

მლოცველმა ხმა დაუშვა.

ვხედავ მხოლოდ მისი ფერმკრთალი ტუჩების მოძრაობას და გრგვინავს მაღალი, გოტიური თაღების სიბნელეში გაუგონარი სიტყვების ეხო. გაორკეცებული ყურადღებით ვუსმენ: „ვიცანი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილ ხარ, არცა ტფილ, მეგულვების აღმოგდებად პირისაგან ჩემისა. რამეთუ იტყვი მდიდარ ვარ და განვმდიდრდი და არა მეხმარების და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშუელ და განგაზრახებ შენ, რათა იყიდო ჩემგან ოქრო გამოხურვებული ცეცხლითა“.

შორიდან ქორალური:

Dees irae, dies illa,  
Solvet saeclum in favilla  
Teste David cum Sibyla

. . . . . . . . . . . . . . .

Rex tremendae majestatis  
Qui salvantos salvas gratis  
Salva me fons pietatis.

. . . . . . . . . . . . . . .

Qui Mariam absolviti  
Confitatis maledictis  
Flammis acribus dedictis  
Voca me cum denedictis,

„თქვენ ყველაფერი გესმით?“ — მეკითხება ჯენეტი ჩურჩულით. მან ძლიერ ახლოს მოიტანა პირი ჩემ ყურთან. საფეთქელზე ვგრძნობ მის სუნთქვას და ამ წუთში ასე მგონია: ჩვენ განუსაზღვრელად დავვახლოვდით. ამ მიბინდულ ცადაჭრილებს ქვეშ, ამ რელიგიური პაროქსიზმით ათრთოლებულ მლოცველთა შორის, რაღაც უხილავმა ძალამ გვაპოვნინა ერ-

თი-მეორე და შეგვაკავშირა. დღემდის ჩვენი სულები ორ სხვადასხვა მხარეს მოხეტიალე მწირები იყვნენ. ვგრძნობ ჩემ სულში უშველებელი სინათლისა და ექსტაზის ჩქერი ჩაეშვა.

ტაძარში ალოეს სუნი სდგას... მწუხრი გაათავდა. სენტ ჰონორეს ქუჩამდის ისე მივსულვართ, ერთი-მეორისათვის ხმა არ გაგვიცია. მის სულში უსაზღვრო მოწყენას, უსაზღვრო გლოვას დაუსადგურებია და ეს დუმილით მეტყველი სულის წრიალი მას უკეთილშობილესი შარავანდედით მოსავს. უნებურად ვფიქრობ ოდესღაც საქართველოში ნახულ ქაშუეთის ღვთისმშობლის სურათზე, რომლის არშიაზე ეწერა:

„ღვთისმშობელი შვენიერი შროშანი,
მას უგალობს ანგელოზი ფრთოსანი“.

სენტ ჰონორეს ქუჩის მოსახვევთან ვიგრძენი პირველად, რომ ჩვენ ისევე განუყრელი ვართ, როგორც ორი ფრთა ერთი და იმავე სამხრეთმოწყურვებული წეროსი, ცივსა და ღრუბლიან ქვეყნებში რომ დაყიალობს და მზეს ეძახის.

პირველად ჯენეტმა დაარღვია დუმილი: „მთლად დამავიწყდა, ზეგ ფან სტაუნისას დაპატიჟებული ვართ“. შესავალთან გამოვეთხოვე. მივჰყვები გაუთავებელ რივოლის ქუჩას. თვითონაც არ ვიცი, საით წავიდე. უსიამოვნო ქარი ჰქრის... ჰინკასავით წივის ტელეგრაფის მავთულებში; უქმურებივით დაჰქრიან ავტომობილები. ხომ აუტანელია: ქვეყანაზე საკუთარი „შინ“ არა გქონდეს, ცაში ღმერთი არ გეგულებოდეს და არც არვის უყვარდე, ამ გაუხარებელი ცხოვრების ბნელ ღამეში?!

. . . . . . . . . . . . . .

ან რომელი ღმერთი მეტყვის, თუ საიდან მოდის ჩემს სულში სიხარული ან მწუხარება? სენის ნაპირას მივდივარ ჩქარის ნაბიჯით და შევჰყურებ ამ უშველებელი გრანიტის სასახლეების, ქარხნების შავს კონტურებს გაღმა თუ ვით ენთება ღამეული ცა ელექტრონის მეწამულ შუქზე. შავი, აქა-იქ გაბნეული წვიმის ღრუბლებიც ისე მოსჩანან ტყვიისფერ ფონზე, როგორც ოთხი აპოკალიპსური ცხოველი ნოტრდამის ფანჯრების მინებზე და ჩემს სულში ნელნელა ენთება სიყვარულის, ალტაცების მაღალი გეენია. მინდა ვიმღერო ამ ტრამვაების, ომნიბუსების, ავტომობილების ზმუილში ისე ძლიერად, ისე ხმამაღლა, რომ მან გაიგონოს გრანიტის სახლების

გადაღმა რომ კარი ჩაიკეტა და მარტო დამტოვა ცივ უცხოობაში.

„დღისა სინათლე შენი პირისაგან მაქვს, ღამისა სიბნელე თმისა შენისაგან“, ვამბობ ხმამაღლა და ჩემი სული იკლაკნება ტკივილისაგან, როგორც გველის მართვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7. ამორძალის კოცნა

მადამ ფან სტაუნის საღამო ძლიერ ინტიმური უნდა ყოფილიყო. მუსჲო ფან სტაუნი სტამბოლს წასულა (დიასახლისმა შესაფერი დრო შეარჩია). ხალილ ბეჲ წინასწარ ირწმუნება: ეს მირზა-ხანის სალონის ქაოსს არ ემგვანებაო. რჩეული სტუმრები იქნებიანო, და მეტი თავისუფლება და ნაკლები კრძალვა.

მე გერმანელებმა მიმაჩვიეს პუნქტუალობას. 10 საათზე ფან სტაუნისას ვიყავი. ლუდოვიკო XIV-ის სტილზე მოწყობილ სალონში დამიხვდნენ: მისის ბლუტ, მადმუაზელ დელაროშ, დოქტორ რაჲმერ, მადმუაზელ ტორინო, ერთი ინგლისელი მეზღვაური კაპიტანი, იაპონელი მაიორი — ხალხთა ლიგის დელეგატი (გვარი ვერ დავიხსომე), პოეტი მენჲე, მადამ შენჲე, მადამ დექარდინჲე და ხალილ ბეჲ.

მადამ ფან სტაუნს ექზოტიური, ყვითელი ჩინური აბრეშუმის ტანისამოსი ძლიერ შვენოდა. ხალილ ბეჲ მისაყვედურებს, რომ გასულ შაბათს მონმარტში საქეიფოდ არ გავყევი. ერთ-ერთი მისი სურათი ერთ ამერიკელ მილიარდერს უყიდნია. ჰა, მიტომაც... მსახურმა შამპანური ჩამოარიგა. დიასახლისი გვარწმუნებს: ეს შამპანური ასი წლისაао. სტუმრები წყვილ-წყვილად დაიფანტნენ სალონის კუთხეებში. მე და მისის ბლუტ ერთად მოვხვდით. მე ვწრიალებ: ჯენეტი არსადა სჩანს. არც კაპიტან დოაზანი მოსულა.

მე და კაპიტან დოაზანი უნდა გავსწორდეთ. მალი-მალ ვახლი ჩემს ბოკალს მისის ბლუტის ჭიქას. ზედი-ზედ ვსვამ.

„თქვენ დიდი ლოთი უნდა იყოთ“. მეუბნება დამა.

„მე ვაზის ქვეყნიდან გახლავართ. მისის“.

„არ ითვრებით?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იშვიათად".

„მეზარება, როცა მამაკაცი არ ითვრება".

„გააჩნია რითი?"

„თუნდაც სიყვარულით".

„ნეტავ თუ გჯერათ სიყვარული, მისის?"

„ჩვეულებრივ რომანებში მოთხრობილი, რა თქმა უნდა, არა მჯერა. სიყვარული ერთი ჭიქა შამპანურის წვენით გაღვიძებული, ეს არის ნამდვილი სიყვარული".

„მაშ წამიერი?"

„დიახაც, წამიერება უკუნეთის ცალფა რგოლია. ძე ერთ წამზე მეტს არც კი, განვიცდი ცხოვრებას. წარსული არ მახსოვს, მომავლის არ მეშინია".

მე ვგრძნობ, შამპანური მაბრუებს. მისის ბლუტის თეთრ მკერდს შევსცქერი. მაღელვებს მისი ოდნავ ვაჟისებური გამოხედვა, სპილენძის ფერი თმა, თეთრი, შიშველი მკლავები; მისი მდიდარი ტანის სავსებას ველარ ფარავს შვინდისფერი აბრეშუმის კაბა. მაღელვებს მისი თეძოების, ლამაზი წელის მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა. ბეჭებზე ირიბულად გადაგდებულ ჩინურ შალიდან ხანგამოშვებით აჩენს იღლიამდის შიშველ მკლავებს.

„თქვენ შეგიძლიათ სიყვარული?".

„რა გითხრათ. ვგონებ ხანგრძლივი არც მე შემიძლია. არ შემიძლია დიდხანს ვსდიო ქალს. მიყვარს, როცა მოულოდნელად შევეფეთები და დავიპყრობ, როგორც შევარდენი აფრენილ ხოხობს".

„აჰ, რა კარგად სთქვით, მართლაც პოეტი ყოფილხართ. მაგრამ თქვენი ხოხობი რომ არ მოდის?! მივხვდი, რომელ ხოხობზე ამბობდა ცბიერი მისის. სახტად დავრჩი. მისის ბლუტ იცინის. ნიშნის მოგებით:

„პირველად ვხედავ. თქვენნაირ მამაკაცს რომ გაწითლების უნარი ჰქონდეს".

პაუზის შემდეგ:

„მეც ისე ვარ".

„როგორ გავიგო?"

„მე თვითონ უნდა ავირჩიო მამაკაცი".

„მე კი მგონია, მამაკაცმა უნდა აირჩიოს დედაკაცი".

„იცით, სერ, აქამდის თქვენ ირჩევდით, აწი ჩვენ უნდა აგარჩიოთ. ჩვენი დროის ქალი ამორძალია. მესოპოტამიაში ახლაც ყოფილა ერთი მოდგმა. რელიგიური დღესასწაულის დროს მთელი ხალხი ქალურად ჩაცმული გამოდის. თვრება. როკვით უმღერიან ჰიმნებს ამორძალების დედოფალს. მე ვფიქრობ, ისევ დაბრუნდება მატრიარქატი".

მისის ბლუტ თვალებში მიყურებს. ბოკალი გამოვსცალე. მისის ბლუტ ხშირად ამბობს:

„თქვენი სამშობლო კავკასია".

თავაზიანად ვახსენებ: „ჩემი ქვეყანა საქართველოა და არა კავკასია. კავკასია საქართველოს ყოფილი საუფლო იყო. რომანოვების სატრაპებისგან შეთხზული ადმინისტრატიული ტერმინია და სხვა არაფერი".

„ეს სულერთია, მანუგეშებს, ქართველების შესახებ გამიგონია: ძლიერ ლამაზი, თამამი, ვაჟკაცებია, ცხენზე ჯდომა, ნადირობა, ქალის მოტაცება ჰყვარებიათ. შარშან „ტაიმს კონტინენტალში" თქვენი ქვეყნის ილიუსტრაციები ვნახე. ბოხოხიანი, ნაბდიანი, გრძელხანჯლიანი ქართველები. თქვენ ალბად გადაგვარებული უნდა იყოთ. მე არ მეგონა, წვერგაპარსულ ქართველს თუ ვნახავდი ოდესმე. რატომღაც იმ სურათების შემდეგ ქართველი წარმოდგენილი მყავდა, როგორც ფრიად ახოვანი, ფრიად გამბედავი, დაუღალავი მოარშიყე, დაუზოგველი მოჯირითე..."

„თქვენ რა იცით, მისის, რომ მეც გამბედავი არა ვარ?"

„რა ვიცი, იმ საღამოს ძლიერ მორცხვობდით. მე თქვენ ფრანგი ან იტალიელი მეგონეთ. მიტომაც ყურადღება არ მოგაქციეთ.

„მერმე ვინ გითხრათ?.."

„ჯენეტ ხანუმმა. განა ვერა გრძნობთ, თქვენზე ლაპარაკობენ?"

„განა ისეთი უმნიშვნელო არსება ვარ, რომ ლაპარაკის ღირსიც არ ვიყო?"

„ბევრ მამაკაცზე მართლაც არა ღირს ლაპარაკი". ვსდუმვარ.

„მე არ მიყვარს გაპარსული, გაპუდრული მამაკაცები. არც

მაგნაირი რომანტიული, მელანქოლიური თვალები. მამაკაცს ველური გამომეტყველება უნდა ჰქონდეს“.

მსახურმა ისევ გაგვივსო ბოკალები. ღიმილით ვ‑ლევ ჭიქას:

„A la votre“. მისის ბლუტს ძლიერ ახლო მოაქვს ჭიქა მეჯუბნება:

„გულწრფელად გეტყვით, თქვენმა ოდნავ ველურმა კბილებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება“.

„თქვენ ალბათ ისეთი მამაკაცი გინდათ, ბნელ ღამეში რომ მოგიტაცებთ, არა?“

ღიმილით ამბობს:

„O yes, o yes“.

მე განვუმარტე:

„ქალის მოტაცება ყოველ ქართველს შეუძლია. ბარის საქართველოში ქალი ბევრია, მიტომაც მოტაცება აღარ გვჭირია. ეს ჩვეულება საქართველოს მთაშია დარჩენილი მეთქი“.

მისის ბლუტს ვერ გაუგია, თუ რათ მაინტერესებს ამერიკა.

„მე თქვენ ადგილას ჯიშიან, ლამაზ ქართველ ქალს შევირთავდი. ვენახს გავაშენებდი. მთებში ვიცხოვრებდი. მალე ნევიორკს წავალ. თუ ასე გაინტერესებთ, წამოდით. იქიდან ტოკიო. მერმე ჩინეთი... კიაჩაუში ჩემ ქმარს გაგაცნობთ. აღმოსავლეთის ფლოტის კომანდირია“.

„ო, დიდებული საქმეა, მისის, მე დაქადნებული ვარ, პეკინთან რომ პორცელანის ხიდია, იმ ხიდზე ცხენი უნდა გავაჭენო“.

მისის ბლუტ იცინის:

„მერმე ტფილისს ჩავიდეთ. ერთი იტალიელი მოგზაურის დღიურში მიკითხავს: ტფილისელ ქალებს კრინოლინის კაბები აცვიათო, მტკვარზე გადაკიდებულ აივნებზე გამოეფინებიან და სპარსულ ხალიჩებზე ცეკვავენო, მართალია?“

„ეს ძველი ამბავია, მისის“. მადამ ფან სტაუნი მოგვიახლოვდა: „როგორც ვხედავ, თქვენ უჩემოდაც არ მოგწყენიათ“.

ამასობაში ჯენეტი, კაპიტან დოაზანი და მისი ცოლი შემოვიდნენ. ჯენეტს მიხაკის ფერი აბრეშუმის Tea Gown აცვია. კისერზე ბრილიანტის კოლიე, საფირონის გრძელი საყური-

ები. კაპიტან დოაზანი ძლიერ კარგ გუნებაზეა. მაგრად ჩამომართვა ხელი. ხჩანს ყველაფერი დავიწყებია. მისის ბლუტი ძლიერ დაინტერესდა სამეგრელოს, სვანეთის, ხევსურეთის ამბებით. ვეუბნები:

„ხევსურეთში ახლაც ნახავთ ფერდჩამოთლილ ხეებზე წარწერილ სამიჯნურო ლექსებს.“ მისსის ბლუტ აღტაცებულია, რომ სვანებს მატარებელი, ჰაეროპლანი, ქარხანა ჯერ თვალით არ უნახავთ.

„ბედნიერი ხალხი ყოფილაო!“ ამბობს.

ჩემი გვარის ჰეროლდიკაც ძლიერ აინტერესებს. მე ვუამბობ, რომ ჩვენ მეათე საუკუნის წინად სამხრეთ საქართველოს საზღვრებს ვიცავდით ბოროტი და მედგარი მტრების შემოსევისაგან. როცა ბაგრატიონები დაუძლურდნენ, ცალკე მტრის იერიშებს, ცალკე სხვა დიდი გვარების მეტოქეობას ველარ გაუძლეს ჩემმა წინაპრებმა, მე-13 საუკუნეში ჩვენ დავმარცხდით და დასავლეთის ვასალურ აზნაურებად ჩამოგვაქვეითეს მეთქი. ილევა სავარსამიძეების გვარი, მე უკანასკნელი რაკეტა ვარ მეთქი“.

„უკანასკნელი რაკეტები ყველაზე უკეთ ანათებენ“, ამბობს მისის ბლუტ.

ვსდუმვარ.

„ნუ თუ თქვენ არა გრძნობთ დაღალულობას?“

„რატომ?“

„ამდენი საუკუნოები რომ გაწევთ მხრებზე. სახეზე გეტყობათ, მიტომაცა ხართ ასეთი უებარი ესთეტი. გადაგვარებული გვარის შვილები პოეტები და ესთეტები გამოდიან“.

„თქვენ არხეინად იყავით, მე კიდევ გავუძლებდი სამხრეთის ბჭეების დაცვას, თქვენს ამერიკაში სადმე ცარიელი ტახტი ხომ არ გეგულებათ?“ მისსის ბლუტ კისკისებს.

„...ყველაფერი კარგი, ნევ-იორკში რომ წაგყვეთ, თქვენებს რას იტყვიან?“

„ჩვენ ევროპელ ქალებსავით ფილისტერები არა ვართ. ჩვენ რაც შეიძლება მეტის ნახვა და მეტის განცდა გვაინტერესებს. ჩვენ ოდნავ ავანტიურისტები ვართ“.

„ყოველი საინტერესო ადამიანი ავანტიურისტია“, შევნიშნე. სტუმრები ოდნავ შეზარხოშდნენ. განსაკუთრებით ქალებს

აუწითლდათ ლოყები. ზედი-ზედ სწევენ პაპიროზს. თვალებს ნაბავენ. ხმადაბლა ელაპარაკებიან კავალრებს. მისის ბლუტი ისევ ხევსურეთის და სვანეთის შესახებ მეკითხება. ამ მხარეების ფოტოგრაფიულ სურათებს მთხოვს.

„მე არ მესმის ამერიკელების საოცარი სიყვარული ფოტოგრაფიისა და სინემატოგრაფისადმი. მე მგონია ესენი უფანტაზიო ხალხს უყვარს“.

„რატომ?“

„საზიზღარი რეალიზმია“.

მე კვლავ ვუამბობ: სამეგრელოს, სვანეთის, ხევსურეთის წარმართულ მისტერიებზე, 365 წ. გიორგის რიტუალებზე, სუჯუნის თეთრ მონებზე.

მისის ბლუტ ყურადღებით მისმენს. შამპანურს სვამს.

დუმს.

ღიმილით ვეუბნები:

„წარმოიდგინეთ, წვერი მოვუშვი, ჩოხა ჩავიცვი, გრძელი სატევარი დავიკიდე და მოგიტაცეთ, თქვენ როგორ უნდა იცხოვროთ სამეგრელოს მთებში? იქ არც რბილი საწოლია, არც ელექტრონი, ავტომობილი იქ ისე ვერ გაივლის, როგორც ზლვის კიბორჩხალი, ოპერის ქუჩაზე. არც წიგნები გექნებათ, არც შამპანური“.

„მე სიამოვნებით გავველურდებოდი, თქვენ რომ ამიწერეთ, ისეთ ფეოდალურ კოშკში ვიცხოვრებდი. ვაჟურად ჩავიცვამდი. მთიულ ცხენზე შევჯდებოდი, ჯიხვებზე სანადიროდ წამოგყვებოდით“.

შამპანურსა ვსვამ.

„ეჰ, ეს სულ ფანტაზიებია, მისის. თქვენ რომ იქ სამი თვე იცხოვროთ, სტრიხნინი მოგენატრებათ. ამერიკელი ქალები კარგი ტურისტები ხართ, ოდნავ გაამორძლებული ქალაბიჭები, მაგრამ“...

მისის ზლუტმა ხელი დაუქნია ზალის კარებთან ატუზულ შავფრაკიან მსახურს, უბრძანა: შამპანური დაესხა, ცოტა კექსი მოეტანა.

„თქვენ ასე გგონიათ, ჩვენ ყველგან შეგვიძლია მინიმალური კომფორტის შექმნა“.

მახლობელ დარბაზში კარტის თამაში დაეწყოთ სტუმრებს.

კაპიტან დოაზანმა თავისი დამები დასტოვა და მოთამაშეებს შეუერთდა. დიასახლისი ისევ მოგვიახლოვდა. ხმელი ხილი მოატანინა მსახურს. ჩემი დამის წინაშე ბოდიში მოვიხადე, ჯენეტ ხანუმს მივესალმე.

მისაყვედურებს:

„გემდურით".

„რა დავაშავე, ხანუმ?"

„რატომ არ მოხვედით. აკი თქვენ უნდა წამოგეყვანეთ?"

„თქვენ არ გიბრძანებიათ, რომ გამომევლო. მოგეკრძალეთ".

„იგულისხმებოდა". ძლიერ შევწუხდი. ბლუტიც მოვიდა. ჯენეტს ეკითხება:

„შმენდეფერს არ თამაშობთ?"

„სამწუხაროდ, არ ვიცი". მე მომიბრუნდა:

„მუსიო სავარსამიძე, თქვენ?"

ძალაუნებურად გავყევი. კარტის მოთამაშენი აზარტულ გუნებაზე იყვნენ. ქალები მომეტებულის ვნებით თამაშობდნენ.

მე მიყვარს ის მომენტი კარტის თამაშში, როცა თამაში ბრძოლის ხასიათს ღებულობს. მადამ ფან სტაუნი და კაპიტან დოაზანი პირისპირ ისხდნენ. მათს შორის აუარებელი სტერლინგების, დოლარების ეფექტივები ელაგა. ფან სტაუნმა სამჯერ ზედი-ზედ წააგო. ყველანი დიდის ინტერესით ელოდნენ, თუ რა მოხდებოდა. მადამ დექარდინჲე ითვლის: „ათას ორასი, ათას სამასი"... კაპიტან დოაზანმა დაიძახა: „ვა ბანკ!" სტუმრები ახმაურდენ. მადამ დექარდინჲემ 1600 გირვანქა გადაუთვალა კაპიტანს. ეფექტივები გვერდით დაულაგა.

„ვის უნდა ნახევარი?" ამბობს კაპიტანი გამომწვევი ტონით და ახლად მოსულებს გვათვალიერებს. მისსის ბლუტ მომიბრუნდა:

„მუსიო სავარსამიძე, თქვენ გიყურებენ". ვყოყმანობ.

„გაბედეთ. ქვეყანა გამბედავს ეკუთვნის" (თითქოს მარტო გამბედაობაზე იყვეს! არ ვუმხელ, რომ 3 გირვანქის მეტი არ მაქვს!)

„თუ ასე გინდათ, მუსიო სავარსამიძე მოდის". ეუბნება მისსის ბლუტ. ნაძალადევად გავიღიმე. მისსის ბლუტს ვუჩვე-

ნე კარტი: „ახლა რა ვქნა?“ „დაიძახეთ 9“. მისის ბულტმა გადაიხარხარა. ჩემი კარტი მაგიდაზე დაჰყარა. „თქვენ მოიგეთ“.

800 გირვანქა გადმომითვალა მადამ დექარდინემ. კაპიტან დოაზანი მოილრუბლა.

მისის ბულტს შამპანურმა თავი ატკინა.

„ამ ოთახში ციგარის ბოლია. გავიდეთ აქედან“. ძე ხელი გავუყარე. დერეფანში გავედით.

„შევიდეთ ერთ წუთს მადამ ფან სტაუნის ბუდუარში, ცოტა დავისვენოთ“

„მე რა მინდა სხვის ბუდუარში?“

„მე აქ შინაური ვარ“.

დერეფანში პატარა სცენას წავაწყდით: ძალძუაზელ ლორენცი უგრძნობლად კოცნიდა დელა რომს. ორივე ისე გართული იყო, ჩვენი ფეხის ხმაც არ გაუგონიათ. მისის ბლუტმა პატარა ოთახში შემიყვანა. ამპირის და როკოკოს არეული სტილი. ოთხივე კედლის სიგრძე სიგანეზე ვენეციური სარკეები. წითელი ხის შეზლონი, ორიოდე ჩინური მრგვალი მაგიდა, პირის სარკის წინ მარმარილოს სტატუეტები, ძვირფასი ჩინური ვაზები, სპილოს ძვლის ამურეტები. ოთახში მაგარი პარფიუმის და ოპიუმის სუნი. მისის ბულტ სავარძელში ჩაჯდა.

„დაჯექით ჩემთან“. მეუბნება.

უსიტყვოდ დავემორჩილე, შიშველ მკლავზე ხელი მოვავლე. მეორე ხელი კორსაჟში ჩავუყავი. ცალი ხელი მომხვია კისერზე. თავი განზე გავსწიე. შევჰყურებ მის ნახევრად გახსნილ პირს. ამ წუთში მას რომელიღაც თეთრბეწვიანი ლამაზი მხეცის იერი ჰქონდა. მაგრად მივიკარი მკერდზე, მის ტფილ ძუძუებს შევეხე, გაცოფებული მომვარდა. ტუჩებზე მიკბინა. თავი გავითავისუფლე. კარისკენ წავედი.

„სად მიხვალთ, მშიშარა?“

„კარს ჩავკეტავ. ვინმე შემოგვისწრებს“.

„არა, სთქვა კაპრიზულად, ან ასე, ან არასოდეს“.

კარი არ ჩამიკეტია. ისე გამოვბრუნდი. ხელში ავიყვანე. საფიანის შეზლონზე დავაწვინე. წითური ქალის ტანის საოცარმა ელვარებამ შემომანათა სახეში, როცა შამპანურისა და

ვნებისაგან მთვრალი მივვარდი მის რბილ სხეულს. ვამჩნევ სისხლის მოძრაობას ანთებულ სახეზე. თვალები მილულულა. ისევ გაახილა, წამოიწია. ცალი ხელი კისერზე მომხვია. შეპყრობილივით მიაცქერდა ჩემს ზურგს უკან სარკეში თავისსავე მშვილდივით მოხრილ ტანს. ისევ აელანძა სახე. ნაზად მაკოცა და ნებიერად გადაესვენა ბალიშზე. გედის ფრთასავით სპეტაკი იყო მისი ინგლისური არშიებით შემკული თეთრეული, უფრო თეთრი მისი სავსე თეძოები და სიასამურივით რბილი მუცელი. ვკოცნი სწორედ იმ ადგილას, სადაც სპილენძის ფერმოლი თავდება და შიშველი ხორცი იწყება. საოცრად გამოიცვალა. უსირცხვილო სიტყვებს ვეჩურჩულები. ჩემს მკლავზე ნებიერად წევს. ფართე ცისფერ თვალებში ვხედავ ჩემსავე ვნებისაგან ამღვრეულ სახეს. ხმას არ იღებს და მკოცნის ისე, როგორც უნაზესი ქალთა შორის. ვეკითხები:

„რა საჭიროა ამდენი სარკე ამ პატარა ოთახში?"

„ეს მე ვასწავლე მადამ ფან სტაუნს. მე ისე ვერ ვიგრძნობ მამაკაცს, თუ ექსტაზის წუთში ჩემი სხეული სარკეში არ დავინახე".

სტუმრები ძლიერ შეზარხოშებული იყვნენ. კარტის თამაში გაეთავებინათ. წყვილები ფოქსტროტს ცეკვავდნენ. ზოგიც შამპანურს შეექცეოდა. ისევ ჩვენი ადგილი მოვძებნეთ. მსახურმა ბოკალები გაგვივსო, მისსის ბლუტმა ჭიქა მომიშვირა:

„ამიერიდან გახსოვდეთ: ქალის გულისა და ფულის მოსახვეჭად სამი რამეა საჭირო: სითამამე, სითამამე და კიდევ სითამამე. მოკრძალება უნდილი ადამიანების საქმეა". ვიცინი.

„არაფერი მიპასუხოთ, თორემ შემძულდებით".

ვეკითხები:

„განა გიყვარვართ?"

„ამ წუთში, ჰო..." ჯენეტი როიალს მიუჯდა. კაპიტან დოაზანმა როიალის თაროზე დასდგა თავისი ჭიქა. ნოტებში ხელს ურევს, რამდენიმე შესავალი აკორდი.

Sous vos longues shevelures petites fées,
Vous chantates sur mon sommeil bien doucement.
Sous vos longues chevelures petites fées,
Dans la forêt du charme et de l'anchantement.

ნაზი სოპრანო მელანქოლიურ ტონს აძლევდა ტკბილ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდიას. სტუმრები იძახიან: „ბრავისიმო“, მისის ბლუტ სდუმს. ვეკითხები:

„არ გიყვართ მუსიკა?“

„რატომ არა?“

„საოცარია, ინგლისსა და ამერიკას დიდი მუსიკოსები არა ყოლია“.

„მიტომაც ჩვენსავით არავინ აფასებს მუსიკას. ომამდის ყოველ წელს ბაიეროეტს მივდიოდი“.

4 საათი კახდა. მისის ბლუტს უარესად ასტკივდა თავი.

„ამაღამ ჩვენსას დარჩი შერი“, ეუბნება მადამ ფან სტაუნ. კაპიტან დოაზანი უგრძნობლად დათვრა. ბარბაცით გავიდა ვესტიბიულში. მე შევამჩნიე: ჯენეტი ერიდებოდა მთვრალ კავალერს. მე და ჯენეტი დავწინაურდით.

„ეს ფრანგები საოცრად ითვრებიან“, მეუბნება.

## 8. სმარაგდის ბეჭედი

ჯენეტი მიეჩვია ჩემს ახლო ყოფნას. შაბათობით ნოტრდამში დავდივართ მწუხრზე. კიდევ ორიოდე საღამო გავატარეთ მადამ ფან სტაუნისას (მისის ბლუტ ოდნავ ეჭვიანობს. იაპონელ მაიორს ეარშიყება). ერთ საღამოს სპარსულ დარბაზში ბუხრის წინ ვზივართ. ჩვენს შორის რგვალ ჩინურ მაგიდაზე კოპენჰაგენის წითელი პორცელანის ჩაის ჭურჭელია, ჯენეტი ჩაის მისხამს. მე ლა კონტეს დე ნოელის ლექსების წიგნს ვათვალიერებ. ჯენეტი ქარგავს. თავი ასწია. მეუბნება:

„იცით, მე ძლიერ შემეცოდეთ იმ საღამოს, გატყობდით ძლიერ გიძნელდებოდათ შინ წასვლა. მინდოდა ცოტახნით მომეპატიჟენეთ, 11 საათისათვის იზმეტ ბეჲსა და მის მეუღლეს ველოდი. ხომ იცით, მუსლიმანები ძლიერ ეჭვიანები არიან. მით უფრო მირზა-ხანი აქ არ არის“.

ვეუბნები:

„ძლიერ მიყვარს პოეტესსების სამიჯნურო ლექსები... წაგიკითხოთ?“

„ჩვენ აკი გადავწყვიტეთ მხოლოდ ქართულად ვისაუბროთ შაბათობით“.

„მე ძლიერ მიხარია, რომ გაგახსენდათ.“ ვუამბობ, თუ როგორ მენატრება უცხოეთში ქართველი ქალის ქართული. „როცა სამშობლო ენა ქალისგან გესმის უცხოეთში, მაშინ აფასებ მის სიტკბოებას, რამდენჯერ სრულიად მახინჯ ქართველ ქალს ვწვევივარ ბერლინში, ოღონდ ქალის ქართული გამეგონა“.

ჯენეტი ქართველ პოეტესებზე მეკითხება. მანანა ორბელიანისა და თეკლე ბატონიშვილის შესახებ ვუამბობ. ჯენეტს უკვირს, რომ ასე შორიდან ვეტრფი საქართველოს, მაინც ასე უნაყოფოდ ვალამებ უცხოეთში ჩემს ახალგაზრდობას.

„ნუ თუ არ მოგწყინდათ ამდენი ხეტიალი? დასახლდით საქართველოში, რამე გააკეთეთ“.

„შესაძლოა ეს ჩვენი უნაყოფო თაობის სენიც იყოს, ხანუმ. ჩვენ სამშობლოში უცხოელები ვგონივართ, უცხოეთში ემიგრანტები. მე მაინც მინდა ცოტახანს კიდევ ვიმგზავრო. მერმე დავბრუნდები საქართველოში. სხვა თუ ვერაფერი გავაკეთე, ჩემი დიდი სეხნის ცხოვრებისა და მარტვილობის წიგნს მაინც დავსწერ“.

„ნუ თუ არავინ გიყვართ საქართველოში?“

„მთელი საქართველო, ხანუმ“. იცინის.

„მე სხვა გკითხეთ“.

„ისე არავინ. ულამაზესი ქართველი ქალები უცხოელებს მიჰყვებით, ვინ შევიყვარო?“

„დამცინით, თუ კომპლიმენტია?“

„სერიოზულად ვამბობ. როცა ერი გაჩანაგდება, მისი საუკეთესო სისხლიც უცხოეთში გადადის. თქვენ რა გგონიათ, ქართველმა ქალმა გააკეთილშობილა ოსმალეთი და სპარსეთის არისტოკრატია. ასეთივე ბედი ეწია ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს. საქართველო უმდიდრესი ქვეყანა იყო მთელს აღმოსავლეთში. მარტო თამარის პატიოსანი თვლების ულევი სალაროები! ევროპაში მარია ანტუანეტას და პომპადურის ტუალეტები უკვირდათ. ჩვენ რომ მარია ანტუანეტას გვირგვინის ბრილიანტები ვნახეთ წინა კვირას ლუვრში, ამგვარ ბრილიანტებს საქართველოს ვასალური მთავრების ცოლები ატარებდნენ. თამარს სათამაშო ბურთისოდენა ბრილიანტები ჰქონდა. თვითონ ბისონით, ოფაზის ოქროთი და პორფირით იყო შემ-

ჭული. მისი გვირგვინი იშვიათი ინდური ქვებით, წითელი, ყვითელი, ლურჯი იაგუნდებით დამშვენებული. თამარის სიკვდილის შემდეგ ულუ-დავითს ერგო იმოდენა ალმასი, რომლის მსგავსი ჯერ არავის ენახა. უფრო გვიან ანუკა ბატონიშვილს ათასორასზე მეტი პატიოსანი თვალი გააყოლეს მზითვად. მე დავითვალე ქსნის ერისთავის ქალის, ელენეს მზითვის წიგნში აღნუსხული პატიოსანი თვლები. სამოცდა სამამდე ხოშორის მარგალიტი, სამი ათასამდე შადის მარგალიტი, ოცი წითელი იაგუნდი, ამდენივე ყვითელი იაგუნდი, ორმოცდაათამდე დიდრონი ზურმუხტი, ასზე მეტი ნიშაბურის ზურმუხტი, ასამდე წვრილი მარგალიტი, ამდენივე დახვრეტილი იაგუნდი, ვინ დაითვლის სხვა სამკაულის, ტანისამოსის, ცხენსაკაზმის, სერვიზის რაოდენობას. ახლა ბაგრატიონების, ორბელიანების, ამილახვრების, დადიანების სასახლეების განძი, მთელი თავად-აზნაურობის, მონასტრების სიმდიდრე, რუსის ბერებმა და გუბერნატორებმა რომ გაზიდეს... ნაწილობრივ ევროპაშიაც დაღარიბდა არისტოკრატია; მაგრამ ეს ქონება ადგილობრივ ხალხს შერჩა. ასე დაიცალა საქართველო. მისი უდიდესი საუნჯენი უცხოეთში გაიტანეს, მისი უკეთილშობილესი სისხლიც ჩვენს თვალწინ უცხოეთში მიდის და ახლა ჩვენს უბედურ თავზე: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი". მხოლოდ თვალები შეგვარჩინეს სატირლად".

შევატყვე: ჯენეტზე ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მე თვითონ ამომწვა გული ჩემმა ნათქვამმა. მცირე სიჩუმის შემდეგ ამბობს:

„მართლაც საოცარი ხალხი ხართ თქვენ, პოეტები, თუმცა უმეტესად გარყვნილი, მაინც სულით მგლოვიარენი, ლამაზი სიტყვისათვის ბერად შემდგარი რაინდები. თქვენისთანა ხალხი ცოდვაა ამ წყეულ საუკუნეში".

„მე ჩემ თავს პოეტად არა ვთვლი, ხანუმ. ეს ცნება ძლიერ მოძველებულია".

„მაშ რა გინდათ იყვეთ?"

„ის, რაც არა ვარ".

დიასახლისმა მეორე თასი გამივსო. ორივენი ბუხარში გაღვივებულ ცეცხლს შევყურებთ.

„მართლა, ვისრამიანი არ დაგავიწყდეთ, თორემ შესაძლოა მადამ ფან სტაუნმა და კაპიტან დოაზანმა შემოიარონ, მერმე უხერხული იქნება. მე წინასწარ დანიშნული ადგილი ვერ ვიპოვნე. ეს სტრიქონები მომხვდა თვალში:

„ჰე, კეკლუცთა დასაბამო, რომელ შენს წინაშე ყოველთა კეკლუცთა და მნათობთა შუქება უჩინო ქმნილა, ორი კვირისა მთვარე შენგან მეშურნობს და მისი სიელვარე შენგან შემოუწირავს“. ჯენეტს ორიოდე სიტყვა ეუცხოვა. შემაჩერა. ისევ განვაგრძობ: „დადნა გული და ტანი ჩემი შენითა გონებითა, ვითა მთისა თოვლი მზისა სიცხისაგან, ჩაიჭრა გული ჩემი შენისა სიყვარულისაგან უნებლივ ვითა ნადირი ბადესა... არ ვეძებ უშენოდ სიცოცხლესა, არც სიხარულსა. და ოდესცა ჩემი გული შენისა სიყვარულისაგან გაძღეს, თავსამცა ზედან თმა ხრმალად შემექნების“...

მე იმ საღამოს დავრწმუნდი, რომ ეროსი მართლაც სიტყვაში იბადება.

არიან სიტყვები, რომელნიც მანამ არ მოძველდებიან, ვიდრე მზე ამ ქვეყნიდან არ წასულა.

რამდენ ქართველ რაინდს მიუწერია ეს სტრიქონები თავის გულის დედოფლისათვის. და ჩემმა სულმა გაიხარა, როცა ეს სიტყვები ირიბულად ვესროლე მის ყურთასმენას. იმ წამში ისინი რამინისაგან ვისოსადმი მინაწერი როდი იყვნენ, არამედ ჩემი გაუმხელელი გულსტკივილის გახმიანება და ჩემი დაგვიანებული გამიჯნურების მშვილდით ნატყორცნი. და მე ვწყევლი ჩემს გამჩენს, რატომ რამოდენიმე წლით ადრე არ დავიბადე. შევსწრებოდი მაინც მის მზიან სიქალწულეს, ან ადრე ამხელოდა თვალი მასზე ტფილისში და მე მას თვით ქაჯებსაც არ დავანებებდი. და ვყოფილიყავ თუნდაც უკანასკნელი გლეხი საქართველოში, მიწა მეთოხნა, ოღონდ დღენიადაგ მისთვის და საქართველოს მზისთვის მემზირნა.

ასეა, ბედისწერის ბნელ დერეფნებში მოხეტიალენი, გვიან ვცნობილობთ ერთმანეთს.

ისევ ვიგონებ: სად ვნახე ნეტავ პირველად იგი? ასე მგონა, ეს იყო პირველად ნოტრდამში, თუ უფრო ადრე?

არა, იგი უხსოვარი დროიდან მოდის ჩემსკენ. ამდენი ქალის გვერდით ჩამივლია უგულოდ, მრავალის მიმართ სიტლან-

ქეც გამომიჩენია. ალბად ყველაფერი იმისთვის, რომ ქვეშეცნებაში ვგრძნობდი, მას შევხდებოდი ოდესმე. ჯენეტი სდუმს, მოგიზგიზე ცეცხლს მისჩერებია.

„რა კარგია ცეცხლის ყურება“, ამბობს.

„ცეცხლში დიდი რომანტიკაა. ყოველი დროის ადამიანის გული გაიხარებს მის შეხედვაზე“. ვეუბნები და ვფიქრობ იმ ქართველებზე, მიჯნურობისაგან გულგასენილი ომებში რომ იქარვებდნენ გულის ჯავრს, ქრისტეს მიერ რაინდებზე, ბაგრატიონების გაშლილი დროშები თავაწეული რომ შეჰქონდათ იერუსალიმში. ვინც ტაშისკართან, შამქორთან, მარაბდასთან, კრწანისთან უიმედო სიყვარულისაგან, მტერს შეჰკვდომია.

ცეცხლთან ვიგონებ მათს უკვდავ სულსაც, ვინც საქართველოში ვერ ეტეოდა და იბრძოდა ხორასანში, ინდოეთში და მცირე აზიაში.

და მე რა ვქნა ამ უკუღმართ საუკუნეში, აქ ჩემი სიყვარულიც ისევ უადგილოა, როგორც ჩემი დაუსრულებელი ველად გაჭრა სხვის ქვეყანაში. ან ვინ დაიჯერებს, კიდეც რომ ავწერო ჩემი საოცარი გამიჯნურების ამბები!

მახლობელ კათოლიკეთა ეკლესიიდან ზარების რეკა ისმის.

„ხვალ რა დღეა?“ მეკითხება.

თავი ჩაღუნა, მუხლებზე ხელი შემოიწყო და ისევ ცეცხლს შესცქერის.

„წელან ნოტრდამში გაგონილი სიტყვები გულში ჩამრჩა“.

ჯენეტი ღრმად ჩამჯდარა მაღალ ზურგიან სავარძელში ოდნავ ვხედავ მის სახეს სავარძლის ჩრდილში.

„რომელი?“

„რამეთუ იტყვი...“ შევახსენე;

„რამეთუ იტყვი მდიდარვარ, განვმდიდრდი და არა მეხმარების და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ საწყალობელ და გლახაკ და განგაზრახებ, რათა იყიდო ჩემგან ოქრო გამოხურვებული ცეცხლითა“.

„იცით, ეს სიტყვები მე იმ საღამოს ჩემ თავზე მივიღე. ჩემი დიდდედა გურიელის ქალი იყო. იმ ხანებში გურიას თურქები ესხმოდნენ, ამიტომაც შავშეთის მფლობელს ჰემედ ბეგს მიათხოვეს.

„დიდდედა ძლიერ მორწმუნე ყოფილა. მკერდიდან ჯვარი

მოხსნა, წყალში გადაუგდო. დიდდედას თან წაღებული ჰქონდა საფირონებითა და წითელი იაგუნდებით შემკული წმ. გიორგის ხატი. როცა ქმარი სანადიროდ წავიდოდა, დიდდედა ზანდუკიდან ხატს ამოიღებდა და ლოცულობდა. ერთხელ შემოუსწრო ლოცვის დროს, გამხეცებულმა ქმარმა დამბაჩა ესროლა, ტყვია ასცდა, ხატს მოჰხვდა. როცა რუსები შემოვიდნენ, მამამისმა დაპატიჟა დიდდედა შვილებიანად, შემდეგ უკან აღარ გაუშვა. როცა დედა გაათხოვეს, ეს ხატი მას აჩუქა დიდდედამ, თვითონ სამთავისის მონასტერში მონაზნად შედგა. ჩვენს ოჯახშიაც დიდი ტრაგედია ტრიალებდა. მამა ვიღაც რუსის შანსონეტას გადაეკიდა. ოჯახი თავზე გვექცეოდა. ჩვენ მაშინ ახალციხის ახლოს ჩვენს მამულში ვცხოვრობდით. გლეხების მოძრაობა იწყებოდა. მამა სძულდათ გლეხებს. ღამე თავს დაგვესხნენ შავყაბალახიანები, ბერდანები დაგვიშინეს. დედა წმ. გიორგის ხატის წინ დამხობილი ლოცულობდა. მე აღარ ვიცოდი რა მექნა და მის გვერდით დავიჩოქე. ტყვიამ ზუზუნით გადამირბინა, ისიც წმ. გიორგის ხატს მოჰხვდა. სახლში შემოგვიცვივდნენ რა მამა ვერ ნახეს, ხელი არ გვახლეს. მეორე დღეს კავკავში წამიყვანა დედამ.

„იქ მსახურებდა მამა რუსის ჯარში. მე რუსულ პანსიონში მიმაბარეს. სხვა ქართველი ქალებიც იყვნენ ჩემთან, მაგრამ ქართულად ლაპარაკს გვიკრძალავდნენ. ახლაც მახსოვს ჩვენი აღმზრდელი ქალის, მარია ნიკოლაევნას ბედისწერასავით გამხმარი პირი. როცა ქართულად ლაპარაკს დავიწყებდით, — „გრუზინკი, ჩერტოვკი, იაზიჩნიცი", დაგვჩხავლებდა. რაკი ვერაფერი გაუვიდათ, ბზისგან გამოჭრილ პაწია ძაღლის ენებს შეგვაბამდნენ. კვირიდან კვირამდის უნდა გვეტარებინა. პანსიონის რეჟიმმა საშინელი მელანქოლია შემყარა. ხანდახან გავიპარებოდი ამ ჯოჯოხეთიდან, ქალაქს გარეთ დავხეტიალებდი.

„13 წლის ვიყავი, როცა ერთი ჩერქეზი გადამეკიდა. მართლაც ძლიერ ლამაზი, ქლალი თვალები ჰქონდა. ქლალივე ბოხოხი ეხურა. დედას ვუამბე, გამაფრთხილა: დიდდედასავით მაჰმადიანმა არ წაგიყვანოს, თორემ გაუბედურდებიო. მალე ის ჩერქეზი სადღაც გაჰქრა? ერთხელ ძაღლის ენა შემაბეს. პანსიონიდან გავიპარე. მოედანზე ვიღაც ცხენოსანი თავზე წა-

მომადგა. ქალი ბოხოხი ეხურა. ფორეჯებიან ცხენზე ჯდომა ძლიერ ჰშვენოდა.

„არ გინდა ცხენზე შეგსვა, პატარა გოგო?“ — მეუბნება ალერსიანად. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, ქორივით დამაფრინდა. გაჭენებულ ცხენზე ჯდომა მიამა კიდეც, მაგრამ როცა ქალაქს გარედ გავედით, კივილი მოვრთე. ბედად ყაზახ რუსების ასეული შემოგვეფეთა. მოგვსდევდნენ, გვესროდნენ. ცხენი გრიგალივით მიჰქროდა. ჭალაში რომ გავედით, კიდევ გვესროლეს. ცხენი ტლაპოში ჩაეფლო. ჩერქეზმა თავს უშველა სიმინდებში.

„მერმე იმ ჩერქეზმა მამა მომიკლა. დედამ ვაჟურად გადაცმული მცხეთაში გამომაპარა. მუდამ ჩერქეზის ლანდით მაშინებდენ. ზევრჯერ მიტირნია: ვაი თუ მეც დიდდედას ბედი მეწიოს, მაჰმადიანმა წამიყვანოს-მეთქი. მთელი წელი დიდდედასთან ვცხოვრობდი მონასტერში. მწუხრისას მარტო შევიპარებოდი, მონაზნებთან ერთად ვლიტანიობდი თვალწინ მიდგას დიდდედას დამჭკნარი, მაგრამ მაინც შვენიერი სახე. დიდდედა ქრისტესთვის დაქვრივებულს უწოდებდა თავის თავს. იგი მიამბობდა ქრისტეს საკვირველ ცხოვრებაზე, მის გასაოცარ გმირობაზე. მღელვარე ზღვაზე უშიშრად რომ დადიოდა, როცა მის მოწაფეებს ნავში ეშინოდათ. „მთელი ქვეყნის დიდება და სიტკბოება აღუთქვა ეშმაკეულმა, მიამბობდა დიდდედა. მან ჯვარის ტვირთვა მოიწადინა, როცა ებრაელები პურით გაძღო, მეფედ არჩევა მოუნდომეს, მეფობას მწირობა არჩია და უდაბნოში გაიპარა.

„ლექსი აროდეს დაუწერია, ყველაზე დიდი პოეტი იყო. მახვილი ხელში არ სჭერია, იყო გმირებზე თვით უგმირესი. მიწა-მამული არა ჰქონია, — ყოველ თავადზე უთავადესი. თუმცა საცოლე არა ყოლია, ყოველს საქმროზე ულამაზესი. მეფეებს, მდიდრებს და მწიგნობრებს გადაუდგა, სულით გლახაკებს და მონებს მიემხროო“. მეც ვტიროდი მისი შვენიერი ცხოვრებით, უფრო კი, ლამაზი სიკვდილით მოხიბლული და ჩემ აღთქმებს ვსდებდი: მეც დიდდედასავით მისთვის მარად მგლოვიარე სასძლო დავრჩენილიყავ, მუდამ შავი ფლასი, შავი მძივები მეტარებინა და ალოეს სურნელი მესუნთქა.

„ახლაც თვალწინ მიდგას სამთავისის მონასტრის ბნელი

ცადაქნილები, გულმხურვალე ლიტურგიები, დიდდედას ცრემლიანი ლიტანიები და სულზე უტკბესი ქართული გალობა დღესაც მენატრება. სამთავისის მონასტერში მიიცვალა დიდდედა და როცა კუბოში ჩაასვენეს, მაღალი, თეთრი სანთლები უცოდველი ქერუბიმების ცრემლებით სტიროდნენ და გაყვითლებული, ნათელი, დები, სულთათანას უგალობდნენ“.

ზარის წკრიალი მოისმა. მსახური შემოვიდა. ახალი ფოსტა ჩაის მაგიდაზე დაუდო დიასახლისს. ჯენეტმა აილო კონვერტი, დაჰხედა. თავის ადგილზე დასდო. „მერმე ის იყო, დედამ ტფილისში წამომიყვანა. აქ თავად-აზნაურობის ბალზე ალი მირზა-ხანი გამაცნეს. იმავე თვეში ტფილისში გაჩნდა ის ჩერქეზი. მირზა-ხანის შეჩენილებმა იგი ტივებზე აქეიფეს, მოჰკლეს და მტკვარში გადააგდეს. მახსოვს, პარიზში წამოსვლის წინა ღამეს, დედამ მდუღარე ცრემლით ჩააბარა ჩემი თავი წმ. გიორგის“.

ჯენეტი ადგა, საწოლი ოთახიდან ხატი გამოიტანა. მუხლზე დამიდო. ამინაშატის ხატი სამ ადგილას იყო გახვრეტილი.

14 წელია, რაც ჩუმად დავდივარ ნოტრდამში, ეს თქვენ მეტმა დედითშობილმა არავინ იცის. მე მუდამ მარტო ვიყავი ამ ხნის განმავლობაში. წმ. გიორგი იყო ჩემი რაინდი და კავალერი. მე მჯერა: ჩვენს ცხოვრებას რაღაც ბნელი ფატუმი განაგებს. მარტო ის ამბავი, რომ შენც ისე უნდა მოიქცე, რაც შენს დედას ან დიდდედას უქნია, ამაზრზენია და საშინელი. მე ამ პალატებში მუდამ მარტო ვიყავი. ხომ ძნელია, როცა შენსა და შენთვის უახლოეს ადამიანს შორის ნოტრდამის ოდენა ტაძარია ჩამოშვებული.

„14 წლის ცოლქმრობამ დამარწმუნა, რომ ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვეს, რადგან ჩვენ ძლიერ განვსხვავდებით ყველა ერისგან. თქვენც ჰხედავთ, გარეგნულად მე არაფერი მაკლია. ჩემი ერთად-ერთი ნუგეში ფარვიზია ახლაც. წინად ეს უფსკრული უფრო დიდი იყო. ახლა, როცა ფარვიზი წამოიზარდა, იგი უფრო გაღრმავდა. მირზა-ხანი მონტეკარლოთი და სამსახურით ერთობა, ფარვიზი სპორტით, მე ისევ მარტო ვარ და უსამშობლოო“.

ჯენეტი დადუმდა. ისევ ცეცხლს მიაჩერდა. ბუხარში ერთი მუგუზალი წაიქცა, ნაღვერდლებად დაიმსხვრა. მოოქროვილი

ალმური მიადგა მის სახეს. მე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს. გონებადაკარგული წამოვყევი სექსუალურ და რელიგიურ ექსტაზს და ვკოცნი მის პატარა თეთრ ხელებს. მისმა ხელებმა მე ცად ამამაღლეს.

მინდოდა მეთქვა: „მე ვარ შენი იდუმალი საქმრო, 14 წელი რომ ელოდი სულით მგლოვიარე, მე ვარ შენი ვნებიანი ქრისტე, 14 წელი რომ ჩუმად ატარე გულში. მაგრამ მოულოდნელი ნეტარებისაგან რეტდასხმული ენას ვერ ვაბრუნებ, რადგან მეშინოდა: ხმამაღლა თქმისგან არ დარღვეულიყო საიდუმლო.

მისი ტუჩები გოლეულზე უტკბესი იყო!

ჯენეტმა მოიხსნა სმარაგდის ბეჭედი მარჯვენა ხელიდან.

„ატარეთ, სანამ არ მოგწყინდებით“.

„სანამ მტკვარი დასავლეთით პირს არ შეიქცევს, სანამ მყინვარს გულწითელა არ გადაჰკორტნის, შენი მზერა არ მომწყინდება“ მეთქი, მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ გავჩუმდი და მარცხენა ხელზე გავიკეთე სმარაგდის ბეჭედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქება მესამე

## 1. ჰიმნები ღვინისადმი

მე ნუ ჩამთვლით იმ მამაკაცთა შორის, ქალისადმი რომანტიული ტრფიალით რომ კმაყოფილდებიან; ვერც ის გამაკვირვებს, ვისაც ქალის პირველი ვნება აინტერესებს მხოლოდ. ამ მხრით მე ნამდვილი ეპიკურეელი ვარ. შორით ბნედით აროდეს დავკმაყოფილებულვარ, არც თუ პირველი ვნებისდაფნა მიკმარნია.

განცხრომის დღეებმა კარგა ხანს გასტანეს. ალი მირზა-ხანი თავის საქმეებს ორი თვე შერჩა ლონდონში.

აჰ, ეს ბედნიერი დღეები! ჩემი ცხოვრების შვიდბეჭდიან წიგნში ისინი შემთხვევით ჩარჩენილ ყვავილების ფურცლებივით ჩაიფერფლნენ, მაგრამ მათი სურნელება ახლაც მწვდება.

ჯენეტი ესთეტსა და მოხეტიალე ბოჰემას ეტრფოდა ჩემში. ბოლოს გამომიტყდა კიდევაც, რომ მე ვიყავი ის მამაკაცი, რომელმაც ამ მესამე რომის — პარიზის უდიდესი ენტუზიაზმის და გარყვნილების უფსკრულები აჩვენა. ის შვენიერი საღამოები. მონმარტის მრუშ კაბარეებში, ღვინის რესტორანებში, ოპერეტებზე, სპირიტისტულ საღამოებზე გატარებული!

ჩვენი მოუწყენელი ერთად ხეტიალი ლუვრის, ლუქსემბურგის მუზეუმებში, ახალი მხატვრების გამოფენებზე. ლიტერატურულ დისკუსიებზე.

ღამეული სეირნობანი ბულონის ტყეში, ელისეის მინდვრებზე სენის ნაპირას.

მე ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ხელმეორედ შევსულიყავ რომელიმე გერმანულ ბურშების კორპორაციაში. ვლოთობ, ვქეიფობ. ოვიდიუსსა და ჰორაციუსს ვბაძავ, ვნებიან ჰექზამეტრებს ვწერ. ჯენეტი ხშირად ტირშიაც დამყვება. ნიშანშვისვრი. მხატვრებთან, პოეტებთან, დემიმონდენებთან დროს

ვატარებ — კაფე როტონდში და ჟოკეი კლუბში. კეგელს ვთამაშობ, ბოქსს ვსწავლობ, ბოფერების სკოლაში შევდივარ. სავარჯიშოდ როის-როისის ავტომობილი შემხვდა. ჯენეტს ჩავისვამ, ბულონის ტყეში ვსეირნობთ, ჩემი მწვრთნელი მიჯავრდება, ბუზღუნებს. მაჯარიმებენ.

ჯენეტიც გამოიცვალა. მისი ჩუმი მელანქოლია შენელდა. ყოველ შაბათს ფეხით მივდივართ ნოტრდამის ეკლესიაში. გზაში უდიდესი ყურადღებით მისმენს, როცა ჩემი სტუდენტობის გიჟურ ქეიფსა, დუელებსა, მშიერ წლებსა, მთელს ევროპაში მეოთხე კლასით, ან საქონლის ვაგონით და ფეხით ხეტიალზე ვუამბობ. მას ძლიერ მოსწონს, რომ მე თურმე „თვალგაბრწყინვებული“ მოვუთხრობ ჩემი გერმანელი მეგობრის, ჰერბერტ შტუდერსის, დანიელის იოჰანეს ნოიშტეტის შესახებ.

ძლიერ ფრთხილად, წინდახედულად დავუხატე ჩემი მეგობარი ქალების: თინათინ ...ძის, ჰედვიგ გერბერის, ანრიეტე ფონ შაის. ანნა მარია ბეკმანის, რენე ფონ დენ ფორტენის გრაციოზული სახეები. არც ის ნახევრად პლატონიური ტრფიალი დამიმალავს მისთვის, ზოგიერთ ქერა გერმანელ ფერიების მიმართ ჩუმად რომ მიტარებია გულში. მართალია, მათ ჩემი სული წამიერად მოშხამეს, მაგრამ ამგვარი ვერ მიწვდომით, ჩემი ენტუზიაზმის ცეცხლი უფრო გაავივეს. მას უკვირს, რომ მე ასე ნათლად მახსოვს ყოველი მათგანის სახელი და გვარი, მათი სახის ყოველი დეტალი, მათი მოუფიქრებელი სიტყვები და კაპრიზები. ისიც მოსწონს, რომ მე ცუდად არ ვახსენებ არც ერთ ქალს, რომელიც ოდესმე მყვარებია.

ჯენეტი ძლიერ მომეჩვია. ხშირად ისეთ ადგილებში დამყვება, სადაც რიგიანი საზოგადოების ქალს ახლოს არ გაევლება და ვერც კი წარმოუდგენია, თუ როგორ უნდა იცხოვროს, როცა ალი მირზა-ხანი ლონდონიდან დაბრუნდება, როცა იძულებული იქნება ყოველ სტუმარს მომღიმარი შეეგებოს, როცა ძველებური დარბაზობა, სალონის ლაყბობა და სიცრუე დაიწყება.

თანამედროვე მხატვრების გამოფენებიდან ისევ ლუვრისა, ვერსალისა და ლუქსემბურგისკენ მიიწევს მისი გული.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რელიგიურ მხატვრობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმი. მომეტებულის ყურადღებით ათვალიერებს ჯვარცმის, გარდამოხსნის, ზეცად ამაღლების სურათებს. მე ვუამბობ მას გრიუნევალდის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის იმ სურათებზე, რომელნიც პარიზში არ მოიპოვებიან. ჯენეტი მეუბნება:

„კიდევ 14 წელი რომ დავრჩენილიყავ პარიზში, ალბად ამდენს ველარ ვნახავდით“.

ლუვრში ვუჩვენე იშვიათი დიონისოს კოლლექციები: ყრმა დიონისოს ფერიები ოქროს აკვანს ურწევენ. მარმარილოს ჰერმესს ხელში აჰყავს ყრმა დიონისო, და უჩვენებს მომღიმარ ლაჟვარდს, უსაზღვრო სინათლეს. ღვინისფერ მარმარილოს სატირს ყრმა დიონისო უჭირავს ხელში. იგი შუა გადაჭრილ ხის ტანს მიჰყრდნობია, ხის ტანზე ვეფხის ტყავია გადაკიდებული, ყრმა დიონისო ყურძნის მტევანს სწოვს.

„ამას რაფაელის მადონა შორს სჯობია, ჩჩვილი იესო რომ უკავია ხელში“, ამბობს ჯენეტი.

დიონისოს, ზეაწეულ მარჯვენა ხელში, ქალის ძუძუს მაგვარი ღვინის თასი უჭირავს. მის გვერდით, მათხოვრის ძონძებში შემოსილი ტანმორჩილი ეროსი სდგას.

დიონისო — ბერძნულ ვაზებზე, დიონისო ფერად-ფერადი მარმარილოს რელიეფებზე, დიონისო — ძველ ბერძნულ ფულებზე და მედალებზე ამოჭრილი. ტრიუმფით მიმავალ დიონისოს ხელში სპილოს ძვლის კვერთხი უპყრია.

მოცეკვავე არიადნე ტანზე ეხუტება აზიიდან ახლად მოსულ ღმერთს.

დიდხანს შევსცქეროდით ერთ რელიეფს: დიონისო ზღვის პირად ზის. ჩრდილოეთისაკენ პირშექცეული მზე, წითელი იაგუნდის ბურთივით ეშვება ზღვაში. თრობისა და შვების ღმერთი პირმოქუშული ჩამომჯდარა უნაბის ფერ გრანიტის ქიმზე მის ცეცხლებრ ალგზნებულ თვალებში ვარამის ნამქერს ჩაუთოვია და მარადი გაზაფხულის ნათლისმცემელი მოწყენილი შეჰყურებს ამ უსაზღვრო ტალღების უსაზღვრო თამაშს და აქ ყოფნის სიხარულით ალტყინებულ როკვას.

ჯენეტი თავისას არ იშლის:

„მე მაინც ვფიქრობ, ჯვარზე გაკრული ქრისტე ულამაზესი სიმბოლოა ყოველი დროის მხატვრობაში“. ჯენეტი ისევ

ჯვარცმის სურათებისაკენ მიიწევს. მე მასში კვლავ სიკვდილის თავადზე უზომოდ შეყვარებულ დედაკაცს ვხედავ. მას გოლგოთის ჯვართან დაჩოქილ დედისა და სასძლოს მტირალი სახეები უფრო მოსწონს, ვიდრე ეროსის და არიადნეს ბაკხანტური გამომეტყველება.

დღეები პომპეის ტრიუმფალური ეტლის ცხენებივით მიჰქრიან. გულის წუხილით ვამჩნევ: მის სულში მომავლის შიში ისადგურებს. თუმცა არ მიმხელს, მაინც ვგრძნობ... იტანჯება. მე მინდა გავიქცე აქედან, გავეცალო პარიზს, ვიდრემდის ჯალათი ქმარი მოვიდოდეს და ოჯახის ვულგარულ სარეცელზე შეურაცხყოფდეს სასძლოს, ჩემ სულზე უტკბესს. და რაღაც საშინელის და გაუგონარის მოლოდინში ვითვლით ნეტარების წუთებს, და როცა შეღამდება, ისევ ვსეირნობთ ბულონის ტყეში, სენის ნაპირად, ტუილერის ბაღში და კონკორდის მოედანზე.

ლუქსემბურგის პარკში ერთხელაც არა ვყოფილვართ, მეშინია, ის მახინჯი ინვალიდი არ შემხვდეს და ამ ზღაპრულ თაფლის თვეში არ მომიწამლოს საწუთროება.

ჩემი პრუსიელი პროფესსორების შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა. რომანულ ქვეყანაში ისევ გამომზეურდა ქართული სისხლი. აღზრდა ვერ აღმოფხვრის პირველ ბუნებას.

ეროსის და დიონისოს მაჩანჩალა ქართველი გუდამშიერა აზნაური! რა ძნელი ყოფილა ამ ორი ღმერთის ორმაგ ცეცხლში გასვლა!

ძლიერ გამოვიცვალე. ვლოთობ. ვსეირნობ. ვოცნებობ. მე და ხალილი ვიღაც უსახლო, პორნოგრაფ პოეტებთან, დემიმონდენებთან ვქეიფობთ მონმარტისა და სენის ყავახანებში. მუშაობას ვუკელი. ბერლინის გაზეთს თავის დროზე ვერ ვუგზავნი სტენოგრამებს. უგვანო პამფლეტებს ვწერ. ბულვარის რომანებს ვკითხულობ. ხშირად მარტოობაც მენატრება. შოფერების და მეეტლეების იაფფასიან რესტორანებში დავდივარ. ღვინობს ვსინჯავ.

მე, დიდი ხანია, კარგად ვარჩევ ჭაშნიკებს. ერთმა მეღვინემ ღვინოების დეგუსტატორის თანამდებობა შემომთავაზა. მადლობა მოვახსენე. შევპირდი, დავფიქრდები-მეთქი. შემდეგ

აღარ მიმიკითხავს. ყოველ დღე ვსვამ, მეორე დღეს ავად ვხდები. ბედს ვიწყევლი, ისევ ვლოთობ, ისევ სინანული...

ერთ დღეს მოვისაზრე, დამეწერა ჰიმნები ღვინოსადმი.

მაცდური, ულმობელი ღმერთი შვებისა და თრობისა. ეროსის უფროსი ძმა. იგი ამშვენიერებს ამ გახუნებულ ცხოვრებას, მიუსაფარი პოეტის უნიათო დღეებს. ჩემს წინაშე სურნელოვანი ბორდოს ღვინო კრიალებს ჭიქაში. საფრანგეთის მზე ნეფრიტის ფერ სითხეში გაქნილი. შენ მაინც გამითბე გული, ქარვის წვენში გალესილო უცხოეთის მზევ, მე დღეიკლულს, მსოფლიოს ცივსა და ნისლიან ნაპირზე გამორიყულ თევზს... მუხთალმა ბედმა იავარჰყო ჩემი სიჭაბუკის ოცნებები. რამდენჯერ ფიცი დამიდვია: საქართველოში დავბრუნებულიყავ, სანიმუშო მოქალაქე გავმხდარიყავ. პატიოსანი შრომით დამემსახურებინა თანამოძმეთა პატივისცემა.

ისევ ხელცარიელი ვდგევარ ცხოვრების შუაგზაზე. ჩემი დიდი გეგმები, ჩემი დაუწერელი წიგნები! როგორც სჩანს, ვერც მე შევსძენ რასმე სავარსამიძიანთ გვარის ბნელში დაკარგულ მატიანეს. უწინ ჩემი თავი ღარიბი მეთევზე მეგონა, შუაზღვაში გასული რომ ებრძვის სუსხიან ქარიშხალს, რათა შინ დარჩენილ მოხუც დედას ორიოდე თევზი მოუტანოს.

ჰაუ, მეთევზევ, ღარიბო მეთევზევ! ხომ ხედავ, იალქნები დაგიმსხვრიეს მეკობრეებმა. და ისევ ჩემ თვალებგამოცივებულ ორეულზე ვფიქრობ.

ახლა მე თვითონ ვარ თევზი. ულმობელო ღმერთო! ეს შენ იყავი, წითელი იაგუნდებით დატვირთული გემები რომ მომგვარე ზღვების გადაღმიდან. შენ გამხადე მე უბედური და უსახლკარო პოეტად, ეს შენ მოშხამე ჩემი სისხლი გახელებული ფანტაზიით, შენ გამითბე ჩრდილოეთში გათოშილი სხეულის მზის მხურვალებით.

დარდითა და ვარამით სავსე იყო ჩემი სული, — შენ უდარდელი გამხადე. ეჭვებით დაღრღნილი იყო ჩემი ვული, როგორც ჯინჭველებისაგან გამოხრული გოლეული და — შენ აავსე იგი იმედითა და სიტკბოებით. მე თევზივით ენადაბმული ვიყავ, — შენ გამახსნევინე დაუნჯებული ბაგე: ოქრონექტარი სიტყვები იფრქვევიან პირისა ჩემისაგან. თმახუჭუჭავ, ოქროს-

კულულებიანო, ჭაბუკო ღმერთო, შენი მონა და მეჯინგორე გამხადე, მე — ლაზისტანის ძველი აზნაური.

უქმური მომსდევდა ფეხდაფეხ, სამეგრელოს ბნელ ჭაობიდან გამოქცეულ ავანტიურისტ ლაზს; შენ ჩაუშვი ჩემს სისხლში ოქროვანი მზე პურპურის წვეთებად. და მე ძლიერი ვარ და ჯანსაღი. და მოვიდეს თუნდაც ლაშქარი ლაშქარზე... მე საუკუნოები მკიდია მხრებზე, ხელში წმინდა სანთლებით გაჩაღებული ჩიჩილაკი მიჭირავს ტაია შელიასავით — შუამდინარიდან — კავკასის მთამდე, მიტომაც უტეხია ჩემი სული. ჩემი სხეული — ქართული მუხაა. ფესვები — ბნელეთში, ლაპის ლაზულისფერი შტოები ეთერისკენ მაქვს შექცეული და მოდით გრიგალებო უკუნეთისავ, კიდევ დამჩხავლეთ თავს: „მანგრუ, თენგრი, და ქუჩუნდურ“. და მაშინ ჩემ დიდ სეხნიასავით თეთრ რაშზე მჯდარი ორლესულ მახვილს გიჩვენებთ პატივცყრილი მზის თავადი სავარსამიძე.

ო, დიონისო, სულზე უტკბესო!

## 10. ბაყიდული კბილების ქება

ჯენეტმა ლონდონიდან დეპეშა მიიღო. ალი მირზა-ხანს ყოველდღე ელიან. მე გადავწყვიტე პარიზიდან წასვლა. ერთ საღამოს ჯენეტთან შევიარე. ავად იყო. იწვა. გამაფრთხილა: მალე ოსმალეთის ელჩის მეუღლე მინახულებსო. უნდა წავსულიყავ. ბრაზი მომერია, გული შხამით ამევსო. ქუჩაში ხმამაღლა ვამბობ მის საყვედურს. ვწყევლი მასთან შეხვედრის ჟამს. სამი საათი ვიხეტიალე გულჯავრიანმა. შელამებულზე მუსიო შარტრიეს შევუარე. საოცარი წიგნი დამახვედრა. იგი ლაიპციგში გამოუციათ 1685 წ. „ინდოეთში პირადად ნახული, განცდილი და გაგონილი ავანტიურები, ცამეტი ორდენის კავალერის, ქრისტეს მიერ რაინდის, ბარონ შილდკროტის მიერ“. წიგნი მხოლოდ მეცამეტე გვერდამდის იყო გაჭრილი. ამ გახუნებულმა, ფურცელშემხმარმა წიგნმა გარდუვალი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. მკვდარმა ასოებმა გამოაღვიძეს ჩემში ჩემი ადრე სიჭაბუკის ოცნებები.

დაკვირვებული ვარ: წიგნის ზედგავლენა იმისაგანაა დამო-

კიდებული, თუ რა მომენტში წააწყდები მას, ვინ გაძლევს, ვინ გირჩევს და სად. ყველაფერი შთაგონებაა ამ ქვეყანაზე, ამის გარეშე ყოველივე ამაოა და მიუწვდომელი. რამოდენიმე დღე შეპყრობილივით დავყიალობ. არავის ვეკარები. დიასახლისსაც ხმას არ ვცემ. ქუჩაში ჩემ თავს ველაპარაკები ხმამაღლა. რაღაც საშინელ სიტყვებს ვროშავ. მიწისქვეშამატარებლის ბილეთი მეკარგება. კონდუქტორებთან სკანდალი...

ერთ საღამოს ბოტანიკურ ბაღში დამძინებია. მებაღის ხმაც არ გამიგონია. 10 საათზე პარკის სკამზე გამომეღვიძა. მებაღე გავაღვიძე. 5 ფრანკით დამაჯარიმეს. სმას ვუკული. წიგნებიც შემძულდა. დღეში სამოცდაათ პაპიროზს ვწევ. ერთ დღეს დავჯექი და ვრცელი წერილი მივსწერე ჩემი სტუდენტობის ამხანაგს, გერმანელს, ოტტო ფონ ოპენჰაიმს, სტამბოლში. ვწერდი: „ახლა ისეთი დროა, ინგლისელები თქვენებს ჯერაც ალმაცერად უცქერიან. მე, როგორც ქართველს, უფრო ადვილად შემეძლება იქ ფეხის მოკიდება, თუ შენი ფირმის წარმომადგენლობას მომანდობ, გამოგადგები“ მეთქი. მე მქონდა რამოდენიმე ინდოელის მისამართი, ისინი აღმოსავლეთის განთავისუფლებელ ლიგაში გავიცანი, ომის დროს, ბერლინში. ესეც ძლიერ შემიწყობდა ხელს. კოკ და ზონის სამგზავრო კონტორაში შევიარე. გამოვკითხე, რამდენი ღირებოდა მესამე კლასის ბილეთი მარსელიდან ბომბეამდის.

ვკითხულობ სამგზავრო წიგნებს, ვათვალიერებ რუკებს, მარშრუტებს ვამუშავებ წინდაწინ. ცხადია მარტო ოპენჰაიმის ფირმის იმედით ვერ გავემგზავრებოდი ინდოეთს. ათასიოდე გირვანქა უნდა მქონოდა. ის რვაასიოდე გირვანქა, მისის ბლუტმა რომ მომაგებინა კარტში, ფრანკებზე გადავახურდავე. ამერიკენ ექსპრესში შევიტანე. ამ ფულს ძირითად ფონდათ ვინახავ (პარიზში ფულის შენახვას დიდი მოთმინება უნდა) ახლა მთელი ჩემი უშველებელი ენერგია ფულის შოვნისაკენ მივმართე. გაზეთების კითხვა დავიწყე. ყოველდღე ბირჟის კურსს ვათვალიერებ. მე ოდნავ მაინც ვერკვევი დიდ პოლიტიკაში... ასე რომ, წინასწარ ვატყობ, რომელი ვალუტა აიწევს. ჩემი პირველი ცდა ბირჟაზე! ამას საგანგებო ქება დასჭირდება. მაგრამ ეს სხვა დროისთვის იყოს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პარიზის ბირჟამ. 12 საათზე საშინელი

ჩოჩქოლი და წრიალი ატყდება. მთვარეულებივით დარბიან ადამიანები. ნაციებსავით უცახცახებთ ხელფეხი. ბირჟის ვირთაგვები დამშეული ფოცხვერებივით მივარდებიან ხოლმე შავ დაფებს. მაღალცილინდრიანი წრიპა ბიჭები გახელებული დარბიან, ჰაჭყანებენ, ისტერიულად ჰყვირიან. იმ დილას პუანკარეს მილიტარისტულ სიტყვაზე შევატყვე: ფრანკი კისერს მოიტეხდა. ჩემმა დიაგნოზმა არ მიმტყუნა. 450 დოლარი მოვიგე. ჩემს გვერდით ერთმა ურიამ 50 დოლარი წააგო. ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი ჩემს ცხოვრებაში.

ახლა მე ლოტარიის ბილეთებს ვყიდულობ. დოლზე დავდივარ. ღმერთმა უშველოს! ინგლისურმა ცხენმა ულარაბმა 500 ფრანკი მომცა. ლოტარიაში ბედმა მიმტყუნა. ჩემი ნორმის ზევით ერთი ბილეთი ვიღაც სიგარების გამყიდველ ზანგს შეჰხვდა. 15 ათასი. ფრანკი მოიგო. მე 20 ფრანკი წავაგე. ყოველდღე 17 გაზეთს ვკითხულობ. დიდის ყურადღებით ვათვალიერებ განცხადებებს. „პარი სუარში“ ასეთი განცხადებაა:

?

ვის უნდა სამი ათასი

ფრანკი

მ ო ი გ ო ს?

მიმართეთ: დელაკრუა.

ტელეფ. 14-13.

12—1

საათამდის.

Dèpèche

toi!

?

გათენებამდის ავდექი. მეგონა, პირველი მივიდოდი. აურებელი ხალხი რიგში იდგა, აბრაზე ვატყობ: დამზღვევი საზოგადოება უნდა იყოს. ვის არ ვხედავ აქ! პარიზელი აპაშები, საეჭვო პირები, გაკოტრებული მეწვრილმანეები, ტირაჟში გასული ბოზები, ქურდობისთვის დათხოვილი მოლარეები, ხელ-

მოტეხილი შოფერები. სამი საათი მათთან ლაპარაკით შევიქციე თავი. საკინძშემოხეული მწვანეჯუბიანი კაცი „დამიმეგობრდა“. იგი ერთი კურიოზული გაზეთის რეპორტიორი ყოფილა. „პარიზის დამკვირებელი“ ჰრქმევია ამ გაზეთს. აქ იბეჭდება იშვიათი დაკვირვებანი. ქუჩის მოძრაობის, ღამის ცხოვრების, ჩვეულებრივი თვალით შეუმჩნეველი, ბნელი ამბები.

„მე ხუთმეტი წელი სხვა არაფერს ვაკეთებდი. ახლა დავბერდი, თვალი აღარ მივარგა. დაკვირვების უნარიც დავკარგე. თქვენ სახესაც ბუნდოვნად ვხედავ. ინდოელი ხომ არა ხარ?“ მეკითხება მწვანეჯუბიანი.

„მე ინდოელი არა ვარ, ინდოეთში მაინც ვაპირებ“...

„მაშ ამისთვის გინდათ სამი ათასი ფრანკი?“ იცინის. „კარგი ფულია იმისთვის, ვისაც ჯიბეში აქვს. მე გული ამიჩქროლდა, ამდენი ფული გაზეთში გამოცხადებული რომ ვნახე. ისე გამეხარდა, თითქოს ჯიბეში მქონოდა. თუ თქვენ აიღოთ ეს ფული, მეც წამიყვანეთ ინდოეთში“.

„კი, მაგრამ წამოხვალთ?“ ვეკითხები.

„ინდოეთში კი არა, ჯოჯოხეთში წამოგყვებით, ოღონდ აქაურობას მოვსცილდე. ათი წელი ლითონს ვადნობდი. ხუთმეტი წელი პარიზს ვაკვირდებოდი, მაგრამ სანუგეშო ჯერ არაფერი მინახავს.

კურიოზი არ იქნება, ახლა ის სამი ათასი ფრანკი ხელში რომ ჩამივარდეს? მაშინ მე წაგიყვანთ მონ-მარტში, ისეთ ადგილებში, რომ ინდოეთი სულ დაგავიწყდეთ“.

„მაშ მე თუ ავიღე ეს ფული, ინდოეთში წაგიყვანთ“.

„დიდი მადლობა“. მეუბნება მწვანეჯუბიანი.

ჩემი ჯერიც მოვიდა. მელოტი, ყვითელი რქის სათვალიანი კაცი ქაღალდებში იჩიჩქნებოდა. თავი ასწია. შემომხედა. გვერდით ტყავის სავარძელი იდგა. ფეხზე დგომისაგან დაღალულმა იქვე მოვიკეცე.

„მუსიო, მაშ თქვენც გინდათ სამი ათასი ფრანკი მოიგოთ?“ (უკანასკნელ სიტყვებს მკაფიოდ ამბობს), მაშ ჩვენს ფირმას ათასი აბონენტი უნდა უშოვოთ“.

გავვოცდი.

„მე სად უნდა მოვძებნო ათასი კაცი, ამ მოკლე ხანში რომ სიკვდილს აპირებდეს?“

„რატომ სიკვდილს? მაშ თქვენ ჩვენი საქმის ვითარება არ გცოდნიათ? თქვენ უნდა დაარწმუნოთ თქვენი ნაცნობები: ყველამ ჩვენი ფირმის საშუალებით დაიზღვევოს თავი. თქვენ ხომ იცით ათი-ათასი ავტომობილი გამოუშვა სიტროენმა. ამდენივე დანარჩენმა ავტომობილების ფირმებმა. ხომ ატყობთ გაზეთებიდან, თუ როგორ გახშირდა ავტომობილის ხიფათი. სხეულის ცალკე ნაწილების დაზიანებისთვისაც პრემიებს ვაძლევთ ჩვენს აბონენტებს. კინემატოგრაფიული მრეწველობაც ძლიერ განვითარდა. ხალხს თვალები უფუჭდება. ომმა და სისხლის ღვრამ ადამიანი სექსუალურად გაალოთა. პარიზში სიფილისი მძვინვარებს. ერთი სიტყვით, ჩვენი ფირმა სავსებით უზრუნველყოფს დაზარალებულებს“.

მე გავშტერდი. ვერაფერი ვუპასუხე. კარებში გასვლაც ვერ მოვასწარი.

„შემდეგი, შემდეგი!“ დაუყვირა კარის კაცს.

სახტად დავრჩი. კიბიდან გამოვბრუნდი.

„ჯოხი დამრჩა“, ვეუბნები მეკარეს. კარი შევაღე. თავისი პროსპექტი შევუგდე. ღია კარებში თვალი მოვკარი. ვიღაც ქოლგიანი კაცი იდგა მის წინ; ახლა იმას უქადაგებდა.

ერთ კაფეში ვიღაც ებრაელი ჟურნალისტი გადამეკიდა. წინადადება მომცა: ელმოსავლეთის შესახებ დამეწერა რამე. კარგ ჰონორარს დამპირდა.

„მაგრამ იცოდეთ, გაზეთი ულტრანაციონალისტურია, ფრანგებს თვალი უნდა ვუყოთ“, დამარიგა ებრაელმა. პასუხი მეორე დღეს უნდა მიმეცა. ვეუბნები:

„იცით, დოქტორ პომდეტერ. მე ფრანგული არც ისე მემარჯვება...“

„ეს არაფერია, სტილს ჩვენ გაგისწორებთ. თუნდაც გერმანულად დასწერეთ.“

გამოვუტყდი:

„მე ფრანკოფილი არა ვარ, ფრანგ ნაციონალისტების ორგანოში როგორ დავწერო?“

„მაშ თქვენ ანგლოფილი ხართ?“

„არა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გერმანოფილი?“

„არც ეგ.“

„მაშ რაღა დარჩა?“

„პოლიტიკაში რეალისტი ვარ“.

„ეჰ, თქვენი საქმე არ მიკვირს. ცოტაოდენი ფანტაზიაც გინდათ... გაზეთს სხვა რა უნდა! ამ ქვეყანას სიცრუის სული უდგია. პარიზში ვინ შეამოწმებს იმას, რასაც თქვენ აღმოსავლეთის შესახებ დასწერთ. თქვენ სომეხი ხართ, არა?“ მეკითხება დოქტორ პომდეტერ.

„არა“.

„სულერთია, ვინც არ უნდა იყოთ. სომხურ საკითხზე დასწერეთ.“

„თქვე დალოცვილო, სომხები, ოსმალებს ამოაწყვეტინეთ და ვიღაზე დავსწერო?“

„მაშ იქით, არაქსისაკენ, სხვა დაჩაგრული ხალხები აღარ დარჩა?“

„ო, ბევრია, მაგრამ... მე ძლიერ ცუდათ ვწერ და ფანტაზიაც დამიჩლუნგდა“. ვეუბნები.

ერთ საღამოს „ტან“-ში სანუგეშო ცნობა ამოვიკითხე: ერთი სინემატოგრაფიული ფირმა სამას ახალგაზრდა ქალსა და ვაჟს იწვევს, აფრიკაში ლომებსა და ვეფხვებზე ნადირობის სურათების გადასაღებად. მოთხოვნილება დიდია. ფირმა უფასო მგზავრობას და დღეში 50 ფრანკს ჰპირდება.

მრავალი ხელობა მიცდია სტუდენტობის დროს. ხან ელექტრონის ლამპებს ვყიდდი ჩრდილოეთ იტალიასა და ტიროლში, ხან რკინისგზის ლიანდაგს ვაშენებდი სამხრეთ გერმანიაში, ხუთი თვე ესსენის ლითონისსადნობ ქარხანაში ვმუშაობდი. ხუთი წელი სხვადასხვა გერმანული გაზეთის ექსპედიტორი, რეპორტიორი, მეპრესსე, კორექტორი, თანამშრომელი ვყოფილვარ, მაგრამ არტისტობა არასოდეს მიცდია. ბუნებით მძულს ეს ხელობა (ჩემი საშინელი კონსერვატიზმის ბრალია ალბად!), ტაკიმასხარის როლში ვერ გამოვალ, მეფეების და გმირების როლს მე ვინ მომცემს! თუმცა კარგია აფრიკის ნახვა, ცოტა სამგზავრო ფულის მოგროვება და იქიდან მოკლე გზით ინდოეთისაკენ. კაპლანდში ჩემი სტუდენტობის ამხანაგი დოქტორ მალერბი მეგულებოდა. მის მრავალგზის მოპატიჟე-

ბას წინად ყური არ ვათხოვე, ახლა შემთხვევა მეძლეოდა ისიც მენახა კაპლანდიდან პირდაპირი რეისით ბომბეისაკენ...

აქ ისეთი რიგი დამხვდა, რომ მადლენის მოედნიდან ტრონშეს ქუჩამდის სწვდებოდა. პარიზის ღამის რესტორანების მუდმივი სტუმრები, მაწანწალები, იტალიელი მუშა-მათხოვრები, საეჭვო დემიმონდენები და ბებერი კახპები, უმუშევარი უცხოელები, ალჟირელები, ფილიპინის კუნძულების ზანგები, რომელნიც კარგი ჯიშის ორანგუტანგებს არაფრით ჩამოუვარდებიან, ეპოლეტებგახუნებული რუსის ოფიცრები. ყველას აქ ვხედავ. მაღალი, ქერა, ცხვირჩაჭყლეტილი რუსი მომიახლოვდა, ვგონებ შემატყო ქართველი ვიყავი.

„კავკასიელი ხომ არა ხართ?“ მეკითხება.

„ასეთი ქვეყანა არც გამიგონია, მე ეგვიპტელი ებრაელი ვარ“, ვეუბნები. ებრაელის ხსენებაზე ისე დაემანჭა სახე, თითქოს ქეძაფის სუნი სცემოდა და უხმოდ გამშორდა. როგორც იქნა, ველირსე დარბაზში შესვლას.

„მაშ წამოხვალ აბესინიაში?“ მეკითხება ოქროსკბილებიანი კაცი.

„რატომაც არა!“

„იქ ვეფხვებზე და ლომებზე ნადირობა იქნება წარმოდგენილი. მართალია, ისინი გაწვრთნილია, მაგრამ ხიფათი... ხომ იცით... არ გეშინიათ? სხვათა შორის, დაზღვეული თუ არა ხართ, გირჩევთ U. S. A.-ში დაიზღვევოთ თავი“.

„ახლა იქიდან მოვდივარ. თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ. მე თვით მინადირნია ვეფხვებზე“. გაოცდა.

„განა სადაური ხართ?“

„მე? სპარსელი. ჩვენს სოფელში გლეხები იჭერენ ქამანდით“.

„თქვენ ჩინებული იქნებით დრამატიულ როლებში, მაგრამ თვალები?“

„დიდებულად ვხედავ“.

„გადახტომა? ხომ იცით, იქ კლდიდან-კლდეზე გადახტომა, თოკებით ხეზე ასვლა, სარტომორტალები დაგჭირდებათ. ცირკში ხომ არ გიმსახურნიათ?“

„სამწუხაროდ, ჯერ არა“.

„C'est dommage“.

„რამდენ მეტრზე შეგიძლიათ გადახტეთ?“

„რამდენსაც რომელიმე ფრანგი გადახტება“. სახეზე შევატყვე: არ იამა დირექტორს, ფრანგებს რომ გაუტოლე თავი (ვატყობ: საქმე გავიფუჭე უადგილო დატრაბახებით, მაგრამ წარმოთქმულ სიტყვას როგორღა დავიბრუნებ!).

„თქვენ მართლაც ჩინებული სახე გაქვთ, გამომეტყველება — დრამატიული, თვალები — რომანტიული, მაგრამ ცოტა ტანმორჩილი ხართ, ჩვენ აი იმხელა კაცს ვეძებთ“, მეუბნება და მითითებს უშველებელ ახმახზე, რომელსაც უკვე ცალი ფეხი შემოედგა დარბაზში, სული კბილით ეჭირა.

კარებამდისაც არ ვიყავი მისული როცა, ოქროს კბილებიანის სიტყვები შემომესმა:

„თქვენ ძლიერ ახოვანი ხართ, მაგრამ სათვალიანი კაცი ჩვენ არ გამოგვადგება“. უკან მოვიხედე. სათვალიანი კაცი შეწუხდა. სათვალე მოიხსნა.

„ჩემდა საუბედუროდ სტუდენტობის დროს დავიწყე სათვალის ტარება. ჩემი სისულელე! მე მინდოდა განათლებულ კაცს დავმსგავსებოდი. ისე კარგად ვხედავ, როგორც ნორმალური კაცი...“

„თქვენ კბილებიც არა გქონიათ, ყოველ შემთხვევაში ექიმის მოწმობა მოიტანეთ“.

სათვალიანი დაღვრემილი გამობრუნდა. კიბეზე დამეწია. გამოუცნაურებლად გამომელაპარაკა:

„სანამდის მე ექიმის მოწმობას მოვიტანდე, იქ ათასი კაცია ჯერში“. ვერაფრით ვანუგეშე.

„თქვენისთანა თვალები რომ მქონოდა, ხომ ვიშოვიდი 50 ფრანკიან ადგილს?“

მე თავი დავუქნიე:

„ეს მართალია, მაგრამ მე ჩემი თვალები ორმოცდაათ მილიონ ფრანკს მირჩევნია“.

ამ კაცს ჭალარა არ ერია. პირში კბილები აღარა ჰქონდა. ცოტა ხანს მდუმარედ მომყვებოდა გვერდში.

„კი, მაგრამ თქვენ ასე ახალგაზრდა ხართ და ასე ადრე რად დაგცვივდათ კბილები?“

„ჩემი კბილები სათითაოდ გავყიდე...

„რას ამბობ, კაცო?“

„დიახ, დიახ... ეს თქვენც შეგიძლიათ. თუ ძლიერ გიჭირთ, პარიზულ გაზეთებში ყოველ დღე ნახავთ ჯანსაღი კბილების მუშტრების განცხადებებს.

„მე ისეთი კბილები მქონდა...“ და მოჰყვა ეს კაცი თავის გაყიდული კბილების ქებას.

## 11. ლაზური ფული

გავიდა რამოდენიმე დღე.

ერთხელ ძლიერ კარგი სიზმრები მქონდა. შორს მივდიოდი. დედა ბარგს მიკრავდა.

„ახლა საით მიხვალ, შვილო?“ მეკითხება. მე ინდოეთს ვუჩვენებ რუკაზე (რუკების ამბავი ვერ გავაგებინე დედას).

„არ გეყო სულ სხვის ქვეყანაში ყოფნა? დარჩი შენს სამშობლოში. შენზე ამბობენ: კარგი ბიჭია, მაგრამ საქართველო არ უყვარს, სულ უცხოეთშია. სიტყვით დიდი პატრიოტია, არაფერს აკეთებსო. შენი ამხანაგები დაბრუნდნენ. ყველა ოჯახს მოეკიდა. ყველა ბედნიერია, ყველა მუშაობს თავის ქვეყნისთვის, შენ კი, მთვარეულივით დადიხარ სხვის ქვეყნებში“.

„მე მალე მოვალ, დედა. მერმე ცოლს შევირთავ. უთუოდ ქართველ ქალს. 12 შვილიშვილი გეყოლება. ყველამ მხოლოდ ქართულად უნდა ილაპარაკოს. არცერთი უცხოეთში არ გაუშვა“, ვეუბნები. დედა სტირის. გზას მილოცავს.

დილით ადრე გამომეღვიძა. ჩემი წიგნები გადავარჩიე ორიოდე მინდა თან წავიღო. ჩემი ვისრამიანი. დედის ნაჩუქარი ფსალმუნი. შილდკროტის ინდოეთი, „გოეტეს საუბარი ეკერმანთან“. ძველ წერილებს რომ ვარჩევდი, ჩემი ლაიპციგელი გამომცემლის ბარათი ვნახე. ომის დროს ორიოდე წიგნი გამოვეცი გერმანულად — ინგლისისა და რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. მერმე ბედისწერამ ჩემი გზები არია, მოულოდნელად მომიხდა ბერლინიდან წასვლა (იმ დროს ჯერ კიდევ მრცხვენოდა ჰონორარის აღების!). ანგარიშები არ გამისწორებია. იმ დღესვე მივსწერე გამომცემელს.

ღმერთმა დალოცოს გერმანელის კეთილსინდისიერება! ერთი კვირის შემდეგ 400 დოლარი მივიღე. მარტო ამერიკასა და შვეიცარიაში გავრცელებულა ის წიგნები 50 ათასი. ჩემი ავტორული თავმოყვარეობა გაზვიადდა.

ჩემს ძველ ჩემოდანში ლაზური ფული ვიპოვნე (დედის ნაჩუქარი). გამეხარდა. ამ ფულმა გასაოცარი იდეები აღმიძრა. მომაგონდა: ჩემში ლაზური სისხლია და უნდა გამოვიყენო იგი.

მეორე დღეს ბირჟისკენ გავისეირნე. ამ ხანებში პარიზის ბირჟაზე გერმანულ აქციებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მისის ბლუტის შეგონება მომაგონდა. გავბედე. მთელი ჩემი კაპიტალი ესსენის რკინის აქციებში ჩავჰყარე. ნევ-იორკის საქონლის ბირჟამ გადასწყვიტა ჩემი ბედი. ჩემმა პოლიტიკურმა ალღომ არ მიმტყუნა. მე დიდის გულისყურით ვადევნებდი თვალს ამერიკის შტატსსეკრეტარის სიტყვებს. საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის მიმართ ამერიკაში არ მოსწონთ; პუანკარეს — უცნობ ჯარისკაცის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვას მტრულად შეხვდნენ ინგლისსა და ამერიკაში. ესსენის რკინის აქციები ელექტრონის სისწრაფით ავარდა, 900 დოლარი მოვიგე ჩემს ფასიან ქაღალდებში. დილის შვიდ საათზე გამომაღვიძა ფოსტალიონმა. ბერლინური რედაქცია დიდ საყვედურს მითვლიდა. სტენოგრამებს დროზე არ მიგზავნითო. „გარდა ამისა, მწერდა გაზეთის დირექტორი, თქვენ არავითარი ცნობა არ მოგვაწოდეთ საფრანგეთის კამერების პოლიტიკურ კომისსიის საიდუმლო სხდომის შესახებ. სხვა გაზეთებში იყო, ჩვენ ამ ცნობებს თქვენგან ველოდით. ორჯერ გაცნობეთ გერმანიის მისსიის საშუალებით, თქვენ ხმა არ გაგვეცით“.

იმავე წუთში მკვახე წერილით ვუპასუხე რედაქტორს. ვწერდი: „სტენოგრამები, თუ იგვიანებენ, ეს საფრანგეთის ცენზურას და ფოსტას მოჰკითხეთ. რაც შეეხება კამერების საიდუმლო თათბირებს, მე შემიძლია ჩემი შრომა გავყიდო, რომელიმე გაზეთის კორესპონდენტობა დავიკისრო, მაგრამ ჯაშუშობას ვერვინ დამავალებს და ჩემს კალამს ბაგრატიონების გვირგვინად არ გავყიდი-მეთქი. ვგრძნობდი: წერილის ტონი ძლიერ უხეში იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრულიად მოულოდნელად 50 ფუნტი სალიკვიდაციო გამომიგზავნა რე-

დაქცია, სამსახურიდან დათხოვნის ცნობაც იმავე დღეს მივიღე.

ნამდვილი მიზეზი სხვა იყო: ომი დასრულდა, აწი გერმანელ კორესპონდენტებსაც შემოუშვებდნენ პარიზში... ქეიფის პერიოდი გათავდა. ხშირად დავდივარ შარტრიესთან. ძლიერ გამიტაცა ინდოეთის ლიტერატურამ. ვეცნობი ბუდიზმს, ბრაჰმანიზმს, უპანიშადებს, ვედებს. ვკითხულობ ინდოეთში მოხეტიალე ტურისტების თავგადასავლებს. ერთი სიტყვით, არ მინდა ხეპრედ ჩავიდე ამ ქვეყანაში. ოდნავ ინდოეთის ისტორიასაც გადავწვდი. სანსკრიტს ვსწავლობ. ყოველ დღე ველი, ჯენეტი ან დამირეკავს, ან წერილს მომწერს. ბოდიშს მაინც მოიხდის, რომ თავის სახლიდან დამითხოვა. ხანდახან ვგრძნობ: ჩემი გაბრაზება უმართებულოა, მაინც არ ვტყდები, მას ვაბრალებ ყველაფერს. მან გაამწარა ჩემი სიცოცხლე. ვწყევლი იმ ნისლიან დღეს, ალი მირზა-ხანისას რომ წავედი. ჩემში უცარი გადატეხა მოხდა. დალონებული დავდივარ მარტო. გულის სიღრმეში მაინც ერთი აზრი იბრძვის: ჯენეტი შეურიგდა თავის ქმარს. იგი ისევ მისი ერთგული თანამეცხედრეა. მე არც კი ვახსოვარ. საშინელი სიზმრები მახრჩობს. ხანდახან. ვსვამ და ისევ ვკითხულობ ინდოეთის საოცარ ამბებს და მარტოობას ვეძებ.

## 12. თვალების დუელი

ერთ საღამოს ბულონის ტყეში დავხეტიალობ. გამავდნენ ხეების სილუეტები. ტყეში ბინდ-ბუნდი ჩამოეშვა. კანტიკუნტად ავტო გაისრიალებს, შორიდან მოტოციკლეტების ხმაურობა მოისმის (თითქოს შორეულ ტბაზე გარეული ბატები ფრთებს აბარტყუნებდნენ). ტყის სიღრმეში შევედი. საშინელი მელანქოლია შემომაწვა გულზე, მარტოობა ვიგრძენი. სკამზე ჩამოვჯექი. ჩემი თავი მევე შემეცოდა. ჩემი პიროვნება გაორდა. ერთი — ტყის მწვანე სკამზე მჯდომარე, მეორე — ტაია შელიას უკუღმართ გზებზე მოარული. ორივე უსამშობლო, გზადაკარგული მგზავრი, სხვის ქვეყანაში, სხვის ტყეებში შემოღამებული. ვისთვის, ან რისთვის იყო საჭირო ეს გა-

უგონარი ველად გაჭრა და მარტვილობა?! ჩემი გამწარებული ცხოვრება მანსარდებში, მეშვიდე სართულზე. ეს თეთრად გათენებული ღამეები, დაუსრულებელი მეთვალყურის როლი.

უცხოთა კარზე, უცხოთა შორის. მართალია, ბევრი იყო ენტუზიაზმი, ალტაცებული წუთებიც, რამოდენიმე თავდადებული მეგობარი, რამოდენიმე ნაზი, მოსიყვარულე ქალის პირიდან მიმილია დაუვიწყარი კოცნა და აღმაფრთოვანებელი ცეცხლი, ამ ცეცხლის შორეული გამოკრთომა კიდევ სწვავს ჩემს გულს, კიდევ აფრთოვანებს მას მრავალ საკვირველ გმირობისა და თავგანწირვისთვის. ახლა ყველა შორსაა ჩემგან. ყველა თავის სახლში. თავის ქვეყანაში. მე ისევ მარტო ვარ უცხოეთში. და... კიდევ შორი გზა... ვინ იცის, ეგებ იქ დამიღამდეს.

ისევ კინემატოგრაფიული სურათებით ჩაიარა ჩემს თვალწინ მთელმა ცხოვრებამ. ვერ ვიტყვი: მე მსახიობი ვიყავ ამ სურათებში, თუ მარტოოდენ მაყურებელი... მე ვხედავ ოდნავ სასაცილო მომენტს ამ გაქცევაში. არც კი მეგონა, ეს კიდევ დამჭირდებოდა. მომაგონდა ხუთმეტი წლის წინად ტფილისიდან გაქცევა (ამ შემთხვევაში იმდენი ბრალი რუსის ჟანდარმებს არ მიუძღოდათ, რამდენიც ერთ ქართველ ვექილის ქალს). ტყეში საკმაოდ აგრილდა. მახლობელ ტბიდან ზანტად დგება თეთრი ნისლი, ელექტროს შუქით გაბრწყინვებულ ღამეულ ცისკენ მიიზლაზნება. ვიღაც მონადირეებმა ჩაიარეს. მათს დანახვაზე თოფის სროლა მომენატრა.

ტირში მაინც წავალ, ეგებ ვახშმის ფული მოვიგო. ძლიერ მიყვარს ბელფორის მოედნის ტირებში ხეტიალი. ეს საოცარი ბაბილონი! ჭრელად ჩაცმული ბრბო. უამრავი კარუსელები, ჯამბაზები, რეკლამისტების ლაქლაქი, უდარდელი არლანის ყურისგდება, უბრალო ხალხის გულწრფელი ღრეობა. უქმად მოყიალე, სადღესასწაულოდ განწყობილ ბრბოში ვერევი. პარიზის საოცარ ტიპებს ვაკვირდები. ეს ყოჩაღი რეკლამატისტები! მთელი დღე მოედანზე სდგანან, ქადაგად დავარდნილივით ერთსა და იმასვე იმეორებენ, აქა-იქ გონებამახვილ ოხუნჯობას ჩაურევენ. ზოგს. რაღაც „სასწაულთმოქმედი“ ქიმიური საპონი უჭირავს ხელში, ზოგს მაგნეტი, ზოგს ლითონის ასან-

თი, ან შუშისა და ფაიფურის სათლელი, ცამდის აყავს თავისი საქონელი.

ვინა სთქვა, ტრაბახა და ცრუპენტელა ხალხს არ უყვარსო? მათ ყოველთვის გარს ახვევია უფასო მრევლი. ათასში ერთხელ ვინმე შესცდება. ისინი, წმინდა ფრანგული ჯიუტობით, გამტანი ენტუზიაზმით განაგრძობენ ტრაბახს.

ტირში რამოდენიმე ხელი ზედიზედ მოვიგე. პატარა, ცინკის ქონდრისკაცებს ვესროდი. სროლაში მონაწილეობას იღებდნენ ფრანგი სტუდენტები, ვიღაც ალჟირელები და ერთი ურია. ებრაელებს ერთი დიდი ღირსება აქვთ: მათ ყველაფერი აინტერესებთ, ყველაფრის მიზეზები უნდა გაიგონ. ეს ებრაელიც გამომეცნაურა. მკითხა, თუ ვინა ვარ, ან ასე კარგად რათ ვისვრი? ქუჩაში გაცნობილ კაცს ხშირად უნებურად აღუყუებ ადამიანი. ასევე დაუფიქრებლად ვუთხარი იმ ებრაელს: მე ქართველი თავადი ვარ მეთქი. მეგონა, მომეშვებოდა. იმან განაგრძო დაკითხვა. ღვთის წინაშე, ძლიერ გადავასხვაფერე ჩემი ავტობიოგრაფია და სავარსამიძიანთ გვარის ჰეროლდიკა. მას ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია საქართველოზე.

„თქვენ ალბათ ბევრ მამულს ჩამოგართმევდნენ ბოლშევიკები?“ მე ჩამოვუთვალე ისეთი მამულები კახეთსა და ბორჩალოში, რომელნიც ჩემი სახლის კაცებს სიზმარშიაც არ უნახავთ.

„რაც შეეხება სროლას, ჩვენში ბავშვებიც ჩემზე უკეთ ისვრიან. მე ევროპაში სროლაც გადამავიწყდა, თორემ საქართველოში ნიკოლაი ნიკოლაევიჩი უჩემოდ არ ნადირობდა, ორჯერ ვიყავით სპარსეთში ლომებზე“.

„მაშ თქვენ ამხელა ლომიც მოგიკლავთ?“ მიმითითა ბელფორის ლომის ქანდაკებაზე.

„ეს ლომი კოჭამდის ვერ შესწვდება იმ სამ ლომს, ჩვენ რომ მოვკალით სპარსეთში“.

უბირ ადამიანებს სჩვევიათ: პირველ შეხვედრილსავე უამბობენ უცნობს თავიანთ გულის ჭირს და თავგადასავალს. ამ ებრაელმაც მთელი თავისი ცხოვრება მომითხრო. ოდესელი იუველირის, ვიტენზონის შვილი ყოფილა. ბოლშევიკებს მთელი ქონება და ბრილიანტები ჩამოურთმევიათ. მამას გულ-

გასკდომია ჯავრისაგან. შვილი ამ დროს სამკურნალო ფაკულტეტს ათავებდა პარიზში. ჯერაც უნივერსიტეტი ვერ დაუსრულებია. ჩვენ ლათინთა უბანში შევდიოდით, არ მინდოდა ქართველებს გადავყროდით და ჩემი უნებლიე ტყუილები გამოაშკარავებულიყო. მწყუროდა. ვიტენზონი ერთ ჭიქა ღვინოზე შევიპატიჟე (ეგებ ამგვარად მომეცილებინა).

„მე თუმცა არა ვსვამ, მაგრამ თქვენთან საუბარი საინტერესოა“. გამოირკვა: ძლიერ დამშეული ყოფილა თურმე, სადილის ფულიც ტირში წაეგო. როცა გაძღა, მიამბობდა თავის მწარე ბედის და ულუკმაპურო ცხოვრების ამბავს.

„როგორ გაგიბედოთ, თავადო, თორემ თქვენ შეგეძლოთ ძლიერ კარგი საქმე მოგეწყოთ“... (ჩემს დღეში თავადი არავის უწოდებია ჩემთვის!.. მეხამუშა, მაინც შევიფერე დაუმსახურებელი ტიტული). დავინტერესდი: რა უნდა მომეწყო ვიტენზონისთვის პარიზში! ვიტენზონს დოქტორის ხარისხი უნდა მიეღო. საეგზამენო ფული არა ჰქონია.

ამბობდა: „მე მაქვს დედის ნაჩუქარი, ძველებური ბრილიანტის საყურეები. ორი წელი ვშიმშილობდი. არ გავყიდე, რადგან ჩემ საცოლეს შევპირდი. ახლა მეტი გზა არაა. უნდა გავყიდო. ოპერისა და დელაპეს ქუჩაზე ათი ათასი ფრანკი მაძლია იუველირმა. თუ არ იუკადრისებთ, მე მოგცემთ ცალს აჩვენეთ. სწორედ ასეთი მოიკითხეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ მივალ, ეგებ აუწიოს. ის საყურე 20 ათასიც ღირს. მაგრამ ხომ იცით, იუველირი გაჭირვებულ კაცს რომ ნახავს...“

მე, — ხუთშაბათი ბარაქიან დღედ მიმაჩნია. ამ დღისთვის ვიხმე ვიტენზონი.

დილიდანვე კარგი გუნება ამყვა. 7 საათზე სტამბოლიდან წერილი მივიღე. ოპენჰაიმი მწერდა: ინდოეთს წასვლას თუ გაჰბედავ ჩამოდით.

მუდამ მჯეროდა: ამ ქვეყანაზე ყველაფერი ჰიპნოზია და სახეების მაგია. ამ მხრით ჩემი თავის იმედი მაქვს. წვერი მოვიპარსე. ჩავიცვი. სარკეში ვიყურები (გამახსენდა: ერთი ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი ჯიბრაილ ბატონიშვილს მამსგავსებს), აბა თუ მართლა ვგავარ ქართველ თავადიშვილს! აჰა, ჯიბრაილსავით მოხრილი ქორული ცხვირი, ენერგიული ნიკაპი, ვიწრო მოგრძო სახე. მოზრდილი ბრტყელი შუბლი. დიდ-

რონი თვალები. მიმინოს ჭანგივით დახრილი ნესტოები. ახალი მთვარის ოდენა მელოტი თუ გამასხვავებს მისგან. ამ მელოტსაც ოსტატურად დავარცხნილი თმა იფარავს.

თუმცა სიკეთე და ბოროტება ისეთივე ხელოვნურ პროდუქტებად მიმაჩნია, როგორც ნაფტალინი და ტუჩის პომადა, მაინც მეზარება ტყუილის თქმა, როცა ფულზეა საქმე.

ტყუილის თქმა ტელეფონში უფრო ადვილია. ვიტენზონმა მომიძებნა ტელეფონის ნომერი.

„ჰალლო! 11—45“.

„საიუველირო კრუასან“.

გამომეხმაურა.

„გელაპარაკებათ თავადი სავარსამიძე,- სთხოვეთ დირექტორს!

„დირექტორი 12 საათზე აქ იქნება, პრენს“.

„მაშ კარგი. 12 საათზე „ემერიკენ ექსპრესში“ საქმე მაქვს. მიცადოს“.

ათი წუთი შევიგვიანე, იუველირის მაღაზიაში რომ შევედი, მაღალი, ოქროს სათვალებიანი კაცი შემომეგება.

„პრენს სავარსამიძე?

„მე გახლავართ“.

ევროპელებთან საქმის დაჭერა ძლიერ საფრთხილოა. ჩვენ, არაევროპელებს, დაახლოებითი წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს ევროპელი პირველად შეხვედრილ ადამიანის გარეგნობას (ფრიად მნიშვნელოვანი საქმიანობის დროსაც). ევროპელები ხშირად საგნებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ადამიანის სხეულის ნაწილებს, მის გამომეტყველებას და მის ნათქვამს.

ასევე მძაფრად აკვირდებიან ადამიანის აღნაგობას, მიმოხვრას, ჩაცმულობას.

ყოველი ჯურის ადამიანის თვალებისთვის შემიხედავს წარბშეუხრელად, თვალი თვალს გამიყრია მოურიდებლად (ისეთ შემთხვევაშიაც, როცა მტყუანი ვყოფილვარ). გიმნაზიის დირექტორის, ციხის უფროსის, ჟანდარმების შეფის, ფარული აგენტის თვალებისთვის ამოწვდილ მახვილივით შემიგებებია თვალი. მაგრამ ამ იუველირის თვალების მსგავსი არასოდეს მინახავს (პროფესია გარდუვალ შტაბეჭდილებას სტო-

ვებს ადამიანზე!). იუველირებს უმცირესი საგნებისადმი უდიდესი ყურადღების მიპყრობა სჩვევიათ, ამიტომაც განსაკუთრებული დაკვირვების უნარიც აქვთ.

მე არაჩვეულებრივი ენერგიის გაღება დამჭირდა, რათა მისი მოკლე, წითურ წამწამებიან პაწია, ჟვალებისათვის თვალი გამესწორებინა საუბრის დროს. თავი ოდნავ ამპარტავნად მეჭირა (ტონი: ზევიდან — ქვევით). გარემოსადმი ოდნავ გაფანტული ყურადღება. დირექტორმა თავის ხელით გამოსწია მაღალი შაგრენის სავარძელი, მიმიპატიჟა. მის კაბინეტში ოდნავ ბნელოდა. ელექტროს შტეპსელს გადასწვდა. გაანათა.

ვხედავ: ელექტროს სხივზე მოლაპლაპე სათვალეებს გადაღმა დაწრიალებენ მისი მოწითალო წვრილი თვალები (ორი ხაფანგში გაბმული წითელი ჟრიჟინა!).

„რას გვიბრძანებთ, პრენს?“ (ამ სიტყვებზე შევატყვე ჩვენი თვალების პირველი წაკენწლავება ჩემ სასარგებლოდ გათავდა). ძლიერ დაშვებული, ოდნავ მოქანცული ტონით დავიწყე ლაპარაკი. შორიდან მოვუარე. ნელი ინტერესი გამოვიჩინე სხვადასხვა ძველებურ სამკაულებისადმი. ისეთი პატიოსანი თვლები მოვიკითხე, რომელნიც აგრიკოლას ნაწერებში თუ შემხვედრია, თორემ თვალით არ მენახა. იუველირი სახტად დარჩა...

„ასეთი რამ ჯერ არა გვაქვს, პრენს“.

„აჰა!“ ვფიქრობ.

ისიც ვკითხე, მუცო და კოს კუცის სმარაგდების კონცესიებს როდის გაუდის ყავლი მეთქი. საფრანგეთი თუ შეირჩენს მომავალ წელსაც კოლუმბიის სმარაგდების კონცესიებს? ან 1917 წელს დაწყებული სმარაგდების კრიზისი რითი გათავდა მეთქი?

„თუ არ ვცდები, თქვენ სპარსელი უნდა ბრძანდებოდეთ?“ მეუბნება.

„დიახ“.

„მეტყობათ, სპარსელები დიდი კოლლექციონერებია“.

„ალბად იცით, პატიოსანი თვლების კულტურა აღმოსავლეთში დაიწყო, დღეს ამერიკამ ჩამოგვართვა პირველობა“.

„ამერიკა საფრანგეთსაც ძლიერ ექიშპება, მაგრამ ვერსა-

ლის ზავით 13 წელს კიდევ შევინარჩუნებთ კოლუმბიის სმარაგდების კონცესიებს“.

იუველირმა პორტსიგარი გამომიწოდა. მე ჩემი ამოვიღე.

„მე მხოლოდ თურქულს ვწევ. არ მომწონს: არც ფრანგული, არც ამერიკული“ ვუთხარი და პორტსიგარი გავუწოდე“.

ჩემ ხელზე ჯენტის ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი შეამჩნია.

მკითხა:

სპარსეთში ოქროს ნაკეთები. დავემოწმე.

„ეს მეორეც საინტერესოა“. ვაჩვენე.

„ეს რას ნიშნავს, თავადო?“

„ჩემი გვარის ღერბია. უბრალო სიმბოლიკა: არწივი — ეთერის მეფე, თევზი — უფსკრულების ფარეში“.

მიკროსკოპი აიღო. დააჩერდა. ვეუბნები:

„სხვათა შორის, ერთი ცალი საყურე მოგიტანეთ, ამის წყვილი დაეკარგა ჩემს მეუღლეს. სწორედ ასეთი წყვილი ეგებ აღმოაჩინოთ ჩემთვის“

დაჰხედა:

„ეს ძველებურია. თუ ხსოვნა არ მღალატობს, სწორედ ასეთი საყურეები შემოგვაძლია ამას წინად ერთმა ებრაელმა. ორ-ორი ბრილიანტი, თითო საფირონი.

„დაახლოებით რამდენს გაიღებდით, პრენს?“

„თუ იმდენივე კარატი...“

(პაუზა)

„15 ათასი არა?“

„კარგი. კომისიონერებს დავგზავნი“.

„მე ხშირად დავდივარ „ემერიკენ ექსპრესში“, შემოგივლით“. სადარბაზო ბარათი დავუტოვე.

ყოველ ციხეს თავისი ხვრელი მოეძებნება. თუმცა ევროპელებს დიდი სიფრთხილის და დაკვირვების უნარი აქვთ, იმდენად გულუბრყვილო ნდობა სჩვევიათ, თუ პირველ შეხვედრისას შთაბეჭდილება მოახდინე. ტიტულებიან სადარბაზო ბარათს მათთვის თამასუქის წონა აქვს. მე გავვოცდი ერთხელ, როცა ერთი შვეიცარული ბანკიდან ფულის მიღების დროს, მოხელემ სადარბაზო ბარათის მიხედვით მომცა ჩემ სახელზე გამოგზავნილი 1000 ფრანკი. ეს მე ვიცოდი, ამიტო-

მაც გავსწორე ორი ფრანკი „თავად“ სავარსამიძის სადარბაზო ბარათის დასაბეჭდად.

ვიტენზონი დიდ ოპერასთან მიცდიდა, ცალი საყურე დავუბრუნე. დავარიგე: „15 ათასის ქვევით ფეხი არ მოიცვალოთ. იუველირი ვგონებ დავაინტერესე“. ვიტენზონმა წინასწარ მადლობა გადამიხადა. ამის შემდეგ სადღაც გადაიკარგა. ერთ ორჯერ მის უბანში მოვხვდი. მინდოდა შემევლო. ამბავი გამეგო. მეშვიდე სართულზე ასვლა დამეზარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქება მეოთხე

## 13. ვენახი

შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, მე — შენი ლერწი, მშობლიურ მიწის სინოყივრეს მონატრებული.

დამესიზმრა:

საღამოს ფანჯარასთან ვზივარ. კონსერვატორიის მოედანს გადავცქერი. ზღვა-ხალხი მიგანგაშებს ქუჩაზე. წითელი, ყვითელი, მწვანე, იისფერი აფიშები, უცხო ფარშავანგებივით შემოსევია ქალაქს. ავტომობილების, ომნიბუსების, ტრამვაების, მოტოციკლეტების, ეტლების ქარავანი დგანდგარით, ხანზარით, ქშუილით, რახრახით, ზმუილით მიჰქრიან ლარივით გაჭიმულ ქუჩაზე. კოკოტები, მოსეირნეები ცილინდრიანი, კეპიანი, უქუდო, უპალტოო, ქურქიანი, მწვანე, წითელი, ლურჯი, მოლალურის ფერი ქალების ქუდები, ეგზოტიური ფრთები მიჰყვებიან ამ ნიაღვარივით გაქანებულ მდინარებას. ვიღაც აკაკუნებს.

„Entrez!" ვიტენზონი შემოდის. ტუჩებზე მიწისფერი. თვალები ჩაცვენილი. არც წარბები... არც წამწამები. ქერტლი და მტვერი ყრია საყელოზე. სახელოები გაცვეთია, ბინძური მანქეტები უჩანს.

„რა მოგივიდათ?" ვეკითხები. ენას ძლივს იბრუნებს: „ჩემი სხეული ირღვევა შიმშილისაგან"

შევშფოთდი:

„იუველირმა რა ჰქნა?"

„13 ათასი შემაძლია. სჩანს, კომისიონერები დაგზავნილი ყავს. თუ ერთი კვირა გავუძელი შიმშილს, 15 ათასი...

„შენ აქ მომიცადე". ქუდი და ჯოხი ავიღე.

ავტომობილში ჩავჯექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ავენიუ დე ლოპერა და დე ლაპეს კუთხე, ჩქარა, ჩქარა, ირღვევა ადამიანის სხეული“, ვეუბნები შოფერს.

„ავტომობილზე ჩქარა რა წავა?“

„ჩემი ფიქრი“. მივაძახე და ვფიქრობ: მაცალეთ, მაცალეთ ხაფანგში გაბმულო წითელო თრითინებო!

„შოფერო, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა.“ იუველირი თავის კაბინეტში ჩაკეტილა.

ნოქარი უარზეა.

„საქმე აქვს. არავის იღებს“.

„თავადი სავარსამიძეა თქო, მოახსენეთ“. ნოქარი დაიღრიჯა.

ფეხები დავუბაკუნე:

„თქვენ ვინა გგონივართ? ადამიანის სხეული ირღვევა, თქვენ აქ რაღაცეებს მიჭქარავთ“.

„არ შემიძლია, ბატონო ლორდ სელისბურის მეუღლეა“.

„მე რა მენაღვლება, თვით უელსის პრინცესაც იყოს. მოახსენეთ! თქვენ როგორ გგონიათ? თავადი სავარსამიძე რითი ჩამოუვარდება ლორდ სელისბურს? სელისბური ორიოდე საუკუნის წინად მეკობრე იყო... ჩემი სისხლი... ორი ათასი წლისაა. გუბაზი გაგიგონია?“ ნოქარი შიშისაგან დაპატარავდა.

„არ გამიგონია, ბატონო“.

„ჰო, შენ არაფერი გაგიგონია, რაც ვისლას გაღაღმა მოხდა: ახლა გაიგონებ.“ საღილეში სალოკი თითი ჩავუყავი. „ლაზების მეფემ, გუბაზმა, უბოძა ჩემს წინაპარს თავადობა. შენ კი აქ მიჭქარავ ლორდ სელისბურიაო, წადი და მოახსენე“. მსახური შევიდა. ყარყუმის მოსასხამიანი დამა აიმრიზა, იუველირს სახე აელეწა. დამამ თავისი ბრილიანტები აჰკრიფა მაგიდიდან. საკვოიაჟში ჩაილაგა. იუველირს გამოეთხოვა. მის ადგილზე მე დავჯექი. მაგიდაზე დალუქული კონვერტები სძევს. ვეცხლის შანდალში ანთებული სტეარინის სანთელია.

„რა ჰქენით?“ ვეკითხები იუველირს.

„ერთმა ურიამ მოიტანა სწორედ ისეთი საყურეები. ძვირად აფასებს. კომისსიონერები დავგზავნე. სჩანს, ძლიერ უჭირს ურიას. ჯერ კარგად მოუჭიროს შიმშილმა. ისევ მოვა, ჩემი კომისსიონერი შიმშილი მოიყვანს.

მე გავხელდი. ვეუბნები:

„შენი დღეობა როდისაა?“

„წმიდა სტეფანეს დღეს. ერთი თვის შემდეგ“.

„გირჩევ, აქეთ გადმოაჩოჩო. დამიჯერე ასე ჯობს“.

„რატომ?“

„იმიტომ“...

იუველირი გაცოფდა:

„რატომ?“

„იმიტომ რომ, ჩემო თრითინა, კიხალამ აგაფეთქე შენ, შენი ბრილიანტები და ოქროები“.

„როგორ? განა ბრილიანტებს და ოქროებს ცეცხლი მოერევა?“

„შენ არხეინად იყავი! ისეთ ცეცხლს შეგინთებ, რომ შენს ოქროებს და ბრილიანტებს გადავადნობ და ჩვენი სოფლის მღვდლის ჯორს დავჭედავ“ .იუველირი გაფითრდა:

„მაშ გადავრჩენილვარ?“

„დიახ, დიახ. მაგრამ სულ არა. შენი ნახევარი სული გადარჩა, თუმცა არც კი ვიცი, განა სულიც გაბადია?“

იუველირი გაშტერდა.

„უსულოდ აბა როგორ იქნება...?“

„აბა, ადგილიდან არ დაიძრა, ისე შეუბერე ამ სანთელს სული!“ იუველირმა შეუბერა. ვერ გააქრო.

„ახლა მე მიყურე“. მის ადგილზე დავჯექი. არ გავნძრეულვარ. შევუბერე. სანთელი ჩავაქრე.

„ხომ ხედავ, რა სულგრძელი ვარ? არც ოქრო მაქვს, არც ბრილიანტი. რაც ხელზე მაქვს, ესაა და ეს. ჩემი საყვარლების სახსოვრად ვატარებ. ხვალ ავტომობილმა რომ გამიტანოს, ჩემმა დიასახლისმა ანატომიურ მუზეუმს უნდა მიჰყიდოს ჩემი გვამი. თორემ აქ პარიზში, იცით რა ძვირია მიწა?!. აქ ყველას ისე უყვარს მიწა, როგორც მამაჩემს.

„ყველაფერი კარგი მაგრამ... წუხელ რას მიპირებდით?“

ჩემი ძიძიშვილები და სამი კბილებამდის შეიარაღებული კავკასიელი უნდა მომეყვანა... თქვენ, პარიზელ იუველირებს, ცუდი ჩვეულება გაქვთ. ვიტრინებს უდარაჯოდ სტოვებთ, ასე გგონიათ, პარიზში ყველა მაძღარი იყოს. 3 საათზე მინებს გავჭრიდით. აგაფეთქებდით. მაგრამ მე რაინდი ვარ. ჩემი საქმე-

ები სინათლეზე უნდა იყოს მუდამ. ვიფიქრე: ეგებ დავაჯერო, გადავარჩინო მეთქი. ამიტომაც მოვედი“.

იუველირმა ტელეფონისკენ წაიღო ხელი.

„პოლიციის პრეფექტს ეძახი?“ დავიღრიალე. საყვიოს ხელი უშვა.

„ვერც პოლიციის პრეფექტი გიშველით, ვერც რომის პაპი, ვერც თქვენი კომისსიონერი შიმშილი. შენ იცი, 12-მა კაცმა ვის მიაბარა ოქროს ქისა?“

„მასვე, ვინც თავისი ღმერთი გაჰყიდა“.

„ოქროს პატრონმა გაჰყიდა თავისი ღმერთი. არა?“ იუველირი თავს მიქნევს.

„წვიმიან ღამეს არ დაფიქრებულხარ? გარედ სწვიმს. სამარეში წევხარ. ცივ მიწაში იხრწნება შენი სხეული. აქ კი, პარიზში, შენს მაღაზიაში ელექტროს მარაოზე ზეცის ვარსკვლავებივით კაშკაშებენ შენი ბრილიანტები. ბრილიანტები ვერაფერს გიშველიან. შენ წევხარ ცივ სამარეში და გარედ სწვიმს...“

„დიახაც მიფიქრია“.

„ჰო. იხრწნება ერთი ადამიანის სხეული. არც მიწისაგან, არც წვიმისაგან. თმა გასცვივდა. არც წარბი, არც წამწამი... კაცი ცოცხალია. ირღვევა ადამიანის სხეული, და შენი ბრილიანტები აქ უქმად კაშკაშებენ პარიზში. ან რას უშველის შემოღამებულ მგზავრს ვარსკვლავების თვალუწვდენი კაშკაში. მთვარე უნდა იყოს. გესმის? მთვარე სულია. ბნელ გვირაბიდან გამოდის. თეთრ ჩადრს მოისხამს. უსაზღვრო ზღვაში დაინთქება: სადაც სული არაა, იქ უმთვარო ღამეა და სიბნელე. ჩემი მეგობრული რჩევაა: ეს ბრილიანტები მათხოვრებს დაურიგე, ასიზის მონასტერში წადი. სულზე იფიქრე, სანამ დრო არის“. მე ორი თითი ტუჩთან მივიტანე, შევულოცე ისევე, როგორც ტაია შელია შეულოცავდა ხოლმე გველს: „ირანგი: ჩირანგი: არასარანგი: უშანდული: ურანგი“.

მისი წვრილი თვალები უკვე აღარ დაცქრიალობენ.

მოკვდა ორი წითელი თრითინა ცივი შუშის კუბოში. ვდგაბი. შუბლზე ხელი გადავუსვი. მელოტ თავზე ხელი დავადევი. თვალებს ხუჭავს, სახეზე ჭირის ოფლი ჩამოსდის წურწურით. მეუბნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თქვენ ხელს საკმეველის სუნი უდის“.

„შაბათს ნოტრდამში ვიყავი“.

„ჩემ სულში ცხელ ტყვიასავით მძიმე წვეთმა ჩამოქონა თქვენი მძიმე ხელიდან“.

„მამა მარწმუნებდა: სუბუქი ხელი გაქვსო“.

იუველირმა თვალი გაახილა.

„რა უშველის იმ კაცს, ვისი სხეულიც ირღვევა?“

ისტერიულად შევჰყვირე:

„ფული, ფული, ფული!

იუველირმა ჯიბისკენ წაიღო ხელი. ათასი ფრანკი გადმომცა. ისევ ჯიბეში იყოფს ხელს:

„ეგებ თქვენც გჭიროდეთ ჯიბის ფული, თავადო?“ მეორე ათასიანს მაძლევს. გამოვართვი. დავხიე.. ცხვირპირში შევაყარე.

„ეს თქვენ დაგჭირდებათ. ამის სანთელი დაუნთეთ პარიზის ღვთისმშობელს“. მადლობაც არ მითქვამს. დავსტაცე ხელი ვიტენზონის ათას ფრანკს. შინისკენ გავქანდი. ვიტენზონმა ათასი ფრანკი წაიღო. ორ კვირას კიდევ გაუძლებს იუველირის კომისსიონერი. ვფიქრობ. და ვამაყობ: ყველაფერი თვალზე ჰკიდია! თვალია სხეულის სინათლე. სარკეში ვიხედები. საშინლად მოვხუცებულვარ. მზეებრ ბრწყინვალე თვალები. მატყლივით სპეტაკი თმა. პირიდან ორლესული მახვილი ამომდის. ვიცანი ჩემ სახეში ძე-კაცის მსგავსი. დავვარდი სარკის წინ. თაყვანი ვეცი ჩემსავე ღვთაებრივ ლანდს.

ქუდი და ჯოხი ავიღე. გადავიარე შვიდი მინდორი თოვლიანი, შვიდი ველი ლელიანი, შვიდი მთა თავზუჩიანი. ერთ მთაზე ერთი ტყე იყო. ტყეში ნაძვი იდგა. ნაძვში ფუღურო იყო. ფუღუროში გველი იწვა. გველს მუცელი გამოვფატრე: მუცელში ხვითო ვიპოვნე. ხვითო ჯიბეში ჩავიდევი. კიდევ გადავიარე შვიდი მინდორი თოვლიანი, შვიდი ველი ლელიანი, შვიდი მთა თავზუჩიანი. გავიარე თეთრი ტყეები და სანახები. შემომერტყა წელზე ნისლები, ერთ ტყეში ცხრა მუხა იდგა. შუაში უშველებელ ცეცხლს ტაბაკონას როკაპი უჯდა. კალთაში უცოდველ ბავშვების გულები ელაგა. ცხრა მუხის გარშემო ცხრა ფერია ფერხულს უვლიდა. გაშავდა კუპრივით ზეცა. შემომესმა სუჯუნის მრისხანე ბატონის თეთრი რაშის ტორ-

ბის გრიალი. ტყეში ძლიერ დაბნელდა... ჩემს გზაზე ჭინკები და ოჩოკოჩები გადარბოდნენ. კენჭებს მესროდნენ. მეძახოდნენ. ვცდილობდი მათკენ არ მიმეხედნა. უშველებელ მუხის წვერზე ავედი. ვახსენე სამჯერ ტაია შელია. შევჰრისხე ბნელეთის მოციქულები: „გრიაიიიი. გრიიიიიი გრიაი.ი.ი.ი გრიაგრიაიიიი. იიიი. გრი...ი...ი".

იქექა სუჯუნის ქვემეხმა. სადღაც დაეცა ბოძალი. „ვენაცვალე შენს მადლს" ვბუტბუტებ. განათდა და ჩემ სულში თვალმომწყვეტი სინათლის ჩქერი ჩამოეშვა. მავდივარ მხნედ და შეუპოვრად და ჩემს დაკარგულ სამშობლოს ვეძებ.

როგორც იქნა, მოვაღწიე. საქართველო ვერ ვიცანი. საქართველომ მე ვერ მიცნო. გაოცებული შეჰვყურებ შავ ზღვაში ქართული ფლოტის აღლუმს. ნისლისფერი კრეისერები ჰორიზონტებზე დგანან: — საქართველოს თავის ჰამბურგი გაუჩენია. რიონი გაუჭრიათ. პალიასტომთან ახალი პორტია: თამარაშენი. აუარებელი დოკები. ელევატორები, უშველებელი რკინის ხიდები. მთებსა და გორაკებზე ქარხნების საკომურებბის ტყეებია. მთებსა და მთებს შორის კანატების რკინის გზებზე გამურული ვაგონეტები დაჰქროლავენ. სადღაა საქართველოს ფირუზი ცა, ან მწვანე ველები, თვალებჩაშავებული ტყეები... ძველ ტაძრებს და ძველ ციხეებს ფაბრიკები და ელექტრონის სადგურები დასცინიან.

თამარაშენში პაწია გოგონები ყულაბებით ფულს აგროვებენ. თეთრ გვირილებს მაწვდიან.

„მგზავრო, გაიღეთ რამე საქართველოს ელექტრიფიკაციისათვის".

„მე ფული არა მაქვს, პატარებო." ვეუბნები.

„ძუნწი, ძუნწი!" მომძახიან პატარა, თავხედი გოგოხები. „საქართველოს ელექტრიფიკაციისათვის ერთი გროში არ ემეტება". მრცხვენია ჩემი დაძონძილი ტანისამოსის, დახეული სანდლების გამო. მაგრამ არაფერია. ვინუგეშებ თავს. ავსილი ვარ სიბრძნითა და სიმშვიდით. მთელი ქვეყანა პოლიუსიდან პოლიუსამდის მომივლია. შემისწავლია: ჩინური, სანსკრიტული, არაბული, ფარსული, ვედები, უფანიშადები, ავესტა, სუტრატექსტები. ექვსი ნიშატის გრძნეულება შემემატა: შინკიო-ტზუ. ჰიპნოზის ძალა, ყოველივე სიღრმის ჩამწვდენი.

ეს ძალა ბურღივით ხვრეტს თვით გრანიტის კედლებს. ტენგანტზუ: ძალა უსაზღვრო ხილვისა და ვიზიონერობისა, ტენიტზუ: განუსაზღვრელი სმენისა. ტაშინ-ტზუ: ყველა სულიერთა და უპასაკოთა ზრახვათ შემცნობი, შუკუქუ-ტზუ: ადრინდელ დაბადებათა მოგონების ძალა. როჟინ-ტზუ: განუსაზღვრელი სიბრძნე, ამ ძალას ყოველ წუთში ნირვანად გადასვლის შესაძლებლობა ექვემდებარება. აღარ მაღელვებს ქუჩაზე შეხვედრილი ლამაზი ქალის სხეული. ამ ქვეყნიური კეოპეპის ბრჭყვიალსაც თამამად ვუსწორებ თვალს. ვამაყობ დიდის გამოცდილებით, გრძელი პატრიარქალური წვერი მაქვს. ხელში, ბაბუას რომ ეჭირა, ისეთი გრძელი შვინდის ყავარჯენი (ეს ინდოეთში მაჩუქა ჩემმა მეგობარმა ბრაჰმინმა). ახლა საქართველოში ვბრუნდები, რამოდენიმე წიგნის ხელთნაწერი მომაქვს. ამ წიგნებს გადავისვრი, დამშეული საუკუნოები მიჰსცვივდებიან და ჩემი სულიდან ამდგარი უშველებელი სინათლისაგან გაიხარებენ. მე აღარ ვჰგავარ ჩვენი ეწერის უნაყოფო თხემლას. ამიერიდან ჩემს ჩრდილში თაობები დაისვენებენ. მე თუთრწვერა სინათლის მეკვლე ვარ. თაფლის სანთლებით გაჩირაღდნებული ჩიჩილაკი მომაქვს საქართველოში და ტაია შელიასავით ერთს კიდევ შემოვუვლი ჩემს ვენახს. „მშვიდობა თქვენდა!“ ვეტყვი სულ ყველას. ვდგავარ, ვაკაკუნებ საქართველოს მაგრად დაგმანულ კარებზე და ვიძახი: „კარ გამიღე.“ ველი მთრთოლვარე ხმას: „რა მოგაქვს?.“ „წმინდა თაფლის სანთელი, წმინდა ბასილი მობრძანდება. მშვიდობა საქართველოს ყანებს. მშვიდობა და გახარება საქართველოს მეყანეებს, საქართველოს ჯეჯილებს. მშვიდობა და გახარება უკუნისამდე...“ ისევ ვაკაკუნებ. და ისმის ისევ მთრთოლვარე ხმა:

„რა მოგაქვს?

„სინათლე — სინათლემოწყურვებულებს და გამარჯვება მონატრებულებს — გამარჯვება!“

„კარ გამიღე, კარ გამიღე, კარ გამიღე“.

თამარაშენში ერთი შავჩოხიანი მოხუცი გამოძეცნაურა. დავაკვირდი — ჩემი თანამოსანგრე ყარამან მინდელი! მკერდზე საქართველოს ომებში მიღებული ორდენები აქვს. თავი ძლიერ ამაყად უჭირავს. ჩემი გვარი რომ გაიგონა, შეჰკრთა.

„თქვენ კონსტანტინე სავარსამიძე ბრძანდებით?“

„დიახ ბატონო“.

იგონებს ჩვენს შეხვედრას: ბათუმის ომში, საზღვარგარედ — 1916-18 წლებში საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტში მუშაობას. გასაოცარ ამბებს მიამბობს ბედნიერი მოხუცი: ლაზისტანი თავის ნებით შემოერთებია თურმე საქართველოს. რუკაზე საქართველო ცალტოტმოხეულ ჩაბალახს აღარა ჰგავს, არამედ ხახადაღებულ ვეშაპს, რომელმაც შავი ზღვა უნდა შესვას. მეგრელები, აფხაზები, სვანები ჩრდილოეთისკენ მიისწრაფიან; იმერლები, გურულები, რაჭველები და ქართლელები სამხრეთს აწვებიან. საქართველოს მთავრობას სამცხე-საათაბაგოში ხალხი გადმოუსახლებია დასავლეთ საქართველოდან. ტფილისში ორასი ყოველდღიური გაზეთი გამოდის, 365 სხვადასხვა საგამომცემლო ამხანაგობაა.

„კიდევ მითხარით რამე, ბატონო ყარამან“, ვეხვეწები, ჩოხის კალთებს ვუკოცნი.

„მთელ საქართველოში 3500 ქარხანაა, 12 უნივერსიტეტი... წელს დამთავრდა ქართული აკადემიის თეთრი შენობა იქ, სადაც სამხედრო ტაძარი იყო.

მეტეხი საისტორიო მუზეუმად გადაკეთდა. ტფილისი თავის მოხუცებულ დედას, მცხეთას შეუერთდა. მტკვარზე ასზე მეტი ხიდია. ქართული ავიაცია საჰაერო რეკორდებს ამყარებს. გვაქვს ახალი რეისები: ტფილისი-პარიზი, ტფილისი-ლონდონი, ტფილისი-ტოკიო, ტფილისი-ბომბეი, ტფილისი-პეკინი. ტფილისში ვისმენთ პარიზის, ბერლინის, მილანოს კონცერტებს“.

„კიდევ, კიდევ, ბატონო ყარამან“. ცრემლებს ვიწმენდ, მეშინია არ დამცინოს ამაყმა კაცმა.

„მეზობლებთან ჩინებული განწყობილება... ქართულმა ფლოტმა ლესეპასე მიიღო ბოსფორში. ქართულ აკადემიას ყურადღებით უსმენს მთელი ქვეყანა. ქართული ლაშქრის ერიდებათ. ქართულ ენას პატივისცემით ექცევიან მეზობლები. ქართული წიგნის ტირაჟმა ერთ მილიონამდის მიაღწია. საქართველოს მთავრობამ მთელი საქართველოს ჰაობები ამოაშრო, არცერთ ქართველს აღარ აციებს. გამრავლდა, გაძლიერდა ქართლოსის კეთილშობილი ნათესავი. მილლიონები... მილლიონები... მილლიონები...:

„ტფილისში ძველი, უსტილო სახლები დაანგრიეს. თავისუფლების მოედნიდან მცხეთის — შირიახის ძოედხამდის, სულ ქართულ სტილზე აგებული სახლებია. მცხეთის ახლოს ქართველ ხელოვანთა უბანია. მწერლები, პოეტები იქ ბინადრობენ“. წამსვე სუჯუნას წაველი. ერთი ცხვარი წავიყვანე (ტაია შელიას სული შევავედრე სუჯუნის მრისხანე ბატონს). მერმე ჩემს დიდ სეხნიას ვეახელი. ჩემ სიგრძე სანთლები დავუნთე. ქართულ მიწასა ვჭამ და ექსტაზმორეული ვსტირი.

ტფილისის ჰაეროდრომზე ჯენეტი დამიხვდა. ძლიერ დაბერებულა. მისი შვენება სავსებით მაინც არ გამქრალა. ჩვენ მცხეთის ახლოს ერთ პატარა სახლში ვცხოვრობთ. პატარა ვენახი გავიშენე. ჩემს მემუარებსა ვწერ. ვენახს ვუვლი. არ გამართლდა მამის წყევლა: 9 ვაჟი მყავს, ერთიც ქალი. ქალს თამარი ჰქვია, ვაჟებს: ირაკლი, კახაბერი, კონსტანტინე, ყუარყუარე, ტაია, ქაიხოსრო, მზეჭაბუკ, ვახტანგი, ანდუყაფარი. თამარმა ქართულის მეტი არაფერი იცის. ქართულად იცვამს.

ირაკლი ქართულ სამხედრო აკადემიას ათავებს (ჩემს მაგივრად იომებს); კახაბერი მუსიკოსია (ჩემს მაგივრად დაუკრავს); კონსტანტინე მწერალია (ჩემს დაუწერელ წიგნებს ის დასწერს); ყუარყუარე ასტრონომია (ჩემს მაგივრად შეისწავლის ვარსკვლავების ცვალებად ეტლებს); ტაია ფილოსოფიას სწავლობს (არ მესმის, რად უნდა?); ქაიხოსრო აგრონომია (ჩემს მაგივრად განკურნავს საქართველოს ვაზებს); ვახტანგი ჰაგიოგრაფია (საქართველოს უთვალავ წმ. მოწამეების ცხოვრებას ასწერს); მზეჭაბუკი მე მგავს (ოდნავ ავანტიურის მოყვარულია, თვალი უცხოეთისაკენ უჭირავს); ანდუყაფარი მონადირეა და მოაშიკე (ჩემს მაგივრად ინადირებს საქართველოს ველ-მინდვრებში და ლამაზ ქართველ ქალებს ეაშიკება). ყველას ვეუბნები: „ქართული სისხლი სხვაში არ გასცვალოთ, თორემ ჩემს ვენახში წილს არ დაგიდებთ“.

ჩემი მოხუცი დედაც ცოცხალი დამხვდა. პატარა ხელეტლი ჩამოვუტანე, კვირა დღეს სვეტი ცხოველში დამყავს. ჯენეტი თავის დიდდედას მაგალითს მიჰყვა, სამთავისის მონასტერში მონაზნად ალიკვეცა ამ სიბერეში. დედა მეუბნება: „სანამდის დედა ჰყავს კაცს, მუდამ ახალგაზრდად ითვლება“.

ამიტომ იხტიბარს არ ვიტეხ. ჩემი ცხოვრების წიგნსა ვწერ: „სისხლისათვის“:

ქართული აკადემიის პრემია უნდა მივიღო. მერმე, თუ მოვკვდები, არ მენაღვლება. მცხეთაში პატარა საზოგადოება დავაარსე. ქართული ტაძრების შეკეთებას ვაპირებთ (რადგან მაშინაც აწვიმდა ქართულ საყდრებს!)

შემოდგომაზე ცოტა ღვინო გავყიდე (სვეტი-ცხოვლის სახურავი შევაკეთე და მიხარია: ჩვენს დიდ ბატონს აწი აღარ დააწვიმს!). თუ ჩემი ვენახი ზეცამ არ დასეტყვა, გაისად ბეთანიას მივხედავ. ყველას ვეხვეწები: „თუ მაინც და მაინც მოვკვდე, შორს არ წამიღოთ მეთქი. მინდა მტკვრის პირას დამმარხონ, ქართლოსის საფლავის ახლოს“.

საშინელი ზარის რეკა მაღვიძებს: უმარკო წერილი მოუტანიათ ბერლინიდან! ყველაფერი გაჰქრა. ისევ ჩემ კუბოსავით ცივ ოთახში ვარ, პარიზში ჩემი საწოლის პირდაპირ ხალილ ბეის მიერ ნახატი ჯენეტის სურათი ჰკიდია. იგი კვლავ შვენიერია და ახალგაზრდა. ეს მანუგეშებს კიდევ ამ მწუხარე გარემოში.

## 14. კონსტანტინე სავარსამიძის ინდოეთს გამგზავრება

პარიზიდან წასვლა რომ არ გადამეფიქრა, ჩემი ერთად-ერთი ჩემოდანი წინდაწინვე გადავგზავნე მარსელს. საღამოს ხალილ ბეის შევუარე. ვატყობ: კიდევაც უხარია, კიდევაც სწყინს ჩემი წასვლა.

„კარგია, საქმე რომ უსკანდალოდ გათავდა,“ ამბობს ხალილი, „შენ შეგიძლია ძმასავით მენდო. შენგან დამალული არაფერი მაქვს. ხუთი წლის წინად მე ვიყავი ჯენეტზე შეყვარებული. ჯენეტის ალზე ბევრს დაუწვავს ფრთები. მაგრამ მე დავძლიე ჩემი გრძნობას. ჩვენ. კავკასიელებს სხვანაირი მორალი გვაქვს: სადაც პურმარილს მივიღებთ, იქ ცეცხლს არ ჩავაქრობთ. ახლა მე მას ისე ვუყურებ, თითქოს და იყოს ჩემი ხორციელი“.

ხალილი ამ სიტყვებზე გაწითლდა. მისი კეთილშობილი სახე გაცხელებული ფოლადივით ვარვარებდა.

„მე მესმის შენი ტკივილი, მაგრამ დამიჯერე, ასე სჯობია. მირზა-ხანი აზიელია. ქვეყნის კიდემდის რომ გაგეტაცნა ჯენეტი, იგი უთუოდ მოაკვლევინებდა შენ თავს, ყველაფერს სივრცე დაგაძლევინებს. მერმე... არა ღირს ქალისთვის თავი გაიფუჭო ვაჟკაცმა. ბოლოს სრულიად საჭირო არ არის ყოველი რომანი აბორტით დასრულდეს. ქვეყანა ყალბზედაც რომ დადგეს, ჩვენ მაინც რომანტიული ერების შვილები დავრჩებით. მერწმუნე, ასე სჯობს“. ხალილის ძმური დარიგება მოვისმინე. მჭვრეტელს ომი არ ეძნელების მეთქი, გავიფიქრე და გავჩუმდი. იმ ღამეს გათენებამდის ვიქეიფეთ. მერმე მთელი დღე ვიძინეთ ჩემს ჰოტელში. საღამოს მონმარტში განვაგრძეთ სმა. მესამე დილას შინ ვბრუნდებოდით. ხალილი ძალზე ნალვინევი იყო. ქუჩაზე ხმამაღლა მღეროდა მრავალჟამიერს. ქუჩის მოსახვევთან ვიღაც გრძელწვერა, ჭაღარა კაცი დაგვეწია.

„პატონი, თქვენ ქართველები ხართ?“ ეკითხება ხალილს. ხალილი შეჩერდა, გაუღიმა და გადაკოცნა. მე მეგონა ხალილის ნაცნობი იყო. ვეკითხები:

„თქვენ ქართველი ხართ?“

„დიახ, პატონი“.

გამოირკვა: ჩემი შორეული მეზობელი, ძველი ტერორისტი, თადა ლანდია. ბავშვობაში მრავალი საარაკო ამბები გამიგონია მასზე. ხალილი ცნობის-მოყვარე თვალებით უცქერის ჩვენს შეხვედრას. ერთ რესტორანში შევუხვიეთ. თადა ლანდია მიამბობს თავის თავგადასავალს. სამი წელი ბუტირკის ციხეში... ხუთი კატორღაში... იაკუტსკში პოლიტიკურების აჯანყება... თადა დიდს თავმდაბლობას იჩენს, როცა თავის წარსულზე ლაპარაკობს...

„დიახ, ბატონო, ალიხანოვ-ავარსკის ჩვენ ვესროლეთ განჯაში. აბა რა ეგონა მაგ სულ კატიანს. საქართველომ ვის შეარჩინა სისხლი, მას რომ შერჩენოდა“. თადა ლანდია სავსებით არ ხმარობს „მე“-ს. მუდამ „ჩვენ“-ს ამბობს. ვიღაცას მუდამ გულისხმობს თავის საოცარი გმირობისა და უანგარო თავგანწირვის თანაზიარად. კატორღის ვადა რომ გაუთავებია, ყინულოვან ოკეანესკენ გადაუსახლებიათ. როსტოვიდან ბათუმამდის ფეხით უვლია, აჭარაში შეუპყრიათ. ისევ ციმბირში გაუგზავნიათ. იქიდან იაპონიას გადასულა, იაპონიიდან ინ-

დოეთში მოხვედრილა. აქ ერთ ინგლისურ გემზე მენაზვრედ ყოფილა. სტამბოლში საფრანგეთის უცხოთა ლეგიონში ჩაწერილა. სამი წელი მაროკოში უბრძოლნია. ახლა მარსელში პატარა რესტორანი ჰქონია. ვაჭრობს და ცოლშვილს არჩენს ცალხელა კაცი. მარჯვენა ხელის თითები მოჭრილი აქვს. „ორი თითი იაკუტსკის აჯანყებაში მომჭრეს ყაზახებმა, პატონი", მეუბნება თადა. შევსცქერი ამ დაბალ, ტანმორჩილ, სათნო სახის კაცს. პირველი შეხედვით იგი სავსებით არა ჰგავს რევოლუციონერს (უფრო ძველ ქართულ ფრესკებში ნახულ ეკლესიის მნათეს), და ვფიქრობ ძველი საქართველოს იანიჩარებზე, ასეთივე რაინდული თავგანწირვით რომ იბრძოდნენ სპარსეთსა, ინდოეთსა და მცირე აზიაში. და ჩემი გული იკუმშება ვარამისაგან.

„თქვა მუსხი მორდელეთ, პატონი! გვალას ჭიჭე ფშუთ"*. მე ვთხოვე თადას, ამიერიდან „პატონი", აღარ დამიძახო მეთქი.

„ჩვენი ზრდილობა ასეა, პატონი", მეუბნება თადა. ჭამის დროს პურის ნაჭერი ხელიდან გაუვარდა. აილო, აკოცა და შეჭამა. თადა საქართველოს ამბებს მეკითხება. ვეუბნები, რაც გაზეთებიდან გამიგია. „ქართული გაზეთი მეც მომდის, პატონი".

თადა დიდ იმედებს ამყარებს ჩემზე, მას გაზეთებშიაც გაუგონია ჩემი სახელი. მისი აზრით სამეგრელო თავის საუკეთესო შვილებს უგზავნის დედა — საქართველოს. თადა დარწმუნებულია, მე კიდევაც გავამართლებ იმ იმედებს, რომლებსაც ჩემზე ამყარებენ თურმე ოდიშელები. დავიწყეთ ქართული ქეიფი. თამადობა თადას ერგო. ხალილს თვალები უბრწყინავს. თადა საქართველოს სადღეგრძელოსა სვამს. მარცხენა ხელით მაღლა სწევს ჭიქას. თადას აზრით საქართველოსთანა ქვეყანა ამ „ევროპიაშიაც" არა ყოფილა.

„საქართველოს აყალო მიწა მირჩევნია ამ უშველებელ პარიზს. ეს ყველაფერი ჩვენთვის უცხოა და შორეული. მე აწი არაფერს მოვესწრები, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდები კაი დროს მეესწრებით, პატონი".

---

* თქვენ როგორ გაზრდილხართ, ბატონო, მე სულ პატარა მახსოვხართ.

ვგრძნობ: ხალილი ოდნავ ეჭვიანობს, რადგან თადასთან შეხვედრამ გამოააშკარავა, რომ ჩემსა და მას შორის კიდევ ყოფილა რაღაც... რაც ჩვენს სრულ დაახლოვებას ხელს უშლიდა. ის გაორკეცებული ყურადღებით უსმენს თადას, როცა უკანასკნელი მეგრულად მელაპარაკება.

„აკა ჩქინ ქიანა ქომოძირუნი, ჯიმა ღურელი. უკულ დოპილას“*, მეუბნება თადა.

მე საქართველოს სადღეგრძელოს ვსვამ, ვამბობ, რომ ჩვენი ძველი მტრები მიწის პირიდან აღიგვენ. ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე. „აღა მაჰმად-ხანს ყელი გამოსჭრეს განგების ნებით. არც პავლე პირველს და ნიკოლოზ მეორეს დასდგომია უკეთესი დღე. პირველი — ქართველმა იაშვილმა დაახრჩო. მეორე — ქართველმა. ვალია ბახტაძემ შეიპყრო. ქართველი ხალხის სისხლი არავის შერჩენია, ჩემო თადა. ჯოჯოხეთის ცეცხლით დაიდაღა ქართველი ხალხის სისხლში გასვრილი ხელები“.

ამ სადღეგრძელოს შემდეგ თადა ცრემლმორეული გადამეხვია. მე მივვარდი მის დამახინჯებულ მარჯვენას, მინდოდა მეკოცნა, მაგრამ თადამ არ დამანება. ხალილ ბეიმ ახალი გასართობი იპოვნა. ამავე რესტორანში ემიგრანტი რუსი ოფიცრები ქეიფობდნენ.

ოთხ კაცს ერთი ზანგის ქალი უჯდათ შუაში და ულმეროდ აწვალებდნენ. ხალილი წარამარა იყურებოდა მათკენ და ქალს რაღაცეებს ანიშნებდა. მე არ ვიზიარებ ხალილ ბეის ახირებულ ჟინიანობას. ხალილი განაგრძობს თავის ანტიფემინისტურ აფორიზმებს:

„ზანგის ქალი იმიტომ მომწონს, რომ მას ჭკუიანობის პრეტენზია არა აქვს. ქალი რაც უფრო უჭკუოა, მით უფრო ჟნებიანია. განა ქალი ხანგრძლივი სიყვარულის ღირსია? მე ქალისთვის ინდოეთს კი არა, აქედან ოპერის ქუჩამდის არ მივიდოდი. ქალზე უფრო სულელი არსება წარმოსადგენია? ქალს ვეფხისა და თაგვისა თანაბრად ეშინიათ“.

„მაინც რა ნახე ამ ზანგის ქალებში, ხალილ?“

* ნეტა ჩვენი ქვეყანა მიჩვენა და მერმე მოვკვდე.

„იცი, ზანგის ქალს სეფისკვერივით მაგარი ძუძუები აქვს, მეჯავრება თეთრი ქალების ქელესებრი რბილი ძუძუები“.

ხალილი არ ისვენებს. ხანგამოშვებით უღიმის ზანგი ქალს. ვგრძნობ, საქმე ცუდად გათავდება. ხალილის ყურადღების მისაპყრობად მე და თადამ მეგრული „ერეხელი ვარ, ერეხელი“ შემოვძახეთ. ცხვირჩაჭყლეტილი ლაწვმაღალი, ქერა რუსი, რომელსაც ამხანაგები სლანსკის ეძახდნენ, დიდი ხანი გვიბღვეროდა. ამ სიმღერის გაგონებაზე იგი გველნაკბენავით წამოიჭრა და მოგვძახა:

„ოსტავტე ვაში დიკია ვოპლი“.

ხალილ ბეიმ ისკუპა, ხელის დაუკარებლად გადაახტა ჩვენს სუფრას, ერთი ბოთლიც არ წაუქცევია. ერთ წუთში ორი ოფიცერი ეძგერა ხალილს. ერთის შემოჰკვრით ერთი წააქცია მეორე, სლანსკი, წაბარბაცდა, ცალი მუხლი ძირს დაჰკრა. რევოლვერზე ხელი გაივლო. ხნიერი რუსის პოლკოვნიკი არც კი ამდგარა. ისე უყვირის სლანსკის:

„ესროლე მაგ ველურს“.

დავავლე ხელი მურგუნდით სავსე ბოთლს. ბოთლი თავში მოჰხვდა სლანსკის. იატაკზე გაიშხლართა. ერთ წუთში მთელი დარბაზი დაილეწა.

გვცემდნენ და ვცემდით. ხალილ ბეი ტარიელივით იბრძოდა. არ დაგვიზოგავს არც ჰურჭელი, აღარც ავეჯი. სლანსკი და მეორე ახალგაზრდა კაპიტანი პირქვე ეყარნენ, სისხლსა და ღვინოს არწყევდნენ, ჰალარა პოლკოვნიკმა მესროლა. ტყვიამ საფეთქელთან გამიარა.

მე სლანსკის რევოლვერი წავართვი. თადა ლანდია მიჰვარდა ჰალარას, მარცხენა ხელით რევოლვერი ააცალა. ერთი რუსი გაგვექცა. რესტორნის ადმინისტრაციას პოლიციის შეეშინდა. საქმე ჩააფუჩეჩეს.

სლანსკი და მისი ამხანაგები ლაზარეთში გაგზავნეს. ჩვენ გათენებამდის ვსვით. პარიზიდან, ისე წაველი რომ თადას, ხალილის და შარტრიეს მეტს არავის გამოვეთხოვებივარ. ექსპრესი მიჰქროდა სამხრეთ საფრანგეთის მიწა-წყალზე.

მთელი ღამე არ მძინებია. გულარეული პირალმა ვიწევ კუპეში. გათენებისას მკვდარივით დამძინებოდა წინალამის უძინარს. როცა ნიცას ბილეთი მომკითხეს, გამომეღვიძა. თა-

ჭაზიანი ფრანგი კონდუქტორი ბოდიშობდა: „ვეცადე, მაგრამ ვერ გაგაღვიძეთ, უგრძნობლად გეძინათო“. გამეხარდა, გემის ბილეთი რომ არ ვიყიდე პარიზში. წინადღეს გათენებისას უნდა გასულიყო გემი „აურორა“ სტამბოლისაკენ.

ნიცაში პატარა ჰოტელში დავსახლდი, ზღვის პირად. იანვარი იყო. მოედანზე ყვავილებს ყიდდნენ. მზით გაბრწყინვებულ ზღვის ნაპირებზე დავხეტიალობ. ცუგლიგით მოდიან ჩემ ფეხთან. ნელტფილი ტალღები, თეთრი მონებივით მიკოცნიან ფეხებს, გარბიან ისევე თავის დაუდგრომელ დედასთან. მოტორში ვჯდები, ზღვაში გავდივარ. მთელი საათი ვწევარ ნავში. ვთბები თვალღია მზეზე. ვგრძნობ, ჩემი სული ნელ-ნელა იკურნება მელანქოლიისაგან, ამ ალერსიან სხივის კაშკაშში, ამ უსაზღვრო ზღვის უსაზღვრო გუგუნზე. დილით, საუზმის დროს, აბსენტსა ვსვამ. მთელი დღე მუნჯივით დავდივარ ქალაქში, ადამიანებს ხმას არა ვცემ. ვერიდები რესტორანებს, სინემატოგრაფებს, ფილაქანებზე მოსეირნე ხალხს. გარეუბნების მინდვრებსა და ვენახებში დავყიალობ. მივჰყვები სოფლურ თემშარებს, განიერ, ნათელ შოსსეებს. ზღვისპირად მდებარე მარტოხელა დუქანში ვსადილობ. შეზარხოშებული ვუბრუნდები ზღვას. ნაგვიანევ სხივზე ვთბები, ყურს ვუგდებ ჩემი უკვდავი დედის მარადიულ ლეგენდებს.

ერთ დილას ფანჯრიდან გავიხედე. ზღვიდან ნისლი ამდგარიყო. ქალაქს შემოპარვოდა. ჩემი სული მწუხარებით აივსო.

ბუხარში ცეცხლი ავანთებინე. შეჰვყურებ გაღვივებულ ცეცხლს. ჩემი სმარაგდის ბეჭედი საოცრად კაშკაშებს შუქის სევადზე. მომაგონდა ბუხრის პირად გატარებული ზამთრის საღამოები პარიზში. ვფიქრობ ჯენეტზე. ვრწმუნდები, რომ მე ვარ მის წინაშე ყველაფერში დამნაშავე. მე უხეში ვარ და მშიშარა. ვერ გავბედე და გავიქეცი... და ასეთი გაქცევა არ ეკადრება არგვეთის მთავრის დიდი სახელის მოზიარეს.

თუმცა თავს ვიმართლებ: მე არ მიყვარს საყვარელ ადამიანთან გამოთხოვება. მე მას უნდა გავეპარო. მიმეწერნა მაინც, რომ ამ ქვეყნიდან გადამკარგა მისმა სიყვარულმა. მიმეწერნა, რომ მე ძაბუნი ვარ და გავრბივარ. გული მეტკინა. უგრძნობლად დავთვერი და დავიძინე. მეორე დღეს მზემ გამახარა. მოედანზე აუარებელი თეთრი და წითელი ყვავილები ვიყიდე,

მოტორიანი ნავი ავიყვანე. შუა ზღვაში გავდივარ. ვისვრი ზღვაში თეთრ ორქიდეებს, თეთრ გვირილებს, წითელ მიხაკებს. ჭავლი თეთრ ქაფში ურევს ყვავილებს და აღმოსავლეთისაკენ მიაქროლებს. და ვფიქრობ ჯენეტზე, მის ტკბილ ალერსზე, სულზეუტკბეს ამბორზე, გაუმაძღარმა დრომ რომ წარმტაცა ხელიდან, როგორც ეს წითელი და თეთრი ყვავილები, ზურმუხტის ტალღებმა...

მზე გადიხარა. ნაპირზე დავბრუნდი. ცა ზღვის კიდეზე ჩამოშვებულ ოქსინოს ფარდასა ჰგავს. დაწურული ვეცხლივით თეთრი ღრუბლები მიიჩქარიან იქითკენ, სადაც გამოხურვებულ ოქროსავით წითელი მზე უნდა ჩაეშვას ფერიების კალთაში ღამისსათევად ცის ძგიდეზე მარტოხელა, აფრიანი ნავი მისცურავს, ალისფრად ლაპლაპებენ ჩამავალი მზის ალმურზე გაღვივებული აფრები და ასე მგონია, ჩემ სხეულს გაჰყრია ჩემი სული, ცეცხლის ფრთები აესხამს და მიჰქრის, ოკეანეს ნელ-ტფილ სუნთქვას გადაყოლილი. ვდგავარ ნაპირზე, როგორც იმ სულის ზედმეტი ბარგი, ამ გაუხარელ მიწაზე გამორიყული.

საშინელმა მარტოობამ და მწუხარებამ შემიპყრო. იმ საღამოს დავრწმუნდი, რომ მიწაზე სამშობლო არა მქონია. და ამ ქვეყნად იმიტომ გავჩენილვარ, რომ იალქანდამსხვრეული გემივით ვიყიალო. იქვე ჩამოვჯექი ნაპირის ლოდზე. აღსდგა ჩემში მარტოობის დიდი ქენჯნა და ითხზება სულში ნაღვლიანი ზღაპარი დაქვრივებულ სეფეწულზე, ღმერთებმა რომ მოსტაცეს საყვარელი. აისხა თურმე სეფეწულმა ოცნებასავით თეთრი ბუმბული, გედად გადაიქცა და გადაჰყვა მდუღარე ციკლონს იმ ქვეყნისაკენ, სად არც ნისლია, არც წვიმა, არც ურვა და სიმძიმილი. და მარტოობაში უკვდავებაც ისევე აუტანელია, როგორც მიწის ქანგიანი ბორკილები.

## 15. არგვეთის მთავრის მოძველებული ნიღაბი

მეორე დღეს, 12 საათზე, პარიზში ვიყავი. მუსიო შარტრიეს ძლიერ გაეხარდა.

„მე მეგონა, ახლა ვეფხვებისა და კამბეჩების ბრძოლას უყუ-

რებდით, მუსიო კონსტანტენ. კარგია, რომ დაბრუნდით. აბა რა გეგონათ, პარიზი ტკბილი ჯოჯოხეთია! ყველა მას წყევლის, მაინც ყველა აქ ბრუნდება". ამბობს მოხუცი და იღიმება.

კაფე როტონდოში ვზივარ. გაზეთებს ვათვალიერებ. ხალილ ბეი შემოჰყვა ვიღაც არაბებს. ერთი შემომხედა, საკუთარ თვალს აღარ უჯერებს. კიდევ შემომხედა, მომვარდა, გადამეხვია. ხალხმა ყურადღება მოგვაქცია.

„კაცო, მე უკვე წერილი გამოგიგზავნე სტამბოლს, ოპენჰაიმის სახელზე. მხარი ხომ არ აგექცა?

„ჰა, ჰა, ჩემო ხალილ, მართლაც მხარი ამექცა". ვუამბე მიზეზი.

„მერმე მარნელი იქვე არ იყო?"

„ხომ იცი, მეც ცრუმორწმუნე ვარ ჩემს გამზრდელსავით: თუ გზაში პატარა ხიფათი შემემთხვა, უკანვე უნდა გავბრუნდე".

ხალილმა მიამბო: ალი მირზა-ხანისას მთელი ტრაგედია დატრიალებულა თურმე. ამ საქმეში მადამ დოაზანიც გარეულა. მირზა-ხანის გასაფრთხილებლად ანონიმური წერილი მიუწერია ლონდონს. „ყოველ შემთხვევაში, ჯენეტი და მადამ ფან სტაუნი ასე ფიქრობენო", დასძინა ხალილმა. ალი მირზა-ხანი გაცოფებულა. ჯენეტს რევოლვერით გამოსდგომია. „ჯენეტი ახლაც ფან სტაუნისას სცხოვრობს. ფან სტაუნი რომ ჩამოვა, სასტუმროში აპირობს გადასვლას. შენმა წასვლამ მთლად გაანადგურა სულიერად. ორი კვირა ავად იყო". ხალილი ფიქრობს, რომ ჩემმა დაბრუნებამ მთლად არია საქმე. აქამდის მას კიდევ ჰქონდა იმედი, ჯენეტს თავის ოჯახში დააბრუნებდა. „ამიერიდან მე აღარ ვიცი, რა მოხდება..."

ხალილმა მირზა-ხანის მუქარა გადმომცა. ალი მირზა-ხანს ჰოტელ დე ვილში ჩემი მისამართი მოუკითხავს. დედექტივისათვის მიუმართავს, გამოერკვიათ, თუ საითკენ ვიყავი წასული. ხალილი მირჩევდა, ჰოტელ დე ვილში ხელმეორედ არ გავწერილიყავ, ისე მეცხოვრნა პარიზში. ხალილი ძლიერ სწუხდა. მაფრთხილებდა: „ვგრძნობ, ეს საქმე ძლიერ ცუდად გათავდება. ორ ცეცხლში ვარ. ორივე მხარის ბედი მაფიქრებს. არ დაგიმალავთ, ჯენეტს გაყრის ქაღალდს არ მისცემს მირზა-ხანი. კიდევაც რომ შეირთოთ, ორივე უბედური იქნებით. შენ

ბოჰემიელი ხარ, ის კი განებივრებული ბურჟუას ცოლი. ათი წელია, ამ ოჯახში დავდივარ. მირზა-ხანი თუმცა მაჰმადიანია, მაგრამ მაინცდამაინც ეჭვიანი არ იყო. არც ჯენეტი აძლევდა ამის საბაბს. წარმოიდგინე, შენ იცი, კაპიტან დოაზანი ცოტა მოურიდებელი კაცია, მაგრამ მირზა-ხანი ყურადღებას არ აქცევდა. იცოდა: კაპიტან დოაზანი პლატონიურად ეტრფოდა. განა მარტო დოაზანი, ჯენეტს თაყვანისმცემლები მუდამ გარს ეხვია, მაგრამ ყველა საყმაწვილო სენსავით მოიხდიდა ამ შორიით ბნედას და განაგრძობდა მირზა-ხანის სალონში მისვლა-მოსვლას. მირზა-ხანი თავის მონტე კარლოთი იყო გატაცებული. ასე რომ შენ პირველმა დაარღვიე ამ ოჯახის მყუდროება".

მე ვთხოვე ხალილს ამ თემაზე ჩემთან არ ელაპარაკნა ამიერიდან.

ორიოდე ჭიქა შერიბრენდი დავლიეთ. ხალილმა საქმე მოიმიზეზა, მარტო დამტოვა კაფეში. მსახურს გაზეთები მოვატანინე. „აქსიონ ფრანსეზის" ქრონიკაში პატარა ამბავი ამოვიკითხე: ბონაპარტეს ქუჩის № 13-ში მცხოვრები ახალგაზრდა, მედიცინის დოქტორი ჟოზეფ ვიტენზონი, დილის 12 საათზე მეშვიდე სართულიდან გადმოხტა. ფილაქანზე დალია სული. თვითმკვლელობის მიზეზი რომანიული უნდა იყოს".

წამსვე ვიტენზონის ბინაზე წავედი.

„თქვენა ხართ ქართველი თავადი სავარსამ... (ჩემი გვარი ვეღარ გამოსთქვა). საცოდავი ვიტენზონი ძლიერ გაქებდათ, მიამბობდა, დიდი რაინდიაო". წუწუნებდა ცრემლმორეული მოხუცი დიასახლისი. მამაკაცს მუდამ იამება ქალის პირიდან განაგონი ქება, თუნდაც მოქმელი მოხუცი და მახინჯიც იყოს

მეც შევიფერე მისი ხოტბა. ვიტენზონს სამი კვირა უშიმშილნია, თურმე, საყურეების გაყიდვამდის. მერმე, როგორც იქნა, 12 ათას ფრანკად მიუყიდნია იუველირ კრუასანისთვის. უნივერსიტეტი დაუსრულებია. მაგრამ საყურეების გაყიდვა საკმარისი იყო, რომ მის სატრფოს ზურგი შეექცია. სწუხდათ კიდეც საცოდავი. ნანობდაო: „ის მერჩივნა, არ გამეყიდნაო", მეუბნება დიასახლისი.

„ორი ხელი ტანისამოსი დარჩა და ეს წიგნები". მიმითითა ვიტენზონის მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ წიგნებისაკენ. „ეგებ მისი მშობლების მისამართი იცოდეთ, თავადო?"

„ვიტენზონს მამა არა ჰყავდა. დედა მისის არ ვიცი“, ვუპასუხე. ვიტენზონის წიგნებს თვალი გადავავლე. უმეტესად სამკურნალო წიგნები ვნახე, პიერ ლოტის ორიოდე ყდაშემოხეული რომანი. კერძო ბარათები და მისი პასპორტი.

ვილაცამ დარეკა. დიასახლისმა ბოდიში მოიხადა. გავიდა. მე არალეგალური ცხოვრების დროიდან დამრჩა სხვისი პასპორტებისადმი ინტერესი. ვიტენზონის პასპორტი ჯიბეში ჩავიდევი. დიასახლისი დაბრუნდა. ისევ ვიტენზონის ტრაგიკულ გარდაცვალების ამბავს მიამბობს: „ნაშუადღევს ბაზრიდან ვბრუნდებოდი. კიბეზე ვილაცეებს მოჰქონდათ ცხედარი. ძლივს ვიცანი ბედშავი. თავი დამსხვრეული ჰქონდა“. ლუღლუღებდა კეთილი მოხუცი. გამოვეთხოვე. შევპირდი, თუ მოვახერხე, ვიტენზონის დედის მისამართს შევატყობინებთ-მეთქი.

მთელი საღამო ვიხეტიალე. სენტ-ჰონორეს ქუჩაზე გავიარე. წვიმამ მომისწრო. ერთ რესტორანში შევედი. ბურგუნდი მოვითხოვე. ვიდრე მსახური მოვიდოდა, ვიტენზონის პასპორტი ამოვიღე. „მედიცინის დოქტორი ჟოზეფ ვიტენზონი. 28 წლისა. ნიშნები: საშუალო ტანის, სახე — ოვალური, თვალები — წაბლისფერი, ცხვირი — მოხრილი. ვხედავ, უნებლიედ მე გავხდი მისი სიკვდილის მიზეზი. ეგებ მე გავუღე მას სიკვდილის კარები. ჰოი, ადამიანობის კომედიავ, მართლაც ბილიარდის ბურთები ვართ, უსაზღვრო მიწის სიბრტყეზე უსაზღვროდ გაქანებული. ვილაცას გრძელი ჭოლოკი უკავია, თამაშობს, იცინის, ჩვენ კი ერთმანეთს ვეხლებით. ასე იქმნება ცხოვრების ფატალური ფარსი. ვსვამ წითელ ბურგუნდს. საოცარია: საგნებიც რომ ადამიანების სულით იჟღინთებიან! მკვდრები საგნების საშუალებით ახდენენ ზედგავლენას ცოცხლებზე.

ვიტენზონის გაყვითლებული, ოფლისგან გაქონილ პასპორტის ხელის მიკარებამ თითქოს მისი პატრონის გამჭრიახობა გადმომცა. ჩემს თავში ახალი აზრი განათდა უეცარი ელვით. ასე მგონია, ამ პასპორტს კიდევ უდის მიცვალებულის ოფლის სუნი. პასპორტს ჯიბეში ვიდებ. გადავწყვიტე: ჟენეტი მომეტაცნა, პარიზიდან წავსულიყავით. ამიერიდან ვიტენზონის გვარით მეცხოვრნა. ჯერჯერობით საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ზედმეტი სიფრთხილისთვის

იტალიაში წასვლა სჯობდა. ჩემი პსევდონიმი კიდევაც რომ გაეგო პარიზის დეტექტივს, იტალია ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც კონსტიტუციის ძალით პოლიციას ნება არა აქვს იტალიაში მცხოვრები მოქალაქის მისამართი ვინმეს მისცეს. ვსვამ წითელ ბურგუნდს. ვფიქრობ ჯენეტთან შეხვედრაზე, ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე. ვხედავ, ჩემს წინაშე დიდი საფრთხეა: ეს მეტ ხალისს აძლევს ჩემს მომავალ ცხოვრებას.

დეე, ცოტა ხანს ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე, მაგრამ მინდ თუნდაც რამოდენიმე თვე მის ახლოს ვიყო, მერმე რაც მომივა მომივიდეს. ჰმ, ქალის მოტაცება ამ ბუხჰალტერების საუკუნეში!

ამიერიდან მე აღარა ვარ ჯიქური, თავაწყვეტილი რაინდი სავარსამიძე. ცარიელ სივრცეში მომესმის, თუ ვით მეძახიან მომავალი ნაცნობები: „დოქტორ ვიტენზონ".

საოცარი გრძნობა ებადება ადამიანს, როცა სხვის სახელს და გვარს მოიზმანებს. ასე მგონია. სხვისი სული ჩამედგა. ბავშვსავით მახარებს და მაინტერესებს ეს წამიერი „სხვად ქცევა". ახლა მეუცხოება კიდევაც ის ახირებული ანტისემიტიზმი გერმანულ ბურშების კორპორაციაში რომ გადამედო, მაგრამ ნათხოვარი ტანისამოსივით ისევ გადავაგდე. პირიქით: პატივისცემით შევჰყურებ ამ სულით ძლიერს, სულით გაფოლადებულ ერს. მეშვიდე ჭიქასა ვსვამ. ქართული ჩვეულებისამებრ ზედ შეს პურზე ვაწვეთებ. ქრისტე, შეიწყალე კონსტანტინე სავარსამიძე! ეგებ ისიც არგვეთის მთავრის ბრალი იყოს, რომ იგ ისე გადასცდა ცხოვრების შუაგზას, არც ცოლი ჰყოლია, არც შვილი, არც ქონება, არც სახელი, არც პატივი და დიდება მოუხვეჭია ამ ქვეყნად. სწავლობდა იმას, რაც აინტერესებდა, აკეთებდა, რაც მოეპრიანებოდა, ადამიანებს ანგარიშს არ უწევდა, არც ადამიანებს ჰყოლიათ იგი სათვალავში. მაგრამ იგი შეზღუდული როდი იყო, არამედ შებოჭილი; შლეგი როდი იყო, არამედ შეპყრობილი. მინდა კედელზე დავკიდო არგვეთის მთავრის ფარი და ხმალი, და მისი მოძველებული ნილაბი, რომელიც ისევე არ ეგუებოდა ამ საუკუნეს, როგორც კონსტანტინე სავარსამიძის თავაწყვეტილი ოცნებ და ამიერიდან ვივლი ამ ქვეყნად მკვდრეთით აღმდგარი დოქტორ ვიტენზონ.

ქრისტე, შეიწყალე კონსტანტინე სავარსამიძე!

## 16. ᲓᲔᲓᲐᲚᲘ ᲮᲝᲮᲝᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამ დღეში იტალიაში გამგზავრების თავდარიგი დავასრულე. მთელი ჩემი ტურისტული ხელსაწყო მოვიმზადე. თავდაპირველად მარსელით ვაპირებდით წასვლას. ჯენეტს ეშინოდა, ამ გზაზე საკონსულოს კურიერებს არ შევხვედროდითო, ამიტომაც ხმელეთით ვარჩიეთ. ნაშუაღამევის პირველ საათზე გადის პარიზიდან აღმოსავლეთის ექსპრესი. ჯენეტი ძლიერ ღელავს. ნერვიული ჯინჭრის ციება აქვს; თუმცა ხმას არ იღებს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში დუმილი უფრო მეტყველია. საცოდავად მოკრუნჩხული წევს კუპეში. თვალებში საოცარი აღგზნებულება ელვარება. ვეღარ შევძელი მისი ცქერა. კუპედან გავედი. ზედისედ ვსწევ პაპიროსს. ვაგონის ფანჯრიდან გავსცქერი მტირალა ღამეს. მინებზე წვიმის გრძელი ზოლები. გარეთ ნისლში ჩაფლული გოლიათური გრანიტის მასსები. გაღვივებული ელექტრონის ლიფლიფები მრეშ ლაქებად მოსჩანან ალისფერ ფონზე. მარტორქასავით ახმახი ლოკომოტივები და მატარებლები ბღავილით და განგაშით შემოდიან სადგურში, მოლამლამე. მოფუსფუსე უშქარი ბრბო ხმა-მაღალი ქაქანით დახეტიალებს ვაგონების გარშემო. ეძახიან მებარგეებს და ჰოტელების კომისსიონერებს. ამაზრზენი სიცივე, ნახშირის და მაზუტის სუნი შემოდის ვაგონის კარებიდან.

საშინელ მარტოობას ჰგრძნობ ადამიანი დასავლეთის დიდი სადგურების გაუგონარ ფუსფუსში. მსოფლიო ქალაქის სადგური, უძღები ქაოსის, დაბჩენილი ხახა. მილლიონ ფოლადის ბორბლებზე გაჭენებული მილლიონები. ტრაგედია უცილოდ ერთად ყოფნისა და ერთად მგზავრობის, ურთიერთისგან მოწყვეტილი ადამიანობის ტრაგედია! მოუსვენრად დავწრიალებ სალონვაგონის ვიწრო დერეფანში.

არც ისე ძნელია ამ ტკბილ ჯოჯოხეთიდან გასვლა. ჩემს წარმოდგენაში ირევიან ნაცნობი და უცნობი სახეები, შთაბეჭდილებანი, პლაკატები, სახლების, ეკლესიების კონტურები, ვიტრინების საოცარი კაშკაში. ბოჰემიელის ათწლიანი სტაჟი. პარიზის მერიდიანს გადაცდენილი სისხლის მოძრაობა... ბერლინი, ლონდონი, პარიზი. ამ ქალაქებში ვიგრძენი პირველად: რა ძლიერია და რა საცოდავია უღმერთო ადამიანი!

მე ვუმღეროდი ამ დიდ ქალაქებს? წყეული საუკუნის სოდომსა და გომორს, სადაც უკანმოხედვა გაქვავებას უდრის, სადაც სიყვარული თავგასართობ ჩვეულებად ითვლება და ენთუზიაზმი უსაზმნო რომანტიკად, -- ადამიანის ბუნების — ულოღიკობა! მხატვრების, პოეტების, მსოფლიო კაცების, გაყიდული ჟურნალისტების, შუათანა ჭკუის დოცენტების აბეზარი სახეები. უშველებელი ტრაბახი დიდი ხელოვნებისა, დიდი ჭეშმარიტებისა და კულტურის შესახებ. ესენი ებლანდებიან უცხოელის თვალს — ერის ცხოვრების ზედაპირზე მოფარფატე ჭაობის ფრინველები! შიგა და შიგ რამოდენიმე დიდი პოეტი და ბელეტრისტი, ორიოდე ფრიად თავმდაბალი, ფრიად განათლებული მოაზროვნე შემხვედრია. . უკანასკნელნი არ ყბედობდნენ, არ ტრაბახობდნენ. მაგრამ მათი გადაჭარბებული თავმდაბლობაც ნაძალადევად მეჩვენებოდა. ამგვარ ადამიანებს ცხოვრებისთვის არა სცალიათ. არც მე ვეძალებოდი, რადგან მათზე უფრო ჭკვიანი წიგნები მეგულებოდა ბიბლიოთეკებში. მე მუდამ ტფილსისხლიანი, ცოდვილი, ოფლიანი, ოთხმოცპულსიანი ადამიანები მაინტერესებდა. მე მაინტერესებს ასეთი ადამიანი, რადგან იგი არ მეცოდება. და ენახა, თუნდაც გილიოტინაზე აჰყავდეთ იგი, მე კიდევ დავიძახებდი: ასწიეთ მაღლა ადამიანი! მაგრამ. ვინ ასწევს ჩემ ძველ ნაცნობებს! მათ დაჰვიწყებიათ კიდეც, როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა ცხოვრება სალონის ჭორების, მოგონილი გენიალობის, განდიდების მანიის, ჰიპოხონდრიის და ფრაზების გარეშე! ეს სახეები თეატრებსა და კინემატოგრაფებში ნახულ კომედიების გმირებში მერევა ხშირად. ერთნიც და მეორენიც მოგონილი და ხელოვნურია. სულყველა ერთად — მსოფლიო ქალაქის კოშმარული ლანდები. მათი უტიფარი ტრაბახი ბელფორის მოედნის რეკლამისტების ლაშლაშს წააგავს. ამ მრავალსახიერ მასკარადში ალაგ-ალაგ ელავენ ჩემი მეგობრების ნათელი სახეები. მადლობა უფალს, ჩემი ცხოვრების გზაზე მრავალი ოქროსგულიანი ადამიანი შემხვედრია. სრულიად დაუმსახურებლად, მოულოდნელად მფარველი ანგელოზებივით თავს წამომდგომიან მე, უცხო-ტომის შვილს და გადამთიელს. მუდამ ვიამაყებ მათი დიდი სიყვარულით და უანგარო მეგობრობით. თითქოს განგებას გაუფანტავს ისინი

მთელს ქვეყანაზე, როგორც ოკეანეში დარიგებული ტონნება, მეზღვაურების და მეთევზეების სანიშნოდ და გაჭირვების ჟამს ხელ ჩასაჭიდად. ჩემი სიცოცხლის საუკეთესო ათი წელი ქალაქიდან ქალაქად მივლია და გარდა თითო ოროლა მეგობრისა არსად არაფერი დამრჩენია. ვგრძნობ — მე ცხოვრებამ გამყარა მათთან, მაგრამ ისინი განუყრელი დარჩებიან ჩემს ხსოვნაში, როგორც ჩემი წმინდანის, არგვეთის მთავრის დიდ ლანდი. ახლაც აღმოსავლეთისაკენ პირშექცეული შორეულ სალამს ვუგზავნი მათ.

კუპეში დავბრუნდი. ჯენეტს ორიოდე სიტყვა ვუთხარი, მაგრამ, ჩემი სიტყვები მის გულს არ ეკარებიან, ისე უმწეოდ ფართფატებენ მის წამწამებთან, როგორც სინათლეს მოწყურებული თეთრი ღამის ფრინველები, მიმავალი გემის ფანჯრებზე. მან ჩემს მკლავზე დასდო თავი. თვალდახუჭული, წევს. ალბათ თავის ფარვიზზე ფიქრობს. ვგრძნობ: ეს ფიქრი უშველებელ უფსკრულს აჩენს ჩვენს შორის. ჩვენი პარიზიდან გამგზავრება მე წარმოდგენილი მქონდა, როგორც უსაზღვრო სიხარულის გაქანება ახალი ცხოვრების ფოლადის ლიანდაგზე. ახლა ორივეს სიტყვა გაგვიწყდა პირში. ჩემი ცხოვრების ნალო დამძიმდა ოდნავ, იგი ერთი თავაწყვეტილი ადამიანის სატარებლად საკმაოდ გამძლე იყო. ახლა?... ფარდას გადავწიე. ზღაპრული ურჩხულივით მიჰქრის ექსპრესსი. მძინარე ქალაქების, სოფლების, დაბების, ტყეების. ტელეგრაფის ბოძების გვერდით და ყველაფერი ისე მოწყენილი გამოიყურება, თითქოს მთელ სამყაროს ბნელი დაუფლებია და ახალი სხივის იმედი ყველას დაჰკარგვოდეს. ჩავსთვლიმე. საშინელმა გრიალმა გამაღვიძა ისევ. მატარებელმა რომელიღაც ხიდზე გადაიარა. ფანჯრიდან ვხედავ ალპების მთებს. უშველებელი, კრისტალის კუბოებში ჩაჭედილი თეთრი გოლიათები! გარიჟრაჟზე მატარებელი ჩერდება. იტალიური სიტყვების, ფრაზების, ნაგლეჯები მოისმის. „ფაკინო, ფაკინო“, წივის ვიღაც ქალი. დომოდოსოლა გაგვივლია. ვფიქრობ და ისევ ვთვლემ. ფანჯრებიდან არაჩვეულებრივმა ელვარებამ შემომანათა. მატარებელი ლაგო მაჯორეს გასწვრივ მიჰქრის. ამეთისტოსფერ ციდან ჩამოსული ოქროს გავალაკიანი მზე საბანაოდ ჩასულა ტბაში. უშველებელი სინათლე ამდგარა მიწიდან!

ადრეგაზაფხულის საოცარი ფატა მორგანა! ლაგო მაჯიორეს გარშემო ბატისტის ნისლებით დაყურსული მთები, ნისლებით დალამბული ნაძვნარების წვეროკინები ელავენ. ჯენეტს ისევ სძინავს. მისი პატარა სათნო სახე ქაშუეთის ღვთისმშობელს მაგონებს. ერთ წუთში ყველაფერი ეს სიზმარი მგონია. ვკოცნი კისერზე და თმების ძირებთან. იღვიძებს. მის ქუთუთოებში შეიპარა ყვითელი პორტიერებიდან შემოჭრილი სხივი და მის ნაზ ღიმილში — მე ვხედავ სულგრძელობას იმ კურთხეული დედაკაცისას, რომელიც სიყვარულის სახელით ყველაფერს შესწირავს მამაკაცს და ყველაფერს აპატიებს. მე ვუჩვენებ მას გაზაფხულის ნაადრევ გამოცხადებას ლაგო მაჯიორეს ელვარე სარკეში. აქატისფერი ღრუბლების გვირისტები და ნაპირის ხშირი ნაძვნარიც პირქვე ასახულან მოლიბრო წყალში. საწოლზე წამომჯდარს წელზე ხელი მოვხვიე. ვეხები ცხადად მისი შვენიერი სხეულის სავსებას, ვუღიმი გზაში შეხვედრილ ნაადრევ გაზაფხულს და ჩემ გულში მეორდება ათასი თაობის პირით ნამღერი: „მოვდივართ მოგვიხარიან, მოგვყავს დედალი ხოხობი“.

## 17. ღმერთი — მეველე

ვაგონ-რესტორანის მსახურს ყავა შემოაქვს. გვესალმება: „ბონ ჯიორნო“. იგულისხმება: იტალიის მიწაზე ყველამ იცოდეს იტალიური. ვცდილობ მოვიგონო ჩემი მცირე მარაგი. ისევ ფანჯრიდან ვიცქირებით, ლიანდაგის გაღმა-გამოღმა ალუბლის, ვაშლის, ალუჩის ხეები აყვავებულან — ვეცხლის ვარსკვლავებით შემოსილი ჩიჩილაკები. მწვანე ჩაფხუტიანი მთები (ეს ტიროლური სახლები იმერულ ოდებს მოგვაგონებენ). ფერადფერად ყვავილებით მოჩითული სანახები და მინდვრები. ნეტავ თუ რამე შეედრება სამხრეთის მინდვრის ყვავილების შვენებას? ნათესი ყამირების შავი და მწვანე ზოლები და გზაჯვარედინებზე, გაშლილ ველებზე და ნახნავებზე უშველებელი ძელის ჯვრები: ხელებგაშლილი, შავ ძელზე მილურსმული ქრისტე.

რას არ მოიგონებენ ევროპელები! ყანების მეველედ დაუყენებიათ თავიანთი მაცხოვარი.

„ჰმ, ისინი თვით ღმერთსაც ამსახურებენ!“ ვეუბნები ჩემ მეინახეს.

„რას ნიშნავს მართლაც ამ შუა მინდვრებში ამართული ჯვარცმა?“ მეკითხება იგი.

„განა საფრანგეთში არ გინახავს? კათოლიკურ ქვეყნებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდები ამნაირ ჯვრებს მინდვრად. ხომ ხედავ, აგერ ლიბანის ნაძვების გვერდით, კიდევ ჯვარცმა... გაზაფხულზე მღვდელი წინ წაუძღვება ხალხს, ყანებს და ჯეჯილებს ლოცავენ, ამ ჯვრებთან მიდიან და ლიტანიობენ. მეც ძლიერ გამაოცა ამ ჩვეულებამ, როცა პირველად სამხრეთ ბავარიაში რამოდენიმე ათასი კაცი ვნახე მინდორში დაჩოქილი“.

მატარებელი ჩერდება. სადგური. შავ ქუდიანი დომინიკანელი ბერები. ტიროლურად ჩაცმული მონადირეები შემოდიან ვაგონში. უკანასკნელთ მწვანედ მოქარგული ფარაგები აცვიათ (სწორედ ისეთი, როგორც ხევსურებს). მწვანე, ნაქსოვი პაჭიჭები, ირმის რქის ღილები, ქუდებზე ხელოვნური ვეცხლის გვირილები და მწვანე ფრთები, ზოგსაც ჯიხვის წვერის ფოჩი აქვს მიკრული.

მონადირეები ჩვენი კუპეს ფანჯარას მოადგნენ. ცინიკური ღიმილით შესცქერიან ჯენეტს (მე მახელებს ამ თავხედი იტალიელების მოურიდებელი თვალებით აშიყობა!). ისევ მინდვრები, აყვავებული ხეხილის ბაღები. მთის ფერდობებზე და ხევების ძირას. იტალიური სოფლები. თეთრი ქვა ელვარებს — შორეული სხივის კაშკაშზე. ისევ ნათესები, ბოსტნები და ხოდაბუნები. და გზაჯვარედინებზე ძელის ჯვარზე მილურსმული, ხელებგაშლილი ქრისტე სდარაჯობს იტალიელი მეყანეების ნაშირნახულევს.

მართლაც, ღმერთი — მეველე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქება მეხუთე

### 18. მისტიური ჯვარისწერა

**მილანო 13. III. ჰოტელ რეგინა.** ჩვენი უსურვაზით დაჩრდილული აივანი ძველებურ ვიწრო ქუჩას გასცქერის — ვიგონებ ნაცნობ ქუჩებს, მოედნებს, სასახლეებსა და ეკლესიებს.

საოცარია, დიდ ხელოვნურ ნაწარმოებს რამდენჯერაც შეჰხედავ, იმდენ ახალს აღმოაჩენ! რა აზრი აქვს იტალიაში მუდამ მომზენთან და სტენდალთან ხელგაყრილ სიარულს. ჩემს უბის წიგნაკში ვიწერ ყველაფერს, რაც მე თვითონ შევნიშნე საკუთარი თვალით. მე ეს მახარებს. ჯენეტს ვაჩვენე ერთი პატარა, საკმაოდ ბინძური ჰოტელი, სადაც მე და ჰერბერტ შტუდერსი ორი კვირა ვშიმშილობდით (გერმანიიდან ფულს ველოდით). ნარინჯით, ყურძნით და ხმელი ხილით ვიკვებებოდით. ჯენეტს ვუამბე, თუ როგორ მოუგო ჰერბერტმა ერთ ბოთლი კიანტი ვიღაც ღიპიან მეხილეს. მესამე დღეს 80 ლირის ჩეკი მივიღეთ. ძლივს გავისტუმრეთ ჰოტელის ანგარიში. „კამერიერე“ დაგვემდურა, რადგან საჩუქარი არ მიგვიცია. ფეხით გავსწიეთ ინსბრუკისაკენ. მთელი თვე ტიროლში დავიარეთ. ტიროლელებთან ვლოთობდით, თივის ზვინებში ვათევდით ღამეებს, ჭრელკაბიან გლეხის ქალებს ვკოცნიდით. მუჰპლატენს ვთამაშობდით, ვსწავლობდით ციტრაზე დაკვრას და ჩიყვიან ტიროლელ მამახურებს ვბაძავდით.

ერთი თვის შემდეგ როზენჰაიმს მივაღწიეთ, აქ ვიღაც კათოლიკე მღვდელი გავიცანით ქადრაკის თამაშობის დროს. შინ წაგვიყვანა, ღვინო გვასვა და კათოლიკურ საკრამენტებზე გვიქადაგა. ჰერბერტი ლუტერანია, ჩუმჩუმად დასცინოდა მღვდელს. ვერც მე გამაგებინა იმ ხუცესმა, თუ რათა სთქვა ქრისტემ:

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“.

„ძლიერ მომწონს ჰერბერტი“, მეუბნება ჯენეტი ღიმილით.

„მე ვეჭვიანობ, საყვარელთან მეგობარი არ უნდა აქო“.

„ეტყობა, რომ პატარა ქალაქში ვართ. აბა პარიზში ქართულით ვერავის გააკვირვებთ“, მეუბნება ჯენეტი.

„პარიზში ადამიანი უბრალო ნომერია, თუნუქის ქონდრის კაცი, მე რომ თოფს ვესროდი ბელფორის ტირში, სწორედ ისეთი. მხოლოდ იტალიაში გრძნობ ადამიანი, თუ რა ძლიერი ყოფილა ღმერთი-ადამიანში“.

როგორც იქნა ავედით ეკლესიის სხვენზე. ჩვენს ზევით მაღალი. ოქროს წინწკლებით მოოჭვილი იტალიური ცადაქნილი. ნაზი, გაზაფხულის ღამე... შევსცქერი უსაზღვრო ეთერს, ჩუმი მელანქოლიით შენელებულ სიტკბოებას ვგრძნობ, ჩვენს გარშემო თეთრი ქვისა და მარმარილოს წმიდანების ლაშქარი გამწკრივებულა. ეს იყო ჩვენი მისტიური ჯვარისწერა!

„ღმერთო. როგორ მაგონებს ეს მაღალი იტალიური ცა საქართველოისას“. ჩურჩულებს ჯენეტი, ცალი ხელით მეყრდნობა მხარზე და ქალაქს გადასცქერის.

„დიდი ჯამბაზები ყოფილან ეს შენი წმიდანები! ამ სიმაღლეზე რამ ამოიყვანათ!“

„ჩუ, რას ამბობ“.. მეუბნება და ტუჩებზე ხელს მაფარებს.

„ნუ გეშინია, ამ წმიდანებს ქართული არ ესმით“. მე ავდივარ სულ მაღლა, სადაც სამი მთავარი წმიდანი სდგას. ჯენეტი ძირს დარჩა. იტალიელ რეჩიტატორებს ვბაძავ. ზეპირად ვამბობ დანტეს სონეტს:

Tanto gentile et tanto onesta pare.

La donna mia. quandella altrui saluta

ნაშუაღამევს დავბრუნდით ჰოტელში. ჩვენს გასწვრივ ღია ფანჯარასთან ვიღაც მღერის.

„პარიზში ამ დროს სიმღერა აკრძალულია“. მოწყენით ამბობს ჯენეტი.

„ეს იტალიური სისხლი მღერის“. ვეუბნები და დაქანცული ვჯდები სავარძელში. ცოტა ხანს გაზეთებს ვათვალიერებდი. ჩამძინებია, ერთბაშად კარის რახუნი! თმაგაწეწილი, ფერდაკარგული ჯენეტი შემოვარდა.

„ვიღაც კაცია... კარებამდის მომსდია...“ ამბობს: მთელი სხეული უკანკალებს.

ვეკითხები:

„რას ამბობ? ალბათ მოგელანდა?“

„ყვითელი ჯუბა ეცვა. ტიროლური ქუდი ეხურა. უგარსო პენსნე ჰქონდა. ხელში ქოლგა ეჭირა. დერეფნის მოსახვევთან დამეწია, ხელიდან გავუსხლტი. კარებამდის მომსდია. ოთახში შემოიხედა შენ რომ დაგინახა, გაბრუნდა“.

მე ავიღე სლანსკისეული რევოლვერი. მივჰყევი ჰოტელის დერეფნებს. მოსამსახურეებს დავკითხე. მეკარეც ამტკიცებს, რომ ამ ერთ საათის განმავლობაში არავინ გასულა წინა კარიდან.

ამ კაცის მნახველი არავინ აღმოჩნდა.

## 19. ხარონის ნავში

ჯენეტს მთელი ღამე არ ეძინა. საშინლად შფოთავდა. აბოდებდა. მძინარე სტიროდა. ვაღვიძებ, ვამშვიდებ. ვარწმუნებ. რომ იმ კაცს გაამიყების მეტი სხვა განზრახვა არა ჰქონია მეთქი.

„აბა რა სათქმელია, ვეუბნები, ღამე ჰოტელში რამდენი ავყია დახეტიალებს, ლამაზ ქალს რომ ნახავს, გამოუდგება. ხომ იცი, ეროსი უსირცხვილოა. ეს შეიძლება ძლიერ თავდაჯერილ ჯენტლმენსაც მოუვიდეს“.

„არა, ის კაცი უთუოდ ჩვენი მდევარია, ალბათ შენი მოკვლა უნდა“. მარწმუნებს და დაჟინებით მოითხოვს, დაუყოვნებლივ წავიდეთ მილანოდან. ჩემმა მუდარამ ვერ გასჭრა. მეორე ღამეს ვენეციას წავედით. ვენეციაში ორჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ამ ქალაქის ასავალდასავალი ვერ გამიგია. ხშირად გზა გვეკარგება ვენეციის ვიწრო, ბინძურ ქუჩებში. იტალიაში თუ მათხოვრებმა და გიდებმა უცხოელობა შეგატყვეს, მერმე მოსვენება აღარ გექნებათ. მათხოვრების მთელი ლაშქარი დგას ქუჩის კუთხეებში. ჩვენ წყნეთელ მენახშირეებივით შუა ქუჩაზე დავდივართ. ერთმა მოხუცმა გზა გადაგვიჭრა. პაწია მოზაიკურ ხატებს ჰყიდის. 15 ლირად აფასებს. მინდა თავიდან მოვიცილო. ვეუბნები: „ეს ნამდვილი მოზაიკა არაა, არამედ ქარხნის საქონელი“. იფიცავს ღმერთს, „ჯეზუ“ ქრისტეს, მა-

დონას, ყველა წმიდანებს და საკრამენტებს. ჩვენ ჩვენს გზას განვაგრძობთ.

„Perdutto 9 Lire“, გვეძახის. კიდევ დაუკლო:

„ჩინკვე ჩინკვანტა“. ხმას არა ვსცემ.

„Banorato 5 Lire“. ჯენეტი მეუბნება:

„შენ ნახავ, კიდევ დაუკლებს“.

„იტალია ჯერაც ალმოსავლეთია, ხომ ხედავ?“... მოხუცი მოგვსდევს. სამ ლირამდის ჩამოვიდა. მივუბრუნდი:

„უნა ლირა“.

„ის დრო წავიდა, სინიორე, იტალიაში რომ ერთ ლირად ყველაფერს იყიდდით უცხოელები“.

პორნოგრაფიული სურათების გამყიდველები გამოგვიდგნენ.

„ახლად ჯვარდაწერილები მუდამ ასეთ სურათებს ყიდულობენ, ნახეთ, ბატონო ბარონო, ეს სურათები. პოლიციისგან აკრძალულია, ჩინკვე ლირე“. გვემუდარება ახმახი, შავგვრემანი კაცი. თავისს საქონელს აქებს.

„გავეცალოთ ერთი ამ აბეზარებს, წმიდა კლარას კუნძულზე წავიდეთ“. ვეუბნები ჯენეტს. ნაპირთან აუარებელი გონდოლები იცდიდნენ. ჩვენს დანახვაზე რამოდენიმე მეგონდოლემ ნიჩბები მოიმარჯვა. ხელს გვიქნევენ, გვეპატიჟებიან. ყიჟინებენ. ერთი თეთრწვერა მოხუცი თავის გონდოლაში იჯდა, რალაცას კითხულობდა. შავი იტალიური თვალები ამართა, ფლეგმატიურად შემოგვხედა, თითქოს გრძნობდა, რომ ახალგაზრდა განიერბეჭებიანი მეგონდოლეები მას დასჯაბნიდნენ. ჩვენ სწორედ ამ მოხუცის გონდოლაში ვჯდებით. მეგონდოლეს ფრიად სათნო სახე აქვს, მარკოზ მახარობელს წააგავს. თავი თეთრი თმითა აქვს დაფარული. ყურებიდან, ცხვირის ნესტოებიდან შავი თმა უჩანს.

საოცარი რამეა ვენეციური გონდოლი! შავად გარუჯული, იბმოლებული. წყალზე მოტივტივე ცარიელ კუბოსა ჰგავს. საოცარი, მისტიური ჟრუოლა ამიტანს ხოლმე, როცა გონდოლში ვჯდები. ვის არ აერევა პირველად გული ამ გასაოცარ ხარონის ნავში! ვერც ჯენეტმა გაუძლო გონდოლის ტოკვას და ქანაობას. მეგონდოლეს ფეხთან ტყავის ბალიშები დავუდევი. „ახლა არა მიშავს“. ამბობს. ცას სინგურის ფერი გადაეკრა

(ამგვარი ცა არსად მინახავს!). ნელნელა ასევადებს გვიანი სხივი დასავლეთისკენ მიმცურავ მარტოხელა ნატიფ ღრუბელს. აღმოსავლეთში მწუხრის ვარსკვლავი კაშკაშებს. ზღვიდან ნელტფილი სიო მოჰქრის. წმ. კლარას კუნძულიდან სპეტაკი ნისლი დგება. ერთი მუჭა ვეცხლის ლირები ამოვიღე, წყალში ჩავუშვი, ჯენეტი იცინის. მეგონდოლე გამოგველაპარაკა!

„როგორც სჩანს, თქვენ ახლად ჯვარდაწერილები ხართ!“ თავს ვუქნევ.

„სი“, „სი“, ვეუბნები.

„ეჰ, ვინ იცის, რამდენი ათასი ჯვარდაწერილი გადამიყვანია წმ. კლარას კუნძულზე“. კვნესის მეგონდოლე. ისევ სდუმს და მოისმის ნიჩბების ნელი ტლაშუნი. კიდევ დაარღვია დუმილი მოხუცმა; ეროვნებას გვეკითხება:

„ფრანჩეზე?“

„ნო“

„ინგლეზე“?

„ნო“

„ტედესკი?*“ ძლიერ ნებივრად ვზივარ ბალიშზე. ვიცი, განმარტება დაჭირდება, ამიტომაც თავს ვუქნევ, გერმანელები ვართ-მეთქი. ზღვა აკვანივით არწევს გონდოლს. გაშავდა წყალი, ვსტკბები ჯენეტის სიახლოვით, ამ მაღალი, მოკამკამე ზეცის დიდებულებით და უსაზღვრო ზეფირისა და ტალღების ალერსით. მეგონდოლე არ ისვენებს. ახლა დანტეზე ჩამოგვიგდო ლაპარაკი. ჯენეტის თხოვნით, ღვთაებრივი კომედიის მესამე ქებიდგან საუკეთესო ადგილები ზეპირად წარსთქვა. მე დავვინტერესდი. დანტეს მრავალი მკვლევარისთვის მომისმენია. ოფიციალურ კათედრებიდან ნათქვამს არ დავუინტერესებივარ ისე, როგორც ამ მეგონდოლეს გასაოცარ ერუდიციას. იგი მთელი თავის სიცოცხლე დანტეს სწავლობდა თურმე. ჩვენთან საუბრის დროს ფრიად გონებამახვილი აზრები წამოსცდა.

„სხვა რა საქმე მაქვს! მე ჩემი უბედური თავის მეტი რა გამაჩნია. ერთი ქალი მყავდა, ისიც ვიღაც ამერიკელმა ავანტიურისტმა მომტაცა. ერთი ვაჟი ომში მომიკლეს ავსტრიელებ-

* ფრანგი ხარ? არა. ინგლისელი? არა. გერმანელი?

მა. ომის დროს იტალიაში უცხოელები იშვიათად მოდიოდნენ. ვიჯექი ჩემ გონდოლაში, პეპტარს ვუცდიდი, დანტეს ვსწავლობდი" ამბობს მოხუცი. უნდა გამოვტყდე: პირველად ამ მეგონდოლემ მიიქცია ჩემი ყურადღება ფლორენციელ პოეტისადმი. გამოვკითხე მეგონდოლეს სახელი და გვარი. ჯიორდანო ერქვა (გვარი გადამავიწყდა).

ერთმა საოცარმა გარემოებამ შეგვაწყვეტინა საუბარი.

„თქვენ ამჩნევთ?" მეუბნება ჯიორდანო „ერთი გონდოლა კვალდაკვალ მოგვსდევს, მე თქვენ არ გიმჩნევდით, რამოდენჯერმე ისეთი გეზი ავიღე, თითქოს წმ. კლარას კუნძულზე არ ვაპირებდეთ. ის გონდოლა არა გვცილდება თქვენ კარგი თვალი გექნებათ. ნახეთ, რამდენი კაცია იმ გონდოლაში?" უკან გავხედები:

„მეგონდოლეს მეტი არავინა სჩანს". ვეუბნები.

„აბა პირი შეიქციეთ, დააკვირდით. მეორეც უნდა იყოს, თუ თვალი არ მღალატობს". პირშექცეული ვჯდები.

მართლაც გონდოლიდან მეორემაც ამოჰყო თავი.

„მაშ აუჩქარეთ და გასწიეთ ზღვისკენ" ვეუბნები ჯიორდანოს.

„ძლიერ შორს წასვლაც საშიშია. ფული ხომ არა გაქვთ თანა?"

„თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ, რევოლვერი ჯიბეში მაქვს" ვამხნევებ ჯიორდანოს! ჯენტი ძლიერ დამინდა

„აბა მიბრუნდით ნავსადგურისაკენ, ჯიორდანო!"

ვხედავ, მეორე გონდოლაც მიბრუნდა. „მოუსვით ჯიორდანო, რაც შეგიძლიათ. ეცადეთ ნავთსადგურში არ შეგვასწროს". ჯიორდანომ აუჩქარა გონდოლს. წინა გონდოლა შეუბღვლივით გაჰქანდა. ჯიორდანო ფიქრობს, რომ ჩვენი მდევარი მოტორიან ნავში იჯდა და არა გონდოლაში. ბნელდება. ნავის კონტურებს ვხედავ მხოლოდ. ნავთსადგურში შეგვასწრო. აქ ელექტრონის ათრიანი კემები და გონდოლები ირეოდნენ. ცამ ჩაინთქა, თუ მიწამ ჩაყლაპა? მდევარი ველარ ვიპოვნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 20. გზაჯვარედინზე

ამ ამბავმა ჯენეტს სასო წარუკვეთა. ჰოტელიდან გარედ არ მიშვებს. გავეპარები, მარტო დავეხეტები ქალაქში. ეგებ სადმე გადავეყარო ჩემს მდევარს. ორ-სამჯერ წმ. კლარას კუნძულზე ვიყავი. პელესტრინა დავათვალიერე, ორიოდე საათი ლიდოს კუნძულზე ვიარე. ვათვალიერებ სასახლეებს, ეკლესიებს, ძველ ციხეებს და ძეგლებს, ჩემი მთავარი მიზანია — სადმე შევეყარო იმ ყვითელჯუბიან ლანდს. ახლა მე გავხდი მისი მდევარი. ქალაქში დავდივარ. მომწყინდა ხელოვნების ძეგლები, ბრინჯაოს, მარმარილოს ხატებანი, ოქროსა და რვალში ჩამოსხმული უკვდავ სახეების თვალიერება. უბრალო ჭეშმარიტებაა: ვისაც ამა თუ იმ ერის ხასიათის შესწავლა უნდა, ის ბავშვებს და უბრალო ხალხს უნდა დააკვირდეს. დასავლეთის ქვეყნებში, იტალიაშია ყველაზე დიდი უფსკრული ხალხსა და არისტოკრატიას შორის. მგზავრი შესცქერის ამ დიდებულ სასახლეებს, ამ ეკლესიებს, ხელოვნების გარდაუვალ ძეგლებს და მათს გვერდით — ეს საცოდავი ქუჩის ლუტები, ფეხზე მოვაჭრენი, მათხოვრები და ნახევრად მათხოვრები. არ ვიცი, ვინ ვის ამცირებს: ეს პალატები ამ ძონძებიან ხალხს, თუ პირიქით? ეს ხალხი ჯერაც წარსულით ვაჭრობს. ნავთსადგურის ახლოს უამრავი მეგონდოლეები, მებარგეები, უსაქმური ბავშვები და ძონძებიანი მათხოვრები შეყრილან. ვიღაც შავგვალთიანი ახალგაზრდა პათეტიურ სიტყვას ამბობს სიცილიურ დიალექტზე. ბრბოში გავერიე. მხოლოდ რამოდენიმე სიტყვას ვარჩევ: რევოლუციო, ილ რე — მეფე, და „შჩიოპერო"*. უკანასკნელ სიტყვას დაჟინებით იმეორებს მოქადაგე. ქუჩის ყაყანს გავეცალე. ერთ პატარა ეკლესიაში შევედი. წირვა გაეთავებინათ. ეკლესიის გარედ მათხოვრები მაინც იდგნენ. საყდარში დარჩენილ მლოცველებს უცდიდნენ. ავტომატიურად დავიწერე პირჯვარი, ისევ გამოვედი. ეზოში საუცხოვო კორინთული სვეტები იყო. ეკლესიაზე მოდგმულ პატარა კაპელლაში შევედი. ირგვლივ მავალ მარმარილოს კიბეს ჩავყევი ქვედა სართულისაკენ. სამლოცველოს საკურთხევლიდან ბერი გამოვიდა.

* გაფიცვა.

„ეს რა სურათია?“ ვეკითხები და კედლის ფრესკას ვაჩვენებ.

„ეს ფრანჩესკო ასიზელი გახლავთ“. მიპასუხა და კაპელლადან გავიდა. მე მეგონა, მარტო დავრჩი სამლოცველოში. ბნელ კოლონადიდან ფეხისხმა მომესმა. მოვიხედე: ყვითელ ჯუბიანი კაცი მარმარილოს კიბისაკენ მიიჩქაროდა. გამოვუდექი. სულის მოუთქმელად ავირბინე მარმარილოს კიბე. ეზოში რომ ამოვედი, მან ჭიშკართან მიმასწრო. როცა ჭიშკართან მივაღწიე, — იგი ვიწრო ქუჩაზე ზღვის პირისაკენ მიიჩქაროდა. რამოდენიმე ნაბიჯი, და უნდა დავწეოდი... იგი ნაპირთან მდგარ მარტოხელა გონდოლში ჩაჯდა. ნაპირიდან შევსცქეროდი: იგი გონდოლს მიაქროლებდა წმ. კლარას კუნძულისაკენ. ქარი არხევდა მის ქუდზე მიკერებულ ფარშავანგის ფრთას. არსად ახლო მახლო სხვა გონდოლი არა სჩანდა. სახტად დავრჩი.

ეს ამბავი ჯენეტისთვის არ გამიმხელნია. რამოდენიმე დღის შემდეგ, ჰოტელ „ვიქტორიას“ დირექციას ვთხოვე, ჩემ სახელზე მოსული წერილები ბერლინში გადაეგზავნა, იოჰანეს ხოიშტეტის მისამართი დავუტოვე, ჩვენ კი ღამის მატარებლით რომს წავედით. ერთი თვე უდარდელად გავატარეთ მარადიულ ქალაქში.

რომში ათი წელიც რომ დარჩეთ, იქ ახალ-ახალი შთაბეჭდილება მაინც არ გამოილევა. ორიოდე კვირის განმავლობაში ვათვალიერებდით პართენონს, კაპიტოლის მუზეუმს, პალაცო მასსინოს, პალაცო ფარნეზეს, პალაცო ვენეციას, პალაცო ჩენჩის, გასაოცარ ვატიკანს, ვილლა ბორგეზეს და ფორუმ რომანუმს.

რომში დავრწმუნდი: ქალისათვის წარსულის რომანტიკა სრულიად მიუწვდომელია. ჯენეტს ვერ გაუგია ჩემი დიდი ინტერესი ძველი წარმართული რომისადმი. პირველ ხანებში მისი გული ქრისტეანულ ეკლესიებისაკენ მიიწევდა, ბოლოს კვლავ მოსწყინდა და თანამედროვე ევროპულ გემოვნებაზე მოწყობილ კორსოებისა, ამერიკულ ბარებისა, თეატრებისა და კონცერტებისაკენ იხედება.

ვატყობ: მას ძლიერ მოეწყინა ადამიანურ საზოგადოების გარეშე ყოფნა. ერთხელ სან პიეტროს გუმბათიდან ჩამოვდი-

ოდით, კიბეზე შეგვეყარა ჩემი ბერლინელი ნაცნობი დოქტორ ჰენინგი და მისი ახალგაზრდა მეუღლე. დოქტორ ჰენინგი რომში ახლად ჩამოსულ გერმანულ მისსიას ჩამოჰყოლოდა.

ევროპელებს საზოგადოების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ.

დოქტორ ჰენინგი გაოცდა, როცა გაიგო, რომ მე არც კი ვფიქრობდი რომში რომელიმე საზოგადოებას მივკედლებოდი (რომში ორიოდე იტალიელი ნაცნობი მეგულებოდა. არც მიძებნია). ძალაუნებურად ისევ დამაბრუნა დოქტორ ჰენინგმა საზოგადოებაში. ესპანიის მოედანზე ერთი გერმანული პანსიონია. აქ იკრიბებოდა მაშინდელი მცირერიცხოვანი გერმანული კოლონია: რამოდენიმე მხატვარი, მუსიკოსი, ჟურნალისტი და კომერსანტი. აქვე გამაცნო ჰენინგმა გერმანიის ეკონომიური მისსიის თავმჯდომარე ბარონ ბ... მისი მეუღლე და ცოლისდაი, ქერა, ლურჯთვალებიანი მხატვარი ქალი. ამ წრეში დაიწყო ისევ გაუთავებელი ლაპარაკი მუსიკის, ისტორიის, მხატვრობის, პოეზიის, პოლიტიკის შესახებ. ეს ამბები პარიზშიაც მობეზრებული მქონდა. ამიტომაც შევწყვიტე ბარონ ბ-ქ სახლში სიარული. ხანდახან დოქტორ ჰენინგს ვხვდები. ჯენეტი მადამ ჰენინგს დაუმეგობრდა. კონცერტებზე დადიან. მე და დოქტორ ჰენინგმა გერმანულ ლუდხანას მივაგენით, ხშირად ვხვდებით აქ ერთმანეთს, ძველ დროებას ვიგონებთ და შპატურ ლუდს შევექცევით.

ერთ დღეს კვირინალის სასახლეს ვათვალიერებდით. ჯენეტი დოქტორ ჰენინგს მიჰყვებოდა, მე ქალბატონ ჰენინგს ვახლდი. სასახლის კიბეზე ჩამოვდიოდით. ჯენეტი ერთბაშად დაუსხლტა ხელიდან თავის კავალერს. აქშინებული მეძახის: „ის კაცი...“

გავექიდე. მან მოურიდებლად გადაალახა ბაღის მავთულის ხლართზე, მწვანე გაზონი გადაიარა და მიჰყვა ვია ნაციონალესკენ მიმავალ ბილიკს. აქ უშველებელ ქვითკირის გალავანზე გადაჰხტა და ფილაქანზე მოსეირნე ბრბოში დაიკარგა. ამ ამბავმა ჩვენი ნაცნობები ძლიერ გაოცა. სიმართლე ვერ ვუთხარი, რადგან ორივენი დარწმუნებული იყვნენ, ჩვენ კანონიერი ცოლქმარი ვიყავით, ძალაუნებურად ვიცრუე: ამ კაცმა მილანოში გაგვქურდა, ამიტომ მივსდევდი-მეთქი.

რადგანაც წერილები უმეტესად გერმანიიდან მომდიოდა და „ბერლინერ ტაგებლატსა“ და „სიმპლიცისიმუსს“ ვყიდულობდი ჰოტელის კიოსკში, ამიტომ ყველას გერმანელი ვეგონე და მოსამსახურეები „ტედესკოს“ მეძახდნენ. კვირა დილას ჰოტელის სადალაქოში საინტერესო ამბები გავიგე (დალაქი გერმანელი აღმოჩნდა). საიდუმლოდ გადმომცა, რომ ჰოტელში ჩემ შესახებ ძლიერ ცუდი ხმები დადიოდა თურმე.

„ეჭვის თვალით გიცქერით ჰოტელის ადმინისტრაციაც, დოტორე, რადგან ჰოტელში ვიღაც საეჭვო პირები კითხულობენ, თუ როდის მიდიხართ ღამე, რას აკეთებთ, ან რითი ცხოვრობთ? მე ერთ კამათს მოვკარი ყური, მეუბნება დალაქი, მეტრდოტელი ამბობდა, რომ თქვენ რუსი ურია ხართ. მებუფეტე უმტკიცებდა, რომ გერმანიის ფარული აგენტი უნდა იყოთ. ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილე გმართებთ“, მეუბნება კეთილი მოხუცი. ამ ამბავმაც ძლიერ შემაფიქრიანა. იტალიაში ფაშისტური მოძრაობა ძლიერდება. წინა კვირას მისსიის თანამშრომლები შეიპყრეს. არც გერმანელებს უცქეროდნენ კარგი თვალით. მე დასავლეთში მუდამ იტალიელი ან ფრანგი ვგონებივართ, მაგრამ ცხადი იყო, ვიტენზონის პასპორტი იწვევდა ამ ეჭვებს. დოქტორ ჰენინგთან შეხვედრამ სულ არია საქმე. გერმანულ კოლონიაში მე მიცნობდნენ, როგორც სავარსამიძეს, ჰოტელში და პოლიციაში როგორც დოქტორ ვიტენზონს. გასულ კვირას ბარონ ბ...ს მისაწვევი ბარათი მოუტანია. მსახურს კონსტანტინე სავარსამიძე მოუკითხავს. მეკარე გაოცებულა. მეკითხება: „ვინმე სავა...რ...სა...ამიძი ხომ არ ცხოვრობს თქვენს ნომერში?“.

„ჩვენ ერთი ნომერი გვიჭირავს, სამი კაცი როგორ დავეტევით“, ვეუბნები მეკარეს.

საღამოს ჰოტელის პარკში ვზივართ. შორი ახლო მოხეტიალე მუსიკოსები დამსხდარიყვნენ, სევდიან სიცილიურ მელოდიებს უკრავდნენ. ორი ბრმა, ერთი მოხუცი, ერთიც მეტად ლამაზი იტალიელი ქალი. ბრმები გამოშმულ თვალებით შესცქეროდნენ მიმავალ სხივს; მოწამლულ თევზივით აღებდენ პირს, მღეროდენ, მაგრამ მათი სიმღერა რაღაც საშინელ, ამაზრზენ გლოვას უფრო წააგავდა. ქალწულს სიცილიური ტანისამოსი ეცვა, კისერზე გიტარა ეკიდა, უკრავდა, ამღერებ-

და, ცეკვავდა. ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამ ქუჩის კონცერტმა, — ჯენეტი შემევედრა, ავმდგარიყავით და გავცლოდით იქაურობას. ამასობაში ბრმები გაჩუმდნენ. ქალწულმა ჩამოიარა,

„არ გინდათ გიმარჩიელოთ, ხირომანტი ვარ“.

გვევედრება.

„მიეცი ხელი“, მეუბნება ჯენეტი. ქალი ჩემს გვერდით დაჯდა. ჩემი ხელი მუხლზე დაიდო. მისი საკუთარი. შვენიერი ხელების გაკარებისგან ელექტროსავით გამაკრთოლა. ვცდილობ ჯენეტმა არ შემამჩნიოს. წელში გავსწორდი. ორ-სამჯერ გადამავლო მარცხენა ხელი მარჯვენაზე. დააცქერდა:

„თქვენ უშველებელი ენერგია გაქვთ. მოხმარა არ იცით“.

„აჰა“, ამბობს ჯენეტი და ორაზროვნად იღიმება.

„ფრიგიის მეფეს მიდასს დიონისომ ერთგვარი ნიჭი უბოძა: რასაც ხელს მიაკარებდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა, თქვენთვის სხვა ნიჭი მოუცია, როგორც სჩანს, დიონისოს. ვისაც თქვენ გაეკარებით, ყველა მწუხარებით აივსება“.

„კიდევ, კიდევ“, ეუბნება ჯენეტი.

„თქვენს გულს დიდი სიძულვილი და ასევე დიდი სიყვარული ანადგურებს. დიდი და მედგარი მტრები გყავთ“. მკითხავი გაჩუმდა. გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებს.

„თქვენი უბედურება ის არის, რომ ერთი ქალის სიყვარული ვერ დაგაოკებთ“.

ჯენეტი იცინის:

„ვისი ბრალია მერმე?“ ვეკითხები.

„ქალთა სქესი შვენიერია და დაულეველი. მამაკაცის — უტეხი და გაუმაძღარი“.

„კი, მაგრამ ნუ თუ არ შემხვდება ისეთი ქალი, რომელმაც ჩემი გული სამუდამოდ დაიმორჩილოს“.

„ღმერთს რომ ასეთი არსების გაჩენა ნდომოდა, ყველა ქალის ღირსებას ერთში მოათავსებდა. მაშინ ფუტკრებსავით მამაკაცებსაც ერთ დედალს მიუჩენდა“.

„თქვენ ჩემ მტრებზე მითხარით რამე?“ შევაწყვეტინე მკითხავს.

„თქვენი მედგარი და ბოროტი მტრები თქვენი ქვეყნიდან

გაგაძევებენ, და თქვენი სამარე უცხოეთში გაითხრება უთუოდ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენიშნა მისი ნათქვამი. მინდოდა კიდევ ეთქვა რამე.

„კმარა, კმარა“, კვნესის ჯენეტი. ჩემი ხელი გამოგლიჯა მარჩიელს. მე მივუგდე ორიოდე ლირა. ხელი მოვკიდე ჯენეტს, ბაღიდან გავიყვანე.

მას მთელი ღამე არ სძინებია. მეც დამაფიქრა ამ მარჩიელის ნათქვამმა, მაგრამ არ ვიმჩნევ. ქვეშეცნებაში ვგრძნობ, უნდა გავეყარო ჩემ საყვარელ რომს. მაგრამ არ ვიცი სად წავიდეთ? გერმანიაში მთლად აირია ცხოვრება. გაზეთებს ძლიერ სამწუხარო ამბები მოაქვს. ჩემი მეორე სამშობლო მორიელივით საკუთარ ხორცს გესლავს და იწიწკნის, ვაი, დამარცხებულებს! ერთხელ გავიფიქრე ბერლინს წასვლა, მაგრამ იმდენ ნაცნობებში ჩემი იქ ჩასვლა არ დაიმალებოდა, გარდა ამისა, არ მინდოდა დამარცხებულ გერმანიაში ყოფნა. ჯენეტს ვარწმუნებ: ვატიკანის ბიბლიოთეკაში უნდა ვიმუშაო-მეთქი. მარტო დავყიალობ ძველი რომის ქუჩებში. მინდა სადმე წავაწყდე იმ აბეზარ ყვითელ ჯუბიანს. დავრწმუნდი, იგი ალი მირზა-ხანის შემოჩენილია. ცხადია, სჯობდა პირდაპირ შეხვედრა.

ერთხელ რომის კომენდანტის ბრძანებას მოვჰკარი თვალი. თავადი კოლონნა აფრთხილებდა მოქალაქეებს წესრიგი არ დაერღვიათ, ყური არ ეთხოვებინათ კომუნისტებისა და რევოლუციონერებისათვის, რომელნიც მეფის ორგულობისკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

მივჰყევი პატარა შუკას. ღარიბების უბანში შეიარაღებული შავბლუზიანები დარბოდნენ. მათ ძლიერ მძვინვარე სახეები ჰქონდათ. ერთ პატარა ძველ სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული. თოფიანებმა გზა გადამიღობეს. კორსო უმბერტოზე გამოვედი. აქ მრავალ-ათასიანი ბრბო მოვანგაშებდა. კუთხეში მეგაზეთე ჰყვიროდა: „ტრიბუნა“, „კურიერო დელლა სერა“, „ავანტი“, „ავანტი“. მედროშეებს იტალიის მეფის სურათი მოჰქონდათ, მუსიკით და ფაშისტური ჰიმნების სიმღერით მოდიოდნენ.

ფილაქნებზე მოსეირნენი ქუდს იხდიდნენ, ყვიროდნენ: „გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს იტალიას“. დროშებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი. ერთი შავბლუზიანი მომვარდა.

„სინიორე, ქუდი მოიხადეთ, ვერა ხედავთ?" (მეფის სურათზე მიუთითებს).

„მე ცოტა ბეცი ვარ" ვუპასუხე და პატარა შუკაში შევუხვიე. ახლა ქრისტეანული რომის დახლართული, ვიწრო ქუჩების ლაბირინტში მოვხვდი. სადმე რესტორანში მინდოდა შესვლა. მუსიკა მომენატრა. გაზეთების გადათვალიერება მომინდა. ახლო-მახლო სარძევეებისა და ხილის მაღაზიის მეტი ვერაფერი ვნახე. პატარა ძველი ეკლესიის ეზოში შევედი. ეზოში შავქუდიანი დომინიკანელი ბერი შემხვდა.

„არ გინდათ სინიორე ისეთი რამე გაჩვენოთ, რაც არც ერთ უცხოელს არ უნახავს?" დავინტერესდი. გავყევი ბერს ეკლესიის უშველებელ სარდაფში ქვის ყორესავით ეწყო ადამიანის ძვლები. თავის ქალები — თავის ქალებზე. ჩონჩხები — ჩონჩხებზე „სამოცი ათასი ბერისა და წმიდანის ნეშთებია". განმიმარტა ბერმა. ამაზე საშინელი სურათი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. გულარეული გამოვვარდი სარდაფიდან. გავეცალე ქრისტიანულ რომს. ამ უბრალო შემთხვევამ ჩემში დიდი გარდატეხა გამოიწვია. ამ დღიდან ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ჩემ გულთან წარმართული რომი გაცილებით უფრო ახლოა.

რა ვიცით ჩვენ ჩვენს შინაგან ცხოვრებაზე? იოტის ოდენა ქანობას თუ შევამჩნევთ, ესეც ბევრია.

ორი პერიოდი მაქვს შემჩნეული ჩემს ქვეშეცნებაში: ხან და ხან ჩემი სული წმინდა ცხოველური ინსტინქტებითა და ვნებებითაა ამღვრეული. ამ ხანაში მე ლოთობის, ჭამა-სმის, ძილის, და ქალების მეტი არაფერი მაინტერესებს. არ ვკითხულობ, არ ვწერ. სიქსტინის კაპელაშიაც რომ ჩამკეტოთ, არც ერთი სურათი არაფერს ეტყვის ჩემს გულს. კარგად მძინავს, სიზმრები არა მაქვს. ძლიერ ბევრს დავდივარ.

არის მეორე ხანაც: არც ქალი მაინტერესებს, არც ღვინო. ჩემი სხეული ეთერივით მსუბუქი ხდება, ხორცი დასანახავად მეზარება. ცუდად მძინავს, სიზმრები მაწუხებენ. გასაოცრად მივითარდება მეხსიერება. ღამ-ღამე მარტო ვსეირნობ, ვწერ, ვკითხულობ და ვოცნებობ. მარტოობას ვეძებ. საკვირველი სი-

ნათლით გაშუქდება ხოლმე ჩემი გონება. ყველაფერი ისე ნათელია და მარტივი, ასე მგონია უკანასკნელ საგნების მიჯნას გადავცდი და მართლაც შემეთვისებოის ექვსი ნიშნეის გრძნეულება. ამ უკანასკნელ დღეებში სწორედ ასეთი განწყობილება მაქვს. მოუსვენრად დავდივარ, მთელი წარმართული რომის ძეგლებს ვინახულე, ჯენეტი და მადამ ჰენინგი კონცერტებზე დადიან, დღეებს კაპიტოლიის მუზეუმში ვატარებ... ადრე ვიძინებ, ადრე ვდგები. იმ კვირას ვნახე ვილლა ალბანოში: დელფინზე მჯდომარე დიონისო, იქვე ენდროსფერ მარმარილოს დიონისო, — თეთრად მოსილი ქალები დიონისოს მისტერიების ზიარებას მოელიან. ჭაბუკ ღმერთს ოდნავ ქალური ძუძუები აქვს. სხეულის კომპოზიციაში ქალურ-ვაჟური ელემენტია არეული. ქალური ნაკვთების სირბილე და ელასტიურობა. შუა დარბაზში ბრტყელ ლოდზე მწოლარე, იქვე სახედარზე გადამჯდარი დიონისოს შეზარხოშებული სატირი ადევნებია. ურცხვად ილრიჭება. ერთი კედლის რელიეფიც: დიონისო ველურ ცხენებს ხედნის. ზემელე საიქიოდან შესცქერის, თუ როგორ ეხვევა ყრმა დიონისო თავის დედას, დიონისო ვერძისრქებიანი. დიონისო ლომის სახისა, მრისხანე, შეუბრალებელი, გამძვინვარებული ღმერთი.

კაპიტოლის მუზეუმში დიონისოს მოყვითალო მარმარილოს ქანდაკება: აქაც ქალური დიონისო. შუბლზე ორი თითის სიგანე ლენტი აქვს შემოვლებული. ხუჭუჭი, ზღვის ჭავლივით მოლივლივე თმა მხრებამდის სწვდება. ყურები არ უჩანს. ბაგე სანახევროდ გაღებული. თავი ოდნავ მარცხნით გადახრილი, ნელი მელანქოლია იხატება ამ თვალებში, ისინი კაპიტოლის ვენერის გამოხედვას მაგონებენ. ვატიკანში, კაპიტოლში, ვილლა ბორგეზეში, ვილლა ალბანოში, ყოველ პოზაში, ყოველ მდგომარეობაში ვნახე ჩემი საყვარელი ღმერთი, მოწყენილი, ალტაცებული, შეზარხოშებული, ტრიუმფით მიმავალი, მეომარი და მდუმარე. მთელი კვირა მხოლოდ დიონისოს კოლლექციებს ვათვალიერებდი, მაგრამ არსად მომლიმარე დიონისო მე არ შემხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 21. ლარების საკურთხეველი

უკანასკნელმა ამბებმა ჯენეტი ძლიერ დაამინა. ცუდად სძინავს. გულჩახვეული ადამიანია. ვგრძნობ იტანჯება. ერთხელაც ფარვიზს არ ახსენებს ჩემთან. ვატყობ: მადამ ფან სტაუნისაგან წერილები მოსდის, მაგრამ არ ვეკითხები, რას სწერენ პარიზიდან. ერთხელ ვეუბნები:

„რათ არ წამოიღე ხალილ ბეას სურათი".

„რომელი სურათი?".

„დიონისოს ხელმეორედ მოსვლა". სდუმს.

მეც ვხედავ: ხირომანტის სიტყვებმა და ყვითელჯუბიანი მდევარის ლანდმა მისი ფანტაზია ააფორიაქა. რომში ძლიერ ცუდი ატმოსფერო დატრიალდა. გაფიცვები... ფაშისტების დემონსტრაციები... ჰაერში თოფის წამლის სუნია. მეც საგონებელში ჩავვარდი. ერთხელ ქალაქს გარედ წავედით ელექტრონის მატარებლით. მე მომაგონდა რომის ახლო მდებარე სოფელი ალბანო. იმ ღამეს ჯენეტს ვუამბე ამ სოფლის შესახებ. დაინტერესდა. მეორე დღეს ორშაბათი იყო. რადგან ორშაბაათობით მე არსად მივდივარ, ამიტომ სამშაბათს წავედით ალბანოში. რომსა და ალბანოს შორის ელექტრონის მატარებელი დადის.

ჯერ კიდევ ადრიანის წყალსადენს არ ვიყავით გაცილებული. ვზივართ ვაგონში და ვფიქრობ ალბანოზე. ეს სოფელი ალბანოს მთის თხემზეა შეფენილი. ირგვლივ გლეხების მოსახლეობა, პაწია დუქნები, ერთი ძველებური სამლოცველო მაღალი კვიპაროზებით შემორტყმული სასაფლაო. სოფლის ბოლოს პატარა ტბაა, — ოვიდი ახსენებს ამ ტბას თავის ლექსებში.

სოფელს დასავლეთით ცეზარების დროის უშველებელი ქვიტკირის გალავანი ახლავს. კედელზე ლელვის ხეები და ჯიჯაყვა იზრდება. ადრე სიჭაბუკეში მე და ჰერბერტ შტუდერსი ფეხით წავსულვართ რომიდან ალბანოს. ალბანოს ტბის პირად ვსეირნობდით, ალბანოს ქედებზე დავყიალობდით, ალბანოს დუქნებში ვსვამდით კიანტის ღვინოს და შავგვრემან იტალიელ გლეხის გოგონებთან ვცეკვავდით. შელამებულზე ქვიტკირის .დელზე ავდიოდით, გადავსცქეროდით მარადიულ რომს, .კამ-

პანიას მძინარე ველს და ტირენის ზღვაში ჩაშვებულ ილექტროსფერ მზის ეტლს. ჯენეტი ფანჯრიდან იყურება, ელის, როდის გამოჩნდება ალბანოს თხემები. იგი დარწმუნებულია, თუ ამ სოფელში ბინა ვიშოვეთ, ჩვენი მომავალი ცხოვრება უფრო დამშვიდებული იქნება. აქ მე არ გამიტაცებენ რომის მუზეუმები, არც ვატიკანის ბიბლიოთეკა. ჩვენს ერთად ყოფნას ვერვინ შეუშლის ხელს. მეც დამღალა მარადი ქალაქის ურიცხვმა შთაბეჭდილებებმა და ფაშისტების ჯარების იარაღის ჩხარუნმა. მთელი ღამეები არ გვეძინა. ჰოტელში ისმოდა მათი რიალი და მარში. ერთ-ორ თვეს მინდა მარტო ვიყვე ჯენეტის სიახლოვეს. არც დასათვალიერებელი მქონდეს რამე და აღარც საფიქრალი. შესაძლოა, ამ სოფელში მაინც ვერ მოგვაგნოს ყვითელჯუბიანმა.

ჩემ სულიერ განწყობილებას ზედმიწევნით შეეფერება ჰორაცის სიტყვები:

„ბრბოვ საძაგელო და უწმინდურო, წა, გამეცალე, სათნო დუმილი მოიმარაგე. როგორც არასდროს, მუზების მოგვი ვუმღერი ჰიმნებს შვენიერ ვაჟებს და ნაზ ქალწულებს".

ეს მაფიქრებს მხოლოდ: ამ სოფელში არც ჰოტელია, არც პანსიონი. რომელიმე გლეხის სახლში ბინაც რომ ვიშოვოთ, ჯენეტი განებივრებული ადამიანია. სოფლურ სახლში ან როგორ გასძლებს?!

ბნელდება.

„ალბანოს მთებია, არა?" მეკითხება ჯენეტი. ვაგონი ხალხით სავსეა. ვიღაც მოხუცი ქალი ფეხზე სდგას (დედა ჩემი მომაგონდა). ავდექი, ჩემი ადგილი დავუთმე, წინა ბაქანზე გავედი. იტალიელი სიამოვნებით ესაუბრება მგზავრს, არც ეს ვატმანი ყოფილა გამონაკლისი.

„შეხედეთ, შეხედეთ", მეუბნება ვატმანი. ვხედავ: მატარებლის ორი ფანარის ელქტროს ზოლებს შორის. ზედ ლიანდაგზე მირბის კურდღელი. აუჩქარა ვატმანმა. ყურებდაწურული, დაფეთებული ნადირი გარბის. აჰა, საცაა, უნდა დაეწიოს მატარებელი. კურდღელი გასაოცარ სალტომორტალებს აკეთებს და ისევ გარბის. სინათლისაგან რეტი დასხმია, ვერ მიმხვდარა განზე გახტომას. ისევ აუჩქარა ვატმანმა. ელექტროს მატარებელი მიჰქრის. ვატმანი ხარხარებს, მანქანად გადაქცე-

ულ ვატმანშიაც იღვიძებს პირველყოფილი ალტაცება ხიდირთან შეხვედრისას რომ აღეძვრება ადამიანს ვაგონში ჩოჩქოლი ატყდა. ლიანდაგის მოსახვევთან რომ მივაღწიეთ, კურდღელი სწორ გზას მიჰყვა და თავს უშველა. მგზავრები მოაწყდნენ ვაგონის მინებს.

„როგორ გააბრუა სინათლემ საცოდავი პირუტყვი!“ მეუბნება ვატმანი და იცინის.

„ასეა, დიდი სინათლე არეტიანებს როგორც ნადირებს, ისე ადამიანებს“, ვეუბნები. „ვატმანთან საუბარი აკრძალულია.“ ვკითხულობ ვაგონის კედელზე და ვსდუმვარ.

კარგად შეღამებული იყო, როცა ალბანოში მოვედით. დუქნების წინ ხალხი ირეოდა. იტალიური ქრიამული ისმის პატარა შუკებში. რამოდენჯერმე მგზავრი შევაჩერე, ბინა მოვიკითხე. სანუგეშო ვერაფერი გავიგე. ის-ის იყო, ისევ რომის დაბრუნებას ვაპირებდი. მოგვწყურდა. ერთ პატარა დუქანში შევედით. მედუქნე მეუბნება:

„ამ სოფელში სათქვენო ბინას ვერ იშოვით. აქ ჰოტელი არაა, რადგანაც უცხოელები აქ რომიდან მოდიან და იმავე დღეს ქალაქში ბრუნდებიან. არის ერთი ძველთა-ძველი სასახლე. იგი იტალიელ ბარონ ჩ...ს ეკუთვნის. ბარონი ფლოტის ოფიცერია, ალბანოში იშვიათად მოდის. ამ ვილლაში ახლა მისი ცოლი და მხლებელი ცხოვრობენ. ცოლი ცოტა ახირებული ადამიანია, როგორც ყოველი ამერიკელი ქალი. იმ ვილლაში კიდევ ხუთი ოჯახი დაეტევა. ვინ იცის ევებ მოგაქირავონ. თუმცა... ამბობს მედუქნე, მე არ გირჩევთ... ის სახლი...“ ერთბაშად შესდგა, თითქოს რაღაც გაახსენდაო. გამოვკითხე, მაგრამ წინადადება ვერ დავამთავრებინე. დამაინტერესა ამ სახლმა. როგორც იყო მივაგენი. ქვიტკირის გალავანით შემორტყმული ძველებური პატრიციის სასახლე, შავი, რკინის ჭიშკარზე რკინის რიკით დავარახუნე. ჭაჭანება არ ისმის. გავედი ქუჩაზე, ეზოდან უშველებელი კვიპაროზის წვეროკინები მოსჩანან. ჭიშკრის ჭუჭრუტანიდან ვხედავ: ეზო ელექტრონითაა განათებული. შავებიანმა მოხუცმა დედაკაცმა გამოგვხედა. ძლიერ საეჭვო სტუმრებად ვეჩვენეთ.

მე შემიმჩნევია: ადამიანს რომ დაველაპარაკები, ადვილად ვახერხებ მისი გულის მონადირებას (რომანულ ქვეყნებში მო-

ხუცი ქალები უმეტესად გულჩვილნი არიან). ამ მოხუცსაც შევეცოდეთ.

„ბარონესსა სხვანაირი ქალია. თუ თავიდანვე კარგი თვალით შემოგხედათ, შეიძლება ორიოდე ოთახი დაგითმოთ, ვიდრე ზღვაზე წავა. ალბანოში გლეხების მეტი არავინაა, ამიტომაც ბარონესსა ძლიერ მოწყენილია. სცადეთ ვინ იცის“..

ვაზის ტალავერს ქვეშ ჰამაკში იწვა ქერა, ხნიერი ქალი. იქვე ზღვის ჭილის დაბალ სკამზე ახალგაზრდა ქალი უჯდა, წიგნს უკითხავდა. ჩვენს დანახვაზე ხნიერი ქალი წამოიწია. ახალგაზრდას მიუბრუნდა: „ბიანკა, ჰკითხე რა უნდათ?“

თეთრი, გრძელი, ლამაზი, სეტერი წამოხტა. ყეფით გამოქანდა, მაგრამ გაისმა პატრონის ხმა:

„ახილ ტე ტუა“.

ახილ შორი ახლო დაცუცქდა და თავისი მრუში თვალები შემოგვაშტერა. ახლა ახალგაზრდა ქალს გავუმეორე, რაც მოხუცს ვუთხარი ჭიშკართან. ბიანკა ისევ მობრუნდა. თავაზიანად გვეუბნება:

„ბარონესსას სურს გაიგოს ვინა ბრძანდებით ან როგორ წარმოიდგინეთ, რომ იგი ვითომდა ოთახებს აქირავებდეს“.

„ჩვენ ძლიერ გვინდა ალბანოში ცხოვრება, სინიორინა. მე ფიქრადაც არ მომსვლია ასეთი რამ მეკადრებინა თქვენი ქალბატონისათვის. მე ალმოსავლეთიდან მოსული პოეტი ვარ, ოვიდის ლექსები მინდოდა მეთარგმნა. თანაც იმ ტბის პირად მეცხოვრა, სადაც ოვიდის უსეირნია ოდესმე“.

მე აქედან ვხედავდი, როცა ბიანკა ჩემს ნათქვამს უამბობდა ბარონესსას, მან გაიღიმა. ერთ ინგლისურ ფრაზას მოვჰკარი ყური:

- „საოცარი კაცი კი უნდა იყოს ეგ ვილაცაა. უთხარი მობრძანდნენ“

მე ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს სხვა ადამიანისთვის პოეტი ვარ მეთქი. ახლა ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა ბარონესსას ნაკითხმა, სხვა პროფესია არ მეგულებოდა, ამიტომ უნებლიეთ წამოვროშე პოეტი ვარ მეთქი, და ვხედავ ამ სიტყვამ მიშველა.

ბარონესა წამოდგა, დიდის მოწიწებით მოგვესალმა. სელის სკამები მოატანინა მსახურს. გამოგვეცნაურა. ერთხელ კიდევ

გაიმეორა, რომ ის სახლს არ აქირავებს, მაგრამ თუ ჩვენ კარგი მეზობლები აღმოვჩნდებით, იგი მზადაა რამოდენიმე თვის განმავლობაში სტუმართმოყვარეობა გაგვიწიოს, მით უმეტეს, რომ ოვიდი მასაც ძლიერ ჰყვარებია. „გარდა ამისა, ჩვენ ამერიკელები არც ისე უგულონი ვართ, როგორც ბევრსა ჰგონია“, ამბობს ბარონესსა. როგორც ყოველი ამერიკელი ქალი, რომელიც ოდესმე შემხვედრია, ბარონესსაც ძლიერ ნაკითხი აღმოჩნდა. იგი აღტაცებულია, რომ „მე შორი აღმოსავლეთიდან მოსულ კაცს“, ბევრი რამ მცოდნია ამერიკის ლიტერატურის შესახებ. მეორე დღეს სამხრობისას მოვედით ალბანოში; ბარონესსას ეძინა. ბიანკამ დამათვალიერებინა სახლი. მე დათვალიერება რომშიაც მოწყენილი მქონდა და არც მეგონა, ალბანოში ახალი რამე თუ მიიქცევდა ჩემს ყურადღებას.

ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, როცა მას გარე სამყაროს მზერა მოსწყინდება და მხოლოდ საკუთარი სულის დაკვირვება და მარტოობა მოენატრება. მეზარება უცხო ადგილას ღამით მისვლა. და თუ ჩემს გარეშე მდებარე საგნები და გარე მიდამო არ დავზვერე, მთელი ღამე არ დამეძინება (არც მე და არც ჯენეტს წინა ღამეს არ გვძინებია. ჩვენს ჰოტელში ჩხრეკა იყო, ფაშისტები ვიღაცას ეძებდნენ. შუაღამეზე აგვაფორიაქეს. პასპორტები გაგვისინჯეს).

გარედან ეს სახლი თვალსაჩინო რამეს არ წარმოადგენდა. ტიპიური ანტიური სასახლე, რომელსაც ზედვე ეტყობა მრავალგზისი რესტავრაცია. წინა ნაწილის შუაგულში ჩვეულებრივი რომაული ატრიუმი. შუშით გადახურული ერდო. უკანა კორპუსში გაყვითლებული დორიული სვეტებით შემორტყმული რომაული პერისტილი. ატრიუმში მიმავალი სხივის ქარვისფერი ათინათი ცახცახებს. პერისტილის შუა-გულში — იატაკზე მოზაიკური სურათი... ბოლოგაშლილი ფარშავანგები და ვენახის ნეში. მოზაიკის ზემოდ ძველებური ბროლის ლაუსტრა ჰკიდია. კედლებთან უშველებელ კასრებში ჩადგმული პალმის ხეები, წერწეტა ქრიზანტემები და ჰორტენზიები. განიერი სელის სავარძლები, ჭილის ოტომანები, მარმარილოს ცარიელი მაგიდები. იქვე თუშური ყველივით დაჩხვლეტილი თეთრი ქვის გეჯა იდვა. ატრიუმის მარცხნითა და მარჯვნით უშველებელი შრამელები იყო. მაღალი, ვიწროფანჯრებიანი

სადგომები. მარჯვნით მდებარე ოთახების სარკმლები რომსა და კამპანიას ველს გადასცქერიან. თითო სადგომში სამსამი ოთახია. მაღალი, უგანო მუქი ხის კარები.

მარცხენა ფლიუგელში ორი პატარა, ვიწრო სარკმლებიანი ოთახი მიგვიჩინა ბიანკამ. საწოლ ოთახის ყრუ კედელში შეჭრილ ნიშებს ქვეშ ლოგინები. საუცხოვო მოზაიკის იატაკი. სასადილო ოთახში მარმარილოს სუფრის გარშემო მეგრული „ტაბაკების“ მსგავსი სამი დაბალი სკამლოგინი იდგა. აქაც მოზაიკებიანი იატაკი. ყველაზე უფრო სამზარეულომ დამაინტერესა. სამზარეულოში სიძველის სუნი დის. ძველი დაჟანგული საფქვილე ალტები, რომაული ბრინჯაოს და თითბერის ჭურჭელი. კირით შელესილ კედლებზე რომაული ოჯახის შინაური ლარების, ოჯახის მფარველი გენიების კულტის ნაშთები. კედლებში პატარა ნიშები, იქვე პატარა საკურთხეველი. ზემო თაროზე ბრინჯაოს პაწია ფიგურები. ორი შიშველი, არდაგაფარებული მოცეკვავე. ერთს მარჯვენა ხელი მომსხვრეული აქვს. მეორეს ყანწი უჭირავს ცალ ხელში. მათ შორის რვალის ძოწრდილი ფიგურა.

„ეს ამ ოჯახის შორეული წინაპრის ქანდაკია“. განმიმარტა ბიანკამ. ფიგურების ზემოთ ასეთი წარწერაა: „Genio M. nostri Laribus duo Diadumeni liberti — გენიუსს მ....ს ჩვენსას, ორი გაათავისუფლებული ყმისაგან“. საკურთხევლის თაროს ქვეშ სალებავჩამორეცხილ კედელზე ორი გველია დახატული. ორივენი მარჯვნიდან და მარცხნიდან მოეშურებიან საკურთხევლისაკენ. ერთ მათგანს, უგრძესს და უდიდესს, თავზე სავარცხელი აქვს დარჭობილი. მინდა გამოვკითხო ბიანკას, თუ რას ნიშნავს ყველაფერი ეს, ან ეგ ორი გველის სურათი ამ საკურთხეველში რისი მაქნისია? მაგრამ არ მინდოდა ჩემი უმეცრება გამომეჩინა იმ ქალის წინაშე, რომელიც ასეთი კრძალვითა და რიდით მეპყრობოდა და ისე მელაპარაკებოდა, როგორც ფრიად განათლებულსა და მცოდნე კაცს. ამიტომაც დუმილი ვარჩიე.

რამოდენიმე ოთახი გადაკეტილი იყო. გრძელი დერეფანი მდუმარედ გავიარეთ და უკანა კარიდან შესულნი წინაკარიდან გამოვედით. კარის ალაგთან წითელი, მწვანე, ყვითელი მარმარილოს ნაკვეთებიდან გაკეთებული მოზაიკური წარწერაა: Have. გარშემო კიდევ მოზაიკურად გამოსახული ვაზის შტო-

ები, ყვავილები, ნაირ-ნაირი ნაყოფი, მარჯვნითა და მარცხნით შიფერის და მარმარილოს ნამცეცებისაგან მოზაიკურად ამოქარგული ორი ტრაგიული მასკა. და მიჰყვება წინა ფასადის კედლის ბარელიეფები: პაწია, ფრთიანი ამურები ზეთს ამზადებენ, იქვე ოქრომჭედელი ამურეტები. პსიქე ყვავილებს ჰკრეფს, სატირების ჯგუფი თიხის ლაგვინებიდან ღვინოს იღებენ ოქროს სასმისებით. იქვე ყვითელ ალმაგებში მუზარადიანი რაინდები, დასასრულ იქსიონის დასჯა. ბაღის შუაგულში ენდროსფერი მარმარილოს ამური სდგას, ბავშურ სარცხვენელიდან წყალი მოჩხრიალებს. შადრევანის გვერდით, ძველებური, რომაული სისვი ქვის ზეთის საწნეხელი.

ბაღის გარშემო სვიით დაბამბული ქვიტკირის კედელი, გაღმა-გამოღმა მაღალი კვიპაროსები სდგანან. შადრევანის ამურის მეტი არაფერია რომაული ამ ბაღში. მეუცხოვა ევროპული ბაღი, ძველ რომაულ სტილზე აგებულ პატრიციის სასახლის გარშემო პინიების და აკაციების საუცხოვო ხეივანია. რიგზე დარგული სამხრეთ ამერიკის ყვავილის — უხარის ბუჩქები. მწვანე გაზონზე იზრდება ამერიკული გუიავა. ნაყოფსავსე ლიმონის, ნარინჯის და ფორთოხლის ხეები. იშვიათი ფიკუსი და ინდიხურმა. მწვანეზე წყვილი შველი ბალახობს. იქვე პატარა ნუკრი წევს ბალახებში. დიდები დაფრთხნენ, ნუკრი არც კი განძრეულა. თავისი უმანკო თვალები შემოგვაშტერა. უშველებელ ხის გალიაში მარტოხელა, თავგადატვლეპილი წერო ყვინთავს. მეზობლად შვენიერი ინდური დედალ-მამალი ხოხობი. მწვანედ შეღებილ მავთულის გალიაში მაღალ ხარიხაზე მოლიბრო ფერის ყორანი — ალბინოსი. ქვემო ხარიხაზე წითელბიბილოიანი ჯუნგლების ველური მამალი ხარიხიდან ჩამოხტა, ულამაზო ბაჯბაჯი დაიწყო, მაგრამ საცოდავს იმოდენა დეზები გაზრდია ამ ტყვეობაში, რომ სიარულს ველარ ახერხებს.

ვეკითხები ბიანკას:

„ეს ყორანი და მამალი არ ჩხუბობენ?

„არასოდეს. ისინი ძლიერ მიეჩვივნენ ერთმანეთს. კიდევ გავიარეთ რამოდენიმე ხეივანი. ნორჩი ცაცხვების რიგებს შუა ოციოდე საფუტკრე ვნახეთ. მოშორებით რამოდენიმე

ადლის სიმაღლე გალიებში თეთრი ინდური თუთიყუშები დახტოდნენ და საძაგელი ხმით ჩხაოდნენ.

„ესეც ჩვენი საყვარელი მაკაკა", გვეუბნება ბიანკა და გვიჩვენებს ხის გალიაში დამწყვდეულ ყვითელ მაიმუნს. მაკაკა ფეტვის მარცვალივით წვრილი, მოყვითალო თვალებით გვიცქერის. ცალ ხელში ფორთოხლის ნაჭერი უჭირავს, ცალითაც მუცელს იფხანს.

„აქ კიდევ ჩვენი მისანი ხვლიკი გეკო სცხოვრობს", გვეუბნება ბიანკა. მავთულის ხლართით რამოდენიმე ქვადრატულ ალაბზე შემორაგვულ ალაგას ქვიტკირის ხელოვნური ხვრელებია. ჩვენ ცოტა ხანს შევჩერდით გეკოს „სასახლესთან". ბიანკამ ფორთოხლის ნაფცქვენი შეაგდო გალიაში. ხვრელიდან გამოძვრა ორიოდე მტკაველის სიგრძის მწვანე ხვლიკი.

მისი ხორკლიანი კანი თითბერის მზის სხივზე ლითონივით ლაპლაპებს; გამხვრეტი მზაკვრული თვალით შემოგვცქერის გეკო და მისი წვრილი თვალები საოცრად ციმციმებენ.

„ეს მიბრძანეთ, სინიორინა ბიანკა, ეს ხვლიკი რაღათ უნდა თქვენ ქალბატონს?" ეკითხება ჯენეტი ბიანკას. ბიანკას ფრანგული არა სცოდნია. მე გადავუთარგმნე.

„ბარონესსას სჯერა, როცა ხანგამოშვებით ღამღამობით აკაკანდება გეკო, მაშინ მიწაზე ფრთების ბარტყუნით გადაირბენს მავნე სული და ეს ნიშანია"...

აგვიხსნა სინიორინა ბიანკამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქება მეექვსე

## 22. რეტდასხმული კურდღელი

პირველ ღამეს არცერთ სახლში არ მეძინება. ამიტომაც... ჩემი უძილო ღამეები... მუდამ სხვის სახლში, სხვის საწოლზე... ვინ სთქვა, საგნებს ზედგავლენა არა აქვთო!? ყოველ საგანში სულია. ამიტომაც ძლიერ ფრთხილად ვარ... ყოველთვის უნდა ვიცოდე, სადა ვარ? ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული ჩემი თვალით უნდა ვნახო. ყოველი ადამიანი ნათელი უნდა იყოს ჩემთვის.

ან რათ მითხრა ბიანკამ: „კიდევ მინდოდა რაღაც მეჩვენებინა, მაგრამ ბარონესსას დიდიხანია გადაკეტილი აქვს რამოდენიმე ოთახი. იქ არავინ სცხოვრობს. ათასში ერთხელ, როცა ბარონი ჩამოვა, თაფლის სანთლებს აანთებენ, ბნელ ოთახებში შედიან. კარებს ჩაიკეტავენ. საღამომდის იქ არიან“. ნეტავ რა უნდოდა ეთქვა ბიანკას? ან რა უნდა ეჩვენებინა? მე ვერ ვისვენებ გამოკეტილ სახლებისა და გაუქმებულ ეკლესიის გვერდით. მე თუ მკითხავთ, კარგამოკეტილი ადამიანის საცხოვრებელი თვალებგამოლამებულ ეკლესიებზე. უარესია.

პაპიროსს ვუკიდებ. გვერდს ვიცვლი. თეთრად შეღებილ კედელს შევსცქერი. ხანდახან უბრალო კირით შეღებილი კედელი უფრო ბევრ აზრს აღმიძრავს, ვიდრე მთელი ქვეყნის მუზეუმები და გამოფენები. ახლა ისევ პირაღმა ვწევარ რომაელი პატრიციის სახლში. როგორ ეწერა ლარების საკურთხევლის თაროსთან? „გენიუსს მ...ს ჩვენსას, ორი განთავისუფლებული ყმისაგან“. ვინ უნდა იყოს ეს მ...? ან ეს ორი განთავისუფლებული ყმა ვინღაა? ან როგორ შეიძლება კაცის განთავისუფლება? მაშინ იგი ხომ კაცი აღარ იქნება, არამედ — ღმერთი. თუ არც ერთი, არც მეორე? მაშ ვინღა სდგას მათ შორის? ძეკაცის მსგავსი, ორლესული მახვილი პირში... ეშმაკ-

მაც წაიღოს მისი გასაგისი! პაპიროსი ჩამიქრა. ვხედავ, შევცდი სწორედ, ამ სახლში რომ დავბინავდი. ცოოფ, ცოოფ...

არც ამ ამერიკელი ქალის ზედმეტი თავაზიანობა მომწონს, გამომიცდია. მარტოხელა ქალები ცოლიან მამაკაცებს სახლში არ უშვებენ. ეს ბიანკაც მაფიქრებს. ხანდახან თავის ფართე, ნამრუდისფერ თვალებს შემომაშტერებს. პირში სიტყვა უწყდება. სიტყვაძუნწი ადამიანი უნდა იყოს. ვინ იცის, ეგებ ერთ შვენიერ დღეს მის პირშიაც აელვარდეს ორლესული მახვილი, ცეცხლში გავლებული სიტყვები შემომაფრქვიოს სახეში და დაისეტყვოს ჩემი სული.

ხომ ამბობდა ტაია შელია: „ყოველი ადამიანი, ყოველი ცხოველი, ყოველი საგანი სახიფათოა, დროს გააჩნია მხოლოდ“. არც ის მომწონს, ალბანოში მომავალთ გზაში კურდღელი რომ შეგვეფეთა. დალახვროს ღმერთმა! არც ისა, რაც მედუქნეს წამოსცდა, სთქვა და არ დაათავა. ამალამ ჩვენ აქ ვწევართ. ვინ იცის, ლარების საკურთხეველში რა ამბავია! შეიძლება ყვითელმა ლანდმა აქაც მომაგნოს. ძველი ლაზის სისხლი დაიღვაროს ძველი რომაელის სარეცელზე. მისი სახეც რომ ვერ მომიგონებია? როგორი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ჩემს მოკვლას ლამობს? თუ პირდაპირ შემხვდა, ვიცი, არ შევარცხვენ არგვეთის მთავარს. მაგრამ თუ ბნელი მოიშველია, მე რაღა ვუყო ბნელს? არც ის მესმის, მე როგორ უნდა მოვკვდე? სად წავა მაშინ ჩემი თვალების სინათლე, ჩემი მკლავების ძალა, ჩემი მუხლების სიმაგრე, ჩემი ხმის ფოლადისებრი წკრიალი? სად, სად, სად? მითხარით!

ჩემი სხეულის ყოველი ნაჩვლეტიდან გადმოსქდა ოფლი. მალიმალ ვიცვლი გვერდს. ვწრიალებ და ვშფოთავ. არ მეძინება, არ მესვენება, არ მინდა ფიქრი, არ მინდა აზრი...

დაბნელდეს თუნდაც ჩემი გონება. დალეღმილ შვავივით ჩამოიქცნენ საგნები. მოვიდეს თუნდაც ყვითელჯუბიანიც, ან ლაწვმაღალი მონღოლი და შესვან ჩემი აზრებით მოწამლული და გაცოფებული სისხლი... ოღონდ მომასვენონ...

ვწევარ პირაღმა. ოფლის ნიჟი მოცოცავს საფეთქელზე, ხელები მკერდზე მაქვს დაწყობილი.

ქაჯების ენაზე მომინდა ლაპარაკი. აზალაგანი: ზაზალაგანი: იკართი: მიკარჲი: ალასმერთი: არა ღმერთი: არა წმინდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახპა მადონა...

მე შენ მიყვარხარ.

ცოოფ... ცოოფ... ცოოფ...

რაო? გავხელდი. მკლავზე ვიკბინე. ცოტა დამამშვიდა. პირჯვარს ვიწერ.

არ უნდა იფიქრო კაცმა. არც ბნელ კუნჭულებში ჩახედვაა საჭირო. არც რამე უნდა იცოდე. ბიანკა ამბობდა: ამ სახლში გერმანიის იმპერატორი ოტტო პირველი ყოფილა. მისტიკოსი და ალქიმიკოსი, კოლა დერიენცოს დროის ტირანის ბატონ ტ...ს სახლში. ვინ იცის, ვინ არ წოლილა ამ ვიწრო კედლებს შორის. რომაელი პატრიცი მ... მისი შვილი, იმისი შვილი, შვილის შვილის შვილის შვილი, და ეს ფლოტის კაპიტანი, უცხო ქვეყანაში რომ დაყიალობს ჩემსავით. მე არ მომწონს ეს ანტიურაჟი. არც ის მომწონს, რომ არ თენდება. ამაზრზენი ფიქრი მივლის ამხელა ბნელზე ფიქრით (ბავშვობაში თუ მიგრძვნია ასეთი შიში სიბნელეში). ჩემი სხეული დაპატარავდა. ხელი შევივლე ხელზე. ჩემი მკლავები — მასრებივით წვრილა. ჩემი მკერდი — გამხდარი. ჩემი სული — გაცოფებული და დაუდგრომელი. ჩემი ენა — ქაჯების ენა. ეგებ მოვიდეს სიბნელე. ლარების საკურთხევლის გველივით მიეპაროს მზეს, დალორწოს და ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალივით გააქროს. არც ის ვარგა, საკურთხეველზე დიდი ცეცხლი ენთოს. მიწაზე დიდი სინათლე იდგეს. ისევ რაღაც საშინელისა და გაუგონარის წართქმას ვლამობ (სიტყვა ორლესული მახვილივით საშიშია!). ახალი პაპიროსი... ენა მერევა. ისევ მარჩბივი სიტყვები... ხმამაღლა ვამბობ მხოლოდ: სინათლისაგან რეტდასხმული კურდღელი.

ეს არავის გაუგონია, პაპიროსი გადავაგდე. ორივე ხელებს ვიფარებ თვალებზე. მაგრად ვიხუჭავ თვალს. ვიკავებ სუნთქვას და მიხარია ეს წამიერი არასუნთქვა და არაყოფნა.

სინათლისაგან რეტდასხმული კურდღელი ტაია შელიას უკუღმართ გზაზე.

მურუჟიანი სინათლე მოაწვა ფანჯრებს. ბაღიდან ისმის გვეკის კივილი.

## 38. სიესტა

მე მიყვარს დროის გარეშე ცხოვრება. ალბათ მოშორებული მთელი ქვეყნის დრტვინვას. ჯიბის საათი გამიჩერდა. ჩვენი სახლის კედელზე მზის საათია. მზიან დღეში მას ვუყურებ. ღამით მახლობელი ეკლესიის საათი რეკავს, რეკავს. მე არ ვითვლი. რეკონ მთელი ქვეყნის საათებმა. ამ დილით მამლის ყივილი გავიგონე. გამეხარდა. ჩემი სოფელი გამახსენდა (შვიდი წელი იქნება, რაც მამლის ყივილი არ გამიგონია). დილას ატრიუმში გამოვედით მე და ჯენეტი. ვაზის ტალავერთან ბართნესსა და ბიანკა სდგანან. აუარებელი ტრედები დასევიან. აპურებენ. ტრედები დაფართფატებენ ბიანკას ქერა თავზე. სოფელში გავდივარ. ერთ დუქანში შევუხვიე. ცოტა ღვინო მოვითხოვე მედუქნე — ფრანჩესკო, გაზეთს კითხულობს.

„რა სწერია, ფრანჩესკო, გაზეთებში?“ საოცარი ამბები ხდება თურმე ამ ქვეყნად: ლლოიდ ჯორჯი პარიზს ჩასულა; შოტლანდიაში ერთი ავიატორი დამსხვრეულა. პარიზის ოპერის არტისტს ამერიკელ მილიარდერისთვის ცოლი წაურთმევია. აჰა. კლემანსო ვეფხვებზე სანადიროდ წასულა ინდოეთს? ფრანჩესკოს მე დიდი პოლიტიკოსი ვგონივარ. მეკითხება, რა მოხდება ამ მოკლე ხანში?

მე რა ვიცი, ჩემო ფრანჩესკო. მე ისიც არ ვიცი, ამაღამ რა მოხდება? რაც უნდა, ის მოხდეს.

„ყველაფერს ბედი უნდა, ვეუბნები ფრანჩესკოს, კლემანსოს ძაღლის ბედი აქვს. იტალიაში ჩამოსვლამდის მე ინდოეთს ვაპირებდი... გემი ავრორა გადიოდა მარსელიდან ბომბეისკენ. ჩემი ბედი, მატარებელში დამძინებია. ავრორამ გამასწრო მეხუთე დღეს მილანოში გავიგე, ჩემი ავრორა მადაგასკარის ახლოს ზღვის ნაღმს წასწყდომია და დაღუპულა.

კარგი არ ვქენი, ფრანჩესკო, ინდოეთს რომ არ წავედი?

„ო, კარგი ბედი გქონია სწორედ, სინიორე.

„ახლა თევზების სტომაქში ვიქნებოდი. ფრანჩესკო, არა?“

ფრანჩესკო თხის ღმერთივით იღრიჭება. თავი ამტკივდა. შინ წავედი.

ნასადილევს მე და ჯენეტი ვაზის ტალავერს ქვეშ შევხვდით

ბიანკას. რაღაცას ხატავდა. ბიანკა წამოდგა. სელის სავარძელი მოგვაწოდა. ცოტა ხანს უხერხული დუმილი იდგა.

„ველარა ვხატავ, სინიორა“, ეუბნება ჯენეტს... თავის პატარა, შვენიერ თითებს უჩვენებს.

„ჩემმა დონამ იტალიური არ იცის“. გავუმეორე ბიანკას.

„Pecato, Pecato“, ამბობს. გამოირკვა: ბარონესსას წერილები მანქანაზე უნდა ბეჭდოს სინიორინა ბიანკამ. ხელებზე კოჟრები გასჩენია საცოდავ გოგონას. ბარონესსას გარე სამყაროსთან მხოლოდ წერილობითი ურთიერთობა ჰქონია. უამრავი წერილი მოსდის თურმე ბომბეის, კალკუტას, ტოკიოს, ბრაჰმანებისა და იოგებისაგან. ომამდის იგი ერთ-ერთი ევროპული მასსონთა ლოჟის დიდი ოსტატი ყოფილა. ახლაც განუწყვეტელ მიწერ-მოწერას აწარმოებს მასთან ლონდონის მასსონთა ლოჟის უხუცესი მეგრდემლე: იგი მოწადინებულია ბარონესსას დააკისროს ავსტრალიაში ახლადგახსნილი ლოჟის ხელმძღვანელობა. მაგრამ, რაკი ევროპელმა მასსონებმა მსოფლიო ომის ჩაქრობა ველარ შესძლეს, ბარონესსას გული ასცრუებია მასსონებზე. ახლა მას მხოლოდ ბრაჰმანისტებთან ჰქონია კავშირი.

ბარონესსა დიდი ქველმოქმედი ყოფილა. მას მოუწყვია რამოდენიმე ხანაგა იტალიელ უპატრონო ბავშვებისა და მათხოვრებისათვის. რაც დრო მიდის, იგი უფრო მეტად რწმუნდება, რომ ღვთაებრივი ინტელექტი მარტო ადამიანში არ არის. ხშირად მარხულობს. ხორცს არა სჭამს. მარტო ამ ეზოში ხუთიათასი მტრედი ჰყავს, ამოდენივე ონაგა.

„თქვენ როგორ გგონიათ, სინიორინა ბიანკა, ბარონესსა ბედნიერია?“

„რა ვიცი, ვგონებ ბედნიერი უნდა იყოს. ვინც სიყვარულის ცეცხლზე ხელებს გაითბობს, ალბათ ყველა ბედნიერია, რადგან სიყვარული უფრო მაღალია, ვიდრე სიმდიდრე და ცოდნა“.

„სიყვარული ხიდია ღმერთსა და კაცს შორის. უმისოდ ღმერთი წვიმას არ გამოაგზავნინებდა ჯიქანსჭელ ღრუბლებს. არც ბალახი ამოვიდოდა მიწაზე. ხომ ხედავთ, ისევ აირია მარადი რომი, ეგ იმიტომ, რომ ელექტრონის მაშინებმა ადამიანებს სიყვარული გადაავიწყეს“.

ბიანკა გაჩუმდა.

„მეც ასე მგონია, სინიორინა ბიანკა: უსიყვარულოდ ჯიბ- ჭველასავით წელში გაწყდებოდა ჩვენი ბებერი დედამიწა. არა?“

ბიანკა თავს მიქნევს. ნამრუდის ფერ თვალებით შემომ- ცქერის.

## 21. ორძილი

ღილით უსიამოვნო სიზმარს ავყევი. ტალავერს ქვეშ ბა- რონესსა და ვილაც ზღვის ოფიცერი საუბრობდნენ. ბიანკამ ხმდიარა.

„ვინ არის ეგ კაცი, სინიორინა ბიანკა?“

„ბარონესსას მეუღლეა“. ბიანკა მიამბობს, რომ ცოლქმა- რი თვით ვენეციას წავლენ. მე მარტო ვიქნებით.

„მარტო ყოფნის ხომ არ გეშინიათ, სინიორინა?“

„საერთოდ მარტოობის არ მეშინია, მაგრამ ამ სახლში..“

მე დავკითხე, მაგრამ ისევ ბაზზე ამიგდო სიტყვა. ცნობის მოყვარეობის გამოჩენა არ მინდოდა. გავჩუმდი.

„ხშირად ხართ მარტო, სინიორინა?“

„ბოლოს და ბოლოს ყოველი ადამიანი მარტოა თავის ღმერთში“.

„ეს როგორ უნდა გავიგო, სინიორინა?“

„ულმერთოდ ჩვენ ხომ არარა ვართ. ულმერთოდ ჩვენი სუ- ლი გაბზარულ ზარასავით ჟღრიალებს“.

სინიორინა ბიანკა. კიდევ მიმეორებს, რომ მე თურმე ღმერთს გამოვუგზავნივარ აქ „შორი აღმოსავლეთიდან.“

„ალბანოში მამა ჯიოვანის მეტი არავინაა, ადამიანი რომ დაელაპარაკოს... ალბანოში ყოველი ადამიანი აქვარიუმის შუ- შაში ჩამწყვდეულ თევზსა ჰგავს. როცა თქვენ გელაპარაკე- ბით, ჩემი სული აღარა ჰგავს გაბზარულ ზარას.

იცით, დოტორე*, რა ძნელია ისეთი ადამიანის შეხვედრა, რომელიც გაგიგებს და შეგივრდომებს. ხანდახან, ასე მგონია,

---

* იტალ. დოქტორი.

რომ მე მართლაც სულით გლახაკი ვარ. გზის პირად მიგდებულ, დამტვრეულ ჩირგვსავით უპატრონო და მზედალეული, ყველას გამოელევა ჩემთვის ნათელი ღიმილი, ყველას გაუწყდება პირში ორიოდე ტფილი სიტყვა. მაშინ მე ვგრძნობ, რომ უკეთესი იქნებოდა სულ არ გავჩენილიყავ... აღარ მოეცა ჩემთვის განგებას აღარც სუნთქვა, არცა ამოსუნთქვა. მაგრამ ხანდახან, დოტორე, მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. მე უპატრონო, უნათესაო და ობოლი.

არ მახსოვს არც დედის ალერსი, არც მამის გამოქომაგება. დედა — ჩემს გაჩენას შეეწირა, მამა საშინელმა მატარებელმა მომიკლა სიმთვრალეში, ბოლონიასთან. ბარონესსას ვებრალები, მაგრამ ვისაც ებრალები, მას არ უყვარხარ, ან დედასავით სხვა ქალმა როგორ უნდა შეგიყვაროს! ხანდახან მაინც ბედნიერი ვარ. ასეთ წუთებში მე ჩემი სხეული მავიწყდება, საგნები სიმძიმეს, სიმაგრეს და სიბრტყეს ჰკარგავენ. მე სინათლისაგან დაბრმავებულ კურდღელს ვემსგავსები, თქვენ რომ მიამბობდით, ისეთ კურდღელს".

ბიანკა სელის სკამზე ჩამოჯდა. თავისი წინსაფარის კალთა აილო არშიების ფოჩებს წეწავს. საკუთარ მუხლის თავებს დასჩერებია.

„მე ხშირად ვფიქრობ, დოტორე, განაგრძობს ბიანკა, თქვენი აქ მოსვლა რაღაც სასწაული იყო. მთელი ღამეები ვფიქრობ იმ კურდღელზე. ჩვენთვისაც ასეთივე ჰიპნოზია ღმერთი, როგორც იმ საცოდავი პირუტყვისთვის ელექტროს შუქი. ვაი მას, ვინც გაჩერდება, ვაი მას, ვინც მის ბრწყინვალე ეტლს გადაუსწრებს! თქვენ ხომ იცით, დოტორე, ის კურდღელი სადგურის ახლოს მოუკლავთ ალბანოს მეისრეებს."

„ეს, სინიორინა ბიანკა, ჩვენ ისე ცოტა ვიცით ჩვენი სულის სარბიელის შესახებ, რამდენიც შორეული პლანეტების ცვალებად ეტლებზე".

„განა შეუძლია ადამიანს რაიმეს ცოდნა, დოტორე?"

„არა მგონია სინიორინა ბიანკა რომ ადამიანს ჭეშმარიტების მიღწევა შეეძლოს. ჩვენ ყველანი მართლაც გაბზარული ზარებივით ვჟღრიალებთ, ჩვენი სიტყვები ბნელ ღამეში დაფეთებულ ფრინველებსა ჰგვანან. ნეტარ იყვნენ უკუნეთის დუმილის მსმენელნი, რადგან დუმილშია ყველას სამარე. ნე-

ტარ იყვნენ მგლოვიარენი სულითა, რადგან მათთვის სიზმარია დღევანდელობა“.

„განა თქვენ მართლა გჯერათ სინამდვილე, დოტორე?“

„მე სიზმარსაც და სინამდვილესაც ორძილს ვეძახი, სინიორინა ბიანკა. ხშირად სიზმარში უფრო კარგად ვერკვევი. სიზმარში ვხედავ მოსალოდნელ სიმძიმილსა და სიხარულსაც. განა ჩვენი სინამდვილე თვით სიზმარზე უსიზმარესი არ არის?“

ჩვენს საუბარს ჯენეტმა მოუსწრო. ორივენი საუზმეზე მივიპატიჟე.

გაჰქანდნენ დღეები აბრეშუმის ხალიჩებზე.

შაბათობით სამივენი ეკლესიაში დავდივართ. მესის შემდეგ, როცა ყველანი წავლენ, ბიანკა მიუჯდება ორღანს და ჩემ საყვარელ სებასტიან ბახს უკრავს. უსაზღვრო სიმაღლეზე აჰყავს მაშინ ჩემი სული ალბანოს ეკლესიის ორღანის წკრიალა სალამურებს. ხანაც ალბანოს ტბის პირად ვსეირნობთ. როცა ბინდი ჩამოეშვება და ოქსინოთი და სტავრით შეიმოსება ცა დასავლეთით, მაშინ ჩვენ რომაული გალავნის ნანგრევზე ავდივართ და შევსცქერით ტირეის ზღვაში გადაშვებულ ლალისფრად მოკაშკაშე მზეს.

## 25. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ისევ გაზაფხული წამომესწრო სხვის ქვეყანაში. ჩუმი ვარამით მევსება გული. აყვავდა ბაღში თეთრი ლაქაში, თეთრი ნასარი, თეთრი გვირილა. ჩვენს ფანჯრის გასწვრივ მდგარი ალუჩა — ტაია შელიას ჩიჩილაკს რომ დამსგავსებია (ამდენი ხანია აქ ვცხოვრობ, ეს ალუჩა არ შემიმჩნევია!). ორი ნუშის ხე იდგა კვიპაროზების ხეივანში. ორი პატარა ხე. მე მგონია, ისინი მიჯნურები უნდა ყოფილიყვნენ. იდგნენ ორივე განაზული და გატრუნული. უცდიდნენ გაზაფხულს და ილიმებოდნენ კვირტები. ახლა ვხედავ. ერთი მათგანი მომკვდარა. ენატანია ქარს აღარ მიაქვს ყვავილის თესლი ყვავილის თესლთან. მივდივარ ახლოს გადარჩენილთან. თეთრი, სულ თეთრი ლოკოკინები, თეთრი ყვავილის ღიმილები, სადაფი... სადაფი...

თეთრი. როგორი ნაზი, ლონთქოში, სათუთი და საყვარელი შტოები აქვს ცოცხალ ნუშის ხეს! მინდა მივეალერსო, ვეცული ქოჩორზე ხელი გადავუსვა ობოლ ნუშის ხეს. მეორე რასა ჰგავს! სახე ჩამოსტირის. შტოები შემხმარი აქვს, კვირტები დამზრალი. მოხუცებულ, ბერწ დედაკაცს არა ჰგავს ეს გამხმარი ნუში? სდგას ამ პირგაბადრულ ხეებს შორის, სცხოვრობს ამ მწვანე სამოთხეში, არც მწვანე ფოთოლი, არც თეთრი ყვავილი... შემოძარცვია სოლომონ მეფის ძოწეულზე უტურფესი სამოსი. ქუჩის მათხოვარს დამსგავსებია. სდგას დაღვრემილი, გულჯავრიანი, გაფითრებული ნუშის ხე, როგორც სიკვდილს პირგამშრალი ლანდი, ყვავილოვანი ქალწულების მხიარულ მასკარადში შემოპარული. მე მკვდარი არ მეცოდება, მე მეცოდება ეს მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა აყვავებული ნუშის ხე (რადგან მე ყველა მეცოდება, ვინც ჩემსავით უნაყოფოდ უნდა გადაეგოს!). აყვავებულა სამხრეთამერიკის გუავა, სახლის კედლებზე აცოცებულა სვია, აყვავებულან ეს ცაცხვებიც საფუტკრეებთან. ზუზუნებენ, დაფარფატებენ ბუდრუგუნა ფუტკრები, მათ იფქლის მარცვალის ოდენა მოსაკითხები მიაქვთ თავიანთ სკაში. ბალახებშიც დიდი მოძრაობაა. წითელი, მწვანე, სმარაგდის ფერი, სინგურის ფერი ბუზანკალები, ჭიალუები ფრთიანი და უფრთო მწერები დაფუსფუსებენ ყველა თავის გზაზე, ყველა თავის სახლში... ყველა თავის საქმეს აკეთებს. მივჰყვები ცაცხვების ხეივანს.

ხეები, ხეები, მშვიდი, ნაზი, თავმდაბალი, წყნარი ხეები! რამდენ სიხარულს და მწუხარებას გვიმალავენ ჩვენ ეს ხეები; ამ მაღალ ცაზე, ამ აქატის ღრუბლებზე მეტ მწუხარებას და სიხარულს მგვრიან ეს ხეები!...

მე ყველაფერს ავიტან სხვის ქვეყანაში, სიმშილს, სიცივეს, სიღარიბეს და მარტოობას, ოღონდ ნუ მაჩვენებთ ხეების აყვავებას და ფოთლის ცვენას, ნუღარ მაჩვენებთ მათს სიხარულს და მწუხარებას სხვის ქვეყანაში. მინდა ვიარო სოფლის შარებზე, მწვანე ველებზე. დავწვე პირაღმა გაშლილ მინდორზე. რომაულ კედლის გადაღმა გადავდივარ, პატარა კოპიტნარი მეგულება ალბანოს ტბასთან. მივდივარ იმ კოპიტებთან, გულჯავრიანი შევსცქერი. აჰ, როგორ ჰგვანან ისინი სამეგრელოს კოპიტებს! ალბანო-რომის თემშარაზე დარგული

ალვის ხეებიც მე მაგონებენ ჩვენი სოფლის ალვისა ხეებს. ეს იყო ნატვრა ერთადერთი ჩემი ბავშვობის: ჩემი ისარი ალვის ხეებს გადასცდენოდა.

ახლა, მე უკვე აღარ ვარ ბავშვი! აღარც მაქვს მშვილდი, აღარც ისარი. არც დამრჩა ნატვრა და ცეზარების გვირგვინიც რომ დამადგათ თავზე, მე თქვენ ამ ამბით ვერ გამაკვირვებთ. მრცხვენია კიდეც, გავამხილო საჯაყი საქმე: ჩვენი სოფელა უცხოეთში რომ მომენატრა. მე მომენატრა ჩვენი სოფლის ბნელი შუკები, ბროწეულების აყვავება თხრილებს გადაღმა ახლა მთელ სოფელს სძინავს ალბათ. არსად ჭაჭანი. ხანდახან ისმის ძაღლის ყეფა, ჭოტის კივილი. ან და წისქვილის მაღალ ჯებირს ასკდება წყალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მეშვიდე

## 26. უცნობის საფლავზე წართქმული

ამ სახლში ცუდი სიზმრები დამჩემდა.

მეზმანა: მე და ჯენეტი ვწევართ ჩვენს ოთახში. უშველებელი, სავარცხლიანი გველი ამოდის ჩვენს საწოლზე. ჯენეტმა იკივლა, ლოგინიდან გადავარდა. მე არ გავნძრეულვარ, ორი თითი ტუჩზე მივიტანე. შევულოცე. გაშეშდა. უშველებელი ფრთა გამოესხა, პირი იბრუნა, შრიალით გაფრინდა. უთენია გამომეღვიძა. სარკმლიდან ტრელი სინათლე შემოდიოდა. ჯენეტს საბანი გადაეძრო, საცოდავად მოკრუნჩხული იწვა. გაყვითლებული, გამხდარი სახე. თვალების გარშემო მოლიბრო ზოლები. ღაწვსა და თვალს შორის ჩიტის ნაკვალევის მსგავსი ნაოჭები, უწესრიგოდ ჩამოშლილ თმას ჩვეულებრივი ელვარება დაჰკარგვია. პატარა, კაპრიზული ტუჩები გალურჯებია. მე ვუახლოვდები. მძინარე უსიამოვნოდ იშმუშნება და კვნესის. გვერდი იცვალა. შევსცქერი: როგორ დალარიბებულა მისი სავსე მკერდი! ულაზათოდ ჩამოშვებული თხელი, ქელესავით რბილი ძუძუები. ძალზე გამხდარი, ძველი სპილოს ძვლის ფერი ტანი. ვეღარ გავუძელი მის ყურებას. ქუდი და ჯოხი ავიღე, სახლიდან გაველი. მოღუშული ვარანგიანი ცა საწვიმრად ემზადებოდა. ქვიშისფერი ღრუბლები ზანტად მიმოდიოდნენ. სოფლის სასაფლაოზე წაველი. წინა ღამის ცვარი ახალი საფლავების გარშემო დარგულ თეთრ ყვავილების წამწამებს დაჰკანკალებდა. ბნელ ღამეს გამოეტირნა მიწაში დარჩენილი ადამიანები. ობოლი ცრემლებით შეგებებოდნენ ყვავილები მერუჟიან წყვდიადს. ნელა, სულ ნელა ქანაობდნენ კვიპაროზების წვეროკინები, საათის შანდლებივით იდგნენ მაღალი კვიპაროზები: რბილ ილლიებს ქვეშ ინახავდნენ მგლოვიარე სერაფიმები დაკარგულ სულების ხსოვნას. პატარა ადამიანების საფ-

ლავები ალბანოს პატარა სასაფლაოზე! რამოდენიმე წარწერა ამოვიკითხე. ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, ყველანი ამ ქვეყნიურ ამაოებას მოსთქვამენ. ეხვეწებიან გზად გამვლელს: მშვიდობა უთხარი, წამკითხველო. ზოგიერთ საფლავზე ანთებული ლიფლიფები ბჟუტავენ, სინგურისფერ სხივებს აფრქვევენ.

ჯერ მესაფლავეს არ ჩამოუვლია!

(ევროპელები მარტო იმისათვისაც არიან პატივისცემის ღირსნი, რომ სასაფლაოებს კარგად უვლიან). მივჰყვები კვიპაროზების ხეივანს. უგემურად გაკეთებული პატარა მარმარილოს ანგელოზები, აქა-იქ სავსებით გახუნებული ფოტოგრაფიული სურათები. ერთმა საფლავის ლოდმა მიიქცია ჩემი ყურადღება. უშველებელი, რუხი, სანახევროდ დახავსებული, ცალ მხარეზე ჩავარდნილი ლოდი. კიდევ ორიოდე წელი, — ეს ლოდი მთლად ჩაეფლება მიწაში. მიცვალებულის სახელი და გვარი აღარ სჩანს. ორიოდე ლათინური სიტყვის ამოკითხვა მოვახერხე: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“.

ვინა წევს, ნეტავი, ამ ლოდს ქვეშ? გლეხი, მხედარი, პოეტი, მღვდელი თუ ქალი? ეგებ რაინდი, საგმირო საქმეების მაძიებელი? ეგებ მიჯნური, უნუგეშოდ შეყვარებული? ვინც გინდა იყავ, ძმაო უცნობო და დაკარგულო, ეგებ შენ ჩემებრ მოხეტიალე იყავ ოდესმე და უცხოეთში შემოგაღამდა. ეგებ შენც ჩემსავით არ გიყვარდა უცხოეთი, ბედმა გაგწირა, უცხო მიწა გადაგათვარა.

„....ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო!“ ეს სიტყვები დაბადებაში ამომიკითხავს, ათასჯერ მინახავს სხვის ნაწერებში, რამდენჯერ ეკლესიაში გამიგონია!... არასოდეს მომწვდენია ამ სიტყვების ფარული შხამი. არასოდეს მათ ისეთი მძიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ, როგორც ამ დილას, ალბანოს უსახელო ლოდის დანახვაზე.

სიტყვა ხომ გამოსროლილ ტყვიასავით ბრმაა და დაუნდობელი. ხშირად ათასობით გადაგირბენს თავზე ზუზუნით. შენს სულის სარკმელთან დაიწყებს ფართფატს, მაგრამ მაინც ველარ მოგწვდება. ხანაც მოულოდნელად დაგეძგერება და უკურნებელი გესლით დაგკოდავს.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო!“... ვამბობ ჩემთვის და ვაღებ სასაფლაოს მწვანედშეღებილ რკინის ჭიშკარს,

უმიზნოდ მივხეტიალებ ალბანოს მტვერიან თემშარაზე. ჩემი გონების თვალისწინ გაიარეს იტალიის დიდებული ტაძრების, სასახლეების, მუზეუმების ლანდებმა, მარადი რომის უკუნი ფოლადის კბილებით დაღეჭილმა ძეგლებმა, პომპეის ბნელთალიანმა გვირაბებმა, ჩანაცრულმა საკურთხევლებმა და საკერპოებმა... სინემატოგრაფიულ ლენტების სისწრაფით ჩამირბინეს ბნელმა საუკუნოებმა.

ამაზრზენი ფიქრი მივლის, როცა წარმოვიდგენ, რომ შეიძლება ყველაფერი, რაც დღეს ადამიანობისათვის თვალსაჩინოა და საამაყო, ოდესმე ალბანოს გადაფერდებულ, უსახელო ლოდს დაემსგავსოს.

ხმამაღლა ვამბობ: ათასეული წელი თვალთა შენთა წინაშე, როგორც გუშინდელი დღე...

## 27. სადღეგრძელო

იმ დღეს სოფელში რაღაც დღეობა უნდა ყოფილიყო. სადღესასწაულოდ მორთული ხალხი ჭიშკრებისა და დუქნების წინ ირევა. ვგრძნობ პროვინციელების ცნობისმოყვარე თვალებს. დედაკაცების და გოგო-ბიჭების ჩურჩული მომესმის: „ტედესკო მოდის“. (ამიტომაც არ მიყვარს სოფელში გავლა). ტბის პირად გავისეირნე. აქ ძლიერ ნესტიანი ჰაერი იდგა. ისევ შარაგზაზე გამოვედი. ერთი დუქნის წინ შეკაზმული ცხენება.

ევროპაში მრავალი ჯიშიანი ცხენი მინახავს, მაგრამ ასე ლამაზი იშვიათად შემხვედრია. ჩერქეზულ ვაყასა ჰგავს.

დუქნიდან ციტრის ხმა მოისმის. დავინტერესდი. კარებთან ჩამოკიდებულ ფარდას გადავსწიე. დუქანში შევედი. მედუქნე ფრანჩესკო გამომეგება. მოხარშულ კიბოსავით წითელი სახე დაემანჭა. მომღიმარ სატირსა ჰგავს. დუქანში წინაღამით ქორწილი გადაეხადათ. ნეფე-დედოფალი ადრე წასულან. მაყრები და მდადეები განაგრძობენ ღრეობას. ქალებს თეთრი გვირილები შემოჭკნობოდათ მწვანე გულისპირების სალილეებზე. მწვანექუდიანი, ტიროლურად ჩაცმული ვაჟი სევდიანად აწკრიალებდა ციტრას. დიდთავა, გოჯა ბიჭი ციმბალს უკრავ-

და. მთვრალი, ლოყალაჟღაჟა დიაცები ჭიანურს აკვნესებდნენ. მეჭიანურეებს თვალები უშტერდებოდათ, გოჯა უდარდელად აფშუტუნებდა თავის ციმბალს.

მოცეკვავეთა როკვასა და მუსიკას შორის ყოველივე კავშირი გაწყვეტილა. ჩემს დანახვაზე საშინელი ღრიანცელი: „ტედესკო, ტედესკო!“.

ქუდი მოვიხადე. ყველას მივესალმე. ფრანჩესკომ გვერდით მომისვა. ალტყინების ეშმური ატოკებდა გონებადაკარგულ ტუმროების ფეხებს. შავგვრემანი გლეხები ქორივით თავს დასტრიალებდნენ გაწითლებულ, მთვრალ დედაკაცებს. ზოგს ძალდაუნებურად აცეკვებდნენ, ზოგსაც ურცხვად კოცნიდნენ. იდლიაში ხელს უყოფდნენ, ძუძუებს უსრესდნენ (ოფლიანი, გამოეშილი საცვლების არშიები უჩანდათ ქალებს!). თეთრებიანი ახალგაზრდა გოგონა მორცხვობდა, მარდად უსხლტებოდა ხელიდან შავქუდიან, ახმახ გლეხს, რომელიც ფრთამოტეხილ ძერასავით დაბობღავდა ქალწულის გარშემო (დავინჩის რაინის სამკაულიან ქალწულს ჰგავდა ეს გოგონა). კისერზე შავი გიშრის კრიალოსანი ეკიდა. უშველებელს ღამის პეპლებს მაგონებენ მისი შავი, იტალიური თვალები. ცეკვავდნენ ალბანოს სალახანა ვაჟები და კაჰპები. ყველა ბნელი ხისხლის გახელებას აჰყოლოდა, მაყრებს და მდადეებს დიონისო ჩასვლოდათ გვამში. სახეები ტრაგიულ, ბერძნულ ნიღაბებივით ელრიჯებოდათ. ქალებსაც ველური ყიჟინი და ღრიანცელი ამოხდებოდათ ხანდახან ულაზათოდ შეღებილ პირიდან. იძალა მუსიკის ღმერთმა. ორკესტრის ჯადოსნურმა ძალამ სულ მალე შეიტანა ჰარმონია მოცეკვავეთა უმსგავსო ჯანჯალში. გასწორდნენ, გაიმართნენ დაღრეჯილი სახეები, მოუხეშავი სახსრები; ელასტიურობა შეემატათ გონებადაკარგულ ბაკხანტებს. ერთ წუთში მთელი ბრბო ჰარმონიულად მოსრიალე მასსად გადაიქცა. გოჯა ბიჭუნა კვლავ უდარდელად აფშუტუნებს თავის ციმბალს. თამბაქოს კვამლში ოდნავ ვამჩნევ ფართოდ დაღებულ წყლიან თვალებს, მეჭიანურე დედაკაცების ალანძულ სახეებს. ფრანჩესკომ თავისი გრძელი, ბლისტარიანი ჩიბუხი პირიდან გამოიღო, უკბილო ტუჩიდან გამოდენილი ლორწო სახელოთი ჩამოიწმინდა, განზე გადააფურთხა, ფეხი გაუსვა იატაკზე და შეკითხება:

„რა ფერი ღვინო მოვატანინო, სინიორე?“ ღვინის თასი რომ გამოვსცალე, ახლა მე ვეკითხები ფრანჩესკოს.

„დამსწრეთა შორის ვინმე მოშაირე თუ ურევია?“ მეთქი ფრანჩესკო მიმიხვდა.

— „Si, si, სინიორე“. თავს მიქნევს, ხელით მიჩვენებს მწვანექულეტიან მელოტ გლეხს, რომელიც მდუმარედ სვამდ: რვალის თასიდან. მწვანექულეტიანი ალბანოში ცნობილი მოშაირე და რეჩიტატორი ყოფილა. მათიო რქმევია. ფრანჩესკოს მიამბო: მათიო ომამდე ძლიერ მხიარული და დარდიმანდი კაცი იყოო. ავსტრიელებისა და იტალიელების საარტილერიო დუელში საძაგელ ჰაუბიცებს დაუყრუებიათ მათიო... შიშისგან ენა დაბმია. მათიო ძლიერ გამოიცვალა. დალონდა. ახლაც სვამს, მაგრამ უფრო მეტს ხვნეშის. ხალხში იშვიათად ერევა. სულმუდამ რაღაცას ფიქრობს. ფრანჩესკომ გადასცა მათიოს, რომ მათი სტუმარი ტედესკო და ყველა დამსწრენი სთხოვენ მათიოს იტალიური ლექსები წარმოსთქვას.. მათიო გაწითლდა უარზეა. სტუმრებმა დანა-ჩანგალი ააწკრიალეს. ყოველ კუთხიდან ეძახიან: „მათიო, მათიო...“ მათიო დაიბნა. ცრემლები მოერია. სახელოთი მოიწმინდა. ადგა მე შემომცქერის. საცოდავად ბლუკუნებს. მე ვერ გავიგე მისი ლუღლუღი. ფრანჩესკომ გადმომცა: მათიო ამბობს, რომ მას აღარ შეუძლია თურმე შაირის თქმა, რადგან ღმერთმა ენა წაართვა. და ესეც რომ არ იყოს, იქ სადაც ჩემისთანა „ნასწავლი“ კაცია, კადნიერებაც იქნებოდა რეჩიტატორობა რომ ეკისრნა მათიოს. მე ავდექი, ბევრი ვემუდარე. მათიო თავს აქნევს. ისევ უარზეა. ფრანჩესკომ კეხი შემომიბრუნა. ალბანოს მღვდელს, მამა ჯიოვანის უამბნია, რომ მე თითქოს ძლიერ განათლებული კაცი ვიყო და მრავალი იტალიური ლექსიც ვიცოდე ზეპირად. არც ის დაუმალავს მამა ჯიოვანის, რომ მე თვითონაც ვწერ ლექსებს, მაგრამ არ ვამხელ. ამიხირდნენ მეინახეები. ახლა მუსიკოსებიც ჩაერევიან საქმეში. დაჟინებით მთხოვენ იტალიური ლექსი წარვსთქვა. კახპებმა და გოგო-ბიჭებმა ჭიქები ააწკრიალეს. ეს უშველებელი აურ-ზაური რომ დამერჩქალებინა, გამბედაობა მოვიკრიბე და დავიწყე:

„Donna pietosa e gi novella etate, adorna...“

მეხსიერებამ მიღალატა. დუქანში უხერხული სიჩუმე ჩა-

მოვარდა. გოჯა მეციმბალე წამოვარდა. — „სტუმარს ზარხოში ბკლია“ დაიყვირა. ფრანჩესკომ უშველებელი ჯამი გაავსო. თვითონ დალია, ისევ გაავსო და ხელში მომცა. დავცალე თასი და მათიოს გადავუღლოცე. ღვინო თავში ამივარდა. ახლა შეუპოვრებლად წამოვდექი, შეუცდომლად წავრთქვი მიქელ ანჯელოს „ვიქტორია კოლონნას სიკვდილი“. ახმაურდა ჩემი აუდიტორია. „ბრავისსიმო“-ს იძახიან. კიდევ ერთი სონეტი:

„Amando a che non nato“...

(მიყვარს და ნეტავ არ ვშობილიყავ).

ვლეხები, მუსიკოსები და კახპები ტაშს მიკრავენ, ხმამაღლა მაქებენ, რომ მე „გერმანელ მელექსეს“ მათი ენა ასე მყვარებია. მე ქართული თამადობა დავიწყე. ხალხი გაოცებული მიცქერის. გლეხები თავს არ იზოგავენ. ზედიზედ სცლიან ირგვლივ მავალ რვალის ჯამს. ძლიერ გავთამამდი (იტალიურა, გრამატიკის ცოდვა!). ძლიერ პათეთიური სიტყვით მივმართე იტალიელებს. ვამბობდი: „მე იმდენი სინათლე მიმიღია იტალიის დიდი პოეტების, ფილოსოფოსების და ბერების ხელიდან, რა საშველი მაქვს იტალია, რომ არ მიყვარდეს-მეთქი. ამჟამად იმისთვის ვარ მოსული, რამოდენიმე იტალიური ლექსი ზეპირად ვისწავლო და იტალიის ცხუნვარე მზით გავითბო გული.

...არ იქნა და არ დამშვიდდა ქვეყანა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ჯერაც ბრძოლა არ დასრულებულა. არსებითად სამხრეთია ადამიანური კულტურის შემქმნელი, მაგრამ ჩრდილოეთს ცივილიზაციის შოლტი აქვს ხელში. მონამ ხელიდან უნდა გამოჰგლიჯოს თავის ბატონს შოლტი, რადგან მონობა სირცხვილია ადამიანისათვის. ყოველი ადამიანი ისე თავისუფალი უნდა იყოს, როგორც თვით ღმერთი. ხვალ რომ იტალიას ისევ დასჭირდეს გარიბალდი, მე ვიქნებოდი მისი ერთგული მეჯინგორე. გაუმარჯოს იტალიას“.

ასე დავასრულე ჩემი პათეთიური სიტყვა. ამ სიტყვამ დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია. წარამარა ისმოდა „ტედესკო, ტედესკო“. მომწყინდა სიტყვები (როგორც ყოველთვის, სიმთვრალეში, ახლაც ცხენზე ჯდომა მომენატრა). ფრანჩესკოს გამოვკითხე დუქნის წინ დაბმული ცხენის ამბავი. გამოირკვა:

ფრანჩესკოს ომში ავსტრიელი ოფიცერი მოუკლავს. ეს ცხენი წაურთმევია.

„მე საიმისოდ არა მცალია, ცხენი მთლად გაურავდა. ამ სოფელში ვერავინ ბედავს მასზე შეჯდომას მას შემდეგ, რაც ჩემი სიძე ჩამოაგდო და მოჰკლა. ვეღარც გაყიდვა მომიხერხებია“. სჩივის ფრანჩესკო. თავი გამოვიდე, მე შევჯდები მეთქი. კაფეში დიდი აურზაური ატყდა. ფრანჩესკოს და მათიოს ვერ წარმოედგინათ ჩემისთანა „ნასწავლი“ კაცი როგორ შეჯდებოდა ამ ურჩ კვიცზე. დავიტრაბახე: ამ ცხენს გავაჭენებ, ვეცხლის ლირას გადავაგდებ და ავიღებ მეთქი. სამ ლიტრა ღვინოზე დავენიძლავე ფრანჩესკოს. მთელი ხალხი დუქნის წინ გამოეფინა. ცხენმა იუარა. ყურები დაწურა. ყალხზე შედგომა დააპირა. მოვახტი, მაგრად გადავუჭირე მათრახი, ცხენმა იგრძნო მაგარი ხელი, ალბანოს მტვერიან შოსეზე გაჭენდა. ორბოძალ გზაზე ავტომობილი შემეფეთა. ყურები დასცქვიტა, ყალხზე შესდგა ხრამისკენ გაიწია. მარცხენა სადავით მოვუგრიხე კისერი, კიდევ გადავუჭირე მათრახი და გავმართე თარჩია ალბანოს თემშარაზე, ბოლოს იმავე დუქნის წინ ქვიშაში ჩარჭობილ ბოძალივით, გავაჩერე გაჭენებული. ფრანჩესკომ ვეცხლის ლირა მომაწოდა, ისევ გავაჭენე, ლირა გადავაგდე, შემოვტრიალდი და ჩამოვუქროლე, გადავწვდი, მაგრამ ამერიკული ფეხსაცმელები კინაღამ გამომისხლტდა ავჟანდიდან და ლამის იყო არ გადმოვვარდი. ლირა ვეღარ ავიღე, შევრცხვი ჩემი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე. ევროპაში ცხენზე ჯდომაც დამვიწყებია (აფსუს ტაია შელიას შეგირდო!). რამაც არ უნდა დამჯდომოდა ჩემი სირცხვილი უნდა გამომეყიდნა (ჩემი მოუხეშაობა ამერიკულ ფეხსაცმელებს გადავაბრალე). დუქნის გვერდით ათიოდე საჟენის სიმაღლე კოშკისმაგვარი ხის როტონდო იდგა. ბურღისებური, ფიჭვის კიბე უვლიდა გარს. ფრანჩესკოს კიდევ დავენიძლავე რიხიანად: ამ როტონდოზე ავიყვან ცხენს მეთქი. კიდევ დავტუქსე ცხენი. ისევ გავმართე თარჩია ალბანოს თემშარაზე. აქლოშინებული, გალვარული ცხენი როტონდოს კიბეზე შევაგდე. ერთ-ორჯერ იუარა, ყალხზე შესდგა, შემომაბრუნა. მაგრამ გადავუჭირე ისევ მათრახი, ტაია შელიასავით შევძახე: „ჰაიტ“. ცხენმა ყურები წაიწვეტა, და მიჰყვა საფეხურებს. აჭრიალდნენ, აწრი-

პინდნენ, ატორტმანდნენ როტონდოს ფიჭვის საფეხურები. რაც უფრო მაღლა — მით უფრო ძლიერი ჭრიალი... აქშინე-ბულ ცხენს იფნის ფოთოლივით უცახცახებს მთელი სხეული. ორმოცი საფეხური დავითვალე. ძლიერ შექანდა როტონდო. ავედით სულ მაღლა, შემოვუარე მოტაბაკებულზე გაწყობილ სუფრას და ისევ ჩამოყვა ცხენი როტონდოს კიბეს. ფრანჩეს-კოს 5 ლიტრა ვიანტი მოვუგე. ახალი სუფრა გავაშლევინე. ისევ გავმართე სადღეგრძელოები, მაგრამ ერთმა პატარა სკან-დალმა შეგვიშალა ხელი: თეთრებიანი ქალი კუთხეში მიემ-წყვდია შავქუდიან გლეხს. საცოდავი გოგონა ისე კუთავდა მის ტლანქ მკლავებს ქვეშ, როგორც თეთრი ონაგა მოუხეშავ ძერას ჭანგებში. თეთრებიანს გოჯა მეციმბალე გამოესარჩლა, იძვრეს იტალიელებმა ჩექმის ყელიდან დანები. დუქანში ჩხუ-ბი და ყვირილი ატყდა. მე ვიდროვე და უკანა კარებიდან გა-ვეპარე ფრანჩესკოს.

## 28. აღსარება

იმ დღეს სოფლის პატარა სამლოცველო ძლივს იტევდა ხალხს. ძლიერ მომწონს მამა ჯიოვანის ტკბილი წირვა, ორღე-ლის ექსტატიური ღიღინი. მლოცველების ქორალური გალო-ბა. ალოეს და მურის სურნელება. ნაწირვევს მამა ჯიოვანიმ სადილად მიმიწვია. ერთი ბოთლი კიანტი დავლიეთ. უბრალო, ღარიბული პურობა გაიმართა.

ნასადილევს ბიბლიოთეკაში გადავედით. მასპინძელს ერთი ბოთლი ძველი ტოკაიურიც აღმოაჩნდა. ვზივართ ძველ წიგ-ნებსა და ფოლიანტებს შორის. ნეტარ ავგუსტინესა და ფრან-ჩესკო ასიზელზე ვბაასობთ, წითელ ტოკაიურს შევექცევით. მამა ჯიოვანის ვერ გაუგია, თუ მე მართლა ან ლუტერანი გერ-მანელი ვარ, ან ებრაელი, კაპელლაში რატომ დავდივარ ასე ხშირად, ან ქრისტიანული მისტიკა რად მაინტერესებს. „ყო-ველ შემთხვევაში, მეუბნება მამა ჯიოვანი, ჩემი მოვალეობაა გაგაფრთხილოთ. უკანასკნელ დროს ვიღაც არამზადებმა ძლი-ერ ცუდი ხმები დაჰყარეს თქვენზე. ახლა ხომ იცით, მთელს იტალიაში ფაშისტების საიდუმლო პოლიციის ქსელია გაბმუ-

ლი. ერთნი ამბობენ, თითქოს თქვენ გერმანიის სამხედრო აგენტი იყოთ, სხვანი ამტკიცებენ — რუს კომუნისტების მიერ ანტირელიგიურ პროპაგანდისთვის წარმოგზავნილიაო. მისაყვედურეს კიდეც, ასეთ საეჭვო კაცთან მისვლა-მოსვლა რათა გაქვსო? თუმცა მე ყველას ვარწმუნებ, რომ თქვენ ძლიერ სათნო და უვნებელი კაცი ხართ, ალბანოში თქვენ ღვთისმოსავ მეუღლესთან ერთად დასასვენებლად ხართ ჩამოსული, იტალიურ პოეზიას სწავლობთ, ოვიდის და ფრანჩესკო ასიზელს სთარგმნით და სხვა არაფერი“.

მე გამოვუტყდი მამა ჯიოვანის, ჩემი ნამდვილი ვინაობა გავუმხილე. ვარწმუნებდი: მე ქართველი ვარ და არც გერმანიის, არც სხვა ქვეყნის ბრმა იარაღი არასოდეს გავხდები-მეთქი. როცა წმ. კონსტანტინეს შანა ვაჩვენე, მისი ნდობა უფრო განმტკიცდა. მამა ჯიოვანიმ ჭიქა გამივსო. ძლიერ გახარებულია, რომ მე „ძველთა ძველი ქრისტეანი“ ვყოფილვარ.

„ჩვენ თქვენსავით არ გაგვიგია ქრისტეანობა, მამაო ჯიოვანი. ჩვენთვის ქრისტეანობა უფრო პოლიტიკური თავდაცვის იარაღი იყო. ისე ქართული ბუნება დღესაც სანახევროდ წარმართულია“.

კიდევ ერთი ბოთლი ტოკაიური შემოიტანა მამა ჯიოვანიმ ლოყები ძოწისფრად აუწითლდა მოხუცებულს. მე ეს მახარებს და ექსპრომტად ვეუბნები ერთ კუპლეტს ფრანჩესკო ასიზელის „ფიორეტიდან“. მამა ჯიოვანი იცინის (მისი თაფლისფერი თვალები ღვინოში მოკიაფე ქარვას მომაგონებენ) გამოთხოვებისას განმეორებით ვთხოვე მამა ჯიოვანის ჩემი ნაამბობი აღსარებად ჩაეთვალა.

„რა ბრძანებაა“, მეუბნება მამა ჯიოვანი. მაგრად, მაგრად მართმევს ხელს.

მამა ჯიოვანის გაფრთხილებამ მომეტებულად დამაფიქრა ტბის ნაპირს მივაშურე. წვიმა წამოვიდა. ნაცრისფერი სევადი გადაჰკვრია ტბას. წვიმის წვეთები ისე ცეკვავენ წყლის ზედაპირზე, როგორც ფრთაფარფატა ბეღურები მოწმენდილ კალოზე. შინ რომ დავბრუნდი, სასადილო ოთახში ჯენეტი იტალიურ არიას უკრავდა. სინიორინა ბიანკა ნოტებს ათვალიერებდა.

ჩემს დანახვაზე ჯენეტი ადგა, როიალის თაროდან ლარნაკი ჩამოიღო, მიჩვენებს წითელ მიხაკებს:

„სინიორინა ბიანკამ მომიტანა", ამბობს. სახე უბრწყინავს. სტუმარი გაწითლდა. ბიანკას მივმართე:

„არ ვიცი სწორედ, სინიორინა ბიანკა, თქვენ უჩემოდ როგორ ახერხებთ საუბარს. აკი თქვენ ფრანგული არ იცით, ჩემმა დონამ არც იტალიური, არც ინგლისური?"

„ადამიანებს სიტყვა არც ისე სჭირიათ, სინიორე, მით უმეტეს თქვენს მეუღლეს... მას ისეთი სათუთი სული აქვს, იგი უსიტყვოდაც ბევრს ეუბნება ჩემს გულს" (მიხარია, რომ გარეშენი ჩემს „მეუღლეს" ეძახიან ჯენეტს). დიასახლისმა ღვინო და ხილი მოგვიტანა. სინიორინა ბიანკა თავის პატრონესსას შესახებ გვიამბობს. თურმე ბარონესსას ძლიერ აინტერესებს იტალიური მისტიკა. ხშირად აკითხვებს ბიანკას ფრანჩესკო ასიზელის ნაწერებს. მე შევსცქერი ბიანკას, თითქოს პირველად ვხედავდე ამ ქალს. ქერა, ჩალისფერი თმა ილექრონ ტალღებად ჩამოსწოლია ნათელ შუბლზე. ფართე, წყლიანი, ლურჯი თვალები. სიასამურივით თეთრი ხორცი.

„იტალიაში მე ჯერ არ მინახავს თქვენსავით ქერა" ვეუბნები ბიანკას.

„რატომ, უმბრიაში ბევრია"..

ალბად ფრიდრიხ ბარბაროსსას ან ოტტო პირველის დროს რომელიმე გერმანელმა ბარონმა ან ლანდსკნეხტმა შეაცდინა შავთვალა იტალიელი ქალი და მოდის საუკუნოების ულევ მანძილზე ლურჯი თვალების ელვარება და ოქროვანი თმა იზრდება რძისფერ სხეულზე.

ქალი ხომ სისხლის მოლალატეა! ვფიქრობ და ვაწვდი ბიანკას გაფცქვნილ ნარინჯს.

შევჰყურებ მის ნათელსა და სათნო სახეს, ცალი თვალით ბნელ საუკუნოებისკენ ვიხედები.

ბიანკამ მარტო დაგვტოვა, ჯენეტი როიალს მიუჯდა.

მელოდიის ტექსტს თვალი გადავავლე:

„სიკვდილზე ფიქრის სიხარულო და სიტკბოებავ
ანაზდეულო სიკვდილზე ფიქრო.
სიკვდილო, იყავ შენ ჩემი ღმერთი.
სიკვდილო ნაზო, წმინდა სიკვდილო.
მოვედ, ძვირფასო ტკბილო სიკვდილო".

საშინელმა მწუხარებამ ამიტანა. ხმის ამოუღებლად გავე-

დი ბაღში. ტალავერს ქვეშ დავჯექი. შევსცქერი ანელში გარინდებულ კვიპაროსის ხეებს, თვალებსა ვხუჭავ, ჭილის სავარძელში ვწვები. ანაზდეულად გესმის ბედითი კივილი შემომესმა.

ასე მეგონა, თვით სიკვდილი მეძახოდა ჩრდილების ქვეყნიდან. ავდექი. აჩქარებული ნაბიჯით მივაშურე სინათლეს. ვკოცნი ჯენეტის კაპრიზულ პატარა ტუჩებს და მავიწყდება ნაღვლიანი არია და გეკოს ჯოჯოხეთური ყივილი.

## 29. ლაშა

ერთ საღამოს დიდხანს დავრჩი მამა ჯიოვანისას. მამა ჯიოვანის ლათინური ოდები დაუწერია პაპის ბენედიქტე მე-XIV-ის სადიდებლად. ლექსების კითხვა რომ გაათავა, პეტრეს აპოკალიპსზე ჩამოვიგდო სიტყვა. კიდევ გამოვცალეთ ერთი ბოთლი ტოკაიური. უკანასკნელ ჭიქაში კრიალებს ლალისფერი ღვინო.

„თქვენ როგორა გგონიათ, სინიორე კონსტანტინო, მეკითხება ირონიული ღიმილით მამა ჯიოვანი. რამდენი ღმერთია მაშ ამ ქვეყანაზე?“ (მეუცხოვა. ამდენი ხანია, უცხოს კონსტანტინო არ დაუძახნია ჩემთვის. გამეხარდა, ჩემი საყვარელი წმიდანის სახელი რომ ისევ დამიბრუნდა).

„იმდენივე, რამდენიც სულია, მამაო ჯიოვანი“.

„მაშ რამდენი სულია, სინიორე კონსტანტინო?“

„ერთი და ათასი, უშტი და უშქარი... მილლიონი, მილლიონნახევარი“...

„მაშ სულ რამდენი სული ყოფილა, თქვენის აზრით?“

„იმდენივე, რამდენიც ვარსკვლავია იტალიის ცაზე“

„მაშ, ვარსკვლავი რამდენია იტალიის ცაზე“?

„იმდენივე, რამდენიც კენჭია ოკეანეს უფსკრულში, მამაო ჯიოვანი“.

„მაშ თქვენ გგონიათ, ერთ დღეს კაცმა მზაკვარს რომ გადააჭარბოს, ცაზე ვარსკვლავი და ზღვაში კენჭები, რომ დაითვალოს, ჩვენ გვეცოდინება, რამდენი სულია და რამდენი ღმერთი?“

„არც მაშინ, მამაო ჯიოვანი. ჩვენ მაშინ უნდა დავითვალოთ მიწაზე ცხოველი, მწერი და ქვეწარმავალი, ყველგან სულია და ყველგან ღმერთი. ასე მასწავლა ჩემმა გამზრდელმა ტაია შელიამ და იმის იქით არც მე წავსულვარ“ მამა ჯიოვანი ირონიულად იღიმება.

„თქვენ ცათამდისაც რომ აჰყოთ ხელი, დაბადებაზე უკეთესს წიგნს მაინც ვერ ნახავთ“.

მამა ჯიოვანი დიდი დიალექტიკოსია. თომას აქვინელის, ნეტარ ავგუსტინეს და იეზუიტების სკოლაში გამოწვრთნილი. მიტომაც ვერიდები მასთან კამათს.

„იცით, მამაო ჯიოვანი: მე რომ ამდენი ვიფიქრო ღმერთზე და სულზე, ერთ შვენიერ ღამეს გასკდება ჩემი თავი. მე არ მინდა გავიგო, მამაო ჯიოვანი, თუ რა ხდება იმ ვარსკვლავების გადაღმა. ეგებ ის ლამაზად მოციმციმე ცის მნათობები ბოროტი დემონების თვალები იყოს. ეგებ ჩვენი მოხუცი მზეც, მშვიდობის თეთრ ალამივით ეთერში რომ ფრიალებს, თვითონ იყოს სიკვდილის პირშავი ღმერთი. არც ის მინდა ვიცოდე, თუ რა ხდება ჰაერდითმოსილ დედამიწის ქვეშ. ეგებ ჩვენი ბებერი მიწაც სფეროების უფსკრულებში გამორიყული სატანას მძორი იყოს. მე ვხედავ ამ ჭიქაში ლალისფერ ტოკაიურის წვენს. უკანასკნელი ჭიქის გაცლაც თუ დამცალდა, მე ესეც მეყოფა“.

„თქვენ ამ ბოლო დროს ძლიერ ბნელ ლაპარაკს მიეჩვიეთ, სინიორე კონსტანტინო. რომიდან ახლად მოსული უფრო ნათლად მსჯელობდით“.

„მე მგონია, მამაო ჯიოვანი, რაც უფრო მეტს გაიგებს ადამიანი, მით უარესია მისთვის“

„სრულიად გეთანხმებით“, დაასკვნა მამა ჯიოვანიმ.

„ბედნიერია მხოლოდ ის კაცი, ვინც ერთი ღმერთის მშვიდობიან კარავში შესძლებს ამ უდაბნოში გადარჩენილებას“.

„ჭეშმარიტად, მამაო ჯიოვანი“. მამა ჯიოვანი უკანასკნელ ჭიქას მისწვდა.

დიდხანს ვისეირნე ალბანოს ტბის პირად. ნაშუაღამევს შინ დავბრუნდი. ვაზის ტალავერს ქვეშ ნათელი ლანდი შევნიშნე. რევოლვერი მოვიმზადე. ფეხაკრეფით მივეპარე. ლანდი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძრეულა, მარმარილოს მაგიდაზე დაწყობილ მკლავებზე დაედო თავი. მივუახლოვდი. ვიცანი: ბიანკა!

„ამდროს აქ რა გინდათ, სინიორინა?“ ვეკითხები.

„მე გათენებამდის შინ ვერ შევალ, შემომჩივლა ბიანკამ.

„ორი საათის წინ გადაკეტილ ოთახში მეძინა, საშინელი კაკუნი ატყდა. განა თქვენ არ იცით რომ ეს სახლი გაქარჩხულია?“

„რას ამბობთ, სინიორინა?“

გაუგონარ ამბებს მომითხრობს ეს ქალი:

„თქვენ ხომ გახსოვთ, დოტორე, პირველად რომ მოხვედით. ლარების საკურთხეველი... ბარონესსამ გამაფრთხილა, თქვენთვის ეს არ მეთქვა. თქვენ რას ფიქრობთ, აბა რატომ მიდის ბარონესსა ალბანოდან, როცა მისი ქმარი ზღვიდან დაბრუნდება?“

გაოცებისგან ენას ვერ ვიბრუნებ.

„ის ორი გველი, განაგრძო ბიანკამ, ლარების საკურთხეველში რომ გიჩვენეთ, მარცხნიდან მომავალი სავარცხლიანი. მარჯვნიდან უსავარცხლო, ოჯახის უძველესი მფარველი სულებია. ოთხი ოთახი გადაკეტილია. იქ დიდალი გველი მოჰკლა ბარონის მამამ. იმავე წელს მომკვდარა ბარონის დედა. ამის შემდეგ გაქარჩხულია ის ოთახები, წელან იქ საშინელი კაკუნი და ქვის სროლა ისმოდა. ბარონმაც შესცოდა... სიყვარული ფულზე გაჰყიდა. ერთმა ძლიერ ლამაზმა ქალმა ქეძაფი დალია ბარონის სიყვარულით. ბარონმა მდიდარი ამერიკელი ქალი არჩია ლამაზი ქალის სიყვარულს. ქალს ბარონის სახელი აინტერესებდა, ვაჟს — ქალის ფული. დიდი ფული დახარჯა ბარონესსამ ამ სახლის რესტავრაციისთვის. სამზარეულოც ძირს ყველაფერი გადააკეთებინა. ბარონესსამ არ იცოდა თუ რა ცოდვა ტრიალებდა ამ ოჯახში. მას ძლიერ უნდოდა ძველრომაელი პატრიციის სახლში ეცხოვრნა. თვითონ რომაელ მატრონად მოაქვს ახლაც თავი. მოხუცმა მსახურმა მიამბო: პირველ ღამესვე ახლად ჯვარდაწერილების სანთიობოში შავი გველი შეიპარა, ბარონმა ხელი არ ახლო გველს. იმ დღესვე ნეაპოლს წასულან თურმე.

ახლაც, როცა ბარონი ჩამოვა, ამ სახლში ერთ ღამესაც არ გაათევენ. ასე უბედურია ორივე ცოლ-ქმარი. მაგრამ ბარონეს-

სა ამაყი და ჯიუტი ქალია, მას მტკიცედა სწამს, რომ ბედისწერას ვერსად გაექცევა, ამიტომ არა სტოვებს ამ სახლს“. ბიანკა დადუმდა. სულის სავარძელში ჩაჯდა. საიდგანღაც ცივი, ამაზრზენი ქარი მოჰქრის,

„არ გაცივდეთ, სინიორინა ბიანკა, წამოისხით ეგ თავშალი“, ვეუბნები. ბიანკას კბილები უკაწკაწებს სიცივისაგან.

„წამოდით, სინიორინა ბიანკა, მე შეგყვებით სახლში“

„თქვენ არ გეშინიათ გველების, დოტორე?“

„მე გველის მგეშავის გაზრდილი ვარ, სინიორინა. არ გახსოვთ, ჩემი გამზრდელის ტაია შელიას შესახებ რომ გიამბობდით? ტაია შელიას ისლის სახლსაც ჰყავს თავისი მფარველი გენია. ის გველი ჩემი გამზრდელის ლოგინს ქვეშ იწვა დღენიადაგ. ჩვენ ბავშვებიც კი არ ვერიდებოდით, რძეს ვასმევდით და ვუვლიდით. ანგელოზ-ბატონს ვეძახოდით“.

ბიანკა გაშტერდა.

როგორც იქნა, დავიყოლიე, თავის ოთახში შევიყვანე, ბიანკას საწოლთან შავი გიშრის ჯვარცმა ეკიდა. სადად მორთული მარტოხელა ქალწულის ოთახი. კედლებზე მისივე სურათები. ბიანკა საწოლზე ჩამოჯდა, ორივე ხელი მუხლზე დააწყო. გაწეწილი თმა სახეზე ჩამოშლია.

„მაშ, თქვენს საწოლზე რომ გველი ამოვიდეს, თქვენ რალას უზამთ, დოტორე?“

„ორ თითს ტუჩზე მივიტან და შევულოცავ“. ბიანკა გაოცებული შემომცქერის“.

„ნუ გეშინია ჩემო, პატარა სინიორინა“, ვეუბნები. მის კოჟრიან, პაწია თითის წვერებს ვკოცნი“.

„თქვენ ნასწავლი კაცი ხართ, დოტორე. ვერ ამიხსნით საიდან მოდის ამ გველების ამბავი?“

„თავდაპირველად არც მე ვიცოდი ეს, სინიორინა ბიანკა. ამას წინად მუისათ შარტრიეს ნაჩუქარ წიგნში ამოვიკითხე: ამ გველების კულტის შესახებ თითქმის არაფერი იცის მეცნიერებამ. ესენი ძველი რომაული ოჯახის მფარველი გენიები, ლარესს, ანუ ლაზესს ეძახდნენ მათ. ზოგან ეს ახლაც დარჩა, ჩემს სამშობლოში დღესაც არის გველების კულტი. ამ ლაზესს მისტიკოსები ინდოელების გველღმერთებს — ლამას უკავშირებენ. ეს ძლიერ ბნელი ამბავია. მე მინდა პატარა წიგნი დავ-

წერო. ჩემის აზრით, რომაელებს ჩემი წინაპრების — ლაზებისგან უსწავლიათ გველების თაყვანისცემა, ამის მეტი არც მე ვიცი“,

„სხვა რა იციან მეცნიერებმა რომ ეს იცოდნენ?!“ ამბობს გულდაწყვეტილი ბიანკა,

„იცით, დოტორე, მე არ მგონია თქვენ უბრალო ადამიანი იყოთ; მას შემდეგ რაც ბარონის მამამ დედალი გველი მოჰკლა, ამ ოჯახში დედაკაცს გამრავლების უნარი წაერთვა. ბარონის ორი ძმა უშვილოდ გადაეგო. არც ბარონესსას ეყოლა შვილი. ვგონებ მეც მერგო წილად ამ ოჯახის წყევლა, მე აკუმი ვარ. დოტორე. მარადის ქალწული უნდა დავრჩე. თქვენ ბედნიერი ხართ, დოტორე, თქვენი მეუღლე ამ გაქარჩხულ სახლშიაც განაყოფიერდა“.

„როგორ?“ დავიყვირე მე და ჩემსავე ხმაში გავიგონე ფოლადისებრი წკრიალი.

„მერმე თქვენ რა იცით?“..

„მე საერთოდ არაფერი ვიცი, მაგრამ თვითონ მითხრა... განა თქვენ ვერ ატყობთ?“

„მე მამამ დამწყევლა ჩემო პატარა ბიანკა... მიტომაც“..

„ღმერთს რას უზამს ადამიანის წყევლა, დოტორე. თქვენ მიამბობდით თქვენი ძველი გვარის შესახებ. თქვენ ადამიანური ცხოვრების ეტლი უკვე გავლილი გაქვთ. ამიერიდან ღმერთკაცის სარბიელზე უნდა იაროთ. განა არ იცით, ადამიანის ჯიში მაიმუნობაში იწყება და ღმერთობაში ხდება სრულყოფილი?“

„ეგ არ ვიცოდი, სინიორინა ბიანკა“.

„თქვენ ალბანოში რომ მოხვედით, დოტორე, ნოსტერდამს ვუკითხავდი ბარონესსას, ნოსტერდამს ნაწინასწარმეტყველევ აქვს მსოფლიო ომი და ეს რევოლიუციები. მეც წინასწარ ვგრძნობ მოსალოდნელ ამბებს.

სწორედ წინა ღამეს მეზმანა: ფეხშიშველა მწირი მოადგა ვაზის ტალავერს. სიცივისაგან ჰკანკალებდა. ბარონესსამ ტფილი წყლით ფეხი დაჰბანა. ბარონის ქურქი გამოუტანა. მწირმა იუკადრისა:

„მე რომ თავადის ქურქი ჩავიცვა, ვინცა ვარ იგი არ ვიქნებოდიო“. სთქვა და წავიდა. ბარონესსა აწრიალდა:

„ვინ იყო ეს კაცი?“

„ეს იყო ძე კაცის მსგავსი, ვეუბნები. ბარონესსა ძირზე დაეცა და სტიროდა, მიწას სჯამდა. მეორე საღამოს თქვენ მოხვედით, მიტომაც მიგიღოთ ასე მოწიწებით. ხომ აკვირდებოდით, — გერიდებოდათ. ერთხელ მითხრა: ამ კაცის მეშინიაო. ხანდახან თვალი უშტერდება. ნამარხულევი სახე აქვსო. მეც მიხაროდა თქვენი მოსვლა. ხომ იცით, დოქტორე, რამდენი ახალი ადამიანია — იმდენი ახალი ქვეყანა“, ველარაფერი ვუპასუხე. ბიანკა გაჩუმდა.

„არის ერთგვარი მცენარე — ალოე. ას წელში ერთხელ აყვავდება და სურნელოვან ყვავილს გამოიღებს. მე მეგონა, მეც იმ მცენარეს ვგავდი. მე თქვენ გიჩვენებთ იმ სურათს, ერთი ოვის წინად, გახსოვთ, ტალავერს ქვეშ რომ ვხატავდი და დაგიმალეთ“...

ბიანკა ადგა.

წიგნების თაროდან ყვითელ ტილოში შეხვეული სურათი ჩამოიღო, მუხლზე დამიდო: ჩემი გალურჯებული სხეული შავი ძელის ჯვარზე გაკრული, წელზე უშველებელი გველი მარტყია. ტანში კრუანტელმა დამიარა.

„თქვენ, როგორ გეზმანათ, სინიორინა ბიანკა, რომ მე 25 წლის წინად ჯვარს მაცვეს ჩემმა ძიძაშვილებმა!“ ბიანკა დადუმდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, ველარ დაათავა.

„რაც თქვენ ალბანოში მოხვედით, დოქტორე, განაგრძო ბიანკამ, დღედღეზე ვრწმუნდებოდი, რომ თქვენ იყავით ახალი ქრისტე. მიტომაც ახალი გოლგოთა დავარქვი ამ სურათს. მე მახრჩობდა ეს აზრი. სურათი რომ დავასრულე, ამოვისუნთქე“.

„ქრისტესაც დაძლეული ჰქონდა შიში. აკი თქვენ მიტომაც არ გეშინიათ გველების. როცა ადამიანი სიკვდილის შიშს დასძლევს, უკვე ღმერთია“. ექსტაზმორეული როშავს ბიანკა. ბიანკა ტანგაუხდელად დაწვა. ტფილად დავხურე. სიცხე ჰქონდა, მთელი სხეული უცახცახებდა. უაზროდ ბოდავდა. ჩასთვლიმა. ფეხაკრეფით გავიპარე, მთელი ღამე არ მძინებია. დილით ადრე გამომელვიძა. როგორ მეუცხოვა ჩემს გვერდით მძინარე ჯენეტი! სახე და მკერდი დასრულებია. თეძოები არაჩვეულებრივად განიერი. ვკოცნი. ილვიძებს. ამ საოცარი ცვლილების მიზეზს ვეკითხები. სახეს მარიდებს, სტირის. კრძალვით ვეხე-

ბი მის დასხვილებულ სახსრებს. მართლაც ღმერთი ჩასულა მის გვამში. ღვთის საოცარ სასწაულს აღუვსია ამ დედაკაცის გვამი წითელი იაგუნდებით. ამაზრზენი ფიქრი მივლის, როცა გავიფიქრებ, რომ მე მარტოხელა, ერთადერთი და განუმეორებელი შუაგავპობილვარ. საოცარი სიამაყის გრძნობა მომერია. ათასეული წლების მამაკაცური თესლი, დღემდის ჩემს იქით რომ გასაქანი არა ჰქონდა, მეორე ადამიანს შეჰკედლებია. და ვიღაც მესამე უნდა მოვიდეს. და ჩვენს შორის უნდა ჩადგეს. ეს კურთხეული დედაკაცი, ჩემთვის ასე შორეული და ახლობელი ამიერიდან მარტოოდენ ჩემი ვნებათა ვნების საწყაული აღარ იქნება, არამედ უფრო მაღალი და ღვთაებრივი დანიშნულება უპოვნია მას ამ მსოფლიოში. მკერდზე ხელებდაკრეფილი ვწევარ მის გვერდით. მას ისევ ჩასძინებია. ვკოცნი მძინარეს კისერზე და საფეთქელზე. ვდგები, ალბანოს ტბის პირად მივდივარ, მოშორებით გლეხები მიწას ხნავენ. შევჰხარი ამ ბედნიერ ადამიანებს და მენატრება: ვიყო თუნდაც უბრალო გლეხი, ლამაზი ცოლშვილი მყავდეს, იაფფასიან თუთუნსა ვწევდე, არც რამე ვიცოდე იმაზე მეტი, რაც საჭიროა, და არც რამეს ვფიქრობდე ჩემი ბნელი სისხლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მერვე

## 30. ასიზის მონასტერში სალარიგოდ გამგზავრება კონსტანტინე სავარსამიძისა

სალამოს ბიანკა გვეწვია. თავისი სოფლის — ასიზის, შესახებ ჩამოაგდო სიტყვა.

„ასიზის მონასტერში ერთი კვირის შემდეგ აღდგომას იდღესასწაულებენ“, გვეუბნება.

„რას ამბობთ, სინიორინა ბიანკა, განა თქვენ ასიზელი ხართ“, ვეკითხები.

„დიახ, სინიორე“.

„ასიზში ფრანჩესკო ასიზელის მონასტერია, არა?“ ბიანკა თავს მიქნევს. იმ სალამოს გადავწყვიტე ასიზში წასვლა. ბიანკას ვთხოვე ჯენეტისათვის ყური ეგდო. ტურისტული ხელსაწყო მოვიმარაგე. ნახევარი წლის შემდეგ პირველად ავიღე მგზავრის ყავარჯენი.

მარტოობა მომნატრებია. 50 კილომეტრი ველოსიპედით გავიარე. გზადაგზა ვლოთობდი. მწირების და მათხოვრების ხანაგებში, უსუფთაო იტალიურ დუქნებში ვათევდი ღამეს. გამოუცნაურებლად ვებაასებოდი გზაში შეხვედრილ გლეხებს, ბერებს, სტუდენტებს და ჟურნალისტებს (ბევრი დასცინოდა ჩემს ჩიქორთულ იტალიურს). პერუჯიაში, ჰოტელში არ დამაყენეს. ჩემი პასპორტი რომში უნდა გამეტარებინა რეგისტრაციაში. მწირების ხანაგაში წავედი. საშინელი სიბინძურე. მწირები და მათხოვრები ტახტებსა და იატაკზე ველარ ეტეოდნენ. ზოგი სალამოს ლოცვას ბუტბუტებდა, ზოგი მღეროდა, ზოგიც ქუჩურ ანეგდოტებს უამბობდა ამხანაგებს. საშინელი იტალიური გინება ისმოდა. სხვანი პირქვე დამხობილი ხვრინავდნენ. შმორისა და ტრუსის სუნი იდგა. ჩემს გვერდით ვიღაც იაპონელი მოგზაური იწვა. მუდამ იწერდა რაღაცას

უბის წიგნაკში. მკბენარები დაგვესია. ავდექით, ღამის რესტორანში გადავბარგდით. ერთი ბოთლი კიანტი მოვატანინეთ. იაპონელს გამოვკითხე, თუ რამე გაეგონა საქართველოს შესახებ. რომაელი ისტორიკოსებით იცნობდა კოლხეთსა და ლაზისტანს.

„მაშ თქვენ ძველი ლაზი ხართ? მე არ მეგონა, ეს ხალხი კიდევ თუ ცოცხალი იყო", ამბობს და სახეზე მაკვირდება. გვარი და სახელი მკითხა. ჩემი პსევდონიმი ვუთხარი.

რესტორანი გერმანელ ტურისტებით აივსო. გარეგნობით ვიცანი გერმანელი კორპორანტები. ერთიც თეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი იყო, თუშურის მსგავსი ნაბდის ქუდი ეხურა. კისერზე გრძელი, შავი მძივები ეკიდა. ცოტას ლაპარაკობდა. დანარჩენები ცელქობდნენ. იტალიის ბუნებაზე, ფრანჩესკო ასიზელზე საუბრობდნენ. ახალგაზრდებმა წინადადება მომცეს, აქედან ფეხით გავსულიყავით ვერონას. ჩემი სტუდენტობა მომაგონდა. კინაღამ დამითანხმეს. დილას მგზავრებს დავცილდი. ქალაქში დავყიალობ.

საოცარია პერუჯია! ქვეყანაზე სხვა ქალაქი არ მეგულება. ძველი რომანტიული სული და საშუალო საუკუნოების ელფერი ასე უცვლელად რომ იყოს შენახული. კოშკებისა და ბასტიონების ვიწრო სათოფურებიდან დამცინავი თვალებით გიცქერიან ჩაფხუტიანი რაინდების ლანდები. რა საცოდავად მოსჩანან ამ პერსპექტივიდან ბენზინის სუნით აყროლებული თანამედროვე ქუჩები, საწვრილმანო დუქნები, კინემატოგრაფის საზიზღარი რეკლამები, იტალიელი მათხოვრები და ლუტებივიდრე ავტომობილი, ან პარიზულ მოდაზე მორთული ქალი ჩამოივლიდეს, თქვენ ყოველ წუთში შეგიძლიათ თანადროულობის თარიღი დაივიწყოთ და ტრუბადურებისა და მოხეტიალე რაინდების ეპოქაში გადასახლდეთ.

ჩემი ღარიბული ტურისტული სამოსის მიუხედავად, მათხოვრები, გიდები და ფეხზე მოვაჭრენი მაინც არ მასვენებენ ზოგი სათამაშოებს მაწვდის, ზოგი პორნოგრაფიულ ლექსებს და სურათებს. ზოგსაც არც ერთი აქვს, არც მეორე, და უსირცხვილოდ გთხოვთ „უნა ლირას". მთელი დღე უქმად დავხეტიალობ პერუჯიაში. სადაც არ წავედი, ყოველის მხრით პალაცო დელ გოვერნოს კონტურებს ვხედავდი... მახარებს მი-

სი ლაღი გოტიკის დიდებულება და მრისხანება. მონასტრების ეზოებში შევდივარ, ბერებს ველაპარაკები. საღამოს სან აგოსტინოს შავ ჭიშკართან უშველებელ ლოდზე ვზივარ. მიმავალმა მზემ ქარვისფერი სხივი გადააფრქვია ეკლესიების და მონასტრების გუმბათებს.

ოქროს მუზარადიანი გოლიათები! ძოწისფერი ალმური ჩაიჭრა პალაცო დელ გოვერნოს ფანჯრების მინებში. მოიღუშნენ კოშკები და ბასტიონები. მწუხრი ჩამოეშვა. მოლაშლაშე ქუჩაც დაცარიელდა. მოისმის შორეული ზარების ხმა. ჯერ ნელი, მელანქოლიური რეკა. ასე მგონია, სიზმარეთიდან მოდიოდეს ეს ხმა. კისკისებენ პაწია ზარები, შუათანების ნაღვლიანი ნაუ, ნაუ შეერია ვეცხლის კისკისში, აყვნენ პატარებს მოზრდილი ზარები, უფრო მოწყენილნი, უფრო ნაღვლიანნი, აბუბუნდნენ, ამღერდნენ, აღიღინდნენ, აგრიალდნენ დიდები და უფრო დიდები, ავარდნენ ცაში მრისხანე გუგუნით, დალეწეს ტორებით პორცელანის ცადაჭნილები, განაბა სული მოქრიალე ქარმა, ღამემ ჩაიკრა მკერდში ეს კოშკები და ბასტიონები, და მთელი ქალაქი და შორეული ჭალაკი შეიპყრო მრისხანე ზარების გუგუნმა.

ორივე ხელი მუხლებზე შემოჭდობილს, თავი მედო საკუთარ მუხლის თავებზე. ვისმენდი ცაში ავარდნილ გუგუნს და მეგონა, რომ ბინდისას გამეყარა ჩემი მგლოვიარე სული, გადაჰყვა ზარებს მწუხარე სულეთში და დამტოვა მარტო, უსამშობლო, მიუსაფარი, სან აგოსტინოს ლოდზე მჯდომარე.

მეორე დღეს ფეხით გავუდექი პერუჯია-ასიზის თემშარას.

არაფერი ჩემი თვალით ნახული სან ფრანჩესკოს მონასტერს არ შეედრება. მე მომისმენია; დიდ ხუთშაბათის მწუხრი სან პიეტროს ტაძარში, წირვას დავსწრებივარ პარიზის ღვთისმშობლის და სან პაოლოს ტაძარში, ბამბერგსა და შტრასბურგში ვყოფილვარ, მაგრამ, რაც მე აღდგომა ღამეს განვიცადე ფრანჩესკო ასიზელის მონასტერში, კალმით არ აიწერება. ლოცვა დაწყებული არ იყო, როცა ბერები და მლოცველები ხელანთებული ფაკელებით ჩავდიოდით ქვედა ეკლესიის კიბეებზე.

ეს ტაძარი ფრანჩესკო ასიზელის საფლავზეა აგებული და იტალიელებს დღესაც სჯერათ, რომ წმ. ფრანჩესკო არ მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვდარა, არამედ იგი ეკლესიის სიღრმეში ლოცვადაა დამდგარი.

ხელების ფათურით მივჰყვები ჩამობნელებულ, ნესტიან დერეფნებს. სავანეში რაღაც არა მიწიერი მოთეთრო შუქი სდგას. ალოეს და მურის სუნი შემომეგება. მოყვითალო თითბერის შანდლებზე მაღალი თაფლის სანთლები ბჟუტავენ, ლიფლიფებენ. ყვითელი შუქი ადგება მლოცველების მგლოვიარე სახეებს. დაბალ არკადებსა და ცადაქნილებს ქვეშ დამყარებულ დუმილს ხანგამოშვებით არღვევს მლოცველების მთრთოლვარე ხმა და მოლიტანიე ბერების ფეხის შრიალი. მუქი აზურის ფონზე გამოსახული ოქროს ვარსკვლავები მობიბინე ველზე გაბნეულ პეპლებს მომაგონებენ. უთვალავი ყვავილების ორნამენტები, მოოქროვილი ფიგურები, თეთრფრთიანი ანგელოზები. ჯიოტოს ღვთაებრივი ხელით ნახატი მისტიური ალეგორიები: ქრისტე წმ. ფრანჩესკოს თავის საცოლეს ქალბატონ სიღარიბეს აცნობს. გავალაკისებური შარავანდედით მოსილ წმ. ფრანჩესკოს თავზე თუშურის მაგვარი ქუდი ჰხურავს, ნამსჭვალიანი მარცხენა მკერდზე მიუდევს. რუხი, ნაოჭიანი ბერის სამოსი აცვია სიყვარულის უბადლო თავადს. აყვავებულ ქალწულებს მიაგავენ ანგელოზები; ზოგს თეთრი აცვია, ზოგს ლაპის ლაზულის, ზოგსაც სოსანის ფერი. ოდნავ მოკუმული ბაგენი ძლივს იმაგრებენ ღვთაებრივი უბიწოების ექსტაზში დაუნჯებულ ღიმილს. ისევ წმ. ფრანჩესკოს შევსცქერი.

მართლაც სიყვარულის ბრწყინვალე თავადი! სულიერსა და უსულოს, ყვავილებსა და ღრუბლებს, ცეცხლსა და წყალს, ადამიანსა და ცხოველებს, — ყველას საყვარელ და-ძმას ეძახდა. განა იგი არ იყო, მინდვრის ტრედები რომ სიკვდილს გადაარჩინა?

„ძვირფასნო, ქრისტეს მიერ საყვარელნო დანო ჩემნო! რისთვის დააჭერინეთ თავი ადამიანს? ახლა მე მწადის გამოგიხსნათ სიკვდილის კლანჭებიდან".

მან არ განზანა საკუთარი ხელით შეპყრობილი და კეთროვანი? გული მისი უფაქიზესი სარკე იყო, უმზრიის აზურის ფერი ცა თავისი ღრუბლებით, ოქროს გავალაკიანი მზითა და

ვარსკვლავებით ამ სარკეში იხატებოდა და მისი დები — საყვარელი მინდვრის ბალახი და ყვავილები.

ყველგან სიყვარულის ალოეს აფრქვევდა, ყველგან ღმერთს ხედავდა, თვითონაც ღმერთდალეული და ღმერთით მთვრალი.

გარიჟრაჟამდის ორას ორმოცდაათ ბერთან ერთად ვლიტანიობდი. ბნელ სავანედან ამოსულს თვალი მომწყვიტა მტკნარმა სინათლემ. თითქოს ესეცაა მიწიდან ამოვიდაო, თვალწინ დამიდგა თეთრი წერწეტა ზემო ტაძარი. გუმბათის გადაღმა ვარვარებდა მუქ-ლურჯი ზეცა. ახალი მთვარე ნელა, ნელა იბნიდებოდა, შორეულ კიდეს ვეცხლის ვარსკვლავის გამოკრთომას მოვკარი თვალი.

ნელი ნაბიჯით გავდივარ მონასტრის ეზოდან. გავსცქერი ნისლებში ჩაფლულ აპენინების მწვერვალებს. მწვანე ბორცვებს და გორაკებს ალაგ-ალაგ მოუჩანთ თავი ნისლების თეთრ ქათიბებში და ისინი ამეთისტოს გიგანტურ გვირგვინებსა ჰგვანან. აღმოსავლეთით ამომავალი მზე ბოლოგაშლილ ოქროს ფარშავანგს დამსგავსებია. მივდივარ მტკიცე ნაბიჯით. რძისფერ ჰაერს ვისუნთქავ და შევჰხარი ამომავალ მზეს, სან ფრანჩესკოს გუმბათზე აელვარებულს. მივჰყვები ასიზი-პერუჯიის გზას. დიდხანს, დიდხანს მესმოდა სან ფრანჩესკოდან მომავალი ზარების Ave Maria. ერთ პატარა დუქანში ვისაუზმე. ღვინო მომეკიდა. ისევ გავუდექი ჩემს მარტოხელა გზას. მოვჰყვები ჯეჯილებით, ლაფანებით ჩაფენილ უმბრიის მინდვრებს. ხშუილით ავარდნენ ტოროლები ეთერისაკენ (პირველად ამ გზაზე ვნახე ტოროლა!). ამ ტოროლებზე უკეთესს სიხარულის შიკრიკებს ოდესმე თუ გაუგზავნის მიწა ზენაარსს? ზურგზე სამგზავრო ჩანთა მკიდია. ხელში სხვილი ტურისტული ხელჯოხი მიჭირავს. პინიების ჩრდილში მოვისვენე. მევე გავვოცდი: წინა ღამის ლიტანიობისგან მუხლის თავები გამომცვეთია. ჩემი ადამიანური მონობისა შემრცხვა. განვაგრძე გზა. თავს დამქათქათებს იტალიის ცხრათვალა მზე. აქ ყოფნის უჩვეულო სიხარულმა ამიტაცა. საშინელი ბაკხანტური განწყობილება დამეუფლა. ვფიქრობ ალბანოზე, ჯენეტის წითელი იაგუნდებით სავსე სხეულზე. ბიანკას ღმერთდალეულ თვალებზე. ბედნიერი ვარ ჩემი მარტოობითა და ახალგაზრ-

დობით. ფიქრში წასული მთავარ შარას გადავცდენივარ. ვიწრო ბილიკზე უშველებელი შავი ძელის ჯვარზე გაკრული ქრისტე! უდაბნო შემომცქერის მის განაწამებ, დაღრეჯილ სახიდან. მისმა შეხედვამ ისეთივე უსიამოვნო ჟრუანტელი მომგვარა, როგორც ბავშვობაში, როცა პირველად ვნახე. მოვუქნიე ჩემი ხელ-ჯოხი ამ სმარაგდისფერ სამოთხეში აღმართულ უდაბნოს ღმერთს. დაინგრა ჯვარცმა. ნაფშვენებად იქცა გიპსის ხატება, ფეხით გავთელე წაქცეული ჯვარი და უშვერი სიტყვებით ვგმე ქრისტე.

ამ საშინელმა, გაუგონარმა გმობამ მევე გამომრუჯა პირი, უკან არ მომიხედნია, განვაგრძე გზა. თემშარაზე ჭორფლიანი კაცი დამეწია. ელამი თვალებით შემომხედა, საათი მკითხა. გამისწრო, ისევ მობრუნდა, კიდევ შემომხედა. არ მიამა ამ აბეზარის შეხვედრა, რამოდენიმე იტალიურმა ურემმა ჩამიარა. ახლად მოცელილი თივა მიჰქონდათ. ქარმა სურნელი შემომაგება.

ახლა საგაზაფხულოდ მოკაზმული ქალ-ვაჟნი შემომხვდნენ ქალებს ფართე ზორტებიანი მანდოლინები ეკიდათ კისერზე. უკრავდნენ, მღეროდნენ. შეზარხოშებული ვაჟები ღრმად ამოჭრილ დეკოლტეებში ხელს უყოფდნენ ქალებს, ძუძუებს უსრესდნენ. შორიდან ვხედავ სერზე ამავალ მგზავრების სილუეტებს, ქალების შინდისფერი კაბები, ველის ყაყაჩოებივით ბრწყინავენ მზით განათებულ პინიების ველზე, ქარს კიდევ მოაქვს მათი სიმღერა და ჟრიამული.

იმღერეთ, იმღერეთ, ჩემო კარგებო, ასიზის გზაზე თქვენ არ შეგხვდებათ ეკლის გვირგვინიანი სიკვდილის თავადი.

ვბუტბუტებ ჩემთვის.

## 31. ცრუქრისტე

პერუჯიაში მეორე დღემდის დავრჩი, საღამოს პალაცო დელ გოვერნოსკენ გავისეირნე. სან აგოსტინოს ჰიშკრამდის მივაღწიე. იმავე ლოდზე, რომელზედაც ამასწინათ ვიჯექი, ვიღაც შავქუდიანი ბერი იჯდა. მუხლზე იდაყვი დაედო, ჩამავალ მზეს გასცქეროდა. ძლიერ ახლოს მივედი. ისე გამტერებული

იყურებოდა, არც შეუმჩნევივარ. თითქოს საგნების გადაღმა იმზირებოდნენ მისი ფართე, ელვარე თვალები. ტუჩების კუთხეებში თეთრი დორბლი მორეოდა.

რომელიღაც რესტორანში შევედი, ლუდი მოვატანინე, ნახევარი ჭიქა დავლიე. ქუჩაში გავედი. ხანდახან ადამიანს უსურვილოდ გამოდიხარ ქუჩაზე, სული ტანში აღარ გეტევა, არც დგომა გინდა, არც ჯდომა, არც წოლა, არც სიარული, არც სადმე წასვლა, არც ვინმეს ნახვა.

შენი სული ბუდეგამოფუჟულ კრაზანასავით წრიალებს. გახუნდებიან ამ ქვეყნიური ფერადები, არ გინდა არც შენი თავის, არც ადამიანების დანახვა, ყოველივე ხმაურობა ნერვებს გიშლის, აღარ იცი, სად წახვიდე; აღარ იცი, ვის შეაკლა თავი და მაშინ დედამიწაზე ჭილობის ოდენა მიწაც არ გეგულება, სადაც შეგეძლოს თავი მიიდრიკო.

ვიწრო, ბინძურ შუკაში მივხეტიალობ. აივნიდან ვიღაცამ ძველი ძონძები გადმომაბერტყა. მტვერი გადამეყარა თავზე და მხრებზე, ნაბიჯიც არ ამიჩქარებია. მწუხარებამ მომადრეკინა თავი. და დამეყაროს თუნდაც ამ სოფლის მტვერი... მე ეს არ მენაღვლება.

პატარა ხიდზე ბავშვები თამაშობენ. სან ფრანჩესკოს ფრესკების ანგელოზივით დაუღიათ პირი ქუჩის ბავშვებს. ცაზე ახლად ამოსული მწუხრის ვარსკვლავი კაშკაშებს. ხიდზე შარვალ-გამოხეული ბავშვები მღერიან, გვიანი სხივი კაშკაშებს წყალში. ხიდს გაღმა, ძველ სამლოცველოს ნანგრევებთან, ქუჩის ბავშვები, მათხოვრები და მწირები მოგროვილან. ილანძღებიან, ხარხარებენ, უსტვენენ.

ბრბოში გავერიე. პატარა, ორბორბალა ეტლში წვერგაბურძგვნილი, გრძელთმიანი მათხოვარი იჯდა. ზურგგადატყაული, ზანზალაკებიანი თეთრი სახედარი გაუბამთ ეტლში. ჩემს გვერდით მდგარ ფოსტის მოხელეს გამოვკითხე. ამ წითელ ანაფორიან მათხოვარს თურმე ახალ ქრისტედ მოჰქონდა თავი. ეტლის გარშემო ოთხი ძონძებიანი, უქუდო, ფეხშიშველა მათხოვარი: მათე, მარკოზი, იოანე და ლუკა... ესენი ასე დაწოწიალებენ თურმე მთელს იტალიაში, მათხოვრობენ, მეორედმოსვლას წინასწარმეტყველებენ, ენაარეულ ქადაგებას ეწევიან. იტალიელები საერთოდ ცრუმორწმუნე ხალხია, და რო-

გორც შევატყვე, ამ ქადაგადდავარდნილებს გარშემო მოგროვილ ხალხში, ზოგი დასცინოდა, ამასხარავებდა მათ. ზოგიც დიდის ყურადღებით და კრძალვით ესმენდა. ცრუ ქრისტემ ბამბუკის ყავარჯენი მოიმარჯვა, ჩეზე წამოდგა, ცალი ხელით ეტლის ძგიდეს დაეყრდნო და დაიწყო ქადაგება:

„ქრისტეს მიერ ძმანო და დანო ჩემნო, თქვენ ტვირთმძიმენო, მაშვრალნო და სულით გლახაკნო, უფალი ჩვენი ჯესუ ქრისტე მიიცვალა ღმერთში. ადამიანს დაავიწყდა ღმერთი და გაცოფდა. ანტექრისტემ გაუკეთა ადამიანებს ეს ქალაქები, ანტექრისტემ აუშენა მათ მანქანები. მანქანა თვით არის ეშმაკი. არც დედა ყოლია, არც მამა, — მაინც ცოცხლობს, დარდი არ აწუხებს, — მაინც ხვნეშის, ღმერთს სული არ მიუცია მისთვის — მაინც სუნთქავს, „ადექ და იარე“ არ უბრძანებია მისთვის უფალს, — მაინც დადის. დანო და ძმანო ჩემნო, უფრთხილდით ორთქლისა და ელექტროს მანქანებს, გახსოვდეთ მუდამ მანქანების შიში... მაგრამ მოწეულია ჟამი, ძმანო და დანო ჩემნო, როცა ყოველი ქრისტეანი თვით უნდა გახდეს ქრისტე და აჰა, მე დავძლიე ჩემი ადამიანური სივაგლახე, მე სალოდავმა და უბინაო მწირმა.

„სიკვდილი მოდიოდა პირახვეული და ჩემი მოკვდავი სხეული უნდა გადაეჯეგა, როგორც გაცოფებულ მარტორქას ნორჩი შაქრის ლერწამი, მაგრამ აღსდგა ჩემში ქრისტე, განვკაცდი და მცხო ღმერთმა მირონი სასოებისა. ჩემში მიცვალებული ქრისტე ჩემშივე მკვდრეთით აღდგა, მიწა და ზეცა ატირდნენ ჩემში. ბამბის ძაფი მიმიბა ღმერთმა კისერზე და აჰა, ძმანო და დანო ჩემნო, ხომ ხედავთ, ამ ეტლში აბია ის ბრმა კვიცი, გზობა დღეს მაცხოვარი რომ იჯდა, თქვენი ჯესუ ქრისტე. სახედარი იგი ბრმაა. ნეტარ იყვნენ ბრმები, რამეთუ ბრმები ენდობიან თავიანთ გულისთქმას. და მივჰყვები ამ ბრმა სახედარს სასუფევლისაკენ, ღვთისაკენ, ხელმეორედ შობისაკენ.

„ძმანო და დანო ჩემნო, ჩემი ბრწყინვალე ეტლი მიმაქროლებს დიდების გზისაკენ, მომყევით თქვენაც, სულით გლახაკნო და მაშვრალნო: სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“.

როცა ცრუ ქრისტემ ქადაგება გაათავა, კისერზე თოკები

გადაიგდეს „მოციქულებმა“ და თეთრ სახედართან ერთად წამოაჩქარეს ეტლი. განაწამები ცხოველი საცოდავად მიჭენჭღლებდა. ხანზალაკების მხიარულად ძლარუნი ისმოდა. უნდა გენახათ, როგორ ამპარტავნად იჯდა ცრუქრისტე თავის ეტლში, თითქოს პომპეი ყოფილიყოს, ტრიუმფალური ეტლით რომში შემავალი. მის ქადაგებისაგან მე ვერაფერი გავიგე, მაგრამ ამ გლახაკის სახე არაჩვეულებრივად ამაყი და მიმზიდველი იყო. მაღალი, განიერი შუბლი ამპარტავნად გადმოსცქეროდა მის დაღლილ, ფერგამკრთალ სახეს. მაგრად მოკუმული ბაგე და შუა გაყოფილი ენერგიული ნიკაპი ამჟღავნებდა არაჩვეულებრივ ენერგიას და ნებისყოფას. მე დამაინტერესა, ამ საოცარმა პროცესიამ და გავჰყევი. ისევ შეაჩერეს ეტლი „წმ. მოციქულებმა“. სარტყლის შესახსნელად გადაიყვანეს თავიანთი „ჯესუ ქრისტე“. ამასობაში ვიდროვე. ეტლში ჩავჯექი. გადავუშვირე შოლტი თეთრ სახედარს და გავაქანე ვიწრო შუკაში. აუარებელი ბავშვები, ქუჩის მათხოვრები და ლუტები მომსდევდნენ, მომძახოდნენ: „ჯესუ, ჯესუ, ჯესუ“. მე წამიერად გამეხარდა, რომ, თუმცა მასხრობით, მაგრამ მაინც ქრისტეს სახელს რომ მიწოდებდნენ. ქუჩის ბოლოს ავტომობილი შემოგვეფეთა. სხვა გზა არ იყო, ფილაქანზე გადავიყვანე ეტლი. ამასობაში ორი „მოციქული“ წინ გადამეღობა. დანარჩენებმა თავიანთი „მაცხოვარი“ მოიყვანეს. მის დანახვაზე ავდექი. ცრუქრისტემ ცალი ხელი ეტლს ჩასჭიდა, ცალითაც სილა მაჭამა.

„ვინ მოგცათ ნება ღმერთის ეტლში ჩამჯდარიყავით?“

მეორე ყბა მივუშვირე და ვეუბნები:

„მე თვითონა ვარ ღმერთი“...

## 32. ლუჩია

ამ პატარა სკანდალის შემდეგ ფლორენციას წაველი ლამ ა მატარებლით. ასიზის გზაზე ჯვარცმის დამსხვრევა, პერუჯიელ ცრუქრისტეს სილა, ყველაფერი ეს სიმთვრალესა და ექსტაზში მომხდარი ამბები იყო, მაგრამ მაინც კოშმარული ნალექი დამრჩა გულში. დიდს ალტყინებას დიდი ქენჯნა მოჰყვება და არასოდეს მიგვრძნია ისეთი უსიტყვო ვარამი, როგორც იმ

დღეს ფლორენციაში. ვერც პალაცცო ვეკიომ, ვერც ფლორენციელი დიდი ოსტატების შედევრებმა, ვერც ამ მშვენიერმა ქალაქმა ერთი წუთის აღფრთოვანება და სიხარული ვერ მომანიჭეს. ჩემი სული რაღაც გაურკვეველმა გლოვამ მოიცვა. წინა ღამეს არ მეძინა. მეორე დღეს უსმელ-უჭმელი დავწრიალებდი ფლორენციაში. ერთ კაფეში შევედი. გაზეთებს თვალი გადავავლე, ცოტა მუსიკა მოვისმინე, ვერსად მოვისვენე. ისევ ჰოტელში დავბრუნდი. აბსენტით დავთვერი. დავიძინე. ნაშუადღევს კედლის საათმა გამომაღვიძა. მთავარ კორზოზე ორიოდე ეტლი მიჩაქჩაქებდა. ქუჩის კუთხეში რამოდენიმე მათხოვარი და ქუჩის კახპა დაღოღავდა. მივჰყვები კორზოს. საშინელი მარტოობა ვიგრძენი. უმიზეზო ცრემლებით მევსება თვალები, ძველ ქალაქში გადავედი.

აქაც მომსდიეს პორნოგრაფიული სურათების გამყიდველებმა. მეღრიჯებიან: „უნა ლირა, უნა ლირა“. ვიწრო ქუჩების ლაბირინტში გზა დამებნა. კომპასი ამოვიღე. რუკას დავხედე.

მაღალი სახლიდან როიალის ხმა და სიმღერა მოისმის, განათებულ, ღია ფანჯრიან აივანზე თეთრებში გამოწყობილი ქალ-ვაჟი ირევა, ქვევით, ჭიშკართან, ორი ქალი ეთხოვება ერთიმეორეს. თეთრებიანი ეუბნება შავებიანს:

„დარჩი ცოტა ხანს, ალფრედოც მოვა და გაგაცილებს“. შავებიანი უარზეა.

„რა მიშავს, მუდამ მარტო არ დავდივარ?“

თეთრებიანმა ჭიშკარი გადაიკეტა. მე შავებიანის ლანდს გამოვუდექი. ქალი დიდხანს ვერ ამჩნევდა, რომ მას მივსდევდი. ქალი გულგრილად ვერ ჩაუვლის ქუჩის სარკესაც და მთავარ კორზოს ვიტრინაში ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს. ვიტრინაში მისი სახე რაფაელის ქერა მადონას მომაგონებს. შავებიანი ეტლთან შესდგა.

„დაკავებული ვარ“. ეუბნება მეეტლეს. პატარა შუკაში შეუხვია. ისევ დავეწიე. მეორე კორზოზე გავედით. შევსცქერი მის ამაყ სიარულს. მის მაღალ ტანის სავსებას. მხოლოდ იტალიელ ქალს შეუძლია ასე გაიაროს ქუჩაზე!

დავეწიე. ორიოდე ნაბიჯიც და მინდა დაველაპარაკო. ენა მებმება, სითამამე აღარ მყოფნის. ისევ ჩამოვრჩები. კორზოზე ქოლგიანი კაცი გამოუდგა. მოურიდებლად მივიდა. ქუდი მო-

იხადა, ისევ დაიხურა, თავის გზას გაუდგა. ახლა მეორე, შავფრაკიანი...

ქალი შეჩერდა ჩააცქერდა. ვაჟი დაიბნა და გაეცალა. მესამე მარჯვე რიცხვია, გავიფიქრე. გამბედაობა მოვიკრიფე და მივეწიე. ქალმა კორზო გადასჭრა. ტრამვაის სადგომთან მივეწიე. გზა გადავუჭერი. განრისხდა. წარბები შეიქმუხნა:

„რა გნებავთ ჩემგან, სინიორე?“. მისი შვენიერი სახის ელვარებამ რეტი დამასხა. მე არ მეგონა, თუ შვენიერებას შიშის მოგვრაც შეეძლო. შემრცხვა. დავიბენი. თავი ჩავლუნე. ოდნავ ალერსიანი ტონით, შეკავებული ღიმილით ამბობს:

„მაინც, რა გნებავთ ამდენი ხანია მომსდევთ?“ ქვიშაში ჩარჭობილი შუბისტარივით გავშეშდი. სითამამე მომემატა. წავილუღლუღე:

„მე... მე არაფერი, სინიორა. მე სულით მგლოვიარე მწირი ვარ. მარტო ვიყავი, გული დარდით ამევსო და თქვენმა დანახვამ გამახარა. თუ ნებას მომცემთ, მე მინდოდა ცოტა ხანს მეარნა თქვენს გვერდით“. კიდევ შემომხედა. რამოდენიმე ნაბიჯი ერთად გავიარეთ...

ისევ მომიბრუნდა:

„საოცარია, ამხელა მამაკაცს რომ გაწითლების უნარი გქონიათ! თქვენ რომ რამე გეთქვათ წეღან, მე ხმას არ გაგცემდით. თქვენი გულწრფელობა მომეწონა“.

„სიტყვა აშორებს ადამიანებს, სინიორა“. ვუპასუხე. ამის შემდეგ ორივენი ხმის ამოუღებლად მივდიოდით.

რკინის მოაჯირიან სახლში შემიყვანა. მეორე სართულზე ავედით. ბინის კარი გააღო. პატარა ფინია წკმუტუნით მოგვვარდა.

„კუშ“! უბრძანა ძაღლს. საწოლ ოთახში შევყევი. ლორიგანის სურნელი მოგვეგება. ორი ერთმანეთზე მიდგმული საწოლი. პატარა კარადაზე მდგარ ვაზებში თეთრი ქრიზანტემები. საწოლის გასწვრივ მოოქროვილ ჩარჩოებში ძლიერ ახალგაზრდა, ლამაზი ვაჟის სურათის გარშემო შავი ძაძის არშიები და დამჭკნარი გირლიანდები. იქვე ლენტებიანი ორდენები და ხმალი. ხმლის პორტუპეიზე მიმაგრებულ ზორტზე ასეთი წარწერა იყო: „იტალიის სამეფო გვარდიის ლოიტენანტი ალესანდრო პაპინი. მიიცვალა ქრისტეს-მიერ 1917 წ. 18 მარტს. ნა-

შუაღამევის 4 საათსა და 15 წუთზე, ფიუმეს სამხედრო ლაზარეთში“.

საოცარი გრძნობა დამეუფლა, როცა ორივენი ხმის ამოუღებლად გავშიშვლდით და დავწექით. თითქოს უსიტყვოდ ვემორჩილებოდით სიყვარულისა და სიცოცხლის ღმერთის გარდაუვალ ბრძანებას...

და დაიწყო ჩვენს შორის უსიტყვო მისტერიები. ჩემი ტუჩები მისას მიეკარა, ჩემი სხეული მის სხეულს შეეხო, ჩემი მკლავები მის ტანს შემოერტყა, ჩემი მარცხენა მის მარჯვენაზე, — ჩემი გულის ფიცარი მის გულის ფიცარზე და თითქოს მე ჩემს სხეულში ვერ ვეტეოდი, თითქოს ვერც იგი ეტეოდა თავის სხეულში, ისე ბორგავდნენ ჩვენი ტანები.

ერთ წუთში შეერთდენ კიდეც ჩვენი სახსრები, ყოველი ძარღვი გაიშალა, გაიჭიმა, გაგრძელდა ყოველი სახსარი. ჩემი სულიდან გადმოიინთხა მწუხარება და რძისფერ ბურუსში ჩაიქცნენ საგნები, ჩემი ტანიდან გამოვიდა უშველებელი ენერგია ფლუიდების სახით, ჩემი სისხლი ფეთქავდა მის ლაწვებზე და ერთ წამში ვიგრძენი ენით უთქმელი ნეტარება. მოვწყდი, მოვეშვი და ჩავიფერფლე, როგორც ურნაში ჩამქრალი ავლი. განათდა ისევ ჩემს სიახლოვეს, ვხედავ საგნების ფერმკრთალ კონტურებს და დიდ ჩარჩოში მხედარის სურათს. მე დავილალე მისი თეთრი ტანის ალერსით. მისი სავსე ძუძუმკერდის კოცნით და ლაღბობით. იგიც დაიქანცა და ჩემს მკლავებზე ნებივრობს. ვწევარ პირაღმა და შევსცქერი შავი ფლასით მოსილ მიცვალებულის სურათს. ისევ გაიღვიძა დედაკაცმა მასში. მეალერსება. მკერდზე მეხუტება. თვალებზე ხელს მაფარებს. მკოცნის. მისი სხეული თრთის და კანკალებს, ვნების ციებით ატოკებული. და ასე მგონია, უსახელო ღმერთი მიხუტებდეს მკერდზე და ნექტარითა და ამბროზიით ავსებდეს ჩემს დაღალულ სულსა. ისევ ცარიელ საწოლზე ვწევარ. შევსცქერი მიცვალებულის სურათს. იქვე კედელზე წაბლის ფერი ბრინჯაოს ჯვარცმაა. დაღრეჯილი უდაბნოს სახე შემომცქერის და მომეშხამა საწუთროება. და ვფიქრობ ჩემთვის: ამ საწოლზე ოდესმე ეს მიცვალებული წოლილა და როცა იგი ვნებისაგან გახელდებოდა, მასაც ჩემსავით აჰყავდა ხელში ეს ქალი, ჩემსავით სრესდა მის თეთრ ძუძუებს და ასე მგონია,

ჩემსა და ამ ქალს შორის ნელნელა ითხრება უშველებელი უფსკრული და ორივეს გვეფარება სიკვდილის ბნელი ფრთა სახეზე.

საათს დავხედე. ნაშუაღამევის 4 საათი და 10 წუთია. ავდექი. ქალმა პენუარი გადაიცვა. კარებამდის მიმაცილა.

„შენი სახელი მითხარი“, ვეუბნები.

„რად გინდა ჩემი სახელი. ეს წამიერი ზღაპარი იყო. მენ ახლა წახვალ, აწი ველარ ვნახავთ ერთმანეთს. მე ლუჩიას მეძახიან“, მეუბნება და მკოცნის ტუჩებზე. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, ელექტრონი ავანთე, 4 საათი და 15 წუთი!

სწორედ ამ დროს მიიცვალა ფიუმეს სამხედრო ლაზარეთში ჩემი შორეული და უცნობი ძმა ალესანდრო პაპინი.

## 33. ციკლოპის თვალი

ალბანოში საშინელი უძილო ღამეები ჩამოძყვა. ბიანკა მუა ღამემდის ჩვენთან რჩება. ვიდრე ბარონესსა ალბანოში იყო ერიდებოდა კიდეც თავის პატრონესსაზე ლაპარაკს. ახლა ბევრი რამ საინტერესო გვიამბო: უკანასკნელად ინდოეთში მოგზაურობის დროს, ბარონესსა ჯაინას სექტის ზედგავლენას მოჰყოლია.

„ევროპელები ერთმანეთსა სჭამენ, ჯაინას სექტის წევრები მხოლოდ გაწურულ წყალსა სვამენ; ცხოველების გადაყლაპვას ერიდებიან, მოგვითხრობს ბიანკა, ჯაინას სექტამ მოაწყო ბომბეის დუმილის კოშკი, სადაც ასიათასზე მეტი მოხუცი ფრინველი ცხოვრობს. გასულ ოვეს 60 ათასი ლირა გადაუგზავნა ბარონესსამ ბომბეის პირუტყვების ლაზარეთს“.

საოცარია, როცა ადამიანთან ახლოსა ხარ, არ აკვირდები, როცა მოგშორდება, — მერმე მეტს ფიქრობ მასზე! ამავე საღამოს მე ვუამბე ბიანკას და ჯენეტს ზოგი რამ ჩემი უკანასკნელი ლარიბობიდან. არც ცრუქრისტეს ოინები დამვიწყებია.

„ამ ქვეყნად ალარაფერი მიკვირს, ამბობს ბიანკა, ყველაფერი ისე ახლოსაა და ისე ბნელი. ან რა უნდა გაუკვირდეს ადამიანს? ხვალ რომ ფირუზის ცადაქნილი თავზე ჩამოგვენგრეს, ან ალბანოს ტბიდან ალისქარმა ამოხეთქოს. არც მან

უნდა გაგვაოცოს. მებაღე — მუდამ სეტყვის მოლოდინშია, სულით გლახაკი უფლის მკლავის შემყურეა, და ჩვენ ყოველ წუთში მზად უნდა ვიყოთ.

„იცით, დოქტორე, საშინელება ის არის, რომ ჩვენ მომავალს ველარ ვხედავთ, ჩვენ სიკვდილისა და ზრდის შესატყვისი ვერ გვიპოვნია. თქვენი ფანჯრის პირდაპირ რომ გამხმარი ნუშია, ის შარშან სულ პატარა იყო. თავის ხელით დარგო ბარონესსამ იგი. მე ვამჩნევდი მას, თვეობით რომ იზრდებოდა. მინდოდა მეთვალთვალნა, მენახა, როგორ იზრდება, მაგრამ ამაოდ... ასე მოულოდნელად მოკვდა ის ნუშის ხე. არც ბარონესსას უნახავს, არც მებაღეს... მაინც რა საოცრად მოკვდა. დოქტორე, ის ნუშის ხე, მისგან ჩივილი არავის გაუგონია!.. ან ნეტავ ჩვენ შეგვეძლოს ვისწავლოთ უჩივლელად სიკვდილი“. ბიანკას თავი ასტკივდა. ადრე დაგვემშვიდობა. ამ საღამოს იგი არაჩვეულებრივად ალერსიანი იყო. სტეარინის სანთელი ავანთე. თავის ოთახის კარამდის მივაცილე. კარებთან მომიბრუნდა:

„იცით, დოქტორე, მე ძლიერ ცუდი სიზმრები მაქვს. არ ვიცი, რა მოხდება“.

იმ ღამეს ნაშუაღამემდის არ დამეძინა. ჩავსთვლიმე. გვკოს ყივილმა გამაღვიძა. პაპიროსს მოვუკიდე. ჯენეტს ახველებს. ამიტომაც ოთახში არ მინდოდა თუთუნის მოწევა. ატრიუმში გავედი. გარე კართან ფეხის ხმა მოისმა. ჩემს წინ ლანდმა გაირბინა. რევოლვერი თან არა მქონდა. მაინც გამოვუდექი. ბაღში რომ გამოვედი, ლანდმა ნელა დაუსტვინა. შემოტრიალდა. მის ხელში რევოლვერი ლაპლაპებდა.

„ხელები ასწიეთ“, შემომძახა. ბრძანების ასრულებაც ვერ მოვასწარი. შვიდი შეიარაღებული გარს შემომერტყა. რომის პოლიციის პრეფექტისა და ფაშისტების შტაბის უფროსის ხელმოწერილი ბრძანება მაჩვენეს.

ჩხრეკა გათენებამდის გაგრძელდა. შავბლუზიან ფაშისტებს ძლიერ მძვინვარე სახე ჰქონდათ, საკმაოდ უხეშად გვექცეოდნენ. ჯენეტი და ბიანკა მწარედ სტიროდნენ. ვანუგეშებდი. ვარწმუნებდი, გაუგებრობაა, მალე გამომიშვებენ მეთქი.

რომში ცნობისმოყვარე ბრბო მოგვსდევდა უკან. სადგურთან ყვითელი კარეტა. პოლიციის სამმართველოში და

დის ამბით დამიხვდნენ. რომის პოლიციის დირექტორის კაბინეტში შემიყვანეს. დირექტორის გვერდით სამხედრო პირი იჯდა. მას აუარებელი ფაშისტური ნიშნები და ორდენები ჰქონდა. დამხვდურების თვალებში საშინელი სიძულვილის ელვა კიაფობდა.

მე პროტესტი განვაცხადე. ვამბობდი: იტალიის კონსტიტუციის ძალით, მათ ნება არა ჰქონდათ შუაღამეს ყაჩაღებივით თავს დამსხმოდნენ და შევეპყარით.

„იტალიის კონსტიტუცია ჩვენი მეფის უზენაესი ნებისყოფაა, ჩვენ მის ნებისყოფას ვასრულებთ, სინიორე“, მეუბნება ირონიული ღიმილით სამხედრო პირი. ორივენი დამკითხავდნენ.

„მე თქვენ ჩვენებას არ მოგცემთ, ვიდრემდის ჩემი დატუსაღების მიზეზს არ მეტყვით“, ვეუბნები.

„თქვენი საქმის გამოძიება რომ დასრულდება, მიზეზს მაშინ გაიგებთ“.

„მაშ ჯერ გამოძიება არ დაგისრულებიათ და ისე მატუსაღებთ?“ შევრისხე პრეფექტი.

„სამ თვეზე მეტია, რაც თქვენი საქმის გამოძიება დაიწყო“. აუღელვებლად მეუბნება სამხედრო პირი (მაშ ყველაფერ ამას ასიზის გზაზე ჩადენილ დანაშაულთან კავშირი არა ჰქონია, ვფიქრობ და მიხარია).

„თქვენი სახელი და გვარი?“ მეკითხება პრეფექტი. ვსდუმვარ.

„თქვენი ეროვნება?“ ხმას არ ვიღებ. ჯიბიდან პასპორტი ამოვიღე, წინ დავუდევი:

„აქა სწერია ყველაფერი“.

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა.

„ჰალლო, ამბობს ზანტად პრეფექტი, დაწითლებულ თვალებს ჰნაბავს. — „ჰა, ჰა, ჰა... ტუსაღი თქვენს განკარგულებაში გადმოვა... დიახ... იქნება... გამოგიგზავნო? ახლავე... ჰო... წუხელ..: ის არის... დიახ... მესმის...“

საყვირი ჩამოკიდა, ელექტრონის ზარას სალოკი თითი დაადო. ორი კარაბინიერი შემოვიდა. ქუჩაში გამიყვანეს. ისევ ყვითელ კარეტაში ჩამსვეს. ფანჯრიდან ქუჩის დემონსტრაციები... ტყვიისმფრქვეველებით დატვირთული საბარგო ავტო-

მობილები. დროშები... დემონსტრაციები..: რომელიღაც ღიდ კორზოზე მიქროლავს კარეტა.

აფიშების ბოძებზე უაზრო ყვითელი საპნის ქარხნის პლაკატები: ცეცილია, ცეცილია, ცეცილია... ისევ ეკლესიების გუმბათები, პალატები, ნანგრევები, უშქარი ბრბო, სიმღერა და მუსიკის მარში. ტიბრის ხიდზე გამიყვანეს. ანგელოზის ციხეს ვხედავ. ყვითლათ შელესილ სახლთან გაჩერდა კარეტა. თოფიანი შავბლუზიანები კარს გვიღებენ.

ცნობისმოყვარეობით მაკვირდებიან. კარაბინიერები კარეტას გაჰყვნენ. შავბლუზიანებმა მესამე სართულზე ამიყვანეს. დერეფანში, პატარა ოთახების სარკმელებთან შემოკლებული წარწერები: Ao, Aca, acu, ator და სხვა. იმ ოთახში, რომელზედაც „ატორ" ეწერა, მელოტი მოხელე სწერდა. საყელოზე ყვითელი თუნუქის ნიშანი: S. M. თავი ასწია. ფანქარი ყურზე ჩამოიდო:

„მე თქვენ გიცდით, სინიორე". ცინიკურად იცინის. მკვახედ მიბრძანა:

„დაჯექით".

ადგა. თაროდან შტემპელები გადმოიღო. ხელები გამიმურა. სუფთა ქაღალდი წინ დამიდო: ხელები დამადებინა. ჩემი ხელის ანაბეჭდები აიღო. რაღაც წააწერა. უჯრაში შეინახა. ფანქარი ყურიდან ჩამოიღო. მაგიდაზე დასდო, შავბლუზიანები გაუშვა. მიბრძანა, გავყოლოდი. დერეფნის ბოლოს ელექტრონის ფოლაქს ხელი დააჭირა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო. ლიფტი გაალო. ქვედა სართულში ჩამიყვანა. შმორისა და სინესტის სუნი მეცა. მივხვდი: სარდაფი. ელექტრონით გაანათა დერეფანი. პატარა კამერა გაალო. ტლანქად ხელი მკრა. შემაგდო. კარი გაიხურა. ოთახი 9×5 ნაბიჯის ოდენა იყო. კირით შელესილი კედლები. იატაკზე კირის წინწკლები. კედელზე ბალლინჯოების მინასრესი. შუაკედელში ორი ციდა სარკმელი, ისიც კირით შეთითხნილი. შავი რკინის კარში პატარა, ხარის თვალის ოდენა, რგვალი შუშით დაცული ჭუჭრუტანა... შუა ჭერზე ელექტრონის ლამფა, ლამფის გარშემო თხელი მავთულის ბადე.

წინა ღამის უძინარმა დაქანცულობა ვიგრძენი. იატაკზე პალტო დავიგე. მკვდარივით დამეძინა. 11 საათი იქნებოდა,

გამომელვიძა. დღე იყო თუ ღამე, ვერ გავიგე. გასაღებების ჩხარუნი შემომესმა. ზედამხედველს ჯამი მოჰქონდა. პამბაქოსაგან გაყვითლებულ სალოკ თითს ურეცხავდა წვენი. „Si“ ჩაილაპარაკა. კარი გაიკეტა. შევსცქერი სავსე ჯამს. ზედამხედველის ბინძურ ფრჩხილებზე ვფიქრობ. გადავწყვიტე, არ მეჭამა ეს სამარცხვინო კერძი. მართლაც, ასე ცხოველს თუ მიუგდებენ საჭმელს. მომწყინდა კამერაში პირაღმა წოლა. ჯიბეებში ქაღალდის ნაგლეჯები ვიპოვნე. დავამრგვალე. პატარა ბურთულებს ვესვრი ჭუჭრუტანას. მახელებს ეს მუშის თვალი. ციკლოპის თვალი დავარქვი. რამოდენიმე ქაღალდის ბურთულა წვნიანში ჩავარდა. ხელით ამოვკრიფე. წვნიანი ამოვხვრიპე. მთელი თვე ვიჯექი ამ კამერაში. საათი გამიჩერდა. დღე და ღამე გასწორდა ჩემთვის. დრო რაღაც მასიური, გაუთავებელი, განუსაზღვრელი და მდორე გახდა. ფრჩხილები და თმა დამეზარდა. ასე მგონია, მთელი რომის სახლები ჩემ თავზეა მეთქი. მესმის მხოლოდ ზედამხედველის გასაღებების ჩხარუნი. ფეხის ხმა. მახლობელ კარებიდან საშინელი ყვირილი. ერთ-ორჯერ დავაკაკუნე კედლებზე. ერთხელ ვიღაც გამომეხმაურა. შესწავლილი მაქვს ტუსაღების პაროლი. იმ კაცს ვერაფერი გავაგებინე. შორიდან, შორიდან ისმოდა კაკუნი. ერთხელ წამოწოლილს მომესმა. წამოვვარდი, ვაკაკუნე კედელზე. ხმა არ გამცა. ვილვიძებ, არ ვიცი, რისთვის. მენატრება სიზმარი. რადგან მხოლოდ სიზმარში ვცხოვრობ.

სიზმარში ჩემი სული თავისუფალია, ხან საქართველოში ვარ. დედასთან სოფელში, ხან ბერლინში, მე და ჰერბერტი სადღაც მივემგზავრებით, ხან ინდოეთს მივდივარ. მომწყინდა წოლაც, ჯდომაც, კამერაში წრიალიც.

ერთხელ ვიმღერი: „ერეხელი ვარ, მერეხელი“. უცებ ციკლოპის თვალიდან ვიღაც შემომცქერის. ზედამხედველი შემოვიდა. მინდა ავდგე, ყანყრატოში ვწვდე. დავახრჩო.

„იცით, სინიორე, თუ მარსელიეზას სიმღერა არ შესწყვიტეთ, კამერას გაგითბობთ“.

„მე მილანოს ოპერისათვის ვემზადები, ცოტა უნდა ვივარჯიშო“. ვეუბნები ზედამხედველს.

„კამერაში 25 გრადუსს რომ დაგიყენებთ, მაშინ იმღერებთ კარგად“. დამიმუქრა. წავიდა ბრაზი მომერია. ამზინდები შე-

ვიხსენი. პირალმა დავწექი. ფეხები დავიბორკე. ამან დამამშვიდა. ისევ ვიმღერი: „ერეხელი ვარ და მერეხელი“. ჯიბეში პატარა ფანქარი ვიპოვნე. დღიურს ვწერ. რა უნდა დავწერო, ჩემს ცხოვრებაში არაფერი ხდება. ერთხელ ორი კაცი შემოაგდეს. ერთს სისხლიანი ბინტებით შეხვეული აქვს თავი, ცხვირი ლა უჩანს. ისიც სანახევროდ მოჭმულია (სიფილიტიკი უნდა იყოს). მეორეს რუსული სტუდენტური ჯუბა აცვია, დიდრონი ყვითელი ფოლაქები. ცალ მხარეზე ერთი ფოლაქი აკლია. დამათვალიერეს. მწვანებლუზიანს სახე დალიბრული ჰქონდა. მათს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„თქვენცა გცემეს?“ ეკითხება თავშეხვეული.

„დიახ“.

„სად იყავით დამწყვდეული?“.

„სადღაც სარდაფში, ლატერანის ქუჩაზე“.

„რატომ ხართ ასე გამხდარი, არაფერი გაჭამეს?“.

„მაჭმევდნენ, მაგრამ ყოველ დღე სასაქმებელს მაძლევდნენ“.

„ბოლშევიკების ეკონომიურ მისსიას ჩამოჰყევით?“.

„დიახ“.

„თქვენი სახელი და გვარი?“

ბორია ნახამკინ“.

„რუსი ხართ, არა?“

„დიახ, ოდესელი“. ახლა თავშეხვეულმა მოუთხრო მწვანებლუზიანს თავგადასავალი.

„მეც ბევრი მცემეს, ამბობდა, მეც ბოლშევიკების აგენტობას მაბრალებენ. რევოლიუციურ ლიტერატურის გავრცელებას და რუსების მისიასთან კავშირს. თავშეხვეული ახლა მე მომიბრუნდა:

„Parea lei russo?“.

„No?*. ვეუბნები. თავშეხვეულმა პაპიროსი გამომიწოდა ძლიერ მინდოდა მოწევა, მაინც არ გამოვართვი, ისევ მწვანებლუზიანს მიუბრუნდა. არწმუნებს, რომ იტალიაში მალე რევოლიუცია იფეთქებს. კვირინალის სასახლეზე წითელ დროშასააფრიალებენ და ჩვენ ყველას გაგვათავისუფლებენ

* „რუსულად ლაპარაკობთ?“ — „არა“.

მწვანებლუზიანს თვალები უბრწყინავს. თავს უქნევს. თავის ჩიქორთული იტალიურით ებაასება. ახლა მწვანებლუზიანი ჩამაცივდა. რუსულად დამელაპარაკა. ხმა არ გავეცი. იტალიურად მეუბნება:

„კომუნისტი ხართ?“.

„არა“.

„მაშ რატომ დაგიჭირეს?“.

„არ ვიცი“. ორივენი ბევრს ეცადნენ გაეგოთ, ვინ ვიყავი, ან რატომ დამიჭირეს. ვერას გახდნენ. მესამე დღეს თავშეხვეული გაიყვანეს. მწვანებლუზიანი აწრიალდა.

„როგორ გგონიათ, ის კაცი ჯაშუში ხომ არ იყო?“.

„რა ვიცი“.

„მაშ რად გაუშვეს“?

„არც ეგ ვიცი“. მთელი კვირა ერთად ვიყავით. მწვანებლუზიანი დალონდა. იატაკზე რუსივით აფურთხებდა. პირს არ იბანდა. ღამე მეწისქვილესავით ხვრინავდა და ბორგავდა. ერთ დღეს ისიც მომაშორეს. ამოვისუნთქე. ღამე უნდა ყოფილიყო. ზედამხედველი შემოვიდა. მიბრძანა გავყოლოდი. ლიფტით ამიყვანა მესამე სართულზე. მელოტი კაცი უშველებელ ტყავის სავარძელში იჯდა. პაპიროსს სწევდა. წინ აუარებელი ქაღალდი ელაგა. თავაზიანად დამკითხავს:

„თქვენი სახელი და გვარი?“

„ჟოზეფ ვიტენზონ“. სწერს.

„მორწმუნე ხართ?“

„დიახ“.

„ქრისტეანი?“

„არა“.

„მაჰმადიანი?“

„არც ეგ.“

„ებრაელი?“

„არა“.

„კომუნისტი?“

„ეგ ხომ სარწმუნოება არაა?“

„როგორ არა, მაშ...“

„მე ეს არ ვიცოდი“.

„მაშ რაღა ხართ?“

„არცერთ ეკლესიას არ ვეკუთვნი. თქვენ ძველ შაბლონს განაგრძობთ, ბ. გამომძიებელო“. ვეუბნები. გამომძიებელი განრისხდა. ხმა აიმაღლა.

„მე თქვენ გთხოვთ...“ შევაწყვეტინე:

„სანამ არ მეტყვით, რას მაბრალებთ, მე ჩვენებას არ მოგცემთ“.

„გაიძულებთ“.

„იძულებით ჩემთან ვერას გახდებით“.

გამომძიებელი მოლბა.

„მაშ ამ კითხვებზე მიპასუხეთ“.

„გისმენთ“.

„თქვენ ამა წლის მარტის 13-ს ჩამოხვედით მილანოში?“

„დიახ“.

„14-ს მილანოს ტაძრის სხვენზე იყავით“.

„ჰო“.

„15-ს ვენეციაში...“

„დიახ“.

„22 მარტს კარდინალ ლ-თან გქონდათ მოლაპარაკება, ვატიკანში“.

„დიახ“.

„საგანი?“

„ამ კითხვაზე ნება მომეცით არ გიპასუხოთ. შეგიძლიათ, თვითონ კარდინალსა ჰკითხოთ“.

„კარდინალი ვერ გაამხელს, რასაც მორწმუნე გაანდობს“

„გადაეცით კარდინალს: მორწმუნე აღარა ვარ“.

გამომძიებელმა ცხვირსახოცი ამოიღო, საოფლე გაწმინდა. სწერს.

„15 მარტს თქვენ რა გინდოდათ კვირინალის სასახლეში?“

„დასათვალიერებლად წავედი“.

„სხვა არაფერი?“.

„არა“.

„თქვენ რა კავშირი გაქვთ გერმანიის აქაურ მისიასთან?

„არავითარი“.

„რუსის მისიასთან?“

„არავითარი“.

„რუსის მთავრობასთან?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არავითარი“.

„არც ძველთან, არც ახალთან?..“

„არც ერთთან“.

„თქვენ ხომ იცნობთ ბორია ნახამკინს?“

„თვალითაც არ მინახავს“.

„სტყუით“.

„გთხოვთ ზრდილობიანად მელაპარაკოთ“.

„მე დაგიმტკიცებთ, რომ სტყუით“. გამომძიებელმა დარეკა, მაღალი, ცხვირმოჭმული კაცი შემოვიდა. ცხვირი მეცნაურა. გამომძიებელი ახლად შემოსულს მიუბრუნდა:

„პაოლო, ეს კაცი ბორია ნახამკინს არ იცნობს!“

„როგორ არა, ერთად არ ვიჯექით?“ მე ვიცანი ეს კაცი. ნახამკინიც მოვიგონე.

„მთელი ღამე ეჩურჩულებოდა ეს კაცი ბორია ნახამკინს. არწმუნებდა: „მალე რევოლუცია იქნება, კვირინალზე წითელ დროშასააფრიალებენ და ჩვენ გაგვათავისუფლებენო“. ბრაზი მომერია.

„მე გთხოვთ ეს პროვოკატორი გაიყვანოთ აქედან“. მივმართე გამომძიებელს. გამომძიებელმა ანიშნა. პაოლო მხრებაწურული გავიდა.

„მაშ თქვენ არ გინდათ გამოტყდეთ?“ ვსდუმვარ.

„თქვენ გბრალდებათ რუსების მისიასთან კავშირი, ანტირელიგიური პროპაგანდა“... მეუბნება გამომძიებელი. თანაც თვალებში მიყურებს. მოურიდებლად შევაგებე თვალი ისე, როგორც პარიზელ იუველირს.

„გირჩევთ, გამოტყდეთ“.

„ბრალდება?“ ვუყვირე გამომძიებელს.

„მე ვუბრძანებ 25 გრადუსი სიცხე დააყენონ თქვენს ოთახში. მაშინ გამოტყდებით“.

მე თვალი მოვკარი გამომძიებლის მაგიდაზე გადაშლილ კალენდარს. 14 ივნისი ყოფილა.

„მე თქვენი მუქარის არ მეშინია“. ვეუბნები და ვდგები. მაგიდაზე დადებულ რევოლვერს გადახედა. მე პრესსპაპიესკენ წამივიდა თვალი. მაგრამ ვიგრძენი, გამომძიებლის უკან მთელი იტალია იდგა. მე მარტო ვიყავი, და ლონემიხდილი სავარძელში ჩავჯექი.

ორიოდე საათის შემდეგ კამერაში 25 გრადუსს გადასცდა მხურვალება. მოუსვენრად დავწრიალებ. სარკმელამდის ფვცოცდი. რომის ძველ ქუჩას გადავსცქერი. თეთრებიანი ქალები და ვაჟები მოედანზე ტენისს თამაშობენ. ბედნიერი ხალხი! როგორ სტკბებიან ამ საუცხოვო მზით, თავისუფლებით და სიხარულით! მწვანე მოლი ბიბინებს, მე გალიაში გამომწყვდეულ ნადირივით დავრბივარ ჩემს კამერაში. გასაღებების ჩხარუნი მომესმა. ზედამხედველმა ზეინკალი შემოიყვანა. სარკმელი ლურსმნებით დასჭედეს. სუნთქვა შემეკრა. მესამე დღეს საშინელი კრიზისი დაიწყო. კოშმარული ღამეა. სახესა და სხეულზე ოფლი მასკდება. ტანისამოსს ვიხდი. შიშველი ვწევარ. მტვერიან იატაკზე, ორ ძილში ვბორგავ. ელექტრონის მუქი ბედითი თვალივით ლაპლაპებს. პაწია ცეცხლის ბურთულები ცეკვავენ ალისფერ ჰაერში. იზრდებიან, დიდდებიან, ტრიალებენ, ჰქრებიან და ისევ ჩნდებიან. ერთბაშად უშველებელი სახლის უფსკრულის პირას მივბარბაცებ. მუხლები მეკეცება. კარებამდის მივაღწიე, ცივ რკინას ვეხუტები. ვიღაც იჭვრიტება ციკლოპის თვალიდან. ისევ იატაკზე ვწევები. სახსრები მომიდუნდენ, თავი დამიმძიმდა, თითქოს ფოლადის სალტებს მიჭერდნენ. ასე მგონია, მთელი სხეული დამისივდა, თვალსა ვხუჭავ, მეძინება. კამერის კედლიდან გადმომსკდარა წყალი. რძის ფერი ჩანჩქერები მელანდებიან. ხელებს ვიშვერ. ვწელავ. ვტორტმანებ და ისტერიულად ვყვირი. „წყალი, წყალი“. თვალს ვახელ, წყალი არსადაა. უდაბნოს მზესავით კაშკაშებს ელექტრონის ლამფა. სხივები პურის ძნასავით ჩამოშვებულან. სინათლე მაინც არ იყოს! კუთხემდის მივფორთხდი ცალი ფეხსაცმელი ავიღე. ლამფას ვერ მოვახვედრე. ახლა მეორე ავიღე. საშინლად მემძიმა. ლამფა დაიფშვნა. ბნელში წავიქეცი. ვხედავ, დერეფნიდან მომავალი სხივი კიაფობს ციკლოპის თვალში. ერთ წუთში ისიც ჩაჰქრა და ბნელმა მოიცვა ჩემი გონება.

გამომეღვიძა. წამლის სუნი მეცა. ეს საოცარი სისუფთავე. თეთრებიანი ქალები და კაცები მეუცხოვა. ვიღაც თეთრ ხალათიანი ჭაღარა ქალი თავზე მადგას, ხელში რძის ბოთლი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცხის საზომი უჭირავს. განიერ ფანჯრებიდან წმინდა ჰაერი შემოდის, სინათლე, უშველებელი სინათლე!

ვეღარ გავუსწორე თვალი. ქუთუთოები დამიმძიმდა. ისევ გამეღვიძა. ახალგაზრდა ქალს უჭირავს ჩემი მკლავი. თვალზე ხელი მივიჩრდილე:

„ბიანკა“! ბიანკას მხრები უკანკალებს. ღონე მოვიკრიფე, გავამხნევე:

„რა მოხდა, სინიორინა ბიანკა, რათა სტირი?“ ბიანკამ მიამბო. თურმე წინასწარი გამოძიების საავადმყოფოში ავად გავმხდარვარ. ლაზარეთში გადმოუყვანივართ. გონს მოველ. ჯენეტი მოვიკითხე. კლინიკაში წოლილა.

„ექიმებმა კატეგორიულად მოითხოვეს... მშობიარობას ვერ გადაიტანდა, ოპერაცია რომ არ ექნათ“.

ამიხდა მამის წყევლა!.

ბიანკა ნაღვლიანად მიცქერის. ისევ სტირის.

„ნუ სტირი, ჩემო პატარა სინიორინა. ვკოცნი მის ბავშვურ ხელებს. ახლა ბიანკა მანუგეშებს, ჩემს საქმეში ბარონესსა ჩარეულა, დანაშაულს შევუმსუბუქებო. ჯენეტი იძულებული გამხდარა ჩემი ნამდვილი ვინაობა გაემჟღავნებინა. მესამე დღეს ისევ ჩემს კამერაში გადამიყვანეს. სარკმელი გამიღეს. გაცილებით უკეთ მექცევიან. დღეში ორჯერ ეზოში მასეირნებენ კარაბინიერები. ძლიერ დავსუსტებულვარ. სიარულს ძლივს ვახერხებ.

ისევ მიხმო გამომძიებელმა.

იმავე ოთახში, იმავე სავარძელში, იგივე კითხვები, ოღონდ უფრო ზრდილობიანად. პაპიროსი მომაწოდა. თუთუნის კვამლმა გამახელა, ვეღარ მოვითმინე და გამოვართვი. ხმამაღლა ვეუბნები:

„ისევ თავიდან დაიწყეთ?“.

„არა, ჩვენ უთქვენოდაც ბევრი რამ გავიგეთ“.

„მაინც?“

„თუნდაც ის, თუ რად იყავით კარდინალ ლ...თან“. დავინტერესდი:

„აბა?...“

„თქვენ მოლაპარაკება გქონიათ აღმოსავლეთის რომელიღაც პატარა ერის გაკათოლიკებისათვის“...

„სახელდობრ?“

„ეს ვერ გავიგეთ, მაგრამ სულ ერთია. გირჩევნიათ, ყველაფერი გულწრფელად აღიაროთ. რაც თქვენ იტალიის მიწაზე ფეხი შემოდგით, იმ დღიდან გზვერავდათ ჩვენი საიდუმლო პოლიცია“.

„მაშ ყვითელჯუბიანი თქვენი შემოჩენილი იყო?“

გამომძიებელი ცბიერად იღიმება.

„ჩვენ ცნობა გვქონდა, განაგრძო გამომძიებელმა, 13 თებერვალს შვეიცარიიდან უნდა გადმოსულიყო ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს აგენტი იტალიაში რევოლუციის გასაჩაღებლად. ჩვენმა ჟანდარმერიამ თქვენზე აიღო ეჭვი. თქვენი საქციელი გვაოცებდა: მუდამ ეკლესიაში დადიოდით და ერთბაშად ასიზი-პერუჯიის გზაზე“...

გამომძიებელმა არ დაათავა, შემომაშტერდა“..:

„ქრისტეს ჯვარიც დაანგრიეთ, არა?“ თუ არ გამოტყდებით, მე ეხლავე შემოვიყვან იმ კაცს, ვინც იმ დილიდანვე მოგსდევდათ ასიზიდან. საკვირველია, წინა ღამეს ლიტანიებში იღებდით მონაწილეობას“.

„თქვენ არ იცით ღვთისმოსაობასა და ღვთის გმობას შორის რომ სულ ერთი ნაბიჯია?“

„მე ეს არ ვიცოდი. ეს ჩემთვის საბუთი არ არის, საბუთი ის არის, რომ თქვენ იტალიის სახელმწიფო სარწმუნოების რელიქვიებს და სიმბოლოებს შეურაცყოფა მიაყენეთ. იტალია ბარბაროსების ქვეყანა ხომ არ გეგონათ?“

მეტი რა გზა იყო. გამოვტყდი. აღვიარე ჩემი ვინაობა, გავამხილე პასპორტის გამოცვლის მიზეზი. რაც შეეხება ჯვარის გმობას, მე ყოველი ადამიანის სარწმუნოებას რიდით ვექცევი და მით უფრო იტალიის რელიგიურ სიმბოლოების შეურაცყოფა მიზნად არ დამისახავს მეთქი. მე მინდოდა შური მეძია ჩემი ხალხის სახელით, დავსძინე“.

„წარმართების და ბარბაროსების სახელით, არა? მეუბნება სარკასტიული ღიმილით.

გაცოფებული მივვარდი გამომძიებელს.

„თქვენ ჯერ პირი გამოირეცხეთ, ვიდრე ჯვარით მოქადულ ქართველ ხალხს ახსენებდეთ. როცა თქვენ ტიბრის ნაპირებზე შიშისგან ჰკანკალებდით, ჩვენ მცირე აზიაში ვებრძოდით მუს-

რომანებს, და ბაგრატიონების გაშლილი დროშები შეგვქონდა იერუსალიმში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძიებელი წამოდგა.

„არც ჩვენ ვყოფილვართ ლაჩრები".

„თქვენ ამ დროს თქვენი წმიდანების ძვლებით ვაჭრობდით".

გამომძიებელი გაფითრდა...

„როგორ თუ ძვლებით?...

„მარტო რომმა გაჰყიდა აღმოსავლეთში ორასი ათასი წმიდანის ძვალი"...

„ორასი ათასი?...

გამომძიებელი გაჩუმდა.

„ჩვენ წელში გაგვწყვიტა ქრისტეს ჯვრის ზიდვამ. ნახეთ საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი, — ნასახლარები და ტაძრების ნანგრევები დარჩა მხოლოდ! მიტომაც დიდხანს ვეღარ ვძლევ საქართველოში. ჩვენ გეძახოდით: შველას გთხოვდით... თქვენი პაპები და მეფეები ფარისევლურ ეპისტოლეებით გვანუგეშებდნენ... ასიზი პერუჯიის გზაზე ძლიერ დიდი ბედნიერება ვიგრძენი... ისეთი, როგორც არასოდეს ამ ქვეყანაზე. ჯვრის დანახვაზე ჩემი განადგურებული ქვეყანა მომაგონდა. დავლეწე ჯვარცმა და ვგმე ქრისტე. ჩვენი დამქცეველი. ახლა მილლიონები, რიცხვი... მასსა სწყვეტს ხალხის ბედს... ჩვენ წელში გაგვწყვიტა... ხომ დაწერილა: „და სეტყვა დიდი, ვითარცა ტალანტი, მოვიდა ზეცით კაცთა ზედა და ჰგმეს კაცთა ღმერთი წყეულებისგან მისგან სეტყვისა, რამეთუ დიდ იყო წყლულება იგი ფრიად ეს. არ გაგიგონიათ?".

გამომძიებელი თავს აქნევს:

„ასეთი რამ არ გამიგონია".

„თქვენ, ევროპელები, კიდევ ბევრ რამეს გაიგონებთ ჩემგან".

გამომძიებელი სდუმს.

„ქრისტეს ჯვარს შეეწირა დიდი საქართველო; მე იმ საქართველოზე ოცნებამ მომიშხამა საწუთროება. და დღევანდელი საქართველოც მან შემაძულა. ასე გამწარდა ჩემი ახალგაზრდობა. აღარ მწამს ამ ქვეყნად აღარც ღმერთი. არც ისტორიის სამართალი".

„მაშ თქვენ სინანულსაც აღარ გრძნობთ?“.

„მე მეორეჯერ ჯვარს ვაცმევდი ქრისტეს, საქართველოს სისხლის გამოსასყიდლად. მე ბავშვობიდან არ მიყვარდა მისი დალრეჯილი სახე... ახლაც არ მესმის, რათ დაღუპეს საქართველო ჩემმა წინაპრებმა ამ უდაბნოს ღმერთის სახელით!“

გამომძიებელი გაშტერდა. თითს ვუქნევ:

„ხვალ რომ მარტორქაზე შემჯდარი მონღოლი შეესიოს თქვენს ქვეყანას, ჩვენ ხელს არ გავანძრევთ ისე, როგორც თქვენ გიქნიათ ჩვენთვის მრავალგზის“...

გამომძიებელი ტრაბახობს:

„ჩვენ მონღოლების არ გვეშინია“.

„თქვენ კარგი ვაჟკაცები ხართ, როცა ტანკები და არტილერია უკან მოგყვებათ. უკანასკნელ ომის დროს თორმეტმა ახალგაზრდა ქართველმა ომი გამოვუცხადეთ უშველებელ რუსეთს, თქვენ მაშინ რომანოვების ბნელეთის მოკავშირეები იყავით. მე სათუთი სული მომცა ღმერთმა. მდუღარება გადმომსკდა თვალიდან, როცა ჩემმა გამზრდელმა წმ. გიორგისათვის შეწირულ მოზვერს ყური წაათალა. მე ახლაც ადამიანის სისხლი მცხია ხელზე, რადგან ჩემი გული სიძულვილით მოწამლეს ჩემმა მტრებმა. 1916 წელს ქართული ლეგიონი სარაყამიშთან ებრძოდა რუსებს. ღამის ბრძოლაში მტრის რაზმი ჩაგვივარდა ხელში. ოფიცრები გამოვარჩიეთ. ჯერ ქართული ჩვეულებისამებრ ღვინით გავუმასპინძლდით. სტუმრებს შიოდათ, პური არ გვქონდა. მათ ძველი სტუმართმოყვარე ქართველები ვეგონეთ, მაგრამ მოსტყუვდნენ. 30 გრადუსიან ყინვაში გავიყვანეთ, ცხელი ტყვიები ვაჭამეთ. ხომ ხედავთ, რა გვიქნა ქრისტეს ჯვარმა?“..

გამომძიებელი ადგა. თავისი ქაღალდები აკრიფა. ისევ დამტუქსეს, სარდაფში ჩამაგდეს.

142 მუხლის ძალით, 4 თვის ციხე მიმისაჯეს. იტალიის მეფის დღეობაზე ამნისტიამ გამათავისუფლა. ამ უსიამოვნების შემდეგ იტალიაში არ მეცხოვრებოდა. ორი დღის შემდეგ ყველას გამოვეთხოვეთ, ალბანოდან წავედით. გამოთხოვების ჟამს ბიანკა სტიროდა.

## 34. ტელეფონში

ზამთრის ღამეში მოგვიხდა ბერლინში დაბრუნება. ჩემს ქურქში გახვეული ვიჯექ ტაქსომეტრში და ფანჯრიდან გავყურებდი დაცარიელებულ ქუჩებს. სახლების სახურავებიდან გველივით ჩამოკიდებულ წყლის ღარების გრძელი, გრძელი კრისტალის შანდლები მოსჩანან. საოცრად ბრჭყვიალებს ყინული. ელექტრონის ფანრები დაუსრულებელ ღარის გასწვრივ მიაქჩაქებს დროშკის ცხენი.

უზარმაზარი მკვდარი ქალაქი დაფიქრებული, მოღუშული მეგებება. დაღვრემილი დაბნელებული ფართო ფანჯრები შემომცქერიან (დახოცილ მდევების გამოლამებული თვალები), ყინულით შესუდრული დათოვლილი სახურავებიანი ქალაქი, თეთრი კარტონის ქალაქსა ჰგავს. ჰაუ, ყველაფერი გაყინულა, გაცივებულა! ისეთი გრძნობა მაქვს: ამ ქალაქზე რომ რუხმა ფრინველმა გადაიაროს და სახურავებზე გადაუსვას თავისი ბასრი ფრთები, მთელი ქალაქი დაიმსხვრევა, და განადგურდება ეს უშველებელი, დიდი ცივილიზაცია. მრავალი ათასი თაობის შრომითა და ოფლით მონაგარი ერთ წამში ფხვიერად იქცევა.

სულით და ხორცით გაყინული გამოვედით დროშკიდან. მივვარდი ჩემი ძველი ბინის ზარს, მაგრამ დავრეკე. არც გამხსნებია, რომ ამ სახლში ფარდები ჩამოშვებული იყო და ყველას ეძინა. კიდევ დავრეკე. ჩამი-ჩუმი არ ისმის.

ხომ არ დახოცილან ამ სახლში მცხოვრებლები! ერთ წამში კარი გაიღო ავტომატიურად. შევედით. ჩემი სტუდენტობის დროის ბინა მეცნაურა ნაცნობი სურათები და კედლის ნოხები. როგორ მინდოდა, მოხუც დიასახლისს მაინც გამოეხედნა და მოეთხრო თუ რა მოხდა ჩემს შემდეგ ქალაქში, ან ჩვენს ძველ ნაცნობებს შორის? სად არიან ჩემი მეგობრები, სტუდენტობის დროის ამხანაგები, ნეტავ წავიდნენ აქედან, თუ ბერლინში დარჩნენ?

კედელზე იოჰანეს ნოიშტეტის სურათი ჰკიდია.

როგორ მოღუშული შემომჩერებია იგი თავის განიერ და ძირს ჩამოფხატულ წარბებიდან.

ყინულიანი ფიორდის ქარი ჰქრის ამ წარბებიდან

ეს სურათი ძლიერ გამოცვლილა. უნებურად ავდექი და ტელეფონის ოთახისკენ გავეჩქარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცენტრი“, ჩამძახა მექანიკურად ვიღაცამ ყურში.

„თორმეტი ორმოცდახუთი“.

მაგრად მივიდევი ყურზე ტელეფონის საყვირი.

აჩქარებული ზმუილი და დროგამოშვებით ხრიალი ისმის. ასე მგონია, ეს დაულეველ სივრციდან მოდიოდეს და ტელეფონის საყვირი ერთს დიდსა და ვრცელ, ცარიელ ქვეყანასთან მაერთებდეს.

ვუსმენ. ტანში, ცივი, უსიამოვნო ჟრუანტელი მივლის.

ჩუ, ვიღაცამ ხელში აიღო მეორე საყვირი და ის ახსენა, ჩემი მეგობარი!

ეს სიტყვა ისე ცივად, ისე ყრუდ ითქვა, შორიდან გამოძახილად მოვიდა ჩემთან დაბეჟილი, გულგაცრუებული, უიმედო ფრთების ფარფატით, თითქოს რამოდენიმე წლის წინათ გამოსულიყო ჩემი მეგობრის პირიდან და ახლა მოეღწია ჩემს ყურამდის.

„იოჰანეს, შენა ხარ? როგორა ხარ? რასა იქ?“ მივაყარე კითხვები ერთიმეორეზე.

— გმადლობ, როგორ ვიქნები... შენ გახსოვს ალბათ, როგორის იმედით წაველ სამშობლოში ორი წლის წინად. ჩემი სპირიტისტული თეორია უფრო განვავითარე. ამაზე დიდი პოლემიკა მქონდა კოპენჰაგენისა და ქრისტეანიის ჟურნალებში“.

გაჩუმდა... ისევ ზუზუნი, მომაკვდავი კაცის ხროტინი ისმის ტელეფონიდან.

„იოჰანეს, — ჰალლო, იოჰანეს“...

„აქა ვარ“.

„მერმე?“

მერმე და შენ იცი, მეოთხე განზომილების დასაბუთებას ვაპირებდი. მთელი ღამეები, მთელი თვეები ვმუშაობდი.. ეს მუშაობა ცოლის შერთვამ შემაწყვეტინა“.

„რაო, ცოლი შეირთე“ ინგებორ?“ შევეკითხე.

„არა, აგნესა, კოპენჰაგენის ოპერის მომღერალი. ერთი ზამთარი ნორვეგიაში გავატარეთ... მე თავის ტკივილი ისევ მომიბრუნდა... ამ ხანებში ერთი ჩემი კოპენჰაგენელი სტუდენტობის ამხანაგი მეწვია, შენ იცნობ მას. ანდერსენის ზღაპრების ცნობილი რეჩიტატორი, — ზილბერშტაინი. მთელი ღა-

შეები, როცა მე ავად ვიყავი, იგი ჩემს ცოლს ანდერსენის ზღაპრებს უამბობდა ბუხრის წინ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მე გავიგონე, რომ მან ხმელად დაახველა.

„მერმე ეს ზღაპრები ისე გათავდა, როგორც ყოველი ზღაპარი თავდება ხოლმე. ერთხელ ჩემი ცოლი ყინულზე სასრიალოდ მახლობელ ტბაზე წაიყვანა და მესამე დღეს გავიგე, რომ აგნესას აღარ ვუნდოდი. კოპენჰაგენიდან გამოსათხოვარი ბარათი მომწერა. რამოდენიმე თვე დავრჩი იქ. თავის ტკივილმა შიმატა, საშინელი ბნელი და მარტოხელა ღამეები დაიწყო. ყურის შხუილმა მიმატა, თავბრუ მეხვეოდა. როცა დავდიოდი, ფეხქვეშ ყველაფერი ირყეოდა, ინგრეოდა, მუდამ მიწის ძვრებს ვგრძნობდი.

„ჩემს თავში საშინელი ბუნების კატასტროფები ხდებოდა იმ ღამეებში. ისეთი გრგვინვა მესმოდა, თითქოს ნორვეგიის მთები მიწისძვრებსა და მეწყერებს გაელეწნათ. მთები, დაჩეხილი მთები სახურავებიდან გადმონიჩბულ თოვლივით მიწაზე ეყარნენ. შენ გახსოვს: მე და შენ შვეიცარიაში რომ ვიმგზავრეთ ფეხით, როგორი უშიშარი ვიყავი.

„იმ ხანებში კი, კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, შიშით შისკდებოდა გული, კიბე არ ჩამონგრეულიყო. სახლიდან გამოსვლას ველარ ვბედავდი და ამ დაულეველ, გაუთენებელ ღამეებში შოველოდი, რომ სივრცეში ყველაფერი აფეთქდებოდა და მატერია ქაოსად იქცეოდა.

„თვითონაც ვგრძნობდი; სივრცის ავადმყოფობა მერეოდა, ღაღუპვის უფსკრულისაკენ მიმაქროლებდა რაღაც საშინელი, და სულ ვუცდიდი, რომ ჯერ არ მომხდარი უნდა მომხდარიყო.

„ეს მოხდა კიდევაც. ერთ დღეს მე მზეზე გამოვედი. როცა ცოტა დათბა მთებში. ნაშუადღევს ჩვეულებრივად სავარძელში ვიჯექი. შუშაბანდიდან შევამჩნიე, ეზოში მარხილით შემოვიდა ვიღაც შავტანისამოსიანი ქალი. ამოირბინა კიბეზე, თოვლი დაიფერთხა და დარეკა. მე ზარის ხმაზე მიწივლეს ყურებმა, მივვარდი კარებს და იცი, ვინ შემოვიდა? ინგებორი მოვიდა ჩემთან და თავისი გრძელი, რბილი, თეთრი ხელები გამომიწოდა, შუბლზე მაკოცა. აქ იგი გაჩუმდა, ამოიოხრა. მისი ოხვრა ერთბაშად აირია ტელეფონის საყვირში სტვენით მომქშინავ მარადისობისა და ღამის მძიმე სუნთქვასთან. კიდევ

ძორისმა მძიმე, მძიმე ხროტინი და მონოტონური ტაკა-ტუკი...

„შენ იცი, განაგრძო მან, მე ბუნებისმეტყველებამ, ნიუტონმა და ლაუაზიემ კანტთან მიმიყვანა. კანტიდან ხომ დიდი მანძილია წმიდა ფრანჩესკო ასიზელამდის, ან სვედენბორგამდის.

„ამ გზით მისტიციზმამდის მივაღწიე, სულითა და ხორცით დაუძლურებულმა, მაგრამ ახლაც არ ვნანობ. მე მისტიციზმის მერყევ ნიადაგზედაც თავს ვიმაგრებ“...

მე აქ შევაჩერე და ვთხოვე ინგებორგს განეგრძო.

„ჰო და ერთხელ შევეხვეწე ინგებორგს, ბოლო მოეღო ჩემი ტკივილებისათვის. მან სავარძლიდან ამიყვანა ბავშვივით, მოიტანა უშველებელი ცივი ქვა და თავი დამიმსხვრია. იცი, რა ვნახე? ჩემი ტვინის უჯრედები სულ გამოღრღნილი ყოფილა. ეს იყო დიდი ნათელხილვა და სასწაული. მთელი თავის ქალა გამჟვარტლული იყო თუთუნის ნეკოტინით, დიდი ქალაქის ქარხნების ოხშივარითა და მტვერით; აქ ყოფილან ნამცეცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოსი, საფირონისა, მარმარილოსი, ქაღალდების, გაზეთების, წიგნების, რელატივობის თეორიების, კანტის, აინშტაინის, აზიის, აფრიკის, მთელი ჩვენი უსულო ცივილიზაციის და პათეტიური კულტურისა...

„და შიგ შუაგულში არ დაიჯერებ, პატარა დაღმეჭილი, გაყინული, დაკოჟრებული, დაუნდობელი აგნესას გული; მე ავიღე ხელში ეს ცივი, მეტეორის ქვასავით გაყინული გული, რომელიც მაშინ ჩავარდნილა ჩემს თავში, როცა იგი ცეცხლმოდებული და აღგზნებული ვნახე იმ ღამეს კოპენჰაგენის ოპერაში „ჰოფმანის ზღაპრებში“.

„მე ვთხოვე და ინგებორგმა ეს უსიყვარულო გული ფეხით გასრისა. თავის კოხტა ფეხით გასრისა. გასრისა“...

მას უნდოდა რაღაც ეთქვა კიდევ, მაგრამ მე გავაწყვეტინე: „ახლა როგორა გრძნობ თავს, იოჰანეს?“...

სიჩუმე.

ჰჰალლო, იოჰანესს, იოჰანესს, ჰალლო!“

მე მაგრად მივიკარი ყურზე ტელეფონის საყვირი, მაგრამ იგი სდუმდა, მხოლოდ მესმოდა ტელეფონის დაუცხრომელი ზუზუნი, ცივი, მუნჯი ღამე მეპუტუნებოდა ყურში რაღაც საშინელსა და გაუგონარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მეცხრე

## 35. დოქტორ ვიტენზონის ერთადერთი პაციენტი

ბერლინში ისევ ამიტანა ავტომობილების შიშმა... ო, რა საშინელია ღრუბლიანი საღამოები ჩრდილოეთის მსოფლიო ქალაქში. ყოველივე იმედი გეკარგება, რომ მზე ოდესმე გამოიხედავს. და ეს სისვი გრანიტის სახლები, ეს ნისლიანი უდაბნო მილლიონებს შორის მარტო ყიალი! გაუთავებელი წვიმები, მათხოვრის ძონძებივით დაგლეჯილი, გახუნებული ღრუბლები!..

მატარებლების გრიალი სახლების ზევით, სახლების ქვევით, ავტომობილების ზუზუნი. მანქანა გუგუნებს დღისით, და ღამით და გათენებისას ჯოჯოხეთის საყვირივით ამუვლდებიან ქარხნის სირენები, დილის ძილიც მოგეწამლება. მერმე ბერლინში სპეციფიური სუნია ქუჩებში, ბინებში, პარკებსა და სკვერებში. ეს არ არის მარტო ბენზინის და მაზუთის სუნი, არა. სხვა რაღაცა, ენით გამოუთქმელი, გაუმეორებელი, წმინდა ბერლინური სუნი.

ბერლინში სულ სხვა ცაა, სულ სხვა ადამიანები, სულ სხვა სიცივე და მარტოობა. ზამთრის საღამოებიც ბერლინურია. პირქუში, ნესტიანი და საძაგელი. და ასეთ საღამოებში აღარ იცი, სად წახვიდე, რა ჰქნა... რომ შემეძლოს, მე ერთ წუთსაც არ დავრჩებოდი ამ ბერლინში, დამარცხებულ, განადგურებულ გერმანიის ბერლინში. მთელი კვირები შინა ვართ. ჯენეტი ავადმყოფობს. ბერლინში მოსვლის უმალ ლოგინად ჩავარდა. ახლა ოდნავ გამოკეთდა. საღამოს ფეხით მივდივარ კრონპრინცის ნაპირზე, მუდამ ამღვრეულ პირშავ შპრეეს დავსცქერი. წვიმამ გადაიღო, დასავლეთით ცამ ჰლექიანივით გაიღიმა. საღამოს მკრთალი სხივი ეთხოვება გამარჯვების ძეგლის ოქრონა-

ფეო ახგელოზს. ვილჰელმშტრასსეს ახლოს პატარა არკის ქვეშ მოხეტიალე მუსიკოსები დგანან.

შვიდი ბრმა ჯარისკაცი და ერთი ხნიერი ქალი, ქალი გერმანულ ლაუტეზე უკრავს, ფორმაშემოხუნებული ბრმა ჯარისკაცები მღერიან. და ეს არა ჰგავს სრულიად სიმღერას, ეს არა ჰგავს იმ გერმანელების ფოლადის ხმას, ომში მიმავალი ფოლადის მუზარადიან ჯარებისაგან რომ გამიგონია, ეს არა ჰგავს სიმღერას, არამედ დამარცხებულ გმირების გლოვის ზარს.

და ასე მეგონა, ამ ბრმა ჯარისკაცების პირით მღეროდა მთელი დამარცხებული გერმანია. ვეღარ გავუძელი ამ საზარელ სურათს და ალექსანდრეს მოედნისაკენ გავეშურე .მახლობელ ეკლესიის საათმა შვიდჯერ დარეკა, მაღაზიებიდან ნოქარი ქალების ლაშქარმა დაიწყო დენა. ქალებით აივსო ქუჩები, თითქოს ამორძალების ლაშქარი შემოსეოდეს ამ ქალაქს, აქა-იქ კიდევ იცდის დიდ სავაჭროების წინ ამ ქალების მომლოდინე მამაკაცების ხროვა. ეს უშველებელი ქალების მასსა მოედინება ყოველ კუთხიდან. ზოგიერთი მირბის, ნიშანს უფშტვენს, ზოგი კუთხეებთან და სკვერებთან მოელოდებიან კავალრებს, ზოგი მარტოკა მოდის და მრუში თვალებით ეძებს მამაკაცს (არსად ისე მოურიდებელი თვალები არა აქვთ ქალებს, როგორც დიდ ქალაქში).

ეს უთვალავი კახპები, დემიმონდენები, რესტორანების, ბარების, წვრილი და მსხვილი სავაჭროების მსახური ქალები ამ დროზე გამოდიან ქუჩაზე „სანადიროდ“, რომ ეროსით ატანილი მამაკაცი ხელში ჩაიგდონ და თითო ჭიქა ყავას ან, უკეთესს შემთხვევაში, რიგიან ვახშამს ჩამორჩნენ...

მე ისევ ვაკვირდები ახლა ბერლინს, თითქოს პირველად ვიყო ამ ქალაქში ჩამოსული.

თითქო ყოველ მათგანს სათითაოდ ვიცნობდი ოდესღაც და ახლა ვეგებები ამ ძველ ნაცნობებს. ხანდახან მგონია, რომ მე ყველას ვიცნობ ბერლინში. მე ვარჩევ ერთმანეთში ვაჭარს, სტუდენტს, ბოჰემიელს, ყავახანების პოეტებს და მხატვრებს, ჩაცმულობით, სიარულით, შემოხედვით, ვიცნობ და ვარჩევ ერთმანეთში დემიმონდენს, „კარგი“ საზოგადოების დამებს, ნაწნავიან გიმნაზიელ ქალებს (ზუდერმანის რომანიც უჭირავთ ხელში), ბინის გამქირავებელ დედაკაცებს, მაჭანკლებს, მეკ-

ლიტეებს, მეკარეებს და მათ ცოლებს, ღვინის და ლუდის რესტორანების მუდმივ სტუმრებს, ბანკის მოხელეებს, ოფიცრებს, პასტორებს (თუნდაც უფორმოდ), და მე მიხარია, რომ მე ისინი არ დამვიწყნია, რომ მე ისინი ერთმანეთში არ ამერევა.

„ძველი „ნაცნობი“ კოჭლი მეგაზეთე ისევ კუთხეში სდგას, აპოკალიპსის ანგელოზივით დიდი ხმით ღიღინებს: „ბერლინერ ტაგებლატ“, ლოკალანცაიგერ“, „ფოსსიშე ცაიტუნგ“, „დი ვოხე“. იმავე რიგით, როგორც ძველად; და ტრამვაის ნომერი a იმავე მიმართულებით დადის თურმე, მხოლოდ პლაკატებს უცვლიათ ფერი. ვათვალიერებ. უკეთესი ფერების შერჩევა. მაგრამ რაღაც დაღრეკილი ფიგურები და ორნამენტები...

ძლივს მივაღწიე იოჰანეს ნოიშტეტის ბინამდის. დავრეკე, ისევ როგორც წინად, მომესმის ბინიდან ნუნუს ყეფა და კარებთან წკმუტუნი. იოჰანესმა სასადილო ოთახში შემიყვანა. ქაშანის ბუხართან, ძველებურ ყვითელ სავარძელში, ჩემსავე ადგილას დამსვა.

იგი ისე უმწეოა ალერსში. სიტყვები აღარ ყოფნის, ალერსი არ ემარჯვება მაგრამ როგორც ყოველთვის, მე ვგრძნობ იგი კვლავ ისე მექცევა, როგორც ერთადერთ განებივრებულ უმცროს ძმას.. (მე ხშირად მიგვრძნია ეს. ჩრდილოელები განსაკუთრებულ სინაზეს იჩენენ სამხრეთლის მიმართ. მათ ჩვენ დიდ ბავშვებად მივაჩნივართ). ასე ვიჯექით ჩვენ თეთრი ქაშანის ბუხრის წინ... უკანასკნელი ბრიკეტები ტკიცინებდნენ ღველფში.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ისევე საოცარი იყო, როგორც პირველი. მაშინაც მეგონა, რომ მისი თაფლისფერი თვალები განუსაზღვრელი სიშორიდან შემომცქეროდნენ. ჩვენ უთვალოდ შევჰყურებდით ერთმანეთს.

უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთისა. სივრცეს და სხვაგან ყოფნას გაეღრმავებინა ჩვენი უნაზესი მეგობრობა. თითქოს მე სულ მის გვერდით ვყოფილიყავ, თითქოს არც კი გასულიყო ერთ დღეზე მეტი. მე აღარ ვიცოდი, საიდან დამეწყო და რა მეთქვა იმაზე მეტი. რაც მან იცოდა ჩემი ცხოვრების შესახებ, მაგრამ ჩვენ მაინც ერთმანეთისათვის ბევრი, ბევრი რამ უნდა გვეთქვა, რადგან გული ამას ველარ იტევდა და საამბო-

ბიდ ორი ღამეც არ იკმარებდა. მე სავარძელს მივსწიე ბუხრისკენ. თავი დავხარე და იოჰანესს თვალებში ჩავხედე: მისი მჩუგადასული თვალები თითქოს უკანასკნელი საგნების გადაღმა იმზირებოდნენ...

„კიდევ რას მეტყვი ახალს, იოჰანეს?“ ვეკითხები.

„ახალს ვერას გეტყვი, ძვირფასო კონსტანტინ... ყოველი ადამიანი მუდამ ერთსა და იმავეს განიცდის... მხოლოდ სხვადასხვა ვარიაციით, ბავშვობის პირველი ღიმილიდან — პირველ ვნებამდის, პირველ ვნებიდან — პირველ სიკვდილამდის“.

იოჰანესმა იდაყვი მუხლზე დაიდო, ხელის გულზე დააყრდნო თავი და ცეცხლს შესცქეროდ.

„განა, ადამიანი რამდენჯერმე კვდება, იოჰანეს?“

„ო, როგორ არა. ჩვენ სიცოცხლეშივე მრავალჯერ უნდა მოვკვდეთ. ჩვენ ბავშვობაში ვცოცხლობთ მხოლოდ ნამდვილი ცხოვრებით. სხვა დანარჩენი ადამიტური უცოდველობის მოგონებაა და ადრინდელ ბედნიერებაზე დარდი. მე სისხლი მეყინება, როცა გავიფიქრებ, რომ ჩვენ სიკვდილისაგან დადაღული ვიბადებით, მერმე ჩვენს ტუჩებზე ათასი ღიმილი იელვებს და სიკვდილი ყველას ისე წალეკავს, როგორც ქვიშაზე ფრინველის ნაკვალევს ქარი... შენ კარგათ იცი, მე მთელ ცხოვრებაში მხოლოდ სქესთა ბრძოლას ვხედავ. მე არასოდეს დამავიწყდება ერთი ამბავი: მამა ჩემს ქვემო-დანიაში ფერმა ჰქონდა, მამული მოწყვეტილი იყო სოფელსაც და ქალაქსაც.

„ერთხელ პაპანება სიცხე იყო. ტანის დასაბანად შევედი შინაურ აბანოში. მერძევე ქალი ტონი ონკანის ქვეშ იდგა სანახევროდ გახდილი და მკერდს იბანდა. ჩემს დანახვაზე იკივლა და ძუძუებზე ხელი დაიფარა. მე მაშინ 12 წლის ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი, რომ მამაკაცი და დედაკაცი უფსკრულის გაღმა-გამოღმა სდგანან. ამის შემდეგ ყოველთვის შევიპარებოდი ხოლმე აბანოში, როტა ტონი ტანს იბანდა, ძუძუებზე ხელს ვკიდებდი, ქალი თვალებს ჰნაბავდა და მკოცნიდა. მე საოცრად შემიყვარდა ტონი. ხანდახან თივის ზვინში მივყავდი, მიწაზე გაიშხლართებოდა, მკერდზე დამიწვენდა, ძუძუებს მასრესინებდა. მე არ მესმოდა, თუ რა უნდოდა ამ ავხორც დედაკაცს ჩემგან. ერთ საღამოს საბძელში ვიწექი. გარშემო უშველებელი თივის ბულულები იყო დაზვინული, ახალი თივის

სურნელებით ვსტკბებოდი. კარი გაიღო. ვხედავ, ჩვენმა მეჯინიბემ შემოიყვანა თმაგაწეწილი ტონი. მე ვნახე საშინელი ომი სქესთა შორის: მეჯინიბე ბრგე ვაჟკაცი იყო, ტონიც — მოსული, მკერდმაღალი დედაკაცი. ეძგერნენ ერთმანეთს.

„ტონი სახეში სცემდა, წვერულვაშს აწიწკნიდა. მეჯინიბე მოზვერივით ქშინავდა, ტანისამოსს აგლეჯდა ტანზე. ორივეს სინათლე დაჰკარგვოდათ თვალებში.

„მე ველარ მხედავდნენ. შენ იცი, ბავშვებმა როგორი ეჭვიანობა იციან. მე ბრაზი მახრჩობდა, მაგრამ უფრო დიდი იყო ჩემი ინტერესი. დედაკაცი შედრკა. მეჯინიბემ ტლანქი მკლავი მოჰხვია წელზე, ცალი ხელით პირი დაუმუწა და წააქცია. მე ვხედავდი, როგორ აუვარდა სახეში სისხლი ტონის. თვალები ავზნიანასავით მიენაბა. ორივეს ტანი საოცრად ჰბორგავდა. მე გაოცებული შევსცქეროდი ამ გახელებულ ქალსა და კაცს. ამ დღიდან დამეწყო ადრე სიჭაბუკის ავზნიანი სიზმრები. მეჯინიბე სახლიდან გააგდო მამამ, რადგან ტონი დაორსულდა.

„იმავე საბძელში მივყავდი ტონის, მკოცნიდა და ძუძუებს მასრესინებდა. ტონი ნაცივებ ვეფხვივით ცახცახებდა. ამ დედაკაცმა იმსხვერპლა ჩემი სიჭაბუკის უბიწოება.

„ყოველი ქალი, რომელიც ოდესმე შემხვედრია, ისევე მექცეოდა, როგორც ტონი. მე ადრე სიჭაბუკიდან არაჩვეულებრივი გონებრივი ინტერესი მქონდა. ჩვენს წინაპრებში უმეტესობა თეოლოგები და იურისტები იყვნენ. მამას უნდოდა მე თეოლოგიის კათედრა მიმეღო კოპენჰაგენში. ამიტომ 18 წლიდანვე დიდ ინტერესს ვიჩენდი ჩემი მომავალი სპეციალობისთვის. ვხედავდი, კოპენჰაგენის ქალების ახლოს მე თვალსაჩინოს ვერაფერს შევქმნიდი. ევროპიდან გავექეცი ქალებს. ნიკარაგუას წაველი“. იოჰანეს გაჩუმდა, რადგან მოსამსახურის, ბერტას. ფეხის ხმა გავიგონეთ. მე გაოცებით შევსცქერი. არასოდეს იგი გაბმით მოლაპარაკე არ მინახავს. მუდამ მარწუხით უნდა ამომეზიდა მისი პირიდან სიტყვები.

„აქამდის ვერ გამიგია. იოჰანეს, ნუ თუ შენ მხოლოდ ამ მიზნით წახვედი ნიკარაგუას?“

„არა, სხვა მიზნებიც მქონდა. მე ვწერდი სადისერტაციო შრომას, რომელშიც მინდოდა დამემტკიცებინა, რომ სარწმუნოებრივი საწყისი ველურებსაც მოეპოვებათ“.

მსახურმა ბერტამ ნიკარაგუას ზანგების ხელით გაკეთებული კორკის ხის სუფრა დაგვიდგა.

ამ მაგიდაზე ამოჭრილია იოჰანეს, მისი ორი თუთიყუში, ძაღლი ნუნუ და ერთი ზანგი კანუში სხედან, კუთხეებში: პატარა მაიმუნებს კოკოსი უკავიათ ხელში.

„ბერტა, ჩაი დაგვისხი და მერმე იუთიყუშები დააპურე", ეუბნება იოჰანეს. ბერტამ ჩაი დაგვისხა კოპენჰაგენურ წითელ თასებში.

„სამი წელი ვაკვირდებოდი ნიკარაგუას ზანგებს. განაგრძო იოჰანესმა, მდინარის ნაპირას პატარა ქოხი მქონდა. იქ ვცხოვრობდით მე და ჩემი ერთგული ზანგი თეო. დილას ქოხიდან რომ გამოვდიოდი, გოგირდი უნდა ავვეხრჩოლებინა, თორემ გველები ქოხის კართან გვიდარაჯებდნენ და ქოხიდან გამოსულს კისერზე დაგვახტებოდნენ.

„ნიკარაგუას ზანგებში მე ვიპოვნე რელიგიური საწყისი, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მათს ბაგეზე მე სიცილი არასოდეს მინახავს. სამი წელი გავატარე. აგვისტოს დამლევს წამოსვლას ვაპირებდი. ის იყო, ჭაობის ციება შემეყარა.

„მე ისედაც მოუსვენარი ვიყავი, ახლა კი მჯერა ჩვენი მოუსვენრობა იმითი აიხსნება, რომ ჩვენ მეფე სილენივით ყოველ წუთში სიკვდილს დავეძებთ. ნიკარაგუას ციებამ მაინც მთლად დამიკარგა მოსვენება. წამოსვლის წინა დღეს, ჩავჯექით მე და თეო კანუში და არემარესთან გამოსათხოვრად ავჰყევით მდინარეს. შენ არასოდეს გიკითხავს, კონსტანტინ, თუ რატომა მაქვს ეს შრამი", მეუბნება იოჰანეს, სალოკი თითით მიჩვენებს მარჯვენა საფეთქელზე პატარა შრამს...

„სწორედ იმ დღეს მე პირველი გადმოვხტი კანუდან. ნაპირზე ფეხი დამისხლტა და შამბნარში ჩავვარდი. საშინელმა წითელმა ასპიტმა მიკბინა". იოჰანეს ადგა. საწოლ ოთახიდან გამოიტანა ზამშში შეხვეული ასპიტის გამხმარი პერანგი.

დაუკითხავად გავუვსე თასი იოჰანეს, თვითონაც დავისხი ჩაი.

„თეო გადახტა და წამსვე მოძებნა შამბნარში გველი და მოჰკლა", განაგრძო მან, „იმ დღესვე წამიყვანეს მახლობელ დაბაში. საპნის წყლით სავსე ვანაში ჩამაწვინეს. ხუთ წუთში ისე დავსივდი, რომ ცხენი ვერ გადამახტებოდა. გველის ნაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენიდან გამოვიდა რამოდენიმე ასეული ალაბი ბამბის მაგივრად თეთრი ძარღვი და აბაზანი გაავსო“.

იოჰანეს გაჩუმდა, ჩაი მოსვა.

„მერმე როგორ მორჩი?“

„ამ საპნის წყალმა მომარჩინა. წამოვიყვანე თეო, ჩემი 2 თუთიყუში და ნუნუ, ერთიც ზღვის მაჩვის მაგვარი ცხოველი. კოპენჰაგენს დავბრუნდი. თეო ძლიერ ერთგული იყო, მაგრამ კოპენჰაგენში იგი მთელი ღამეები სადღაც მემალებოდა“.

„რა ენაზე ელაპარაკებოდი, იოჰანეს იმ ზანგს?“

„არც ერთი ენა არ იცოდა. მათს ენაში რამოდენიმე სიტყვაა და მე ეს ვიცოდი, იმით ვაგებინებდი. ბევრი ლაპარაკიც არა მჭიროდა. ის იყო, მაშინ შევირთე ჩემი პირველი ცოლი, კოპენჰაგენელ დიდი ვაჭრის №-ის უფროსი ქალი.

„თაფლის თვეებსაც არ გაევლოთ, მე უსახელო წერილები მომდიოდა, შენი ცოლი შენს ზანგს ყვარობსო. მე ეს ავი ენების მოჭორილი მეგონა. ან როგორ შემეძლო დამეჯერებინა, რომ ჩემი ანგელოზის სახის ჰედვიგი იმ მაიმუნს შეიყვარებდა“.

„ფიზიკურად ლამაზი იყო ის ზანგი, იოჰანეს?“

„რომელიც გინდა ის ორანგუტანგი ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში უფრო ლამაზია, ვიდრე თეო: უშველებელი გრძელი ხელები, საშინელი სქელი ტუჩები, ბზიკნაკბენივით დასივებული სახე, შავი ხორკლიანი კანი. და რაც მთავარია, უმსგავსო სუნი... სპეციფიური ზანგური სუნი. ქალი მამაკაცში მხოლოდ ველურ ინსტინქტებს ეტრფის.

„ამაში პირადად დავრწმუნდი. ერთხელ ნადირობიდან დავბრუნდი.

ჩემსავე საწოლში მოვუსწარი თეოს, ჩემ ცოლთან... სანადირო თოფით გამოვუდექი. ქალს ისტერიკა მოუვიდა. თეო ვეფხვივით წამოვარდა, მეორე სართულიდან გადახტა. ჩემი ცოლი თავს იმართლებდა, ძალით წამაქცია ლოგინზე, მკოცნიდა, ის იყო, შენ მოგვისწარიო. შენ იცი, ყოველი მამაკაცი მოწადინებულია თვალი აიხვიოს საკუთარ რქებზე. მეც შევურიგდი ცოლს, რადგან მას ისეთი თილისმა ჰქონდა, რომ მასთან დამდურება არც ისე ადვილი იყო.

„ერთხელ გაზეთ „პოლიტიკენში“ ვკითხულობ: დანიის

ყოფილ იუსტიციის მინისტრს გრაფ ო...-ს. თავის ცოლის საწოლში მოეკლა ვიღაც ახმახი ზანგი. დავინტერესდი. წავედი უნივერსიტეტის კლინიკაში, სადაც იმ ზანგის ცხედარი მეგულებოდა. ვიცანი თეო. მერმე გამოირკვა, ეს ზანგი კოპენჰაგენის ულამაზეს არისტოკრატ ქალებს ჰყვარობდა თურმე.

„ნუ დაგავიწყდება, თეო სიფილისიანი იყო, როგორც მთელი ნიკარაგუას ზანგების მოდგმა“.

„მერმე რატომ არ გადაშენდა, იოჰანეს, ეს მოდგმა?“

„მათ ბუნებრივი აქიმობა იციან. კანუში სხდებიან, ტბაზე მიდიან. აქ ერთბაშად ერთი გადახტება კანუდან, ჩაიყურყუმალავებს, რაღაც წითელ ბალახს ამოიტანს ტბის ფსკერიდან. ამ ბალახს სჭამენ და ეს ბალახი დროებით კურნავს მათ.

„ახლა მე ვხედავ, ჩემმა პირველმა ცოლმა შემყარა სიფილისი. სამი წელი მოვუნდი ამ საშინელი სენის წამლობას. და ეს იმ ქალმა... ქვეყანას რომ მერჩივნა“...

კედლის საათმა 11 ჯერ დაჰკრა.

„მე მგონია, კონსტანტინ, ვისაც ქალი მოერევა, იმას სიკვდილი მოერევა; ვინც ქალთან ბრძოლაში გაიმარჯვებს, იგი ტკბილად შეირგებს იმ შხამს, ღვინოსა, ყავასა და ქალში რომ დავეძებთ“.

„ევროპაში მე ყველაფერზე უფრო ქალების თავაზიანობამ გამაკვირვა, იოჰანეს ორი უდიდესი ვნება მქონდა ადრე სიჭაბუკიდან: ვნება პოლიტიკისა და ქალისადმი. ჩვენს ქვეყანაში ყოველი ადამიანი პოლიტიკოსია. შესაძლოა, ამიტომაც ცუდი პოლიტიკოსებიც იყვნენ ქართველები. მე რომ ქალებისთვის ენერგია დამიხარჯავს, იმ ენერგიით ოცი ტომის დაწერა შემეძლო“.

„სიკვდილით დაშინებული ადამიანები ფიქრობენ ქალებზე ძლიერ ბევრს“. შენიშნა იოჰანესმა.

„მე სიკვდილისათვის იმდენს არა ვფიქრობ, იოჰანეს, რამდენსაც სისხლისათვის. მე ყველაფერზე უფრო სისხლი მაოცებს... მამა სვამდა. ჩვენი ბედისწერის წყევლაა, რომ ჩვენ მკვდრების ნებისყოფას ვერ გავექცევით და თუ გავექეცით, ვაი მაშინ ჩვენ! ჩემი წინაპრები ვენახებიან პროვინციიდან არიან ჰაიბიან სამეგრელოში გადმოსული. ამ მხარეში ღვინო არ მოდის. ვაზი ალაგ-ალაგ ხარობს, ალაგ-ალაგ მხოლოდ ხე-

ჩუ გასული წლოებს. მამაჩემს დაჩემებული ჰქონდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, ვენახი უნდა გაეშენებინა. ახალგაზრდობაში მამაც მფლანგველი იყო. ხანში რომ შევიდა, ვენახზე ოცნებამ აიტანა.

„ამ ხანებში ჩვენს სოფელში დაბრუნდა ჩემი ნათლია, ევროპულად განათლებული თავადი და — იანი. ამ კაცმა მოუტანა მამას გაუმჯობესებული სახნისი. ეს იყო პირველი მანქანა ჩვენს მხარეში: მამა საშინელმა ციებ-ცხელებამ აიტანა. მის ცხოვრებაში საშინელი გარდატეხა მოხდა; უდარდელ ცხოვრებას ზურგი შეაქცია, ტფილისიდან ჩეხი მევენახე გამოიწერა, ევროპული ბაღჩა გაიკეთა.

„ოცი ქცევა მიწა გადააბრუნა. კახური ვენახი ჩაჰყარა შეგრულ მიწაში.

„ხედავდა, ამ საქმიდან არაფერი გამოდიოდა, მაინც გულს არ იტეხდა. მამა არაჩვეულებრივი ნებისყოფის კაცი იყო, ამიტომაც ვაფასებ მის ხსოვნას. მე შევძულდი მას, რადგან მე არ მესმოდა მისი საოცარი ოცნება ვენახზე.

„ახლა, როცა ნახევარი ცხოვრების გზა დავლიე და მთელი კონტინენტი შემოვიარე, მე ვხედავ: მიტომაც დავიტანჯე, რომ მამის ანდერძს გადავუხვიე; ევროპაში ამ უკანასკნელ წლებში მუდამ ვენახი მეზმანება. ხანდახან გიჟური სურვილი ამიტანს, — დავბრუნდე საქართველოში, მამის ნასახლარი მოვძებნო და ვენახი გავაშენო.

„მეც მამასავით სისხლისა და მიწის მფლანგველი ვარ, იოჰანეს.

მამის მიწები ევროპაში მგზავრობას მოვანდომე, ჩემი სიჭაბუკის საუკეთესო სისხლი ევროპელ ქალებს შევალიე და ხომ ხედავ, უნაყოფო თხემლას დავემსგავსე მართლაც.

„ახლა ვგრძნობ ჩემს დანაშაულს წინაპრების ანდერძის წინაშე, მიწა და სისხლი სიკვდილზე უფრო ძლიერი ყოფილა, იოჰანეს“.

იოჰანესმა შემომხედა. პორტსიგარიდან უშველებელი სიგარი ამოიღო, წვეტი მოსჭრა და მეუბნება:

„არა, ჩემო კონსტანტინ. შენი ტრაგედიის მიზეზი სულ სხვაა. შენ გახსოვს პიგმალიონ?“

„არ მახსოვს, ვინ იყო პიგმალიონ, იოჰანეს?“

„პიგმალიონი კიპრის მეფე იყო. მან სპილოს ძვლის აფროდიტე გამოაქანდაკა. თვითვე შეუყვარდა, შესთხოვა აფროდიტეს, ეს ქანდაკი გაეცოცხლებინა. როცა ქანდაკება გაცოცხლდა, ცოლად შეირთო და მოქანდაკის ნიჭიც დაეკარგა. შენ ადამიანებში ბედი გაქვს. რაღაც ჯადო გაქვს, რომ ასე ადვილად მონადირებ ხოლმე ქალის გულს. შენ მიტომაც უნაყოფოდ დარჩი, რომ პიგმალიონივით სურვილი ადვილად აგიხდება ხოლმე. შენ საუკეთესო ენერგიას გტაცებენ ქალები, მიტომაც ვერ გაგიშენებია მამის ვენახი. ამ შემთხვევაში მე და შენ ანტიპოდები ვართ, თუმცა ორივეს უნაყოფობის მიზეზი ისევ ქალია, თუნდაც შენ რომ ევროპას ვერ შორდები“...

„აქ ქალი არაფერ შუაშია, იოჰანეს. შენ არ იცი საქართველოს პირობები. ჩვენს საუკუნეში მარტოხელა კაცი იქ ვერას გახდება. ჩემი გზა დასცილდა საქართველოს ცხოვრების გეზს. მარტის მერცხლები იქ ვერას გახდებიან. მე გიამბობდი შენ ტაია შელიაზე. ტაია შელია ჯერ ცეცხლით გამოსწვავდა ეწერს, გამოკაფავდა და მერმე ხნავდა... ჩვენს დედა-მიწას ერთი სახნისიც ვერას უზამს, მას გუთნეული უნდა, ერთი და ორი კაცი გუთნეულს ვეღარ გამართავს“...

ნაშუაღამევს იოჰანესმა ალექსანდრეს მოედნამდის მიმაცილა. ქუჩის კუთხეში მეგაზეთე ყვიროდა:

„უმუშევართა დემონსტრაციები ლუსტგარტენში... რაიხკანცლერი გადადგა, „ბერლინერ ტაგებლატ“, „ლოკალ ანცაიგერ“, „ფოს- ფოს“.

„შენი პრუსსიელების საქმე ძლიერ ცუდათაა“, მეუბნება ღიმილით იოჰანეს, „ანტანტა -კაიზერის გასამართლებას მოითხოვს. აქ მონარქისტები ხმლებს ლესავენ. ლუდენდორფი რაღაც ბნელ ინტრიგებს აწარმოებს. ბუშის ცირკში მეარცხენეების დემონსტრაციებია. მალე საერთო გაფიცვა უნდა მოხდეს. ამბობენ, წყალი და გაზიც აღარ გვექნებაო“. იოჰანეს ძლიერ შეშფოთებულია მოსალოდნელი ამბების გამო.

მოედანზე არც ეტლი სჩანს არც ტრამვაი და არც ავტომობილი აქა-იქ პაპიროსის და ვალუტის გამსყიდველები და ქუჩის კახპები ირევიან. ზანტი ბერლინური წვიმა სცრის. ქოლგა გავშალე. მივჰყევი კონიგშტრასსეს და სასახლის მოე-

დნისაკენ გამოვედი. ჰოჰენცოლლერების სასახლე მდევების მიტოვებულ ბუნაგს წააგავს ამ ღამეში. ფართე, განიერი ფანჯრები თალხი ქალუზინებით დაუხშვიათ. ფრიდრიჰშტრასსეზე კახპები, მეკლიტეები, მეკარეები და პოლიციელები დაღოღავენ. კუთხესთან პატარა, ხელებგათოშილი ბიჭები გამომიდგნენ, საცოდავი ხმით კნავიან: „იყიდეთ შვედური ასანთები, იყიდეთ შვედური ასანთები“. კაფე ვიქტორიასთან ფრანგულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ოფიცერს მოვკარი თვალი (ფორმიანი უცხოელი მხედარი მე არ მენახა აქამდის ბერლინში). ფეხს ავუჩქარე. სჩანდა, ახლად ჩამოსული ფრანგული მისსიის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო. ოფიცერი მოურიდებლად მივიდა კაფეს შესავალთან ატუზულ ყარყუმის საყელოიან ქუჩის მეძავთან. არ ვიცი, რა უთხრა, დედაკაცის ხმა გავიგონე.

„თქვენ ჯერ გერმანელების სისხლი ხელზე არ შეგშრობიათ და ახლა ჩემგან ალერსს ყიდულობთ?“ (გაისმა ბერლინური უშვერი სიტყვები).. ოფიცერმა მკერდზე ხელი ჰკრა კახპას.

ქალმა სილა აჰაძა და თვითონვე დაიკივლა. ელვის სისწრაფეზე ქუჩის ბრბო გაეკიდა ოფიცერს. „ფრანცოზე, ფრანცოზე... ჰაუ ინ, ჰაუ ინ“ ყვიროდნენ.

ფრანგი დიროთეს ქუჩის პატარა ჰოტელის კარებს მივარდა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. აქ ერთბაშად იელვა დანამ და მკერდგავმირული მხედარი ფილაქანზე დაეცა. უშველებელი ბრბო მოგროვდა. ჩემს გვერდით ჩემი ძველი მეთუთუნე — მაიერი აღმოჩნდა. მაშველმა კარეტამ დაჭრილი წაიყვანა.

მე და მეთუთუნე კრონპრინცის ნაპირზე გამოვედით. წვიმამ მოუხშირა. ქუჩაზე არც ეტლის, არც ადამიანის ჭაჭანება არ იყო. „ღამე მშვიდობისა, ბატონო დოქტორო“, ჩაილაპარაკა მეთუთუნემ და გამშორდა. ახლა მე ვამჩნევ: მიყრუებულ ქუჩაზე ვიღაც ფეხდაფეხ მომსდევს. შპრეეს ხიდი გავიარე. უცნობი თან მომყვება.

სახლის კარი გავაღე, კიბეზე ელექტრო ავანთე. ვხედავ, უცნობმა აქაც შემომსდია. მესამე სართულზე ავედი. ბინის გასაღები ამოვიღე თუ არა, წინ გადამეღობა დაბალი, ბრგე

კაცი. მწვანე, დახეული, სამუშაო კოსტიუმი აცვია. თავზე ქუდი არ ხურავს. მკვახედ მეუბნება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უნდა წამომყვეთ, ბატონო დოქტორო“.

„მე მეუბნებით?“

„დიახ, თქვენ“.

„მე უცხოელი ვარ, ხომ იცით, გერმანიაში პრაქტიკის ნებაც არა მაქვს. ან სად უნდა წამოგყვეთ ამ შუაღამეში?“

„სულ ერთია. ვინცა ხართ. ადამიანი ხომა ხართ? მე ნორდ-შტრასსეზე ვცხოვრობ“.

„გარდა ამისა, საექიმო ხელსაწყოც არა მაქვს“.

„არა უშავს რა. იქ თქვენი დასწრებაა საჭირო“.

„თქვენ რა იცით, რომ მე ექიმი ვარ?“

„მე დიდი ხანია, უკან მოგყვებოდით. თქვენი ხაცნობის სიტყვებიდან გავიგე“... მეუბნება უცნობი და კარს არ სცილდება.

„მაშ კარგი, ცოლს გავაფრთხილებ, ახლავე გამოვალ“. უცნობმა გზა მიტია. ჯიბეტს ეძინა. სლანსკისეული რევოლვერი წამოვიღე.

მივჰყვებით ინვალიდების გაუთავებელ ქუჩას. მთელი საათის განმავლობაში ორიოდე ცარიელი დროშკა შეგვხვდა მხოლოდ. ნორდშტრასსეს ერთ ვიწრო, ბინძურ კიბეზე ავედით. სპეციფიური სუნი, მუშების უბნის სახლებში რომ გეცემათ დერეფანშივე. ამ ვიწრო, ბნელ კიბეზე რომ ავდიოდით, მე ეჭვი შემივიდა ამ კაცის გულწრფელობაში. ყოველ შემთხვევისთვის რევოლვერი მომარაგებული მიჭირავს პალტოს ჯიბეში. მეშვიდე სართულზე, როგორც კი კარი გააღო უცნობმა, პატარა ფინია მოგვარდა ყეფით. პატარა ოთახში შემიყვანა. კედლის საათის ტაკა-ტუკი შემომესმა. გაზი აანთო.

ოთახში ერთად ერთი ძველებური ხის ლოგინი სდგას. ლოგინზე თავიდან ბოლომდე გადაფარებულია წითელი ზეწარი. ამ კაცმა მკლავზე ხელი მომკიდა, შემანჯღრია და მეუბნება:

„ჩემთვის სულ ერთია, თქვენ ექიმი ხართ უცხოელი თუ გერმანელი. მე უნდა მომეყვანა ვინმე, რადგან საშინელი საქმე ჩავიდინე“.

სმენად გადავიქეცი. მისი გაცოფებული თვალები ცეცხლს აკვესებდნენ.

„ქუჩაში გავვარდი, ადამიანი არ შემხვედრია, ისე გავედი შპრეეს გადაღმა, დაიწყო უცნობმა, ვილჰელმის ქუჩაზე ვირბინე. ორ საპოლიციო უბანში ვიყავი, ახლა გაფიცვებია და რევოლუცია იწყება. პოლიცია დაშინებულია, ყველას თავის ქურქის ეშინია. მე თქვენ მოგატყუეთ, ექიმი რად მინდოდა!... სხვანაირად არ წამომყვებოდით, ალბათ თქვენც შეგეშინდებოდათ. მე არა ვარ ცუდი კაცი. ხომ ხედავთ ჭაღარა გამერია და ჯერ ჭია ღუაც არ მომიკლავს. ჩემი რა ბრალია, სასაკლაოზე წამიყვანეს და კაცის კვლას მიმაჩვიეს. ომის გამოცხადების მეორე დღეს ჯვარი დავიწერე და წავედი... ოთხი წელი სანგრებში... ოთხსავე ფრონტზე ვიყავი. ხუთჯერ დამჭრეს. შინ რომ მოვედი, ოჯახი დაქცეული დამხვდა. ჩემმა ცოლმა ორი ნაბიჭვარი დამახვედრა. რაც ახალგაზრდობაში მიშოვნია, ყველაფერი გაეყიდნა. ამ ზამთარში გაფიცვები დაიწყო, ვშიმშილობდი. ჩემს ცოლს ნიმფომანია სჭირდა. ოთხი წლის სანგრებში წოლას ისე არ დავუსუსტებივარ, როგორც ამ გახელებულ დედაკაცს. ამავე დროს თავის საყვარელთანაც ცხოვრობდა.

მაინც ვერ გაძლო ეს აფთარი. წელან შემოვუსწარი, მისი საყვარელი გამექცა. ცოლი თმით დავითრიე. ბავშვები მიეშველნენ. და აჰა, ხომ ხედავთ?!..“ ეს კაცი ლოგინთან მივიდა, წითელი ზეწარი გადაჰხადა. ყოვლად საზარელი სურათი გადაიშალა ჩემს წინაშე: დედა და ორი შვილი კისერგამოღადრული ესვენა ლოგინზე; ცხედრებიც და ქვეშაგებიც სისხლით იყო მოსვრილი.

„ახლა მიქენით, რაც გენებოთ. კაცი არა ხართ? სამართალი არ იცით? მაგრამ, ვაი, რომ მე აღარ მჯერა არც ღმერთისა და არც კაცის სამართალი. და რაც გინდათ, ჰქენით“.

ენა ჩამივარდა. მიმოვიხედე. ფინია ლოკავდა ლოგინიდან ჩამოქონილ სისხლს. ძაღლი დერეფანში გავაგდე. კაცი თან წამომყვა. კიბეზე რომ ჩამოვდიოდით, ვეუბნები:

„ქუდი დაიხურეთ, გაცივდებით“.

„რას დამცინით, ადამიანო?“ მიპასუხა უცნობმა და გამომყვა ქუჩაში. მე-30 საპოლიციო უბანში ერთი პოლიცე-

ლი სთვლემდა. ჩვენს დანახვაზე დაწითლებული თვალები გაახილა.

ყვითელფოლაქებიანი პოლიციელი ისე გულგრილად ისმენდა დამნაშავის ჩვენებას, თითქოს ყოველდღე ასეთ საშინელების გამგონე ყოფილიყო. როცა ხელი მომაწერინა, უკმეხად მეუბნება:

„თქვენ თავისუფალი ხართ“. მე უკანასკნელად შევავლე თვალი ტანმორჩილ, ქერა კაცს. არც ერთისთვის სალამიც არ მიმიცია, ისე გამოვედი ქუჩაში. ფრიდრიხშტრასსეზე არც კახპებია, არც პოლიციელები, არც ეტლები... მხოლოდ იუველირის ვიტრინებში ელექტროს მარაოზე ბრწყინავდნენ და კაშკაშებდნენ ნუშისოდენა ბრილიანტები, და ბავშვები, ხელ-ფეხგათოშილი ბავშვები, მომსდევდნენ და საცოდავი ხმით მევედრებოდნენ:

„იყიდეთ ასანთები, შვედური ასანთები!“

## 36. ჟამიანობა

გაფიცვები რომ გათავდა, ერთ სააქციო საზოგადოებაში პატარა სამუშაო მიშოვნა ბარონ №-მა. ამ კომპანიის მიზანი იყო თურქესტანის ბამბის ექსპორტის ხელში ჩაგდება. ახლა ჩემი გულისყური თურქესტანის ბამბის კულტურისკენაა მიქცეული. მთელი დღეები ბამბის სტატისტიკა, ბამბის ექსპორტი, ანგლო-ამერიკანულ კონკურენციის საკითხი და სხვა. მე ყოველივე საქმეს გატაცებულად ვეკიდები. მიზნად დავისახე, ეს საკითხი დეტალურად შემესწავლა, ნაშუადღევს ძლიერ დაქანცული დავბრუნდი შინ. ჩემი ოთახის კარი შევაღე: ჯენეტი ვიღაც გერმანელ ოფიცერს ელაპარაკება. ოფიცერი ჩემს დანახვაზე წამოდგა. დეზების ქლარუნით გამოქანდა ჩემსკენ. ჰერბერტ შტუდერსი! ღმერთო, როგორ გამოცვლილა! სადღაა მისი სახის სინაზე, ან მისი ლომისფერი ქოჩორი, კაფანდარა იდეალისტური ტანი!

დასრულებულა, დასხვილებულა. ტუჩის გარშემო სასტიკი ნაოჭები, მხოლოდ გერმანულ, ზღვისფერ თვალებიდან კიდევ გამოჰკრთის რომანტიული სევადი. ღიმილის დროს ისევ ად-

რინდელი მეოცნებე, ნაზი, გულჩვილი ჰერბერტია, ისეთივე, როგორც ადრე სიჭაბუკეში... გველაპარაკება, მოგვითხრობს თავის ოდისეადას ოთხსავე ფრონტზე.

საშინელ ამბებს გვიამბობს ადამიანების შემუსვრის, მხრჩოლავი გაზების, საარტილერიო და საჰაერო დუელების შესახებ.

ხანდახან, როცა ჯენეტს ელაპარაკება, ასე მგონია სიზმარში ვარ. ჰერბერტ შტუდერსი, ბავშვივით რომ სტიროდა უბეგეშო სიყვარულისგან, მუდამ ფრანჩესკო ასიზელსა, პოეზიაზე მოსაუბრე ჰებერტ შტუდერსი მიამბობს, თუ როგორ ამოუხრჩვიათ გაზით თავიანთ სანგრებში ფრანგები, ან გერმანელებმა როგორ ჩაახრჩვეს 90 ათასი რუსი მაზურების ჭაობებში. მის მოთხრობაში ბევრი სარკაზმია, დიდძალი ჯერაც გაუნელებელი შხამი, ამოუყრელი ჟინი და რევანში. და ასე მგონია, ეს არ არის ის ჰერბერტი. ჩემი ადრე სიჭაბუკის მეგობარი, ნაზი, მელანქოლიური, სულით მგლოვიარე ჭაბუკი.

„შარშან თქვენ ავად იყავით, არა?!" ეკითხება ჯენეტი.

„დიახ, ქალბატონო, მაგრამ თქვენ საიდან იცით?"

„მე ბევრი რამ ვიცი თქვენი ცხოვრებიდან". ღიმილით უპასუხებს ჯენეტი და მე შემომცქერის.

ჰერბერტის ნახვამ დაღლილობა გადამავიწყა. 11 საათზე გავაცილე. მამაკაცებს ყოველთვის მოეძევათ ისეთი სალაპარაკო, რაც ქალთან არ ითქმის. კაფე ბაუერში შევედით. ვუამბობთ ერთმანეთს ჩვენს თავგადასავალს. არ ვიცით, საიდან დავიწყოთ, რომელი ერთი შთაბეჭდილება გავუზიაროთ ერთიმეორეს. მე ვამჩნევ, ჰერბერტი უფრო მეტს ლაპარაკობს პოლიტიკაზე, ვიდრე ოდესმე.

ჰერბერტი პანგერმანისტული თვალსაზრისით აშუქებს მოვლენებს. გერმანიის საგარეო დამარცხებას გერმანთა სისხლის მოღალატე — ანგლო-საქსებს აბრალებს, შინაურს კი — ურიებს, „რომელთაც რევოლუციის ცეცხლი გააჩაღეს გერმანიის ხალხის დასაღუპველად".

„ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ჰერბერტ, მე შენ ვეღარ გიცნობილობ, შენ აღარ ლაპარაკობ პოეზიაზე, შენს ლიტერატურულ გეგმებზე!" ვეუბნები. ჰერბერტმა საქარინის ნამ-

ცეცი აილო, ყავაში ჩააგდო, თავის აუღებლად დასჩერებია პაწია ბუშტებს ყავის თასში და ნაღვლიანად ამბობს:

„ახლა, ჩემო კონსტანტინ, რაღა დროს პოეზიაა!... გერმანია გვეღუპება...“ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან თავი აილო, ზღვისფერი თვალები შემომანათა:

„ესთეტობასა და პოეტობას ვადა გაუვიდა, ჩემო კონსტანტინ. დღეს რომელიმე დიდი იდეის მეაბჯრე უნდა იყო, გმირი, რაინდი ან მარტვილი. სხვაფრივ ეს ცხოვრება მოსაწყენია. მე ისე დავიგეშე ბრძოლაში, რომ ვერ წარმომიდგენია ჩვენი სქელი ბერტების* ღრიალის გარეშე როგორ უნდა ვიცხოვრო, Das Leben ist Krieg, mein lieber**.

სახე გაფითრებული, შავფრაკიანი კაფეს ზედამხედველი მოუახლოვდა ჩვენს მაგიდას. ზრდილობიანად გვეუბნება:

„ამ წუთში ორასი ათასი მუშის დემონსტრაცია შემოდის ბერლინში, კაფე უნდა დავკეტოთ, ბატონებო“. უნტერ დენ ლინდენზე გამოვედით.

მართლაც უამრავი ხალხი მოდიოდა ვილჰელმის სასახლიდან. მწვანე ხალათიანი, უქუდო, საკინძეგახსნილი, გაფითრებული მუშები წითელი დროშებით მიეშურებოდნენ ბრანდენბურგის ჭიშკრისაკენ. ალაგალაგ მძახურები ყიჟინებდნენ: „გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ლიბკნეხტს“. და ეს უშველებელი, უთვალავი მასსა ქვემეხივით გრიალებდა: „ჰოხ, ჰოხ, ჰოხ.“.

ზანზარებდნენ უნტერ დენ ლინდენის უშველებელი სასახლეები და ვიტრინები, ხალხი მოსდებოდა არა მარტო უნტერ დენ ლინდენს, იგი მოდიოდა პარალელური, პატარა ქუჩებითაც. ტროტუარებზე აღარ სჩანდნენ ელეგანტური კავალრები, მოსეირნე ქალები, კაცები და პოლიციელები. ასე ჩაცმული, ამგვარი გამომეტყველების ხალხი მე ჯერ არ მენახა შუა ბერლინის ქუჩებში.

„ეს სახეები შენ არ გაგონებს თქვენს წინაპრებს, — ძველ გერმანელებს, ტაციტს რომ ჰყავს აწერილი.–აა, ჰერბერტ?“

---

* კრუპის ზარბაზნებს შეარქვეს გერმ. ჯარისკაცებმა.

** ცხოვრება ომია, ჩემო კარგო.

ვეკითხები ჩემს გვერდით მომავალ მეგობარს. ცოტა ხანს შემდეგ.

„იცი, კონსტანტენ, ხალხი არსებითად არ იცვლება საუკუნოების მანძილზე, შენ მართალი ხარ“.

„მეც მგონია, ცხოვრების ფორმები იცვლებიან, სხვა არაფერი“.

ჩვენ ტირგარტენამდის მივსდიეთ დემონსტრანტებს. რაიხსტაგის წინ, ბისმარკის უშველებელ ძეგლის პედესტალზე იდგა ლიბკნეხტი და სალოკი თითით ემუქრებოდა მარჯვენა ხელით ხმალზე დაყრდნობილ რკინის კანცლერს. გაქვავებული ბისმარკი აღუშფოთებლად უსმენდა, თითქოს მასზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ამ საუკუნის უდიდესი კატილინას მდუღარე სიტყვები. მაშინ პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში: ალტყინებული ცოცხალი კაცი, გაქვავებულ მკვდარს რომ ეკამათებოდა.

გვიან დავბრუნდი შინ. ჯენეტი ატირებული დამხვდა, პარიზიდან მიღებულ დეპეშას მაწვდის. მირზა-ხანი გადაცვლილა, ფარვიზი ავად ყოფილა. დეპეშას მადამ ფან სტაუნი აწერდა ხელს. იმ დღესვე პარიზს გავისტუმრე ჯენეტი. საღამოს მე და ჰერბერტმა სადღაც ეზოში ფარული რესტორანი მოვძებნეთ. ღამის ათის ნახევრამდის ვსვით. სრულ ათ საათზე ჰარდენბეკის სალონში ვიყავით.

სცდება, ვისაც ჰგონია, რომ გერმანიაში ბოჰემა არ არისო. ეს არის, გერმანული ბოჰემა უფრო არისტოკრატულია. რომანულ და სლავურ ქვეყნებში ყოველი კაცი ბუნებით ბოჰემიელია. საფრანგეთში ყოველი კაცი კარგი ტონის ნიშნად სთვლის ბოჰემიელობას. გერმანიაში საშუალო მოქალაქე, სამხედრო კასტა და პროფესურა ერიდება კიდევაც ბოჰემას.

ჰარდენბეკის სალონში თავს იყრიდნენ: პოეტები, მხატვრები, მწერლები, უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოცენტები, რამოდენიმე ინდუსტრიელიც მიეკედლა ამ სალონს. მათ მოწყენილი ჰქონდათ ალბათ მუდამ საბანკო და საბირჟო ოპერაციების ამბები და სიამოვნებით უსმენდნენ ისეთ ხალხს, რომელსაც არც ბანკების დარდი ჰქონდათ, არც ბირჟების, მაგრამ მაინც ვერ გადაჩვეოდა შამპანურის სმასა და უკა-

ნასკნელ მოდაზე მორთულ ქალებთან ამიყობას. და ამ სალონში ყველა აგინებდა იმ დროს ევროპის ცივილიზაციას, ყველა შპენგლერს ეთანხმებოდა, მაგრამ არცერთს თავში არ მოსვლია ამ „დასაღუპავ“ ევროპიდან გაქცევა.

მადამ ჰარდენბეკის ვაჟები ჩვენი ამხანაგები იყვნენ, მაგრამ ზრდილობის გულისთვის მე და ჰერბერტი მაინც ვეარშიყებოდით ამ საკმაოდ გონებამახვილ და კეკლუც დამას. მას უყვარდა პოეტების, მუსიკოსების და არტისტების სიახლოვე, რადგანაც მეოცე საუკუნის მადამ ფონ შტაენად მოჰქონდა თავი.

მადამ ჰარდენბეკი ძლიერ ფამილიარულად შეგვეგება. ჰერბერტს უსაყვედურა: რამოდენჯერმე ყოფილხართ ბერლინში და რატომ არ გვინახულეთო. ახლა მე მომიბრუნდა:

„ჰერ სავარსამიძე, მე თქვენ ახლა საქართველოს მინისტრი მეგონეთ... არ ვიცოდი, კიდევ თუ ევროპაში იყავით. ეს დიდი სჲურპრიზი იქნება ქალბატონ ფონ შაჲსთვის. ხომ იცით — დაინიშნა?...“. ფრაუ ჰარდენბეკი ცბიერად იღიმება:

„აბა რა გეგონათ, სულ თქვენ ხომ არ გიცდიდათ?“

ამ უტაქტო სიტყვებმა გული ამიმღვრია, მაინც ნაძალადევად გავიღიმე. სალონში შესვლის უმალ თვალში მომხვდა ანრიეტე ფონ შაჲს ქერა, პატარა თავი. მოწამლული თევზივით დავბარბაცდი, მაგრამ ჰერბერტის დეზების ჩხარუნმა გამომაფხიზლა და ვიღაც მელოტ, შავფრაკიან კაცს მივაჩეჩე ხელი. მაშინალურად ვესალმები სტუმრებს.

მადამ ჰარდენბეკიც თავის მოვალეობას ასრულებს:

„დოქტორ შტრეზემან, მაჲორ ჰენ̣რინგ, ფრაუ დირექტორ ფონ კლაჲნმიხელ (მაცნობს ვიღაც ჭარხალივით გაწითლებულ დედაკაცს), პროფესორ ჰ...ბარონესსა ფონ ლიხტენბერგ“ (გამხმარი, ცხენის თავივით წაგრძელებული სახე!). ძლივს მივახწიე მასთან. ანრიეტე ყურებამდის გაწითლდა. ავტომატიურად გამომიწოდა ხელი. თავის კავალერს მაცნობს:

„იცნობდეთ: ჩემი დანიშნული.... წ̣ნადადების დათავებაც ვერ მოასწრო, კავალერი წამოხტა, მხედრულად გაიმართა წელში, გამომეცნაურა:

„ვიტმან“ (ამ კაცს ტიპიური ბუხჰალტერის გამომეტ-

ჟეელება ჰქონდა). ძლივს დავათავე დანარჩენების მისალმება. გონებაარეული გაოლვეულივით დავბარბაცდი და ანრიეტას გვერდით დავჯექი. ჩუმი გულისტკივილით შევსცქეროდი მის მაღალ მკერდს, მის საუცხოვო შიშველ მკლავებს და მოლიბრო თვალებს. ჩემდა ბედად დიასახლისმა სთხოვა ბ. ვიტმანს გრიგიდან დაეკრა რამე.

„მე არ მეგონა, თუ ოდესმე შეგხვდებოდი". მეუბნება ანრიეტე.

„ასეა, ქალბატონო, ქვა ქვას შეხვდება ისევ..."

„თქვენ კიდევ არ დაგავიწყდათ ძველი ანდაზები?"

„ზშირად ძველი ანდაზა სჯობია ზოგიერთ ახალ ამბავს, მოწყალეო ქალბატონო".

„სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი?" მეკითხება გესლიანად.

„მართლა, სულ დამავიწყდა: გაბედნიერება უნდა მომელოცნა".

ქალი გაწითლდა.

გველივით კისერი წავიგრძელე:

„თქვენი მეუღლე პოეტია, არა?"

„არა, ბანკის დირექტორი".

„აკი ამბობდი, ესათუოდ პოეტს უნდა გავყვეო". ანრიეტე დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა.

„მომწონს თქვენი არჩევანი, ეს საუკუნე ბუხჰალტერებს ეკუთვნით, გარწმუნებთ... თქვენ კარგად იცით, მე ათასმეის ვერ ვითვლი და პარიზში ბუხჰალტერია შევისწავლე. ახლა ბამბის კულტურას ვეცნობი... დროზე რომ დამეწყო ეს ხელობა, ახლა ალბათ მეც ვიქნებოდი თქვენი დანიშნული, ანრიეტე, აა?"

„თქვენ კიდევ შეგრჩათ გესლი?"

„ყველაფერი დავჰკარგე, ფროლაინ ფონ შაი, ყველაფერი, ჩემი გესლის მეტი".

„კიდევ ბევრი დაგრჩათ?"

„გესლი იმდენი, რომ მთელ ქვეყანას მოვშხამავდი..."

მსახურმა შამპანური ჩამოარიგა. ანრიეტემ მოდური ჟურნალი აიღო და ათვალიერებს. ჰერ ვიტმან სოლვეიგის პარტიას უკრავს.

„თქვენ ძლიერ მაგონებთ პერგინტს, პერ სავარსამიძე“. მეუბნება ანრიეტე.

„თქვენ კიდევ სავსებით არ ჰგავხართ სოლვეიგს, ფროილაინ ფონ შაჲ“.

„მე გთხოვთ... ამ მშვენიერ საღამოს ნუ ჩამიშხამავთ“.

„თუ თქვენ მთელი წლის მოშხამვა არ მოგეკითხათ...“

„თქვენ მთელი ჩემი ახალგაზრდობა მოწამლეთ“.

„სამაგიეროს ბანკის დირექტორი გიზღავთ“.

ჩვენს გარშემო ლაპარაკობდნენ აჲნშტაინისა, შპენგლერისა და დარმშტატის პლატონიურ აკადემიის შესახებ, მახლობელ ზალაში წყვილები ცეკვავენ.

„მე მინდა უკანასკნელად ვიცეკვო თქვენთან...“ ვეუბნები ანრიეტეს და ხელს ვუწვდი. მე გახელებული ვცეკვავ მის გვერდით, თავხედურ სიტყვებს ვეჩურჩულები ყურში. ანრიეტე გამირბოდა. ცეკვა რომ გათავდა, გამეცალა. სტუმრების ერთი ჯგუფი მაჲორ ჰერინგის გარშემო დამსხდარიყო. მოახლოვებული რევოლჲუციის საშინელებაზე ლაპარაკობდნენ. დირექტორ მაუს მეუღლე მოგვითხრობს, თუ როგორ გადახიზნეს მისმა მეზობლებმა ნოხები ბრილიანტები და სერვიზი. რუსეთის ტყვეობიდან ახლადდაბრუნებული კაპიტან კინკ ბოლშევიკური ცარცვის კვირეებზე გვიამბობს. სახედაჩეხილი მელოტი მაჲორი შესაძლებლად სთვლის ეს ამბები ბერლინში განმეორდეს. მალიმალ იღებს შამპანურის ჭიქას. დირექტორის მეუღლეს ეუბნება: „პროზიტ“, და სვამს. ახალგაზრდა დოცენტი დოქტორ გრაუ საფრანგეთის რევოლჲუციის საშინელებებს იგონებს.

„უნდა ითქვას, ბერლინელი რენტის პატრონები ძლიერ დაფრთხნენ“. ამბობს დოქტორ გრაუ.

„ჯერ არავის ახსოვს ბერლინში ასეთი გარყვნილება. ცელენდორფში ზნეობის პოლიცია ბარონ გ...ს სახლში იტალიურ ღამეს წაწყდომია. რამდენიმე ცნობილი გერმანელი არისტოკრატი ორგიებს მართავდა თავიანთ საყვარელ ქალვაჟებთან. ბურჟუაზია გახელებული ცეკვავს დანსინგებში და ღამის რესტორანებში“.

„გაუგონარმა ცეკვის მანიამ შეიპყრო მთელი ბერლინი“, შენიშნა მადამ ჰარდენბეკმა.

„მართლაც ძლიერ გაირყვნა ჩვენი არისტოკრატია, მეუბნება ხმადაბლა ჰერბერტი, შენ არ გაგონდება თუკიდიდეს „ათინის ჟამიანობა?“ ათინელები ხედავდნენ, თუ როგორი სისწრაფით ხდებოდა ცვლილება მდიდრების ცხოვრებაში. ყველა დატკბობის სურვილმა შეიპყრო, რადგანაც ჟამიანობით დაშინებულნი თანაბრად წარმავალად სთვლიდნენ ფულსაც და სიცოცხლესაც“...

მე ხანგრძლივს საუბარს ყურს ველარ ვუგდებ. ავდექი. ანრიეტესა და მის საქმროს გვერდით დავჯექი. ვილებ შამპანურით სავსე ბოკალს. „თქვენი სადღეგრძელო იყოს“, ვეუბნები დირექტორ ვიტმანს. ჩვენი ჭიქები ისე ძლიერად მიეხალა ერთიმეორეს, რომ ვიტმანს ხელში შერჩა თავის ბოკალის მაღალი ფეხი და თეთრ ჟილეტზე გადაექცა შამპანური. მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია ამ მუნჯმა სცენამ. დიასახლისმა სასადილო სალონისაკენ გაიყვანა სტუმარი. ანრიეტეც მას გაჰყვა.

მაჲორ ჰერინგ მომიჯდა. მას უამრავი ორდენები აქვს მკერდზე. მაჲორ ჰერინგი ძლიერ სწუხს, რომ თამარის ორდენი ველარ მიიღო ამ ომში. მას მიუღია ავსტრიის, ოსმალეთის და ბულგარეთის ორდენები, ორივე გერმანული რკინის ჯვარი და „პურლამერიტი“.

„ვინ არიგებდა თამარის ორდენს?“ მეკითხება მაჲორი.

„საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი ბერლინში“.

„გერმანიაში ვინ მიიღო ეს ორდენი?“ (განაგრძობს მაჲორი ინკვიზიტორულ დაკითხვას).

ჰინდერბურგმა, ლუდენდორფმა, ფონ ლოსოვმა, ფალკენჰაჲნმა, მაკენზენმა... ყველას გვარი არ მახსოვს“.

„თქვენც ამ ორდენის კავალერი ბრძანდებით?“.

„დიახ“.

„მერმე, რატომ არ ატარებთ?“

„ქართველებს არ გვიყვარს ორდენის ტარება“.

მაჲორ ჰერინგი კარტის სათამაშოდ გაიწვიეს. ახლა მადამ ჰარდენბეკ შემომიჩნდა, იგი ანრიეტეს მომავალ ქორწილზე მიამბობს. იშვიათი ბრილიანტის კოლიე უჩუქნია ბატონ ვიტმანს თავის საცოლესთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ნაძალადევად ვიღიმები. ცბიერი დიასახლისი თვალებში მიყურებს. მალე დიასახლისიც გამეცალა. ჰერბერტი მომიახლოვდა. მეუბნება:

„დროა, წავიდეთ“.

როცა სალონიდან გამოვდიოდით, დოქტორ მაუს სიტყვებს მოჰკარი ყური:

...„ებერტი? ასეთი უნიჭო მართველი გერმანიას არა ჰყოლია. მე დარწმუნდი, ბატონებო, რომ ისტორიას გაიძვერა კრეტინები ჰქმნიან. ალბათ ცეზარი და ნაპოლეონიც მოყიდული მწერლებისა და ისტორიკოსების მიერ გაბერილი ჯამბაზები იყვნენ“.

„ისტორია — უაზრო სტიქიონების ნაღექია, სხვა არაფერი“. დაეთანხმა ბარონ კლაჲნ. მონოკლი გაისწორა და შამპანურის ჭიქა აიღო.

## 37. პერტინაქს

ერთ საღამოს პირველ საათამდე დავრჩით მე და ჰერბერტი ჰარდენბეკის სალონში. ანჰალტის სადგურთან უკანასკნელ ტრამვაჲს მოვუსწარით ვატმანმა საყოველთაოდ გამოაცხადა:

„ციმერშტრასსეზე ჯერ კიდევ ბრძოლაა სპარტაკელებსა და მთავრობის ჯარებს შორის; ჩვენ ციმერშტრასსე უნდა გავიაროთ, ყოველი კაცი საკუთარი პასუხისმგებლობით წამოვიდეს“.

გერმანელები ბუნებით უშიშარი ხალხი უნდა იყოს. გაფრთხილების მიუხედავად ტრამვაჲს რონოდა ხალხით გაივსო. ერთი სადგური გვიკლდა ციმერშტრასსემდის, ტრამვაჲ გაჩერდა. ვატმანმა ელექტრო ჩააქრო. მამაკაცები ბაქანებზე გავედით. ქალები რონოდის იატაკზე დაწვნენ. დაბნელებული ტრამვაჲ მიჰქრის ციმერშტრასსეზე... აქ იყო ბრძოლა სახლების სახურავებზე დაბანაკებულ აჯანყებულებსა და შუპოს ჯარებს შორის.

მუშებმა დაუშინეს თოფები ტრამვაჲს. მე და ჰერბერტი ვატმანის გვერდით ვდგევართ, პაპიროსსა ვწევთ. ერთ წუთში

პაპიროსი შუაზე გადამიჭრა ბრმა ტყვიამ. გასწვრივ უშვე-ლებელი ვიტრინა ჩალეწა. ტრა... ტა... ტა,,, ტა,,, ტრა,,, ტა,, ტა... ტა... დო.., დო,,, კაკანებენ ტყვიამფრქვევლები: ქუ-ჩებში უშველებელ ნიანგებივით დაბობღავენ ტანკები და ჯავშნიანი ავტომობილები რონოდის სისწრაფე ემატება.

სიკვდილი დაჭრის ელექტრონით გაჩაღებულ ქუჩაზე, ვხედავ ყველგან უაზრო, წითელ რეკლამას: „პერტინაქს", „პერტინაქს", „პერტინაქს". საიდგანღაც კონდუქტორმა გა-მოჰყო თავი:

„ბილეთები, ბატონებო", გვეუბნება.

მე სიცილი ამივარდა.

„დიდი პედანტები ხართ გერმანელები! რალა დროს ბილე-თებია?" ვეუბნები ჰერბერტს.

„ჩვენ სიკვდილის წუთებშიაც მოვალეობა არ გვავიწყდე-ბა", მიპასუხა პირმოქუშულმა მეგობარმა. სამშვიდობოს რომ გავედით, ტრამვაი შევიცვალეთ. მეორე რონოდა ტირგარტენს იქით აღარ მიდიოდა, რადგან ბრანდენბურგის ჭიშკარზე ტყვი-ამფრქვევები დაედგათ.

საიდგაღაც არტილერიის გრუხუნი ისმის. თოვს... ხეების ჭირხლზე საოცრად ციმციმებს ელექტროს შუქი. ჰინდენბურ-გის უშველებელი, დალურსმული ხის ძეგლი რაღაც ზღაპრულ ბაყბაყ მდევს მაგონებს. მოსაზრება დამიჩლუნგდა. შევსცქე-რი ამ გოლიათის ძეგლს და სრულიადაც არ ვფიქრობ ჰინდენ-ბურგზე. ისევ წითელი პლაკატი და უაზრო: „პერტინაქს", „პერტინაქს", „პერტინაქს".

აქ გამიმხილა ჰერბერტმა, რომ ორივენი მოწვეული ვიყა-ვით კორპორაცია ბორუსსიას მიერ ჩვენი ალმამატერის — ბერლინის უნივერსიტეტის დასაცავად.

„ასე რომ, სამი საათი უნდა ვიმორიგეოთ. მე არ გაგიმხი-ლე უფრო ადრე, რადგან სიურპრიზს გიმზადებდი". ამბობს ჰერბერტი.

მე არ მეგონა, თუ გერმანიის სამოქალაქო ომში რაიმე მო-ნაწილეობას მივიღებდი. უნდა გამოვტყდე: ბავშვობიდან მი-ტაცებდა ომი. ამ გაუგონარი ზარბაზნების გრიალმა საოცრად ააფორიაქა და გაახელა ჩემი ნაციები სისხლი... ცხადია, რო-გორც კორპორაცია ბორუსსიას ყოფილ წევრს, ძველი გერ-

მანული და ძველი ქართველური რაინდობის ეტიკა მავალებდა ამ მოწოდებას გამოვხმაურებოდი.

„იცი, ჰერბერტ, მაგ ვეცხლისმკერდა ეშმამ ისეთ გუნებაზე დამაყენა, ვგონებ ქაჯეთის ციხის ასაღებად წამოგყვებოდი“, ღიმილით ვეუბნები ჰერბერტს და მხარზე ხელს ვადებ.

„საოცარია, შენ კიდევ რომ არ დაგვიწყნია ანრიეტე?“

„მე არ მესმის, როგორ შეიძლება ისეთი ქალი დაივიწყო, თუნდაც ერთხელ ძლიერ რომ გყვარებია?“

ორივენი სწრაფი ნაბიჯით მივეშურებით ბრანდენბურგის ჭიშკრისაკენ. პირველი თოვლი საამოდ ჭრიალებს ჩვენს ფეხქვეშ.

ბერლინის უნივერსიტეტის ქვედა დერეფანში ათასამდის ძველი და ახალი კორპორანტი მოგროვდა. აქ შევხვდით ისევ ერთმანეთს სტუდენტობის ძველი ამხანაგები, ყველა, ვინც დიდმა ომმა ერთიმეორეს დაგვაშორა. ვიგონებთ დაღუპულ ამხანაგებს. ჰერბერტმა პედელის ოთახში შემიყვანა.

ორიოდე წუთის შემდეგ გერმანელი ჯარისკაცის ფორმა მეცვა. მაღალყელიანი, დეზებიანი ჩექმები, თავზე ფოლადის მუზარადი. ხელში ხიშტმოკეცილი თოფი.. (საოცრად მეუცხოვა სხვა ეროვნების ჯარისკაცის ფორმის ჩაცმა). გარედან ზარბაზნების, ტყვიამფრქვევის გრიალია. ფანჯრები ზანზარებენ. გასაოცარი გულცივი გამომეტყველებით ესაუბრებიან ერთმანეთს დერეფნებში და აულაში მოგროვილი გერმანელები. ამ წუთში საოცარი მარტოობა ვიგრძენი. მე და ჰერბერტმა ძველი ამხანაგები მოვძებნეთ, ვსაუბრობთ, პაპიროსსა ვწევთ და ვიცდით. ერთბაშად გაისმა კომანდა: Achtung. მიმინოსავით გაიმართნენ მხედრები. გენერლის ფორმაში გამოწყობილი ჭაღარა შემოვიდა, სამხედრო სალამი მოგვცა, ოფიცრებს სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

„გენერალ ფონ ლიხ...ერ“, მეუბნება ხმადაბლა ჰერბერტი.

გენერალმა მოკლე სიტყვით განმარტა, რომ ჩვენ შეკრებილი ვართ, რათა განადგურებისაგან დავიცვათ ჩვენი საყვარელი ალმა მატერ — გერმანიის კულტურის კერა.

რევოლუცია — უსაზღვრო სტიქიონია ჩვენ არ ვიცით, რა სახეს მიიღებს გამძვინვარებული სამოქალაქო ომი“, ამბობს გენერალი, „არც თუ სამოქალაქო ომში ჩარევა გვაქვს განზ-

რახული ვიდრე იგი ფრიად მწვავე არ გახდება. ჩვენი დიდი ბატონი, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა — პრუსიის მეფე და გერმანიის იმპერატორიც წინააღმდეგი იყო ძმათა შორის სისხლის ღვრისა. მიტომაც დროებით გაიხიზნა იგი უცხოეთში. კომილტინებო! იმედი მაქვს გერმანული კორპორაციების რაინდები უკანასკნელსაც არ დაიშურებენ თავიანთ მრავალტანჯულ სამშობლოსა და უნივერსიტეტისათვის"...

ყოველი მხრიდან გაისმა „ჰოხ, ჰოხ, ჰოხ"... ლანდის სისწრაფეზე რაზმებად დაგვარიგეს, კავალერისტები და არტილერისტები ტყვიამფრქვევთა რაზმს შეგვიერთეს. დერეფნებში გაისმა ბრძანება: „ნაბიჯი წინ". მთელი ლაშქარი უნივერსიტეტის უკანა ეზოში გავიდა. ერთი ნაწილი ეზოებში დაგზავნეს, მეორეს დოროთეს ქუჩიდან უნდა შემოევლო, მესამე მთავარ კორპუსის სხვენებზე და სახურავებზე აგვაგზავნეს.

ამ რაზმს უნდა დაეცვა უნივერსიტეტი ვილჰელმის სასახლეში გამაგრებულ მატროსების დივიზიონის ცეცხლისაგან. სახურავიდან სჩანდა მთელი სასახლე და ჰოჰენცოლლერების საჯინიბო. გამანადგურებელი ცეცხლი მიემართათ მატროსებს ბრანდენბურგის ჭიშკრისაკენ. ჩვენი პოზიციებიდან ვხედავთ პროჟექტორების უშველებელ სინათლის შლეიფებს. ალექსანდრეს მოედნიდან, ციმერშტრასსედან და ტირგარტენიდან ზარბაზნების საშინელი გრიალი ისმოდა. ერთბაშად ყველაფერი მიყუჩდა, მხოლოდ ტელეფონის მავთულებში ზუზუნებს ქარი.

ისევ გაისმა: „ბუუმ, ბუუმ", აელვარდა ცისკიდე, გიგანტიური სასახლეების და ეკლესიების გადაღმა. ისევ ჩამოვარდება მყუდროება და ისმის ქარის ზუზუნი ან კანტი-კუნტი სროლა. პირველ ტყვიამფრქვევთა რაზმს ნაბრძანები გვქონდა ხმა არ ამოგვეღო, ვიდრე მატროსების დივიზიონი ჩვენსკენ არ მომართავდა ცეცხლს. შლაჲერმახერის ეკლესიის საათმა ორჯერ დარეკა. ვხედავთ ლუსტგარტენიდან მომავალ მუშების და მატროსების ბატალიონების ლანდები მიიჩქარიან ვილჰელმის სასახლისკენ. ველით ხმაგაკმედილი, ხელებგათოშილი და ჩასაფრებული... ერთბაშად ტყვიამფრქვევები დაუშინეს უნივერსიტეტის წინა ფასადს. უნივერსიტეტის ბაღში ელექტრო-

ნი კიდევ ანთია. სახურავიდან ვამჩნევთ, თუ როგორ შემოდის ზუზუნით ტყვია და ქვედა სართულის ფანჯრები იმსხვრევა. ეზოში მაღალი, თეთრი ქვის კვარცხლბეკზე ზის მოხუცი მომზენი, გადაშლილი წიგნი უკავია, ტყვიები ზუილით გადადიან მის დათოვლილ თავზე და ისეთი გრძნობა მაქვს, გერმანიის დიდი ისტორიკოსი გაცოცხლებულა და მის თვალწინ მომხდარი ძმათა სისხლის ღვრის შეტანას აპირებსო თავის ისტორიაში.

ახლა სახურავებამდის აღწევენ ტყვიები. ვიღაცა დაიჭრა, ცხადი იყო, მატროსებს ცნობა ჰქონდათ ალბათ ოფიცრები და სტუდენტები უნივერსიტეტის სახურავზე გამაგრდნენო. და ჯოჯოხეთური ცეცხლი დაგვიშინეს.

გაისმა ჰერბერტ შტუდერსის ფოლადისებრი ხმა:

„ტყვიამფრქვევი № 1. ცეცხლი“.

ტრა... ტა... ტა,,, ტა.,, ტრა... ტა:.. ტა:.. ტა::.

შეწყდა მუშების ბატალიონების დენა ლუსტგარტენის მიმართულებით, ისინი შემობრუნდნენ და დოროთეს ქუჩიდან მოდიან.

ისევ გაისმა კომანდა:

„ნომერი მეორე, ცეცხლი გაფანტვით:...

სასახლიდან პროჟექტორი მოგვანათეს. როგორც უშველებელი ღმერთის თვალი გადაგვევლო თავზე სინათლის შქერი, ხოშკაკალივით მოგვაყარეს ტყვიები ვილჰელმის სასახლეზე დადგმულმა ტყვიამფრქვევებმა. ვილჰელმის საჯინიბოსთან, ვილჰელმის ძეგლთან ხელბომბების გრიალი ისმოდა.

ტყვიამფრქვევი ნომერი მეოთხე... ორკეცი... მარცხნით“. კომანდობს ჰერბერტი.

„პირველო ტყვიამფრქვევო, მიმართე სასახლეზე... ცეცხლი ორკეცი!“...

და ისმის ტყვიის საშინელი კაკანი:

ტრა... ტა... ტა... ტა... ტრა... ტა... ტა... ტა... ტრრ.. ტრ:::

მატროსები დაჩუმდნენ.

ჰერბერტი კომანდობს:

„სდექ!“

სროლა ჩვენ მხარეზედაც შესწყდა. მაგრამ ალექსანდრეს მოედნიდან, ციმერშტრასსედან ისევ ისმის საარტილერიო

დუელის და ხელბომბების გრიალი. ღამის 4-საათზე ჯარისკაცები შეგვცვალეს. ჰერბერტმა პაროლი გადმომცა. უნივერსიტეტის ეზოში ჩამოვედი. საყარაულოებზე ძახილი:

„პაროლი?“

„ზიგფრიდ“, ვაძლევ პასუხს. დოროთეს ქუჩიდან უნტერ დენ ლინდენზე რომ გამოვედი, აქ ისევ გაეჩაღებინათ სროლა ბრანდენბურგის ჰიშკრიდან უშველებელი ალისქარი მოჰქროდა, ძეგერ შტრასსეზე პატრულების ხმა:

„პაროლი?“

„ზიგფრიდ“!

ლაიპციგის ქუჩა გადავჭერი. ქუჩაში ჭაჭანება არ ისმის. მთელი ქალაქი მომკვდარა! დაბნელებული ვიტრინები, თვალგამოლამებული მაღაზიები და სასახლეები, დამსხვრეული შუშები. ფილაქანზე რამოდენიმე უსულო მხედარი, ქუჩაზე დროშკის ცხენების ლეშები. მაღაზიების კარებთან თოფიანები სდგანან, პაპიროსსა სწევენ. შემომძახეს:

„პაროლი“! მეც ვუპასუხე:

ზიგფრიდ“.

სამი თოფიანი გამოქანდა. რამოდენიმე ნაბიჯზე შემძახეს:

„ხელები ასწიეთ!“ გამჩხრიკეს, მივხვდი: მუშების პატრულებია.

რაკი გერმანელი ჯარისკაცის ფორმა მეცვა, ვერაფრით დავარწმუნე, რომ უცხოელი ვიყავი. ჭაღარა, მწვანე ქუდიანმა მუშამ ჩემს პასპორტში ჩაიხედა, მტრული თვალებით შემომხედა და მეუბნება:

„თქვენ ექიმი ხართ?“ დამეზარა ტყუილის თქმა, მაგრამ რა გზა იყო, თავი დავუქნიე.

„მაშ ჩვენ გაგიჩენთ საქმეს. სანიტარობა უნდა იკისროთ“, ბევრი ვემუდარე, უძინარი ვარ, შინ გამიშვით მეთქი.

„თქვენს რაიონში მაინც ვერ გახვალთ, გათენებამდის მოგვეხმარეთ, მერმე თქვენ იცით“. მეუბნება ჭაღარა. ყარაულის უფროსი მოვიდა. ახლა ამან დამკითხა და დამათვალიერა. მე, რა თქმა უნდა, არ გავუმხილე, საიდან მოვდიოდი; რაც შეეხება ჯარისკაცის ფორმას, ეს განზრახ ჩავიცვი, რათა ის უბნებიც დამეთვალიერებინა, სადაც ბრძოლაა. უცხოელი ვარ და ღამის რევოლუცია მაინტერესებს მეთქი (უბ-

რალო ხალხი გულუბრყვილოა და მეც დამიჯერეს ამ მუშებმა). ყარაულის უფროსმა მიბრძანა გავყოლოდი. ციმერშტრასსემდის მატარეს. აქ მთელი ვიტრინები და დარაბები ტყვიებს დაეცხრილა. კიდევ რამოდენიმე ცხედარს შევხვდით, ათიოდე ცხენის ლეში ვიპოვნეთ. ყარაულის უფროსი გაგვშორდა, მე და ჭალარა მუშა ახალ რაზმს გავყევით. ერთ სახლში შემიყვანეს. სპირალურ კიბეს ავყევით სახლების სახურავებზე. აქ მუშების რაზმების ბანაკი იყო გამართული სახურავებზე. ძონძებით დატენილი თუნუქის ყუთებისა და ძველი ავეჯის ბარიკადებს ამოფარებული მუშები სახლების მეორე წყებაზე ასულ მწვანე პოლიციის — „შუპოს“ ჯარებს ესროდნენ.

10 კაცისაგან შემდგარ რაზმს შევუერთდით. მე უთოფოდ ვიყავი. ყოველ შემთხვევისთვის რევოლვერი მათხოვა ჭალარამ. ნოჲმაჲერი ყოფილა მისი გვარი. მე ვატყობდი, ეს მუშები ძლიერ ცუდათ ისროდნენ. ხელები გათოშილი ჰქონდათ, ვაზნების ჩაწყობა არ ემარჯვებოდათ.

ერთი საათი გაგრძელდა სროლა. მე სიცივისაგან ვიყინებოდი. ქარი ბელზებელივით დაჰგელავდა სახურავებზე. ტყვიები ზუზუნით გადადიოდნენ ჩვენს თავზე. ერთ წუთში მოპირდაპირის რაზმი მოიხსნა და სადღაც გაჰქრა. სროლა შეწყდა. ის იყო, შესვენებას აპირებდნენ ჩემი თანამოსანგრენი, რომ საიდგანღაც ისევ დაგვიშინეს. ვერც ამ რაზმის ხელმძღვანელმა, ვერც ნოჲმაჲერმა ვერ გაიგეს, საიდგან გვესროდნენ. ცხადი იყო, მოპირდაპირენი იმავე სახლის სახურავზე უნდა გადმოსულიყვნენ, რომელზედაც ჩვენ ვიყავით ჩასაფრებული. მე ღამით ძლიერ კარგად ვხედავ და შევამჩნიე, ოციოდე ნაბიჯის მანძილზე თუნუქის საკვამურიდან ვიღაცამ ამოყო თავი, გვესროლა და ისევ ჩაძვრა საკვამურში.

„იმ საკვამურს თუ არ დავუშინეთ, გაგვწყვეტავენ“. ვეუბნები ნოჲმაჲერს. მართლაც, ჩვენ დიდს განსაცდელში ვიყავით.

ნოჲმაჲერი მარწმუნებს, რომ მე მომელანდა და ამ სახლის სახურავზე მტერი ვერ ამოვიდოდაო.

„აბა მათხოვეთ თოფი“, ვეუბნები, ცოტა ხანს ვუდარაჯე ისევ ამოყო ვიღაცამ საკვამურიდან თავი. ისიც იყო უნ-

და ესროლნა, — მე დავასწარი. პარალელურად მეორე მხრიდან ესროლეს მეზობელ სახლზე დაბანაკებულმა მუშებმა, ისევ დაგვიშინეს. საკვამური იერიშით ავიღეთ. მძიმედ დაჭრილი პოლიციის ლოიტენანტი ვიპოვნეთ. გამოირკვა: პოლიციელების ერთი რაზმი იმ სახლებშიაც შემოპარულიყო, რომელზედაც მუშები იყვნენ დაბანაკებული. ამ ამბავმა გაოცა ჩემი თანამოსანგრენი. ისინი რატომღაც დარწმუნდნენ, რომ ჩემმა ტყვიამ დაჰსჭრა პოლიციელი.

ინათა. ქარი ჩადგა. ჩვენი რაზმი ახალმა შესცვალა. ახლომახლო სახლებიდან მოიხსნენ „მწვანეები". თანამოსანგრეები მთხოვენ კარგად დავზვერო არე-მარე. ვხედავ შორს, რამოდენიმე სახურავს გადაღმა პლაკატების კედელს და აქაც ის წითელი, საშინელი „პერტინაქსი". ზედიზედ ვესროლე თოფი. პლაკატი ჩამოვარდა. ისე გამეხარდა, თითქოს ხოხობი მომეკლა.

„ვის ესროლეთ, ექიმო?" მეკითხება ნოჲმაჲერი.

„პეოტინაქსს".

„კაცო, რას ამბობთ? პერტინაქსი ვინღაა?"

„ქაჯი და ეშმაკი! არც მე ვიცი, ვინ არის". ვეუბნები. ნოჲმაჲერი უაზროდ შემომაშტერდა. ჩვენი რაზმი ახალმა შესცვალა. ძირს რომ ჩამოვედით, ძლიერ მოგვშივდა. გავყევით ციმერშტრასსეს უბანს. ერთ რესტორანში ვიღაც შევიდა, უკან მოიხედა და კარი გამოიკეტა. თოფის კონდახით დავარახუნე.

„გააღეთ".

„გაფიცვაა, ბატონო, არ შეგვიძლია".

„რევოლჲუციის სახელით გიბრძანებთ, გააღეთ დუქანი". ეუბნება ნოჲმაჲერი. მედუქნემ დუქნის კარი გაგვიღო, თხის ღმერთივით იღრიჯება:

„აქამდის ვილჰელმის სახელით ვვაჭრობდით, აწი რევოლჲუციის სახელით ვივაჭრებთ".

ორიოდე ძველი ძეხვი აღმოჩნდა. ცოტაოდენი ლუდიც მოგვიტანა მედუქნემ. ოდნავ სული მოვითქვით წინადამის უსმელ-უჭმელებმა. ნოჲმაჲერი ლუდით სავსე ჭიქას მიშვერს, თანაც მეუბნება.

„თქვენ ჩინებული რევოლუციონერი ყოფილხართ, ამხანაგო ექიმო“.

„ეჰ, ამხანაგო ნოჲმაჲერ, ჩემი რევოლუციონერობა ვინ გაიგონა. დიდი ხანია, ტირში არ ვყოფილვარ, სროლა მომენატრა, მიტომაც მოგეხმარეთ“. მუშებმა მაღლა ასწიეს ლუდის ქიქები. მეგობრულად მიღიმიან: „პროზიტ“. მედუქნე თავზე გვადგას და თილისმურად იჯღანება. მე და ნოჲმაჲერი დანარჩენებს დავემშვიდობეთ. ფრიდრიჰშტრასემდის ისე მივედით, სროლა არ გაგვიგონია. შიფბაუერდამთან ნოჲმაჲერი ხელს მიწვდის:

„მართლაც, დამავიწყდა თქვენთვის მეკითხნა, ამხანაგო ექიმო, თქვენ რუსი ხართ, არა?“

„არა.

„ებრაელი?“

„არც ეგა“.

„მაშ ვინღა ხართ?“

„ქართველი ვარ“. ვუპასუხე.

„მიტომაც კარგად ისროდით“, მეუბნება და მაგრად მართმევს ხელს. შიფბაუერდამიდან შპრეეში ვხედავ ნახშირით დატვირთულ ბუქსირებს. მზე შუბის ტარზე წამოწეულა. ჯიბიდან ვიტენზონის პასპორტი ამოვიღე და შპრეში გადავისროლე. მივჰყვები ნაპირის ქუჩას. საშინელი თავის ტკივილსა ვგრძნობ და ვფიქრობ ისევ იმ ქართველ იანიჩრებზე, ინდოეთსა, მცირე აზიასა და ხორასანში რომ იბრძოდნენ გულჯავრიანი.

პირველ მიწისქვეშა მატარებელს მივუსწარი. ვზივარ რბილ სავარძელში, თავი მტკივა... თითქოს ფოლადის სალტეებს მიჭერენო. მატარებელი ელექტროთი განათებულ ტონელში შედის. ეს საშინელი უაზრო, ყვითელი, სისვი, მრეში, სინგურისფერი, სოსანისფერი, ლურჯი, მიხაკისფერი პლაკატები ისტერიულად ჰკივიან ჩემს თავში, რუქს, რექს, სიმენს, სიმენს, ალრაუნე, ალრაუნე, კონკორდია, კონკორდია, ვიქტორია, ვიქტორია; და ისევ ის საშინელი, გაუგებარი, საზიზღარი წითელი პლაკატი: პერტინაქს, პერტინაქს, პერტინაქს. ტონელში დაბნელდა. ელექტროს ურჩხული მიჰქრის უკუნეთისკენ. მოუსავლეთისკენ და ქაოსისკენ. სადაც

კედლებზე, ვიტრინებზე და აფიშების ბოძებზე არ ეწერია უაზრო, აბსურდული, ნერვების აშლილი: პერტინაქს პერტინაქს, პერტინაქს.

### 38. თეთრი ტყეები

სულის მოუთქმელად ავედი მესამე სართულზე. ნერვიულად ჩამოვრეკე! დერეფნიდან თუთიყუშის ჩხავილი მომესმა. ახ, რა მეზარება ამ სასიზღარი ფრინველის ყრანტალი! იოჰანეს ნოჲშტეტმა კარი გამიღო, უძინარი თვალები შემომაშტერა... საშინელ მარტოობასა ვგრძნობ ამ ბინაზე. ვიწრო დერეფანი, დაბალი ჭერი (ასეთი უხეირო ბინები ძველ ბერლინში თუ მოიძებნება კიდევ!), ძველებური დაბალი ფანჯრები. ძველი ავეჯი. ბიბლიოთეკის კედლებზე ნიკარაგუას ზანგების შვილდისრები. შუბები, ტყავის ფარები, რომელიღაც ამერიკულ ცხოველების ტყავები... სასადილო ოთახში ძველი დანიელი ოსტატების „ნატჲურ მორტები“. აქვე ნოჲშტეტის პაპის სურათი. მას შავი ხავერდის კოსტჲუმი აცვია, კისერზე უშველებელი თეთრი არშიები აქვს. წელზე ძველებური შპაგა არტყია. მოკლე შარვალი და ლაკის ტუფლები. მის გვერდით ორი მაღალი თეთრი მწევარია.

იოჰანეს ქაშანის ბუხრის წინ ზის, ორივე ხელი თავზე შემოუწყვია. იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს შესცქერის.

მე ვატყობ, რაც დრო გადის, იოჰანესს მელანქოლია ერევა. უკანასკნელმა ამბებმა მთლად შეარყიეს მისი ჯანმრთელობა. სწორედ ამ რაიონში იყო ბრძოლა. მთელი კვირა ხელბომბებით ებრძოდნენ ერთმანეთს სპარტაკელები და მწვანეები. უნივერსიტეტში დანიური ენის ლექციები შესწყვიტა. აღარც კითხულობს, აღარცა სწერს, იშვიათად ლაპარაკობს. ადამიანები შესძულდა. ორ-სამჯერ მოსამსახურე გაექცა. ახლა ვიღაც ბებერი დედაკაცი ოთახს ულაგებს, სადილს უმზადებს, და მერმე მთელი დღეები ზის ბუხრის წინ ღიღღედასიულ შაგრენის სავარძელში.

„რაზე ფიქრობ. იოჰანეს?“ ვეკითხები.

„მე, შენზე ვფიქრობ, კონსტანტინ. მე ჯერაც ვერ მიპატიებია შენთვის, რომ ამ საძაგელი პრუსსიელებისთვის თავი გასწირე. მე მესმის, თქვენ ქართველები, ისეთივე რაინდები ხართ, როგორც ჩვენი მეზობლები — შვედები. შენი გაცნობის შემდეგ რაც საქართველოს შესახებ წავიკითხე, ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ თქვენ ოდნავ ავანტიურისტები უნდა იყოთ, მაგრამ იცოდე, პრუსსია პატივისცემის ღირსი არ არის. პრუსსია სვავია. მრავალი პატარა ერის სისხლი სცხია ხელზე.

„შენ ნუ გაგიტაცებს ის გარემოება, რომ რამოდენიმე პრუსსიელი შენ გაფასებს. შენ ბედნიერი პრინცი ხარ, მიტომაც ყველას უყვარხარ“.

„არა, იოჰანეს, მე?... არავითარი თავდადება... მე მხოლოდ იმ დიდ სახლს ვიცავდი... სადაც ამდენი სინათლე მიმიღია... სხვა არაფერი... ჩემს ამხანაგებს ვეხმარებოდი, მაგრამ არც ის ვიცოდი, თუ მათ, გარდა ამისა, სხვა განზრახვებიც ჰქონდათ“...

„ციმერშტრასსეს უბანში რაღა გინდოდა?“

„მე პატრულებმა დამიჭირეს, ვიტენზონის პასპორტმა ისინი შეცდომაში შეიყვანა... უნდა გავყოლოდი... სხვა გზა არ იყო. და მე დარწმუნებული ვარ, პოლიციის ლოდტენანტი მახლობელ მუშათა რაზმის ტყვიებმა დასჭრეს“.

იოჰანესმა თავზე ხელები შემოიწყო. სდუმს.

„მე მგონია, კონსტანტინ, შენ ყველაფერში სანდო ხარ, მაგრამ ქალს ვერ გენდობა კაცი“.

„შენ შეურაცყოფას მაყენებ, იოჰანეს. ძველი ქართული რაინდობა მოითხოვს, მეგობრის მიჯნურს რიდით მოექცე. მე ვამაყობ, რომ ეს მაინც შემრჩა“...

„არა, ჩემო კარგო, გეხუმრე. მე ხვალ კორინხენს მივდივარ, აღარ შემიძლია. აქ მთელი ღამეები არ მძინავს, სოფელი მომენატრა. ამ თვის დამლევს ინგებორი ჩამოვა კოპენჰაგენიდან. დეპეშით გაგაფრთხილებს, თუ მოახერხო, ორივენი ჩამოდით“ ახლა ჰერბერტზე დამიწყო ლაპარაკი იოჰანესმა

„ჰერბერტი გაპრუსსიელდა, წამლის სუნი თუ იყნოსა, მერე ველარ დააკავებ“. ეს პირველად გავიგონე მისგან ჰერბერტის საყვედური...

მეორე დღეს იოჰანეს კორინხენს გავისტუმრე. ცუდი სიზმრები მაქვს. პარიზიდან ჯენეტი იწერება, მისი ოჯახური საქმეები მთლად არეულა, განსვენებულს დიდძალი ვალები დარჩენია. ფარვიზი გამოკეთდა, მაგრამ მე რაც ჩამოვედი, ზეზე არ ავმდგარვარო.

ისევ უძინარი ღამეები დამიჩემდა... გერმანიაში ყველაფერზე საშინელია ეს საათები. საათები მოედნებზე, საათები ქუჩებზე, საათები ეკლესიების კოშკებზე, საათები ბინების კედლებზე. მთელი ღამეები რეკავენ ეს საათები და მე ვხედავ, ყოველ წუთში სულ სხვა ვარ ყოველ წამში ვუახლოვდები პირველსა და უკანასკნელ დაბადებას და სიკვდილს.

ღამე ნამთვრალევი დავბრუნდი შინ. ჩემს საწერ მაგიდაზე დეპეშა დამხვდა: „ხვალ დილით ბერლინში ვიქნები. ინგებორ". თუმცა არ ვიცოდი, როგორ უნდა გამომეცნო იმდენ ხალხში. სურათით ვიცნო ეგებ, ვიფიქრე და შტეტინის სადგურზე წავედი. დამაგვიანდა. მატარებელი მოსულა. ბევრი ვათვალიერე. ვერავინ ვნახე. პირველი კლასსის ბუფეტში ვზივარ, ვსაუზმობ, ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებ. ჟურნალ „შტურმში" ასეთი სურათია: კარლ ლიბკნეხტი უშველებელ ძელის ჯვარზე გაუკრავთ, მის გარშემო ფოლადის მუზარადიანი რაიხსვერის ჯარისკაცები. მათაც ისეთივე გრძელტარიანი შუბები უკავიათ, როგორც რომაელ მხედრებს. „1919 წლის გოლგოთა", აწერია ქვეშ. მე გაზეთების ქრონიკას ვკითხულობ. გაფიცვები, დატუსაღება. ცარცვა. ვიღაცას ცოლი დაუხრჩვია ეჭვიანობით. ვიღაცა მეშვიდე სართულიდან გადმომხტარა, ვიღაცას დერბი მოუგია. შვეციაში იშვიათ რეკორდებისათვის მიუღწევია ერთ მორბედ ქალს. ერთი კაცი მაიმუნს დაუკბენია.

მაღალი, შავ ვუალიანი ქალი თავს წამომადგა. მიღიმის:

„ჰერ სავარსამიძე?"

ავდექი. ხელზე ვეამბორე:

„როგორ მომძებნეთ, ქალბატონო ინგებორ, აკი მე თქვენ არ მიცნობთ?" (ვერცხლივით წკრიალა ხმა აქვს, მომჯადოებელი თეთრი კბილები!).

„მე ასე ვიანგარიშე, თქვენ გრანსენიორი ხართ, ალბათ დაიგვიანებდით, ჩვენ ქალები ინსტინქტებით ვცხოვრობთ.

არა?“ პაუზა. „გარდა ამისა, თქვენი სახის ყოველი დეტალი ათასჯერ აუწერია ჩემთვის თქვენს მეგობარს; შარშან ზამთარს, ნორვეგიაში მთელი ღამეები თქვენზე მიამბობდა“.

საოცარია, როცა ადამიანს კიდევაც იცნობ და არც იცნობ...

ინგებორი ჩემს გვერდით დაჯდა. ხელჩემოდანი გახსნა. ტუალეტი გაისწორა. მეც არ მეუცხოვა იგი, ასე მგონია, ეს ქალი სრულიადაც არ არის ჩემთვის უცხო და შორეული, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩვენ დაუსრულებელ სივრცეში მოვისწრაფოდით ერთი-მეორისაკენ და აქ, ამ საშინელ, ცივ, ნისლიან, ბენზინისა და მაზუტის სუნით აშმორებულ შტეტინის სადგურზე შევიყარენით. და ეს უთუოდ ასეც უნდა მომხდარიყო.

ვუალი მოიხსნა, ოდეკოლონით სახე გაიწმინდა. ჩრდილოეთის ქალის საოცარმა სითეთრემ შემომანათა. ილეკროსფერითმა, ნუშის ყვავილივით თეთრი ხორცი ელავს შავი აბრეშუმის ფონზე.

საძაგელი, ბერლინური წვიმიანი დღეა.

მთელი ცენტრალური ბერლინი შემოვიარეთ, ყველა ჰოტელები სავსეა. ჰოტელების მეკარეების ბაგეზე მე ვამჩნევ ცინიკურ ღიმილს (და არ შეიძლება არ გაგეღიმოს, როცა ხედავ წვიმიან, დღეში კარდაკარ მოწოწიალე ახალგაზრდა ქალვაჟს, სამგზავრო ჩემოდნით ხელში). ერთი გავიფიქრე, დროებით ჩვენს პანსიონში დამებინავებინა ინგებორ, მაგრამ ვიცოდი, იოჰანეს ამას სხვანაირად გაიგებდა, ამიტომ მოვერიდე. იოჰანესის ბინის გასაღებიც მე მქონდა, მაგრამ ინგებორი ამბობდა: მარტოკა რა გამაძლებინებსო.

გარეთ სწვიმს, ხანდახან თოვლ-ჭყაპიანი და ამაზრზენი ჩრდილოს ქარი ქრის. როგორც იყო, ჰოტელ ჰოჰენცოლლერში ერთი პატარა ოთახი ვუშოვნე. ამ ოტელში ოდესღაც კარგი ტონის ხალხი სცხოვრობდა. ახლა ნიდერლანდიის და სკანდინავიის ლიპიანი მეკონსერვეები, მეთევზეები და მათი ბერლინელი ქერა ხასები დაღოღავენ კიბეებზე... არც-ერთი სახლი ამ ქვეყანაზე ისე არ აღელვებს ახალგაზრდა კაცის ფანტაზიას, როგორც დიდი ქალაქის პატარა ჰოტელი ღამღამობით.

მერმე, ბერლინური ჰოტელი!

მე 11 საათამდის დავრჩი ინგებორთან. მან შირმის უკან ტუალეტი გამოიცვალა. შიფერის ფერი პენუარი ჩაიცვა, ხელის გაქანებაზე იხსნება პენუარის ისედაც განიერი დეკოლტე და დამაბრმავებელ სიშიშვლეს აჩენს. მსახურმა ვახშმის სერვიზი გაალაგა. მე ზანტად მიმაქვს ბორდოს ჭიქა ტუჩთან. საშინელ დაქანცულობასა ვგრძნობ, ღვინით და ვნებით გაღეწთილია ჩემი სხეული, მინდა ავდგე, საჩქაროდ გავეცალო ამ ქაჯისებურ სითეთრეს. მე არ შემიძლია ხანგრძლივად ვუყურო მისი თეთრი მკლავების, გრძელი თითების ნერვიულ მოძრაობას, მე არ შემიძლია გულდამშვიდებით ვუსმინო მის ვეცხლივით წკრიალა ხმას და ვგრძნობ, რომ საოცრად მაღელვებს ამ ქალის ხმა, ზეცის რეკვასავით რომ მოდის ჩემთან და დაღალულ სმენას ეალერსება (ნეტავ დედაკაცზე საოცარი თუ რამეა ამ წუთისოფლად?). ავდექი, ხელზე ვაკოცე ინგებორს. გაოცებულმა ამომხედა. რბილ სავარძელში ღრმად ჩამჯდარმა ეშმამ და მის ზღვისფერ თვალებში მომელანდა საშინელი მარტოობის ელდა.

„მე ცოტა საქმე მაქვს, თურქესტანის ბამბის კულტურაზე უნდა ვწერო, ფრეკენ".

„რა სასაცილოა... რა კავშირია თქვენსა და ბამბის კულტურას შორის? განა ჩემთან ყოფნა არ გირჩევნიათ ბამბაზე წერას?"

„ო, როგორ არა, ფრეკენ, მით უფრო, რომ თქვენ თურქესტანის ბამბაზე უფრო თეთრი ბრძანდებით".

„დარჩით ცოტა, ნუ თუ ასე მალე მოგწყინდით?.. განაგრძობს ინგებორი. სამი წელი თქვენზე მელაპარაკებოდა იოჰანეს. თქვენ თურმე ის ბედნიერი პრინცი ხართ, ყველას რომ უყვარს, გარდა ამისა, მე მოველოდი, თქვენს პანსიონში მომაწყობდით. მე რა გამაძლებინებს ამ საშინელ „ღამის ფრინველების" ჰოტელში. კარამდის მისული ვიყავი, ადგა, ხელი მომკიდა, დამაბრუნა.

„სამწუხაროდ ჩვენს პანსიონში ოთახი არ აღმოჩნდა, ფრეკენ ინგებორ. თქვენ ახლა უნდა მოისვენოთ და დილით ადრე გამოგივლით, 8 საათზე გადის კორინხენის მატარებელი".

„მე საყიდლები მაქვს, 3 დღე ბერლინში უნდა დავრჩე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ძლიერ მაკვირვებს, თქვენ მამაკაცებიც, ქალებსავით ატყუით, როცა დაგჭირდებათ“.

„მე არ ვატყუი ფრეკენ“.

„არა მგონია, არც ის, რომ თქვენ ამაღამ დაგეძინოთ“.

„რატომ ბრძანებთ ამას?“

„მე გატყობთ, თქვენც დაფიქრდით“.

გავჩუმდი. ჩემს სინდისს შევეკითხე. მართლაც ამ საოცარი ქალის მნახველი მთელი ღამე ვერ დავიძინებდი, მაგრამ ცხოვრებას თურმე სიცრუე სჭირდება და ამიტომაც ვიცრუე ზედმეტჯერ.

„მე თქვენ უფრო დიდი რაინდი და უფრო ბუნებრივი ადამიანი მეგონეთ, თქვენც დაუგეშავხართ ევროპელებს ტყუილში“.

„რას ნიშნავს ბუნებრივი, ფრეკენ?“ ვეკითხები. ღვინის ჭიქა პირთან მიმაქვს.

„ბუნებრივი ის არის, რაც ჩვენ გვსურს, სხვა ყველაფერი — სიცრუე და პირფერობა. გარდა ამისა, თქვენ ოდნავ სასაცილო ხართ ვერტერის როლში“.

„რატომ ბრძანებთ ამას, ფრეკენ ინგებორ?“

„მე ასე მომიხაროდა შორიდან თქვენსკენ. თქვენც მშიშარა ყოფილხართ თურმე. მე მშიშარა მამაკაცი მძულს“.

პირველ ცოდვასავით ტკბილი იყო მისი ტუჩები. მისმა ნუშის ყვავილივით თეთრმა სხეულმა არია ჩემი გონება, მანვე ჩაბილწა ჩემში ერთად-ერთი სიქველე, ძველი ქართული რაინდობის უპირველეს ნიშან-წყლად რომ მქონდა მიჩნეული. ამ მრუშ-ჰოტელში, ამ საოცარი თეთრი ქალის ორგიებმა მე დამარწმუნეს, რომ ამ ქვეყნად არ არსებულა ისეთი კანონი, რომლის დარღვევაც დედაკაცს არ შესძლებოდეს.

კორინხენ პატარა, მეთევზეების სოფელია, ბერლინიდან 30 კილომეტრის მანძილზე. აქაა საუცხოვო შუშის მხატვრობიანი ტაძრის ნანგრევი. გლეხებისა და მეთევზეების მოსახლეობა. ირგვლივ სოფლური მყუდროებაა და სილამაზე. სამი წლის განმავლობაში აქ ვატარებდით ზაფხულს მე და ჩემი მე-

გობრები. იოჰანესს პატარა ქოხი აქვს შუა ნაძვნარში. რამდენი ზაფხული გაგვიტარებია აქ ჰერბერტს, იოჰანესს, ნუნუს, მე და ორივე ამერიკულ თუთიყუშს. ახლა თოვლით დაზამბულია ნაძვნარი, ჩვენ იოჰანესის ქოხში ვერ გავძელით და გლეხისას გადავსახლდით. დიდ ქალაქში ვინ ნახავს ასე მწუხარე ზამთრის საღამოებს, დიდ ქალაქში ვინ ნახავს ამ ლილისფერ შემოღამებას, მოლიბრო, დალეღმილ თოვლს, ამ უდაბური თეთრი ტყეების მყუდროებას და მარტოობას!.. ჩამოსანთლული, თოვლის ჭირხლით დახუნძლული მაღალი ნაძვნარი: არსად ჭაჭანებს გულწითელა, არც ბეღურები; მომკვდარან მაღალი ნაძვისა და ფიჭვის ხეები, ვეცხლის ფერად შელესილი თეთრი ტყეები სდგანან უძრავად, როგორც უშველებელ ლილისფერ კარტონებზე დახატული აქვარელის ტყეები. ეზოშვაშლის ხეები სწყდებიან წელში თეთრი ყარყუმის მოსასხამით დამძიმებული. მერძევეების ცხენების ზანზალაკების ჟღარუნი თუ დაარღვევს ამ პატარა სოფლის მყუდროებას. მახლობელ ცადაწვდილ ეკლესიის სამრეკლოზე რომ არ რეკავდეს ის უშველებელი, საზიზღარი საათი, ადამიანი ვერ გაიგებდა, თუ როგორ მიცოცავს დრო. ჩვენს ბინაზე გამხმარი მხალის და კარტოფილის სუნი სდგას. ქაშანის ბუხართან დამუნჯებული, ნერვებაშლილი მეგობარი ზის. ქერა წარბებიდან შემომცქერიან ქორისებური მრისხანე თვალები. მის გვერდით შავ აბრეშუმში გამოწყობილი თეთრი ქალი ზის. როცა პატარა, ბებერი დიასახლისი, ყვითელ გავალაკიან ლამფას აანთებს, მაშინ მე დაბალ ფანჯრიდან ვხედავ: გარეული იხვები მიფრინავენ ჭაობებისკენ. მადლობა ღმერთს, აქ ელექტრონი აღარ ანათებს, არავის შეუძლია ჩემ ამღვრეულ თვალებში ჩახედვა. პატარა ლამფა ყვითელ სინათლეს აფრქვევს ოთახში, ფურცელგახუნებულ დედის ნაჩუქარ ფსალმუნს ვკითხულობ. ეგება მით დავაშოშმინო ჩემი ბობოქარი სული. და მესმის, სამზარეულოში იადონები წრიპინებენ, ონკანიდან წყალი წვეთავს. მადლობა უფალს, აქ ვერ მოსწვდება ბერლინის მიწისქვეშა მატარებლის გრიალი და რუხრუხი სახლების ქვეშ, სახლების ზევით, არც დინამო-მანქანების ქუსქუსი, არც გათენებისას ქარხნების სირენების წივილი და ბღავილი. შორს არიან აქედან ბერლინის მოედნების, სადგურების, ეკლესია-

ბის, ქუჩების და ბინების უშველებელი საათებიც. ხანდახან, მახლობელ ხიდზე გადაირბენს ბერლინს მიმავალი ღამის მატარებელი.

ისევ მყუდროება და თეთრი ტყეების მკვდრული სიჩუმე. მახლობელ ტყიდან რომელიღაც შემოღამებული ფრინველის ყრანტალი მოისმის. მაშინ მე ვფიქრობ, რომ ეს სიკვდილის ძახილია ამ თეთრ ტყეებში. და ჩვენ სამივეს გვესმის ეს ძახილი. ჩვენ გვავიწყდება, რომ ჩვენ სისხლი გვაქვს, რომ ჩვენ ოდესმე მზეზე დავმწვარვართ, უტყვი თვალებით შევსცქერით ერთმანეთს, რომ ვნახოთ, რომელს ატყვია მოულოდნელი სიკვდილის დაღი.

მე მავიწყდება მაშინ ჩემი ცოდვილი სხეული, მე მავიწყდება მაშინ ჩემი უქმური ვნება. ვფიქრობ, თუ რა წამოსცდა ეს ღამის ფრინველს? ვინ დაუშანავს ჩვენს სამში სიკვდილს? ვფიქრობ: რა სწერია დედის ნაჩუქარ ფსალმუნში, ან რა ვთქვა, როცა გველის მართვესავით წრიალებს სული?

შუაღამე გადატყდება. მე ჩემს პატარა ოთახში მივდივარ. მაღალ, გერმანულ რბილ ბუმბულში ვწვები და ასე მგონია, ჩემი სხეული დადნა, როგორც ლითონი გერმეტიულად დახურულ ქვაბში. ღუმელში გამხმარი ნაძვის წიწვები და ბრიკეტები ტკიცინებენ, ენთებიან, ისევ ჰქრებიან. სამზარეულოში იადონები ჭყიპინებენ, ონკანიდან მოჟონავს ზანტი წყლის წვეთი. სხეულზე ხელს ისე ვისვამ, როგორც მაშინ, როცა ბავშვი ვიყავი. ვფიქრობ, იმ თეთრი ქალის ნუშის ყვავილივით თეთრ ტანზე, ჩემი მეგობრის მოლუშულ წარბებზე, მრისხანედ რომ მიბღვერიან, როგორც თოვლიან ფიორდის ხახა... ვსთვლემ ნებივრად მაღალ ბუმბულში, და ჩემი სული გაეპარა თითქოს ჩემს სხეულს. მივყვები სიზმარს იმ ქვეყნისაკენ, სადაც შუა ზამთარში ნარინჯები ჰყვავიან მზვარეში, სად არც თოვლია, აღარც თეთრი, ვეცხლის ტყეები, ცაზე ვარსკვლავებს ჯავრისაგან არ ეძინებათ, სადღაც სოფელში ქალი ზის მარტოკა ქართული ოდის რიკულებიან აივანზე; ვინ იცის, ეგებ დაღვრემილი მელოდეს, თუ როდის მივალ და ვეტყვი: „მიყვარხარ, თინა“.

ველარ გავძელი კორინხენში. ბერლინში მოსვლის უმალ საშინელი მელანქოლიური საღამოები! პარიზიდან ისევ ცუდი

ამბები მოდის... ჯენეტი მთხოვს, პარიზს ჩავიდე და იქიდან ერთად დავბრუნდეთ საქართველოში. სამსახური მოვიმიზეზე. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უკანასკნელად ვიყო ბერლინში. და დიდი, დიდი გადატეხა უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, ისეთი რამ, რაც საბოლოოდ გამაახლებს, ან ამ წამებას ბოლოს მოუღებს. რამოდენჯერმე ანრიეტამ დამირეკა, მთხოვა შემეარნა. ამ ქალების კაპრიზებმა სული ამომხადა! (დიდის სიამოვნებით ველი იმ დროს, როცა ქალი დაჰკარგავს ჩემს თვალში მიმზიდველობას). ერთ საღამოს ინგებორი მოვიდა ჩემს პანსიონში. მისმა ნახვამ გამაოცა.

„როგორაა იოჰანეს?“ ვეკითხები.

„ახ, მომწყინდა მისი ჰიპოხონდრია, ველარ გავძელი გამოყრუებულ სოფელში, ბერლინში ჩამოვიყვანე“, ამბობს ინგებორ და დაჟინებით მთხოვს ამ საღამოს ბალზე წავყვე მარმარილოს დარბაზში.

ინგებორ თამარ-დედოფალივით ბრწყინავდა მარმარილოს დარბაზში. ფერადი მარგალიტებით მოქარგული შავი ველდურის ხონის კაბა ეცვა თეთრი ტუნიკა à la Baby შეკრეჭილი თმა. ქალები და კაცები მოურიდებლად შეჩერდებოდნენ, უყურებდნენ. მთელი საღამო ცალკე ეჭვი მახრჩობდა, ცალკე სინანულის ქენჯნა. ავადმყოფი მეგობარი კარჩაკეტილ ბინაზე მიგულება, მე აქ მის საყვარელთან ვცეკვავ. როგორც იქნა, დავიყოლიე, გათავებამდე წამოვედით. გზაში გამომიტყდა, რომ მას არ შეეძლო იოჰანესთან დაბრუნება.

„ამაღამ ჰოტელში უნდა გადავიდე“, მეუბნება. ვილჰელმის მოედანთან რომ მოვედით, მე ცილი დავწამე ინგებორს, ვახშმობის დროს ვიღაც ულანების ოფიცერს უღიმოდი მეთქი. თავის მართლებაც არ ვაცალე, გამოუმშვიდობებლად გავეცალე. ქუჩის კუთხესთან ავტომობილი ავიყვანე. იოჰანესის ბინაზე წავედი... ქვედა კარი დაკეტილი იყო. სრულ ორ საათზე მეკლიტეებმა ჩამოიარეს. შიგნით შევედი. ბევრი ვარახუნე დერეფნის კარები, მაგრამ ხმა არავინ გამცა. დაბნელებულ ბინიდან ნუნუს ყეფა მოისმოდა. გათენებამდის მახლობელ რესტორანში ვიცადე. დილის შვიდ საათზე ისევ მივბრუნდი. ვრეკავ, ვარახუნებ, ვეძახი იოჰანეს, მოსამსახურეს, ჩქამი არ ისმის. უკანიდან მოვუარე ბინას, კარები შევამტვრიე. სასადი-

ლო ოთახში ბროლის ლუსტრა იატაკზე ეგდო. ლუსტრის ნაცვლად თოკით ეკიდა, ლუსტრის კავზე იოჰანეს ნოაშტეტ თოკი გავსჭერი, საშინლად დასივებული ცხედარი ძირს ჩამოვიღე. დავვარდი მის ფერხთით. ვსტირი ხმამაღლა, ვკოცნი მეგობრის ფეხსაცმელების ლანჩას. ვევედრები მაპატიოს მე უბედურს და უნამუსოს. მტვერით ამევსო პირი და უშვერი სიტყვებით ვგმე სიკვდილისა და სიცოცხლის უწყალო ღმერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მეათე

## 39. კეკელა უნტერ დენ ლინდენზე

მომისწრო ისევ გაზაფხულმა სხვის ქვეყანაში. დავნაღვლიანდი, განვიძარცვე სიხარულისაგან. ყველგან საგნები მაგონებენ ჩემგან შორეულს. ჩემს ბინაზე, იმავე ადგილას დგანან თეთრი ყვავილების წერწეტა ლარნაკები. მე ხელი არ მიხლია იმ ყვავილებისათვის. დამჭკნარი, სუნმილეული ყვავილები! მისი ხელის შენავლები მეგულებოდა. აღარც ჩემს წიგნებს ვეკარები კარადის თაროებზე, მან რომ დამილაგა წასვლის წინადღეს. მისი საათი ჩემს საწერ მაგიდაზე სძევს. 12, 13 წუთზე გაჩერებულა, — სწორედ ამ დროს გადიოდა ექსპრესსი პარიზისაკენ. ტანსაცმელის კარადაში მისი ტანისამოსი ჰკიდია, მიხაკის ფერი Tea gown-ი იმ ღამეს რომ ეცვა, მადამ ფან სტაუნის საღამოზე. მისივე იისფერი კოსტიუმი, ვერნისაჟისთვის რომ შეიკერა. ჩემს გარშემო ყველას და ყველაფერს მისი კოხტა ხელის ბეჭედი ატყვია. ჯერაც არ დაუკარგავთ ამ საგნებს მისი შვენიერი ტანის ნელსურნელება. ახ, როგორ მომენატრა მისი ნაზი ტანის სირბილე, მისი მშვიდი, შაქარბაგიანი საუბარი. არასოდეს მსმენია საყვედური მისი პირიდან, არც მწარე სიტყვა გამიგონია. პარიზიდან მოსულ წერილებს მთელი კვირაობით ვატარებ ჯიბეში. ვატარებ, ვიდრე მთლად არ დაიცრიცებიან, მე მათ ძველი წერილების უჯრაში არ შევინახავ.

ჩემს გულში თითქო შანთებით ამოუწვავთ ის მწარე სიტყვები, უმართებულო ეჭვები, ოდესმე რომ მიკადრებია. მე არ მეგონა თუ ამდენი ვარამი დამრჩებოდა გულში, მე არ მეგონა, ასე გვიან თუ ვინანებდი მის განშორებას!.. შინ ველარ ვდგები... მისი ნივთები... შემძულდა ყველა ჩემი საყვარელი ადგილები ბერლინში და პოტსდამში, რადგან ყველა-

ფერი ვაჩვენე მას, რაც კი რამ თვალსაჩინო და შვენიერი მეგულებოდა: ყვავილების ბალნარი ტირგარტენში, უნტერ დენ ლინდენის ჭაბუკი ცაცხვები, პოტსდამი, სანსუსი, იარაღების მუზეუმი, ფრიდენაუ, კორინხენ და ჰალლენზეე, ის ადგილები, სად მარტოობის და სიჭაბუკის ტკბილი წუთები მიტარებია.

იმ დღეს ფრიდრიჰის მუზეუმში წავედი. მიქელ ანჯელოს გოლეულის მჭამელი იოანე მოვსძებნე ხუთმეტი წლის ვაჟის სიმაღლე მარმარილოს ქანდაკება. უწვერულვაშო, ტანშიშველი ჭაბუკი იოანე ნათლისმცემელი მუზეუმის კუთხეში სდგას განმარტოებით. მას სავსებით ბავშვური გამომეტყველება აქვს. გოლეულის ნაჭერი მოსაკმეჩად მიაქვს პირისაკენ. ეს იოანე ნათლისმცემელი ძლიერ წააგავს ლუვრის, კაპიტოლის, ვილლა ალბანის, ვილლა ბორგეზეს ჭაბუკ დიონისოს. ჯენეტს ძლიერ უყვარდა ამ ქანდაკების მზერა. მე დიდხანს, დიდხანს ვიდექი მიქელ ანჯელოს იოანეს წინაშე; ვფიქრობდი დიონისოს კოლლექციებზე. მართლაც-და, მიქელ ანჯელოს იოანესაც ძლიერ ნაზი, ოდნავ ქალური გამომეტყველება აქვს. რძისფერ მარმარილოზე სათუთად მოხატულია ლონთქოში მკერდი და რგვალი, ქალური მხრების თავები. ოდნავ ქალური ძუძუები, მთვარეულის გამოხედვა. კაპიტოლის ვენერის ღიმილით შესცქერის იგი მარჯვენა ხელში აღებულ გოლეულის ნაჭერს.

წასვლისას ორ-სამჯერ შემოვბრუნდი, შევხედე, შორი ახლო გავჩერდი, კიდევ შევხედე, და გავეცალე. არც ერთი სურათისათვის, არცერთი ქანდაკებისათვის არ შემიხედავს, ისე გავედი ქუჩაში. უმიზნოდ მივყიალობ, მივჰყვები ძველ, ბერლინურ ქუჩებს. პაპიროსების, ასანთების, ვალდუტების გამყიდველების ბრბოები, საიდუმლო პოლიციის კლიენტები, პატარა რომანტიული ავანტიურის მაძიებელი დიდი ქალაქის ქალები, სურსათით დატვირთულ ხელურმებში გაბმული მურა ძაღლები, ენაგამოყოფილი, აქშინებული მიაგორებენ თავიანთ მძიმე ტვირთს.

ქაქანით, ლანძღვით, ბერლინური გინებით მათ უკან მიჰყვებიან ბერლინელი შუაბაზრის დედაკაცები, წითური დედაკაცები ხილითა და მწვანილით სავსე ხელურმებს დააგორებენ. ქუჩის მგველები, უძინარი ღამის ყარაულები. ავტომატიურ

რესტორანებთან რომ უცდიან თითო ჭიქა ლუდის დალევას (ისინი საშინელ, ურცხვ სიტყვებს ისვრიან უცხოელების გასაგონად), მე მუდამ სიამოვნებით ვისმენ მათ ქუჩურ ოხუნჯობას. საოცარი ენა აქვს ამ ხალხს, „გ"-ს მაგივრად „ჲე"-ს იტყვიან, „ხ"-ს მაგივრად — „ქ"-ს, ყოველივე სიტყვას ისე სწრაფად გამოთქვამენ, თითქოს ცხელი კარტოფილი ჰქონდეთ პირში.

ღია კაფეების აივანზე თითო ჭიქა შუშხუნას უსხედან დაყვინთავენ ლამენათევი იაფი კახპები და ქალებით მოვაჭრენი, პირგაპარსული, ექსცენტრიული ჰერმოფროდიტები და პასიური ჰომოსექსუალისტები. იისფერი კაშნეები ჰკიდიათ გაპუდრულ კისერზე, პიჯაკის ჯიბიდან იისფერი ცხვირსახოცები მოუჩანთ, იისფერი საყელოები აქვთ და წინდები. მათს ნათრევ სახეს რაღაც ქალური იერი გადაჰკრავს. ამთქნარებენ, თვალებს იფშვნეტენ და მოელიან თავიანთ მოხუცებულ მიჯნურებს. მივჩერებიალებ უმიზნოდ, არ ვიცი, საით, ასე მგონია თითქოს უკანასკნელად ვათვალიერებდე ამ ბაბილონის გოდოლს. ეს მოწყენილი, ნერვებაშლილი, ლამენათევი სახეები, ქერა, მაღალი, ჩრდილოეთური წარბები, ახმახი, მხარბეჭიანი მამაკაცები, მტვირთავები, მებერკეტენი, ზეინკლები, დურგლები, მებურღლეები, მათი შეუპოვარი გამომეტყველება. შორიდან ვიცნობ ამ მკლავმაგარ შრომის რაინდებს. ესეც მოედანზე კარუსელები და სკეტინგრინგი, ძველი ნაცნობი რეკლამისტები! ისინი თავიანთ პარიზელ ამხანაგებს სულაც არ გვანან. ბერლინელი რეკლამისტი მთავარ დიაკონისებური ბოხი ხმით ღიღინებს. აღარც ფრანგული ენამჭევრობა, აღარც ფრანგული ტემპერამენტი, მაგრამ ბერლინელი რეკლამისტი უფრო ენამოსწრებულია. ეს ოხუნჯობაც ვერ უკარგავს მას დარბაისლურ გამომეტყველებას.

სამხრობას გადასცდა. მეთევზეების უბანში მივაღწიე. თევზისა და დამპალი კომბოსტოს სუნი სდგას. მაღალი, მკაცრი სახის დედაკაცები თევზებით დატვირთულ დაზგებს უდგანან. უშველებელი ფულის გვადრუცები ჰკიდიათ მხარზე. მალიმალ აღებენ საფულეებს, მოხარშულ კიბოსავით წითელ ხელებს ურევენ ფულში. ერთი მეთევზე, მართლაც, ტაბაკონის ჰინკას მომაგონებს. ჩაცვენილი თვალები, მაღალი ღაწვები, ჩხირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით გამხმარი, წითელი თითები ბებერმა დედაკაცმა თვალი მკიდა:

„Na Menkken Aale verkouf dir's billeger?"

„Wot?" ვეუბნები მეც ბერლინურად. შემატყო, არ ვიყავი თევზის მუშტარი. ერთი ბერლინურად შემომიკურთხა. ისევ დროშკები, ავტომობილები, ომნიბუსები, მაღალქანდარიანი, ორსართულიანი ტრამვაები, უშქარი ბრბო მოგანგაშებს ლაიპციგის ქუჩაზე.

დავილალე ამ უთვალავი სახეების მზერით, დავიქანცე ამ საშინელ კორიანტელში ხეტიალით, ასე მგონია ყელამდის ჩავიფალი ამ საზიზღარ კინემატოგრაფების, სავაჭროების, თეატრების, ქარხნების პლაკატებსა და ვიტრინების ორომტრიალში. ქუჩის ნიაღვარს მოაქვს ჩემსკენ უთვალავი საგნები და სახეები. მინდა გავეცალო ამ ალიაქოთს და აურზაურს. პოტსდამის მოედანზე, საძაგელი, მიცვალებულის ღიადარჩენილ თვალივით თეთრი და გამოშტერებული საათია. ჩემ თვალწინ თითქოს სული ჩაიდგაო ისე გადაჩოჩდა ხაზიდან-ხაზზე გრძელი, შავი ისარი.

„ხუთის ნახევარი!" ვამბობ ჩემთვის.

პანსიონში ანრიეტეს წერილი დამხვდა; ქალბატონი ფონ შაჲ მთხოვდა ხუთ საათზე ჩაიზე ვწვევოდი. სიკვდილივით მეზარებოდა ქუჩაში გასვლა, მაგრამ არ შეიძლებოდა არ წავსულიყავ; ეს შეეძლოთ სხვანაირად აეხსნათ. ფონ შაჲსას რომ მივედი, უკვე ექვსის ნახევარი იყო. სტუმრები ჩაის სალონში ისხდნენ.

ტრიო უკრავდა: მოხუცი ფონ შაჲ, მისი ქალი და ერთი ახალგაზრდაც ვიოლონჩელზე. ხნიერი ზღვისფერთვალება დიასახლისი, ანნა-მარია ფონ შაჲ, ძლიერ თავაზიანად მომესალმა:

„ბერლინში ერთმა ქართველმა ამბავი ჩამოიტანა შარშან. თითქოს თქვენ კავკასიის ფრონტზე მოეკალით რუსებს. მერმეის იყო, სტამბოლიდან თქვენი ღია ბარათი მივიღეთ. წრეულს ფროლაჲნ ფრიდამ გადმოგვცა — ინდოეთს წავიდაო ჩვენ გვეგონა, ახლა რომელიმე ბრაჰმინის მოწაფე იყავით, ან ანტილოპებზე ნადირობდით. მადლობა უფალს, რომ კარგად ბრძანდებით". მეუბნება მადამ ფონ შაჲ. ანტრაქტის დროს

მოხუცი დოქტორ ფონ შაჲ მომიახლოვდა, ორივე ხელით ჩამომართვა ხელი. მისი კეთილი, გერმანული სახე სიხარულისგან ბრწყინავდა.

„საცოდავი ჭაბუკი, რამდენი წამება გადაგხდათ ამ ომიანობის დროს!“ ამბობს მოხუცი.

„ოდისევი ხართ, ნამდვილი ოდისევი“. დიასახლისმა სტუმრებთან მიმიყვანა, სათითაოდ გამაცნო: კაპიტან ჲეგერ, გეჰაიმრატ შულცე; ოდნავ ელამი — პოეტი ვერნერი, ქერა, კაფანდარა ქალი — მადამ შრედერ, ავტომობილების ქარხნის დირექტორი — დოქტორ ფაჲნ, ახალგაზრდა გერმანისტი — დოქტორ ვინგუტ, ფრიდრიჰ დიდის ეპოქის ტიპიური სახისმეტყველი დამა — ბარონესსა ფონდენ ჰაჲდენ, თეთრთმიანი ახალგაზრდა, თეძოგანიერი, წელმოკლე, ლურჯთვალება ქალი (სანსუსის სასახლის პორცელანის მედალიონებზე მინახავს ამგვარი სახეები!). ბარონ ვილდგანს — ფრიად ამაყი თავშეკავებული მოხუცი (მთელი საღამო ინახავდა ღიმილს, თითქოს ღიმილის სექტის წევრიაო). ანრიეტემ რამოდენიმე სიტყვა მითხრა, ისევ გამშორდა და თავის საქმროს მიუჯდა. „სად არის ჰაჲნცი, მოწყალეო ქალბატონო“, ვეკითხები დიასახლისს, წინადადების დამთავრებაც ვერ მოვასწარი, 13 წლის ვაჟი მომვარდა, გერმანულად, ძლიერ დაბლა დამიკრა თავი, ხელი შორიდან გამომიწოდა.

„Grusgott Herr Savarsamidse“,* მითხრა და გაწითლდა. ჰაჲნცი წამოზრდილა, მე გულისტკივილით ვამჩნევ, რომ იგი პირწავარდნილი ანრიეტეა! წინად ეს მახარებდა, რომ ჰაჲნცი თავის დასა ჰგავდა...ახლა?...

ჰაჲნცი ჩემს გვერდით დაჯდა. ყველაზე უფრო ჰაჲნცს უხარია ჩემი მოსვლა.

„რა კარგია, ძია კონსტანტინ, რომ ისევ ცოცხალი ხართ“. ჰაჲნცი წითლდება. ნამდვილი გერმანელი!

ოტტო პირველსაც ალბად ასეთი ქერა წარბ-წამწამი, ზღვისფერი თვალები ჰქონდა!

„მართალია, ძია, რუსეთში აუარებელი დათვები დადიან ქალაქებში. და შაქარს იპარავენ?“ მეკითხება ჰაჲნცი.

* ღმერთი მოგესალმოსთ, ბ. ს—ძე

„ახლა სადღაა ჩემო ჰაინც, დათვების მოსაპარავი მაქარი. მაქარი ძლიერ ძვირია რუსეთში“.

„ჩვენ გავიგეთ, ძია კონსტანტინ, თქვენ მარშანწინ რუსებს ებრძოდით. არ გეშინოდათ, რომ დათვებს შეეჭამეთ, ან რუსებს მოეკალით? რატომ ებრძოდით რუსებს, ძია კონსტანტინ?“ მეკითხება ჰაინცი და სალოკი თითი ნიკაპთან მიაქვს

„რატომ და იცი, ჰაინც, ასი წლის წინად რუსებმა ჩვენი მეფე ჩამოაგდეს, თავიანთი მეფე დაგვისვეს, ჩვენ კიდევ გვინდოდა მათი მეფის ჯარები გაგვერეკა და მათი მეფეც ჩამოგვეგდო“.

„კი, მაგრამ, ძია კონსტანტინ, თქვენ დასვით მერმე თქვენი მეფე?“

„არა, ჩემო ჰაინც, ჩვენი მეფე მოკვდა. იგი დიდხანს ებრძოდა რუსებს და მერმე ოსმალეთში გადიხვეწა“.

„მაშ იქ ასაფლავია ახლა თქვენი მეფე, ძია კონსტანტინ?“ მეკითხება ჰაინც.

„ჰო, ჩემო ჰაინც, ქალაქ ტრაპიზონის პატარა ეკლესიაში ასაფლავია ჩვენი მეფე“.

ბავშვი დაფიქრდა.

„ახლა აღარც ჩვენა გვყავს მეფე“, ამბობს ჰაინცი ნაღვლიანად. მე კი ძლიერ მინდოდა ჩვენი მეფე მენახა...“ ჰაინცი ძლიერ გახარებულია, რომ მე არც დათვებს შევუჭამივარ და არც რუსებს მოვუკლავარ.

დაგვიანებით მოვიდნენ ანრიეტეს ამხანაგი ფრიდა ფონ ლეევენცოვ და ჰერბერტ შტუდერსი. ფრიდა ანრიეტეს ანტიპოდია. გულხმიერი, ნაზი, კეთილი, ტიპიური გერმანელი ქალი. ანრიეტეში მუდამ ვგრძნობდი ფრანგული სისხლის იოტს ოდნავ გესლიანი, ოდნავ ეშმაკი მადონა. მან კარგად იცის, როგორ დაიჭიროს მამაკაცი ხელში. უზომოდ ამაყია და გულჩახვეული. ფრიდა ოდნავ ტლანქია, მაგრამ განუსაზღვრელად სანტიმენტალი (როგორც ყოველი გერმანელი).

მე მუდამ ვარწმუნებდი ფრიდას: „ბედნიერი იქნება ის მამაკაცი, ვინც თქვენი ქმრობის ღირსი გახდება“-მეთქი. მიუხედავად ამისა, არაოდეს გავაშიყებივარ, რადგან ქალში საცოლეს მე ვერ ვაფასებ. მე ოდნავ მაფრთხობდა მისი მაღალი, თითქმის მამაკაცური ჭკვიანი შუბლი, მისი საოცარი ნაკითხობა

როცა ფრიდა ჩემს გვერდით დაჯდა, მე ვგრძნობ, ეს ქალი შეუცხოვება. ალბად იგი იმიტომაც მიყვარდა, რომ მისი პირიდან მესმოდა ჩემი სასურველის სახელი. ფრიდა იგონებს ჩვენი ადრე სიჭაბუკის ამბებს. კონცერტებსა და სპირიტისტულ სალამოებს, შვარცვალდში მგზავრობას. ფრიდა ძლიერ გულნატკენია, რომ მე და ანრიეტე „ერთმანეთს ავცდით“.

„მაგრამ თქვენი ბრალია“, მისაყვედურებს ფრიდა. „ანრიეტეს თქვენ ძლიერ უყვარდით, თქვენ იცით, ჩვენ, გერმანელი ქალები, ძლიერ ერთგულნი ვართ. მახსოვს, რა უნუგეშოდ მოსთქვამდა ანრიეტე როცა გავიგეთ თქვენი წასვლა კავკასიის ფრონტზე. შარშან ამბავი მოვიდა: რუსებმა მოჰკლესო. უსაზღვროდ დამწუხრდა, მამას დეპეში გააგზავნინა სტამბოლში ოპენჰაიმთან. მეუბნებოდა, თუ ის დაიღუპა, ქალბატონ ბრაუნსავით მონასტერში უნდა წავიდეო“.

„რას ამბობთ, ქალბატონო ფრიდა, ქ-ნი ბრაუნი მართლა მონაზვნად შედგა?“ ვეკითხები.

„გეფიცებით, ეს ნამდვილია. ხომ იცით დოქტორ ლუტერი უყვარდა ქ. ბრაუნს, ლუტერმა ვიღაც მდიდარი ებრაელი ქალი შეირთო. ამიტომაც“...

„ნუ თუ ჩვენს საუკუნეშიაც არ გამოლეულან რომანტიკოსები, ფროლაინ ფრიდა?“

„საუკუნე რა შუაშია, ჰერ სავარსამიძე! ხშირად ადამიანი ტოლებს ჩამორჩენილ წეროსა ჰგავს. ბრმა შემთხვევის წყალობით იბადება ამ საუკუნეში და სულით სულ სხვა საუკუნეს ეკუთვნის. ადამიანი ხომ ქარხნის საქონელი არ არის. განსაზღვრულ ყალიბს რომ არ გადასცდეს. უნდა გითხრათ, მე არასოდეს მიგვრძნია თავი ამ საუკუნის ადამიანად. ვწყევლი კიდევაც ჩემს გამჩენს, რატომ ფრიდრიხ დიდის დროს არ დავიბადე. ისე ჩაიარა ჩემმა ახალგაზრდობამ, მისი გაზაფხულიც არ შემიმჩნევია. ოთხი წელი სისხლის წვიმა. ორი ძმა ომში მომიკლეს. რევოლუციები... გაფიცვები... ჰამბურგში საქმრო მომიკლეს კომუნისტებმა. საუკუნეს რა საქმე აქვს ჩემთან! მე ისევე მიყვარს ჩვენი საუკუნე, როგორც ტუსაღს თავისი ბორკილი“.

ჩვენს გასწვრივ, ანრიეტე თავის დანიშნულს ებაასება. ანრიეტეს საუცხოვო მაროკანული კრეპის კაბა აცვია. ლალის-

ფერი რუმინული ოქრომკედითა და ვეცხლისფრად ნაქარგი არშიებით. ძლიერ კოკეტურად ნაბავს თვალებს. დაბალი ხმით ელაპარაკება თავის საქმროს. ბატონი ვიტმანი სერიოზულად უსმენს. ანრიეტე თავისი შეუდარებელი ღიმილით უღიმის (ვეცხლის ღიმილს ვეძახდი მე მაგის სიცილს!). ბატონი ვიტმანი გამხიარულდა, ანრიეტე ურცხვად ეკეკლუცება თავის მომავალ ქმარს, ალბად ჰპირდება თავის გამჭვირვალე თეთრ სხეულს, ლალისფერ ტუჩებს. ამ საღამოს ძლიერ ნათელი, ძლიერ მხიარული და ფხიზელი გამომეტყველება აქვს ანრიეტეს (და მე არ მიყვარს ისეთი ქალი, უტყვი კავშნის მკრთალი იერი რომ არ გადაჰკრავს. მე არ მიყვარს ძლიერ მხიარული, ძლიერ გამსჭვირვალე ფხიზელი სახე). სტუმრები პოლიტიკაზე ბაასობენ. დოქტორ ვინგუტი გაცხარებით ლაპარაკობს მომავალ შურისძიებაზე. ჰერბერტი ავიაციას, ომსა და გაზების განვითარებას უკავშირებს დიდი გერმანიის მომავალს.

„ფრანგებს არ შევარჩენთ ვერსალის ზავს". ამბობს დოქტორ ვინგუტი.

„წინაალმდეგ, ბატონებო უნდა მოვძებნოთ საერთო ენა ჩვენს ევროპელ მეზობლებთან, თუ ჩვენ პანევროპეიზმი არ ვიქადაგეთ და საერთო ევროპული კავშირი არ შევკარით, ევროპის ცივილიზაცია დაიღუპება". ამბობს დინჯად დოქტორ ფაჲნ.

„ვერც მონღოლური, ვერც ამერიკული საფრთხე ჩვენ ვერას დაგვაკლებს, თუ ჩვენ საფრანგეთი მიწასთან გავასწორეთ". ჰკირვეულობს ჰერბერტი.

„ეს დამარცხება ასი წლით უკან დასწევს გერმანიის კულტურას". შენიშნა კაპიტან ჲეგერმა.

„წინაალმდეგ. დამარცხება ამძაფრებს ერის კულტურულ ენერგიას. პოლიტიკურ დამარცხებას მუდამ დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერება მოჰყვება ხოლმე. მაგალითისთვის მე-18 საუკუნის გერმანიაა"... უპასუხა დოქტორ ფაჲნმა.

სამუსიკო ოთახში გავედი. ფრიდა ფონ ლევენცოვ ესპანურ მელოდიას უკრავდა:

„მე მის გულისთვის მოვიკვეცე ბავშვობის თმები.
მაგრამ კავშირი უნაზესი დარჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საიდუმლო შვიდბეჭდიანი,
მოსაგონარად მე დამრჩება ამ ქალის შახა,
მკვდრების მზესავით შემომცქერის სხივი. გვიანი
გაყრის წუთებმა ჩემი გული თან წარიტანა,
მე მის გულისთვის მოვიკვეცე ბავშვობის თმები.
არ მაქვს იმედი, საქაოს თუნდაც გზაგავლით,
კიდევ ერთმანეთს თუ შევხდებით ნათელ ღიმილით.
მე მის ურნაში ჩავიფერფლე მდუღარე ავლი,
ამევსო გული მწუხარებით და სიმძიმილით.
მე მის გულისთვის მოვიკვეცე ბავშვობის თმები.
თუ სიჭაბუკის ყვავილნარი მართლაც გადახმა,
თუ ამ სოფელში არ შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ
ალეანდრები დაგვხდებიან მეშვიდე ცაში;
ლოტოსის დარბაზს ავიშენებთ მზეებს გადაღმა.
მე მის გულისთვის მოვიკვეცე ბავშვობის თმები“

საღამოს ცხრა საათზე ისევ პოტსდამის მოედანზე ვიყავით მე და ჰერბერტი. ღვინის რესტორანი მოვძებნეთ. გათენებამდის ვსვით იმ დღეს ჰერბერტი რურში უნდა წასულიყო. მას გერმანიის მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა, ბრძოლა ეწარმოებინა დაპყრობილ პროვინციაში ფრანგებისაგან მოყიდულ სეპარატისტების წინააღმდეგ. დილით ნამთვრალევი მივდივარ უნტერ დენ ლინდენზე.

ახლად გაფურჩქვნილი ცაცხვები, სიხარულისა და სინათლის კანდლები უშველებელი მსოფლიო ქუჩის გაღმა-გამოღმა. ისინი აგონებენ წელიწადის დროებს, ამ უთვალავი პლაკატების, ავტომობილების, გრანიტის სარკოფაგებში ჩაფლულ ადამიანობას. რამდენი გაზაფხული უხარებია მათ, რამდენი საშემოდგომო სამძიმარი უთქვამთ ჩემთვის ადრე სიჭაბუკეში! ახლაც ისევე, როგორც სამი წლის წინად, სდგანან უნტერ დენ ლინდენის ცაცხვები, გაზაფხულის მწვანე ჩიჩილაკები მსოფლიო ქუჩაზე. უშქარი ბრბო მოგანგაშებს, მზის სხივზე ლაპლაპებენ გაკრიალებული ვიტრინები, ავტომობილები და ცაცხვის ფოთლები. შუა ქუჩაში მდგარ ცაცხვის შტოებიდან ლიმონისფერი პეპელა გამოფარფატდა და აირია ამ ავტომობილების საოცარ ქარავანში. თვალი გავაყოლე: ფარფატით,

ბარბაცით მოფრინავდა ოქროს პეპელა უნტერ დენ ლინდენზე, ნათელი სულივით გაირბინა მან ბენზინით აყროლებული მსოფლიო ქალაქის ქუჩა. ბავშვობის ტკბილი სიზმრები გამიღვიძა და მომაგონა რაღაც განსაზღვრულად საყვარელი და შორეული.

საით მოფრინდი ფრთამოხატული
ამ აფიშების უაზრო ომში?
შენ გიმღეროდა რომში კატული,
ახლა მე გიმღერ მეოთხე რომში.
მეორდება ჩემს გულში ადრე სიჭაბუკეში ნამღერი.

## 10. ქადაგება თევზებისადმი

იოჰანეს ნოიშტეტის დაღუპვამ და უკანასკნელმა ამბებმა ჩემი ჯანმრთელობა ძლიერ შეარყია. საშინელი მიზანტროპია დამეუფლა. განსაკუთრებით ჩვენს საერთო ნაცნობებს გავურბივარ, თვით ჰერბერტ შტუდერსსაც ვერიდები. აღარ დავდივარ არც ოჯახებში, არც კონცერტებზე, არც სპირიტისტულ საღამოებზე. ოპიუმის წევამ მალა გამიფუჭა, მთელი დღეები ვმარხულობ.

საღამოობით ტირგარტენში დავდივარ. შეღამებისას, ქალებისა და ვაჟების მთელი ლაშქარი შეეხიზნებიან ტირგარტენს, ეროსი დასეირნობს მაშინ წყვილებით სავსე სკამებს შორის. გავეცლები მთვარეულივით მოყიალე შეყვარებულებს. მივდივარ ტყის სიღრმეში და ნაშუაღამევამდის ვყვინთავ მარტოკა „ოქროს თევზების" ტბის პირად. ერთხელ სამსახურიდან დავბრუნდი, პანსიონში მინდოდა დამერეკა, საკუთარი ტელეფონის ნუმერი დამვიწყებია! აქამდის თუ ოციოდე ტელეფონის ნუმერი ზეპირად მახსოვდა ახლა ვატყობ, მეხსიერება საოცრად გამიფუჭდა, მუდამ მეკარგება მეტროპოლიტენის ბილეთი შემძულდა წიგნები. ყველასთან შევწყვიტე მიწერ-მოწერა თვით ჯენეტსა და ჰერბერტსაც ველარ ვწერ საპასუხო ბარათებს. ხანგრძლივი ლაპარაკის მოსმენა არ შემიძლია...

ერთ დღეს ტირგარტენში ახალგაზრდა გოგონა ვნახე. გულშემოყრილი სტიროდა ვარდების ბაღნარის სკამზე. გულქვა

უფროსს სამსახურიდან დაეთხოვნა. არც ნათესავი და მახლობელი ჰყოლია. ერიკა ერქვა ამ პატარა ქერა ჩიტუნას. ჩემს პანსიონში დავაბინავე. ჩემი პატარა შემოსავალი ორივეს გვყოფნიდა. მე შევურჩიე, ჩემი გემოვნების მიხედვით ერიკას ძლიერ სადა, მაგრამ ლამაზი ფერადი ტანისამოსები. პატარა ფერიას დაემსგავსა ერიკა (სქესის გარდა არავითარი ნიშანდობლივი თვისებები არ ჰქონდა). ძლიერ მშვიდი უწყინარი გოგონაა ერიკა. შპილჰაგენისა და ევერსის რომანებს კითხულობს. როგორც ყოველი დიდი ქალაქის ქალი, ისიც კინოს დედოფლობაზე ოცნებობს. ხანდახან მამშვიდებს ერიკას ბავშვური ტიტინი. ჰოლანდიელი მეთევზეს ქალი ყოფილა ერიკა. მამამისი ერთი იმ მატროსთაგანი ყოფილა, ინგლისისათვის გადასაცემი ფლოტი რომ ააფეთქეს შუაზღვაში და ნაციონალური ჰიმნების სიმღერით ზღვის ფსკერში რომ იპოვნეს სამარე...

ადამიანური ლექსიკონი ძლიერ ღარიბია. ძილსა და სიცხადეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს. ბნელსა და ნათელს შორის კიდევ არის რაღაც მესამე.

ახლა ვგრძნობ, ჩემი სხეული დაიშალა. დაირღვა. საგნებს ფერადები შემოახუნდათ, გარემოს განვიცდი, როგორც არეულსა და უსიამოვნო ხმაურს. წარსულს რომ ვიგონებ, ყველაფერი ისე ბნელია და შეუსაბამო, როგორც დამსხვრეულ სარკეში ნანახი ლანდი. ხანდახან მგონია: მე მოვკვდი კიდევაც და საოცარია, რომ ჩემინაადრევი სიკვდილის გამოცხადება არც შიშსა და არც სინანულს აღარ იწვევს ჩემში. დაიშრიტა სიხარული ჩემ სულში, აღარ ვლაპარაკობ, აღარ ვიცინი, არც რამე მაინტერესებს. ჩემს ბიბლიოთეკაში დარჩენილი წიგნები ჩვენს პანსიონში მცხოვრებ სტუდენტებს ვაჩუქე. ისინი სადილობის დროს ბევრს ლაყბობენ კანტზე, ნიცშეზე, თეოსოფიაზე, შპენგლერზე. ერთ-ორჯერ სცადეს გამოლაპარაკება. ბოდიშიც არ მომიხდია, ისე ავდექი და გავეცალე.

საღამოს დიასახლისი შემოვიდა. ჩემი ჯანმრთელობა მოიკითხა... ტკბილი საუბარი დამიწყო. მე ძლიერ მეშინია თავისებურად არ გააგრძელოს ბაასი. საათზე ვიხედები მალიმალ.

„იცით, ჰერ სავარსამიძე თქვენს ოთახში რომ მენცელის სურათია, თქვენ ხომ არ გინდათ, ნება მომეცით, გავიტანო“.

„ასე ჰქენით, ფრაუ ბოკმაიერ“, ვეუბნები.

„ახლა კიდევ ახალი მდგმური მყავს — დოქტორ ფინკი. თქვენ საწერი მაგიდა არა გჭირიათ, ამ დაბოლოს აღარა სწერთ. დოქტორ ფინკმა თავისი წიგნი უნდა დაათავოს და თუ ნებას მომცემთ, იმ მაგიდას გავიტან, თქვენ პატარა ლომბარდულ მაგიდას შემოგიტანთ“.

„უთუოდ, ფრაუ ბოკმაიერ, თუ დოქტორ ფინკი წიგნსა სწერს, ჩემი მაგიდა უთუოდ დასჭირდება, მე მაინც ველარაფერს დავწერ“...

მეორე დღეს მეკარე მეწვია.

„ეგებ ძველი ქუდი მაჩუქოთ, ბატონო სავარსამ... თქვენ მაინც უქუდოთ დადიხართ ამ დაბოლოს“.

მეკარეს რამოდენიმე ქუდი გამოვუტანე კარადიდან.

„აარჩიეთ, რუდოლფ“. ორ ქუდს ერთბაშად მოებღაუჭა მეკარე, აღარ იცოდა, რომელი აერჩია.

„ორივე წაიღეთ, ერთი თქვენს ვაჟს აჩუქეთ, რუდოლფ“.

„დიდი მადლობა, ჰერ სავარსამ... ჩემი კურტი მთლად გატყაული დაბრუნდა რუსეთის ტყვეობიდან. გზაში ყაზახ-რუსებს გაუქურდავთ, ნიფხავ-პერანგის მეტი არაფერი შეურჩენიათ მაგ კაცაპებს“.

მთელი პანსიონი ელოდა ჩემს სიკვდილს. იმ დღეს მოსამსახურე ქალმა მთხოვა ჯენეტის ქინძისთავების ბალიში.

„არა, ჩემო მართა, რაც გინდა მთხოვეთ, ამ ბალიშს ველარ გაჩუქებთ“. ვუთხარი. მართა გაწბილებული გავიდა, კარები მოარახუნა. სამაგიეროდ კიდევაც დამსაჯა.

ერიკამ სადღაც საკერავი იშოვნა, სალამომდის შინ არ მოდის. მარტოკა ვწევარ ჩემს ოთახში. ერთი ჭიქა წყალისათვის მთელი საათი უნდა ვრეკო.

კიდევ მეწვია დიასახლისი:

„ღმერთმა დაგიფაროთ, ჰერ სავარსამიძე, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის, ვინ იცის რა მოხდება... თქვენი მშობლების მისამართი მომეცით“.

„თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ ფრაუ ბოკმაიერ, რაც არ მომხდარა, ისეთი არაფერი მოხდება. ყოველ შემთხვევაში ვინძლო

რამე მოხდეს, ჩემი მეგობრის შტუდერსის მისამართი დაიხსომეთ, მოლტკეშტრასსე 133. მე დიდი ხანია მისთვის ნათქვამი მაქვს, თუ მაინც და მაინც მოვკვდე, ბრანდენბურგის ქვიშაში არ დამტოვოს. კრემატორიუმში დამწვავენ, ჩემს ფერფლს საქართველოში გააგზავნიან და არმაზის მთაზე დააბნევენ. ეს ნაკლები დაჯდება".

„მე მინდოდა პარიზში დეპეშა გამეგზავნა"...

„აბა, პა, ფრაუ ბოკმაიერ, ასეთი რამ არ ჰქნათ". საერთოდ ვთხოვე ფრაუ ბოკმაიერს ამიერიდან ჩემ საქმეში არ ჩაერიოს. დიასახლისი კარებთან მივიდა, ისევ გამობრუნდა.

„მართლა, არმაზი სადაა, ჰერ სავარსამი?"

„არმაზი მცხეთაშია, ფრაუ ბოკმაიერ".

„მცხეთა სადღაა?"

„მცხეთა საქართველოშია".

ფრაუ ბოკმაიერ დაფიქრდა.

„ახლა ეგებ ისიც მკითხოთ, საქართველო სადღაა? ბერლინიდან პირდაპირ რომ იაროთ აღმოსავლეთით, საქართველოში ჩახვალთ, იქიდანაც პირდაპირ დასავლეთისკენ რომ იაროთ, ბერლინში მოხვალთ". ფრაუ ბოკმაიერი გაოცებული მისმენს და არდაგზე ხელებს იწმენდს.

კვირა დღეს ორძილში ვწევარ. საშინელი ჰინჭრის ციება დამეწყო... რაც საბნები და სათბურები მქონდა, ზედ დავიწყე. ლოგინზე ველარ ვიმაგრებ თავს. ოფლი გადამასხა. განუსაზღვრელად დამძიმდა საბანი ჩემსავე მკერდზე დაწყობილ ხელებს შევსცქერი, ძველ ქართულ ფრესკებში ნახულ წმიდანის გამხმარ ხელებს მაგონებენ ისინი.

ჩავსთვლიმე. ისევ გავახილე თვალი. ახმახი, ქერა, ღაწვმაღალი კაცი შემოვიდა, ჩემს გვერდით დაჯდა. ლოპინარის თვალები შემომაშტერა. საშინელი სიძულვილი გადმოინთხა მისი თვალებიდან. ამ კაცს ყვითელი, გახუნებული რუსული ეპოლეტები აქვს. მარცხენა ხელიდან სმარაგდის ბეჭედი ამაცალა. უსახელო თითზე ძლივს მოირგო, ისევ შემომცქერის ლოპინარის თვალებით... შიშისგან მაძაგძაგებს.

სლანსკი!

სახეზე საბანი წამოვიფარე. ფეხის ხმა მომესმა. ერიკა შემოვიდა. თეთრი ქრიზანტემები შემომიტანა.

„ერიკა, აქ ვინ იყო ახლა?“

„არავინ, ჩემო ბატონო“, ერიკამ ჩემი მარცხენა ხელი აიღო. მეალერსება. ვხედავ: სმარაგდის ბეჭედი ისევ შუა თითზე მაქვს. დავმშვიდდი. ნასადილევს გამოვჯობინდი. ერიკას ერთად-ერთი დღე აქვს თავისუფალი, ვთხოვე სასეირნოდ წასულიყო, ისევ მარტოკა ვწევარ ჩემს ოთახში. გერმანელი ჯარისკაცი შემოვიდა. პრუსსიულად გაიჭიმა. ღეზები დააჩხარუნა. სალამი მომცა.

„ლოძტენანტ შტუდერსი გთხოვთ“. მეუბნება ჯარისკაცი. ჰერბერტის ჩამოსვლამ ისე გამახარა; ავტომატიურად წამოვდექი. ჩავიცვი. გავყევი ჯარისკაცს. ქუჩაში ქალებმა შემომცინეს.

„რას იცინიან, თუ იცით?“ ვეკითხები ჩემს მხლებელს.

„თქვენ საყელო დაგვიწყებიათ, ბატონო დოქტორო“, მეუბნება ზრდილი მხედარი.

ჰერბერტი ახალ ბინაზე გადასულა, მოუწყობელ ზალაში მარტო იჯდა, ყავასა სვამდა. ჰერბერტი ახალ ბინას მათვალიერებინებს.

„იცი, კონსტანტინ, მე გადავწყვიტე ამ ბინაზე გადმოგიყვანო, შენი პანსიონი ძლიერ ბინძურია. გარდა ამისა, მარტოც ხარ, მომვლელი არა გყავს, ჩვენ მსახური გვეყოლება, მალე დედაც ჩამოვა მიუნხენიდან. მერმე, კონსტანტინ, შენ ნუ გამიწყრები, და მე ძლიერ მინდა იმ ქალს მოსცილდე. აბა რა შენი შესაფერია ერიკა“.

ჰერბერტმა ფანჯარასთან მიმიყვანა და მეოთხე სართულიდან ეზოში გადამახედა. საშინელი უფსკრული მომელანდა. ასე მეგონა, სახლი შეინძრა, იატაკი შეტორტმანდა, უნდა ჩაგვიტანოსო. სიმწრის ოფლი გადამასხა და წავიქეცი. როცა გამოვფხიზლდი, უშველებელ ელექტრონ მანქანაზე ვზივარ შიშველი. მოხუცი, თეთრწინსაფრიანი, სათვალეებიანი პროფესორი მშინჯავს. საავადმყოფოს საზიზღარი სუნია. პროფესორი, თითქოს მემდურისო, ხმას არა მცემს. ჰერბერტს ეკითხება:

„სიფილისი ხომ არ სჭირვებია?“

„არა“, ეუბნება ჰერბერტი.

„არც სხვა რამე?“

„არც ეგ“.

„გამძაფრებული ნევროსტენია აქვს, თუ სანატორიუმში არ მოათავსეთ, დაიღუპება“.

გზაში ძლიერ დაეტუქსე ჰერბერტი: ჩემს დღეში ექიმთან არ ვყოფილვარ, რადგან საავადმყოფო ისევე მეზარება, როგორც საპყრობილე და კლინიკაში რათ წამიყვანე მეთქი. რეცეპტი დავხიე, მის ძუძარას ყური არ გავახოვე, ცივად გამოვემშვიდობე და ვთხოვე: ამიერიდან თავისი სულელი სოლდატესკა არ გამოეგზავნა ჩემთან.

დავღონდი და დავმარტოვდი. არ შემიძლია არც ეტლით, არც ტრამვაით, არც მატარებლით მგზავრობა. პატარა ვიწრო ქუჩებში დავდივარ. ჩვენი სოფლის ბნელ შუკებზე ვოცნებობ. უმეტესად ტირგარტენში ვზივარ. საღამოობით ერიკა დამყვება სასეირნოდ, რადგან ღამით საშინელი ჰალლუცინაციები მაქვს. ჟენეტისაგან ზედი-ზედ მომდის წერილები. როგორ ვუპასუხო, ორ სიტყვას ერთმანეთზე ვეღარ ვაბამ. ერთ დილას ფოსტაში წაველი. ძლივს გავავსე ღია წერილი, ტალღე უმზგავსო ფრაზები, რამოდენიმეჯერ ერთსა და იმავე ვიმეორებ. ჩემი თავი მევე შემეცოდა. ცრემლები მომერია, წერილი დავხიე და კაფეში წაველი. მუსიკამ ძლიერ დამამშვიდა. სისტემატიურად დავდივარ ამ კაფეში. ერთხელ, კაფედან რომ გამოვდიოდი, ვიღაც პენსნიანი კაცი ამექვიატა. ქუჩაში დამეწია, ბოდიში მოიხადა, გამომეცნაურა:

„დოქტორ რანკე, შარლოტენბურგის კლინიკის ასისტენტი“.

„რითი შემიძლია გემსახუროთ?“

„მე თქვენ ორიოდე კვირა გაკვირდებით ამ კაფეში. თქვენ ჩუმი მელანქოლიი გაქვთ... იშვიათი ფორმა... როცა მარტო ზიხართ, სასტრად გიტოკავთ სახის კუნთები... თქვენ ცივბრიან ქვეყნიდან უნდა იყოთ. მაინტერესებს, რა სახის ჰალლუცინაციები გაქვთ?“

„ჰალლუცინაციები? დიახ. რატომ არა“...

„მაინც რანაირი?“

„ერთი თქვენისთანა აბეზარი. ქერა კაცი დამდევს. მოსვენებას არ მაძლევს“...

„როგორი სახე აქვს?“

„ყვითელი, პრტყელი, ლაწვმალალი, ცხვირჩაჭყლეტილი. თავი მელოტი, ფართე, გადაგვარებული ყურები...“

„თვალები?“

„უმი ცერცვის ფერი. მონღოლური“.

„ოდესმე იცნობდით იმ კაცს?“

„როგორ არა, პარიზში ვცემე, რევოლვერი წავართვი“.

„ეს ყველაფერი ძლიერ საინტერესოა. შევიდეთ ამ კაფეში“. მეუბნება ექიმი. დაუფიქრებლად შევყევი.

„თქვენ რა რასსისა ხართ?“

„წმინდა ქართულის“.

„დედითაც, მამითაც?“

„ყოველი მხრიდან“.

„სიმაღლიდან გადმოხედვის თუ გეშინიათ?“

„ძლიერ“.

„მარტოობის?...“

„მარტო დარჩენა მიძნელდება“.

„მახლობელი თუ გყავთ?“

„ერთი პატარა ხასა, იმასაც არ სცალია ჩემთვის“.

„იცით, თუ შეგიძლიათ, იარეთ ჩემს კლინიკაში, ეს არაფერი ეღირება...“

ლუდი მოვსვი. იოტის ოდენა ალკოჰოლი დამეტყო. წელში გავიმართე.

„თქვენმა მედიცინამ არაფერი იცის, დოქტორ რანკე. სისულელეა თქვენი ფსიქო-პატოლოგია. თქვენოდენა ჩემმა ძიძამაც იცოდა. რასაც თქვენ ვერ გაიგებთ, ყველაფერს პატოლოგია უნდა შეარქვათ. მე არასოდეს ასეთი ფაქიზი ნერვები არა მქონია, არასოდეს ასეთი მძაფრი განცდები... მე უკანასკნელ საგნებს ვხედავ ამ ჟამად. ოღონდ ესაა, ვეღარ ვწერ. ვეღარც ვკითხულობ. თქვენ ახლა ალბად დისერტაციასა სწერთ. თქვენი გამოყრუებული, ბებერი პროფესორი უნდა მოატყუოთ ჩემს ხარჯზე. გირჩევთ სხვაგან მოსძებნოთ საცდელი ბაჭიები“, ვეუბნები უკმეხად დოქტორ რანკეს. ლუდის ფული გადავიხადე. გამოუსალმებლად გავშორდი.

ჩემი სადარბაზო ბარათი ჩამოვხიე. დიასახლისსა ვთხოვე: ვისაც არ უნდა ვეკითხე, ყველასათვის ეთქვა, ბავარიას წავიდაო.

შემძულდა ადამიანებთან ყოფნა. ვხედავ: ადამიანი სიკვდილსა და გაჭირვებაში მარტოხელა ყოველი. საცოდავი ურიკა დაქანცული ბრუნდება სამუშაოდან. ამიტომ ველარ დავდივარ სალამოობით ტირგარტენში. წინად ზოოლოგიურ ბაღში დავდიოდი, მეცოდებოდა უგულო ადამიანებისაგან დატყვევებული ნადირები. ახლა მთელი დღეები იქა ვარ, ხანაც აქვარიუმში... შევსცქერი რკინის გალიებში გამომწყვდეულ პიტუტყვებს. ყურს ვუგდებ ლომების ღრიალს. მახარებს მათი შემოხედვა, მათი მაგარი კუნთების მოძრაობა, მათი ქუხილისებური გრგვინვა. მამშვიდებს დარბაისელი ინდოელ სპილოს სიდინჯე. მთელი საათობით ვუთვალთვალებ: ანტილოპებს, ვეფხებს, მე იებს, კვერნებს, ჯიხვებს, ზებრებს, ჰიპოპოტამებს და მგლებს. მათი სიახლოვე განუსაზღვრელი სიხარულით ავსებს ჩემს ამღვრეულ სულს.

ძლიერ მიყვარს აქვარიუმის შუშებთან დგომა. პალმების დარბაზში ტროპიულ სიცხეში ხელოვნურ ტბორებიდან თავები ამოუყვიათ უშველებელ აფრიკულ ნიანგებს. ქშინავენ, ქლოშინობენ და უდაბნოს თვალებით შემომცქერიან. ზანტი აფრიკული გველები, ჰინდური ასპიტები, ეს გასაოცრად მოქარგული გველის პერანგები (ბუნებაა უპირველესი მხატვარი!), ან ის ცუღლუტები, ტაშტივით რგვალი, ბოლოდაფლეთილი ოკეანის თევზები რომ მოადგებიან შუშის ჯებირებს და თავიანთი წითური თვალებით შემომცქერიან, ასე მგონია ოკეანის უფსკრულებს გამოუგზავნიათ ჩემთვის სიხარულის ცელქი შიკრიკები, რათა მიუწვდომელი სიღრმეების ხვაშიადი მეც გამიმჟღავნონ. და მეც მინდა გამოვეხმაურო ჩემს უტყვ ძმებს და ვუქადაგო საყვარელ თევზებს:

„ისმინეთ სიტყვა ჩემი თქვენ. ზღვებისა და ოკეანეების თევზებო. თევზებო, უფლის მიერ ძმანო და დანო ჩემნო. მადლობა უნდა შესწიროთ უფალს. თქვენს გაჩენს, რომ ეგზომ პატიოსანი, ეთერივით ნათელი და გამჭვირვალე ელემენტი მოგიჩინათ თქვენ საცხოვრებლად. შემოქმედმა გიბრძანათ იცხოვროთ წყალში. აროდეს დასტოვოთ პირველელემენტი თქვენი და გამრავლდეთ ზღვის ქვიშასავით. მე მინახავს თქვენი ქვირითობა ვარდობის თვეში. ტაია შელიამ მაჩვენა ჯერ კიდევ ბავშვს. თქვენსავით უცოდველს და გაუკიცხავს. თუ

ვით დასდევდით თქვენ ერთმანეთს დედალ-მამალი, ბოლოებს სცემდით და პეპლაობდით.

„ტაია შელიამ დამანახვა უშტი და უშქარი ქვირითი სიპლოდებზე დატყეპებული. თითქოს მარჯვენაკურთხეულ მეყანეს დაეთესა ოქროს მარცვლები ვეცხლის კენჭებზე. მშვიდობა თქვენდა, ხევებისა და ოკეანეების თევზებო, თქვენც ჩემსავით უფსკრულებს ხართ დანატრებული და უფსკრულების მაგივრად შუშის სარკოფაგებში დაგამწყვდიათ ულმერთო კაცმა“.

ტირგარტენში ერთი ქართული კამეჩი შეგულება. ხშირად მივდივარ ჩემი „თანამემამულის“ მოჯირთან, როგორც მეზობელი, მეზობლის ნახვას მოწყურებული. ქართული კამეჩი ხანდახან დაჯეგილი ბალახის კორტნას მიატოვებს და თავისი კეთილშობილი, მომწვანო, დიდრონი თვალებით შემომხედავს და დაიყროყინებს. მუდამ მიყვარდა კამეჩის ყროყინი და ახლაც, ამ საოცარ დარბაზობის დროს, მე მაგონდება ძველი ლეგენდა ჩემი მორდუს ნაამბობიდან: თურმე კამეჩი ახლაც იგონებს თავისი ჯიშის გადამრჩენელ ბიბლიურ პატრიაქს და მიტომაც ყროყინობს ნაღვლიანად და იძახის: „ნოე, ნოე“, და თურმე კამეჩი მიტომაც დინჯად დადის, რომ კამეჩი თუ გაიქცა, ეს ქვეყანა მაშინ დაიქცევა

ახ, ნეტამც გაიქცეოდეს კამეჩი!

## 11. დიონისო ლომისკირიანი

დილით ადრე ზოოლოგიურ ბაღში წავედი. ტირგარტენში მომისწრო მზის ამოსვლამ. დილის ცვარი ბალახებში კრთოდა, უამრავი ჩიტუნები მღეროდნენ მწვანეში. არაჩვეულებრივი სიხარული მაგრძნობინა ამ საუცხოო ბუნების ოაზისმა, ამ ბაზალტისა და გრანიტის უდაბნოში... მივდივარ ბაღის სიღრმეში, შორიდან ბუნდოვანად მოისმის მატარებლის და ტრამვაების ზანზარი და რახრახი... ხანგამოშვებით მყუდროება ჩამოვარდება და ეს მამშვიდებს, რომ ჩემს ფეხთან, ჩემს ზევით ჩემს გარშემო ყველგან მწვანე ბიბინებს. იმ დილას ისევ ვეწვიე ჩემს ნადირებს. საათს დავხედე. ჯერ კიდევ არ

ჩამოუვლიათ ზედამხედველებს. ნადირები მოუთმენლად ელოდნენ დანაყრებას. მოუსვენრად დახტოდნენ ცელქი აფრიკელი მაიმუნები, სამხრეთ ამერიკის ჯუნგლების მწვანე თუთიყუშები საოცრად ჩხაოდნენ, ჰინდუსტანის ფარშავანგები და ხოხბები დახტოდნენ ხარიხებზე, ომის წლებში დამშეული, ბეწვგახუნებული მელიები, კვერნები, ფოცხვერები და აფთრები მოუსვენრად დაწრიალებდნენ რკინის ხლართებს გაღმა.

ჩრდილოეთის თეთრი დათვი ორ ფეხზე შესდგა, მავთულის ხლართთან მიჩოჩდა, ლილისფერი ენა გამოჰყო და მეღრიტინება: ვაჭამო რამე. ეს დათუნია საოცრად მომეჩვია!

მამალი მგელი შეჩერდა ჩემს დანახვაზე, დაიღრინა და თავისი მოლაპლაპე ცეცხლის თვალებით შემომხედა. მე დილის დარბაზობა მქონდა ჩემს საყვარელ აბესინიელ ლომთან. იგი ჩალის ნაგვზე იწვა, ჯერ კიდევ ეძინა დატყვევებულ ნადირთა მეფეს. ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, ცალი თვალი გაახილა და შემომხედა. უდაბნოს ცხუნვარება მიცქეროდა მისი თვალიდან. ლომმა ისევ დახუჭა თვალი. მე საშინლად დავპატარავდი ჩემსავე თვალში. მე ჩვენი დროის ახალ ქრისტედ რომ მომქონდა თავი, დამცინოდა კიდეც აბისინიის ჯუნგლების უგვირგვინო მეფე. ჩემი სტუმრობა მას ისე არაფრად ჩაუგდია, თითქოს მე უმნიშვნელო ბუზი ვყოფილიყავი, მის ფერხთით დაგდებულ ცხენის ჩონჩხს გარს რომ ეხვია.

## 12. ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲤᲐᲢᲔᲜᲞᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ამ დღიდან საშინელი გარდატეხა მოხდა ჩემში. მე ამეხილა თვალი ჩემს ადამიანურ სისუსტესა და არარაობაზე. აქამდის თუ ადამიანები მძულდა, ახლა ჩემი თავიც შემძაგდა. ვიგრძენი ჩემი სივაგლახე და სიპატარავე. იმ ლომის სახით მომელანდა მე ლომისპირა დიონისოს მრისხანება და დიდებულება. განვაგრძე ჩემი დარბაზობა. ახლა თევზები და გველები მინდა კვლავ მოვინახულო აქვარიუმში. აქ ჩემი სტუდენტობის ამხანაგს დოქტორ ფატენპურს შევხვდი. დოქტორ ფატენპური აღმოსავლეთის განმანათავისუფლებელ ლიგის მდივანი იყო. მე იგი ახლა ინდოეთში მეგონა. დოქტორ ფატენპური ფიქ-

რობს, რომ შესაძლოა ინგლისმა მოსთხოვოს დამარცხებულ გერმანიას ინდოელი რევოლუციონერების გაცემა.

„თქვენი ბედი, რუსეთი რომ დაინგრა“, მეუბნება დოქტორ ფატენპური. ძლიერ ცუდ გუნებაზეა.

„თქვენც გამოცვლილხართ, ჰერ საკარსამ“.

„რატომ?“

„გამხდარხართ, ძლიერ ჩქარა ლაპარაკობთ. მერმე წინად როგორი ესთეტი იყავით, მე არასოდეს მინახავხართ უსტილოდ ჩაცმული. მუდამ თეთრი შროშანი გქონდათ სალილეში. გახსოვთ, მე რომ მიმტკიცებდით, ადამიანმა თავის გარეგნობას ისეთივე ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც თავის სულსაო. ახლა წვერს არ იპარსავთ?“

„ხანდახან“.

ტიერგარტენიდან გავედით. მივჰყვებით ლუცოვის ნაპირს.

„დასავლეთში ძლიერ იღლება ადამიანი“. ამბობს დოქტორ ფატენპურ.

ერთბაშად ცა მოიღრუბლა, წვიმა დაიწყო. ჩვენ ფეხს ავუჩქარეთ. ლუცოვის მოედანზე ერთ პატარა კაფეს თავი შევაფარეთ. კაფეში რამოდენიმე კაცი ჭადრაკს თამაშობდა.

„თქვენ ძლიერ დაღონებული მეჩვენებით, დოქტორ ფატენპურ“.

„გასახარელი რა გვაქვს?“

„რატომ?“

„თერთმეტმა ნოემბერმა ჩვენი ილუზიები დაანგრია.

„გერმანიის დამარცხება დიდხანს დააგვიანებს ჩვენს განთავისუფლებას. გახსოვთ ჰოტელ ესპლანადში მიტინგი?.. მე თავს ვუქნევ.

„ვისი დროშები არ ფრიალებდა იმ ღამეს, ბანკეტის დროს, პატარა შტანდარტებზე! ყველა იქ იყო: ინდოეთის, სპარსეთის, ავღანისტანის, არაბეთის, საქართველოს, ეგვიპტის. მე ხსოვნაში ჩამრჩა, თქვენ, ქართველები, ძლიერ ლამაზ ეროვნულ ჰიმნებს მღეროდით. მერმე ერთმა იცეკვა. ის სიმღერები ბავშვობაში ინდოეთში განაგონ ხალხურ სიმღერებს მაგონებდნენ“.

„მაშ თქვენა გგონიათ, რომ 11 ნოემბერს ჩვენც დავმარცხდით, დოქტორ ფატენპურ?“

„უეჭველად, თუ ინგლისს ასეთივე მეტოქე არ გაუჩნდა, აღმოსავლეთში ყველაფერი ამაოა. დღეს პატარა, უორგანიზაციო, უცივილიზაციო ერებს არ შეუძლიათ ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოებთან ბრძოლა. დიდი სახელმწიფოს დამარცხება მხოლოდ დიდი სახელმწიფოს საშუალებით თუ მოხერხდება".

„მაინც არ აპირებთ, ინდოეთში ამნისტია რომ იქნეს"...

„რა უნდა გავაკეთოთ ინდოეთში? სანამ იქ ინგლისელებია, ჩვენ იქ ზედმეტნი ვართ".

„ახლა ხომ ომი გათავდა?"

„მართალია, ომი გათავდა, ჩვენი აჯანყება სისხლით ჩაახრჩვეს, მაგრამ ჩვენ მარტო კრეისერებით არ გვებრძვის ინგლისი. იგი აგზავნის ჩვენს წინააღმდეგ თავის ურიცხ წიგნებს, გაზეთებს, მისიონერებს, მანქანებს, ქარხნის საქონელს. შექსპირი იმპერიალიზმის ისეთივე დიდი იარაღია ინგლისის ხელში, როგორც ინგლისური კრეისერი. მწერლობა და მეცნიერება ბუნებით იმპერიალისტური ფენომენებია. ამიტომაც, მე რომ 18 წლის ვიყავი, ოქსფორდის კოლლეჯში გამგზავნეს. სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გავეზარდეთ ინგლისელებს. მე გავექეცი მათ უნივერსიტეტს, გერმანიას შევეკედლე, რადგან მათი სკოლა ისევე მძულდა, როგორც მათი ყაზარმა, მათი წიგნის მაღაზია და ეკლესია. ისინი უტიფრად ამართლებენ ჩვენს მონობას თავიანთი დიდი კულტურის სახელით. ჩვენ კიდევ ჩვენი ძველი კულტურის სახელით მათ ზიზღითა და სიძულვილით ვუპასუხებთ".

„უთუოდ, დოქტორ ფატენპურ. სიძულვილი ისე წმიდა და მაღალი გრძნობაა, როგორც სიყვარული. გააჩნია შემთხვევას. მაგრამ განა თქვენ შექსპირს უარჰყოფთ?"

„შექსპირი რაა ინდოეთის მომავალთან შედარებით? ახლა რომ აკვანში ინდოელი ბავშვებია, რა იცის, ისინი შექსპირზე უკეთ არ დასწერენ? მე რომ ინდოეთის განთავისუფლებას მოვესწრო, კალკუტაში მოედანზე გამოვიტან მათ ხატებს, მათ წიგნებს, მათ ქარხნის საქონელს და საჯაროდ დავსწვავ საერთო ცეცხლში".

ორივე ვსდუმდით. დოქტორ ფატენპურმა პაპიროსს მოუკიდა.

„თქვენ მართლაც საოცრად გამოცვლილხარ, ბატონო სა-

ვარსამ, მახსოვს როგორი აღტაცებული იყავით, როგორის ენტუზიაზმით მიამბობდით გოეტეზე, ნიცშეზე, შტირნერზე".

„ეს ძველი კერპებია, დოქტორ ფატენპურ".

„ახლა თუ გძულთ თქვენი კერპები?".

„საერთოდ ადამიანებს ძველი კერპები სძაგთ. ამ შემთხვევაში გამონაკლისი უნდა ვიყო: ძველ ღმერთებს და ძველ საყვარლებს მუდამ ტკბილად ვახსენებ", დოქტორ ფატენპური მსახურს ეძახის:

„ერთი ჭიქა მიუნხენური". ყავახანის კაპელლა ვერდის პიესას უკრავს.

„იცით, ჰერ სავარსამ, მე მგონია თქვენ აბსენ ტუნგთან უნდა წახვიდეთ. მისი სიახლოვე ძლიერ დაგამშვიდებთ".

„ვინ არის აბსენ ტუნგი, დოქტორ ფატენპურ?"

აბსენ ტუნგი ჰინდუსტანის უდიდესი ბრაჰმინია. ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, დიდი მისტიკოსი და მაგი, ომის დროს იგი ინდოეთის გამანთავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ინგლისის საიდუმლო პოლიცია მთელს ქვეყანაზე დაეძებს აბსენ ტუნგს. 1915 წელს, მან მათხოვრის ტანისამოსით ფეხით გაიარა, თავის მსახურის — აჰუდას თანხლებით, ინდოეთი, მესოპოტამია, ანატოლია და სტამბოლს მივიდა. მერმე ბერლინში ჩამოვიდა. ვილჰელმთან აუდიენცია ჰქონდა. სხვათაშორის, როცა ვილჰელმი ინგლისურად დაელაპარაკა, მან ხელი პირზე დაიდო და ეუბნება:

„ჩემი მტრების ენაზე არ ვლაპარაკობ, რაჯა!"

„ნუთუ ასეთი გავლენა აქვს ბრაჰმინებს", ვეკითხები დოქტორ ფატენპურს.

„როცა ინდოეთის მეფე ტახტზე ავიდოდა, ბრაჰმინი მიჰგვრიდა ხალხს მეფეს და ეტყოდა: თქვენი მეფე ეს არის, ხოლო ჩვენი მეუფე — სომაა". ეს გავლენა დღესაც შერჩა ბრაჰმინებს.

უკანასკნელ ოცდახუთი წლის განმავლობაში რაც აჯანყებები მოხდა, ყველგან აბსენ ტუნგის ხელი ერია. სიპაების აჯანყების დროს მე მისი ადიუტანტი ვიყავი. აბსენ ტუნგზე უფრო უშიშარი კაცის წარმოდგენა შეუძლებელია. მან მისტიური თვითშთაგონების წყალობით სიკვდილის შიში დასთრგუნა. მახსოვს, ბომბეიში აჯანყებულები თავს დაესხით ინგლისურ ეს-

კადრონს. ესკადრონი ღამით გაპარულიყო, იმ ყაზარმებში ინდოეთის, ქვეითი ჯარი დაგვიხვდა. ჩვენს დანახვაზე ინგლისელი ოფიცრების ბრძანებით ინდოელმა ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევები გადმოაშვირეს ეზოში. აბსენ ტუნგმა გაიყოლია აჯუდა, უშიშრად გაიარა ეზო. შესძახა ჰინდუს ენაზე თავის თანამოძმეებს:

„თქვენ აბსენ ტუნგს ესვრით ინგლისურ ტყვიებს?“ ჯარმა იარაღი დაჰყარა, ინგლისელი ოფიცრები გადმოგვცა. სიპაების აჯანყებაში ჩვენ დავმარცხდით, რადგან გამცემლები აღმოგვაჩნდა. ამ ომის დროს ორჯერ ჩავიდა აბსენ ტუნგი ინდოეთში არალეგალურად. ის იყო, ბერლინს დაბრუნებას აპირებდა, იგი შეიპყრეს. აბსენ ტუნგი მეფის ნაცვალმა შეირიგა, საკუთარი იახტით გამოისტუმრა ლონდონს. აქ ინგლისელები ეცადნენ მოესყიდათ. ოქსფორდში სანსკრიტული ენის კათედრა შესთავაზეს. უზომო პატიოსანი თვლები და ოქრო დააყარეს. მეფემ ინგლისის საპატიო აზნაურობა უბოძა. აბსენ ტუნგი ბერლინში გამოიქცა. 1917 წლის აჯანყების შემდეგ დეპეშა გაუგზავნა ინგლისის მეფეს:

„მას შემდეგ, რაც ინდოეთის ხალხის სისხლში ამოისვარეთ ხელი, ინგლისის მეფის აზნაურობა ჩემთვის სამარცხვინოც იქნებოდაო?“

„ძნელია მისი ნახვა?“ ვეკითხები დოქტორ ფატენპურს.

„ის ძლიერ განმარტოებული სცხოვრობს. არ იმჩნევს, თორემ გერმანიის დამარცხებამ მასზედაც ცუდად იმოქმედა. ათასში ერთხელ ინდოეთიდან ჩამოსულ იოგებს თუ მიიღებს. ბერლინში სამი საიდუმლო ბინა აქვს. ხან და ხან ცნობილი გერმანელი სანსკრიტისტი პროფესორი ჰ-ი ეწვევა“.

„რატომ არის ასე ძნელი აბსენ ტუნგის ნახვა?“

„აბსენ ტუნგი უძველეს ტრადიციებს სასტიკად იცავს, ინდოეთის ძველი ჩვეულებით პირველად მოსულ სტუმარს საპატიო მიღება ეკუთვნის. ინდოეთში საპატიო მიღების ღირსნი არიან: აკარუა — მასწავლებელი, რტვიკ — მოგვი. რაჲა — მეფე, პრიოტითი — ძვირფასი სტუმარი. ძვირფასი სტუმარი შეიძლება ყოველი ერის წარმომადგენელი იყოს, თუ იგი ინდოეთის მტერი არ არის“.

„რა ენაზე ვილაპარაკო?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რა კი სანსკრიტი არ იცით, მხოლოდ გერმანულად, ფრანგული და ინგლისური არ უყვარს“.

„ესეც მითხარით, რა ჩავიცვა, დოქტორ ფატენპურ?“

„თუ ეროვნული ტანისამოსი გაქვთ, ძლიერ კარგი იქნება, ის პატივსცემს ეროვნულ სამოსს, თუ არა და ფრაკი. არ დაგავიწყდეთ, დამარიგა დოქ. ფატენპურმა, სადაც საპატიო სტუმარს მიიღებენ, იქ გათენებამდის უნდა დარჩეს სტუმარი“. მე გამოვკითხე დოქტორ ფატენპურს სხვა დეტალებიც, რაც მოსალოდნელი დარბაზობისათვის დამჭირდებოდა. დღე-დღეზე ვუცდი მისგან წერილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქება მეთერთმეტე

## 43. ფოლადის მუზარადი

რაც დრო გადის, მით უფრო ვმარტოვდები. ნოიშტეტის სიკვდილმა სიტყვა „მეგობრობაც" შემაძულა, ხშირად ვფიქრობ, რომ მეგობრობა არც კი შეიძლება ამ ქვეყანაზე, რადგან ჩვენ მარტო ვართ. ჰერბერტი ჰამბურგში გაჰყვა ნოსკეს ჯარებს... იქიდან რურში გადაზავნეს. სისტემატიურად მიგზავნის წერილებს (ეს მხოლოდ ევროპელს შეუძლია!). მე ვეღარ ვცნობილობ ჰერბერტ შტუდერსს! სადღაა მისი ნაზი, მეოცნებე სული. როგორ გამოსცვალა ჰერბერტი ოთხი წლის სისხლის ღვრამ! ამას წინად ჰამბურგიდან მწერდა: „მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო უომრად. ხვალ რომ საფრანგეთმა ომი გამოგვიცხადოს, კიდევ ოთხ წელს დავყოფ სანგრებში, ოღონდ ვეღირსო გერმანიის ვარსკვლავის ხელმეორედ ამოსვლას.

„ომი უდიდესი აზარტია ამ ქვეყნად. თუ ამ ბრძოლებში გადავრჩი, ჩემს მომავალ წიგნს ერქმევა „რკინით და სისხლით".

და ვინა მწერს ამას? ჰერბერტ შტუდერსი! ორივენი ფრანჩესკო ასიზელის მოწაფეებად ვთვლიდით თავს ოდესღაც, მტერი სიყვარულით უნდა დაარცხვინოვო...

ოთხი წლის განმავლობაში ყოველ შაბათ საღამოს ვისხედით ნოიშტეტის ბინაზე, ვუკითხავდით ერთმანეთს ლექსებს, გათენებამდის ვსაუბრობდით პოეზიაზე, სიყვარულზე, რელიგიაზე.

ახლა?

ერთ ღამეს დამესიზმრა:

ჰერბერტის მამის ვილლაში ვართ. საღამო ჟამია. მე, ჰერბერტის და და მისი დედ მამა აივანზე ვზივართ. ველით ჰერ-

ბერტს დასავლეთის ფრონტიდან. აივანზე თეთრი ლაქაშებისა და ნასარების გირლიანდები. გაიღო ეზოს კარი. შემოდის ძაძით შემოსილი ავტომობილი. კიბესთან ჰერბერტი გადმოხტა. თავზე რაინდული ფოლადის მუზარადი, მოკლე ჯაჭვის კურტაკი აცვია. ძველებური ხელჯვარიანი ხმალი ჰკიდია, ფეხებზე — თითო ციდა დეზი აქვს. ფეხებს ძლივს ადგამს, ხელს გვიქნევს. ჩვენს დანახვაზე სახე კუპრივით გაუშავდა, აივანზე არ ამოდის. წინ შევეგებე, ვეხვეწები: დარჩი კიდევ ჩვენთან, ჯერ მზეც არ ჩასულა, ადრეა შენი წასვლა. ზურგი შემაქცია, ისევ გაალო ავტომობილის კარი. გაჰქრა... გავიდა რამოდენიმე კვირა. მე მთელი თვე შვარცვალდში ვიყავი. ბერლინში რომ დავბრუნდი, მივვარდი პანსიონის ფოსტის ყუთს. ჰერბერტის წერილი აღარსად იყო. მხოლოდ დეპეშა:

„ჰერბერტი ფრანგებმა მოჰკლეს, პანაშვიდი 15-ს“. დეპეშას ხელს აწერდა ჰერბერტის დაი იზოლდე.

იმდღესვე როაზნჰეიმს გავემგზავრე. გაფითრებული, თვალებჩანაცრული დედა შემომეგება. კედელზე ჰერბერტის ძაძაშემოვლებული დიდი სურათი ეკიდა. იქვე მისი ხმალი. კორპორაციის ლენტი. აქვე დამიხვდნენ კორპორაცია ბორუსიას სამი წარმომადგენელი. სამივე ულანების ათასეულის ლოიტენანტი. შუაში საკარცხულზე იდვა მისი სამხედრო ფორმა. ზედ თეთრი ორქიდეებით შემკული ჯვარი და ჰერბერტის საომარი მუზარადი. მუზარადის გარშემო სამი შანდალი, მაღალი სტეარინის სანთლებით. ოთხივე მისმა მეგობარმა საკარცხულის გარშემო მუხლი მოვიყარეთ. ჰერბერტის მოხუცი დედა-მამა თავზე წაგვადგნენ, უფრო დიდი მწუხარება ადამიანის სახეზე არ მინახავს.

რამოდენიმე წუთს სრული მყუდროება იყო ოთახში. მე ვმალავდი ცრემლებს. რადგან არც ერთი ოთახში მყოფთაგან არა სტიროდა. მდუმარე გლოვამ შეგვაერთა წამიერად. შევცქერი სანთლების ყვითელ შუქზე მოლაპლაპე მუზარადს, მინდა მოვიგონო მუზარადის პატრონის ნათელი სახე. ვიგონებ მის მაღალ შუბლს, ჭაბუკურ ქერა ქოჩორს. დუელებისაგან დაჩეხილ მოთეთრო ლოყებს, მის სიკეთით და სიყვარულით სავსე თაფლისფერ თვალებს, გასაოცრად მოციალეს, ელვა რომ გადაურბენდა ხოლმე ღიმილის დროს. მაგრამ ყველაფერი

ეს ვერ შევაერთე, ვერ აღვადგინე, თუნდ წუთიერადაც ვერ მოვიგონე იმ ადამიანის სახე, რომელთანაც ჩემი სიყმაწვილის უბედნიერესი დღეები გამიტარებია. შევსცქეროი უპატრონო მუზარადს და ამ წუთში ვგრძნობ თუ რა საცოდავია ჩვენი წარმოდგენა და რა საშინელი ყოფილა სიკვდილი! ველარ მოვიცადე იმ სახლში, არდადეგებზე ამდენი ბედნიერი წუთები რომ გამიტარებია. ყური არ ვათხოვე მოხუცებული დედ-მამის მუდარას, ერთი-ორი დღე კიდევ დავრჩენილიყავ მათსას. საღამოს მატარებელს გამოვჰყევი ბერლინისაკენ. გზაში ზემობავარიის ველ-მინდორს ვხედავ ვაგონის ფანჯრიდან. ჩემს თვალწინ გაიარა ქიმზეეს ნაპირებმა, ბავარიის ველებმა და მთებმა. მაგონდება ჩვენი ფეხით ხეტიალი ამ მიდამოებში. გავაღე ფანჯარა, გავჰყავი თავი, ქარი თვალებში მაყრის ნახშირის ნაფხვენებს და მტვერს. ბავშვივით ვსტირი.

## 44. აბსენ ტუნგ

ბერლინში დოქტორ ფატენპურის წერილი დამხვდა.

„ფრიად ნეტარი აკარუა, ბრაჰმინი აბსენ ტუნგი გთხოვთ ხუთშაბათს, საღამოს ეწვიოთ ბინაზე: სავინის მოედანი, 36“.

მე მქონდა უკანასკნელ წლებში ბერლინში გახშირებულ ნაციონალურ ბანკეტებისათვის შეკერილი შავი ჩოხა. თუმცა ახალუხის სახელოები ოდნავ გაცრეცილი იყო, მაგრამ მაინც ჩავიცვი. ქუჩის ცნობისმოყვარე ბრბოს რომ ყურადღება არ მიექცია, საწვიმარი გადავიცვი და გავეშურე აბსენ ტუნგის ბინისაკენ. თეთრ ტურბანიანმა მსახურმა გამიღო კარი, ხანჯალი ქარქაშიდან ამომაძრო, კუთხეში მიაყუდა. ცალი ხელით მსახურის მხარზე დაყრდნობილმა ფეხთ გავიხადე.

მსახური წინ წამიძღვა, დაუკაკუნებლად გააღო მეორე კარი, სპარსული ხალებითა და ინდური ნაქსოვებით მორთულ დარბაზში შემიყვანა. შუა დარბაზში დაბალ რგვალ მაგიდასთან ჭაღარა, თეთრტურბანიანი კაცი იჯდა; პატარა, ყვითელ კანიან წიგნსა ფურცლავდა. როცა წამოდგა, მე თვალი შევავლე მის კაფანდარა, ახოვან ტანს, ძველ სპილენძის ფერ სახეს. ბრაჰმინმა ერთი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ, მდუმარედ შემავ-

ლო თავისი შავი, უძრავი თვალები, მარცხენა ხელი წელზე შემორტყმულ შავ აბრეშუმის შარფზე წაივლო და გრძელი, გამხდარი ხელი გამომიწოდა.

დასავლეთში არაერთხელ შევხვედრივარ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მწერლებსა და მეცნიერებს, დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებს და სასულიერო პირებს, მაგრამ არც ერთს ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე. ევროპელი მასპინძელი პირველად შეხვედრილს უთუოდ თავაზიანი სიტყვით შეეგებება. ეს უადვილებს კაცს კაცთან მისვლას. ბრაჰმინი მდუმარედ შემომეგება. და ამ კრძალვისაღმძვრელმა დუმილმა შეუწყო ხელი ჩემს დაბნევას. მე აღარ ვიცოდი, ხელები სად წამეღო, როგორ დავმჯდარიყავი, რა მეთქვა, ან რა მომემოქმედნა.

ეს კარგად მახსოვს: დაბალი, მოკრძალებული სალამი მივეცი, ისეთი, როგორსაც თავმდაბალი, ბეჯითი სტუდენტი მიაგებებს ხოლმე ფრიად სახელოვანსა და საყვარელ პროფესორს.

მან ანტილოპის ტყავებით დაფენილ, დაბალ ტახტზე მომიპატიჟა. ერთი მიბრუნდა კარებისაკენ, დაიძახა: „აჰუდა“. აჰუდა შემოვიდა, წყლით სავსე გეჯა დამიდგა წინ. მე ჯერ მარცხენა ფეხი დავანებე, მერმე მარჯვენა დამბანა. როცა აჰუდა ფეხსა მბანდა, მე მარცხენა ხელი შევავლე მის ხელს, მერმე ჩემს მარჯვენას მივაკარე და ვამბობ:

„ჩემშია ბრწყინვალება, ენერგია, ცხოვრება, ძალა, სახელი და დიდება“. როცა აჰუდამ ფეხები დამბანა, მე ვჩურჩულებ:

„განვიბანე მე ორივე ფეხი უშიშროების მოსაპოებლად“. „აჰუდამ გეჯა წაიღო. ბრაჰმინმა ისევ დაიძახა: „აჰუდა“. აჰუდა ისევ შემოვიდა, ტახტის წინ ჰილობი დამიგო.

„მე ჩემს ტოლებთან ისევე დიდი ვარ, როგორც მზე ყველა მნათობთა შორის. მე ჩემს მტერს ისევე გავთელავ, როგორც ამ ჰილობს. გავთელავ ჩემს მტრებს, რომელთაც მე ვძულვარ და რომელნიც მე მძულს“.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პრიოტითი, მეუბნება ბრაჰმინი, თქვენ პირველი ხართ, შეუდარებელი და უმშვენიერესი საქართველოს მიწიდან ღმერთის ნებით ჩემთან წარმოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნილი. გთხოვთ მიესალმოთ, პრიოტითი, ჩემს მაგივრად თქვენს მშვენიერ საქართველოს“.

მე თანხმობის ნიშნად თავი ძირს დავხარე და გულზე ხელი დავიდევი. დავდუმდი.

„ჩვენს ინდოეთში სტუმარს ესალმებიან მიწითა, წყლითა და ბალახით, რადგან ამ ქალაქში მიწა არა ჩანს, ბალახი შორსაა, ამიტომ წყალი და კეთილი სიტყვა მაინც არ უნდა გამოილიოს სათნო მასპინძლის ოჯახში, პრიოტითი“. ამბობს ბრაჰმინი და ხელს მიშვერს მაგიდაზე. სამი დიდი წყლის ვაზა იდგა ყვითელ ქსოვილებით გადახურულ სუფრაზე. აბსენ ტუნგ გადასწვდა სინგურისფერ ვაზას და მეუბნება: „ამ სამ ლარნაკში სამნაირი წყალია, საპატიო, სასმელი და რაგვის წყალი. საპატიო წყალი სხვადასხვა უსახელო ბალახებით, ნელსურნელებით, იფქლითაა შეზავებული“.

პეშვზე დამისხა. მე მდუმარედ ვიშვერ პეშვს აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ ხმის ამოუღებლად თავზე ვისხამ და ვამბობ:

„შენის შემწეობით აღმესრულოს მე საწადელი, ნუმც დამრება ძალი ჩემი, ნუმც დაბნელდება თვალი ჩემი“. ახლა ენდროსფერ სურიდან დამისხა წყალი აბსენ ტუნგმა და მე ვამბობ:

„შემემატოს მე ძალა და მხნეობა ჩემი ქვიშასავით ურიცხვი მტრების დასათრგუნავად. სიტყვა — ჩემს პირში, ძალა — ჩემს მკლავებში, სიმაგრე — ჩემს მუხლებში“.

აბსენ ტუნგი ჩურჩულებს: „უვნებელ იქნას ჩვენი სტუმარი“.

აბსენ ტუნგი ოქროცურვილ ლარნაკს გადასწვდა და რაგვის წყალს მისხამს მარჯვენა პეშვში. მცირე დუმილის შემდეგ ვამბობ:

„მიტრის თვალებით გიქცერი მე შენ, მზეების თვალებით გიქცერი მე შენ“. შემდეგ მარცხენა პეშვში გადავასხი. მარცხენა ხელის უსახელო თითს ვურევ მარცხნიდან მარჯვნივ და ვჩურჩულებ:

„ნეტარძი მივიღებდე სიტკბოებას ქარისაგან, სიტკბოებას მდინარეები მოგვანიჭებენ, სიტკბოებას ტყეები მოგვანიჭებენ, ტკბილად შეგვერგოს წყალი რაგვისა. ტკბილია ღამე, ტკბილია აისი და დაისი. ტკბილია ცვარი ყვავილების წამწამებზე გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრქვეული, ტკბილია ზეცა, და ჯიქანსქელი ღრუბლებიც ტკბილია“.

მასპინძელმა აიღო თავისი პატარა ყვითელი წიგნი და მესმის:

„ალივსოს სიტკბოებით ხე — ტყეთა მეფე; ალივსოს სიტკბოებით მზე — ეთერის თეთრი დროშა, ალივსოს სიტკბოებით ჩვენი თეთრი ძროხები“.

დასასრულ მე ვიღებ სუფრიდან დანას. მასპინძლისაკენ პირშექცეულ ვეუბნები დანას: „ნუ ავნებ მას“.

„დოქტორ ფატენპური მიამბობდა, პრიოტითი, თქვენ ძლიერ გუყვარებიათ ინდოეთი. ბევრი რამ გცოდნიათ ჩვენი რიგვედას და სუტრების შესახებ. ისიც მითხრა დოქტორ ფატენპურმა, რომ თქვენ უფანიშადების 13 ქება თქვენს გეორგიანულ ენაზედაც გადაგითარგმნიათ“.

„მე სულ ცოტარამ ვიცი ინდოეთის პოეზიიდან, ნეტარო აკარუა, ისიც დალოცვილი გერმანული ენის წყალობით. ეს ჩვენი უკუღმართი განათლების ბრალია, ნეტარო აკარუა, ჩვენ ისეთ რამეს გვასწავლიან, რაც ჩვენ არ გვჭირია და რაც ჩვენ გვჭირია, ის ჩვენით უნდა ვისწავლოთ“.

„მე დოქტორ ფატენპურმა გადმომცა თქვენი წიგნები, თქვენი უმშვენიერესი საქართველოს და ინდოეთის შესახებ, ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ რომ დაგიწერიათ. ჩვენ თანაბრად ტანჯულნი ვყოფილვართ. მე მივესალმები თქვენს პატარა, მაგრამ დიად სამშობლოს მთელი ინდოეთის სახელით“.

„მადლობას გიძღვნით, უნეტარესო აკარუა, რომ თქვენი მაღალი ყურადღების ღირსი გახადეთ ჩემი უმეცრების მცირე ნაყოფი და ჩემი პატარა, მაგრამ ძველი კულტურით მოქადული ხალხი“.

„ჩვენ ასე ახლოსა ვართ ერთმანეთთან, პრიოტითი, და სირცხვილი კი არის, ჩვენ რომ დასავლეთელების ენაზედ ველაპარაკებოდეთ ერთმანეთს“.

„წინად, ასე არ იყო, ნეტარო აკარუა. წინად, როცა ჩემი ხალხი უფრო ძლიერი იყო და მრავალრიცხოვანი, როცა მას ჩემზე უფრო ბრძენი და განათლებული მწერლები ჰყავდა, ისინი პირდაპირ თქვენი დიდებული სანსკრიტული ენიდან თარგმნიდნენ თურმე ქართულად“.

აბსენ ტუნგი თავის ყვითელ წიგნში ეძებდა რაღაცას. ნელ-ნელა ფურცლავდა. მე ვიდროვე, დარბაზს თვალი მოვავლე კედლებზე ინდური ქსოვილები, ხალები რამოდენიმე ქართული ჩონგურისებური ინდური საკრავები, ძველებური, სპილოსძვლისტარიანი ხმლები და ჯაზაირები, ნაირნაირი ჩიბუხები. ერთ კუთხეში რამოდენიმე წიგნების კარადი, დაბალი ოტომანები, ძირს დაფენილ ნოხებზე ხოხობისფერი აბრეშუმით გადაკრული მუთაქები და ბალიშები ელაგა.

„როგორ მოგწონთ, ნეტარო აკარუა, უკანასკნელი ამბები?“ ვეკითხები ბრაჰმინს.

„გერმანიის რაჲა ძლიერ მშიშარა აღმოჩნდა, პრიოტითი, დიდი ხალხის რაჲას არ შეჰფერის ასეთი სულმოკლეობა. როცა განგება მრავალი მილიონი ადამიანის სულს ჩააბარებს ერთს, ერმა უნდა გასწიოს თავი მილიონებისათვის, პრიოტითი“.

„მე სხვა რამეს მოგახსენებდით, ნეტარო აკარუა“.

„თქვენ რევოლჲუციაზე ამბობთ, პრიოტითი?“

„დიახ, ნეტარო აკარუა“.

„რაც ახლა ხდება, ყველაფერი ეს რც ისე ახალი და დიდი ამბავია. ყველაფერი ერთ გარდუვალ კანონს ემორჩილება, პრიოტითი, ამ კანონის ძალით უმდაბლესმა უმაღლესის ადგილი უნდა დაიჭიროს, უბოროტესი — უკეთილშობილესი შეიქნეს, უსაძაგლესიც — ბრაჰმან უნდა გახდეს“.

„მე არ დაგიმალავთ, ნეტარო აკარუა, ჩემს უვიცობას. როგორც დოქტორ ფატენბურს უკვე ჰქონია ბედნიერება თქვენთვის მოეხსენებინა, მე ცოტა რამ წამიკითხავს თქვენი დიდი მოძღვრების შესახებ, მაგრამ წიგნში დაწერილი უმეტესად მკვდარი ასოა. როცა ცოცხალი ადამიანი პეშვით მიიღებს სინათლეს ადამიანისავე პირისგან, მხოლოდ ის შეერგება.

„თქვენ შვიდ გზის მართალი ხართ, პრიოტითი“.

ჩვენი საუბრის თემა მალე შეიცვალა.

„ესეც მასწავლეთ, ნეტარო აკარუა, თუ არსებობს რამე იმის მსგავსი, რასაც სული ეწოდება ყველა ენაზე?“ ვეუბნები ბრაჰმინს.

„ყველა ენაზე ეწოდება მას სული, პრიოტითი, მაგრამ ნამ-

დვილად იმის მსგავსიც, რასაც სული ეწოდება, არსად არის“.

„აზრი, სული სიცოცხლე და ხუთივე გრძნობა ადამიანისა, ადამიანთან ერთად კვდებიან, თუ არა? მე ეს მინდოდა გამეგო, ნეტარო აკარუა“.

„ყველაფერი ეს სიკვდილსა და წარმავლობას ექვემდებარება, პრიოტითი. ჩვენ ადამიანებს სიტყვებიც არ გვეყოფოდა სიკვდილისა და სიცოცხლის შესაცნობად. ადამიანმა ეს რომ შეიგნოს, იგი უკვე აღარ იქნება, იგი უკანასკნელ საგნების მიჯნას გადასცდება“.

„მაშ რაღა იქნება მაშინ, როცა ადამიანი აღარ იქნება, მე ეს მაინტერესებს, ნეტარო აკარუა?“

„მაშინ ზეცის გუმბათი, ჩაიქცევა, ყველა ბორკილი დასწყდება. ყველა ზარები უხმო ქლრიალს დაიწყებენ, პრიოტითი“

„ჰ ინც სად უნდა იყოს, ნეტარო აკარუა, ის, რასაც სიკვდილი ეწოდება: ჩვენს მარჯვნით, ჩვენს მარცხნით, ზევით თუ ქვევით?

„იგი ყველგანაა, პრიოტითი, მარჯვნითაც, მარცხნითაც, ქვევითაც... მზით გაბრწყინვებულ პალმების დარბაზში, თვით მზის თვალის გუგაში ცხოვრობს სიკვდილი“.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო ბრაჰმინმა:

„განდარას ქვეყნიდან თვალახვეულად წაიყვანეს ერთი კაცი, ასე გვასწავლის უფანიშადი, მერმე ეს კაცი გაუშვეს უდაბნოში თვალახვეული. იარა აღმოსავლეთისაკენ, იარა ჩრდილოეთისკენ, იარა სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ იარა, განდარას ქვეყანას მაინც ვეღარ მიაგნო. მოვიდა ის კაცი, ვინც იგი განდარადან წამოიყვანა, აუხვია თვალი და ისევ განდარაში ჩაიყვანა. ასე ემართება კაცს დედით შობილს და ამას ეძახიან ადამიანები სიკვდილს, პრიოტითი...

„ყველა ხმას ქარი წაიღებს, ყველა ფერს წყალი წარეცხავს, ყველა ხმელს ცეცხლი დასწვავს. როცა ცეცხლი ჩაჰქრება, მაშინ ქარიც ჩადგება, ამას ეძახიან ადამიანები სიკვდილს, პრიოტითი. ქარის, ცეცხლის, ზღვის, ჰაერის, ვარსკვლავების, ადამიანების, მაიმუნების, ყველაფრის შუაგულია ასგზიანი ბრაჰმან. მზეების, დღეების, წულების, ფერების და

ხმების შუაგულია ყველა შუაგულთა შუაგული — ატმან. მიტომაც ბრაჰმან მიიცვალა უწინარეს ყოვლისა. მიტომაც ბრაჰმანია პირველადშობილი“.

„ესეც მინდოდა გამეგო, ნეტარო აკარუა, რად ვიქცევით ჩვენ სიკვდილის შემდეგ?“

„როგორც კარგი ფეიქარი ყაჭის ძაფს აიღებს, მერმე იმ ძაფიდან ისეთ რამეს მოქსოვს, რაც ყაჭის ძაფს სავსებით არ ემგვანება, ისე ჩვენი სული შემოიძარცვავს ჩვენს სხეულს, და სხვად გადავა და იგიც სულ არ ემსგავსება იმას, რაც წინად იყო. ბრაჰმან არის პირველი და უკანასკნელი ფეიქარი, პრიოტითი“.

„ესეც მასწავლეთ, ნეტარო აკარუა, ადამიანის სულმა იმდენივე მანძილი თუ უნდა გაიაროს, რამდენიც უკვე გავლილი აქვს?“

„ადამიანის სულს ყოველის მხრით უსაზღვრო გზები აქვს, პრიოტითი. მან ექვსი სურვილის ზეცა უნდა გაიაროს, შემდეგ ჩვიდმეტი ნიშატის ზეცა, დასასრულ ოთხი ზეცა უნიშატობის, და მათ გადაღმა ლოტოს-ყვავილის-შობის სამოთხეა“.

თენდებოდა, როცა ჩვენ უკანასკნელ საგნებზე საუბარი გავათავეთ. დარბაზში ყვითელი ფარდებიდან შემოიპარა ლილისფერი სინათლე. მე დიდი მადლობა გადავუხადე მასპინძელს. დაბალი სალამით გამოვეთხოვე დარბაზის კარებთან. „აჰუდა“, დაიძახა მან. აჰუდა თვალის ფშვნეტით გამოვიდა თავის ოთახიდან, ხელში ანთებული შანდალი ეკავა დერეფანი რომ გავიარეთ, შესავალ კარებთან იდგა აჰუდა, ცალ ხელში ჩემი სატევარი ეჭირა, ცალშიაც ანთებული შანდალი. ჩემი სატევარი საოცრად ლაპლაპებდა სინათლის შუქზე.

## 45. ინგლისური ჩიბუხი

მართალი ყოფილა ტაია შელია: ამ ქვეყანაზე ყველაფერი თვალია, შემოხედვა და შთაგონება. აზსენ ტუნგის შავი, უშველებელ წურბლების მსგავს წარბებს ქვეშ შეხიზნულმა თვალებმა მე დამიბრუნა ენერგია და სიცოცხლის ძალა. რამდენ-

ჯერმე კიდევ ვეწვიე ბრაჰმინს. ახლა გავიგე, რომ აბსენ ტუნგის ბინა ინდოელი იოგების და მისნების მთავარი შტაბი ყოფილა. განუსაზღვრელად დამამშვიდა ბრაჰმინთან მისვლა-მოსვლამ. აშკარად ვგრძნობ, ჩემი უშველებელი ენერგია, რომელიც მსოფლიო ქალაქის ნერვიულმა ცხოვრებამ და აფთარივით გაუმაძღარმა თეთრმა ქალებმა მოადუნეს, ნელ-ნელა მიბრუნდება. იმედი მომეცა, ხანგრძლივ მგზავრობას ადვილად ავიტან. გარდა ამისა, აბსენ ტუნგთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ამიერიდან ევროპაში ჩემი დარჩენა ზედმეტი იყო. აქ მუდამ გატკეპნილ გზებზე უნდა იარო კაცმა. ჩემი ენერგია ასპარეზს მოითხოვს, ჩემი ფილტვები — სუფთა, შეურყვნელ ჰაერს, ჩემი სული — მარტო ყოფნას და შემოქმედებას.

მოსაწყენია მუდამ სხვის ქვეყანაში ყიალი, სხვისი ნამოქმედარით აღტაცება. და მერმე მე დამღალა დასავლეთმა. ასე არასდროს არ მომნატრებია მარტოობა და შინყოფნა.

ასე არასდროს არ მომნატრებია ვენახი, ჩემი ვენახი!

საქართველოში დაბრუნება რომ კადავწყვიტე, უწინარეს ყოვლისა, აბსენ ტუნგზე შეჩერდა ჩემი ფიქრი. ელემენტარული ზრდილობა მოითხოვდა გამოვთხოვებოდი იმ კაცს, რომელმაც მრავალ იდუმალ საგანზე ამიხილა თვალი და ისეთი რამეები შემაგნებინა, რასაც წიგნებით ვერასოდეს მივსწვდებოდი. ერთხელ რომელიღაც თამბაქოს მაღაზიის ვიტრინაში შესანიშნავ ჩიბუხს მოვჰკარი თვალი: ძლიერ ლამაზი, ავსტრალიური წითელი ხისაგან ხელით გაკეთებული ქარვის საპირე ჰქონდა.

საერთო წესია: მოწაფე და თაყვანისმცემელი გამოთხოვებისას რაიმე საჩუქარს შესთავაზებს თავის აკარუას, ბრაჰმინს საუცხოვო გაზაფხულის დილა იყო. აბსენ ტუნგის ბინის შუშაბანდიანი აივანი მწვანილოვან სავინის მოედანს გადასცქეროდა, დილის მზე კაშკაშებს გაკრიალებულ შუშებზე. ახლაც აჰუდამ გამიღო კარი. გამიღიმა, თავისი ბროლივით თეთრი კბილები შემომანათა. იმ დღეს ფრაკი მეცვა, სატევრის ნაცვლად ჯოხი გამომართვა აჰუდამ და კუთხეში მიაყუდა.

ჩვენი საუბარი ახლა უფრო ბუნებრივად მიმდინარეობდა: „მე მაგონდება, უნეტარესო აკარუა, დავარღვიე პირველმა

დუმილი, როცა პრაჩინა ჰოგაა უდალაკა არჰუნის ეწვია და მასთან საუბარში თავისი უვიცობა გამოამჟღავნა, შესთხოვა მაშინ თავის მასპინძელს მოწაფედ აეყვანა სტუმარი. მე ვარ შემა, ნეტარო აკარუა, თქვენ კიდევ — ცეცხლი მე მინდა ვისწავლო თქვენი ბრაჰმაკარიამ".

ბრაჰმინი სწრაფად წამოდგა:

„მაშ მე ვიქნები თქვენი ბრაჰმაჩარინი — და თქვენი სახელი იქნება კა".

ისევ დაჯდა. მარცხენა ხელი მომკიდა მარჯვენაზე.

„ამიერიდან შენ იქნები ინდრას ბრაჰმაჩარინი, აგნი იქნება შენი მასწავლებელი. ამიერიდან შენ მიუდგომელი იქნები ტანჯვისათვის, როგორც ბრწყინვალე მზის კარავი — ჩრდილისათვის, როგორც ცეცხლი — ყინულისათვის. მე გადაგცემ შენ ღმერთს სავიტარას, მე გადაგცემ შენ ღმერთს პრაჯაპატის. მე გადაგცემ შენ წყალსა და ბალახებს. ზეცას და მიწას გადავცემ მე შენს თავს და ვერც სოლიერი და ვერც უსულო ვერაფერს გავნებს"...

პაუზა.

იგი ისევ თავის პატარა ყვითელი პერგამენტის წიგნში ხმადაბლა კითხულობს. ფურცლავს, ისევ კითხულობს. ადგა. თავზე ხელი დამადო.

„წყალია უკვდავების სასმელი, დალიე", მეუბნება.

„აჰუდა", დაიძახა

აჰუდა შემოვიდა.

წყალი დაასხა. მომიტანა. ვსვამ. აზსენ ტუნგი კალი თვალით სუტრას კითხულობს. ისევ სუფრაზე დასდო წიგნი. ხმამაღლა ამბობს:

„წელიწადში 12 თვეა, თორმეტში ცხრა. ცხრა თვეს ადამიანი იბადება. მერმე ჩვენ სიტყვას მივაწვდით მას" ადგილი შემაცვლევინა. სამხრეთისაკენ დამაყენა და სავიტრი წარმოთქვა.

„თვალო თვალისა, გულო გულისა,
ფიქრისა ფიქრო, ზრახვისა ზრახვა,
ნეტავი იმას, ვინცა შეიძლო,
ბრაჰმანის ხილვა, ბრაჰმანის ნახვა"

გამამეორებინა.

ისევ თავის ადგილას დაჯდა. აჰუდა კარებთან ფეხმორთხმული იჯდა. კისერზე შავი გიშრის მძივები ეკიდა, რაღაცას ბუტბუტებდა, ცალი ხელით თავს იფხანდა.

„ნეტარო აკარუა, დავარღვიე ისევ დუმილი, მაშ რამდენ ხანში გადმოვა ჩემში ბრაჰმანი?"

„შესაძლოა ექვსი თვის შემდეგ. წელიწადში ექვსი დროა, ცხრა თვეში დვრიტა ვრთარდება, დვრიტიდან ადამიანი იშვება, ადამიანს ჩვენ სიტყვას ჩავუდებთ პირში. შესაძლოა ოცდახუთი დღის შემდეგაც. რადგან წელიწადში ოცდახუთი ნახევარი მთვარეა. შესაძლოა სამი თვის შემდეგ, წელიწადში სამი მოქცევაა".

„მაშ ესეც მიბრძანეთ, ნეტარო აკარუა, როცა ადამიანი ბრაჰმას ბრწყინვალე მოძღვრებას ეზიარება, როგორი ცხოვრება უნდა ატაროს მან?".

„იგი უნდა ერიდოს სქესობრივ კავშირს. იგი უნდა ერიდოს ქალის შეხედვას, — რადგან ქალი ნებისყოფასართმევს მამაკაცს".

„მაგრამ ქალმა რომ შემომხედოს, მაშინ რა უნდა ქნას მამაკაცმა, ნეტარო აკარუა?"

„არ უნდა დაელაპარაკოს ქალს. რადგან ქალის არსება თევზისასა ჰგავს, ორივეს საიდუმლო უფსკრულები ასაზრდოებენ".

„ესეც მასწავლეთ, ნეტარო აკარუა, რამდენი სქესია ამ ქვეყანაზე?"

მან მარცხენა ხელი მარჯვენაზე წამავლო:

„ყველა აქაური არსება ორი სქესისაა, პრიოტით: ღვთიურისა და ადამიანურის. ადამიანის თესლის ნაშიერი დედის დვრიტისაგანაა წარმოშობილი, ღვთაებრივის — კაცის პირისაგან".

ისევ მომკიდა აბსენ ტუნგმა მარცხენა ხელი მარჯვენაზე და მეუბნება:

„შენი სახელი მარქვი?".

„კონსტანტინე, ნეტარო აკარუა".

„შენ ვისი მოწაფე ხარ?".

„თქვენი, ყოვლად ნეტარო".

„შენ ხარ ამიერიდან ინდრას და აგნის მოწაფე. მე ვარ შენი მასწავლებელი".

„აჰუდა, დაიძახა აბსენ ტუნგმა. აჰუდა მოვიდა. რაღაც უთხრა ჰინდუს ენაზე. აჰუდამ ვეფხის ტყავის მოსასხამი მოიტანა. ფრაკი გამხადა და წამომასხა.

„ამას სანსკრიტულად რურუჰ ჰქვია, დაიმახსოვრე“, მეუბნება და წარსთქვა მანტრა:

„როგორც ბრიხასპატრიმ ინდრას ჩააცვა უკვდავი სამოსი, ისევე შეგმოსავ მე შენ სიცოცხლით სავსე ძლიერებისა და დიდებისათვის“.

„აჰუდა“, დაიძახა ისევ. კიდევ რაღაც უთხრა ჰინდუს ენაზე. აჰუდამ კანაფის სარტყელი შემოიტანა. აბსენ ტუნგი ადგა, სამჯერ შემომახვია წელზე მარჯვნიდან მარცხნით, სამჯერვე გაკვანძა და წარმოსთქვა მანტრა:

„შენ, წელსარტყელო, სიმართლის დამცველო, ძლევისა შემცველო, მტრებისა მრეო! დეე ეს შენი მატარებელიც იყოს უვნებელი, უკუნითი უკუნისამდე“.

ისევ ამაყენა მარცხენა ხელი მარჯვენა მხარზე წამავლო. ჩურჩულებს:

„მე გადაგცემ შენ პრაჯაპატისო, კონსტანტინე სავარსამიძე! ვისი მოწაფე ხარ შენ? შენ სუნთქვის მოწაფე ხარ, მე გადაგცემ შენ კას. ო აგნი, მე შენ გადაგცემ ამ კაცს. ძლიერი ნებისთვის, კეთილი მოდგმისთვის. ო, ინდრა, ჩვენ დავუთმობთ მას ბრაჰმანს დიადი სწავლისთვის, ტკბილ სიბერისათვის“. მარჯვნიდან მარცხნით მიმაბრუნა, გულზე ხელი დამადო:

„მე დავუმორჩილებ შენს გულს ჩემს ნებისყოფას. მისდიოს აზრმა შენმა ჩემს აზრს, გრძნობამ შენმა — ჩემს გრძნობას. და შეგვაერთოს მე და შენ ბრაჰმანმა“.

ისევ მარჯვნით მომაბრუნა, პირი აღმოსავლეთისაკენ მაქნევინა. ლოცულობს. მიკარნახებს:

„მივიქცე მე მარჯნიდან მარცხნით, მოქცევითა მზისათა“. შემდეგ წინ დამიყენა და იღლიაში ხელი გამიყარა, გულზე დამადო და ამბობს:

„დეე ვიქნე მე გულისა შენისა მესაიდუმლე. უვნებელ იქნე შენ უკუნითი უკუნისამდე“.

მიბრძანა დუმილი დამეცვა, მარცხნით შევბრუნებულიყავ. ზურგშექცეული ვდგევარ მის წინაშე:

„ბრაჰმანი იყოს ჩვენი მარადი კავშირი. მიბრუნდი მზისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცევით". მიბრძანა აღმოსავლეთისაკენ პირი ვიბრუნო, ისევ გულზე დამადო მარცხენა ხელი. ბუტბუტებს:

„სუნთქვისა ყოველო ნასკვო, არ დაიმალო, არ დაიმსხვრიო უკუნითი უკუნისამდე. ანტაკას გადავსცემ მე ჩემს მოწაფეს. სუვაჰა, სუვაჰა... მე მოგათავსებ შენ რიგვედაში, ბრაჰმანში, სიტყვაში, ო, კონსტანტინე სავარსამიძე! მე მოგათავსებ შენ იაჯურვედაში, ჰაერში, სივრცეში, ბომბმანში. სუვაჰა, სუვაჰა, სუვაჰა.

მე მოგათავსებ შენ სამვედაში, ზეცაში, მზეში, ხედვაში, ბრაჰმანში. მე მიგულებდე შენ ცეცხლის მაგივრად, ორივენი ვიქნებით სუნთქვაში და ცხოვრებაში".

მიბრძანა: „იბრუნე პირი ჩემსკენ". მარცხენა ხელით შემაბრუნა და აღმოსავლეთისაკენ პირი შემაქცევინა.

„ილტვოდე ადამიანების სიტყვისაგან, ესწრაფებოდე ღვთაებრივ სიტყვას. ო, კონსტანტინე სავარსამიძე". ისევ ჩურჩულებს: „ყოველი ღმერთი გფარვიდეს შენ. ნურც შეგეხება ხელი შორეულის, ნურც ახლობელის. მოვიდეს მიტრა დაწესებულ მზის მოქცევისას, მორთოს ქვეყანა ვეცხლის სხივებით. აგნი, გაველრევ, აშორე სიკვდილი. სიკვდილის ღმერთო ანტაკი, ნუ წაართმევ ამ კაცს, ნუმც სუნთქვას და ნუმც ამოსუნთქვას. იცოცხლოს უკუნი მზის 'ამკვიდრებელში მოანიჭე ნაკადი უკვდავებისა და განუწყვეტელი უკუნეთი შეანარჩუნე. ღმერთო ანტაკი, შენ მოგიძღვნით სუნთქვასა და ამოსუნთქვას ნუ ჩაეფლები უკუნეთში, ნუ დაიქცევი".

ორივე ხელი ორივე ხელზე მომკიდა. ამბობს ხმამაღლა:

„სავიტრას ბრძანებით, აშვინის ხელებით, პუშანას კუნთებით მე მოგილე შენ. ო კონსტანტინე სავარსამიძე!"

აივანზე გამიყვანა, მარცხენა ხელი ჩემს მარჯვენას მოჰკიდა და მიბრძანა: მზისთვის მემზირნა, ჩურჩულებს: „ღმერთო სავიტრა. ისევ შენ მოგგვარე მოწაფე შენი. აღმოსავლეთით აღმოხდა ნათელი თვალი. ას წელზე მეტსაც მეტყველების უნარი ექნეს. ას წელზე მეტსაც უმზერდეს მზეს".

მე გამოვეთხოვე აბსენ ტუნგს. დაბალი სალამი მივეცი, ჯიბიდან ჩიბუხი ამოვიღე და ბოდიში მოვიხადე მცირე ძღვენისათვის. მას თვალები გაუბრწყინდა. ერთბაშად დაჰხედა ჩიბუხს. გაიღიმა. მაჩვენა ინგლისური ფორმის შტამპი.

„ჩემი მტრების გაქეთებული საქონელით მე არ წავიბილწავ პირს. მაგრამ თქვენს სახსოვრად დარჩეს მაინც“.

ეს იყო ერთად ერთი ღიმილი, რომელიც მე ვნახე მის ბაგეზე. ვერ ვიტყვი. ამ ღიმილით იგი ჩემს უვიცობას დასცინოდა თუ თავის სულგრძელობას იჩენდა. ყოველ შემთხვევაში ეს ღიმილი ისე გამოუცნობი დარჩა ჩემთვის, როგორც მისი გასაოცარი პიროვნება.

ძველებური ენერგიული ნაბიჯით მივდიოდი იმ დღეს კურფიურსტერ დამზე. ისევ დამიბრუნდა სიცოცხლე და მზის სიყვარული. მახარებს ახალგაზრდა შვენიერი ადამიანების შეხვედრა, პროსპექტზე მოსეირნე, მოარშიყე ქალებისა და ვაჟების შეხედვა... დღეს ყველას გამოვეთხოვე ბერლინში. ახლა ზოოლოგიური ბაღის ნადირები, ფრინველები და აქვარიუმის თევზები და ქვეწარმავლები.დამრჩა. როცა აბისინიის ლომს უკანასკნელად შევავლე თვალი, მე ვიგრძენი, რომ უკანასკნელ წელს ბერლინში ორმა არსებამ მოახდინა ჩემზე უდიდეს ზეგავლენა: ჰინდუსტანის ბრაჰმინმა — აბსენ ტუნგმა და აბისინიის ჯუნგლების უგვირგვინო მეფემ.

ერთხელ კიდევ წავედი ბერლინის ფრიდრიჰ მუზეუმში, მოვძებნე მესამე დარბაზის კუთხეში მდგარი მიქელანჯელოს გოლეულის მჭამელი იოანე. ამ წმიდანში დიონისოს ქალ-ვაჟურ სინაზეს ეტრფოდა ჩემი წარმართი თვალი. ჯენეტი ფარვიზს ამსგავსებდა მას, მე კი — შვებისა და თრობის ღმერთს. ბერლინშივე, ამ ქანდაკების წინაშე მდგარი დავრწმუნდი, რომ ბრაჰმინის აბსენ ტუნგის ასკეტური ქადაგება მგლის თავზე სახარების კითხვა ყოფილა თურმე, რადგან ჩემში ისევ ძლიერი დარჩენილა გაილინიბული წარმართი ლაზი.

## 16. წმიდა ქონდრისკაცი

ისევ აქა ვარ, ჩემს მიწაზე! ყოველთვის, როცა უცხოეთიდან საქართველოში ვბრუნდები, ასე მგონია ხელმეორედ დავიბადე. მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასე თეთრი, აქატის ღრუბლები, ასე ტკბილი გამჭვირვალე ჰაერი. არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ

უდის სხვაგან. ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება. ეს მშვენიერი ამეთისტოს მთები, ეს გულჩათხრობილი ნაძვნარები, დაბლა ჭალაკი ვარვარებს.

ნეტავ საიდან ამოდის აბასთუმანში მზე? ადრე, ძლიერ ადრე გადმოდგება თხემზე ბოლოგაშლილი ოქროს ფარშავანგი და დაიწყებს პურპურის თოვა ამ ნაძვნარზე, ღელეებში, ხრამებს გადაღმა. დილით უცნაური მელოდია ამყვება, ოდესღაც ბავშვობაში მაქვს განაგონი.

მზე — მზიანობით,

სვე — სვიანობით,

დილას ამოხდა ფარშავანგულად.

მე არ მინდა ვიცოდე, თუ საიდან ამოდის მზე აბასთუმანში ან მზის გარშემო. ტრიალებს მიწა, თუ პირიქით: ჩემთვის ეს სულერთია. ჩემი ერთადერთი სურვილია: არ მინდა ვიყო საუკუნის ნაბოლარა და დეკადენტი. შორს ყოველივე

Aristocraties des nerfs!

რას მიქვია ნერვების არისტოკრატობა?

ჰმ...

მამაჩემს სულ არა ჰქონია ნერვები. მას უყვარდა ვენახი. წერა-კითხვა ხარის ბეჭზე ისწავლა. გათავდა და მორჩა. მან ეს იცოდა რომ, კარგია ქალი ლამაზი, ღვინო — კახური და საუცხოვოა ადევნო თვალი, თუ როგორ დაიკარგება ეთერში დაუგეშავი, ექვნებიანი მიმინო. ეს იყო ყველაფერი, რაც მან იცოდა და მეტაფიზიკით აროდეს შეუწუხებია თავი.

აბასთუმანში ექიმები გველეშაპებზე მონადირეებსავით ჩასაფრებულან. რა მენაღვლება, რამდენ სისულელეს ამბობენ ექიმები. მე არც ის მჯერა, რომ მიწა მზის გარშემო ტრიალებსო რომ ამბობენ, და თითქოს ჰაერი ბაცილებით იყოს მოწამლული. მე ის მჯერა, რასაც ვხედავ და რაც მე მინდა დავიჯერო.

ბასტა!

მე ეს მჯერა აბასთუმანში შვენიერი ნაძვებია. მრავალი ლამაზი ქალია. სოფლური იდილია. უვნებელი ჭორები. სიწყნარე. არც ტრამვაი, არც წიგნები, არც პოლიტიკა, და არც ტრაბახი რითმების, მეტაფიზიკის და კულტურის შესახებ.

არავითარი მეტაფიზიკა!

ხელები ჯიბეში. შავტარიანი ყალიონი პირში. თვალებში ვაბოლებ ამ უსაზღვრო ეთერს. კახურ ღვინოსა ვსვამ და ღამით შინ რომ ვბრუნდები თურმე ძლიერ გაუგებარ სიტყვებს ვბუტბუტებ.

აზალავანი: ზაზალავანი: ასრნი: პარსნი; პასრაგანი: სერესტემ: სოროსტენ: იკართი: მიკართი: ალასმერთი: არა ღმერთი: არა წმიდა.

კარგია გაუგებრად ლაპარაკი, როცა მოწადინებული ხარ, არ იფიქრო. არ მინდა ფიქრი, არც წვერის მოპარსვა. თუნდაც ოჩოკოჩს დავემსგავსო.

მინდა ვიყო: წყნარი, უჩინარი, უხილავი, მარტოხელა. დავიწყებული, უდაბნოში მოხეტიალე ლანდის ლანდი, სხვა არაფერი.

პირში ყალიონი მქონდეს და ხელები ჯიბეში.

ფიცი დავდევი: არაფერს წავიკითხავ, არც არავის დაველაპარაკები. აბა რა მენაღვლება, ვინ რას ფიქრობს, ვის რა დაუწერია: მაგრამ... დიასახლისმა ამ დილით ფოსტა გადმომცა: პარიზიდან წერილი მოსულა! არ შემიძლია არ წავიკითხო.

ჩემს მეზობელს საშინელი, ხმაჩახლეჩილი გრამოფონი აქვს. როცა თეთრებიანი ქალი აივანზე გამოიტანს გრამოფონს და აახჩავლებს, მაშინ მე თემშარაზე გამოვდივარ... მაღალი, წერწეტი ალვისხეები მეგულება გზის გაღმა-გამოღმა. მე ეს მახარებს. ქანაობენ, ირხევიან მაღალი ალვისხეები. ეს უამრავი ბეღურები!...

მე არ მიყვარს ბეღურების შეხედვა. ისინი ლუქსემბურგელ ინვალიდს მაგონებენ. მე არ მინდა სიცილს გადაჩვეული კაცის მოგონება, რადგან მე მინდა ვიყო მხიარული და ბედით კმაყოფილი. უდარდელად ვუღიმოდე ამ მაღალ ალვის ხეებს, ამ საუცხოვო ნაძვნარს, ამ ცუღლუტ ბეღურებს, და იმ სალოდავ მათხოვარს, ხიდის ყურში რომ აგდია შიშველი.

ორიოდე ნაცნობმა ჩამოიარა. ვეღარც კი მიცნეს...

ვიგონებ არემარეს. ამ ალვის ხეებს. ამ პატარა ხიდს. ამ რიყეს და ნაძვნარს. ასე მგონია, რიკტაფელა მითამაშნია აქ ბავშვობაში, ამ ღელეში წყლის წისქვილები მიკეთებია.

ო, როგორ მიხაროდა! მინდა ისევ ბავშვი ვიყო და ნებიერი, მიხაროდის, რომ მიწაზე ბალახი ამოდის. ალვის ხე რომ

ქანაობს, ტყეში გუგული იძახის, ბილიკზე ხოჭო მიცოცავს. მაღალ ბალახში ვწევარ. ამ სერიდან ხევს გადავჰყურებ. მუხლზე წიწვი დამეცა. ეს საცოდავი ჭიამაია; რამდენი მიწვალებია ოდესღაც. ეს გრძელულვაშიანი ბუზანკალა, „დადიასხარს“ რომ ვეძახდით მეტ სახელად მე და ჩემი ძიძაშვილები.

ორჩოფეხებზე წამოსკუპებული მინდვრის კალია. ჩემს ყურთან, ჩემს ფეხებთან, ჩემს თავზე და ჩემს გარშემო დაცოცავენ, დაფუსფუსებენ.

ნუ გეშინიათ, ჩემო კარგებო. მე თქვენ ხელს არ გახლებთ. ყველანი დალოცოს ღმერთმა, ყველამ თავის გზაზე იაროს.

და მეც მაქვს ჩემი გზა დილით და საღამოთი. ეს არის გზები, პატარა საცალფეხო ბილიკები იმ ნაძვნარიდან ამ ნაძვნარამდის, იმ ხიდის ყურიდან ამ სერის თხემამდის.

მზე — მზიანობით,

სვე — სვიანობით,

დილას ალმოხდა ფარშავანგულად.

სერიდან წალიკონმა წამოუბერა და ისმის ნაძვების ქორალი. თითქოს ორგელი დაუდგამთ ტყეში. ტყის გულში მღერის და გუგუნებს აქყოფნის, ერთადყოფნის, მზისქვეშყოფნის სიხარული.

ჰოი, მარტოობავ ათასთა შორის! მთელი საათი ვიხეტიალე ნაძვნარში. აქ ცოტა მზეა, სხივი გამოპარვია ნაძვების ბანჯგვლიან თათებს. პირაღმა ვწევარ ხავსზე. ზეცა დამცქერის ციკლოპის თვალით.

მზეო, მზეო, მზეო! მე სამჯერ ხმამაღლა ვახსენებ შენს უქვდავ სახელს, და მე ვგრძნობ, მე უძლეველი ვხდები, და ნელნელა ვიკურნები. დამაცხუნე, გამათბე, დამწვი, დამრუჯე და შემითვისე საქართველოს დროშავ, მაღალტანიანო, ლომისპირიანო. ამოაშრე ჩემს სახსრებში უცხოეთში შესუნთქული ნისლი და სინესტე.

მზეო,

მზეო,

მზეო,

მნათობთა დედუფალო, დედავ მოხუცებულო და ალერსიანო!

გაათბე ჩემი ჩრდილოეთში გათოშილი სხეული და მასწავ-

ლე მე შენი დიდი სიყვარული, შემაყვარე ჩვენი წილხვდომილი მიწის ნაჭერი. ისიც მასწავლე. როგორ უნდა ვიყო ბედნიერი და ცოტა ვიფიქრო ჩემი ბნელი სისხლისათვის.

მასწავლე შენი უშურო მზერა და ღიმილი, რადგან მე არ მინდა ვჰგავდე იმ მახინჯსა და სიცილს გადაჩვეულ ინვალიდს.

თვალებსა ვხუჭავ, ხავსში ჩავრგავი თავი. ეს ხავსი დედის კალთასავით ტკბილი ყოფილა! ეს ხავსი საყვარლის თმასავით სურნელოვანი ყოფილა!

ვდგები, მივდივარ, არ ვიცი — საით?

ძირს — მზით ნაფერი ქალაქი, სულ ქვევით — ველი, ლაღად გადაჭიმული და ზედ ზვინები, ოქროს კარვები. მზით დაფერილი კარვები. გლეხის ურემი თივით დატვირთული.

აქ კიდევ ნაძვების წვეროკინები ირხევიან, ქანაობენ, და თავს აქნევენ ამ უშველებელი სასწაულით გაოცებულნი, რადგან, საოცარია ეს ელვარება, ეს ბალახი, უფრო საოცარი, რომ აქ დავდივარ, აქამდის მოვაღწიე და ისევ ჩემი უკვდავი დედის კალთაში ვწევარ, მე დედის ალერსს დანატრებული, მე შორეთს გაფრენილი, საცოდავი, მარტოხელა გულწითელას მართვე შინ მობრუნებული!

დილის ჰაერი შემოიჭრა ჩემი სხეულის ნაჩვლეტებში. ჩემი ტანი ბუმბულივით სუბუქია და ნიავსაც შეუძლია აქედან წამიღოს და ჰე, იქითკენ, უშველებელ სინათლის ზღვაში გადამტყორცნოს, ხევის უფსკრულისაკენ გამაქანოს. იქ ლოდებს შორის გველის პერანგივით ლაპლაპებს წყალი.

მზე — მზიანობით,

სვე — სვიანობით,

დილას ალმოხდა ფარშავანგულად.

და ჩემი მკერდი განიერდება. ჩემს ნესტოებში ეს გამსჭვირვალე სინათლე შეიჭრა. მტკიცე ნაბიჯით მივჰყვები ბილიკს. მახარებს ჩემივე ფეხის მელოდიური ტაქტი. მივჰყვები პატარა ბილიკს, სულ აღმა, სულ აღმა, სულ ზევით ჰაერისკენ, ცისკენ, მზისკენ.

და მიხარია.

თუმცა სულ ერთია, გინდა აქ ვიყო, გინდ იქ, ამ სერზე, იმ ხევში, თუ მანდ მზვარეში.

ყველგან ღმერთია და ყველგან სული, ყველგან მწვანე და

მწერი, ყვავილი, გამხმარი წიწვი. ყველგან ღვთაებრივია ეს დილა, ეს მზე, ეს ტყის გუგუნი და მარტოობა. ეს ათას ხმაზე ამღერებული, ათას ფერზე მოხატული. ხეზე მწვანე, მიწაზე მოლი, ხავსი, ბალახი და ჭიაღუა. ეგ თვალშეუვლები, თვალით-შეუცნობი და გარეშეუწერელი სამყარო ღვთისა. და მე ბობ-ლია ტყის სატირივით ჩამოვდივარ სერიდან. რაღაც გაუგებარ სიტყვებსა ვრომავ ჩემთვის. ჩემს ყურში განუსაზღვრელი ხშუილია.

ნაძვნარი ხშუის და მღერის თავის მარადიულ სიმღერას.

მე კი მგონია ეს ჭაბუკური სისხლია, ჩემში რომ დრტვი-ნავს ტკბილი ჭურივით, ბორგავს და მოძრაობს, რადგან მზე და სინათლე მოაწვა ჩემს ნესტოებს, ჩემს თვალებს, ჩემს ტუ-ჩებს, ჩემს სახეს... ჩემი სხეულის ნაჩვლეტები გაიხსნა და ჩე-მი ტანიდან იფრქვევა მოჭარბებული სიცოცხლის ძალა.

და ძირს ხევში, ნაძვნარის წვეროკინებზე, გაღმა ჭალაკში და იმის იქით ვიდრე ბნელეთამღის კაშკაშებს ეს თეთრი ღრომა მარადისობის.

ჩემს ფერხთით მომწვანო, პაწია მატლი მიჩოჩავს, სულ ნელა, აუჩქარებლად. დაკვირვებული, დინჯი, საფირონის ფე-რი მწერი მიდის თავის გზაზე ბალახებს შორის.

ნაბიჯს ვუკელი, მივმყვები ბილიკს. ჩემს ყურში ისევ ხშუის... ნაძვნარის შუაგულში ისევ გუგუნებს ტკბილ საგალო-ბელს ვილაც და რაღაც...

და მინდა სიხარულისაგან ისტერიული ხმით დავიყვირო.

ჩუ, ხევში გრიალი გაისმა, ნუ გეშინია, საცოდავო ბოლო-ქანქარა, გულგახეთქილო რომ ავარდი წელან ხევიდან. ეს მე ავილე უშველებელი ლოდი და ჭაბუკი ამირანივით შორს გა-დავტყორცნე.

- ეს — მე ვარ ტყეში, ოჩოკოჩი, ნუ გეშინია!

მთვარეულივით დავხეტიალობ ტყეში.

დავილალე. მოლზე ვისვენებ. მაღალი ბალახი!

რძია-რძია, სამყურა, ქრისტესთვალა, ობოლა, ოშოშია ახ-ლოს არიან ეალერსებიან ჩემს თვალს, ჩემს ლოყებს, ჩემს სა-ხეს.

ისე მეფერებიან როგორც ლაშქრობიდან დაბრუნებულ ძმას მოსიყვარულე დები. ნუ მომაკლებ სიყვარულს, საქართვე-

ლის მიწავ კურთხეულო, მომიტევე განდგომა და უცხოდყოფნა. დამიბრუნე, შემითვისე და შემიყვარე ისე, როგორც გიყვარდი როცა ფეხშიშველა დავრბოდი შენს მკერდზე და არ მეგონა თუ შენი ზღვარის გადალახვება შეიძლებოდა, ან შენს იქით თუ იყო სხვა გზა, სხვა მიწა და სხვა საზღვარი...

ვწევარ პირაღმა მწვანეზე. აქედან ვხედავ: გაღმა სერზე ვიღაცა მოცლილი ჰამაკში ჩამჯდარა და წიგნსა კითხულობს. რა სასაცილოა, როგორ შეიძლება ამ ნაძვნარში წიგნის კითხვა?

ეს ამბები წიგნებში არა სწერია. აქ მარტო უნდა იყო, ამ დიდ წარმოდგენას მარტო უნდა უყურო. მე რას დავეძებ იმ კაცს, ჰამაკში რომ კითხულობს წიგნს. მე ზღვარი მინდა დავუდო ჩემს ძველ ფიქრებს, ჩემს ძველ ხეტიალს, აქ ვიყო მარტოკა და როცა ჩემთვის ვამბობ:

ჰია-მაია,

მზე,

ბალახი... თვალსა ვხუჭავ, უშველებელი სასწაული იხსნება მაშინ ჩემს სულში.

ყველაფერი საოცარია ამ ქვეყანაზე.

ეს მზე,

ეს მიწა,

ეს ბალახი და ყვავილი, მწერი და ქვემძრომი.

გაოცებული ვარ სწორედ, რომ აქ კიდევ ვინმეს შეუძლია წიგნების კითხვა და ბრძნული აზრებით თავის ნუგეში.

აქ მზეა,

ნაძვნარი და ბალახი.

და ქვევით ხევში დიდი, დიდი უფსკრულია. ამას შენ ვერ ხედავ, ჰამაკში მჯდომარე ბრძენო! ჰოდა, რა მიამიტი ხარ, შენ წმიდაო ქონდრისკაცო! ვამბობ და ვუღიმი ამ მზეს, ამ ნამრუდისფერ უსაზღვრო ცას, რომელზედაც არც ერთი ღრუბელი არა სჩანს.

არც ჩემს გულშია რაიმე ეჭვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მეთორმეტე

## 47. ჰიმნები ხეებისადმი

არ ვფიქრობ, არ ვმუშაობ, არ ვწუხვარ.

დილით მზეს წამოვყვები. მუხლუხასავით, რგვალი, ხელებდაწითლებული დიასახლისი ყავას მიმზადებს, თანაც აბასთუმნის ჭორებს მიამბობს. ყავას შევექცევი, ყალიონსა ვწევ.

ჩვენი მეზობლის ცოლს სამი გირვანქა მოუმატნია თურმე. დიდი ამბავია სწორედ!

ჩემი ყალიონის კვამლი გაღებულ ფანჯარაში გადის. თვალს ვაყოლებ.

შარაგზაზე ჯოგმა გაიარა. ზანზალაკებიანი თეთრი ძროხები და მოზვრები მიკუნტრუშებენ, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ქაქანებენ მეჯოგეები. ზანზალაკები მხიარულად ჟღარუნებენ. ავტომობილმა გაიარა, მტვერი და კვამლი ააყენა.

გუდიანი, კომბლიანი მეჯოგეები ხზორებს მისდევენ...

„ქალბატონო სალომე, სად მიერეკებიან ამ ჯოგს, თუ იცით?“ ვეკითხები ჩემს დიასახლისს.

„რკინისჯვარისკენ, იქ ბინადრობენ მეგრელი მეჯოგეები“. განმიმარტა სალომემ...

ისევ დაცარიელდა თემშარა. მოკლე შარვლიანმა ბიჭუნამ ველოსიპედით გაიარა, მტვერი ააყენა.

ახლა ორი მწვანექაბიანი გოგონა გამოჩნდა მახლობელი ნაძვნარის ბილიკზე. ერთს სინგურისფერი შალი აქვს კისერზე. მეორეს დახვეული ჰამაკი მიაქვს.

არც ქუდი მიმაქვს, არც ჯოხი. მივჰყვები ბილიკს, მდინარის გაღმა. ამ დროს კარგია ამ ნაძვნარში. ობობას ქსელი გაუბამს ნაძვსა და ნაძვს შორის. ობობას ქსელზე კიაფობს ცვარი... ბრილიანტების მანიაკი დარჩენია აქ ტყის დედოფალს...

ჩემ წინ უშველებელი უფსკრულია, ძირს კიდევ ნაძვნარი. და ეს ნაძვები ისე დაბლა მოსჩანან, მინდა მივწვდე, ქოჩორზე ხელი გადაუსვა, მივეალერსო.

ხეები,

ხეები, რა საყვარელი, ერთგული, უწყინარი არსებებია ეს წყნარი ხეები.

რა მოწყენა იქნებოდა ჩვენს მიწაზე, ეს ხეები რომ არ ყოფილიყვნენ. ისინი გვაფარებენ მაღლიდან კალთას წვიმისა, ქარისა და სიცხის დროს.

მაპატიეთ, ჩემო კარგებო, ჩემი ბავშვობის შეცდომები და ცილისწამება (როცა მეგონა, რომ უთქვენოდ ქარი არ იქნებოდა ამ მიწაზე!).

ჩვენ ეს ხეები გვასწავლიან თავმდაბლობას, სათნოებასა და შეუპოვრობას, გრიგალის მოლოდინში უშიშრად დგომას.

ეს ფიჭვები მაინც.. ტანაყრილი, აშოლტილი, ახოვანი რაინდებივით სდგანან და უცდიან... სდგანან და ისწრაფვიან ცისკენ, მზისკენ, უსაზღვროებისაკენ.

და როგორი სიხარულია, როცა ეს ზურმუხტის მუზარადიანი რაინდები ამღერდებიან, ალილინდებიან, როცა ქარი მიწაზე გადაირბენს, ფარჩის შლეიფის შრიალით გადაუშვებს სერებს გადაღმა!..

ამ ხეებს დიდი მოთმინება აქვთ. მათ დიდი და გაუმხელელი სიხარული აქვთ გულში. მათი გმირობა — ლოდინია, მათი სიცოცხლე — ჩუმი მარტვილობა.

მასწავლეთ, ჩემო კარგებო, როგორ უნდა იცოცხლო უჩივლელად, უკადრელად, უშიშრად და როცა ჟამი მოვა, როცა შეუძლებელი იქნება იქ დგომა, სადაც შენი წინაპარი ოდესმე მდგარა, იქვე, წაიქცე. სადაც თესლი შენი დაეცა და შენივ ცხედრით დაფარო ეს შენივე მიწის ნაჭერი.

მათგან უნდა ისწავლოს კაცმა გარინდებული აღტაცება და გმირული სიკვდილი.

ხეები,

ხეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეები, საყვარელი, უდრეკი, ამაყი ხეები.
ამ დედამიწის სიხარული ცად ატყორცნილი!
ამ დედამიწის მისტიური ორნამენტები!

## 48 პაემანი

საკვირველია, რა მემართება! მე უსაქმური, უდარდელი გავხდი. მარტო სიარული, მარტო ფიქრი... ფიქრი გასაოცარი საქმეა. მაინც მთლად ფიქრად, მთლად მოჩვენებად, მთლად ლანდად ქცევა. სულ უბრალო რამეებზე ვფიქრობ.

როდის ჩამოვა ნეტავი იგი?

ფარვიზი ჩამოყვება თუ არა მერმე...

კიდევ რა უნდა მოხდეს?

შესაძლოა, ადამიანი მთარულ ფიქრად გადაიქცეს... დღეები ისე მიჰქრიან, თითქოს ნაბდით დაჭედილ რაშებზე სხედანო.

ამ დილას ორიოდე ჭაღარა ვიპოვე ჩემს თმაში.

საათი გამიჩერდა. რამდენი ხანია ჩემი ღიასახლისის წიგნების თაროზე აგდია. ჩემი დიასახლისის პატარა ბიჭუნა ვახტანგ შემოკუნტრუშდა ამ დილით ჩემს ოთახში. ჩემ საათს თვალი ჰკიდა. ვახტანგს მე ძლიერ „ნასწავლი კაცი" ვგონივარ.

„ვინ გაჩუქა, ძია, ეს საათი?"

„ერთმა გერმანელმა ოფიცერმა", ვეუბნები.

„ვინ მოიგონა, ძია, საათი?"

„ქაჯმა და ეშმაკმა, რა ვიცი, ჩემო ვახტანგ?"

მაინც რა თავხედობაა, როგორ მიაგნო ამ აზრს ადამიანმა, რომ ამ პაწია ჩხირებით გაეზომა განუზომელი, დაულეველი, უსაზღვრო დრო.

და მე ბედნიერი ვარ, რომ არსად მეჩქარება, არაფერი მაღელვებს. მე ვეკითხები ჩემს თავს: თუ შეიძლება, ადამიანი მთლად ფიქრად, მთლად ლანდად რომ გადაიქცე? ა ა ა ა?..

ახ, რა სულელური ფიქრია!..

რა ლამაზად ამოდის იმ ნაძვნარს გადაღმა მთვარე! დასავლეთიდან უშველებელი თეთრი ფრინველებივით წამოშლილან ღრუბლები.

ღმერთი ღრუბელზე შემჯდარა და მოაგელვებს, როგორც აქლემს ბედუინი. ღამე ჩამოწვა ჩვენს აგარაკში, გაშავდა ნაძვნარი, ჩვენს ეზოში მდგარი ხეები და ეს ახელებს ჩემს ფანტაზიას.

რომელი საათია ნეტავ?

საოცარია, სიყვარულში და კაპრიზებში მთელი ქვეყნის ქალები ერთმანეთს რომ ჰგვანან!

ბოლოს და ბოლოს ყოველი ქალი მოსაწყენია. ყოველი მათგანი მოწადინებულია პაემანზე აცდევინოს მამაკაცს. მათ ეს უნდათ, პაემანის დროს მხოლოდ მათზე იფიქროს კაცმა. რომელიღაც ღამის ფრინველი დაფრთხა.

ფიტ...

ფიტ...

ფიტ... მთვარის შუქი შემოპარულა ამ ხშირ ნაძვნარში. სერზე გადამდგარი ნაძვების წვეროკანების ლანდებია, შავი ლითონის ჩუქურთმებივით მოსჩანან ცისკიდურზე. საიდგანღაც ტურების კივილი ისმის... ნაძვების ტოტებსა და ტოტებს შუა ელავენ ოქროს ვარსკვლავები.

პაწია, წვრილი ოქროს ქვიშა, ნამრუდის ფონზე გადაფრქვეული. ურიცხვი, ურიცხვი, ურიცხვი...

შორიდან მდინარის შრიალი ისმის... და კიდევ რაღაც გაურკვეველი რიალი. ისევ სიჩუმე... და მესმის კარგად ამ ნაძვნარში წიწვი ვარდება... ჩემი სმენა ნელ-ნელა ეჩვევა ბუნების უნაზესისა და ფრიად უმნიშვნელო ხმაურის გარჩევას. მივაბოტებ ნაძვნარში, ფრთხილად, რომ ფეხი არ წამოვკრა ამ შავ ნამორებს.

ფიჭვის ნამორზე ჩამოვჯექი და ვხედავ ღრუბელი ჩრდილოეთისკენ წაგრძელებულა, როგორც გამხმარი მკლავი უფლისა, იქვე ღრუბელი დიდი, როგორც გველვეშაპი წყლის ზედაპირზე, პირაღმა მწოლარე და მის გარშემო ნათელი დიდი, ცეცხლი ელვარე და მოკაშკაშე, ოთხი ფრთიანი ცხოველის მსგავსი ღრუბელი და ყოველ მათგანს ფრთა ოთხ-ოთხი და პირი ოთხ-ოთხი, და სცვივა მათგან ნაპერწკალი აელვებული, როგორც ცეცხლში ნაწრთობი რვალი. რა სუბუქი, რა საოცარი რძისფერი შუქი კაშკაშებს ცაზე ამ ღრუბლების გაღმა-გამოღმა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიჩქარიან დასავლეთიდან.
კიდევ ღრუბლები სხვანი და სხვას..
ოთხი არწივი ფრთა გაწეწილი,
და
ნიანგები სქელდრუნჩიანი.

მივჰყვები ნაძვნარს. ეს ნამორები, ეს კუნძები, მკვდარი ხეები. რას არ მაგონებენ, ამ ზაფხულის ნელტფილ ღამეში! იქ ცხენის თავის გამხმარი ჩონჩხი, მაღალ სარზე წამოცობილი, იქ, ურმის თვალი, და ურმის თვალში რაღაც ფრინველი ფრთადაწურული. და ეს ფიჭვნარი გამოუკაფავთ. ნაძვები, ცოცხალი და მკვდარი ნაძვები. აგერ ურჩხული პირდაღრენილი, ციცინათელასავით წვრილი, წვრილი ცეცხლის თვალები ელავან იქვე, ეგერ ფრინველი ჭვანგდაგრეხილი..

ფიტ,

ფიტ,

ფიტ... ეს ჭოტი იყო, მან აუარებელი წიწვები გადმომაყარა თავზე, და გამახსენდა, რომ სახლიდან უქუდოდ გამოვსულვარ... მე მომაგონდა ბავშვობა... შიში... და როგორ მიკვირს, რომ მე აწი ბავშვი აღარ ვარ.

ვიყავი ბავშვი და ოდესღაც რომ მეშინოდა.

აქ უთუოდ აგარაკია, არ ვიცი — ვისი. ფეხაკრეფით ჩავუარე დაბალ სახლს. უფარდო ფანჯრებიდან ვხედავ: ახალგაზრდა ქალი შეზლონზე წევს მკერდგადაღეღილი. მარცხენა ხელი მარცხენა ძუძუზე დაუფარებია. როგორის ყურადღებით კითხულობს წიგნს, ან რა ლამაზი ძუძუები ჰქონია ამ ქალს! პატარა ფინია გამოვარდა საიდგანღაც და ყეფით გამომიდგა. მე გავიქეცი და ამ ხეების ლანდებში გავერიე. ჩემს წინ კატამ გადაირბინა, კისერი მოიღრიჯა; ორი ამაზრზენი ცეცხლის კვარკვალიტა ანთებს ამ სიბნელეში. როგორ ანთებენ ამ სამგლეს თვალები! გავიფიქრე და ღობეზე გადავხტი. არავინ შემხვდეს, ქურდი არ ვეგონო.

თუმცა არ მესმის, რა განსხვავებაა სხვის ღობეზე გადახტომასა და სხვის ცოლისთვის პაემანის დანიშვნას შორის. ა ა?

ამ გორაკზე ისეთი სინათლეა, რომ ადვილად ვარჩევ ამ

ყვავილებს ბალახებისაგან. ჩემს თვალწინ თეთრმა ლანდმა გაიელვა. მივუწვდი გრძელ ნაწნავს და მოვიზიდე.

„თინა, შენა ხარ?“ პასუხიც ვერ მოასწრო, ვკოცნი ტუჩებში. ორივენი მახლობელ ხეს ვეყრდნობით, და ვდგავართ ამ მშვენიერი ღამით, ამ ხანგრძლივ კოცნით გარინდებულნი, როგორც ეს ბნელში ამართული, ნაყოფისაგან დამძიმებული ვაშლის ხე.

შტოებში უეცარი შრიალი მოისმა.

„ნუ გეშინია, ეს ნაყოფი დაეცა მიწაზე, და გულზე მოეშვა ხეს“.

ვამშვიდებ, მკერდზე ვიხუტებ ქალის მღელვარე მკერდს.

## 19. აპოკალიფსური კურო

კვირა დღეს თინამ დამპატიჟა სადილად...

ჩვენ აივანზე ყავასა ვსვამთ. კიდევ ორიოდე ნაცნობი ქალი მოვიდა. ახლა შევამჩნიე, ჩემი ნერვები მთლად დალაგებული არ არის. თინას ბავშვების ჟრიამულმა ოდნავ შემაშფოთა. მშფოთვარე, მდრტვინავი ახალგაზრდობა მოდის... გზა უნდა უტიო.

მე მარტოობა და სიწყნარე მომნატრებია. მაინც საოცარი გრძნობაა, როცა იმ ქალის შვილებს ხედავ, ოდესღაც ძლიერ რომ გიყვარდა და აფასებდი.

სადილად ცოტა კახური დავლიე; გადავჩვეულვარ ამ ღვინის სმას, ოდნავ თავი მტკივა. ნასადილევს ვამჩნევ: ღვინო თავში ამვარდნია.

თინას სიფრიფანა, ნაზი სხეული! მე ვუმღეროდი მის წერწეტა ტანს, რხეულ სახსრებს, პატარა არისტოკრატიულ თავს და მოგრძო სახეს (ძველი საქართველოს უკანასკნელ, ცოცხალ ფრესკას რომ ვეძახოდი). საოცრად დასრულებულა, ჯიშიანი გრძელი ხელფეხი არ შეცვლია, მაგრამ მკერდი და თეძოები უზომოდ დასრულებია. ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხეს დამსგავსებია თინა,

და მე... კი — ჩვენს ეზოში მდგარ უნაყოფო თხმელას. მე უცხოეთში დავალამე ჩემი სიჭაბუკე.

მე უცხოეთში შემომაღამდა. თმები გამცვივდა, ვბილები გამიფუჭდა, ძილი გამიკრთა და მწუხარებით ამევსო სული.

შევსცქერი ამ შვენიერ, აყვავებულ ქალს, ამ გაუხედნელ მოზვრებივით ბიჭუნებს და ჩემი სული მწუხარებით ივსება.

სად მივდიოდი მე მთვარეული და უცხო ნისლებს გადაყოლილი?

მქონოდა სახლი, მყოლოდა ასეთი ლამაზი ცოლი და შვილი. ოდესღაც ძლიერ ვუყვარდი ამ ქალს, წლიდან წლამდის მიცდიდა, და, ის იყო, მე გადავიკარგე სხვის ქვეყანაში, როგორც სიზმარს გადაყოლილი ლანდი.

ვის რა არგო ამ საოცარმა მარტვილობამ და ხეტიალმა? ან მე რომელი დემონი შემაჯდა მხარზე, სხვის ქვეყანაში რომ გადამკარგა?

ამ წუთისოფელში ყველაფერი ბედია და შემთხვევა!

სტუმრები მოითხოვდნენ ექლესიის ნაძვნარისაკენ გაგვესეირნა, მე თავი მტკიოდა, უარი განვაცხადე. დიასახლისი ნებას დამყვა სტუმრებიც ჩვენს სურვილს დაემორჩილნენ. აივანზე ვზივართ. პატარა ბიჭუნა აივანზე ასულ ავრეხის ლერწს მოებღაუჭა. ლამის ჩამოვარდეს... ავდექი. ძირს ჩამოვიყვანე. ვინ მისცა ამ ბავშვს თინას თვალები?..

ღმერთო სახიერო!

ეზოში გუდააკიდებული კაცი შემოვიდა

თავზე სვანური ქუდი, ტანზე — მოკლე ტყაპუჭი ეცვა. კიბესთან შეჩერდა, ორკაპიან ჯოხს დაეყრდნო.

„სულუგუნები ხომ არ გნებავთ, პატონი! მეგრული სულუგუნები?“ ეუბნება აივანის ალაგთან მდგარ დიასახლისს.

ეს კაცი ძლიერ მეცნაურა. გველნაკბენივით წამოვვარდი. კიბე ჩავირბინე. მარჯვენა ხელი მკლავზე მოვკიდე. შემოვაბრუნე. ვეუბნები:

„თემრაზ?“

ამ კაცმა გუდა მოიხსნა, განზე გადააგდო დაიძახა;

„ჯიბუტი“ და გადამეხვია. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა ჩემი ბავშვობის სახელი გავიგონე მისი პირიდან.

ერთ წუთში ამ უეცარმა სიხარულის ელდამ გაიარა. ორივემ ვიგრძენით, ჩვენს ახლოს უცხო ადამიანები ისხდნენ.

თემრაზმა თავისი გუდა აიღო, უკან დაიხია და შემომხედა

როგორც შორეულს. გული მატკინა მისმა მორიდებამ. აივანზე მსხდარი ქალები გაოცებული შემოგვცქეროდნენ.

ჯენეტს დღე-დღეზე მოველოდი, მაგრამ არც კი დავფიქრებულვარ — თემრაზს გავჰყევი მთებში.

საოცარია! სოფლელები მანძილს ვერა გრძნობენ. თემრაზი მარწმუნებდა, შელიაანთ ჯოგი აბასთუმანთან ძლიერ ახლოს დგას.რამოდენიმე საათი ვიარეთ ფეხით. თემრაზი კიდევ გონს ვერ მოსულა. არც ჩემს მორდუს, არც ძიძაშვილებს არა სცოდნიათ, რომ საქართველოში ვიყავი. მე ავადმყოფობა მოვიმიზეზე, მიტომაც ვერ წავედი სოფელში ძიძას სანახავად მეთქი, ვარწმუნებ თემრაზს. თემრაზი გაჩუმდა, მე ეს მენიშნა.

რკინისჯვართან მდგარა ტაია შელიას ჯოგი. უშველებელი, ყურებდაჭრილი ჯოგის ძაღლები შემოგვეგებნენ.

ღმერთო, ვის ვხედავ?

პატარა მუხნარის ჩრდილოში სახელდახელოდ გაკეთებულ კარავის წინ, ნამორზე წელში გახრილი მოხუცი ზის. რაღაცას სთლის და უკირკიტებს.

მთის ფერდობზე ფურები, ხარები და ხბორები სძოვენ. რამოდენიმე ცხენი ბალახს ციცქნიდა დაბალ ჩირგვნარში. ჯიშიანი წითური ულაყი დაფრთხა, ყურები სცვიტა და შემოგვაშტერდა.

ვუახლოვდებით ჯოგის ბინებს. მოხუცმა სამუშაო განზე გადასდო, ახალუხის კალთიდან ნაფოტები ჩამოიწმინდა, ხელწალდი გადააგდო, სახეზე ხელი მიიჩრდილა და მიყურებს.

„აბა, თუ იცნო, ვინ არის, ბაბა? ეუბნება თემრაზ. მე თვალს არ ვაშორებ ჩემი მორდუს სვანური ქუდით დაჩრდილულ სახეს. მისი პატრიარქალური წვერი ბოლოში გაყვითლებულა. მომვარდა მორდუ, გადამეხვია, გაოცებისაგან პირჯვარს იწერს.

„ჯიბუტი, რომელმა ღმერთმა მოგიყვანა შენ ჩემს კარავში?" ამბობს მოხუცებული. მიყურებს და პირჯვარს იწერს...

ტაია შელიას ჯოგში დიდი აურზაური გამოიწვია ჩემმა დაბრუნებამ. მე მეშინოდა შინაურები მომეკითხა.

ძიძა გარდაცვლილა!

უფროსი ძიძაშვილი გუჯა, აზერბაიჯანთან ომში მოუკლავთ.

„დიდი ომიდან უვნებელი დაბრუნდა. ზღვამ გადაურჩა და ცვარმა დაახრჩო".

მეუბნება ოტია. ჯამლეთი და ოტია იმ საღამოს მორიგედ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ უხუცესმა ძეჯოგემ ბრძანა და სხვები დააყენეს მათ მაგივრად. უკვე საგრძნობლად აგრილდა, ყველანი მეგრული ფაცხის კვალობაზე გაკეთებულ, ნოშოთი გადახურულ კარავში შუა ცეცხლს ვუხივართ. ჯაჭვის „ნაჭაზე“ თუჯის ქვაბში საჩქაროდ ვქვილისლომი გააკეთა ოტიამ, ჩოგანი დანით გაფხიკა, სახელოები წაიკაპიწა და მეგრულ ტაბაკზე დაავო. გამურული ჭრაქი გვინათებს. უშობლების ტყავებზე ვზივართ. თემრაზი და ჯამლეთი ჯერ კიდევ შუა ცეცხლს დასტრიალებენ. აქ რძის ხბო იწვება შამფურზე. თავი სიზმარში მგონია. შევსცქერი ჩემს მოოდეს და ისიც მიყურებს, ასკილის ტარიან პატარა ყალიონსა სწევს. მე ამოვიღე ჯიბიდან ჩემი შავტარიანი ინგლისური ყალიონი და ცოტაოდენი ამერიკული თუთუნი მორდეს შევთავაზე. მოხუცებულს თვალები უბრწყინავს. აბგიდან ორი ბოთლი კონიაკი ამოვიღე. მორდუ პირჯვარს იწერს:

„ღმერთმა მომასწრო, მახარია, შენი ნახელავი... აწი თუ მოვკვდები, აბრადუნი ჩემს საქმეს“.

ვუსხედვართ მეგრულ ექვსფეხიან ტაბაკს, მე ხელით ვჭამ ღომსა და ხბოს ხორცს (მადლობა უფალს, ჯერაც არ გადავჩვეულვარ ხელით ჭამას, არც ფეხმორთხმულად ჯდომას!).

უფროსი ძიძაშვილები თავზე გვადგანან.

მორდუსა ვთხოვე და უბრძანა, ჩვენთან დამჯდარიყვნენ უშობლების ტყავზე. ოტიას სახე არ გამოსცვლია, მისი თვალები, ცელქი, პატარა თვალები, ისევე ციმციმებენ, როგორც ოცი წლის წინად! ოტიას შუბლზე კიდევ ატყვია, რიკი რომ მოხვდა ამ ოცდახუთი წლის წინად.

ჯამლეთს ახლაც ატყვია ცერზე, წალდით რომ გაიჭრა ძეწნების გასხეპვისას. არ მომწონს ჩემი ძიძაშვილები რომ მერიდებიან და წარამარა „პატონს“ მეუბნებიან. კრძალვით მექცევიან, თითქოს მათთვის შორეული ვიყო, თითქოს მე აღარ ვიყო აწი მათი ძმა, მათი ჯიბუტა, ხელფეხ გაოოშილი რომ დავრბოდი მათთან ჩვენი სოფლის ველმიდამოში. თითქოს არასოდეს წავჩხუბებულვარ რიკტაფელას თამაშის დროს, არც „მოგვერდით“ გადაგვეგდოს ერთი მეორე ჭიდაობაში.

ღმერთო, როგორ აშორებს ადამიანებს ცხოვრება. მათ არ

უნდათ მიამბონ, თუ რა მოხდა მას შემდეგ, რაც მე ბედმა გამყარა მათთან, რა ხდება, რა განიცადეს? ცოტა რამ მაინც გამოვკითხე: სალომეას გუჯას სამი ვაჟი და ერთი ქალი დარჩენია, ოტიას ორი ვაჟი ჰყოლია, თემრაზს — ხუთი, ჯამლეთს — ორი ქალი და ორი ვაჟი.

გამრავლებულა ტაია შელიას მოდგმა. ეს ბედნიერი მოხუცი მრავალშტოიან მუხასა ჰგავს.

ახლა მის ოჯახს ერთი დაკარგული ადამიანიც დაუბრუნდა, მათი ჯიბუტა.

მაგრამ ვაი, რომ მე ისინიც ისე მექცევიან, როგორც შორეულს. წინად მე ამას არა ვგრძნობდი. წინად მე მათ თავიანთი ოჯახის წევრად მივაჩნდი და ახლა მე მათთვისაც „უცხო კაცი ვარ“, „ნასტავლი კაცი“. ისინი ამჩნევენ, რომ მე ველარ ვიგონებ ზოგიერთ მეგრულ სიტყვას, ცდილობენ კიდევაც ქართულად მელაპარაკონ. მე კიდევ ვიკითხე სალომეას ძიძას მიცვალების ამბავი და, ქართული ჩვეულებისამებრ, ზედაშე პურზე დავაწვეთე. მე ისევ დავუბრუნდი უბედური გუჯას დაკარგვას და ზედაშე პურზე დავაწვეთე. და გულის ტკივილით ვამჩნევ, რომ ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლებად მელაპარაკონ თავიანთ ცხოვრებაზე, თავიანთ გასაჭირზე. თითქოს ეს არცკი იყოს ჩემი ყურადღების ღირსი! მათ უნდათ მხოლოდ ჩემი ცხოვრების ამბები მოვუყვე და ვგრძნობ, დიდის ყურადღებით მისმენენ კიდევაც. იმ ღამეს თითქმის ყველაფერი ვუამბე მათ, რაც უცხოეთში თავს გადამხდა, როგორ ვეწამე, როგორ დავიტანჯე უცხოობასა და მარტოობაში და რა უნაყოფოდ ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ და ამ საოცარმა მარტვილობამ.

ერთ წუთში შემეშინდა კიდეც, ჩემ ხილიან თვალებში არ ამოეკითხათ ჩემს ძიძაშვილებს: თქვენ არსად წასულხართ საქართველოდან, არც არაფერი გინახავთ სხვის ქვეყნებში, არც არაფერი გისწავლიათ, მაგრამ მაინც ჯანსაღი ხართ და ბედნიერი, ცოლი გყავთ და შვილი, სახლი გაქვთ და კარი, ხარებიც გყავთ და ფურებიც, და მე არც არაფერი შემიძენია, მეგობრები დამეხოცა, ნათესავებს ვეუცხოები, ჩემი სამშობლო მე არ მიცნობს და არც მაფასებს.

საქართველოში მე რომ მიყვარდა, იმ ქალს სამი შვილი

ჰყავს სხვისგან, და მე მარტოხელა ვარ და უბედური, და რომ ამიხდა მამის წყევლა სამართლიანად.

ყველას საგრძნობლად მოგვეკიდა ღვინო. ჭრაქში პატრუქი ჩაიწვა.

ოტია ადგა.

ჭრაქი ჩააქრო. ბნელში ვისხედით, ვიდრე პატრუქს ამოსწევდა. ამ სიბნელეში მე ისეთი მარტოობა ვიგრძენი ჩემი საყვარელი მორდუსა და ძიძაშვილების გვერდით, როგორც არასოდეს. ძაღლები ტურების კივილს გამოეხმაურნენ.

ტაია შელიამ ახსენა ღმერთი, კიდევ დაილოცა, ჯამი გამომიშვირა და თავისი ღრმადწასული შავი თვალებით შემომაშტერდა და მეუბნება:

„ერთი მითხარი, მახარია, ეს მართალია, რომ შენ ლემენცების ქვეყანაში პრაფისორი ყოფილხარ?"

„არა მორდუ, მე ლემენცების ქვეყანაში პროფესორი კი არა, მოწაფე ვიყავი მხოლოდ!"

„ჰმუ, მაშ ჩვენ გვატყუილებდნენ აქ"?

„აბა ეს მითხარი ჯიბუტა (მეკითხება, ისევ ტაია შელია) ეს მართალია, შენ ლემენცების ხენწიფესთან მისულხარ და ჩვენი ხალხის გაჭირვება შეგიჩივლიათ?"

„ეს ნაწილობრივ მართალია, მორდუ, ვეუბნები ტაია შელიას, მაგრამ მე მარტო არა ვყოფილვარ. ჩვენ რამოდენიმე ქართველმა ომი გამოვუცხადეთ რისებს* ხენწიფეს და მერე ჩვენ ლემენცების ხენწიფესთან პირობა შევკარით, ჩვენ უნდა მოვეხმარებოდით ლემენცების ხენწიფეს და თუ ის გაიმარჯვებდა, ჩვენი საქართველო ჩვენთვის უნდა დაებრუნებინა.

„კი მარა, ბაბა, მეუბნება ტაია შელია, რისების ხენწიფეს რომ ომს უცხადებდით, ვისი ან რისი იმედი გქონდათ? რისები ქვიშასავით ურიცხვია და ჩვენ ცოტა. ეს ხომ იცოდით?"

„ჩვენ იმ ღმერთის იმედი გვქონდა, ბაბა, ჩვენ რომ გვეხმარებოდა ქვიშასავით ურიცხვ მტრების წინააღმდეგ".

„ეს კაი, ბაბა, მაგრამ ამდენი თუ იყო ჩვენი კაცი მაგ ლემენცების ქვეყანაში?"

---

* მეგრელები „რისებს" უწოდებენ რუსებს.

„იქ იყვნენ, ბაბა ლემენცებისგან ტყვედ წაყვანილი ქართველები, ჩვენი სოფლიდანაც ბევრი იყო, ჯალალანია, ფლანია, გაბესკირია და სხვა მრავალი“.

„თუ დაგეხმარნენ რამეს მაინც ჩვენები რისების ხენწიფის წინააღმდეგ?“

მეკითხება ტაია შელია.

„თავდაპირველად, რომ მივედით, ქვები გვესროლეს, ბაბა, ჩვენებმა.

„ვეუბნებოდით! ძმებო, დაგვიქციეს საქართველო ქვიშასავით ურიცხვმა მტრებმა, დაცარცვეს ჩვენი წინაპრების სალოცავები, წაგვართვეს ჩვენი წინაპრების მიწები და უცხო ნათესავი ჩამოგვითესლეს. შეგვირყვნეს ენა — ჩვენი მამაპაპის წმიდათა წმიდა, დაგვინგრიეს ოჯახი, გაგვიბახეს რჯული და თავიანთი ჯარების საჯირითოდ გაიხადეს ჩვენი ქვეყანა, გვიშველეთ ძმებო, და გავრეკოთ რისების ხენწიფის ჯარები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან. ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებივით დავუხვდეთ თემშარებზე, ცეცხლში გავხვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არავის... ჯალალონიებმა, შამახიებმა და ალანიებმა, ჩემმა მეზობლებმა, კინაღამ მომკლეს ბაბა. ჩემთვის დედა ჯერ არავის შეუგინებია, მათ სულ რუსულად მაგინეს, მერმე რისების ხენწიფის დიდება იმღერეს ბაბა, ჩვენმა მეზობლებმა ალანიებმა და ჯალალანიებმა“.

ჩვენ ორი ჯამის მეტი არ გვქონდა სუფრაზე და როცა სათითაოდ ყველა დავლოცეთ, ქართული ჩვეულებისამებრ, მიცვალებულები და ცოცხლები ვახსენეთ, ტაიამ უბრძანა ოტიას და ჯამლეთს საყარაულოდ გასულიყვნენ.

„მაინც საითაა. მახარია, ეს ლემენცების ქვეყანა“, მეკითხება ტაია შელია.

„იქითკენ, საითკენაც მზე ჩადის ბაბა“.

„იმის იქით რა ქვეყანაა კიდევ?“

„იმის იქით ფრანცუცების ქვეყანაა, ბაბა“.

„ფრანცუცების ქვეყნის იქით?“

„ინგლისელების ქვეყანა“.

„იმ ინგლიზების იქით კიდევაა რამე?

„იქით კიდევ ამერიკის ქვეყანაა“.

„კი მარა, არ თავდება სადმე ეს ქვეყანა?“ მეკითხება ტაია შელია.

„ქვეყანა არსად თავდება, არც არსად იწყება, მორდუ.“

„უსაშველო ყოფილა, შენ ნუ მომიკვდე, მაგის საქმე“. ამბობს მორდუ და ჯამს მივსებს. ტაია შელიას ცნობისმოყვარეობა მაინც არა სცხრება.

როგორც შემეძლო, ისე ვუამბე, რაც მენახა, გამეგონა ან წამეკითხა. ვუამბე, თუ როგორ დაჰქრიან ზღვაზე, ზღვის ქვეშ, ხმელზე, ხმელს ქვეშ, ხმელს ზევით მატარებლები, გემები, ტორპედო ნავები, ჰაეროპლანები და მიწისქვეშა მატარებლები. გაფრენილი კაცები, საჰაერო ომების, გაზების, ელექტრონის, რადისა და კალის სასწაულები. ვუამბე ადამიანური გულთმისნობის, მათი ქარხნებისა და ქალაქების ამბები. ტაია შელიამ შემაჩერა, მარჯვენა ხელი მარჯვენაზე მომკიდა და მეკითხება:

„კი მარა, ბაბა სქუა, ეს თუ გითხრეს შენმა ლემენცების პრაფისორებმა, ოუ რატომ უვლის სარს ლობიო მარჯვნიდან და არა მარცხნიდან?“

„ეს ვერც ლემენცების პროფესორებმა ამიხსნეს, მორდუ“, ვეუბნები.

ტაია შელიას ქინქლილივით გაწითლებულ სახეზე ნათელმა ღიმილმა იელვა, მოხუცი ნიშნისმოგებით იცინის და მე ვამჩნევ ამ წუთში, მას უხარია, ეს „ლემენცების“ პროფესორებსაც რომ არა სცოდნიათ.

მეორე დილას გვიან გამომეღვიძა. ფაცხის კართან ენაგამოგდებული ძაღლი იწვა, სხვა არავინ სჩანდა. ფაცხაში რძით სავსე ნიგები იდგა, კედლებზე საყველე ჩოჩე, სადღვებები; ყველის გუდები, ორიოდე უნაგირი, კაჟიანი თოფი და ერთი სვანური სატევარი.

ტაია შელია ახლა თავის ჯოგს მაცნობს. ყველას სათითაო სახელი რქმევია. ზოგიერთ ხარებს და ძროხებს ყური აქვთ შეჭრილი, კისერზე შენალოცი ავგაროზები ჰკიდიათ, ზოგსაც მხიარულად მოჟღრიალე ზანზალაკები.

„ეგერ რომ პატარა მოზვერია, ის სალოცავი ხარია და შენს სახელზე იზრდება“, მეუბნება მორდუ. ეს მოზვერი იშვიათი სილამაზის იყო.

მე გამოვკითხე მორდუს და ასეთი შესალოცავი ხარი მაშინ უნდა დაიკლას თურმე, როცა ჯოგში არაჩვეულებრივი სიხარული იქნება. მე ცხენებით დავინტერესდი.

„ის წითური ვაყა, და მეორე ზერდაგი ცხენი ოსმალეთის ფრონტიდან მოიყვანა ცხონებულმა გუჯამ“, მეუბნება ჯამლეთი. მე ახლოს მივედი ცხენებთან, — წმიდა ჯიშის არაბული. მე და ჯამლეთმა ბევრი ვსდიეთ, მაგრამ კვიცმა არ გაგვიკარა.

სამხრობის დროს ძიძაშვილებმა მუხის ქვეშ გაიტანეს ტაბაკი. ისევ დააგეს ღომი ტაბაკზე. ჩვენ ღვინოში შევედით და ღვინო შემოვიდა ჩვენში. მე მომენატრა ისევ ჯირითი და ცხენზე ჯდომა. ტაია შელიას უხარია, რომ მე — „ნასტავლ კაცს“ ჩვენი ჩვეულებები არ დამიკარგავს.

„ევროპიაში ყველაფერი გადამავიწყდა, ოტია, შევჩივლე ჩემს ძიძაშვილს, ჩვენებური ღვინის სმაც, ჯირითიც და სროლაც“.

„შენდენი ვიცოდე და ყველაფერი ჭირსაც წაუღია“, მეუბნება ნაღვლიანად ოტია.

აჰ, ჩემო კარგო, ჩემდენი რომ იცოდე, ჩემსავით უბედური იქნებოდი. გავიფიქრე ჩემთვის და თვალი გადავავლე ოტიას მზისაგან გარუჯულ სახეს, მის განიერ ბეჭებს. მახლობელ ჭანდარზე მათრახი დაჰკიდა ოტიამ, უბელოდ ვჯდებოდით ცხენზე და ვესროდით მათრახის ენას. ვხედავ, ძიძაშვილებმა მაჯობეს ჯირითსა და სროლაში. თავი გამოვიდევი. ძველი ჩოხა მოვატანინე თემრაზს, რადგან იგი ჩემსავით ტანმორჩილი იყო, შევიხსენი საყელო და ბალახებში დავაგდე, გავიხადე ევროპული ტანისამოსი, ხვანჯრიანი შარვალი და ვიწრო მესტები ჩავიცვი, წელზე მაგრად შემოვიჭირე ღვედის სარტყელი, თავზე დარაიის ჩაბალახი შემოვიკარი მეგრულად, მოვახტი ზერდაგს, გავაქანე და ვესროლე. ეს დიდი სიხარული იყო ჩემთვის, როცა ოტია მივარდა მათრახს და ჩემი ნასროლის ნიშანი მაჩვენა.

საღამოა. სერზე ვზივარ.

კოპიტის ნამორზე — შევსცქერი ძირს გადაშლილ ტაფობს. ტაია შელიას ჯოგი ბალახობს ტაფობზე. ერთბაშად საშინელი ბღავილი შემომესმა, გაღალმა თხემიდან გადმოდგა

ღვინისფერი კურო... თავი ასწია, გადაჰხედა ჯოგს. ამ წუთში იგი ეგვიპტურ აპისის ქანდაკსა ჰგავდა... გაქვავებული სდგა კურო თხემის თავზე, არც ერთი ნაოჭი მის სხეულზე აღარ ინძრევა, ყურები წინ წამოწეულ, ცეცხლიან თვალებს აბრიალებს და გასცქერის ფურებს. ტაფობზე შეფენილმა ძროხებმა ბალახის წიწკნა მიატოვეს, კისრები მოიღრიცეს ახალ სტუმრისკენ, წაბლისფერი მოზვერი გამოეყო ჯოგს, დაიბღავლა, შეიკუნტრუშა და გაექანა. ღვინისფერმა უკან დაიხია, ჩლიქებით დაიწყო ბუღრაობა და სილიან მიწის თხრა. წაბლისფერმა თავი ასწია, შეუბღვირა, შეკუნტრუშდა, განზე გაიწია, მიწას დააცქერდა, მანაც დაიწყო ბუღრაობა, და ადგა მტვერი. ლანდის სისწრაფეზე გამოჰქანდა ღვინისფერი და გაისმა რქების რახუნი. ისევ დაიხია უკან ღვინისფერმა, ისევ ბუღრაობა დაიწყო. ახლა წაბლისფერმა შეუტია, თავისი მოვარვარე წვეტიანი გიშრის რქები მიუშვირა, ღვინას გამოქანებულ რქებს ააცდინა და მკერდში ამოსდო ცალი რქა. დაიხია უკან ღვინამ, ასწია მაღლა თავისი უშველებელი თავი, მოგრიხა ამაყად. დაეძგერა მტერს. ზედიზედ იხევდნენ უკან. სცემდნენ ერთმანეთს წვეტიან რქებით, იხევდნენ, ბუღრაობდნენ, მიწას სთხრიდნენ, ისევ ეძგერნენ ერთიმეორეს და ქედმაღალმა ზორბა ღვინამ მოუქნია ტანმორჩილ წაბლას და თვალის დახამხამებაზე გამოშიგნა თავისი ბასრი რქებით. უკანასკნელად დაიბღავლა დამარცხებულმა და მიწაზე დაენარცხა.

მე გავვოცდი, რომ ტაია, ოტია, თემრაზი და ჯამლეთი შორი-ახლო იდგნენ და გულგრილად შეჰყურებდნენ ამ საოცარ დუელს.

ტაიამ მარჯვენა ხელი მკლავზე მომკიდა და მეუბნება:

„იცი, ჯიბუტა, ეს კაცა, ასე რომ მოხდა. ეს ღვინა-მოზვერი მთელი ზამთარი გადაკარგული იყო. მთელი ზამთარი გაატარა ტყეში მარტოკამ, წრეულს გაზაფხულზე ანჯერში მოგვძებნა, აქ ჩამოვიყვანე. მაისში ისევ დაგვეკარგა. როცა იგი თავის მარტოობიდან ბრუნდება, თვალები ცეცხლივით უელავს და ეს ახელებს ძროხებს. მეორე მოზვერი წაბლა რომ არ გამოეშიგნა, მე უნდა დამეკლა, რადგან დამარცხებული მოზვერისგან შეიძლება ჯოგი დაჩიავდეს, მერმე ფურებიც არ იკარებენ დამარცხებულ კუროს“. მართლაც, მთელი დღე ვადევ-

ნებდი თვალყურს, ღვინის ფერი კურო გაუკითხავად დათარეშობდა ჯოგში. თანაბრად დასდევდა როგორც ძროხებს, ისე ხარებს და „დამორჩილის“ მოზვრებს. ამის მიზეზიცა ვკითხე ტაიას.

„ეს ძლიერ კაჲა, ამბობდა მოხუცი. კაჲ მოზვერი ხარსა და ფურს ველარ გაარჩევს“.

მეორე დღეს მორდუმ გუჯას თმა მომაკვეცია.

„შენ რომ ულაყზე მეკითხებოდი, მეუბნება მორდუ, უხანო გუჯას გაზრდილია. სათურქოდან მოიყვანა, შეჯდომაც არ დასცალდა უხანო გუჯას. რაკი შენ მო'ვლას შემასწრო ღმერთმა, ეს კვიცი შენ მოიხმარე. შარშან უნდა გამეხედნა, მაგრამ ძლიერ ურაა, არც მინდოდა იმ ცხენზე სხვა ვინმე შემჯდარიყო, მერმე ჩვენმა კაცმა ცხენის მოვლა არ იცის, ცხენის კარაბადინში წერებულა, როცა ბრძენ კაცს ცხენი ზღვიდან ამოეყვანა, ცხენმა პირობა დადებინა თურმე: ჩემზე უწმიდური ადამიანი არ შემსვათ, უნალოდ არ მატაროთ, ძუა არ მომჭრათ, ყურის წვერი არ გამიხიოთ, არაწმიდამ არ შემომხედოს, რიყეზე არ გამაჭენოთ. მე თვალისჩინივით ვუვლიდი ამ კვიცს, რადგან უხანო გუჯას სახელზე იყო“.

ტაიას თვალები აუწყალდა ამ სიტყვებზე. სამხრობისას მორდუ ჯოგს გაჰყვა ხევს გაღმა. მე წითურ ულაყზე შეჯდომა მოვინდომე. ბევრი ვსდიეთ მე და ოტიამ, გზაში შეხვედრილი მენახირეები მოვიხმარეთ, მაგრამ ულაყმა ახლოსაც არ გაგვიკარა. ძუა და ფაფარი ბაკარიებით ჰქონდა ნავსე. მართლაც ველურ ცხენსა ჰგავდა. ერთ-ორჯერ ხრამთან მივიმწყვდიეთ, მაინც გაგვექცა. მე იმედი დავკარგე, რომ ამ კვიცზე ოდესმე შევჯდებოდი. საღამოს გრილმა სიომ დაუბერა მახლობელ მუხნარიდან.

ოტიამ და თემრაზმა ფაცხის წინ ტაბაკი გააწყვეს. ცოლიკოურით ივსება ჯამები. ჩემს ძიძაშვილებს ვეჯიბრები ღვინის სმაში. გადმოდგა მთვარე მახლობელ სერიდან, უშველებელ გველვეშაპივით გაშავდა ამ ტაფობზე წამოწოლილი გორაკი. ლითონის ნაჭრებივით ალაპლაპდნენ ჰეების ფოთლები, საიდგანღაც ტურების კივილი ისმის. სიტყვა ჩამოვარდა კუროების დუელზე.

/ „მე მაინცდამაინც არ ვარჩევ ადამიანებსა და ცხოველებს

ერთმანეთისაგან“. ვეუბნები ჩემს მეინახეებს. ტაია შელია ისეთივე დიდის ყურადღებით მისმენს, როგორც მე ვუსმენდი ოდესმე ბავშვობაში.

„უხსოვარ დროებში ადამიანი სულ სხვანაირი ყოფილა, მორდუ. ახლა ხომ ადამიანს ორი სქესი აქვს, წინად ერთიც კიდევ ყოფილა — ქალვაჟური. წინად ადამიანის სხეული მრგვალი იყო. მას ოთხი ფეხი ჰქონდა და ოთხი ხელი, ოთხი ყური, ოთხი თვალი, წინ და უკან ორი სარცხვინელი, ორი სახე და ორი პირი“.

„მადლობა ღმერთს, მახარია, მე რომ გვიან დავბადებულვარ. ჩვენს დროში ორი პირისა კი არა, ერთის გასაძღომს ძლივს ვშოულობთ და ორ-ორ პირს ვინ გააძღებდა?“ მეუბნება ტაია.

„და ადამიანობის სქესი სამნაირი იყო თურმე“, განვაგრძე, რადგან დედაკაცური მზიდან მოდის, მამაკაცური — მიწიდან და ორსქესიანი — მთვარიდან. მაშინ ადამიანი უფრო ძლიერიც იყო, ვიდრე დღეს. და ბოლოს ისე გაზულუქდნენ ადამიანები, რომ ცაზე კიბე მიიდგეს და ღმერთებს შეუცვივდნენ საკურთხეველში. მაგრამ უჯიათმა ღმერთებმა მოითათბირეს და გადასწყვიტეს: შუაში გაეპოთ ადამიანი. და ამის შემდეგ შუაგაპობილი ადამიანები დაეძებენ ერთი-მეორეს“.

ჰამით გავერთე, უშობლის ხორცი მოვთალე, ჯამი გავუვსე ტაია შელიას და სალვინე ჰინჭილა ოტიას მივაწოდე.

„მერმე?“ მეკითხება დაინტერესებული მოხუცი.

„მერმე და ამის შემდეგ ყველა თავის ადრინდელ ნახევარს დაეძებს. წინად თუ ორი ნაწილი იყო ერთად, ქალური და ვაჟური, ისინი ერთი მეორეს დაეძებდნენ მთვარეულივით და ამიტომაც, როცა ჩვენ ქალს ვეხვევით, წელზე ხელებს შემოვაჭდობთ, მაშინ ვიგონებთ ადრინდელ ერთად ყოფნას და ეს დიდ ბედნიერებას გვანიჭებს, რადგან შუაგაპობილი ადამიანობის მოდგმა გამრთელებასა და გაერთიანებას ეძიებს. ყოველი მამაკაცი რომლის წინაპარი ქალვაჟური მოდგმისა იყო მხოლოდ ქალს დაეძებს. და ყოველი ქალი, რომლის წინაპარი მხოლოდ ქალური ნაწილის ყოფილა, მხოლოდ ქალს დაეძებს. და ის ვაჟებიც, რომელნიც მამრობითი ნაწილის ნაშიერნი არიან, თავიანთ ნახევარს — ვაჟს დაეძებენ... ჰევრს ეს უზ.

ნეობა ჰქონია, მაგრამ ეს სიტყვა ადამიანების მოგონილია და ბუნებისათვის უცხოა იგი. და ეს მოსდით როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებს არა მოუშობის, არამედ მოუწესრიგებელი ვაჟობის მიზეზით".

„წვრილ ვახშმობამდის" გაგრძელდა სმა. ღვინო მომერია. ისეთი გრძნობა მაქვს, მღელვარე ზღვაზე ვმგზავრობდე თითქოს. ჩემი მეინახეების მთვარის შუქზე განათებული სახეები წმიდანების სახეებს მომაგონებენ... მალე ჩემს მორდუსა და ძიძაშვილებსაც ჩაუვიდათ დიონისო გვამში.

ოტიამ „ერეხელი ვარ და მერეხელი" წამოიწყო, მორდუ, მე, თემრაზი, ჯამლეთი ბანს ვაძლევდით. მეორე ხმა გვაკლია: გუჯასი. ძლივს ვიდექი ფეხზე. მაგრამ მაინც ფეხზე ამდგარმა კიდევ დავაწვეთე ზედაშე პურზე, ჩემი საყვარელი ძიძას და ბავშვობის მეგობრის ხსოვნა დავლოცე. სამარადისო სამკვიდრებელი ვუსურვე მათ.

ცა მოულოდნელად მოილუშა, ზღაპრული ფასკუნჯებივით წამოიშალნენ დასავლეთიდან ღრუბლები. პაწია ღრუბლის თექა სამგლოვიარო ლეჩაქივით მოეხვია მთვარეს.

„ე, წიე", დაიყვირა ტაია შელიამ. ჩემი ძიძაშვილები წამოვარდნენ ელდანაკრავივით, გამოიტანეს ფაცხიდან თოფები და ესროლეს მთვარეს.

მე გამაოცა მათმა საქციელმა (ასეთი რამ ბავშვობაშიც აღარ მენახა).

„მე სამურზაყანოში ვარ გაზრდილი, მეუბნება მორდუ, იქაური ზნეა: მთვარეს ღრუბელი რომ მოეხვევა, ეს ღრუბელი კი არა, არამედ გველეშაპი. და ამ წუთში უნდა ესროლო. ჩემი ბიჭები არ მიჯერებენ, ხანდახან დამცინიან კიდეც. მაგრამ სიბერე და სიბრძნე ურმით მოგვყვება ნელნელა, და ახალგაზრდებმა რაც უნდა წინ ირბინონ, მათ ეს ურემი მაინც წამოეწევა". განმიმარტა ტაია შელიამ.

შუაღამე გადატყდა. ჩვენი სუფრა ძლიერ ახმაურდა. გათენებამდის ვსვით და გარიჟრაჟზე, როცა თეთრი ნისლების დროშები აფრიალდნენ ნაძვნარების წვეროკინებზე, ჩვენ არაქათგამოლეული კარავის გარშემო ფერხულს ვუვლიდით და ვიმღეროდით:

მზეა — დედა ჩემი.

მთვარე. — მამაჩემი.
ძოკამკაშე ვარსკვლავებ..
და-ძმანია ჩემი.

ზაფრანასავით გაწითლებული, ბებერი მორდუ სატირივით დაბობღავდა ჩვენს შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 50. დემონის ნატერფალზე

ტაია შელიას ჯოგში ყოფნამ ჩემი სხეული სავსებით განკურნა. დილით ადრე ვდგები, ცხელ რძესა ვსვამ, მთელი დღე მზვარეში ვზივარ ან მზის აბაზანებს ვღებულობ, ვლოთობ, ვჭირითობ, თოფს ვისვრი და სანადიროდ დავდივარ რკინისჯვარში, სურების მთაზე. ფეხით ან ცხენით გავდივარ დღეში 50 კილომეტრს, ბეგის მთიდან მეხარის მთამდის, მეგრულად ველაპარაკები გზაში შეხვედრილ მეჯოგეებს და მენახირეებს, ქართულ სიტყვებზე „ვნადირობ“.

ან როცა თქეში წამოვა მთიდან, პირველყოფილ კაცივით მთების გვირაბებს ვაფარებ თავს. მომწონს ქუხილი მთებში. მაშინ მე და ჩემი ძიძაშვილები კარავში ვზივართ. ტაია ძაღლებს გარეთ გააგდებს და გაიმართება ისევ დუელი სუჯუნის მრისხანე ბატონსა და შავი ზღვიდან გადმოვარდნილ გველვეშაპს შორის.

ვწევ მაგარ, სოფლულ თუთუნს, შუა ცეცხლს შევყურებ. ისევ ბავშვობასა და შიშს ვიგონებ. ყველანი ერთად ვართ ისევ ერთი ბუდის მართვეები, გვაკლია მხოლოდ ჩემი საყვარელი ძიძა და საბრალო გუჯა. და ჩემი თხოვნით ტაია შელია დაიწყებს არაკს: „...ყოფილა, ყოფილა, ყოფილა...“ და ყოველ არაკს იგი ასე ათავებს: „სამი ვაშლი, სამი ბროწეული, ღმერთმა მაჩვენოს შენი ხელით მოწეული. გუშინ იქ ვიყავი, დღეს კიდევაც აქა ვარ“. სწორედ ისევე, როგორც ჩემს ბავშვობაში

ჯოგში მამაკაცის ფანტაზია საოცრად ირყვნება. აქ ასე ახლოს ხარ ბუნებასთან, და ბუნებას ხომ არც კანონი აქვს და არც ადამიანური სირცხვილის გრძნობა. მომენატრა აბასთუმანის სუფთად გამოწყობილი ქალები... ვფიქრობ ჯენეტზე. ინაზე. ჩვენს ხელმეორედ შეხვედრაზე. ისევ ვსვამ სოფლურ

არაყს, ვწევ სოფლურ თუთუნს, ავზნიანი სიზმრები შემომეჩვია.

ამ პანიურად აღმოცენებულმა ბუნებამ მაინც საოცრად ააფორიაქა ჩემი ნაციები ფანტაზია. და ითხზება ზღაპარი სამკვიდრებლის დამკარგველ სეფეწულზე, მეჯოგეებს რომ მიუკედლა და გაველურდა. ოღონდ გვირგვინოსანი მამის მამულში მონის კურტანი არ აეკიდნა და მამულისათვის ომებში სახელგანთქმული გვარი არ შეერცხვინა.

რკინისჯვარიდან წამოსვლისას მორდუს შევეხვეწე ერთი კვირის შემდეგ ცხენი გამოეგზავნა აბასთუმანში. ბინაზე ჯენეტის წერილი დამხვდა: იგი ძლიერ გაოცებულია ჩემი აბასთუმნიდან წასვლით ამდენი ხნის უნახავი თუ საქართველოში მოვაღწევდი და კიდევ ცდა დამჭირდებოდა, არ მეგონაო, მისაყვედურებს.

წვერის მოპარსვაზედაც არ მიფიქრია. გავეშურე მათს აგარაკზე. ფრანგმა გადიამ კარი გამიღო, სადარბაზოში შემიყვანა. მადამ ლაბიში საგრძნობლად მოხუცებულა... გავიგე: ჯენეტს ფარვიზი ჩამოუყვანია, ერთი კვირა სოფელში ყოფილან, ჯენეტის დედაც აბასთუმანში ჩამოსულა. ცხადი იყო, ჩვენი ერთად ცხოვრება არ მოხერხდებოდა აბასთუმანში. სასტუმრო ოთახში ზოგიერთი პარიზული ავეჯი და სურათი ვიცანი, დერეფანში ჯერ კიდევ იდგა გაუხსნელი ფრანგული სამგზავრო ზანდუკები და ჩემოდნები (მათს დანახვაზე მგზავრობა მომენატრა). ყველაფერზე უფრო გამახარა ხალილ ბეჲს სურათმა: „დიონისოს ხელმეორედ მოსვლის“ დანახვამ.

მადამ ლაბიში ფიქრობს, რომ ქალბატონები თავიანთ ნათესავთან უნდა იყვნენ ქვემო აბასთუმანში წასული.. მთელი აბასთუმანი შემოვიარე. ვერსად შევხვდი. ის-ის იყო დაქანცული შინ წასვლას ვაპირებდი, მუხრანის აგარაკში გამართულ ლაუნ ტენისის მოედანზე თვალი მოვჰკარი, რამოდენიმე ბავშვი ჩოგბურთს თამაშობდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ნაცნობმა სახემ. ფრანგი მატროსის ტანისამოსი ეცვა, გულმოღეღილი თეთრი არშიებიანი ლურჯი კიტელი, მოკლე, ლურჯი შარვალი, და შიშველ ფეხზე უბრალო სანდლები. ხელში ჩოგი ეჭირა და დიდის აზარტით დასდევდა ბურთს... აკაციების ხეივანს ამოვეფარე და შევჰყურებ თამაშს. ერთბაშად ბურთი

გადასწვდა საკმაოდ დაბალი ჩოგბურთის ბადეს და ხრამში გადავარდა. მატროსულად ჩაცმული მარჯვედ გადაჰხტა ღობეზე და უფსკრულისაკენ დაქანებულ ძთის ფერდობს მიჰყვა. მისმა პარტნერმა ტოლები მიატოვა და ისტერიული კივილი მორთო: „ფააააა რვიიიზ... ფაარვიზ...: ფეხი არ დაგისხლტეს, რას ჩადიხარ?"... უყვიროდა ფრანგულად.

ეს ვაჟი რაღაც ჰიბრიდული ტიპი უნდა ყოფილიყო. მე საკმაოდ კარგად ვერკვევი ანტროპოლოგიურ ტიპების გარჩევაში. მაგრამ ამ ვაჟის საოცარი სახიდან ვერ გავიგე, რა ეროვნების უნდა ყოფილიყო. ტანმორჩილი, ოხრებკუთხიანი, ცხვირკეხიანი, ნესტოგანიერი, დოლიხოცეფალი.

ცხადი იყო, მისი მაღალი ღაწვები და ქეშად გაჭრილი თვალები მოწმობდნენ: რაღაც უზადრუკი, თურქმენულ-მონღოლური სისხლის შერევის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ასეთი უგვანო ტიპი მე ჯერ არ მენახა არც საქართველოს გამუსლიმანებულ პროვინციებსა და არც აზერბაიჯანში.

ჰამიდის ეძახდნენ ტოლები. ფარვიზმა ბურთი ამოიტანა ხრამიდან, ჰამიდიმ ჩოგი გადააგდო და მიუახლოვდა. იგი თავის ტანის სიმკვრივისა და გრძელი მამაკაცური მკლავების მიხედვით, უფრო ხნიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ფარვიზი. ჰამიდი ფარვიზს მიუახლოვდა და წმიდა აზიური ფამილიარობით მიუალერსა ხრამიდან ამოსულს. ბავშვი პურპურისფრად აენთო, ცალი ხელით მოიცილა აბეზარი ვაჟი და მოედანზე გააგდო ბურთი...

მოედნის ეკლიანი მოაჯირის გაღმა ვდგავარ. შევსცქერი ფარვიზს, როცა იგი შუაბადის წინ ჩამოდგება. მისი სახე, რომელიც აქამდის ხალილ ბეგს სურათში მქონდა ნახული მხოლოდ იოტის ოდნავაც არ შეცვლილა. ისეთივე მუქლურჯი ფართო თვალები, შავი წარბ-წამწამი, ოდნავ ფერმკრთალი, ლოყაზე პატარა, პატარა ხალი. ოღონდ ოდნავ დავაჟკაცებულა, თუმცა სახსრები ისევ ბავშვური და ლელივით ელასტიური ტანი. სწორი, მაღალი ჯიშიანი ფეხები, კუნთები და წვივები საქართველოს მზეს გაურუჯავს ოდნავ...

და მართალი ყოფილა მხატვარი! ჯენეტის ღვთაებრივ შვენიერებას, რომლის უკანასკნელმა დაისმა ჩემს თვალწინ დაას-

რულა თავისი რკალი, ხელმეორედ შეესხა სისხლი და ხორცი და სულ სხვა სქესის სახით მოევლინება ქვეყანას.

და მომელანდა აკაციების ხეივანში ჩასაფრებულს, ფრანგი მატროსის ტანისამოსში გამოწყობილი ალკიბიადეს... ყურებს გიშრის ფერი გრძელი თმები უფარავდა. მაგრამ როცა იგი ბურთის დასახვაზე განზე გადახტებოდა, მაშინ მე ვხედავდი ვერცხლის ფერ ღინჭილას მის პატარა ჯიშიან თავზე...

ადრე შებინდდა, რადგან იმ საღამოს ცა მოღრუბლული იყო, და მახლობელ ნაძვნარზე უკვე ფრიალებდა მოთეთრო ნისლი. მე შემოვუარე აგარაკს, ბავშვები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ აგარაკის პარკიდან და ხმამაღლა ლაპარაკითა და კამათით მოედვენ პატარა შუკას. მივჰყვები უკან ფარვიზსა და მის გრძელთავა ამხანაგს. ეს იყო ნამდვილი ენების აღრევა. გრძელთავიანი ძლიერ ამტვრევდა ფრანგულს, დანარჩენებში ზოგი ქართულად, ზოგი სომხურად ლაპარაკობდა, ზოგიც თათრულად და რუსულად. ფარვიზი ჩუმად მიჰყვებოდა სანახევროდ მწვანით დაფარულ ფილაქანს, მარჯვენა ხელში უკულმა ეჭირა ტენისის ჩოგი და მიათამაშებდა. გრძელთავა ხვალინდელ გეგმაზე ელაპარაკებოდა, ოცხეში ეთევზავათ, თუ თამარის ციხეზე წასულიყვნენ. მალე ფრანგულიდან ფარსულზე გადავიდნენ.

მთელ ქვეყანაზე ულამაზესი ენა მომეტებულად ნაზად ისმოდა მთელს ქვეყანაზე ულამაზეს — ყმაწვილის მელოდიურ ხმაში.

ამ მოკლე დიალოგიდან მაინც გავიგე: ფარვიზი სავსებით ამ გრძელთავიანის გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ასეა ყოველთვის: მახინჯს უფრო ძლიერი ნებისყოფა აქვს, რადგან ქვეყანა სულითა და ხორცით მახინჯების სამკვიდრებელია, — გავიფიქრე და ბნელ შუკისაკენ გადავუხვიე.

რა საცოდავია ადამიანი!...

ჩვენზე სივრცე მოქმედებს, ჩვენზე დრო მოქმედებს, ჩვენზე საგნები მოქმედებენ. ჩვენ ველარ ვამჩნევთ როგორ ვიცვლებით, ჩვენ ველარ ვამჩნევთ ზრდასა და სიკვდილთან მიახლოებას და ყოველივე ცვლილებას ჩვენ ვაბრალებთ ჩვენი

გულის მუხანათობას. მეორე დღეს ჯენეტს შევხვდი სასტუმროში. ქართულად გაწყობილ ტახტზე ისხდნენ: ჯენეტი, დედამისი — ქართულად ჩაცმული, თავსახურიანი მოხუცი ქალი და სხვა ორიოდე ბებერი დედაკაცი.

მე ვიგრძენი მოხუცებულის ფრიად დაკვირვებული და მტრული თვალები (რა ულმერთოდ ბერდება ქალი საქართველოში!). დარბაზში მიმოვიხედე, ფარვიზი აღარსად იყო. საშინელი სიცარიელე ვიგრძენი. მინდა ავდგე, გავეცალო აქაურობას. მე მიხარია, რომ აქ უცხონი არიან და ჩვენ საშუალებაც არა გვაქვს პირისპირ შევხვდეთ ერთი მეორეს. რა საშინელი გრძნობაა: ქალი, რომელიც ოდესმე გიყვარდა: უკვე აღარ გაინტერესებს და შენ მაინც იძულებული ხარ მის ახლოს იყო, შეხვდე, ელაპარაკო.

ღმერთო, როგორ გამოცვლილა ამ ერთი წლის განმავლობაში! თვალის გარშემო ნაოჭები მომრავლებია, შეთხელებული, ფერმკრთალი ტუჩები, გამხდარ, დაწვრილებულ კისერზე ორკეც არშიად შემოვლებიან ნაოჭების რგოლი. მკერდი ჩავარდნია, და ხელები... მისი თეთრი, არისტოკრატიული გრძელი ხელები, წმიდანის ხელებს დამსგავსებია, ლურჯი ძარღვები უჩანს... ჩხირივით გამხმარი თითები... სიბერე მიჰპარვია მის ღვთაებრივ სახეს და გაუნადგურებია შეუდარებელი სილამაზე ამაყი ქალისა. მე არ მეგონა, ერთი წლის განმავლობაში თუ ასე გააჩანაგებდა მის სილამაზეს სიბერე და დარდი... შეღამდა.

აგარაკის ფანჯრებში შემოიხედა ღრუბლიანი დღის თვალდანისლულმა ბინდმა... მე ეკალზე ვზივარ, მინდა მალე გავეცალო აქაურობას, არ მინდა ვუყურო იმ ქალს, რომლის გულისათვის ერთდროს ინდოეთს გადაკარგვას ვაპირებდი, რომლის სახელით მზად ვიყავი მრავალი საოცარი ავანტიურა და საგმირო საქმეები ჩამედინა.

აჰ, ნეტავ გადავკარგულიყავ ინდოეთს და არ მენახა შემოდგომა მის მზიან სახეზე, ნეტავ ინდოეთის ვეფხვებს შევეჭამე, და არ მენახა ნაოჭები მის სახეზე. ან გავჰყოლოდი ბომბეისკენ ხომალდს „ავრორას“, მადაგასკართან გადავენთქე ზღვის გველვეშაპებს, ან მსუნაგ თევზებს ოკეანისას.

ალვების ხეივანში მივხეტიალობ, ვროშავ ჩემთვის: აზალა-

განი: ზაზალაგანი: ასრნი: პასრნი: პარაგანი: სერუსტემ: სუროსტემ: იკართი: მიკართი: ალასმერთი: არალმერთი: არაწმინდა: მერე შენ ამას! აისთა და მისთა და სულისა წმიდისათა, ამინ.

კახპა მადონა! აღარ მიყვარხარ.

დაბნელდა ჩემს გარშემო, ჩემ სულსაც ბნელმა დაისადგურა.

მაინც განვაგრძობ მათს აგარაკში სიარულს.

გულის სიღრმეში გამოვუტყდი ჩემსავე თავს: მე ჯენეტისას იმისთვის დავდივარ, რომ ფარვიზს შევხვდე. ეს სურვილი იშვიათად მისრულდება. ფარვიზი მთელი დღეები ჩოგბურთის მოედანზე თამაშობს, ან და ჰამიდი და ფარვიზი სახედრებით დადიან ქვემო აბასთუმანში. ერთოორჯერ მთავარ პარკში შევხვდი ორივეს. ვცდილობ ფაოვიზმა არ შემამჩნიოს, რომ მას ყურადღებას ვაქცევ.

პარკის ბილიკებზე, ოცხეს ვიწრო ხიდებზე, აბასთუმანის თემშარაზე ვხვდებით ერთმანეთს. მის შემოხედვიდან ვგრძნობ, ძლიერ ვეუცხოები, ზრდილობიან ევროპულ სალამს მომცემს, ხანდახან ოდნავ გაწითლდება და ჩაიცინის. მე ჰამიდი არ გამიცვნია. თითქოს ყოველთვის, როცა ფარვიზს და ჰამიდის გვერდს ჩავუვლი, შორიდან ვატყობ, ჰამიდი რაღაცას ჩემზე ელაპარაკება ფარსულად ფარვიზს. ჰამიდი ძლიერ მტრული თვალებით მიცქერის.

წვრილი, უმი ცერცვისფერი თვალები, წურბელივით შავი, შეყრილი წარბები ცხადია, ეს ბავშვიც გრძნობს იმ რასსიულ სიძულვილს, რომელსაც მე გულში ვატარებ ლაწვმალალი მონღოლების მიმართ.

სიძულვილი... ჰმ...

სიყვარულზე უფრო ძნელი დასაფარავი ყოფილა თურმე!

მე მოვალეობად გადამექცა ჯენეტის ახლოს ყოფნა, მის გვერდით ჯდომა აგარაკის აივანზე, ან ბაძვნარში. ჩვენ იშვიათად ვლაპარაკობთ, დამღურებულებივით დავდივართ ნაძვნარში და მთავარ პარკში. ათსში ერთხელ ვიგონებთ პარიზს, რომს, ალბანოს, ბერლინს. ჩვენ მოგონებები გვაკავშირებს

მხოლოდ მე შესწავლილი მაქვს მისი კაპრიზები, მისი ქალური ჰიპოხონდრია, მე ვიცი, რას იტყვის ის ყოველ წუთში, რაზე გაჩუმდება, რა ეწყინება და რა გაეხარდება.

და სიყვარული იქ თავდება, სადაც ერთმანეთს შეიცნობენ ადამიანები.

ტაია შელიას ჯოგში ყოფნამ ძველებური ენერგია დამიბრუნა.

აბასთუმანშიაც მომწყინდა ოდნავ. ეს პატარა, ყოველი მხრით მთებით შემორაგვული ხეობა, განსაკუთრებით ღრუბლიან დღეებში, საშინელ მელანქოლიას აღმიძრავს ხოლმე. აქ ჰორიზონტი აკლია ჩემს თვალს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს ნაძვნარებით შემოსილი მთები სდარაჯობდნენ ჩემს სურვილებს. მერმე ეს უშინაარსო, მოსაწყენი აგარაკის ქალები, ვინ რამდენი მოიმატა, ვინ რამდენი დაიკლო, პატარა ადამიანების პატარა ჭორები. და რაც მთავარია, ამ უთვალავი ჰლექიანების ხველა. ეზოებში და სანაგვეებში კვერცხების ნაჭუჭები... სახლში ვერ ვჩერდები ჩემი მეზობელი ექიმის ცოლი ვგონებ შეყვარებულია, მთელი დღე თუთიყუშივით ჩხავის მისი საძაგელი გრამმოფონი. მთავარ პარკში ვიღაც უხეირო ებრაელი მუსიკოსები უხეირო რუსულ რაპსოდიებს უკრავენ. მარტო მათი ფლეგმატური სახის შეხედვა შეგაძულებთ ყოველივე მუსიკას. ჯენეტს და დედამისს შინ რომ მივაცილებ, მაშინ მე მივჰყვები ჩამობნელებულ ნაძვნარებს, დიდხანს მარტოკა დავყიალობ ტყეში და ხავსზე ვიძინებ.

ისევ ამიტანა მგზავრობის ციებ-ცხელებამ. ჩემი ტურისტული ხელსაწყო მოვიმარაგე. ორი კვირა ვათვალიერებდი სამცხე-საათაბაგოს ტაძრების, ეკლესიების, ციხე-კოშკების ნანგრევებს.

მდევების გაპარტახებული ბუნაგი!

ღმერთო, რა ძლიერნი ყოფილან ჩვენი წინაპრები და ჩვენი მტრები. ამ ციცაბოებზე ამ ურიცხვი ეკლესიების, ტაძრების, სასახლეების ამშენებელნი და დამარღვეველნი!..

ჰაუუ...

უკუნეთის ცეცხლით გადაბუგულო, საქართველო! რქინის კარები შეგხსნია სამხრეთით.

მაშინ ვიგრძენი იმ ერის ტრაგედია, რომლის წარსულის მავზოლეები აწმყოს ჩრდილავენ და აცამტვერებენ.

მე მიხეტიალნია ძველ საბერძნეთში, ძველ რომში. მინახავს გაჩანაგებული კართაგენი, პომპეის ჩანაცრული ქუჩები, სასახლეები და საკურთხევლები. აკროპოლსა და ფორუმ რომანუმზე მელანქოლიური ფიქრებით გულგასენილი ვმჯდარვარ, მაგრამ ყველაფერ ამას ოდნავაც ვერ შეედრება ის დიდი მწუხარება, რომელიც სამხრეთ საქართველოში გამოვცადე მე იმ თვეებში. რაც უფრო ვუახლოვდები აწინდელი საქართველოს სამხრეთის საზღვრებს, იმდენად ნაკლებად ისმის ქართული.

გზებზე და სოფლების კალოებზე შეხვედრილი გლეხების სახეები მეუცხოება, აქა-იქ ძველი მესხური იერი იელვებს, მერე ისევ თურქული, სომხური სახეები, ან და ნარევი, ბატარდული ტიპები.

რომისა და საბერძნეთის ნანგრევების მძიმე შთაბეჭდილებას ნანგრევების გარშემო მობინადრე იტალიელებისა და ბერძნების ახალი ქალაქები და სოფლები აქარწყლებდნენ, აქ ხედავ ადამიანი, რომ სიცოცხლე, თუმცა სხვა სახისა და სხვა ღონაგობისა, მაინც სჩქეფს, და სამხრეთ საქართველოში — ნასახლარები, ნასოფლარები... ნანგრევები... სიდატაკე... სიბინძურე და გადაგვარება... მე მამაჩემის ქორული თვალებით შევჰყურებ ჩემი მოხუცი, წამებული დედის დამშრალ ძუძუებს (ნეტავ დედაჩემის მუცელში სისხლად დავშლილიყავ, ოღონდ ჩემი სისხლის გადაგვარება არ მენახა!) და ხელმეორედ დავგმე ძე კაცისა, ჩვენი დამქცეველი.

გარშემო ისევ ეს მომთაბარეთა ქოხმახების მაგვარი სახლკარები, თათრული, სომხური და აქა-იქ ქართული სოფელი, კანტი-კუნტად განაგონ ძველ მესხურ დიალექტზე ისვენებს ყური.

ძველი ვარძიის დასათვალიერებლად მივდიოდი. ერთ ქართულ სოფლის ახლოს მინდორზე ჭადრის ქვეშ დავისვენე. ერთმა ძლიერ ლამაზმა ბალახმა მიიქცია ჩემი ყურადღება. მინდოდა გამეგო, რას ეძახიან ადგილობრივი გლეხები ამ ბალახს.

სოფელში შევედი. კვირა დღე იყო, გლეხები დუქნის წინ ისხდნენ. მივუახლოვდი. მე სახეზე შევატყვე, არ მოეწონათ ჩემი დანახვა. ფეხზე წამოდგნენ, სალამი მომცეს. ერთი ჭორხალივით გაწითლებული ტყაპუჭებიანი მოხუცის სახე მომვარდა თვალში. ჯიქურად მივედი, მიკესალმე და ვსთხოვე სოფლის ბოლომდი გამყოლოდა.

„თუ შეიძლება, ცოტა საქმე მაქვს თქვენთან", ვეუბნები. გლეხმა გაოცებით შემომხედა, ფეხი გაიდგა, თავის მეინახეებს გადაჰხედა.

„წაჰყე, შე კაცო, ხომ არ შეგჭამს", ანუგეშა მის გვერდით ნამორზე მჯდარმა ბოხოხიანმა, და მოხუცი გამომყვა. ქიტესა რქმევია სახელად. მუხის ძირას რომ მივედით, ვაჩვენე ბალახი:

„რა ჰქვია, ქიტეს, ამ ბალახს?" — „ამას სანთელას ვეძახით ჩვენ, შენი ჭირიმე", მეუბნება ქიტესა და გაოცებული მიცქერის. მომწყურდა და გადავწყვიტე ისევ დუქანში დავბრუნებულიყავი. ერთი ბოთლი კახური დავიდგით მე და ქიტესამ. როცა სმა დავიწყეთ, ქიტესა გამომიტყდა, რომ მე ისე კარგად ვარ ჩაცმული, რომ გლეხებს საქმის კაცი ვეგონე. და ქიტესას უკვირს, რომ ამხელა კაცი ერთი სიტყვისთვის სოფელში ამოვედი (ქართველი კაცი ხომ სიმთვრალეშია გულწრფელი!).

„იცი, ქიტესა, ყოველი ქართული სიტყვა ბაჯაღლო ოქროა!" ქიტესამ უაზროდ შემომცინა.

„ეს თუ ასეა, შენი ჭირიმე", ამბობს ქიტესა, „მე ჩვენი თამარ დედუფალის დროის ფულიცა მაქვს, იმ ფულზე ქართულად აწერია. მაშ ის რაღა ეღირება?" ქიტესას სახლი იქვე ყოფილა რამოდენიმე წუთში მართლაც თამარის დროის თეთრი მომიტანა. მე ვსთხოვე ქიტესას ეს ფული ჩემთვის მოეყიდნა.

„არა, შენი ჭირიმე, ეს ფული ჩვენთან უნდა დარჩეს". ამბობს ქიტესა, „იგი ფულად ვერ გაიყიდება".

მე ამ სიტყვების დასაბუთებაც არ მომითხოვნია. ისევ ტყუილს მივჰმართე. ვეუბნები: „მე ისტორიების მწერალი ვარ, ქიტესა, ამ ფულს მე ჩემი ისტორიებისათვის გამოვიყენებ, თუ მომყიდი ან მაჩუქებ, ისტორიაში ჩაგცგდებ-მეთქი"

„უსასყიდლოდ გაზეთში თუ ჩამაგდებ, ეგ შენ იცი და ეგ ფული ჩვენთან უნდა დარჩეს". მეუბნება ქიტესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საოცარი გლეხის შეხვედრამ მე გამამხნევა.

საქართველო-ოსმალეთის ახალ საზღვრებამდის ვიარე. ერთ სოფელში შემომაღამდა. აქედან ვაპირებდი კონტრაბანდისტების საშუალებით გადავპარულიყავ სამცხე-საათაბაგოს იმ ნაწილშიაც, რომელიც ამ ჟამად ოსმალეთის ხელშია. მაგრამ ძლიერ საოცარი სიზმარი ვნახე იმ ღამეს. მე და ფარვიზი აბასთუმნისაკენ მივდიოდით თემშარაზე. ერთ სერზე ყიჟინი მომესმა. ჰამიდი სერზე დამდგარიყო და საშინელი ხმით ყიოდა: „ფაარვიზ, ფაააარვიზ, ფაააარვიიიიზ". ეს ხმა მთელს ტანში მაზანზარებდა... გველის წივილ-ივით მძაფრი და აუტანელი! წელზე გველი ერტყა, ხელში გველები ეჭირა და გვესროდა, ერთი გველი კისერზე მოახვედრა ფარვიზს. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, გველმა გამოგუდა ბავშვი. ცხენიც ვერ გადაარჩენდა, ისე დასივდა ფარვიზი. გულგახეთქილი წამოვვარდი. სოფელში ცხენი ვიქირავე და ახალციხეში ამოვედი. აქედან იმავე ღამეს ავტომობილით გავწიე აბასთუმნისაკენ.

სექტემბრის ნათელი დილა გათენდა აბასთუმანში. წინა ღამეს ოდნავ მოსწვიმა, შორეული მთები საფირონის ფერი გოლიათებივით წამოწოლილიყვნენ ცის კიდურებზე. შორეული საგნები საოცრად ჰაეროვანი და ახლობელი გამხდარან. ამნაირ დილით ციდან სცვივა თეთრი მანანა. ეს შეუდარებელი, მაღალი, აბასთუმანის მაღალი ცა! ამ ავადმყოფების ამ ჭლექიანების მელანქოლიურ სახეების მიუხედავად, ადამიანს ისეთი განწყობილება დაეუფლება, თითქოს ეს იყოს პირველი დილა გაჩენისა და ამ ქვეყნად მოსვლის. ვერც კი ვგრძნობ, მიწაზე თუ ფეხს ვაკარებ, ვერც კი ვგრძნობ საკუთარი სხეულის სიმძიმეს... ეთერივით გამსჭვირვალეა ჩემი სხეული.

და ენერგია?

ენერგია იმდენი, რომ სამხრეთ საქართველოს მთებიც ვაბურთაო, არ დავიღლები. იმ დილით ადრე ავდექი. ფარვი-

ზის ნახვა მომნატრებია! ჯენეტს ჯერ კიდევ ეძინა. აივანზე მადამ ლაბიში შემხვდა.

„მადამ მირზა-ხან მთელი კვირა ავად იყო, ექიმებმა ურჩიეს აბასთუმნიდან წასვლა. გული აქვს ცუდი მადამს“. მეუბნება ჩურჩულით მადამ ლაბიში. ამ ამბავმა საშინლად ამაფორიაქა.

„ფარვიზი სადღაა, მადამ?“ ვეკითხები.

„ფარვიზი დილა-ადრიანად წავიდა, მზის აბაზანები უნდა მიეღო, ჰამიდს გაჰყვა, არ ვიცი, საით“.

მადამ ლაბიში ტიპიური ფრანგი მოხუცია. გულკეთილი, ნაზი, ნაკითხი, გონებაგახსნილი. ერთი ნაკლი აქვს მადამ ლაბიშს: ძლიერ ბევრს ლაპარაკობს. ეს შეიძლება მიტომაც მოსდიოდეს, რომ აქ ჯენეტის მეტს ვერავის დაელაპარაკება ფრანგულად. მადამ ლაბიშმა ლაპარაკი გამიბა. მირზა-ხანის გარდაცვალების ამბავი გაიხსენა. ჯენეტის წასვლის შემდეგ მირზა-ხანი ძლიერ გამოიცვალა თურმე. სამსახურს თავი დაანება. ლოთობდა. მთელი თვეობით მონტე-კარლოში იყო. დიდძალი ფული წააგო. ათასში ერთხელ ფარვიზის ავადმყოფობას თუ გამოეხმაურებოდა და პარიზს ჩამოვიდოდა. ვალებში ჩაეფლო, მერმე ვალიუტის სპეკულაციას მიჰყო ხელი. ერთ მშვენიერ დღეს 500 ათასი ფრანგი წააგო ბირჟაზე და გული გაუსქდა.

მადამ ლაბიში ძლიერ სწუხს, რომ ჯენეტის კარგი ოჯახი ასე დაინგრა, რომ მის ქალბატონს იმდენი საშუალებაც აღარ შერჩა, რომ ფარვიზი გამოზარდოს. რაც მამისეულ მამულში ჰქონდა, თითქმის ყველაფერი წაართვეს. შვიდიოდე ქცევა მიწა დაუტოვეს, — ეს მის მოხუცებულ დედასაც არ ჰყოფნის. ისიც არ დაუმალავს მადამ ლაბიშს, რომ ჯენეტი პარიზში დაბრუნებას ფიქრობს. რომელიღაც კონსერვების ქარხნის დირექტორს მირზა-ხანის ფული ჰმართებია. იმ ფულის იმედით აპირებს ფარვიზის გამოზრდას. აქ რა უნდა ისწავლოს ბავშვმა. ქართული მან არ იცის და მე მგონია, ვერც ჯენეტი შეეგუება აქაურ ცხოვრებას. ევროპაში ცხოვრებას მიჩვეული ადამიანისათვის ერთგვარი წამებაც არის საქართველოში ცხოვრება“. მეუბნება მადამ ლაბიში.

ძლიერ შევშფოთდი. მაშ ასე... შესაძლოა ფარვიზი აბასთუმნიდან წაიყვანონ და...

ამ შიშმა ძლიერ მომანატრა მისი შეხვედრა. რამოდენიმე ნაძვნარი შემოვიარე. ქვემო პარკში ორიოდე პლექიანი ყვინთავდა. აბანოს ახლოს გავიარე. ქვემო აბასთუმანში წავედი, და რვიზი ვერსად ვიპოვნე. ტყის ბილიკს ავჰყევი. უგზო-უკვალოდ დავხეტიალებ, ეგებ სადმე წავაწყდე. სასოწარმკვეთა, სახსრები მომიდუნდა. წინა დღით გიჟი მდევარივით მოვაჭირითებდი ცხენს ახალციხისაკენ, დღეს ფეხს ძლივს ვადგამ. ორმოციოდე კილომეტრს ასე დავუღლივარ. ძლიერ გადავჩვეულვარ ცხენით მოგზაურობას? დაქანცული ვიყავი, აბასთუმანში დაბრუნება მაინც არ მინდოდა. დიდხანს ვიხეტიალე ნაძვნარებში, თამარის ციხეს ვუახლოვდები. ვერც კი მოვასწარი ხშირი ნაძვნარიდან გამოსვლა, თამარის ციხის ნანგრევიდან ჩამოვარდნილ ლოდზე ტანშიშველი იდგა ფარვიზი, ხელები კისერზე შემოეჭდო და თავისი ფართო მუქლურჯი თვალებით შესცქეროდა სმარაგდისფერ ცას. აქ იდგა ღმერთების მიჯნური... და მისი ძველი სპილოს ძვლის ფერი ტანი საოცრად ლაპლაპებდა მზეზე. ყოველი მოქანდაკე შურით შეჰხედავდა ამ ღვთაებრივად სრულყოფილ სხეულს! ეს იყო მხოლოდ, მზის აბაზანებს ოდნავ დაეწვა კანი და მარჯვენა მკლავზე აცრის შრამები ეტყობოდა. მარცხენა თეძოზე და ძუძუზე ისეთივე პატარა ხალები ეტყობოდა, როგორიც ჯენეტს... ლონთქოში ტანი, რგვალი სახსრები და მხრების თავები, ოდნავ ქალური ტანწყობილება. რაზე ფიქრობდა ნეტავი ეს პატარა ფეაკე? მას ხომ არ ესმოდა საქართველოს წარსულის რომანტიკა, მან ხომ არ იცოდა, რომ მის ცისფერ სისხლში დიდი ათაბაგების კეთილშობილი სისხლიც ერია; სისხლი ერისთავთა და კანონმდებელთა, საუკუნეთა განმავლობაში რომ იცავდნენ საქართველოს სამხრეთის ბჭეებს, აწ განადგურებულ სამცხე-საათაბაგოს, უშქარი მტრების იერიშებისაგან. არა, ალბათ ყველაფერი ეს მას არ ესმოდა.

ჭეშმარიტად შვენიერი და ღვთაებრივი მუდამ მარტოობას გრძნობს ამ გაუხარელ მიწაზე, ალბათ მოსწყენოდა თავის მახინჯ თანატოლებთან ჩოგბურთის თამაში და ვინ იცის, ეგებ ვაჟების მომტაცებელ ქალღმერთს მოელოდა, კეფალოსი რომ წარიტაცა.

ტყიდან გამოვედი, და მან ჩემი ფეხის ხმა გაიგონა. ხელე-

ბი ძირს დაუშვა, მაგრამ სიშიშვლის სირცხვილი მე არ შემინიშნავს (და ეს ბუნებრივია, სრულყოფილისათვის უცნობია დარცხვენა). მან გამიღიმა, და ამ ღიმილმა მომაგონა მე კაპიტოლის ვენერის მთვარეული ღიმილი. მინდოდა მასთან მივსულიყავი, ორიოდე ალერსიანი სიტყვა მეთქვა, მაგრამ მუხლები არ მემორჩილებოდა, ნაღვინევივით დავბარბაცდი, საცალფეხო ბილიკზე გადავუხვიე და შორიახლო მდებარე ლოდზე მუხლები დავასვენე. საიდგანღაც ჰამიდიც გაჩნდა. საზიზღარი შესახედავი იყო შიშველი ჰამიდი. მისი ღრიანკელივით დაკვრაჩხული ფეხები, ჩავარდნილი მკერდი და არაჩვეულებრივად განვითარებული ხელფეხის კუნთები. ჰამიდი რაღაც მოუსვენრად წრიალებდა, ფარსულად ულაპარაკებოდა, ქინიანად ევედრებოდა წასვლას (ეს კი გავიგე). მე დიდხანს ვერ შევძელი მისი შვენიერებით დატკბობა, ჯიუტმა მახინჯმა აიყოლია თავისი ღვთივშვენიერი მეგობარი. ფარვიზმა მატროსული ჩაიცვა და გაჰყვა.

პირშვენიერი და უცნაური.
ხარ აზნაური.
ნათელი მზისა,
ატყდა ჩემს სულში აურზაური,
ვის შევადარო, რამინს, თუ ვისსა?

სახლში მისვლისას ეს პატარა ტაეპი შევიტანე ჩემს ახალ წიგნში: „სისხლისათვის“.

მართლაც და... ვინ იყო ეროსი?

დიდი დემონი, მუხანათი, დაუნდობელი, არცა ღმერთი და არც მომაკვდავი, რაღაც საშუალო, რადგან მათ შორის დგას ყველა, ვინც ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის ქანაობს თვითონ შვიდკეცი წყევლით დაღდასმული დემონი.

პირველითგანვე იყო ეროსი. პირველი სუნთქვა ნოყიერი დედამიწისა, პირველი ვნება გახელებულ სტიქიონების, პირველი კოცნა, ალტყინება პირველი და უკანასკნელი და შემოქმედის სიტყვა პირველი. აფროდიტეს დაბადების დღეს ზევსის ბაღში ლხინობდნენ თურმე ღმერთები. მათ შორის იყო სიბრძნის შვილი — თვითონ სიჭარბე. ნასადილევს ღმერ-

თეზის ბაღში მოხეტიალდა ქალბატონი სილატაკე, — რათა ღმერთების ნასუფრალით გაეძღო კუჭი. სილატაკე მაშინაც ხარბი იყო და ქალბატონ სილატაკესაც მოუნდა სიმდიდრისაგან შვილი ჰყოლოდა. გვერდით მოუწვა გალეშილ სიმდიდრეს და ამ ორგიებში წარმოიშვა თვითონ ეროსი.

მიტომაც ეროსი შვენიერის ფარეშია დასაბამიდან, მუდამ შვენიერზე შეყვარებული კავალერი. თავის დედასავით მაწანწალა, მუდამ სხვის ნადიმებზე პირველი თამადა, მუდამ სხვისი ცოლებისა და საყვარლების სარკმლებში იმზირება, სხვისი მიჯნურების ყბედი ფარეში. თვითონ არც ცოლი ჰყავს და არც საყვარელი.

მამასავით ხელგაშლილია და პურადი, ძალოვანი მონადირე, თავზე ხელაღებული მეომარი, რადგან ამ ქვეყნად დასაკარგავი არაფერი აქვს. მენცარი, მისანი, არც ბრძენი და არცა ჭკუიანი, არც ლამაზი და არცა მახინჯი. იგი საშუალოა შეშლილსა და ბრძენს შორის და იგი საშუალოა, არა იმიტომ, რომ შეზღუდულია, არა, — ამ ქვეყნად ყველა შეპყრობილი დემონის ვნებით, მუდამ მიჯნებზე საქანაოდ განწირულია. თვითონ პოეტია, პოეტივით სულელი და პოეტივით ბრძენი. პოეტივით გიჟი და ყველა, ვისაც გვამში ჩაუვა ეროსი, ყველა უნდა გაპოეტდეს, პოეტივით გაუბედურდეს.

და ვინ არ იცის, რომ ჩვენ, პოეტები, თევზებს რომ ვგავართ, უფსკრულებს აბარია ჩვენი სულის ბნელი ხვაშიადი. ადამიანური ცხოვრებისათვის ზედმეტნი ვართ, და ღმერთობისთვის საკმაოდ ადამიანნი. ჩვენ უჭკუოს სულელი ვგონივართ, ხოლო სულელებს — ბრძენი! (მიტომაც აგრე ვუყვარვართ ქალებსა და ბავშვებს!). ჩვენ უფსკრულების ბილიკებზე დავხეტიალობთ, ჩვენ უფსკრულები გვეძახიან ჯოჯოხეთური ხმით. მიტომაც წილი არ გვიდევს ჩვენი მამების ვენახებში. მაგრამ ჩვენ მაინც გვიყვარს მამების ვენახი, რადგან ჩვენ ღვინის ღოთები ვართ, რადგან ჩვენ სიტყვის ღოთები ვართ, რადგან ჩვენ სიყვარულის ღოთები ვართ.

მიტომაც აგრე გავურბივართ მამების ანდერძს, და, როცა ზინდი წამოგვეწევა, ჰილობის ოდენა ძიწაც არ დაგვხვდება წინაპრების ჩვენის მიწაწყალზე. და მშვიდობაც არ უწერია ჩვენს ბობოქარ სულს, რადგან ორლესული მახვილი ვარვარებს ჩვენს პირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება მეცამეტე

## ა1. ტაია შელიას უკუღმართ გზებზე

ატყდა ჩემს გულში აურზაური...

გავჰყურებ შორეულ ცისკიდურებს, გავსცქერი სამხრეთს მიმავალ გზას. შემძულდა სამხრეთიც და ჩრდილოეთიც... მინდა წავიდე აბასთუმნიდან, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია. აბასთუმანშიაც ისევე მოუსვენარი გახდა ჩემი ცხოვრება, როგორც დასავლეთში. მთელი დღეები ლავწრიალებ პარკებში, ხანაც ნაძვნარებში დავხეტიალებ და ვეძებ მას. საღამოობით ვხედავ, სახედრებით შემოდიან დაბაში ფარვიზი და მისი მახინჯი მეჯინგორე.

სახედარზე გადამჯდარი დიონისო!

ბოშების ხორო ჩამოვიდა აბასთუმანში. ყველანი ემზადებიან. მე გადავწყვიტე არ წავსულიყავ.

ან სად მცალია ასეთ სისულელეებისათვის. ჩემი ცხოვრების წიგნსა ვწერ. უცხოობაში ქართულიც დამვიწყებია მე უნიათო, ნაციებ თევზს, და ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც სიზმარში სათნო იაკობი თავის მრისხანე ღმერთს.

ენა ქართული — მყინვარივით გულზვიადი, ენა ქართული — ზღვასავით ულევი, ენა ქართული — თასმასავით მოქნილი, ენა ქართული — ღმერთების ენა, ხანდახან მაინც მომადგებიან პირზე მარჩბივი სიტყვები. დასაკლავ მოზვერივით ვხნიხნებ და ვწყევლი იმ დღეს, როცა სიზმარს გადაყოლილმა ბუკურმა ოცნებამ მე უცხოეთში გადამიტყუა.

ენა ქართული — ღმერთების ენა! როცა მისი გეენია შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესული მახვილი იელვებს ჩემს პირში, და ასე მგონია: მე თვითონ ვარ გამოუთქმელის წარმთქმელი ღმერთი. და მებადება ახალი თემა: უნდა დავწერო მეორეჯერ ქებაჲ დიდებულისა ქართულისა ენისაჲ...

მინდა გავუძლო ამ მარტოობას და სულის ქენჯნას, მაგრამ ხანდახან მენატრება ფარვიზის ხსენება, ამ გრძნობას ვეღარ ვუმხელ, ამიტომ ქაღალდზე გადამაქვს ამ საოცარი გამოცა-ნურების ამბები. შეღამებულზე უეცარი მერეხი წამოვიდა. ნაწვიმარზე გასეირნება მომენატრა. მთავარ პარკისაკენ გავიარე... ხალხი პატარა თეატრის წინ ირევა. ბრბოში გავერიე.

ლიმონათის კიოსკთან ჰამიდის მოვკარი თვალი. ალბათ დედას გაჰპარვია და იგიც აქ არის... გავიფიქრე და დარბაზში შევედი... თვალი დამელალა მისი ძებნით. ანტრაქტი გათავდა. გარეთ გამოველ მეორე კარიდან. პარკში არავინ იყო, ელექტრონის ფანარი მკრთალად ანათებდა. ხეებისა და ბუჩქების უშველებელ ჩრდილებს გადაღმა ორ ნათელ ლანდს მოვკარი თვალი. წინ მიმავალი მაშინალურად ჩამოჯდა პარკის სკამზე. მეორე მივარდა, მოეხვია და ჰკოცნის.

მე ნაბიჯს ავუჩქარე. ჰამიდი გახელებული კოცნიდა ფარვიზს. ბავშვი მთლად გაფითრებული იჯდა სკამზე და იდაყვით იგერიებდა აბეზარს. გონებადაკარგული მივვარდი, ჰამიდი მე ვერ მხედავდა, უკანიდან მივეპარე, საკინძეში დავავლე ხელი. ჰამიდი პირაღმა გაითხლართა მიწაზე, თავზარდაცემულმა ამომხედა, სწრაფად წამოხტა და ბნელ პარკში გაჰქრა. გაფითრებული, ათრთოლებული ფარვიზი აშრეშილი იჯდა. ორივე ხელი სკამის საჯდომზე წაევლო, და სიკვდილის ანგელოზივით შვენიერი იყო იგი ამ წუთში. ელექტრონის შუქი რაღაც არამიწიერ გამომეტყველებას აძლევდა მის ღვთაებრივ სახეს. ასპიტისფერი ელვარება გამოჰკრთოდა მისი მრისხანედ მოვარვარე თვალებიდან.

„Pharviz, leve toi, va à la maison. Ta mère te cherche probablement“.*

ფარვიზი მონასავით დაემორჩილა ჩემს ბრძანებას, პარკი გადაიარა, და მე ვხედავდი, იგი თემშარაზე როგორ გავიდა. ღონემიხდილი იქვე ჩავჯექი, სადაც ორიოდე წუთის წინათ იჯდა ფარვიზი. რისთვის არ ვისარგებლე შემთხვევით, რატომ გავაგდე აქედან? მჯდარიყო ჩემს გვერდით და კიდევ

* ფარვიზ, ადექ, შინ წადი. დედაშენი დაგეძებს, ალბათ.

ცოტა ხან მემზირნა მის მარმარილოს სახისთვის... მის ნამრუდისფერ თვალებისათვის. ვაყვედრი ჩემს თავს.

ამ პატარა ფათერაკმა გადამაწყვეტინა დროებით მთებში გავხიზნულიყავ. გავერთობი ჯირითით, ·რყის სმითა და სროლით. ისევ მოვიკრეფ ღონეს. ვფიქრობ. ვიგონებ ჩემი დიდი წინაპრების სულგრძელობას, თავშეკავებას.

ვნებასაც ისეთი მოთმინება და თავშეკავება უნდა, როგორც ომს... ისინი მიტომაც კარგად ომობდნენ, რომ ვნების დაოკება ემარჯვებოდათ.

და სადაც თავშეკავება არ არის, იქ გრძნობა ვულგარულია და გულისამრევი. ჭეშმარიტსა და მაღალ სიყვარულს შორით-ბნედა ასაზრდოებდა მუდამ...

ერთი კვირა კიდევ გავატარე ტაია შელიას ჯოგში. ისევ ვეჯიბრები ჩემს ძიძაშვილებს ლოთოპასა, ჯირითსა და სროლაში. ტაია შელიამ სამი უშობელი მიჩიჩინა, ორი ხარი და ერთი ხბო. ჯოგი ოქტომბრის ხუთმეტს რკინისჯვარიდან გავა ანჯერისაკენ. დღისით მარტო დავდივარ მთებში. ღამე უშობელის ტყავებზე ვიძინებ და ვფიქრობ: ყველაფერს აჯობებს ტაია შელიას ჯოგში გასვლა. ამ საქართველოში მე მაინც ზედმეტი კაცი ვარ. მორდუს ნაჩუქარ საქონელს თუ რიგიანად მოვუარე, ორსამ წელიწადში ნაშენს გავყიდი, სოფელში წავალ, მამის ნასახლარს მოვძებნი და პატარა ვენახს გავიშენებ. ან არა და ინდოეთს წავალ.

მაგრამ ერთადერთი ეჭვი ღრღნის ჩემს სულს. ვერ იქნა და ვერ გავაგებინე დედაჩემს, რატომ ვერ გავხდი მე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. ახლა ეს რომ გაიგოს, რომ მეჯოგეობას ვაპირებ, გაუმწარდება მოხუცებულს ის ორიოდე წელიც, ამ წუთისოფელში საცხოვრებლად რომ დარჩენია. ეს ფიქრი იბრძვის ჩემში და მიტომაც ვერ გადამიწყვეტია...

ალბათ, ათიოდე წელი კიდევ დამრჩენია... ამდენი ვიტანჯე. ამდენი ვნახე, არა მგონია, აწი თუ რამე გამაკვირვებს ან გამახარებს. ბოლოსდაბოლოს ხანგადასული ქალივით მოგონებებით ცხოვრებაც არ შეიძლება.

. . . . . . .

ტაია შელია, გეძახი სამგზის... და ისევ შენკენ მოვდივარ, გულთმისანო ჩემო გამზრდელო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშან ტფილისში ყოფნისას ერთ-ორ საზოგადოებაში მუშაობა ვცადე. ჩემი სისხლი და ხორცი მევე მეუცხოება. ამ ხალხის მე ვერაფერი გავიგე. არც მათ უნდათ ჩემი გაიგონ. ჯამბაზობის ნიჭი ჩემთვის ღმერთს არ მოუცია, ბოლოს-დაბოლოს კურიოზული ადამიანის როლიც მოსაწყენია.

ყველას და ყველაფერს ჩამოვცილდი. მონადირეთა საზოგადოებაში შევედი. ადამიანებს ვერაფერი გავაგებინე. ეგებ საქართველოს ნადირებს შევასმინო რამ:

ესეც კარგი საქმეა! ხანდახან მელანქოლიური ფიქრები მიპყრობენ. ალბათ, ჩვენ დავილალეთ.. ჩვენი სისხლი მოიქანცა მიტომაც...

და ამ ფიქრებმა მომიშხამეს საწუთროება.

ყველაფერი ამ ცხოვრებაში სწორედ ისე მოხდა, როგორც მე არ მინდოდა.

ჰაუ, უნაყოფო, გამხმარო, თხმელავ!

ჩემი ხელთნაწერები? ეს ღმერთმა უწყის, თუ ოდესმე გამოქვეყნდება ჩემი „სისხლისათვის“. სხვა რა დამრჩენია ამ ქვეყანაზე? ავილო ისევ მგზავრის ყავარჯენი და ისევ ვიხეტიალო? მუდამ სხვის ქვეყანაში, მუდამ სხვის სახლში, მუდამ გზაში. ესეც მომწყინდა.

ისევ მომენატრა აბასთუმანში ჩასვლა. ყური არ ვათხოვე მორდუს მუდარას და ფეხით წამოვედი. კარგა მანძილზე დაშორებული ვიყავი რკინისჯვარს. ვხედავ, ჯოგის ძაღლი, ბათურა მომსდევს, გავუჯავრდი, დავტუქსე, მაგრამ არ მომეშვა ეს სამგლე (საოცარია, მე ცხოველებს ასე რომ ვუყვარვარ). აბასთუმანში რომ ჩამოვედი, მეშინოდა ძაღლი არ დამკარგვოდა ჯოგში მიბრუნებამდის, ამიტომ ყველგან თან დამყავდა. ერთ საღამოს ჯენეტთან შევიარე. მარტო იყო. შეზლონზე იწვა.

მადამ ლაბიში რომელიღაც ფრანგულ რომანს უკითხავდა. ჯენეტმა საყვედურები დამახვედრა. ძლიერ გულნატკენი იყო, რომ მე ძლიერ გამოვიცვალე. თავს ვეღარ ვიჭერ. ხანაც უზომოდ გულჩათხრობილი ვარ.

„ხანაც ისე გიჭირავს თავი, თითქოს უპასაკო გიმნაზიელი იყო“. მეუბნება. მადამ ლაბიშს წიგნი გამოართვა, ფურცლავს.

„როგორ თუ უპასაკო გიმნაზიელი?“ ვეკითხები.

„აბასთუმანში რამოდენჯერმე უნახავხართ, მეჯოგის ტყაპუჭი გცმია, ვგონებ მთვრალიც ყოფილხარ და ცხენს აჭენებდი არაზინდოს გზაზე“.

მე გავჩუმდი.

ქალს უმეტესად მოთმინება გამოიყვანს მოთმინებიდან და ჯენეტმაც განაგრძო:

„თუნდაც ეს ძაღლი! სად გაგონილა, ჯენტლმენს ჯოგის ძაღლი თან რომ დაჰყავდეს. ასეთი ბინძური ცხოველი ადამიანის ბინაზე რა შემოსაყვანია?“

ჯენეტს სახე აელანძა. ისევ ნერვიულად ფურცლავს წიგნს.

მე ამის მეტი საყვედური არასოდეს გამიგონია მისი პირისაგან. ამ სიტყვებზე ძლიერ გავბრაზდი და ვეუბნები:

„იცით, მოწყალეო ქალბატონო, ეს ძაღლი შემთხვევით წამომყვა ჩემი გამზრდელის ჯოგიდან, მე მას ვერ გადავაგდებ... რადგან ჩემთვის საყვარელი ადამიანის ძაღლიც კი ძვირფასია. თუ თქვენ ეს ძაღლი ნერვებს გიშლით, მე ბოდიშს ვიხდი“... ესა ვთქვი და ქუდი და ჯოხი მოვძებნე. ძაღლი თან წავიყვანე. მეორე დღეს ისევ მთებში დავბრუნდი. ბათურა თავის პატრონს უვნებლად მივჰგვარე. ამ პატარა ისტორიამ გადამაწყვეტინა აბასთუმნიდან ჩემი ჩემოდანი წამომეღო და მთაში გადავსახლებულიყავ, ვიდრე ჯოგი ანჯერს არ წავიდოდა. ხუთმეტ ოქტომბრამდის კიდევ დრო იყო და ამდენ ხანს ცხოვრებაც გზას მიჩვენებდა.

სამი დღის შემდეგ მე და ოტია ცხენებით ჩამოვედით აბასთუმანში. ოტიას ცოტაოდენი ყველი უნდა გაეყიდნა. მე მარქაფა ცხენით გავიარე ჩემ ბინამდის. ჭიშკართან ჩამოვხტი. ის იყო ეზოში უნდა შემეყვანა ცხენები, ვიღაცა მომვარდა, მორიდებულად სახელოზე მეწევა.



12. ქ. გამსახურდია

ფარვიზი!

იგი საოცრად ალტყინებული შეაცქეროდა ლომისფერ ლაფშას. ტაია შელიას ცხენების დანახვაზე ათაბაგის სისხლი ადუღდა მის გულში. მევედრება, მთაში წამეყვანა ცხენით.

ფარვიზს თავზე ხელი გადავუსვი და ვეუბნები:

„Bien, mon cher, demande maman la penmission"...*

ბავშვს თვალები გაუბრწყინდა. გახარებული გავარდა. ცოტა ხანს შემდეგ დალონებული, მოღუშული, მობრუნდა (რა შვენიერი იყო გაბუტული, გამწყრალი ფარვიზი!).

„Maman me defend"..** ამბობს თავჩაქინდრული. თავის მატროსული ხალათის საყელოდან ძაფებს აძრობს.

ფარვიზი წავიდა. ცხენები ეზოში დავაბი. საშინლად ვაყვედრი თავს. რატომ ვუთხარი უარი, წამეყვანა მთებში, ვინ გაიგებდა — ის მაინც მთელი დღე შინ არ არის: ხან თევზაობს, ხან ჩოგბურთს თამაშობს. ხან კიდევ თავის მახინჯ მეჯინგორესთან დაყიალობს ნაძვნარში.

სადილობის დრო იყო, ახლა იგი შინ წავიდოდა. მინდოდა წავსულიყავ, ეგებ ეზოში შევხვედროდი და წამეყვანა მთებში. ჩემს დიასახლისს სალომეს დავუბარე: ჩემი ოთახი გაექირავებინა, ჩემი ბარგი დროებით შეენახნა. ამასობაში ოტიაც მოვიდა. ცხენებს ცოტა ქერი ვაჭამეთ და ეზოდან რომ გამოგვყავდა, გალებულ ჭიშკართან ფარვიზი შევნიშნე, ბავშვი სულ ახლოს მოვიდა ჩემთან. მეხვეწება, მთებში წავიყვანო ცხენით. ნამდვილი ბავშვური ვედრება. კისერზე ხელს იკიდებს.

„რა უნდა ამ ბავშვს?" მეკითხება ოტია. გადავუთარგმნე. ოტია დაჟინებით მოითხოვს წამოვიყვანო მთაში.

„საღამოს ისევ აბასთუმანში იქნებით. დილას თემრაზი ჩამოვა და ორივენი უკან გაბრუნდებით. ჩვენ კი ახლა ფეხით გამოგვყვებით", მეუბნება ოტია. ველარც მე გავუძელი ფარვიზის ვედრებას და ლომისფერ ცხენზე შევსვი... ფარვიზს სახე უბრწყინავდა სიხარულისაგან. ასე მხიარული ჯერ არ მენახა იგი.

გზაში ვუამბე ფარვიზს თავის წინაპრების შესახებ. ვარწ-

---

* კარგი, ჩემო კარგო, დედა შენსა სთხოვე, ნება მოგცეს.

** დედა არ მიშვებს.

მუნებდი, რომ მას ორი სამშობლო აქვს ამ ქვეყანაზე: საქართველო და სპარსეთი, რომ მის წინაპრებს აუშენებიათ სამხრეთ საქართველოს ეკლესიები, ციხე-კოშკები და ბასტიონები. და მისი წინაპრები სხვა დიდ გვარებთან ერთად იცავდნენ საქართველოს სამხრეთის ბჭეებს... ვუმტკიცებდი, რომ მისთვის უთუოდ საჭიროა ისწავლოს ქართული და გაიგოს თავის წინაპრების თავგანწირვისა და გმირობის ამბავი.

„ადამიანი იმით განსხვავდება მაიმუნისაგან, ჩემო ფარვიზ, რომ მაიმუნს შეიძლება თავისი მამა და დედა ახსოვდეს მხოლოდ და ადამიანს კი შეუძლია ცოტა რამ გაიგოს თავისი ბნელი სისხლისათვის, და ადამიანი იმითი განსხვავდება მგლისაგან რომ მგელს კისერი გაშეშებული აქვს თურმე და ადამიანს კი შეუძლია არა მარტო თავის უკან და თავის გარშემო მდებარე საგნების დანახვა, არამედ ბნელ საუკუნეებში გადახედვა და წარსულში თავისი სისხლის ნაკვალევის მოძებნა“.

შევატყვე: ბავშვი ძლიერ დააფიქრა ჩემგან განაგონმა. სამხრობამდის რკინისჯვარში დავრჩით. სადილობის დროს ფარვიზი ჩემს გვერდით იჯდა. ხმას არ იღებდა.

მორიდებული, დაკვირვებული თვალებით შესცქეროდა მეჯოგეების ჭამა-სმას და ქცევას. სჩანდა, პარიზში გაზრდილ ბავშვს ძლიერ ეუცხოებოდა, რომ ჩვენ ხელით ვჭამდით და ჩემი ძიძაშვილები ძლიერ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მიწაზე აფურთხებდნენ, ხელით იწმენდნენ ცხვირს. მეზარება ამ მადლიანი სუფრის მიტოვება, შევსცქერი ოდნავ მოწყენილ ღმერთების მიჯნურის სახეს.

მისი შეხედვა უტყვი მელანქოლიით ავსებს ჩემს სულს. ღვინო მომეკიდა. ძლიერ მეზარებოდა ადგომა, აბასთუმნამდის ცხენით მგზავრობა. მით უმეტეს, ვინ იცის, ეგებ რამოდენიმე დღის შემდეგ იგი აბასთუმნიდან წავიდეს, მე ჯოგში უნდა დავრჩე და შესაძლოა უკანასკნელად ვიყო მის ახლოს. ღ ვფიქრობ ჩემთვის:

შენ მართალი ხარ, ჩემო ეროს, შკიდგზის მართალი! ამ ქვეყანაზე დავანება ღირს მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლოა პირშვენიერს უმზერდე მუდამ...

გადაიხარა მზე დასავლისკენ და დაათოვა მთების მწვერ-

ვალებზე დაზვინულ ღრუბლებს ქარვა და ძოწი. გამოხურვებულ ოქროსფრად ალაპლაპდნენ გვირგვინოსანი გოლიათების მწვერვალნი. ჩვენ აბასთუმანში დაბრუნება დავაპირეთ. საუბედუროდ გზაში ნალი ავარდნია ზერდაგ ცხენს. მორდუს შევატყვე, უნალო ცხენი ეცოდებოდა...

„იცი, მორდუ, შეკაზმეთ ჩემთვის წითური ულაყი“, ვეუბნები ტაია შელიას.

ოტია ამტკიცებდა, რომ ჯერ წითური ულაყის დაჭერა გაჭირდებოდა, მერმე ძლიერ საშიში იყო ჩემთვის გაუხედნელ ცხენზე ღამით მგზავრობა. მე ნაღვინევი ვიყავი, დაჟინებით მოვითხოვე წითური ულაყი — აბდულა დაეჭირათ, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ. ყველას ვარწმუნებდი, მე მას მოვაჭკუიანებ მეთქი.

ტაია შელია ნებას დამყვა. ოტიამ, თემრაზმა და მე გამოვრეკეთ ცხენები ეწერიდან. აბდულას გარდა ყველას ზურგი ჰქონდა დაშავებული. ტაია ქვიშისფერ ცხენზე შეჯდა, დახვეშილი ქამანდა ხელში დაიჭირა. ირმის ნახტომზე მიუახლოვდა წითურ ულაყს, ნასკვი კისერზე გადაუგდო. ულაყმა იუარა. ტლინკები ჰყარა და გაჭენდა ველზე. ტაიამ მიუშვა ქამანდი. ცხენ-დაცხენ მიჰყვა. ჩვენ ყველანი სირბილით მივსდევდით უკან. გაისწორო ულაყმა ქვიშორას. გაიჭიმა ქამანდი. იგრძნო ულაყმა, რომ ბაწარი ყელზე უჭერდა. მიჰყვა ტაია შელია ცხენდაცხენ წითურ ულაყს. მერმე ნელნელა კეხზე დაიხვეშა ბაწრის მეორე თავი. შედრკა ულაყი. ყალხზე შედგა, ისევ გაჭენდა ულაყი. ისევ მოსწია ტაია შელიამ მოშვებულ თოკს, კიდევ შემოახვია კეხის ტახტას. მოსწია მაგრად ქამანდს, და გაგუდულმა ულაყმა წამოიჩოქა.. სადღაცავად ქშინავდა შვენიერი დატყვევებული პირუტყვი.

„ანანგირი“, დაიძახა მორდუმ. ოტიამ უნაგირი მოარბენინა კარავიდან. თემრაზმა ძუაში წაავლო ხელი „ჰაჲტ!“ შესძახა მორდუმ, გადაჰკრა მათრახი. ღონემიხდილი ცხენი ნაციებივით კანკალებდა. შეკაზმეს ულაყი. ოტიამ ცალი უზანგი დამიჭირა. როგორც იყო, შევჯექი.

მრავალგზის ეცადა აბდულა, როგორმე ჩამოვეგდე. ყალხზე შესდგა, ტლინკები ჰყარა. მაგრამ [illegible]ავტუქსი ველზე თარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩია გავძართე. მოროდუ უკმაყოფილოდ თავს აქნევს. ეტყობა ძლიერ ეძნელება ჩვენი გაშვება.

„მით უმეტეს, ამბობდა ტაია, საცაა, შეღამდება და სად გაგონილა გაუხედნავი ცხენით მთებში მგზავრობა!.. გარდა ამისა, მერეხი მოგეწევათ, დასველდებით... თუ უსაშველოა მაინც და მაინც, იალონამდის დარჩით და მერმე ია და ვარდი გიფენიათ". მეუბნება.

მე ჯიუტი ვარ, განსაკუთრებით, როცა გზას დავადგები. ფარვიზი ქვიშორაზე შესვეს ჩემმა ძიძაშვილებმა. ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა ამ ქვეყნად: ჯიუტი ქალის მოტეხა და ურა ცხენზე ჯდომა. აბდულა მაინც!..

მედუქნე ფრანჩესკოს ცხენი რა სახსენებელია მასთან! რა ხერხებს არ მიჰმართა აბდულამ, როგორმე ჩამოვეგდე. თემშარაზე დაზვინულ ხრეშს რომ დაინახავდა, ყურებს სცქვეტდა, დაიფრუტუნებდა, განზე გახტებოდა. ხიდისთავებთან მალაყებს გადადიოდა. უკანა ფეხებზე დგებოდა. ჯინჯრის ციებით შეპყრობილივით უცახცახებდა სხეული. ლაგამიდან თეთრი დუჟი იფრქვეოდა. ოფლში გაწურული იყო, მაინც არ სცხრებოდა. ხან და ხან განზრახ წინ ვუსწრებდი ფარვიზს.

უდიდესი სიხარული განვიცადე იმ საღამოს, ეს დაუგეშელი, მოუტეხელი ბუნების სტიქიონი, უფსკრულებს შორის მიმავალ შარაზე რომ მიმაქანებდა უკუნეთისაკენ... მკლავები დამაწყვიტა სადავეებმა. სამკერდე გააწყვიტა ულაყმა. შევატყვე, ფარვიზიც ძლიერ აღელვა ამ საოცარ ურაკვიცის ქედმაღლობამ და ისევ ადუღდა ძველი ათაბაგების მოუსვენარი სისხლი...

ოდნავ მოვარჯულე აბდულა, ახლა ჩვენ ერთად მივჰყვებით თემშარას, მე ვსტკბები მის სიახლოვით, მასთან ბაასით. ისევ შემევედრა ფარვიზი — წითელ ულაყზე შემესვა.

ჩემი გული აღვსილი იყო მასთან ახლოყოფნის ბედნიერებით, მისი ხანგრძლივად ხილვის სიტკბოებით. და ჩემი სულიც რომ ეთხოვნა, არ დავიშურებდი. ოდნავ გაგვიჭირდა ცხენების შეცვლა. ფარვიზი ვერ შესწვდა უზანგს. ხელში ავიყვანე, ულაყზე შევსვი. მისი ღვთაებრივი სხეულის ხელის შევლებისგან ელექტრონივით გამაკრთოლა. და ძლივს მოვაჯექი ჩემს ქლალ ცხენს. ახლა ვიგრძენი: დავლოლილვარ.

ულაყმა წამსვე შეიტყო გამოუცდელი მხედრის ხელი. ისევ მალაყები, განზე გახტომა და უეცარი ფრუტუნი. ცოტა ხანს ერთად მივდიოდით.

ერთი-ორჯერ ზეკარიდან მომავალმა ურმებმა დააფეთა აბდულა. მაგრამ გზადაგზა ფარვიზიც მიეჩვია აბდულას კაპრიზებს. დაბნელდა, იელვა ხევში, დაიგრუხუნა, კოკისპირული წვიმა დაუშვა. მეტი გზა არ იყო, ავუჩქარეთ ცხენებს.

სულ ათიოდე კილომეტრი გვიკლდა აბასთუმნამდის. იძალა წვიმამ. ელვის სპირალებმა გაანათეს მოლუშული მთების ბნელი მუხარადები. დაკოდილი მდევებივით აგრუხულიყვნენ მთები.

თითქოს პოსეიდონს ბნელი სულები გამოეგზავნა ჰიპოლიტოსის ცხენების დასაფეთებლად. გაგუდული ვეშაპებივით ქშინავდნენ ხევები, თხემებს ნიაღვარი ასკდებოდათ შუბლზე. უკვე ველარ ვხედავ ფარვიზის სახეს. შემოსახვევთან ხევში დაიგრიალა, დაიბღავლა რაღაცამ... დაფრთხა ულაყი. მომტაცა ფარვიზი და დემონივით გაჭენდა თემშარაზე. გზა დაღმართისაკენ მიდიოდა. გამოვუდექი... მაგრამ აბდულა ისეთი სისწრაფით მიაქროლებდა თავის მხედარს, რომ თემშარის მოსახვევთან ვხედავდი მხოლოდ გაჭენებულ სილუეტს. გადავუჭირე მათრახი ქვიშორას. გზის მოსაქცევთან დამეკარგა თვალიდან მხედარი. მიწაზე ასკდებოდა ჩემი ცხენიც. კიდევ გადავუჭირე მათრახი და ის-ის იყო, მოსახვევთან უნდა დავწეოდი, უკვე გარკვევით ვხედავ ფარვიზის ლანდს, და ფარვიზი ისე მიაჭენებდა გაცოფებულ ცხენს, თითქოს ეროსი ჩასვლოდა ორივეს გვამში.

დემონი დემონს აჭკიდებოდა, დემონი დემონს მიაჭენებდა, უკუნეთისა და უფსკრულისაკენ. მე დამიწყდა მოსართავები, ცალი სადავე ხელში შემრჩა. კიდევ მოვუქნიე ჩემს ცხენს, ტაია შელიასავით დავჭკივლე ფოლადის ხმით. ცეცხლს აკვესებდა ცხენის ფეხები. ძლივს ვიმაგრებდი დაღმართში თავს. დაიელვეს სიბნელეში ორმა ცეცხლებ მოლაპლაპე თვალებმა.

დამშეული მგელივით მოძუნძულებდა ავტომობილი აღმართზე... ისევ ამიტანა მანქანის შიშმა. კიდევ გავქუსლე ცხენი. სათოფეზე დავეწიე. სახეში ელექტროს სხივმა შემომანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და თვალი მოვჰკარი, გადასახვევთან: დაფეთებულმა ულაყმა ბნელუფსკრულისაკენ ისკუპა, და საშინელი გრიალი და ცადამწვდენი კივილი გაისმა დაბნელებულ ხევში.

ჩემი ცხენიც უნდა მიჰყოლოდა უკან... ჩაბალახიანი მეურმე ვეფხვივით შემოახტა ჩემს ცხენს და სადავე წამგლიჯა...

ღმერთმა უშველოს! ზეკარიდან მომავალი მეურმეები დამეხმარნენ. საშინელად დასახიჩრებული ფარვიზის ცხედარი ხევიდან ამოვიტანეთ, ნაბადში შევხვიეთ, ურემზე დავასვენეთ.

თენდებოდა, როცა აბასთუმანს მივაღწიეთ. ციდან მერეხი მოდიოდა. მე აღარ მახსოვს, როგორ შევასვენეთ ცხედარი ჯენეტის ბინაზე. მაგრამ დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ჯენეტის უქმური სახე.

პირდაუბანელი, თმაგაწეწილი კარზე იდგა.

„შენ დააქციე ჩემი ოჯახი, შენ ბოროტი სული ყოფილხარ. წყეულიმც იყავ უკუნისამდე, შე გველო, შე გველო!“ შემრისხა გამწარებულმა ფარვიზის დედამ. და გადამექცა მამის წყევლით დადაღულ სახეზე ადუღებული ფოლადივით ცხელი კრულვა დედაკაცისა.

გარდვეულივით ჩავბარბაცდი კიბეზე, ჩემს ფეხქვეშ ნიადაგი შეტორტმანდა. ის ქალი, მე რომ ოდესღაც ქაშუეთის ღვთისმშობელს ვადარებდი, ახლა ტაბაკონის უქმურ როკაპს დამსგავსებოდა.

**შეგონება:** იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი ან რა იქნებოდა ამ ქვეყანაზე! იყო ერთი ჭაბუკი მეფე. სახელოვანი, ქედმაღალი, წინაპრების შთამომავალი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნებზე ფრიალებდნენ მისი დროშები ლომისპირიანი. ულევი იყო მისი პატიოსანი თვლების სალარო, მისი ლაშქარი — აურაცხელი, მისი ცხენები და ბასტიონები — შეუმუსვრელი. შეჰშურდათ ღმერთებს ჭაბუკი მეფის ბედნიერება.

და აღდგნენ ქვიშასავით ურიცხვი მტრები აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. შეჰმუსრეს მისი ციხეები და ბასტიონები. გააბახეს სალოცავები და საკერპეები. სისხლიან კალოებზე გალეწეს მშობიარენი და

ძუძუმწოვარნი. მტვერსა და ნაცარში ჩაახრჩვეს აყვავებული ქალაქები, სოფლები და აგარაკები.

და იავარჰყვეს მისი სამკვიდრებელი, იბრძოლა ფრიად ჰაბუკმა მეფემ. ებრძოლა აღმოსავლეთს, ებრძოლა დასავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს ებრძოლა. აბჯარი შემოაცვდათ სწორუპოვარ რაინდებს, მკლავი დაეღალათ სპასალარებსა და მეციხოვნეებს. მაგრამ ქვიშასავით ურიცხვ მტერს ვერაფერი დააკლეს.

დაღონდა ფრიად ჭაბუკი მეფე და გაეყარა სასოება ვითა ქარი, ცხოვრება — ვითა ნისლი. გული მისი მწუხარების დღეებმა შეიპყრეს, ვითა მიმინომ — მინდვრის ონაგა. არცა ქორითა და ავაზითა ნადირობდა, არცა მონადირეებთან ღვინის სმითა გაიხარებდა, არცა ყაბახზე და ასპარეზზე გამოჩნდებოდა, არცა საყვარლებთან აშიყობდა და ლაღობდა. და დასდო აღთქმა. არ გაჰკარებოდა ყვავილოვან ქალწულებს ამიერიდან. და გული მისი ჩაიჭრა მწუხარებაში, ვითა მონადირისაგან აკელეული. ტყიური ბადეში. და ჩაადრევად ჩამოსთოვა მის უბედურ თავზე.

იხმო ქადაგი ამ ქვეყნის მეფემ: „შენზე ამბობდნენ, ენაარეული მოუბარი ხარ, ბნელი წართქმის ოსტატი. ახლა კი მესმის, თუ რატომ ეწევი ენაარეულ მეტყველებას ან ბნელი სიტყვის ოსტატი თუ რატომ ყოფილხარ. რადგან ჩემ სულშიც ბნელმა დაივანა — და დავმარტოვდი".

და ჰრქვა ქადაგმა ამ ქვეყნის მეფეს.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო. უნდა გცოდნოდა, მზეგრძელო მეფევ, რომ ყველა ზარი ოდესღაც უნუგეშოდ აღრიალდება. ყველა ბორკილი დაწყდება ერთხელ, და ქვიშასავით ურიცხვი მტრები დალეწავენ ციხეებს და ბასტიონებსაც. და მოვა ჟამი, როცა ყველაფერს წყალი წალეკავს, ყველა ხმას ქარი წაიღებს, ყველა ხმელს — ცეცხლი დასწვავს, როცა ცეცხლი ჩაჰქრება, მაშინ ქარიც ჩადგება და არ შერჩება კაცს დედით შობილს აღარც გვირგვინი და აღარც სკიპტრა.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო. ისმინე ჩემი, მზეგრძელო მეფევ და გაეცალე ამ ქვეყანას ბილწსა და წყეულს და რვალისაგან მოაკვეთინე შენივე სახის სრული ქანდაკი.

უდაბურ ადგილს გაიშენე მცირე ვენახი, თაყვანი ეცი შენსავე ხატს, სულზე იფიქრე, მზეგრძელო მეფევ. რადგან მოწეულია ჟამი, როცა საკუთარ სულზე უნდა იფიქროს როგორც მეფემ, ისევე მონამ“.

ენიშნა მეფეს მისნის სიტყვები. დ ადგა მეფე უნუგეშო და უბედური. დაუტევა ქვიშასავით აურაცხელ მტრებს თავისი ქედმაღალი წინაპრების სამკვიდრებელი, განზე გადასდო ოქროს გვირგვინი და სპილოს ძვლისაგან ნაკვეთი სკიპტრა. გამოეთხოვა თავის საყვარლებს. ქვრივ-ობლებს დაურიგა ოქრო და ვერცხლი, იაგუნდი, ბივრიტი, ლალი. დაკეცა წინაპრების დროშა ლომისპირიანი. აუშვა ცაში ეჟვნებიანი ქორ-მიმინო და შვიდკეცი წყევლა შეუთვალა უჯიათ ღმერთებს.

თავზე ნაცარი დაიყარა, მეფურ პორფირზე გადაიცვა მათხოვრის ძონძი. უდაბურ ადგილს გაიშენა მეფემ ვენახი, უკმევდა ალოეს საკუთარ ხატებას და ცხოვრობდა განმარტოებით.

შეშურდათ ისევ უჯიათ ღმერთებს. ზენარის ნებით, ეშმა ეროსმა ჩაიცვა ტანზე მწირის ძონძები. ვენახის პატრონს მიადგა კარზე და სთხოვა მეფეს აეყვანა მეზვრედ, მსახურად.

„მე ვარ ვენახის ჩემის მსახური, ვენახის მეზვრეც, მისი პატრონიც“, მიუგო მეფემ ბნელ ღამეში უცნაურ სტუმარს. მე მარტოობის მონატრული ვარ და ვერ ვიგუებ ჩემს გვერდით სხვა კაცს“.

შესთხოვდა მწირი ვენახის პატრონს: ცოტა ზედაშე ეწილადნა, ცეცხლზე გაეთბო.

როცა სტუმარმა ღვინო იგემა, ქუდი მოიხადა, თავი ჩაჰქინდრა, ცეცხლს შეეფიცხა.

და გადმოცვივდა ილექროს ფერი კულული მარმარილოსაგან გამოკვეთილ შუბლზე. წამოდგა მეფე და გაჰხადა სტუმარს ძონძები და როცა ნახა მისი ძველი სპილოს ძვლის ფერი ტანი, გამოუტანა თავისი მეფური პორფირი, ჩააცვა, ფეხი დაჰბანა, ნიამორის ტყავი დაუგო. ამიერიდან თვითონ გახვაჟის ფარეში და ემსახურა შვენიერ ბატონს.

დღისით ვენახში მუშაობდნენ მეფე და მეზვრე, ღამით მარანში ადიდებდნენ ღმერთს დიონისოს. ეტკბილა მეფეს მეზვრის ტუჩები უფროს ზედაშის, ახლად მოხდილის.

და შეეხარბათ უჯიათ ღმერთებს.

და შემოდგომის პირველ ღამეს მოსტაცეს მეფეს მიჯნური მეზვრე. იმ ღამეს ჰქროდა ზამთრული ქარი, ცა წარიგრაგნა ბნელი ღრუბლებით და მოდიოდა ციდან მერეხი.

აიღო მეფემ ხელში შანდალი და მიაკითხა მიჯნურის საწოლს. ნახა: თავისი ძველი პორფირი და სარეცელი მიტოვებული.

და იალონზე წამოდგა მეფე. ერთი მარცვალი მოსწყვიტა ბუდეშურის მტევანს, უკანასკნელად იგემა თავისი ვენახის ტკბილი ნაყოფი, გადადგა ციცაბოზე, აღაპყრო ხელნი და შესთხოვა უჯიათ ღმერთებს ცაში ცოცხალი აეყვანათ თავის მიჯნურთან. და შეიბრალეს მეფე ღმერთებმა და საიქიოს გადაასახლეს.

P. S. აღარც მე მინდა ამ ქვეყნად ყოფნა და ვევედრები უჯიათ ღმერთებს: ჩემი სხეულის გაუხრწნელად ცაში აყვანას.

## ნბ. ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა

იმ ღამეს გავცივდი. ციება გამიახლდა. დაირღვა ჩემი სხეული. ჩემი სახსრები დაიშალა. ბუდეგ-მოფუძული კრაზანებივით ირევიან ჩემი ფიქრები, ორძილში ვბორგავ დღისით და ღამით. გაცოფდა ჩემი ფანტაზია და აღარ ვიცი, რაც გუშინ მოხდა, ცხადია, თუ სიზმარი?... აღარ ვიცი, რას ვხედავ, რასა ვგრძნობ, რა მინდა. ჩემს გარშემო მდებარე საგნები რძისფერ ბურუსში იძირებიან, ნელ-ნელა ვეყრები სინამდვილეს და უკვე მარტოობაც არ შემიძლია. ღამით სიზმრები მახრჩობენ, დღისით — ადამიანების ლაპარაკი, ფეხის ხმა ნერვებს მიშლის და ეს ეზოებში მოხეტიალე — გრიგოლ ხანძთელის გადაგვარებული სახლისკაცები „მალიწა“ „მალინას“ რომ იძახიან. ყველაზე უფრო ის საზიზღარი გრამმოფონი, მეზობელ ექიმის აივანზე თუთიყუშივით რომ აჩხავლდება...

და აღარ მაკვირვებს ჩემი ნაადრევი სიკვდილის გამოცხადება, გულგრილად შევსცქერი მომავალ დღეს.

ფანჯრიდან ვიხედები: ნისლი ფარფატებს ნაძვნარების წვეროკინებზე, ნისლი შემოჭრილა ოცხეს ხეობაში. ყინულოვანი ოკეანის ნაპირებიდან ამდგარა ნისლი და ამბოხებულა... და წაულეკავს საქართველოს სმარაგდის ზეცა. დავიწროვდა ჩემი თვალსახედი, დამდაბლდა, გაიმურა აბასთუმანის მაღალი ცა. გარემო ნისლში ჩაფლულია, ნისლით წაგრაგნილი...

როგორი ნაღვლიანი საღამოები დაიწყო! სიბნელე რომ ჩამოწვება, მე აღარ ვიცი, რა მქვია, მე არ ვიცი, სად წავიდე, ვის რა ვუთხრა, ვის რა შევსჩივლო! და ეს მოაგარაკენიც აქვარიუმის შუშაში გამომწყვდეულ თევზებსა გვანან. უმწეოდ აღებენ პირს. დაგვალული ლეღვის ფოთლებივით უილაჯო სიტყვები სცვივა მათი პირიდან.

ყველა შემძულდა, ყველას გავეყარე და დავემდურე. მეზარება ჩემი მეზობელი ექიმის ცოლიც, რომელსაც არასოდეს დაველაპარაკებივარ. აივანზე ვხედავ ყოველ საღამოს. გაფითრებული სახე და კახპა თვალები.

კახპა თვალები.

ვეღარ ვუძლებ ამ საზიზღარ გრამმოფონის ხმას.

ვდგები. მუხლი მეკვეთება. ძლივს ავითრიე ჩემი ნაციები სხეული. ნაშუაღამევამდის ვიხეტიალე ნაძვნარში. მერმე რესტორანში შევედი... ღვინო მომეკიდა. გული მერევა, წამოდგომას ვერა ვბედავ, რადგან არ მინდა სიმთვრალე შემამჩნიონ ჩემს გარშემო მოლაპარაკე ადამიანებმა. შინ რომ მოვედი, ყველას ეძინა. ჯიბიდან პატარა სტეარინის სანთელი ამოვიღე. ავანთე და ოთახში შევედი. კარებთან რაღაც შემებორკა ფეხებში, შუქი მივანათე.

წითელი მამალი შემეფეთა. რა უნდა ამ ოხერს შუაღამეში? ჩემი ოთახი საქათმედ ხომ არ გაუხდია ამ წყეულ დედაკაცს? გამოვუდექი მამალს, სინათლისაგან დარეტიანებული ფრინველი წაბარბაცდა, ლოგინს ქვეშ შეძვრა.

„ქალბატონო სალომე“. ვიძახი.

ხმა არვინ გამცა. მახლობელ ოთახში ვიღაცა ხვრინავს, ყელგამოჭრილი მოზვერივით ხროტინობს. სანთელი ჩამიქრა, ბრმასავით უმწეოდ ვაფათურებ ხელებს სიბნელეში, და ვიძახი:

„ქალბატონო სალომე“. არავინ მოდის. ისედაც თავი დამ-

ძიმებული მქონდა ციებისა და ღვინისაგან, მუხლების მოღრეკაც მეზარებოდა. ჯანაბას მისი თავი ვიფიქრე, და თავი გავანებე.

მესიზმრა იმ ღამეს: ჩემს ოთახში ვწევარ ბერლინში და ორძილში ვბორგავ. რეკავენ ჩემს ახლოს საათები, მოედნების, ეკლესიების, ქუჩების და ბინების საათები...

პორცელანის ფერი ეკრანი აღუმართავთ ცადაქნილამდის და სული აიდგა ათასმა ისარმა, გადაჩოჩდნენ წამიდან წამზე... და ვნახე, გაირღვა პორცელანის ცადაქნილი და ვიხილე ელექტროს ხილვა: მიწის ზედაპირზე უშველებელი, მუცელგამოფატრული ძაღლისპირიანი კაცი. ლოპინარის ფერი თვალი შემომაშტერა. და ვნახე სიცარიელე ხახადაბჩენილი და საზიზღარი. თვალი დავხუჭე, ვგონებ თენდება. ჯოგში მობრუნებული კუროებივით ბღავიან ბერლინის ქარხნების სირენები და საყვირები... იწვება ქვეყანა სიცხისაგან, დაღელმილი შვავივით ჩამოიქცა პორცელანის ცადაქნილი. იგრიალა. დაიმსხვრნენ, დაიფშვნენ საგნები, მატერია აფეთქდა დანაღმულ კლდესავით. ყურებში გამხვრეტმა წივილმა გამიარა. შუაზე გამარღვია ორლესულმა მახვილმა და გადავრჩი წამებას მე—გაორებული, მე—გაცოფებული, მე—ნაციები, მე—ბნედიანი და მე აღარ ვიცი, ვინა ვარ და რა მქვია! და მოსჩანს უშველებელი, ცამდის აღმართული პლაკატი: „პერტინაქს, პერტინაქს, პერტინაქს“ ოფლი მასკდება ტანზე ისევე, როგორც მაშინ ციკლოპის თვალში. უცებ ფანჯარა გაიღო მაშინალურად და წითელი, პირსისხლიანი ფრინველი—კირიპა შემოფართხალდა.

ჯერ მომეფერა და დამიყვავა, ნაზი ფრთებით შეალერსება გამოხურვებულ ოქროსავით მოლაპლაპე სახეზე, მე მუშტის ოდენა გავხდი შიშისაგან. კირიპამ ნისკარტი დამავლო, თვალისმომწყვეტ სიმაღლეზე ამიტაცა. ოდნავ გამეხარდა, მიწას რომ დავშორდი. ამ დროს გამიშვა ჭანგი და წავედი ძირს; ეთერის უფსკრულიდან გადმოშვებული.

სპირალურ ხაზებით მოვექანები ისევ მიწისაკენ. და გაირღვა მიწა. უფსკრულში ჩავსრიალდი და უშველებელ ველზე პირქვე დავეცი... და აჟღარუნდა ჩემს ტანზე რაღაც... სხეულზე ხელი შევივლე: თავზე ფოლადის მუზარადი მხურავს,

მხრებზე — ფოლადის კინენი, მკერდზე — ფოლადის ბექთარნი, მუხლებზე — ფოლადისავე სამუხლეები, საკანჭურები, ხელებზე — სამკლავენი, წელზე — კონსტანტინე არგვეთის მთავრის ხელჯვარიანი ხმალი. იქვე აგდია მისი ფარი და ლახტი. რბილად ვწევარ ისლიან ველზე და მეზარება ადგომა. უცებ გაისმა ისლის შრიალი. ვხედავ, უშველებელი დახრახნილი გველი მოისწრაფვის ჩემსკენ. გასაოცარი ფერადებით მოხატულია მისი ზურგი. მომიახლოვდა, ხახა დააბჩინა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, ისევ დამუწა პირი, წითელი, გამხვრეტი თვალი შემომაჩერა, და ჩემს სულში ჩამოსთოვა უდაბნოს სისინმა. და გამეყინა სისხლი, მამა ჩემის კეთილშობილი სისხლი. და გამაჟრჟოლა... პირველად წავივლე ხელი არგვეთის მთავრის ხმალზე და წამოვდექი, წელში გავიმართე. შევულოცე:

„ირანგი, ჩირანგი, არასარანგი, უშანდული, ურანგი“,

გველი გაბრუნდა, ფრთა აისხა და ხშუილით გაფრინდა ჩრდილოეთისაკენ, მივჰყვები გველს ხმალამოწვდილი.

ისევ აშრიალდა მაღალი ისლი და სახეში დორბლი შემომაფრქვია წუმპეში მწოლარე შავმა ვეშაპმა. მოვსჭერი თავი შავ ვეშაპს და გამოესხა მოთეთრო თავი. მოვსჭერი ვეშაპს მოთეთრო თავი და გამოესხა სხვა, ენდროს ფერი...

კისერი განზე მიიღრიჯა და შემომხედა გამხვრეტი თვალით. ქრუანტელმა დამიარა. „ირანგი, ჩირანგი, არასარანგი, უშანდული, ურანგი“. შევულოცე ბნელეთის მოციქულს. გამეცალა შერცხვენილი და თავისი საზიზღარი მძორი გადაითრია მთების გადაღმა. მე ხმალი მიწაში გამოვავლე, და გადავიარე სამი მინდორი ისლიანი, სამი ველი გვიმრიანი, სამი მთა დაფნიანი. ერთ ტყეში ტაფობი იყო, ტაფობზე კარავი იდგა. კარავში კუბო იყო. კუბოში რაინდი ესვენა პირგამურული. კარავიდან გამოვედი. სამი ცხენი პალოზეება: ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთიც ენდროსფერი. მოშორებით შამბნარი იყო, შამბნარში ორი რაინდი ფარიკაობდა. ისმოდა ხაფთანის ჩხარუნი, პოლოტიკებისა და საბექურების ჩხრიალი. ფორთხვით ავედი, შამბი მოვისაფრე, მივეპარე. და ვხედავ: ხალილბეგ და ჰერბერტ შტულერსი რაინდულ საჭურველში ჩამსხდარან. ჰერბერტს თავისი ფოლადის მუზარადი

ჰხურავს. მხარზე — კორპორანტის ლენტი. ტანზე — კურტაკი, წელზე — ხელჯვარიანი ხმალი და თითო ცილა დეზები. ხალილ ბეგსაც ბალთებჩამოცვეთილი რაინდული ჯავშანი აცვია. თავზე — ჯაჭვის ჩაბალახი. ხელში — ჩვენებური ლეკური. და უწყალოდ სცემენ ერთმანეთს.

ვისკუპე შამბიდან და ფარი ჩავუგდე შუაში.

„რას ჩადიხართ, ძმებო“, შევჰყვირე მებრძოლებს:

მიცნეს, გადამეხვივნენ. მიამბობენ:

„შამბნარში მოვდიოდით, ენდროსფერ ტაიჭიანი რაინდი მოვჰკალით და ცხენი ვერ გავიყავით. ამიტომ გადავწყვიტეთ ხმლით გავსწორებოდით ერთმანეთს“.

„თქვენ ზედმეტი ცხენი გყოლიათ? მე ცხენი უფსკრულში გადამივარდა ამასწინად. მე მაჩუქეთ ეს ცხენი და ძმად ვიფიცოთ. დავარჭვე მიწაზე არგვეთის მთავრის ხმალი, სამივემ დავიჩოქეთ და ძმად ვეფიცეთ. ხალილი თეთრზე შეჯდა, ჰერბერტი შავზე და მე ენდროსფერ ულაყს მოვახტი. კიდევ გადავიარეთ სამი ველი შამბიანი, სამი მინდორი აწყლიანი, სამი მთა ნაძვიანი, მიდამო უკაცური, კლდოვანი და ხევნარი. ერთ ტყეში ერთი კოშკი იდგა. კოშკის გარშემო ძონძებიანი ქაჯები ფერხულს უვლიდნენ. აველი ჭანდარზე და შევჰრისხე ბნელეთის მოციქულები: გრიიიი, გრიიი. გგრიიიიი, გრიიი.

კოშკს მივადექით. ქაჯები გაჰქრნენ.

„შენ დასავლეთიდან მოუარე, ვეუბნები ჰერბერტს, მე და ხალილი სამხრეთიდან შევუტევთ“.

სამჯერ შემოვუარეთ კოშკს, კარს ვერ მივაგენით. ერთ ადგილას ფეხი ვჰკარი და კარი შევაბი, სპირალურ კიბეს ავჰყევით, უშველებელი მარმარილოს დარბაზი დაგვხვდა.

მარმარილოს ტახტზე ლაწვმაღალი, ყვითელ ეპოლეტებიანი მონღოლი იჯდა. ფართე, განზე გამდგარი ყვითელი ყურები ჰქონდა. ყურებიდან თელგამი ჟონდიოდა. თავჩაქინდრული ყვინთავდა. სამივე შევდექით, ვხედავ: თავზე ჩრდილოეთის მეფის გვირგვინი აქვს, მუხლზე ორთავიანი არწივი უზის. ერთ თავზე ბაგრატიონის გვირგვინია! გვირგვინში — თამარის ალმასი!

— შუბს დაყრდნობილი ორი რაინდი ქალად უდგა მარცხნივ

და მარჯვნივ. მარჯვენას შავი ეცვა, მარცხენას — ენდროსფერი.

„სლანსკი!“ დავუყვირე მე, და ჩემსავე ხმაში ფოლადისებური წკრიალი გავიგონე. ტახტზე მჯდომარემ სისხლიანი თვალები ამართა და მიყურებს თავისი ზანტი, ხანჭკოლასფერი თვალებით. სახე დასივებია, წითელი ძარღვები ზედ ასკდება.

ახლოს მივედი. თამარის ალმასს თვალს არ ვაშორებ, და როგორც ბავშვი, რომელსაც სათამაშო წაართვეს, ჭირვეულად ვუბაკუნებ ფეხს:

„სლანსკი, დამიბრუნე დედაჩემის ალმასის თვალი“.

სლანსკიმ ისევ დახუჭა თვალი, თითქოს არც კი გაუგონია. და განაგრძო თვლემა.

„სლანსკი! შენ — ყინულეთი, მე — მზისგული, შენ — თოვლი, მე — ცეცხლი, შენ მურტალი, ლორის ტყავის ფარივით ფართო და რგვალი, მე — ქართულ სატევარსავით ბასრი და წვეტიანი, სლანსკი მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით!“

სლანსკი ისევ სთვლემს.

მე მივბრუნდი ჩემ ძმებთან.

„სლანსკი — მე, ენდროსფერი — ჰერბერტს, შავ რაინდს შენ გამოუდექი, ხალილ ბეჲ“, ვეუბნები.

ჩვენ შემოვურბინეთ. შევსძახეთ და შევუტიეთ.

„სლანსკიიიიიი“!.. ვუყივლე მთვლემარეს, „ადექ და ხრმალმა გაგვასწოროს“.

სლანსკი წამოდგა. მოიძრო თეთრი ყარყუმის მოსასხამი და იძრო ხრმალი სწორპირიანი. ხელი მივჰყავი და მოვიმარჯვე არგვეთის მთავრის ხორასნული, შემოვუქნიე, შემოვჰკარი ჯაჭვის ჩაბალახზე.

სლანსკიმ გვირგვინი განზე გადასდო, ტახტიდგან ჩამოსვლა იკადრა, ალმასის ქურდივით გაწითლდა. შემომიტია.

„სლანსკი, ასჩვიდმეტი“, შევსძახე მე, სავარსამიძემ.

„კიდევ ამდენი“, ამბობს და მოდის დათვი პირსისხლიანი.

„ცოოფ“, დავიღრიალე მე მამიჩემის ფოლადის ხმით.

„რაკა“, დაიძახა არაყისაგან ყელგამოთუთქულმა ლოთმა

და მომიქნია ხრმალი, ვიშიშვლე ხრმალი არგვეთის მთავრის, ვახსენე სამჯერ ტაია შელია.

„უკუდექ, ჩემი სისხლით გალეშილო, დედა ჩემის სამშობლოს ქურდო“. შევრისხე მტერი და გავეკიდე. სლანსკიმ თეძოში მცა ხრმალი. გავმართე მკლავი და ვაძგერე არგვეთის მთავრის ხრმალი. სლანსკიმ უკან დახევა იკადრა და ხრმალი ხრმალზე შემომაგება. ყინულივით გადაუთალა ჩემმა ხრმალმა მოსისხარს ხრმალი.

სლანსკიმ წათი აილო და შემომიტია. წათიც გადაჭრა ჩემმა ხრმალმა. სლანსკიმ ოროლი შემომაგება. ოროლიც გადაუტყდა და წერაქცული იშიშვლა სლანსკიმ. წერაქცულიც გადავუჩეხე. სლანსკიმ გრძელი შუბი მოიშველია. შუბიც გაჭკვეთა არგვეთის მთავრის ხრმალმა. სამი დღე და სამი ღამე ვიბრძოდით. ორივეს შემოგვეძარცვა ჯაჭვ-საჭურველი.

ფოლადმა დახია ორთავეს ტანზე ჯაჭვის კურტაკები, შემოგვეძარცვა ჩაბალახები, სამკლავენი, ბექთარნი, სამუხლენი და საბარკლენი.

სლანსკის გადაჩეხილი შუბის ტარი ეკავა ხელში. მე ძველქართველური რაინდობა გამოვიჩინე. ხრმალი გავაგდე, ხრმლით არ შევებმი მეთქი უიარაღოს და მივედით ხელდახელ ერთმანეთზე, სლანსკი და მე — სავარსამიძე. ყინულეთი და მზის გული, ცეცხლი და ქარი.

მომაწვა გრუზა, უჯიათი. სლანსკი მთვრალი დევივით დაბობღავდა. მე მარდად ვუსხლტებოდი ხელიდგან. ავახიე ყვითელი ეპოლეტები, ფეხით გავთელე; აქსელბანტები ავაგლიჯე. ვცემდი ცხვირპირში. მომხვია მკლავები ამ მაჯლაჯუნამ, და ჭრიალი დაიწყეს ჩემმა ძვლებმა. წამოვუწექი, ქართული მოგვერდი დამვიწყებია, ამიტომაც ველარ გადავიტანე ამხელა ახმახი.

მკერდზე დამაწვა ეს უჯიათი, სული მეხუთება. რა ახლოს მიმზერიან მისი ცივი, საზიზღარი, ლოპინარისფერი თვალები! არყის სული მოდის მისი ლორწიანი პირიდან. ნივრისა და დამპალი კომპოსტოს სუნმა ამაქოთა. ტლანქი ხელები წამიჭირა ყელში და მახრჩობს. ვეძახი ჩემს ძიძაშვილებს: მიშველეთ, ძმებო, მტერმა დამძლია. ჰერბერტსა და ხალილ ბეჲს ვეძახი. ისინი ტალად მდგარებს გამოსდგომოდნენ.

ვიძახი, ვყივი, ხმა აღარა მაქვს, გაჭირვების ოფლი მასხდება. მაშინ შევხედე სლანსკის თვალებში მე მამაჩემის ქორული თვალებით. და შევულოცე, ისევე, როგორც გველს ულოცავდა ტაია შელია. სლანსკის დაეძინა. ავდექი. არგვეთის მთავრის ხრმალი ავიღე ისევ. ისევ გაილვიძა. ხრმალი რომ დაინახა, შემევედრა:

„ნუ მომკლავ და შენს მიჯნურს გასწავლიო“. შევპირდი.

„ირბინე აქედგან მზის დასავლისაკენ, იქ ვენახია ყვავილოვანი, ლაპის ლაზური და სმარაგდი ასხია ლერწებს და იქ დაგხვდება ღმერთების მიჯნური“.

მეც ისევე ავუსრულე პირობა, როგორც... მან ამისრულა ერთხელ... ყელი გამოვჭერი და სისხლი დავლიე. უცებ ისევ აჭრიალდა ჩემი. ძვლები. ცივი, ამაზრზენი ხელები ვიგრძენი კისერზე. გაფითრებული კაცი თავზე წამომადგა და მეუბნება:

„თქვენ საქმის ანგარიშები საიქიოს გინდათ გაასწოროთ?“ ახლა ამ კაცს ვეცი გაცოფებული და წავაქციე. მან წინააღმდეგობაც არ გამიწია. სათნო თვალებით მიცქერის, და ვიცანი მისი დაღრეჯილი სახე. ფერდებზე და ხელის გულებზე მოლიბრო ნამსჭვალები ჰქონდა. ეს იყო ის კაცი, სულ პირველად რომ ვნახე ჩვენი სოფლის ეკლესიაში ჯვარზე გაკრული. შემეშინდა და გავიქეცი.

თემშარაზე გაველი, ისევ ის მიდამო უდაბური, უკაცური და ხევნარი. ჰაერში მღამიობები დაფარფატებენ. ხშუილით ეცემიან გამხმარი ხეების შტოებიდან. ხევში გველები და ღრიანკლები, გზებზე ხვლიკები და ასპიტები. ერთ ხევში ენდროსფერი ნადირი შემხვდა. ცხვირზე რქა ება, დორბლი შემომაფრქვია და გამეცალა. მთაზე კაცი იდგა, ხელს მიქნევდა და მიყივოდა. გამეხარდა ამ უდაბნოში ადამიანის დანახვა. მივაშურე. კაცს წელზე გველი ერტყა, გველი შემოიხსნა და სახეში მესროლა.

ვირბინე, ვირბინე ორიოდ საათი. არ სჩანდა სინათლე, გარს მერტყა ბნელი.

ღელეზე გველებისაგან დაწნული ბონდი იყო.

ბონდზე ფეხი მისხლტებოდა.

ორი მთა იდგა ღელეს გაღაღმა. მთასა და მთას შორის

პაწრები გაებათ. კაცმორიელები ზედ დაჩოჩავდნენ. თითოს — ორ-ორი სახე, ოთხ-ოთხი ხელი და ოთხი ფეხი, წინდაუკან — ორ-ორი სარცხვინელი. გაცოფებული ღრღნიდნენ ერთმანეთს. მათი ყვილი ფოლადის ბორბლების ჭრიალს მომაგონებდა.

ერთი ძირს ჩამოვარდა, თავზე დამეცა, ადგა, თავისი გრძელი, შავი ხელი გამოიშვირა, ლოყაზე შემეხო.

გველის ქერტლიანი ხელის მოკარებაზე ტანში მაჟრჟოლებს. ხელი ვკარი, წაიქცა, თევზის ქერტლიანი მუცელი გამოუჩნდა. გულზე გადავახტი და გავიქეცი. ეს იყო საფირონის ხილვა და ისევ დაბნელდა.

ვირბინე, ვირბინე სამიოდ საათი. არ სჩანდა სინათლე, გარს მერტყა ბნელი.

ერთ მთაში მღვიმე იყო, მღვიმის კართან კაცი და ქალი იდგნენ. ქალს თეთრი ეცვა, ვაჟს ენდროსფერი, მღვიმე შავი იყო, ვაჟს ნიანგის ტყავი ეცვა, ქალს ცალი თვალი თევზისა ჰქონდა.

ნიანგისტყავიანმა უთხრა თევზისთვალიანს:

„ამ კაცს ღმერთივით სული ჰქონია, სამ წილად ღმერთია, ერთ წილად კაცი. ეგებ მის ბეჭედში იყოს შენი თვალი“.

მე მარცხენა ხელი ჯიბეში ჩავიდევი. დედაკაცი გაკაპასდა, ტაბაკონის როკაპს დაემზგავსა:

„მოიტა ჩემი სმარაგდის თვალი“. წრიალებს თევზისთვალა. მე გავეცალე. სმარაგდის ბეჭედი მოვიხსენი, პირში ჩავიდევი.

„ამ კაცისათვის გველს უკოცნია ლოყაზე“. ამბობს ნიანგისტყავიანი.

„თვითონ გველის მგეშავის გაზრდილია, გველს გველი როგორ უკბენს?“ ეუბნება თევზისთვალიანი და ჭინკასავით იჯღანება. მე შემეშინდა და მივრბივარ.

ვირბინე, ვირბინე ოთხიოდ საათი. არ სჩანდა სინათლე, გარს მერტყა ბნელი.

ხუთიოდე საათიც ვირბინე, ვირბინე, ვხედავ ცეცხლმოკიდებულ ეწერს მურუჟიან სინათლეში. ეწერს გარშემო მაღალი ლელი იყო. ლელს ცეცხლი ეკიდებოდა და არ იწვოდა. აქა-იქ გამხმარი თხმელები, თხმელებზე ენით დაკიდებული ცხედრები, აქვე ეკიდენ ქალები თმებით, მამაკაცები — წვე-

რებით. და თხემლებზე დაკიდულებს ყურაცხელი კრაზანები, მატლები და მღილები დახვევოდა. ნაპირზე ისხდნენ თმაგაწეწილი ჭინკების მსგავსი დედაკაცები, მათ კალთაში მუცლიდან მოწყვეტილი ბავშვები ღნაოდნენ. და სხვაც ბევრი იყო ცეცხლმოდებულ ეწერში ქალი და კაცი, თავზე შანთებით ადგნენ ვილაცეები და სახეებს და თეძოებს უდაღავდნენ უკუნი ცეცხლით.

მათ შორის ჩემი ძველი ნაცნობები: მევახშეები, ქურდები, კაცისმკვლელები, უნამუსოდ გამდიდრებულები, მეძავები და ქალებით მოვაჭრენი, გაყიდული ჟურნალისტები და მწერლები, კალამს და სიტყვას რომ ჰყიდდნენ, ოქროში რომ სცვლიდნენ. ამათ დუღებულ ტყვიის ასოებს ასხამდნენ პირში. კიდევ შემომხვდნენ წვერშეტრუსული, თმაგაწეწილი დედაკაცები და მამაკაცები. მათი პირიდან საშინელი ალის ქარი ჰქროდა... მათ შორის ვნახე ლეზბიელები და მამათმავლები (მადმუაზელ ლორენცი და ჰამიდი ვიცანი). ეწერის ბოლოში ხრამი იყო, ხრამზე შიშველი მამაკაცები იდგნენ, ისინი სახრჩობელას გაქცევიან და ხრამიდან უნდა გადაეგდოთ, რადგან მათ ღმერთი დაუგმიათ და თავის თავი ღმერთებად გამოეცხადებინათ. იტალიელი ცრუ ქრისტე შევამჩნიე! ეს იყო სისხლისფერი, პურპურის ხილვა. და აქ ძლიერ შემეშინდა...

ვირბინე, ვირბინე კვლავ ერთი საათი. არ სჩანდა სინათლე, გარს მერტყა ბნელი.

მკვდრების მზე მიადგა უშველებელ მთას. ღვიმეში მამა იჯდა! მუხლზე ჩემი პირველი სატრფოი მზეხარი შეესვა, ცალი ხელით მიწას აჭმევდა. ჰკოცნიდა. მამას თმა-წვერი ძლიერ გაზრდოდა.

„რას შვრები, შე მიწაჭამია?“ შევძახე.

მამა წამოვარდა. წინ მომეგება. მისმა მრისხანე თვალებმა დამაშინა. ფერხთით დავუვარდი.

„შენი წყევლა ამიხდა, მამა. ჩვენი ეწერის თხემლასავით უნაყოფო გავხდი. ვერც ერთმა ქალმა ვერ გაუძლო ჩემს სიყვარულს და ყველას შევძულდი, მამა. ძველი ვენახი დამექცა, ველარც ახალი გავაშენე. დამლოცე. დამიბრუნე ისევ შენი ნაციები მიწა. დამიბრუნე შენი ვენახი, მამა“. ვსტირი და

ვკოცნი ბამბასავით თეთრ წვერზე. მამას თვალები აუწყალდა (ამის მეტად მე არ მინახავს იგი მტირალი). მამას ხმა აღარ ჰქონდა, ცხელ ქვიშაზე გამორიყულ თევზივით უმწეოდ აღებდა პირს. მუხლზე დამისვა ისევე, როგორც მაშინ, როცა ჯიბუტას მეძახდა, როცა ბედნიერი ვიყავი. შუბლზე მაკოცა, მაგრამ ვერ დამლოცა. მზეხარმა რაღაც ანიშნა. განზე გაიხმო, და ორივენი გაჰქრნენ.

ვირბინე, ვირბინე ექვსიოდ საათი. არ სჩანდა სინათლე, გარს მერტყა ბნელი.

კვლავ მღვიმეს წავაწყდი. მღვიმესთან ძელის ფეხებიანი შიშველი კაცი და ერთი თეთრებიანი ტანმორჩილი, ქერა ქალი იდგა. ძელის ფეხებიანს ტანზე აუარებელი ჭრილობები ჰქონდა. სახე ზაფრანასავით წითელი, მოჭმული ცხვირი, გახეხისგან შეტრუსული წარბ-წამწამი. ლუქსემბურგელ ინვალიდსა ჰგავდა ეს კაცი. მხოლოდ პირი ყურებამდის შეხეული ჰქონდა, ველარ იცინოდა. ჩემს დანახვაზე უშველებელი საყვირი აილო და ჩაჰბერა. საშინელმა ხმამ წამაქცია. მთელი სხეული მიკანკალებს. ქერა ქალი თავს წამომადგა. „აღზდექ!" მეუბნება, თავზე ხელს მადებს. ვიცანი, უხრწნელი ბიანკა! მზესავით ბრწყინვალე თვალები!

„ამ ღვიმის მარცხნით ბნელეთია თვალშეუვლები, მიამბობს ბიანკა, სიკვდილის წყლები და აწერი ცეცხლმოდებული. არცა სინათლე, არცა ბალახი, არც ქვა, არც ხავსი, არცა სუნთქვა და არც ამოსუნთქვა... პიტალო კლდეზე ჩაქუჩს სცემს ეშმა და ასე ითვლის სიკვდილის წამებს. და იქვე არის ბნელეთის სამკვიდრებელი, ბოროტი ირკალას გიშრის სასახლე. იქით წამსვლელი ბევრი მინახავს, უკან ჰომსვლელი — ჯერაც არავინ. ირკალას გიშრის სასახლის ფარეშებს კეფაზე აბიათ თვალები, ტანზე მღამიობების ფრთები აქვთ და ბუების ჰვანგი და ნისკარტი. ირკალას სასახლეში ცხოვრობენ ახლა იმ ქვეყნის მეფეები, ქურუმები და მოგვები, და პირქვე დამხობილი უცდიან ჟამისმოქცევას და მარადიულ სინათლეს. საყვირის პატრონს შევეხვეწები. ამ მღვიმეს მიჰყევი. ირბინე, ირბინე, ღმერთების ვენახი დაგვხდება გზაში, ღმერთების მიჯნურებს მანდა აქვთ სავანე.

ვირბინე, ვირბინე კვლავ შვიდი საათი. არ სჩანდა სინათლე, გარს მერტყა ბნელი. ვხედავ მწვანე ნაპირებს მოსდგომია უამრავი ნავები. ყველგან აურაცხელი სტავრისა და ოქსინოს აფრები. სინათლის ვენახი ფისონის ნაპირას! და ხეებს წითელი რუბინი მოუსხამთ, და ვენახი ასულა პინიის ხეებზე. ვენახის ლერწებზე ლაპის ლაზულის ფოთლები. სმარაგდის მტევნები. დაფნა და სურო ჰყვავის აქა იქ. და ხეივანში აყვავებული მაგნოლიები, აკაციები, ცაცხვები და ჭანდრის ხეები. ფუღუროებიდან ველური თაფლი მოჟონავს მზისაგან გამდნარი. ცაცხვის ძირას სპილოს ძვლის ტახტზე დამჯდარა თვითონ ჰელიოს-ღმერთი. ირისეს სარტყელი უშვენებს წელს. მე თვალი ვერ გავუმართე მის ცეცხლებრ აგზნებულ თვალებს.

„შენ კაცის სისხლი გცხია, მგზავრო", მისაყვედურებს ღმერთი ჰელიოს.

„ნუ განმიკითხავ მე, რადგანაც ჩემი სისხლისადმი სიყვარულმა გამაგიჟა".ესა ვსთქვი და დავეცი მიწაზე.

პოზაუენების ზანზარი მომესმა. ავდექი. ჰელიოს იქ აღარ დამხვდა. შიშველი ამურების პროცესსია მოდიოდა. დაფნისა და სუროს ფოთლებს აბნევდნენ. „ფაარვიიიზ... ფააარვიზ"... იძახოდნენ ამურეტები, საყვირებს სცემდნენ. ორ მათგანს მკლავებზე აუარებელი თეთრი ლაქაშისა და მაგნოლიების გირლიანდები ეფინათ. ფარვიზი იწვა ნებიერად იმათ მკლავებზე და მისი სახე ისე მოწყენილი იყო, როგორც იმ წუთში როცა დედამ აუკრძალა მთებში წამოსვლა.

მე ერთი ნაბიჯის გადადგმა მოვასწარი და კარების რახუნი გამომაღვიძა.

„თქვენ ოთახში ხომ არ შემოსულა ჩემი მამალი?" მეკითხება სალომე და ოთახში შემოდგა ცალი ფეხი: ლანდივით გაჰქრა სმარაგდის ხილვაც. ისევე სიცხე მაქვს. ადგომა მეზარება და თავი მტკივა, თითქოს ფოლადის სალტეებს მიჭერდნენ, და გარეთ თუთიყუშივით ჩხავის ძეზობლის გრამმოფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეპილოგი

მეორე დღეს ოტია ძმოვიდა აბასთუმანში მარქაფა ცხენით. რკინისჯვარში დღე დღეზე მელიან თურმე.

„ცოტა უჩქარე, თორემ შემოგვაღამდება“, მეუბნება ოტია.

უკანასკნელად გავიარე აბასთუმანში. სულგატრუნული, ულიმღამო ოცხე ძლივს მიიპარება ხავსიან ქვებს შორის. გაღმა პარკში მთვარეულივით დაღოღავენ სათფურებში გამოფუთნული ჰლექიანები.

ქალი და ვაჟი სხედან პარკის სკამზე და გასცქერიან დაცარიელებულ შოსეს. სიკვდილისაგან დაფეთებული მათი სახეები ჩრდილეთის სტუმრებს მომაგონებენ. ზარდაშოსფრად გაფითრებული, ფოროჯებიანი ღრუბლები თითქოს აქვარელით დაუხატავთ, ისე უძრავად უცდიან არავს პორცელანისფერ ოქტომბრის ცაზე. შემოდგომის გრილი სუნთქვა მეგებება ოცხეს პირიდან და თვალებგამოღამებულ ნაძვნარებიდან. ქარვა შერევია გზის პირზე მდგარ ალვისა და აკაციის ჩეებს. ქანაობენ მაღალი ალვის ხეები. ფრთამეტისუსულ ოქროს პეპლებივით სცვივიან ჩემს თვალწინ რუს ნაპირზედ და ბილიკებზე აკაციებისა და ალვების ფოთლები.

და დაწყებულა დაცვენილი ფოთლების გახრწნა. ხეივანში სიკვდილის სუნი დგას...

ახალციხისკენ მიმავალმა ავტომობილმა უეჟურივით ჩამოიქროლა და მტვერი მომაყარა. ბენზინის სუნით აქოთა ალვების ხეივანი. მე მუხ-ის აგარაკისკენ გადავუხვიე.

აგარაკის მიტოვებული, დარაბებდახშული სახლის შუშაბანდში მკვდრების მზის დაქანცული შუქის არილი ჩაჭრილა და უმწეოდ ცახცახებს. დერეფნებში გახსნილი ფრანგული ზანდუკები და ჩემოდნები აწყვია. მისალებ დარბაზში მაღამლაბიში ყვითელი ჭილის სავარძელში იჯდა, წიგნს კითხულობ-

და. ჩემი ფეხის ხმის გაგონებაზე შეკრთა, დაბალი, სამფეხა სკამიდან ფეხი ჩამოიღო და შემომეგება.

ჩირივით დამჭკნარ, ნაოჭებიან სახეზე უსიამოვნო ელდამ გადაურბინა, მაგრამ ევროპულმა თავშეკავებამ მაინც აიძულა თავაზიანად შემგებებოდა.

ოთახში სკიპიდარის და მორფის სუნი იდგა. ერთ წუთში ჩვენ მდუმარედ ვისხედით ერთი მეორის პირდაპირ. არც ერთმა აღარ ვიცოდით, რა გვეკითხა და რა გვეთქვა ერთმანეთისათვის. მადამ ლაბიში ადგა, დარაბები გაღო.

შემოდგომის სევდისფერი შუქი მიადგა მტვერშეყრილ სურათებსა და მოყვითანო შპალერს. მე თვალი მოვკარი კედელზე დაკიდულ უპატრონო ჩოგსა და მატროსულ ქუდს ფარვიზისას. პაპიროსს მოვუკიდე. ცხვირიდან ვუშვებ კვამლს და შევსცქერი ხალილ ბეის — „დიონისოს მეორედმოსვლას“. და ეს სურათი უკურნებელი მელანქოლიით ავსებს ჩემს სულს.

„Qnand il arriva parmi nous, il pleurait, — les autres riaient, mais il partit, maintenant lui seul rit et les autres pleurent“.* ამბობს მადამ ლაბიში, ფარვიზის სურათს შესცქერის და ცრემლებს იწმენდს. მანვე გადმომცა რომ ჯენეტი სოფელში წაჰყოლია დედამისს, და სამ დღეში აბასთუმანში უნდა დაბრუნდესო.

„აქედან სამთავისის მონასტერში აპირებს ვგონებ წასვლას. ყველაფერი დაჰკარგა ამ ქვეყანაზე, ეგებ იქ იპოვნოს ბედშავმა უკანასკნელი ნუგეში“. კვნესის მადამ ლაბიში. ფარვიზის ტრაგიულ დაღუპვის ამბავს დაუბრუნდა, იგონებს თავის გაზრდილის ბავშვობას.

„იგი სხვა ბავშვებს არა ჰგავდა, იგი უცილოდ ღმერთის წილი იყო...

„შვენიერსა და ღვთაებრივს, მაინც არ შეუძლია დიდხანს დავანება ამ წყეულ წუთისოფელში, მიტომაც ასე უდროოდ გაგვშორდა“... — მოსთქვამს საბრალო მოხუცი.

ფარვიზის სურათს შესცქერის თვალცრემლიანი. არც მე ვშორებ თვალს ამ სურათს. ვწყევლი იმ ნისლიან საღამოს,

---

* როცა ჩვენთან მოვიდა, იგი სტიროდა, სხვები იცინოდნენ, ახლა იგი გაგვშორდა, ის მარტო იღიმება, და სხვები კი სტირიან.

როცა ხალილ ბეგმ მირზა-ხანის კაბინეტში ეს ქაჯისებური სიტურფე მაჩვენა პირველად და მთლად ააფორიაქა ჩემი ბობოქარი სული. ახლა კი ვხედავ... ეს ყოფილა თვითონ ფათერაკი...

იგივე სუბტროპიული ზღვის ნაპირი. მაღალი პალმებით, ბანანებით და ხშირი ლელით შემოსილი. ძოწის, ფირუზის და ქარვის ფერადი ხმელზე, ზღვაზე და ცაზე უხვად გაბნეული. ლელსა და ისლში სულგანაბული ვეფხები, ველური ვაზების ბარდებში თხის ჩლიქებიანი სატირები დაბობღავენ. დელფინებს, ცხენთევზებს და ნიანგებს ლილისფერ ტალღებიდან ამოუყვიათ თავი, ქვეყანა ისევ ახალგაზრდაა და ბრწყინვალე, როგორც შექმნისა პირველსავე დილას. სმარაგდის ტალღებიდან ამოდის ნორჩი, პირშიშველი ქაბუკი. მისი ფეხები —ორი სვეტი სპილოს ძვლით ნაკვეთი, მისი მუცელი—მარმარილოს დაფა, შვენიერების ათი მცნების ზედ წასაწერი. მისი ტანი — ძველი სპილოს ძვლისფერი ქანდაკი. მისი ყურები — ორი თეთრი სადაფი. მისი პატარა, მოგრძო თავი — უკეთილშობილეს რასსას ამჟღავნებს. შავ წარბებს ქვეშ ირიბულად გაჭრილ ქუთუთოებიდან იმზირებიან მისი მუქლურჯი თვალები. მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი დიონისო ამოდის ისევ ხმელზე, ელემენტებისაგან ახლადშობილი, ექსტაზი ისახება მის ტუჩების გახსნაში, და შვებისა და თრობის ღმერთი ულიმის საშემოდგომოდ მოლუშულ აბასთუმნის ბუნებას და ჰპირდება მარადიულ გაზაფხულსა და უკვდავებას...

მადამ ლაბიში ღრმად ჩამჯდარა პიუყვითალო ქილის სავარძელში. საცოდავად წელში მოდრეკილ მოხუცს ხელებით დაუფარავს სახე, მხრების თავები უტოკავს და ისტერის თავის გაზრდილის ნაადრევ სიკვდილს. მე არ შემიძლია მტირალი ქალის მზერა. სმარაგდის ბეჭედი გადავეცი ჯენეტის გადასაცემად. ხელი რომ გავუწოდე, მისი წვრილი, ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან საშინელი სიძულვილის ელვა გამოკრთოდა, მაგრამ მაინც ფრანგულმა თავაზიანობამ თავისი გაიტანა. თავისი ჩალისლერივით გამხმარი თითების წვერები მაშინალურად შემომაჩეჩა.

„Bon soir, monsieur".

ვიდრე აგარაკის ეზოდან არ გავედი, მე ვგრძნობდი მისი

წვრილი, გაბოროტებული თვალების მზერას და ეს ბორკავდა ჩემს ნაბიჯს. ვიწრო ქუჩის ოღროჩოღრო ფილაქანზე ძლივს მივათრევ ნაცივბ სხეულს.

ნელა, ნელა ქანაობენ მაღალი ალვები. სიკვდილის ანგელოზების ცრემლებივით ეცემიან შარაგზაზე ფოთლები ულონო და ფერგადასული, და მესმის ალვების და აკაციების შტოებში მგლოვიარე ბუნების საშემოდგომო რეკვიემ... აუარებელი ბეღურები შხუილით და ჭყიპინით თავს დასტრიალებენ გაყვითლებულ ხეივანს. და უნებურად მაგონდება ლუქსემბურგელი ინვალიდი — სახით მახინჯი, კაცი სიცილს გადაჩვეული.

აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი.

და ერთად ერთი ნატვრაა ჩემი: ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული.

. . . . .

ტაია შელია!

ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემოძალამდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლოსიტყვა

წიგნსაც თავისი ბედი აქვს. ამ რომანის პირველი ნაწილი 1915 წელს მიუნხენში დავიწყე.

1916—17 წლებში ბერლინში განვაგრძე. 16 წლის შემოდგომაზე საქართველოში ვბრუნდებოდი ჟენევიდან პარიზზე. საფრანგეთის საზღვარზე ხელთნაწერები არ გადამატანინეს და ჟენევაში შევინახე. მერმე ბედისწერამ არია ჩემი ცხოვრების გზები. ორიოდე წლის შემდეგ საგანგებოდ ჩავედი ჟენევას. ხელთნაწერები ველარ ვიპოვნე. 1919 წელს ხელმეორედ დავწერე ბერლინში. 1922 წელს ტფილისში დამიკარგეს ხელთნაწერები. შარშან ამ რომანიდან ზეპირად მოვიგონე პატარა ნაწყვეტი: „ტელეფონში“ და მოვათავსე ჩემი ნოველების წიგნში: „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“... ძლიერ მინდოდა მესამეჯერ მეცადა ბედი, მაგრამ ამაოდ. სულ სხვა სათაურით გამოვაცხადე კიდევაც, რომ ამგვარად ჩემი მკითხველებისათვის მიცემულ პირობას ძალა დაეტანებინა ჩემთვის. გულისწუხილით ვამჩნევდი: არც ამ საშუალებიდან გამოდიოდა რაიმე.

ამას წინად უკანასკნელი საგნების მიჯნასთან ვიდექი... მთელმა ჩემმა ცხოვრებამ ჩაირა ჩემს თვალწინ. ადრე სიჭაბუკიდანვე ბედი ისე მოუსვენრად დამაქროლებდა ამ ქვეყნად, რომ მე არც კი მეცალა შემოქმედებისათვის, რაც დამეწერა ისიც სხვადასხვა ორგანოებში გაბნეული მეგულებოდა. ამ წიგნის დარდი მიმყვებოდა იმ სოფელს. და იმ ღამეს პირობა მივეცი ჩემს თავს: თუ ამაღამ სუნთქვა არ წამერთო, იმ წიგნს მესამეჯერ დავსწერ მეთქი. და ის იყო... ცხრა თვე — დღისით და ღამით ისე ვებრძოდი ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს.

დასასრულ, ერთი სათხოვარი მკითხველისადმი: მე ნუ ამკი-

დებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფა.

მაისის 9-ს.

ჩემი დაბადების დღეს დავასრულე მესამეჯერ გადაწერა.

ავტორი.

ტფილისი—1925.
ვარდობისთვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დიონისოს ღიმილი“-ს მეორედ გამოცემის გამო

პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს. ამ შიფრის დახსნა არცაა საჭირო, მაგრამ ჟამიდანჟამზე პოეტი იძულებული ხდება ეს ჩაიდინოს და ცნებების ენით ელაპარაკოს მკითხველს.

„დიონისოს ღიმილი“-ს მეორე გამოცემა უცვლელად გამოდის. პოეტური ქმნილება განსაზღვრული ეპოქის, ფსიქოლოგიისა და ოსტატობის ნაყოფია. ასე რომ ცვლილების შეტანას იგი ისევე ვერ აიტანს, როგორც ყოველი ცოცხალი სხეულება.

მე არა მშურს კლასიკოსების ირგვლივ დამყარებული მყუდროება, არც მათი დაფნის გვირგვინები, არც მათი მოოქროვილი ტომები და ყველას მიერ აღიარებული სახელი.

აჰ, ეს ყოველივე დამჭკნარ გვირგვინებს მაგონებს კუბოებსა და მავზოლეებზე შეფენილთ, მაგრამ დიდი გნიასიც ცოცხალი მწერლის სახელის გარშემო ატეხილი, შემოქმედებისათვის მიუცილებელ ატმოსფეროს ზოგიერთ შემთხვევაში ზიანს აყენებს.

განსაკუთრებით 1932 წლის აპრილამდის ჩვენი კრიტიკა განუკითხავად აიგივებდა გმირისა და ავტორის ფსიქოლოგიას, აზროვნებასა და ზნეობას. ასე რომ ჩემი სათხოვარი: სავარსამიძის ცოდვებს მე ნუ ამკიდებთ, რადგან მე ჩემი საკუთარიც მეყოფა-მეთქი, რომ ვამბობდი, შეუწყნარებელი დარჩა.

ამ გაუგებრობას ხელს უწყობდა ისიც, რომ ჩემი რომანი პირველი პირითაა ნათხრობი და ამგვარ შემთხვევაში გამოუცდელი მკითხველი და კრიტიკოსიც, მუდამ ავტორს აწერენ ხოლმე გმირის ნათქვამს და ნამოქმედარს (აქვე უნდა შევნიშნო: პირველი პირით თხრობა უძნელესია. სხვათაშორის, ასე დაწერილია უბრწყინვალესი რომანები მსოფლიო ლიტერატურაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია: გასული საუკუნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას კულტურული რომანის ტრადიცია არ დაუტოვებია ჩვენთვის.

თითქმის ასევე უტრადიციო იყო ქართული პოეტური პროზა. ჩვენში ჯერაც მზღვარი არაა დადებული პოეტურ პროზასა და ბულვარულ ლიტერატურას შორის, რადგან ოსტატობის თვალსაზრისით ბევრი არ უყურებდა ნაწარმოებს.

დიონისოს ღიმილით მე მოვსძებნე სინთეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის (ვგულისხმობ ცალკერძ ფრანგულსა და ცალკერძ ვისრამიანის ქართულ ვარიანტს).

დიონისოს ღიმილი მრავალი წლის ფორმალურ ძიებათა და მიღწევათა ნაყოფია. ამ წიგნისათვის მე ავირჩიე ურთულესი ფორმა: რომანი 13 ქებისაგან, 52 ნოველისაგან შესდგება.

გენეტიურად იგი დასავლეთურ რომანიდან გამოდის. მე-18 მე-19 საუკუნის ევროპული რომანი ახალგაზრდა კაცის ბიოისტორიას იძლეოდა (გოეტე, შატობრიანი, სტენდალი, ფრანს. ბალზაკ, ჰერმან ბანგ, იენს პეტერ იაკობსენ და სხვა).

ცალკეული ცდები რომანის დაწერისა მე-19 ს. ქართულ მწერლობაში უპირატესად სოფლურ კოფას ემყარებოდა, მემამულეთა წრეს, ხოლო პერსონაჟებს ამგვარი პროზისას უ კ უ ლ ტ უ რ ო  მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ი, თავადები, აზნაურები. მღვდლები და განუსწავლელი მასწავლებლები შეადგენდა.

ამ საუკუნის პროზას გენეტიური კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი, როგორც იდეურად, ისე სტილისტიურად, მე-18 საუკუნის დიდი ქართული პროზის ტრადიციებთან (მხოლოდ საბას ვგულისხმობ), იგი სავსებით დაშორებული იყო, როგორც ვისრამიანის, ისე ქილილა და დამანას და ქართული ჰაგიოგრაფიული პროზის მშვენებისაგან (გრ. ხანძთელის ცხოვრება და სხვ.).

დ ი ო ნ ი ს ო ს  ღ ი მ ი ლ შ ი  მ ე  პ ი რ ვ ე ლ ა დ  ვ ც ა დ ე  ქ ა ლ ა ქ უ რ ი  ყ ო ფ ი ს  ა ს ა ხ ვ ა  დ ა  ქ ა რ თ უ ლ ი  რ ო მ ა ნ ი ს  პ ე რ ს ო ნ ა ჟ ე ბ ი ს  გ ა ლ ე რ ე ი ა შ ი  პ ი რ ვ ე ლ ა დ  შ ე მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ე დიდი სულიერი კულტურის მატარებელი გმირი.

ევროპული გაგების ახალგაზრდა კაცის ტრაგედიას (უნ-

ბისყოფობა, საზოგადოებასთან კონფლიქტი) ოქტომბრის რევოლუციამდის კიდევ ერთი შტრიხი ემატებოდა ქართულ სინამდვილეში:

რაკი ჩვენ არც საკუთარი სახელმწიფო გაგვაჩნდა, არც ეროვნული სკოლა, არც ქალაქური ყოფა, ამიტომაც სავარსამიძის თაობის ახალგაზრდა უცხოეთში ალამებდა თავის სიჭაბუკეს, აქვე ხდებოდა მისი ხასიათის ფორმაცია; შემდეგ კი თავის ქვეყანაში სამოქმედოდ მობრუნებული, მშობელი ქვეყნის პირობებს ველარ ეგუებოდა, და ამ გზით მომეტებულად მძაფრდებოდა მისი სულიერი ტრაგიზმი.

გასული საუკუნის ქართველმა პროზაიკოსებმა მცონარე, უნიადაგო. უმამულო (ხანაც მამულიანი) აზნაურების ტიპები მოგვცეს, ეს აზნაურებიც ხელით იხოცავდნენ ცხვირს, არტალას ხელით სჭამდნენ და ყარამანიანის იქით არ წასულან.

მე ვაჩვენე მკითხველს ტრაგედია იმ ახალგაზრდა და კულტურული ადამიანისა, რომელიც თუმცა დასავლეთის დიდ კულტურულ ცენტრებში გაიზარდა, მაგრამ ქართველი გუდამშიერი აზნაურის ფსიქოლოგიას მაინც ვერ დააღწია თავი (აქ ვგულისხმობ ჩემი გმირის სავარსამიძის გადაჭარბებულსა და ავადმყოფურ ინდივიდუალიზმს).

თავისთავად ცხადია: *ვისაც ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის მომავალი სწამს, მას უთუოდ უნდა სჯეროდეს, რომ ეს აზნაურული ფსიქოლოგია უნდა დაძლეულ იქნას. მეტსაც ვიტყოდი, უნდა დაითრგუნოს მეთქი.* დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შენიშნავდა, თუ როგორ ტრაგიულად განიცდის კონსტანტინე სავარსამიძე თავის აზნაურობას, როგორ დასცინის იგი საკუთარ თავს ამის გამო (რა ვუყოთ, რომ ილიამ და დ. კლდიაშვილმა კომიურ ტონით გაამასხარავეს ეს ყბადაღებული აზნაურობა. ჩემი ოდნავ პათეთური, აწეული ტონი პროზული თხრობისა, უცილოდ ვერ აიტანდა კომიურ ტონს, ამიტომაც დრამატიული მაქვს მე აქ შეგნებულად შერჩეული). სავარსამიძე გრძნობს, რომ მისი აზნაურობა სასაცილოა, აბსურდული ახალ საუკუნოში, მით უმეტეს რომ მას მხოლოდ აზნაურული მო-

რალი აქვს შერჩენილი და აზნაურული პრივილეგიები არ გააჩნია.

სავარსამიძე განწირული ქართული აზნაურობის უკანასკნელი მოჰიკანია. იგი თათქარიძისა და სამანიშვილების ღვიძლი შვილია, თუმცა მათზე უფრო განათლებული და კულტურული. მაგრამ მაინც მომაკვდავი წოდების სასიკვდილოდ განწირული ნაშიერი.

ჩვენდა საუბედუროდ, ახალი საქართველოს უახლესს მატიანეშიაც დიდ როლს თამაშობდა ქართული აზნაურობა და საჭირო იყო ამ ფენომენის უკანასკნელი აგონიის ასახვაც. როგორც კრიტიკოსები, ისე მკითხველებიც ხანდახან მე მქირდავენ, სავარსამიძე შენა გგავსო.

ასეც რომ იყვეს, მერმე რა? განა გმირი ავტორის ძვალი არაა ძვალთაგანი და სისხლი სისხლთაგანი? განა მე სადმე გამომიცხადებია უცოდველი პაპი ვარ და ადამიანური ზადი არ გამაჩნია მეთქი? ჩემი ადამიანური ნაკლი ხომ არავისთვის არაა საინტერესო? მწერლისაგან მხოლოდ ის რჩება, რაც მას ტილოზე გადაქვს, სხვა ყოველივე ქვიშაზე გავლილი ქარის ნაკვალევია, რადგან მის სიკვდილთან ერთად სხვა ყოველივე წარიხოცება.

უმთავრესი ისაა რომ მე ამ რომანით საუკუნოებს გადავსძახე: აზნაურობა უნდა დაითრგუნოს მეთქი, რადგან სავარსამიძეც აღვიარებს „ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომაღამდაო“. და შემოქმედი? იცოდეთ, შემოქმედი მუდამ თავის შენაქმზე უფრო მაღლა დგას, რადგან სხვას შექმნის ახალს.

თუ დამცალდა, ამ დათრგუნვის პროცესსი უფრო რელიეფურად გადაშლილი იქნება მეორე წიგნში: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმული ღამე“, და მესამეში: „კონსტანტინე სავარსამიძის სიკვდილი“, ხოლო უფრო ადრე, ჩემს ახალ რომანში: „მთვარის მოტაცება“.

გარდა ამისა, ლიტ. კრიტიკას არ მიუქცევია ყურადღება, რომ სავარსამიძე ზედმეტი ადამიანის ტიპია.

ზედმეტი ადამიანი ზედმეტია უკუღმართ სოციალურ წრეში. „დიონისოს ღიმილი“-ში მოცემულია 1914—19 წლების სოციალური ვითარებანი. მართებული იყო ამ მომენტისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია კრიტიკას·

არც ქართველი გლეხკაცობის წრიდან წარმოდგენილი ტიპაჟი ყოფილა მართებულად გაშუქებული გასული საუკუნის პროზაში. აქაც რუსული „ნაროდნიკული“, ხანაც ნიჰილისტური აზროვნების სათვალიდან უმზერდნენ მოვლენებს. ცნობილია, როგორც ევროპის დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის გლეხობას სხვაგვარი პირობები ჰქონდა, საქართველოისას თავისებური.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ევროპისა და რუსეთის ფეოდალიზმი სტრუქტურის მიხედვითაც ქართული ფეოდალიზმისაგან ასეთუისე განსხვავდებოდა; ცხადია, მე აქ არ გავიმეორებ ტრადიციულსა და ტენდენციურ ზღაპარს, თითქოს ჩვენში „მამაშვილური ფეოდალიზმი“ ყოფილიყოს.

ამ სპეციფიკას ზედ ერთოდა ესიც, რომ ქართული ქრისტეანული ეკლესია არასოდეს ისეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორც თუნდაც კათოლიკური და ორტოდოქსალური რუსული. სწორედ ამიტომაც გლეხური მასსები საქართველოს მოსახლეობისა სათანადოდ ვერ მოთრგუნა ქართულმა ეკლესიამ. და ამასთანავე ამ უკანასკნელს ძალაც არ ეყო ქრისტეანობამდის არსებული რელიგიების ფესვები ამოეთხარა ქართულ სინამდვილიდან. სწორედ ამიტომაც ჩვენში, თუნდაც ილიას დროსაც, პლატონ კარატაევის ტიპის გლეხკაცი წარმოუდგენელი რამ იქნებოდა. ილია ჭავჭავაძის ქრისტეანი გლეხები, განსაკუთრებით გაბო, „ტიპიური“ რუსის გლეხებია, ეს სამღვთო წერილის ციტატებით გაჭყიპული ქართველი გლეხი ნამდვილი ნონსენსია.

ტაია შელიას სახით მე წარვუდგინე ქართველ მკითხველს ქრისტეანობისგან დაუთრგუნველი, მაგრამ მაინც ცრუმორწმუნე, (ისეთი, როგორიც იყო არსებითად ქართველი გლეხი) ნახევრად წარმართი.

ასე რომ, თუ ძველი თაობის ქართველ გლეხობას ყოველივე ტენდენციის კიდეგან შეხედავდა მწერალი, იგი უთუოდ უფეროდ და უუმარილოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. დღეს ჩვენს სინამდვილეში თავად გლეხობის ცნების სპეციფიკაცია მოხდა. ასე რომ ახლო წარსულის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ასახული გლეხების ტიპები და მათ შორის ტაია შელიაც, უცილოდ ვერ ასცდებოდნენ განკულაკებას.

რა თქმა უნდა, იდეოლოგიურად 1925 წლიდან მე თავად მრავალ მოვლენაზე აზრი შევიცვალე. ამ მანძილზე გამოვაქვეყნე ჩემი ნოველლების წიგნი „მარცხენა თვალით“, ბიოგრაფიული რომანი „გოეტეს ცხოვრების რომანი“, ფრაგმენტები „მთვარის მოტაცებიდან“ და ნარკვევები: „ნატახტარი“ და „უკრაინის თემიდი“.

რაც შეეხება რომანის კომპოზიციას, მე მიხარია, რომ ამ შემთხვევაში არავითარი ცვლილების შეტანა საჭიროდ არ დამინახავს.

ვინც უკანასკნელი ფორმის მანქანიდან ჩამოსვლის შემდეგ ბელლეტრისტულ, მით უფრო პოეტურ ნაწარმოებში, ცვლილებას შეიტანს, უეჭველია, მას ხელთნაწერში კარგად ვერ მოუთავებია სათქმელი და საუწყებელი.

მე ვიცი, ჩემს რომანში ალაგ-ალაგ ულტრაეროტიული პასაჟები ურევია, მაგრამ ეს გადაჭარბებული სექსუალიზმი უცილოდ ახასიათებდა მსოფლიო ომის საშინელ ატმოსფეროში მომწიფებულ ჰისტერიულ თაობას. გარდა ამისა, მე მინდოდა ევროპული ცივილიზაციის სნობისტური სენით მეპყრობილი უნიადაგო აზნაურის ტიპი დამეხატა.

დასასრულ, ენობრივი მასალის შესახებაც მინდოდა მცირე რამ მეუწყებინა ჩემი მკითხველისათვის.

სიტყვაქმნედობის საკითხი ერთერთი უმთავრესთაგანია, განსაკუთრებით პოეტურ პროზის საუფლოში. არც ამ საკითხს შეხებია ვინმე ჩვენს ლიტ. პრესსაში.

მე მოგახსენებდით მე-19 საუკუნის ქართული პროზის ოსტატებმა წინამომდევნოს დიდ ოსტატებთან კავშირი გაწყვიტეს მეთქი.

ჯერ სავსებით შეუსწავლელია ქართული სტილის ისტორია, დაუდგენელია ქართული ენის ზრდისა და განვითარების ეტაპები, თორემ მკითხველი უჩემოდაც შენიშნავდა, რომ გასული საუკუნის მწერლებმა დაალარიბეს, გასცვითეს, გაალატაკეს ხელხვავიანი ენა ქართული. ლექსიკა დაიშრიტა, უადგილო ბარბარიზმით გაივსო, სინტაქსი შეირყვნა და დავიწყებას მიეცა დარბაისლური და ჭარბი ქართული პროზის მრავალნაცადი ტრადიცია.

უთუოდ საჭირო იყო ერთგვარი ანაბაზის და მეც შეგნებულად უკან დავიხიე.

ლექსიკური მასალის მხრივ, მე სავსებით შეგნებულად, უხვად დავესესხე ვისრამიანის მთარგმნელს, საბას, ჩვენს დიდ ჰაგიოგრაფებს და მთარგმნელებს. აქვე უნდა აღვნიშნო, დ. გურამიშვილის შემდეგ არც ერთ ქართველ მწერალს არ მოგონებია. უძლიერესი, ქართული სასულიერო მწერლობის მონაპოვარის ჯეროვანად გამოყენება. მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა. სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან ნასესხები სიტყვები. გამოცდილი მკითხველი ადვილად დააკვირდება, უწინ თვით უდიდესი ქართველი პროზაიკოსები მხოლოდ იმ მხარის პოეტურ ინვენტარს და ლექსიკას ანიჭებდნენ უპირატესობას, საიდანაც თავად იყვნენ გამოსულნი. მაგ. ილია კახურ-ქართლურს, ვაჟა — ფშაურ-ხევსურულს, აკაკი და ე. კლდიაშვილი — იმერულს.

მე არას ვიტყვი იმ პატარა პროვინციელ მწერლების გამო, მარტოოდენ საკუთარი მაზრის ლექსიკონით რომ იკვებებოდნენ.

მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც „დიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც. მაშასადამე, ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება ახალ საუკუნოში უნდა მომხდარიყო ცალკერძ ძველქართულის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავების წიაღიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, წიგნობრული ენა არ გამხდარიყო.

უეჭველია, ის მწერალი, რომელიც ახალ გზებსა და სანიშნებს არ უჩვენებს ენის განვითარებას, მის სტილსა და ტექნიკას. იგი პოეზიისა და მწერლობის ისტორიისათვის ისეთივე ზედმეტი ბალასტი იქნება, როგორც ყოველგვარი მაკულატურა, რაგინდაც თხრობა, გაგონილი და არ სხვისმიერ ნათხრობი ამბების მოყოლა და ჩაწერა ყოველ საშუალო ინტელიგენ-

ტსაც შეუძლია, ყველას, ვისაც თხრობისა და წერის სადერლელი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ენას არ გააჩნია მონათესავე ენათა ოჯახი, როგორც თუნდაც ფრანგულს — რომანული ენები, გერმანულს და ინგლისურს — გერმანთა ენებისა და რუსულს — სლავური ენებისა და ენაკავების ოჯახი.

ამიტომაც სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ „გარეგან სესხს“ — ე. ი. უცხოურ ბარბარიზმებს დაეყრდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“, ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ზანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა.

თავისთავად ცხადია, ეს არ უნდა გულისხმობდეს აწ უკვე დადგენილ, განმტკიცებულ ქართული სინტაქსის შეცვლას და შექანებას. ახლა ვხედავ: „დიონისოს ღიმილში“ ალაგ-ალაგ ძომეტებული სითამამე გამომიჩენია, მაგრამ გადაჭარბებული სითამამე ახალგაზრდობას თან ახლავს (და ეს რომანი ხომ ჩემი სიჭაბუკის წიგნია).

(სამაგიეროდ, დანტეს თარგმანში და ჩემს უახლოეს რომანში ზოგიერთ პროვინციალიზმს შეგნებულად განვერიდე).

რაკი რომანის გარემოს უმეტესად ქალაქური, ურბანისტული ინვენტარი სჭიროდა, მე განზრახ არ მოვრიდებივარ ბერძნულ-რომაული წარმოშვების ბარბარიზმებს, რადგან ესენი ყოველ კულტურულ ენას ახასიათებს; გარდა ამისა, მე ურყევად მჯერა: ქართულიდან უნდა გავაძევოთ უ კ უ ლ ტ უ რ ო ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს ბალასტი. სამაგიეროდ ხელი უნდა შევუწყოთ ქართული ენისადმი უფრო მეტად ინტერნაციონალური იერის მინიჭებას, რადგან ჩვენი ენა ისედაც ფრიად მარტოხელაა და განდგომილი.

როგორც დაკვირვებული მკითხველი თავადაც შეამჩნევს, არც ფრაზის ნაგებობის შეცვლა დამჭირვებია (ერთი ორი იშვიათი შემთხვევის გარდა).

1925 წლიდან ჩემი მართლწერა ოდნავ შეიცვალა, ასე რომ „დენ“ ფორმა ყველგან „დნენ“ ფორმით შევცვალე, ხოლო წმინდა სტილისტური მოსაზრების გამო, უცვლელად დავტოვე ქართულში უმანოდ ნახმარი არსებითნი სახელნი: „ტრედი“ და სხვა. აგრეთვე ძველი ქართული ფორმა „ვეცხლი“

და სხვა. რომანის პირველადი კომპოზიციიდან საგრძნობით ამო-
ვიღე შესავალი, პირველ გამოცემაში „პროლეტ[illegible]
ბელი.

ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია.
დაიწერა 1933 წ. ნოემბერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზოგიერთ სიტყვათა განმარტებანი

### ა

**აბადონ** — უფსკრულების ანგელოზი.

**აგონია** — ავადობის უკანასკნელი მდგომარეობა.

**აგრიკოლა** — გნეუს იულიუს, ტაციტის ბიოგრაფი. რომაელი მწერალი.

**ადამიტური** — პირველყოფილი, ადამისებური.

**ავესტა** — ანუ ზენდ-ავესტა. ძველი ფარსული: რელიგიური წიგნი.

**Ave Maria** — გალობა, ღვთისმშობლისადმი ვედრება, სალამი მარია!

**ავლი** — ფერფლი.

**ავრები** — გვარად უნაყოფო ვაზი.

**ათინათი** — საბა: ანარეკლი.

**აკროპოლის** — ათინის ციხე.

**აკუმი** — ისეთი ქალწული, რომელსაც სქესობრივი ურთიერთობის დაჭერა არ შეუძლია.

**ალბრეხტ დიურერი** — გერმ. მხატვარი.

**ალატი** — თიხის ან ხის საფქვილე.

**A la baby** — ბავშვურად.

**A la votre** — ფრანგ. „თქვენი სადღეგრძელო იყოს!".

**ალაფურშეტ** — სახელდახელოდ სადილობა ან საუზმობა.

**ალოე** — საბა: სამურავი ბალახი ასთა წელიწადისა შემდგომად აყვავდების.

**ალფრედ დე მიუსსე** — ფრანგი პოეტი.

**ამბროზია** — ძვ. ბერძენთა წარმოდგენით — ღმერთების საჭმელი, რომელიც მარადიულ სიჭაბუკეს და უკვდავებას ანიჭებდა ღმერთებს.

**ამეთისტო** — პატიოსანი თვალი.

**ამინაშატი** — ჩამოსხმული ოქროს ხატი.

**ამორძალი** — ბერძნ. ამაზონ-მეომარი ქალებისაგან შემდგარი მითიური ხალხი აზიაში, მათ მარჯვენა ძუძუს აჭრიდნენ მშვილდისრის ხელმარჯვედ მოსახმარებლად.

**ამპირი** — სტილი მხატვრობასა და ხუროთმოძღვრებაში.

**ანაბაზის** — ბერძნ. უკუქცევა.

**ანანგირი** — მეგრ. უნაგირი.

**ანგელუს** სილეზიუს — საშუალო საუკ. გერმ. მისტიკოსი.

**ანტიკა** — იგულისხმება ძველი ბერძნული, ან ძვ. რომაული ისტორია ან ხელოვნება.

ანტიფემინისტური — დედაკაცის უფლებრივად მამაკაცთან გათანა-სწორების საწინააღმდეგო მიმართულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიურაჟი — გარეშემო მყოფი ადამიანები, წრე.

აპისი — ეგვიპტური წმ. ხარი.

აპოკალიპსი — გამოცხადება იოანესი.

არაბესკი — არაბ. ხუროთმოძღვრებაში მცენარის მაგვარად სტილი-ზირებული ჩუქურთმა, სამკაული.

Aristocraties des nerfs — ნერვების არისტოკრატიზმი.

არიადნე — ძვ. ბერძნული თქმ. მეფის ასული, რომელმაც იხსნა ძა-ფის გორგალით გმირი თეზევსი კრიტოსის ლაბირინთში დაღუპვისაგან.

არქაული — ძველი.

ასპიდი — გველის ერთგვარი.

ატავიზმი — წინაპრული მიდრეკილებანი.

ატრიუმი — ძვ. რომაული სახლის წინა დარბაზი, ან წინა ეზო.

აქაჩი — სპარ: ლურჯი თვალი არს, ისკუთ იპოვნის.

აქვარიუმი — შუშის ყუთი, რომელშიაც ცოცხალ თევზებს ინახავენ.

„ახილ. ტი ტუა" — „ახილ გიწუმდი".

Achtung — გერმ. სმენა.

## ბ

ბაიროიტი — რიხარდ ვაგნერის სამშობლო ქალაქი.

ბაკარია — ბუწალი, ბუძგა, ძურწა, ბირკა, ერთგვარი მცენარე.

ბასტა — გათავდა.

ბედეკერი — სამგზავრო წიგნების ავტორი.

ბელფორი — ციხე საფრანგეთში.

ბექთარი — სპარ: საომარი, მოოქროვილი სამოსი.

ბივრიტი — ზღვისფერი პატიოსანი თვალი.

ბისონი — სპარ: ძაფი და სირმა ერთად შესხმული, ტილოს ან ბამბის ქსოვილი.

ბონ ჯიორნო — იტალ. დილა მშვიდობისა.

ბრაკი — ფრანგი მხატვარი.

ბრაჰმინი — ინდოელთა სასულიერო კასტის წარმომადგენელი.

ბუდდა — ბუდიზმის მამამთავარი. სანსკრიტული: ბუდდჰა, ბუდდ — გაგება, აქედან ბუდდჰა — ბრძენი; საერთოდ ჰინდური ღვთაება.

ბურშები — გერმანელ სტუდენტებს უწოდებენ.

ბუტირკის ციხე — ციხე მოსკოვში.

## გ

გაზულუქდნენ — გაამპარტავნდნენ, გათავხედდნენ.

განგ — მდინარე ინდოეთში.

გაქარჩხული — გურული, გათვალული, ავი სულებით გავსილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირისტი — ერთგვარი ნაკერი.
გიდი — იტალ. მეგზური.
გოლეული — სარაჯი.
გონდოლა — ვენეციური ნავი.
გრან სენიორი — დიდი ბატონი.
გრიაი გრიი... ხევსურ — ავი სულების მიმართ შესაძახებელი.
გრიუნევალდი — გერმანელი მხატვარი.
გროტესქული — სასაცილო.

## დ

დადიასხარი — დადიანის ხარი — მწერს უწოდებენ.
დავანება — დასადგურება, დაყოვნება.
დავუ — ნაპოლეონის გენერალი.
დაკოტა — მდინარე ამერიკაში.
დამორჩილი — მეგრ. შემოდგომა.
დანსინგი — საცეკვაო რესტორანი.
დარანი — საბა: კლდეში ან მიწას ქვეშ შესასვლელი, სამალავი.
დეტექტივი — საიდუმლო პოლიცია.
დემიმონდენი — საეჭვო ყოფაქცევის ქალი:
დოლიხოცეფალი — გრძელთავა.
დოტორე — იტალ. დოქტორი.
დრაგომანი — საელჩოს თარჯიმანი.
დრამკანი — საბა: ფლური.

## ე

ელბა — მდინარეა გერმანიაში.
Entrez — ფრანგ. შემოდით.
ეპიკურეელი — ძვ. საბერძნეთის ფილოსოფოსის, ეპიკურის მოძღვრების მიმდევარი.
ეროსი — სიყვარულის ღვთაება ძვ. საბერძნეთში.
ე, წიე — მეგრ. „ეჰე, ბიჭო“.

## ვ

ვაგაბუნდი — მოხეტიალე.
ვატიკანი — რომის პაპის სასახლე და ამავე სახელწ. მუზეუმი.
ვედა — სანსკრიტული სამრთო წერილი.
ვერნისაჟი — მხატვრობის გამოფენის ერთ-ერთი შერჩეული დღე.
ვერონა — ქალაქია იტალიაში.
ვერჰარენი — ბელგიელი პოეტი.
ვიზიონერობა — ჭვრეტა, ხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვილლა ბორგეზე** — მუზეუმია რომში.
**ვისკონსინი** — მდინარე ამერიკაში.

### ზ

**ზანზალაკი** — ეჟვანი, ჟღარუნა რამ.
**ზედაშე** — შესაწირავი ღვინო.
**ზერდაგი** — ყვითელ-შავი.
**Something is roten in the state of Danmark** — ინგლის. რაღაც დამპალა დანიის სახელმწიფოში (ჰამლეტის სიტყვებია).

### თ

**თარჩია** — მეგრ. ღოლი.
**თეოსოფიური** — სპირიტისტური, მისტიური, ღვთაებრივი აღტყინება.
**თექა** — ნაბადი.
**თუთაში** — მეგრ. საყმაწვილო ავადმყოფობა.
**თუკიდიდე** — ბერძნ. ისტორიკოსი.

### ი

**იავარქყო** — გაანიავა, ააოხრა.
**იალონი** — ალიონი.
**იეზუიტი** — კათოლიკე ბერების იეზუიტების ორდენის წევრი.
**ილეკრო** — საბა: ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა... და ყოველსავე მისთანათა ერთბამად.
**ინგლეზე** — იტალ. ინგლისელს ჰქვია.
**ინდიანა** — მდინარე ამერიკაში.
**ინკვიზიტორული** — სიტყვიდან ინკვიზიცია. კაცთმწამებლობა საშ. საუკუნეში.
**იოვა** — მდინარე ამერიკაში.
**ირისე** — საბა: ცის მშვილდი ბერძნულად (ხოლო ქართულად ცის-სარტყელი).
**იფქლი** — საბა: შემოდგომაზე ნათესი ხუარბალი.
**იქედნე** —საბა: ესე გველი რამე არს, საშო არა აქუს და პირით დამაკდება და შვილნი მუცელს გამოსჭამენ და ეგრე გამოვლენ.

### კ

**კაიზერი** — გერმ. იმპერატორი.
**კალანდა** — მეგრ. ახალი წელი.
**კამერიერე** — იტალ: მსახური.
**კანე** — ნავი.

კარაბინიერი — იტალ. პოლიციელი.
კარნავალი — კათოლიკურ ქვეყნებში ყველიერის დღესასწაული.
კატული — რომაელი პოეტი.
კაფანდარა — მეგრ. ხმელხმელი.
კვატროჩენტო — მე-14 საუკ. იტალიის ისტორიაში.
კვირინალი — იტალიის მეფის სასახლე რომში.
კიანტი — ერთგვარი იტალიური ღვინო.
კინენი — საბა: ბუმბერაზთა საბრძოლველი შუბის ტარის მსგავსი.
კირიპა — მითიური ფრინველი.
კოლეჯი — უმაღლესი სასწავლებელი.
კოლიე — ქართ. მანიაკი.
კომილტინი — ამხანაგი.
კუშ — ფრანგ. დაწექ.

ლ

ლაგვინა — ჭური.
ლანდსკნეხტი — ძვ. გერმანიაში ჯარისკაცი, ყმა.
ლაოტზე — ჩინელი ფილოსოფოსი.
ლაუტა — იტალ. საკრავი, ლიუტი.
ლესეპასე — გასაშვი.
ლიცენცია — პოეტიკა-პოეტური თავისუფლება რითმის ან გრამმატიკული კანონის მიმართ.
ლუვრი — მუზეუმია პარიზში.
ლუკას კრანეხი — გერმ. მხატვარი.
ლუტები — მუშა-მათხოვრები.
ლოპინარი — საბა: ხანჭკვალა ცერცვი.

მ

მაგია — მისნობა, მოვლენათა სასწაულებრივად გამოწვევის ცრუ ... ოვნება.
მაკიაველი — იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი.
მანიაკი — საბა: საყელო მოთვალულ-მომარგალიტული.
მანგუ თენგრი ქუჩუნდურ. — მონღოლ. (იხ. მარიამ დედოფლისეული ქართლ. ცხოვრ. გვ. 551) უკვდავისა ღვთისა ძალითა.
მანსარდი — სხვენის სართული.
მართვე — საბა: ზოგად ყოველთა მფრინველთა შვილთა მართვე ეწოდება.
მარია ანტუანეტა — საფრანგეთის დედოფალი.
მარნა — მდინარეა საფრანგეთში.
მარტვილობა — მოწამეობა.
მარჩბივი — საბა: ტყუბი ცხოველი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჩხა — მეგრ. არაღრმა.

მასონი — ინგლის, ფრიმესონრი; იდუმალი რელიგიური სექტების ლოჟები ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში მე-18, 19 და მე-20 საუკ. ამ ლოჟებს მიზნად დასახული ჰქონდათ ზნეობრივი მოქცევა ადამიანთა მოდგმისა და სხვ.

მატრონა — მანდილოსანი.

მატრიარქატი — დიაცთა მართველობა უსოვარ დროებში.

მაუნტ ევერესტი — მთა ევერესტი (ინდოეთშია).

მაშინა — მანქანა.

მაჰაგონი — შავი ხე.

მაჰარაბატა — ჰინდური გმირული ეპოსი.

მდადე — მეგრ. ლობიანი, მეჭვარე ქალი.

მეინახე — საბა: მასთან მჯდომელი.

მენცარი — იდუმალთმეტყველი.

მენცელი — გერმ. მხატვარი.

მეროხი — ძლიერი წვიმა.

მეტროპოლიტენი — მიწისქვეშა მატარებელი.

მეჯინგორუ — მეგრ. მეაბჯრე.

მზვარე — მზის გული.

მიზგითი — მეჩეთი

მიზანტროპია — კაცთმოძულეობა.

მისტერია — იდუმალი სწავლა ძვ. საბერძნეთში. ერთგვარი სასულიერო წარმოდგენები ძვ. ათინაში და შუა. საუკუნეებში.

მისტიური — იხ. მისტერიები.

მომზენი — გერმ. ისტორიკოსი.

მონოტონური — ერთხმიანი, ერთნაირი.

მორდუ — მეგრ გამზრდელი.

მოღული — მონგოლეთი.

მური — საბა: ესე შტახსისა ნაწურთა უზრქესი სუნნელია.

მუფტილიის მთა — მთა ინდოეთში.

მუცო და კოსკუცი — პატიოსან თვალთა ხატქცით სახოგადოება.

## ნ

ნალი — საბა: ეტლის მაგიერ, ზამთარ საჯლომი უთვალო მარხილივით თოვლზე ხატრევი.

ნამრუდი — ქვა ცისფერი.

**„Na Menkken Aale verouf dir's billiger"** — ბერლინურ დიალექტის მიხედვით „კაცო, თევზს იაფად მოგყიდი".

ნების კვირა — ანუ ვნების კვირა, დიდმარხვის უკანასკნელი კვირა.

ნეი — ნაპოლეონის გენერალი.

ნეფრიტის ფერი — ქარვის ფერი.

**ნიმფომანია** — დედაკაცის ავადმყოფური სქესობრივი მოთხოვნილება.

**ნირვანა** — გაქრობა ბუდდას მოძღვრების მიხედვით, სულის უმაღლესი მდგომარეობა, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ბუდდას ყველა მიმდევარი.

**ნიშატი** — საბა: ესე. არს ბუნებით ძალა, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდებენ.

**ნიცშე** — გერმ. ფილოსოფოსი.

**ნოთაობა** — ღამე ჩირაღდნების საშუალებით თევზაობა

**ნოტრდამი** — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

## ო

**ოდისევი** — ჰომეროსის ამავე სახელიან პოემის გმირი.

**ოდუდია** — სალოცავი.

**ოთხაშურობა** — (სასულიერო) სალოცავი.

**ორგია** — ბერძნ. იდუმალი რელიგიური ჩვეულება, ბახუსის დღესასწაულის დროს, თავაშვებული უზნეო დროს ტარება.

**ორიენტალისტი** — აღმოსავლეთის ენების მცოდნე.

**ორნამენტი** — ჩუქურთმა, სამკაული.

**ოსეოფა** — მეგრ. შემოდგომის ჟამი, როცა ავი სულები სათარეშოდ გამოდიან.

**ოტომანი** — ოსმალური დივანი.

O yes o yes — ინგლის. „დიახ, დიახ არის".

**ოფაზი** — საბა: ოქროთ ეცხო და არა რითმე.

**ოჩოკოჩი** — მეგრ. მითიური ტყის კაცი ხალხურ თქმულებებში.

## პ

პალაცო **მასსიმო**
„ **ფარნეზე**
„ **ვენეცია**
„ **ჩენჩი**
— მუზეუმები რომში

**პამპასი** — ველი ბალახიანი.

**პანგერმანისტი** — გერმანულ ხალხების ჰეგემონიის მოტრფიალე.

**პანიკა** — შიში, უსაფუძვლო, რომელსაც ძვ. საბერძნეთში პანს მიაწერდნენ ხოლმე (პანი ველების და მწყემსების ღმერთი იყო, ჰერმესის და ერთ-ერთი ფერიის ვაჟი).

**პაროლი** — ნიშანი.

**პაროქსიზმი** — ციებცხელებიანი გონებრივი ან სექსუალური აღტყინება.

**პარფემი** — ნელსურნელება.

**პატმოსის ჰალაკი** — კუნძული იოანეს გამოცხადებაში.

**პატრონნესა** — მფარველი მანდილოსანი, ქალბატონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**პატრიარქალური** — წინაპრული, ძველებური.
**პაციფისტი** — ზავის მომხრე.
**Pecato, Pecato** — იტალ. სამწუხაროა.
**პენუარი** — სალამური ხალათი.
**პერისტილი** — რომაული სახლის სვეტებიანი გალერეა.
**პიედესტალი** — ქვარცხლბეკი.
**პიკასო** — ფრანგი მხატვარი.
**პინია** — ლიბანის ნაძვი (იტალ.).
**პოზაუენი** — საყვირი.
**პოლიგლოტი** — მრავალი ენის მცოდნე, ლინგვისტი, ფილოლოგი.
**პომპადური** — საფრანგეთის დედოფალი.
**პორტუპეა** — ხმლის ვადაზე მიბმული სირმიანი ფოჩი.
**პორცელანი** — ფაიფური.
**პოსეიდონი** — ზღვათა და წყალთა ღვთაება ძვ. საბერძნეთში.
**პოტიკი** — ძუის მანე.
**პრერიები** — ველები.
**პროზიტ** — გერმ. გაუმარჯოს, ცოცხლობ.
**პურლამერიტი** — ფრანგ. განსაკუთრებული ჯილდო.

### ჟ

**ჟან კოკტო** — თანამედროვე ფრანგი პოეტი.
**ჟალუზინი** — დახვეწილი ფარდა, ცინკისა ან ხისაგან ნაკეთები.

### რ

**რაიხსვერი** — გერმ. ჯარი.
**რელიქვია** — წმინდა საგნების ან სხეულის ნაწილი.
**როკოკო** — სიტყვიდან roceille, ლიწილებისაგან ნაკეთები რამ. ხუროთმოძღვრებაში ლუი მე-XV დროინდელი სტილი.
**როსკინი** — ინგლისელი მხატვარი და პოეტი.
**რჩხია** — მეგრ. ჭრელი.

### ს

**სადღასაი** — უფალი.
**სათი** — საბა: გიშერი.
**სანგარიო** — სალოცავი.
**სანსკრიტი** — მკვდარი, სამღვდლო წერილის ენა ინდოეთისა.
**სან პიეტრო** — წმ. პეტრეს ტაძარი რომში.
**სანტიმენტალი** — გადაჭარბებით მგრძნობიარე.
**სარკოფაგი** — ლუსკუმი.
**სვედენბორგი** — შვედი ფილოსოფოსი.
**სევრი** — ქალაქია საფრანგეთში, აქედან სევრის ფაიფური.

**სეპარატისტი** — პოლიტიკური განკერძოების მომხრე.
**სიასამური** — საბა: სხვათა ენაა, ქართულად ხაზიდი ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Si** — იტალ. ასე, დიახ, ჰო.
**სიესტა** — მზის ამოსვლიდან მეექვსე საათი (ესპანეთსა და იტალიაში).
**სირენა** — საყვირი.
**სისვი ქვა** — საბა: თეთრ-შავ არეული.
**სისილები** — ქალის სამკაული.
**სინგურის ფერი** — საბა: წითელი სახატავია, ვეცხლის წყალთა და გოგირდთა ცეცხლში გამოადნობენ.
**სინიორინა** — იტალ. ქალბატონო.
**სინიორე** — იტალ. ბატონი.
**სპირალური** — მრუდე, რკალისებური.
**სპირიტიზმი** — სულებთან ურთიერთობა მედიუმის საშუალებით.
**სუასონი** — მდინარეა საფრანგეთში.
**სუტრა ტიქსტები** — ჰინდუს წმიდა წიგნი.
**სუფრაჟიზმი** — ქალთა მოძრაობა ინგლისში მე-20 საუკ. დასაწყისში, რომლის მიზანი იყო უფლებრივი გათანასწორება ქალებისა მამაკაცებთან.
**სტენდალი** — ფრანგი რომანისტი.
**სქანსანთელო** — მეგრ. შენ გენაცვალე

ტ

**ტაბაკი** — ხონჩა.
**ტაბაკონის როკაპი** — სამეგრ. ცრუმორწმუნეთ სჯერათ, რომ მთა ტაბიკონზე ზის უფროსი კუდიანი ქალი.
**ტანტალი** — ბერძნ. მითოლოგიაში, ზღაპრული მეფე ფრიგიისა, რომელიც ღმერთებმა ქვესკნელში ჩააგდეს, კელამდი წყალში იდგა და წყურვილს ვერ იკლავდა.
**ტაციტი** — რომაელი ისტორიკოსი.
**tea Gown** — ინგლის. საღამური ტანისამოსი.
**ტედესკი** — იტალ. გერმანელები.
**ტორპედო ნავები** — წყალქვეშა ნავები.

უ

**უნა ლირა** — იტალ. ერთი ლირა.
**ურვა** — საბა: მწუხარება დამამძიმებელი.
**ურჩხული** — საბა: დიდი გველეშაპის მზგავსი.
**უპანიშადი** — სანსკრიტ. რელიგიური სწავლა იხ. ვედა.
**უშტი** — საბა: (ნ. უშქარი) ათი მილლიონია.
**უშქარი** — საბა: ესე არს რიცხვი ქართულისა ანგარიშისა, ედრის მილიონს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფ

**ფაკინო** — იტალ. მებარგე.
**ფატუმი** — ბედისწერა.
**ფაშატი** — ჭაკი ცხენი.
**ფილანტროპი** — კაცთმოყვარე.
**ფილისტერი** — მდაბიო.
**ფილონი** — საბა: სამღვდელო შესამოსი.
**ფიორდი** — ზღვის ვიწრო და კლაკნილი უბეები, რომლებიც ღრმად შეჭრილია ხმელეთის კლდოვან ნაპირებში.
**ფლეგმატური** — მოწყენილი, უნებო.
**ფლური** — საბა: დრაჰკანი (ესე არს ოთხი გრამი წონა ოქრო).
**ფრეკენ** — ქალბატონი.
**ფროლაი** — გერმ. ქალიშვილი.

## ქ

**ქვაკერები** — ამერიკ.-ინგლის. რელიგიური სექტა.

## ყ

**ყარყუმი** — საბა: თეთრი ბეწვია კუდშავი ქრცვინსავით.

## შ

**შალი** — საბა: ერთგვარი ნაქსოვი.
**შანსონეტა** — მომღერალი ქალი.
**შმენდეფერი** — კარტის თამაშია ერთგვარი.
**შპენგლერი** — გერმ. ფილოსოფოსი.
**შპილჰაგენი** — გერმ. რომანისტი.
**შრამელი** — ფლიუგელი.
**შტრასსბურგი** — ქალაქია ელზასში, აგრეთვე შტრასსბურგის ტაძარი.
**შუპო** — ბერლინის პოლიციის შემოკლებული სახელი.
**შუჰპალტენი** — ტიროლური ცეკვა.

## ჩ

**ჩინკვე ლირა** — იტალიური — ხუთი ლირა.
**ჩოჩე** — მეგრ. ყველის შესანახი.
**„ჩხანა მორთია, მორთია"** — მეგრ. „მზეო, მოდიო, მოდიო".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ც

**ცადაქნილი** — ცის კაბადონი.
**ციკლოპი** — ბერძნ. მითოლოგიაში ცალთვალა დევკაცი.
**ციმბალი** — მუს. საკრ. იტალიაში.
**ციტრა** — მუს. საკრავი (მუს. საკრავი იტალიასა და გერმანიაში).

### ძ

**ძგიდე** — გურ. კიდე, ნაპირი, ლინგი.

### ჭ

**ჭეჭეთობა** — მეგრ. იოანეს ღამე, როცა ცრუმორწმუნეთა აზრით კუდიანები აიშლებიან.

### ხ

**ხარონი** — ჯოჯოხეთის მენავე.
**ხირომანტი** — მარჩიელი.
**ხოშორი** — საბა: წვრილისა და მსხვილის საშუალო.
**ხრეში** — ღორღი.

### ჯ

**ჯესუ (ქრისტე)** — იტალ. იესო.
**ჯონია** — ძვ. ქართვ. ქალის სამოსი.
**ჯუფთი** — საბა: მზგავს წყვილთაგან ერთი.

### ჰ

**Have** — ლათ. სალამი.
**ჰანტელები** — სავარჯიშო თუჯის ბურთულები.
**ჰარილე** — ბეწვეული.
**ჰაუბიცი** — დიდ ყალიბიანი ზარბაზანი.
**ჰიბრიდული** — შერეული.
**ჰიპოხონდრია** — ნაღვლიანი ფსიქიური მდგომარეობა.
**ჰეროლდიკა** — აზნაურული გვარის საძიებელი, ცნობარი.
**ჰექზამეტრები** — ბერძნული, ლათინური ლექსის ზომა.
**ჰოლდლერი** — ექსპრესსიონისტი გერმ. მხატვარი.
**ჰომოსექსუალისტი** — მამათმავალი.
**ჰოჰენცოლლერი** — გერმ. იმპერატორების უკანასკნელი გვარი.

Г. Д.

გვ. 95 და 96

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კათოლიკური კიმნის თარგმანი დაახლ. ასეთია:

დღე რისხვისა, დღე ძლიერი მოსვლისა მთელს ქვეყანას ნაცრად აქცევს, როგორც ამას გვიმოწმებენ თავად დავით-და სიბილლა,
უფალო, დიდების თვისის მეოხებით თრთოლვასა რომა ჰგვრი,
[illegible] ცხონებისთვის
[illegible], მიხსენ მე, უფალო წყაროვ სიქველისავ.

— — — — — — —

[illegible]ნ, რომელმაც მარიამ გაამართლე და უსმინე ავაზაკსა,
[illegible]ნ მეც არ დამტოვე [illegible] კიდეგან და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონსტანტინე სავარსამიძის სევდა

როგორც მიუთითებს „დიონისოს ღიმილის“ ერთერთ ანოტაციაში კონსტანტინე გამსახურდია, მწერალს ეწადა სამ კულტურულ ცენტრში (პარიზი, რომი, ბერლინი) გაეშალა მოქმედება. ასე დაეკავშირებინა ევროპა საქართველოსთან, ქართველის თვალით დაენახა თანამედროვე დასავლეთი. ამ მხრივ უეჭველად იქონიებდა ზეგავლენას ცოცხალი შთაბეჭდილებანი:

პარიზისათვის — სორბონაში სწავლა და ახალი ინფორმაციის გადმოცემა ესსეში — „ახალი ევროპა“;

რომისათვის — ესსე „რომში“ (გარდასახვა — თარაშ ემხვარის დღიურები), რომლის მიხედვით მწერალმა დაათვალიერა არა მხოლოდ წარმართული და ქრისტიანული რომი, არამედ — ალბანოსაც ეწვია, ისევე როგორც კონსტანტინე სავარსამიძე.

ხოლო ბერლინისათვის შერჩეულია რევოლუციის ხანა, როცა თავად ცხოვრობდა დამარცხებული კაიზერული გერმანიის დედაქალაქში.

გოეთეს ქვეყანაზე მწერალს ადრევე ჰქონდა გამოქვეყნებული ნარკვევები — „მგზავრის შთაბეჭდილებანი. წერილები გერმანიიდან“ და „ჩემი ტყვეობა“ („ალპიის ყვავილები“), აგრეთვე — ურბანისტული ლექსები.

ასე რომ, გარდა თეორიული სისტემისა, რომელშიც გაერთიანდა ეროვნულ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი, აღმოცენებული სამშობლოს ტრაგიკულ ბედზე ფიქრით, ევროპული ინტელექტუალური თვალთახედვით, მას უკვე ჰქონდა ბელეტრისტული ცდანი, დაკვირვებანი, ფრაგმენტული მონახაზები რომანისათვის. თავადვე მიუთითებს, რომ წერა არაერთხელ დაიწყო, მაგრამ ვერ გააგრძელა. ხოლო სტიმულად თვლის გადატანილ მძიმე ავადმყოფობას. მაგრამ მთავარი მაინც უნდა ყოფილიყო 1924 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 აგვისტო, ახალი სისხლის კოშმარი, რაც ისევ აღუდგენდა მეხსიერებაში ომებისა და რევოლუციების ხანას, საბედისწერო დღეებს...

რომანი იწერებოდა ცხრა თვე. წყობა დამთავრდა 1925 წლის 26 მაისს და ეს თარიღი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო (შდრ — „დავით აღმაშენებლის“ IV წიგნი კ. გამსახურდიამ დაამთავრა 25 მაისს). „დიონისოს ღიმილში“ მოქმედება იწყება 1917 წლის შემოდგომაზე და მთავრდება 1919 წლის ოქტომბერში. თითქოს მწერალი არ ეხება ბოლშევიკურ პერიოდს. მაგრამ წიგნში ნათქვამია, ბოლშევიკებმა მამული ხომ არ ჩამოგართვესო, რომ მოწყვეტილი რკოც იქ უნდა დაეცეს, სადაც ბებერი მუხა წაიქცა. სავარსამიძე რომანის ფინალში 34 წლისაა, ისევე როგორც თავად ავტორი.

კონსტანტინე გამსახურდიამ მოქმედება წარსულში გადაიტანა, ისევე როგორც შალვა დადიანმა („უბედური რუსი“), ვასილ ბარნოვმა („არმაზის მხვრევა“), დემნა შენგელაიამ („სანავარდო. დიდი უფურო“), გრიგოლ რობაქიძემ („გველის პერანგი“). თავად დღევანდელი საქართველო იდუმალების ნისლითაა მოცული. ვიცით მხოლოდ, რომ იგი უცხოობს თავის შვილს, რომელსაც შვიდი ენა შეუსწავლია და სამშობლოს სიყვარულით დატანჯულა. მაგრამ არც შვილები არიან კეთილად განწყობილი ბოლშევიზმისადმი — ჯინულეთიდან წამოსული გრიგალის მოძულენი.

ოციან წლებში კ. გამსახურდია ქადაგებს აქტივიზმს, განადიდებს ძალასა და ენერგიას, რკინის ნერვებს, გმობს რბილკანიან, აბულიით შეპყრობილ თაობას. მელანქოლიასა და დეკადანსს, ნერგავს რწმენასა და იმედს, რათა ჰეროიკული სული დაეუფლოს მასებს. მაგრამ კონსტანტინე სავარსამიძე მელანქოლიკია, მეოცნებე და ნერვებმოშლილი, ცხოვრებისაგან განზე გამდგარი, დიონისოს ნიღბებს შეფარებული. ეტყობა, მწერლის დაუღალავი მტკიცება. გოეთესა და ნიცშეს. მისტიციზმისა და ექსპრესიონიზმის იდეების ქადაგება. ოცნება ძლიერ პიროვნებაზე იყო შინაგანი ეჭვისა და დეპრესიული განწყობილების დათრგუნვის ცდა, რათა ეთქვა სასურველი და არა მხოლოდ რეალური, მაგრამ „დიონისოს ღიმილში“ წუხილმა და უიმედობის განცდამ თავი ვერ დაიმალა და გამოავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინა აზროვნების ახალი თვისებანი — პესიმიზმი, დეკადენტური ბოჰემა, სიკვდილის ესთეტიკამდე რომ მიდიოდა, რისაც განადიდებდნენ სიმბოლისტები.

ეს იყო 1921 წლის კატასტროფისა და 1924 წლის ტერორის შედეგი, რამაც მომავლის გზები წყვდიადით დაბურა.

„დიონისოს ღიმილი“ გვაცნობს დამარცხებულ გერმანიას, ქაოსურ ატმოსფეროს. მთელს წიგნს ფარულ ექოდ გასდევს კატასტროფის მოტივი, რაც გადადის აპოკალიპსის სიმბოლიკაში. აქეთკენ უბიძგებს როგორც გერმანიის სინამდვილე, ისე სამშობლოს ბედი. არადა სავარსამიძისათვის, როგორც თვითონვე გვეუბნება, გერმანია ხომ მეორე სამშობლოა, ე. ი. მისი იდეალები აქაც გამტყუნდა. ხოლო კომპიენის ტყე იგივეა, რაც სტენდალის ჟულიენისა და ფაბრიციოსათვის ვატერლოო, რადგან საქართველომ 1918 წლის 26 მაისს სწორედ გერმანიის მეშვეობით მიაღწია დამოუკიდებლობას.

ლათინურ-გერმანული სულის ერთობა მჟღავნდება რომანის სტილსა და სტრუქტურაში, რაც გამოიხატა ექსპრესიონიზმითა და იმპრესიონიზმით, სიმბოლისტური ესთეტიკით, მისტიკური ჭვრეტით. მათ დაერთო ფრ. ნიცშეს მოდელი დიონისოსა და ქრისტეზე, ამბივალენტური მიმართება მაცხოვრისადმი, ანტიკური სამყაროს კულტი, შპენგლერისეული ევროპული კულტურის მწუხრის გააზრება. სავარსამიძე პარიზიდან ჯენეტს ბერლინში კი არ წაიყვანს, არამედ — რომში, ქრისტიანობისა და წარმართობის უდიდეს მუზეუმში, ნახავს ვენეციას, იარაღით ხელში იცავს ალმა-მატერს — ბერლინის უნივერსიტეტს.

ყველგან ერთმანეთს თანახვდება ლათინიზმი და გერმანიზმი, რადგან მწერლის ოცნებაა ევროპის ფაუსტურ სულს მოუძებნოს შინაგანი საყრდენი, როგორც დაკარგული თაობის იმედი და ციტადელი და ასე დაძლიოს — ერთის მხრივ — უმითოდ ყოფნის კოშმარი (ე. ი. გაუცხოება, ჭარბი ტექნიციზმი), მეორე მხრივ — შპენგლერის რუსულ-აზიური სამყაროსაკენ მიპყრობილი მზერა. ამიტომ არის მინიშნებული მონღოლური (ე. ი. რუსული) საფრთხე, როგორც აზიის ხელახალი შემოტევა, აპოკალიპსური წარღვნის მომტანი.

ეს რომ არ მოხდეს ამიტომ უვლიან სლანსკის კოშკს ტყე-

ში ჩრდილოეთიდან ჰერბერტი (გერმანია) და სამხრეთიდან — ხალილ-ბეი და სავარსამიძე (კავკასია). ყურადღება უნდა მიექცეს ფრანგულად დაწერილ პროლოგსაც: თურმე იგი თეთრფრთიანი ცეპელინის ქება და არა ეიფელის კოშკისა. ხოლო ამ ერთობის მიღმა, სულისა და ისტორიის სიღრმეში იდგა, როგორც პირველსაწყისი ძალა, ძველი საბერძნეთი, რომელსაც ესაზღვრებოდნენ კოლხური ტომები. მათ აერთიანებდათ ზიარი მითები, მსგავსი ღვთაებანი, ანიმისტური წარმოდგენები, ახალშენები. ხოლო უშორეს დროში ბერძნებს წინ უსწრებდნენ პელაზგები — პროტოქართველური ტომები.

პროლოგიაში ძევს ნაციონალური სიმბოლიკაც. პირველი ქება დაიწერა წმ. კონსტანტინეს მიცვალების დღეს, რომელიც სავარსამიძის არქეტიპია. არგვეთის მთავრები — დავით და კონსტანტინე მხეიძეები არაბებმა აწამეს მეორედ შემოსვლის დროს. ასევე მეორედ შემოესია რუსეთი 1921 წელს საქართველოს. დავითისა და კონსტანტინეს ძვლები კომკავშირელებმა ამოყარეს 1923 წელს. ამიტომ ჰგონია სავარსამიძეს, რომ მოელის მისი სეხნიასებრ „გმირული აღსასრული" (არსებობდა რეალური პიროვნებაც — დავით მხეიძე — 1924 წლის აჯანყების მონაწილე.)

„დიონისოს ღიმილი" არის თვითრეკვიემი, საკუთარი თავის გამოტირება. ამას ნათლად გვიჩვენებს პირველივე ქების პირველივე თავი: ლუქსემბურგის პარკში მწვანე სკამზე ზის ფეხებმოჭრილი, სახედამახინჯებული ინვალიდი, რომელსაც ჩიტების გუნდი ახვევია, როგორც წმინდანს. მას თავისი ხალხისათვის თავი გაუწირავს, მაგრამ მის სიახლოვეს ყველა ერიდება, არავის ახსოვს იგი. სავარსამიძეს უხარია, რომ თავად მას მსხვერპლი არ გაუღია, ისევ ჯანსაღია და ძლიერი. კონტრასტულად ხვდებიან ერთმანეთს ხეიბარი და ზეკაცი. მაგრამ შემდეგ ვხვდებით, რომ კონსტანტინეც მამულისადმია შეწირული, ისიც მარტოხელაა და ყველა გაურბის. ინვალიდისაგან განსხვავებით სულის მხნეობა დაჰკარგვია და მელანქოლიით სიცოცხლე მოსწამლვია.

ამიტომ ეტრფის უძველესი ფეოდალური გვარიშვილი თრობისა და შვების მრისხანე ღმერთს — დიონისოს, რათა დაივიწყოს გაუხარელი სინამდვილე, ხოლო მწუხარე გზაზე,

როგორც ბაკხანტები და მენადები, მიაცილებენ მიჯნური ქალები (ჯენეტი, მისის ბლუტი, ერიკა, თინა, ლუჩია, ანრიეტ ფონ შაი, ინგებორი). მას ორი უდიდესი ვნება ჰქონდა სიყმაწვილიდან — „ვნება პოლიტიკისა და ქალისადმი“, მაგრამ დრომ პოლიტიკას ჩამოაცილა და დარჩა მხოლოდ ქალები. დედას ვერ გაუგია თუ რატომ ვერ გახდა კონსტანტინე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, მაგრამ დროდადრო თავს ანებებს მოგონებებსა და მირაჟებს:

„შეგვირყვნეს ენა — ჩვენი მამა-პაპის წმინდათა-წმინდა დაგვინგრიეს ოჯახი, გაგვიბახეს მჭული და თავიანთი ჯარების საჭირითოდ გაგვიხადეს ჩვენი ქვეყანა. გვიშველეთ ძმებო, და გავრეკოთ მტრები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან. ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებივით დავუხვდეთ თემშარაზე, ცეცხლში გავხვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არავის“...

არც ამ მოწოდებას ეწერა ახდენა. და შეგნება იმისა, რომ ყოველი გაბრძოლება განწირულია დასამარცხებლად, აძლიერებს სევდასა და დეპრესიას, სამეგრელოს ბნელი ჭაობებიდან წამოყოლილ მელანქოლიას.

„უდროობის გმირი“ სავარსამიძე იმეორებს კ. გამსახურდიას ბიოგრაფიულ დეტალებს (ბავშვობის წლები, მოგზაურობა პარიზში, რომსა და ბერლინში, ბერლინის უნივერსიტეტში სწავლა, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში“ მუშაობა, გერმანიაში ყოფნა რევოლუციის დროს...), სახელს, წარმომავლობას, გარეგნობას, ფსიქიკასა და ტემპერამენტს (მელანქოლია, ჰაძლეტიზმი...), პროფესიას (პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი), პოლიტიკურ და ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემას. ზოგჯერ მწერალს ესსეებიდან ცალკეული ფრაზებიც გადმოაქვს. მაგრამ ეს ყოველივე უნდა მიუსადაგოს ელინურ სილამაზეს და დიონისოს კულტს, რათა ჰპოვოს სულის მყარი საყრდენი. ნაციონალური ორიენტირი, უაილდისებრი ესთეტური სხივით გარემოსილი.

ტაია შელია მწერლის ავტობიოგრაფიიდან არის გამოსული: მას ბავშვობაში ჰყოლია ერთი მეზობელი, სახელად ტაია, რომლის ცოდნა, ხალხური სიბრძნე ევროპელი ესეისტის ნაწერს დაამშვენებდა. ამ გლეხს სცოდნია საოცარი ანდაზები,

არაკები, თქმულებანი. შეკითხვაზე, თუ სად მიდიხართ, ყოველთვის ერთნაირად პასუხობდა — „დაბაში ჩასვლას ვაპირობთ", რაც მწერალს გაგებული აქვს როგორც ცხოვრების გზის ძიება, სიცოცხლის საზრისის პოვნა, რაც ასე აწვალებს კონსტანტინე სავარსამიძეს.

ხოლო მესამე პერსონაჟი — ჯენეტი საქართველოს ალეგორიული სახეა. იგი მუდამ ქრისტესა და წმ. გიორგის ეტრფოდა, უცხოს გაურბოდა, მაგრამ მაინც სჯულითა და სისხლით მტერს — სპარსელს მითხოვდა. სპარსელი ამ ასპექტში ისევე არის რუსის ალეგორია, როგორც ბიზანტიელი „დიდოსტატის მარჯვენაში".

როგორც ვხედავთ, სამივე პერსონაჟი წმ. გიორგის ერთგულია, რომლის ირგვლი იკვრება წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენები. მაგრამ კონსტანტინე მასში დიონისოს ხედავს, ტაია — უძველეს კოლხურ ადათ-წესებს და რწმენას, ჯენეტი — იესო ქრისტეს. ამიტომ ულმობელი ჟამი მათი გამთიშველია და არა ერთი მიზნისაკენ წარმმართველი. ნაციონალისტი სავარსამიძე ცდილობს ჯენეტის დაბრუნებას სამშობლოში, ეროვნულ საწყისთან. გაურბის სპარსელ ქმარს, მაგრამ დალუპავს ქართულ-სპარსული სისხლის შეერთების ნაყოფს — ფარვიზს (რაც მის წარმოდგენაში დიონისოსთან არის ასოცირებული) და ამიტომაც ქალს შესძულდება „გაელინებული წარმართი ლაზი".

სავარსამიძისათვის ხომ განუზომლად მნიშვნელოვანია სისხლის მისტერია — გობინოს იდეაფიქსი. ამიტომ ფიქრობს ესოდენ ბევრს თავისი „ბნელი სისხლისათვის", წერს წიგნს — „სისხლისათვის", რადგან მისთვის სისხლი იგივეა, რაც ანიმისტურ წარმოდგენებსა და ბიბლიაში „სული", თანამედროვე ცნებით —„გენი", მისტიკური რწმენით — ბედისწერა, რაც დაუკავშირდა პოლიტიკას. მაგრამ არც ჯენეტისა და კონსტანტინეს სიყვარულია მხოლოდ ხორციელი ტრფიალება. მათ გულში ხომ ტრფობის ალი გაალვივა ნოტრდამში ხილულმა აპოკალიპსურმა სურათებმა. საწყისი უნდა ყოფილიყო დაკარგული სამშობლოს მონატრება, მშობლიური მიწის და სიტყვის იდუმალი ძახილი.

წიგნში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ლაიტმოტივ-

რად დახატული პერსონაჟი — „ზეზერი სატირი“ ტაია შელია და „ძაღლისპირიანი“ სლანსკი.

ტაია სავარსამიძის მორდუა, მთვარის მოქცევის მესაიდუმლე, წარმართი და ქურუმი, ვინც პირველმა უთხრა ყრმა კონსტანტინეს, რომ წმ. გიორგი უფრო ძლიერია, ვიდრე ქრისტე, ვინც მის თვალწინ „ახია ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი“. ხოლო სლანსკი ემიგრანტი ოფიცერია — ცარისტული რუსეთის სიმბოლო, რომელმაც ზმანებაში ხელიდან აალა ჭენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი — სიყვარულისა და ერთგულების ფარეში. გულთმისანი ტაიას გახსენებას ყოველთვის ახლავს მაგიური ხიბლი. ხოლო „დათვი პირსისხლიანი“, „არყისგან ყელგამოთუთქული ლოთი“ სიძულვილის მომგვრელია. ამიტომ იქცევა იგი ჭოჭოხეთურ ხილვაში, ქვესკნელში ჩასვლისას, ყვითელეპოლეტებიან მონღოლად, თამარის ალმასის ქურდად, რომელსაც „დამპალი კომბოსტოს სუნი“ ასდის და ჩრდილოეთის ტახტზე ზის. სავარსამიძემ სწორედ ტაიას ჯადოსნური შელოცვით დაამარცხა სლანსკი, ყელი გამოჭრა და მისი სისხლი დალია. ასე რომ, ცხადში ნაოცნებარს ზმანებაში აღასრულებს. აყვავებულ და ძლიერ საქართველოსაც მხოლოდ სიზმარში ხედავს.

ამბივალენტურია კონსტანტინე სავარსამიძის ქრისტესადმი მიმართება. მართალია, მისი სულის იდეალია და მისი ცხოვრების გზას წარმართავს წმ. კონსტანტინე, წმინდა გიორგივით უშიშარი რაინდი, თავადაც არაერთხელ გვევლინება როგორც ჯვარცმული. მაგრამ საქართველოს უბედურების მთავარ მიზეზად მაინც ქრისტეს ჯვარი მიაჩნია, რადგან ნაზარეველის სახელით დაიმორჩილა რუსეთმა საქართველო. ხოლო ევროპამ დაივიწყა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ქვესკნელშიც მაცხოვრის ლანდს დაეტაკა და წააქცია, რადგან მაცხოვარმა არ მოუწონა სლანსკისთან სააქაოში დაწყებული ანგარიშსწორების საიქიოში გადატანა. სავარსამიძე ხშირად ახსენებს ქრისტეს, ქრისტიან მარტვილებს, დადის ტაძრებში, ლოცვებსა და წირვებს ესწრება. მის მელანქოლიურ ხასიათს ძალუმად არყევს ქრისტიანული სათნოება. მაგრამ სწორედ სან ფრანჩესკოს ტაძარში მთელი ღამე ლიტანიობით მუხლდაცვეთილი უკან დაბრუნებისას ასიზის გზაზე ჯვარცმას დალეწავს!

ახე ცვლის უნაპირო სიყვარულს უნაპირო სიძულვილი. ქრისტე მას უყვარს ფარულად, გულის სიღრმეში, როგორც ფრ. ნიცშეს, ხოლო ცნობიერად სძულს, რადგან დიონისურ თრობით შთაგონებულს თავი უფლის მეტოქედ მიაჩნია, ახალ ქრისტედ გამოცხადებას ელტვის. ჯვარცმული კი ყოველთვის წინ ეგებება და სიმშვიდისაკენ მოუხმობს. სამაგიეროდ იგი დიონისოს მიმდევარია. ეძებს და ათვალიერებს დიონისოს კოლექციებს თავდავიწყებით ეწაფება სექსსა და ალკოჰოლს, რათა დაივიწყოს მწარე სინამდვილე. მაგრამ თავაწყვეტილი ცხოვრება უარესად უსუსტებს ნერვებს, უმძაფრებს ნევროზს და დეპრესიას, რასაც მცირე ხნით თავს აღწევს ინდოელი აზსენ ტუსგის შეგონებით (იგივე ფსიქოთერაპია). დიონისო ნილბებითაც ევლინება ლაზისტანის ძველ აზნაურს. მაგრამ ღიმილისა და სიხარულის სანაცვლოდ ყოველთვის მწუხარება მოაქვს, რადგან იგი მხოლოდ მირაჟია და არა რეალობა.

ქრისტიანული ღმერთის უარყოფა, ღმერთმებრძოლობა, უკავშირდება ქრისტიანი მამის ხატსაც, რადგან უძველეს დროში მამის სახე იქცა ღმერთად, თავისი ყოვლისშემძლეობით, მისადმი შიშითა და სიყვარულით (ა. ბელის აზრით, ყველა ხელოვანი ღმერთმებრძოლია). ამბივალენტურია მამისადმი მიმართებაც. სავარსამიძეს ცნობიერად სძულს მამა. იგი ანდერძის გამტეხი შვილია (ვენახი აჩეხა, მამისეული სახლი დაანგრია, მიწები გაჰყიდა, ხოლო ფული გაფლანგა), რადგან სიკვდილის სარეცელზე მწოლმა მამამ დაწყევლა. უნაყოფობა დაანათლა და ეს წყევლა, ქრისტიანი მამის პირით ნათქვამი, აუხდა სავარსამიძეს. რადგან მან ტაია შელიას უკულმართი გზები (წარმართობა, შემდეგ დიონისოს კულტად გააზრებული) არჩია მამის კვალზე სიარულს (ქრისტიანობას). მხოლოდ საიქიოში გალხვა მტრობა გულისმომკვლელი ალსარებით. მაგრამ მამამ მაინც ვერ დალოცა ანდერძის გამტეხი შვილი და გაუჩინარდა...

სავარსამიძეს სწყურია კოშმარული სინამდვილის გადალახვა, ეროვნული და პიროვნული არარაობის დაძლევა: ის, რაც ვერ შეძლო ქართველმა ერმა, თავად ერთმა, როგორც ზეკაცმა განახორციელოს, მაგრამ ქრისტიანი და ქრისტეს ერთგული ვერ იქნება, რადგან, როგორც ითქვა, მაცხოვრის

სახელით დაიპყრო რუსეთმა ქართლ-კახეთი 1801 წელს, ხოლო 1921 წელს იუდაიზმისა და ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილმა ბოლშევიზმმა წალეკა საქართველო. გარდა ამისა, ქრისტიანობამ გაანადგურა მშობლიური, ელინური სამყაროს თანაზიარი ღმერთები. ხოლო ანტიკურობის უარყოფით, როგორც თვლიდა ფრ. ნიცშე, თანდათან მივიდა ევროპული სულის კრიზისამდე (ბურჟუაზია და სოციალიზმი). ამის გამო ელერს ახალი ექსპრესიონისტული პაროლი — უკუქცევა ბუნებისა და ბუნებრივი გრძნობებისაკენ, ძველბერძნული ესთეტიზმის აღდგენა.

ამდენად არის უარყოფილი სავარსამიძის მიერ „უდაბნოს ღმერთი“, რადგან კომუნისტების გმობის ნებას ავტორს არ მისცემდნენ. აქაც მოხმობილია სიმბოლო და ალეგორია, რაც მომავალში მწერლის ხელში ჯადოსნურ კვერთხად იქცა. ხოლო ერთერთი მთავარი მოტივია იაკობის უფალთან შერკინება, როგორც ქართველი ხალხის ბედის სიმბოლური გააზრება, ბრძოლა განგების უწყალო ნებასთან. ამიტომ აირჩია კონსტანტინე სავარსამიძემ დიონისური სულიერი მარტვილობა, რაც შეიძლება ისევე პარადოქსული იყოს, როგორც მწერლის მეტაფორა — „ჯვარცმული დიონისო“, ნიცშესადმი თქმული, ასე რომ ესადაგება კონსტანტინე სავარსამიძის სევდას და კაეშანს დამარცხებულ სამშობლოზე ფიქრითა და ოცნებით აღძრულს.

## „სლანსკი, ასჩვიდმეტი“

„პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს“ — გვასწავლის კონსტანტინე გამსახურდია და ეს პირველ რიგში მისივე ნაწერების გამო ითქმის. მწერლის სიტყვა მართლაც არის მრავალუცნობიანი განტოლება, რომელშიც მოძრაობს ნაირგვარი აზრი, სახე და სიმბოლო. მაგრამ არის ერთი გამჭოლი მოტივი — სამშობლოს გრძნობა, ყოველი ფიქრის დასაბამი, მრავალ სარკეში არეკლილი. განწყობილება სტიქიურადაც იმორჩილებს მკითხველს, მაგრამ აზრის პოვნა მას აძლევს ძალასა და სიმყარეს და განუყრელად სდევს მეხსიერებას.

ასეთივე შიფრითაა ნაწერი „დიონისოს ღიმილი“ — „დაკარგული თაობის“ სევდიანი წიგნი, რომლის ეპიგრაფი „ჭოჭოხე-

თიდ ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“ — მისტიკური ხილვა.

...შინ გვიან მობრუნდა ციებით სნეული, ნამთვრალევი, ნერვებმოშლილი კონსტანტინე სავარსამიძე. სტეარინის სანთელი აანთო და ოთახში შევიდა. უცებ წითელი მამალი შეეფეთა. გაეკიდა ფრინველს, სალომესაც ბევრი უძახა, მაგრამ ოთახიდან ვერ გამოდევნა. მტანჯველ ზმანებაში ფანჯარა გაალო და „წითელი პირსისხლიანი ფრინველი — კირიპა შემოფარფატდა“. ნისკარტით მალლა აიტაცა სავარსამიძე. შემდეგ ქანგი გაუშვა და ძირს დაანარცხა. გაირღვა მიწა და სადღაც ველზე, ე. ი. საზღვარს მიღმა აღმოჩნდა. აქ იგი გარდაისახა აბჯრით შეჭურვილ კონსტანტინე არგვეთის მთავრად, ვისი ლანდიც მუდამ სდევდა ლაზისტანის ძველი აზნაურის მწუხარე ოდისეას. ხედავს, რომ მოისწრაფის დახრახნილი გველი და „წითელი, გამხვრეტი თვალი“ შემოაჩერა. კონსტანტინემ შეულოცა და გველი გაფრინდა ჩრდილოეთისაკენ, ალბათ იქითკენ, საიდანაც მოვიდა.

ამრიგად, წითელი მამალი, წითელი კირიპა და გველის წითელი თვალი მიუძღვიან კონსტანტინე სავარსამიძეს ჯოჯოხეთისაკენ, ანუ სიკვდილის საუფლოსაკენ. სრულიად ნათელია ქარაგმის აზრი: შიფრში მოქცეულია სინამდვილე, რომელმაც ხასოწარიუკვეთა სამშობლოს სიყვარულით ველად გაჭრილ მეოცნებეს. ახალი დრო და „გრიგოლ ხანძთელის გადაგვარებული სახლიკაცები“ ადრე თუ გვიან სიცოცხლეს მოუსწრაფებენ კონსტანტინეს, რადგან მისი ცოდნა, აზრი და ფიქრი მიუღებლად ეჩვენებათ.

კონსტანტინე სავარსამიძე სიზმარში შეჰხარის აყვავებულ კოლხ-იბერთა მხარეს, ნატრობს დაიმარხოს მტკვრის პირას, ქართლოსის საფლავის ახლოს; ცხადში იარაღი შემოაქვს, მუშაობს განთავისუფლების კომიტეტში, გერმანელებს თხოვს დახმარებას. მაგრამ ეს იყო ადრე, ახლა კი საშინელი დეპრესია დაუფლებია. ამიტომ გამხდარა ეროსისა და დიონისოს მედაფე, რათა შეიქმნას მსოფლმხედველობრივი ბარიერი, უარმყოფელი რუსული ბოლშევიზმის ექსპანსიისა, მიმართული ნაციონალური საწყისების აღდგენისაკენ.

კონსტანტინეს ზმანება დეპრესიული განწყობილების სახეებად გაშიფრვაა, იმის ამოცნობა და აზრის მიგნება, რაც სულს უწამლავს, მოქმედების უნარს ართმევს და ლოთობისა და ეროტომანიისაკენ უბიძგებს. მან სწორედ სიზმარში მიაკვლია თავისი არსებობის ნამდვილ ხვედრს — ჯოჯოხეთურ ყოფას და მის მთავარ მიზეზს — მარმარილოს ტახტზე მჯდარ ჩრდილოეთის მეფეს, რომელსაც სლანსკი ჰქვია.

ვინ არის სლანსკი?

კონსტანტინემ პარიზის ერთი სინემატოგრაფიული ფირმის რიგში ნახა „მაღალი, ქერა“ ცხვირჩაჭყლეტილი რუსი“ და არ მოეწონა. შემდეგ რესტორანში ემიგრანტი რუსის ოფიცრები სცემეს ჩერქეზმა მხატვარმა ხალილ-ბეიმ, ქართველმა ტერორისტმა თადა ლანდიამ და ქართველმა პოეტმა კონსტანტინე სავარსამიძემ. ერთ მათგანს, „ცხვირჩაჭყლეტილ, ლაწვმაღალ, ქერა რუსს“, რომელსაც ამხანაგები სლანსკის ეძახდნენ, ბურგუნდიით სავსე ბოთლი თავში ჩაარტყა და რევოლვერი წაართვა. მას შემდეგ აეკვიატა ეს საძულველი ჩვენება, არც უფიქრია — რატომ და რისთვის. ჰინჰრის ციებით სნეულს ეზმანა,ვითომ მოვიდა სლანსკი და მარცხენა ხელიდან ააცალა ჯენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი — ერთგულებისა და სიყვარულის ფარეში.

ამრიგად, რომანოვების რუსეთის სიმბოლოა სლანსკი, რომელსაც სძულს ქართველი ხალხი, ქართული ხმა და სიმღერა: „ოსტავტე ვაში დიკია ვოპლი“, „ესროლე მაგ ველურს“. თეთრგვარდიელი ემიგრანტის სახე დაიტვირთა ისტორიული ასოციაციებით, მოექცა კონსტანტინეს არაცნობიერ ფსიქიკაში, რაც სრულად ზმანებით გამოვლინდა, იქცა რა ჩრდილოეთის ტახტის მპყრობელად.

სწორედ წითელთვალა გველის კვალმა მიიყვანა კონსტანტინე ჩრდილოეთის მეფის კოშკთან, ე. ი. გაიბა პირდაპირი კავშირი წითელ დროშიან იმპერიასა და ორთავიანი არწივის სამეფოსთან. სლანსკის ხომ თავზე ჩრდილოეთის მეფის გვირგვინი ხურავს, მუხლზე ორთავიანი არწივი უზის, რომელსაც ერთ თავზე ბაგრატიონის გვირგვინი ადგას, ხოლო გვირგვინში ჩასმულია თამარ მეფის ალმასი. სლანსკის ორივე მათგანი მიუთვისებია — გვირგვინიცა და ალმასიც. წითელი ფერის სამგზის მოლანდებამ მიიყვანა კონსტანტინე „ლაწვმაღალ, ყვითელეპოლეტებიან მონღოლთან“ ანუ საკუთარი სულის სიღრმეში ჰპოვა საწყისი, თუ რატომ უნდა სძულებოდა რეალობაში — თეთრგვარდიელი ოფიცერი სლანსკი, სიმბოლურად — ჩრდილოეთის ტახტზე მჯდარი, რომელსაც არყის, ნივრისა და დამპალი კომბოსტოს სუნი ასდის, ხანჭკოლასფერი თვალებით შემომყურებს და ყურებიდან თელგამი ჩამოსდის.

სლანსკიმ კონსტანტინეს ააცალა ჯენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი. ჯენეტი კონსტანტინესათვის საქართველოს სიმბოლოა, ქალი, რომელიც მუდამ ქრისტეზე ლოცულობს, წმ. გიორგის ერთგულია, უცხოელი სძულდა, მაგრამ მაინც უცხოელის ცოლი გახდა და ასე გაუბედურდა. სლანსკიმ ბაგრატიონთა დინასტიის გვირგვინიც მიისაკუთრა, იმ ბაგრატიონებისა, რომლებიც ათასი წელი ისხდნენ გაერთიანებულ საქართველოსა თუ მისი ცალკეული კუთხეების ტახტზე. სლანსკის

თამარის ალმასიც მიუთვისებია. თამარი ქართველთა სალოცავია, ქართველი ქალის უპირველესი სახელი, რომელსაც დღეს უწოდებს სავარსამიძე. ასე რომ, სლანსკიმ წაართვა სავარსამიძეს მამული, დედა და ცოლი. ამიტომ უკივის იგი მეტოქეს: „სლანსკი, მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით", „უკუდექ, ჩემი სისხლით ალეშილო"...

ისინი ურთიერთმოპირისპირე რასის შვილები არიან, შეურიგებელი ბუნებისა:

„სლანსკი! შენ — ყინულეთი, მე — მზისგული, შენ — თოვლი, მე — ცეცხლი, შენ — მურტალი, ღორის ტყავის ფარივით ფართო და რგვალი, მე — ქართული ხანჯალივით ბასრი და წვეტიანი"...

ჩრდილოეთის ტახტის დასამხობად დასავლეთიდან და სამხრეთიდან თეთრი, შავი და ინდიოსფერი ულაყებით მოისწრაფიან — გერმანელი ჰერბერტ შტუდერსი, ერთ დროს ნაზი და მეოცნებე პოეტი, შემდეგ — მეომარი ნაციონალისტი („მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო უომრად, ხვალ რომ საფრანგეთმა ომი გამოგვიცხადოს, კიდევ ოთხი წელი სანგრებში ვიწოლებ: ოღონდ ვიღირსო გერმანიის ვარსკვლავის ხელმეორედ ამოსვლას"), ფრანგების ტყვიით განგმირული; ჩერქეზი მხატვარი ხალიდ-ბეი, ავტორი სურათებისა — „ჩინგიზ ხანის შემოსევა" და „დიონისოს მეორედ მოსვლა"; ქართველი სავარსამიძე, რომელიც წმ. კონსტანტინეს აბჯარმოსილი ებრძვის მონღოლ სლანსკის, როგორც წმ. გიორგი დრაკონს. მწერალი ხომ ქადაგებდა ლათინურ-გერმანული სულის ერთობას, როგორც მოკავშირეს აზიიდან წამოსული აპოკალიპსური წარღვნის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ფაუსტური კულტურის გადასარჩენად. რეალურ იმედად კი საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის რჩებოდა გერმანია — „მარადიულ ღმერთთან მორკინე იაკობი", ვინც ბედისწერას აუმხედრდა, ვინც საქართველოს 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა მოაპოვებინა

„სლანსკი, ასჩვიდმეტი". — შესძახებს სავარსამიძე. ეს არის ბრძოლის პაროლი. რომლის დროსაც არგვეთის მთავრის ხმალით გადაუთალა მოსისხლარს ხმალი, გადაუმტვრია ოროლი, გადაუჩეხა წერაქვცული, გადაუპრა წა[illegible]მკვეთა შუბი. სამი დღე-ღამე ერკინებოდნენ ერთურთს და ტანზე აბჯარი შემოაცვდათ.

„ასჩვიდმეტი" ასჩვიდმეტწლიანი ტანჯვის პაროლია რომანოვების იმპერიაში". 1801-დან 1918 წლამდე. რომელზეც თავის სტატიაში „№№ 1917" მიგვითითებს კონსტანტინე გამსახურდია. ამიტომ უნდა მოკვდეს ის აპოკალიპსის მხეცი თუ დრა-

კონი, საზიზღარი ხანჭკოლასფერი თვალებით რომ შემოსცქეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კიდევ ამდენი“, ამბობს და მოდის დათვი პირსისხლიანი.

მონღოლ სლანსკის ეცოტავება ასჩვიდმეტი წელი. მას სჯერა, რომ საქართველო კიდევ დიდხანს ვერ გაუსხლტება ორთავიანი არწივის კლანჭებს. სამოცდაათი წელი დასჭირდა ძალთა მოკრებას და ისევ ებრძვის სახელდასხივებულ სლანსკის არგვეთის მთავრის ხორასნული. ხოლო მაშინ ტაია შელიას შელოცვით სძლია ურჩხულს სავარსამიძემ, ყელი გამოსჭრა და მტრის სისხლი დალია. სიცოცხლეს შეევედრა სლანსკი, მაგრამ პირობა ისე აუსრულა, როგორც მან ერთხელ, ე. ი. როცა მოტყუებით ჩაიგდო ხელში ბაგრატიონთა გვირგვინი და თამარის ალმასი. აქ ისტორიული ექსკურსიც არ უნდა იყოს ზედმეტი: მწერლის სიტყვით, პავლე პირველი იაშვილმა დაახრჩო, ხოლო ნიკოლოზ II ვალია ბახტაძემ შეიპყრო.

მაგრამ რატომ იქცა მარმარილოს ტახტზე მჯდარი სლანსკი ყვითელპოლიტებიან მონღოლად? გავიხსენოთ კ. გამსახურდიას ესსეები „მესამე საფრთხე“ და „ერი თუ რასსა“, მსჯელობა ჯიშის სიწმინდესა და სისხლის აღრევაზე, გადაგვარებასა და სრულყოფაზე. მწერლის აზრით, სლავების სისხლში შეიჭრა „მონღოლური ნაკადი“, აირია — ერთიმეორისათვის სრულიად უცხო მოპირისპირე ტემპერამენტის სისხლი“ და ჩამოყალიბდა ბასტარდი ერი. მონღოლურ-თათრული წარმოშობისა იყო ულიანოვ-ლენინიც. ამიტომ არის მონღოლური საფრთხით და აზიის ხელახალი შემოტევით კოდირებული რუსული ბოლშევიზმი, რომელიც ევროპას აპოკალიპსური წარღვნით ემუქრება.

და ბოლოს — მკითხველს გვინდა ვუთხრათ, რომ სლანსკისთან ბრძოლის ეპიზოდს სრულად შეიცავს „დიონისოს ღიმილის“ 1925 და 1933 წლის გამოცემები. ხოლო შემდეგ საგრძნობლად შეიკვეცა და შესწორდა (რადგან სავსებით სწორად ჩათვალეს და მიიჩნიეს, რომ საბჭოეთი ეს იგივე რუსეთის ფერშეცვლილი იმპერიაა). ეს ეპიზოდი აღვადგინეთ წინამდებარე გამოცემაში, ისევე, როგორც მამისმკვლელობა ადგა „მთვარის მოტაცებაში“; ორივე მათგანი ნათლად გვიჩვენებს მწერლის აზროვნების ძალას და შეურიგებელ ნაციონალურ-სოციალურ სულისკვეთებას.

სოსო სიგუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


1. კაცი, რომელიც ველარ იცინის . . . . . . . . 5
2. ნისლი . . . . . . . . . . . . 7
3. დიონისოს მეორედმოსვლა . . . . . . . 16
4. კონსტანტინე სავარსამიძის ავტოპორტრეტი . . . . . 40
5. ჩინგის ხანის შემოსევა . . . . . . . 67
6. პატმოსის ქალაქი . . . . . . . 82
7. ამორძალის კოცნა . . . . . . . . 87
8. სმარაგდის ბეჭედი . . . . . . . . 96
9. ჰიმნები ღვინისადმი . . . . . . . 105
10. გაყიდული კბილების ქება . . . . . . . 110
11. ლაზური ფული . . . . . . . . . 118
12. თვალების დუელი . . . . . . . 120
13. ვენახი . . . . . . . . . . . 128
14. კონსტანტინე სავარსამიძის ინდოეთს გამგზავრება . . 137
15. არგვეთის მთავრის მოძველებული ნიღაბი . . . . . 143
16. დედალი ხოხობი . . . . . . . 148
17. ღმერთი მეველე . . . . . . . . 151
18. მისტიური ჯვარისწერა . . . . . . . 153
19. ხარონის ნავში . . . . . . . . . 155
20. გზაჯვარედინზე . . . . . . . . 159
21. ლორების საკურთხეველი . . . . . . . 167
22. რეტდასხმული კურდღელი . . . . . . 175
23. სიესტა . . . . . . . . . . . 178
24. ორძილი . . . . . . . . . . . 180
25. გაზაფხული . . . . . . . . . . 182
26. უცნობის საფლავზე წართქმული . . . . . . 185
27. სადღეგრძელო . . . . . . . . . 187
28. აღსარება . . . . . . . . . . 192
29. ღამე . . . . . . . . . . . 195
30. ასიზის მონასტერში სალარიბოდ გამგზავრება კონსტანტინე სა-
ვარსამიძისა . . . . . . . . . 202
31. ცრუ ქრისტე . . . . . . . . . 207
32. ლუჩია . . . . . . . . . . . 210

33. ციკლოპის თვალი . . . . . . . . 214
34. ტელეფონში . . . . . . . . . 228
35. დოქტორ ვიტენზონის ერთადერთი პაციენტი . . . . . 232
36. ქამიანობა . . . . . . . . . 245
37. პერტინაქს . . . . . . . . . . 253
38. თეთრი ტყეები . . . . . . . . . . . 262
39. პეპელა უნტერდენ ლინდენზე . . . . . . . . 272
49. ქალაქები თევზებისადმი . . . . . . . 281
41. დიონისო ლომისპირიანი . . . . . . .289
42. დოქტორ ფატენპურის შეგონება . . . . . . 290
43. ფოლადის მეზარადი . . . . . . . . 296
44. აბსენ ტუნგ . . . . . . . . . 298
45. ინგლისური ჩიბუხი . . . . . . . 304
46. წმიდა ქონდრისკაცი . . . . . . . . 310
47. ჰიმნები ხეებისადმი . . . . . . . 317
48. პაემანი . . . . . . . . . 319
49. აპოკალიფსური კურო . . . . . . . 322
50. დემონის ნატერფალზე . . . . . . . 335
51. ტაია შელიას უკუღმართი გზებზე . . . . . 349
52. ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე საგარსამიძისა . . 362
ეპილოგი . . . . . . . . . 374
ბოლოსიტყვა . . . . . . . . . 378
„დიონისოს ღიმილი"-ს მეორედ გამოცემის გამო . . . . 380
ზოგიერთ სიტყვათა განმარტებანი . . . . . .389
სოსო სიგუა — კონსტანტინე საგარსამიძის სევდა . . . . . 401
სოსო სიგუა — „სლანსკი, ასჩვიდმეტი" . . . . . . 409

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ГАМСАХУРДИА КОНСТАНТИНЭ СЕМЕНОВИЧ
СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В 20-ти ТОМАХ
Т. II
УЛЫБКА ДИОНИСИЯ
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели, 40/1
1992

მხატვრული რედაქტორი სპარტაკ ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი თემურ ნათიშვილი
კორექტორები: თამრიკო ფირცხალავა
დარეჯან ფირცხალავა
ხათუნა ქაჯაია
გამომშვები გიორგი ნათიშვილი

გადაეცა წარმოებას 20.VIII, 1991 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. XI. 91 წ. ქაღალდი ოფსეტური № 1. ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა როტაციული. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,42. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,12. პირობითი საღებავგატარება 21,42. ტირაჟი 60 000

ფასი სახელშეკრულებო

Типография издательства «Таврида», 333700, г. Симферополь, ул. генерала Васильева, 44.

K 323 233
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა